საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება
Department of History and Archaeology

ბათუმი
წარსული და თანამედროვეობა

VI

BATUMI
PAST AND PRESENT

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები, ბათუმი, 2015 წლის 5-6 სექტემბერი
Proceedings of the International conference
Batumi, 5-6 September, 2015

გამომცემლობა
"ჯეოპრინტი"
თბილისი – 2015

UDC (უაკ) 378.4(479.223)(063)+94(479.223-25)
ბ-179

სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ქალაქ ბათუმის მერიას კონფერენციისა და კრებულის დაფინანსებისათვის

სარედაქციო კოლეგია: **ბიჭიკო დიასამიძე** ***(მთავარი რედაქტორი)***, სიმონ გოგიტიძე, **ხათუნა დიასამიძე** ***(რედაქტორი)***., ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, გურამ ლორთქიფანიძე (თბილისი), როინ მალაყმაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), გელა საითიძე (თბილისი), უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, გურამ ჩაგანავა, მაია ჭიჭილეიშვილი, ნანა ხახუტაიშვილი, **ოლეგ ჯიბაშვილი** ***(პასუხისმგებელი რედაქტორი).***

რეცენზენტები: **ნინო ინაიშვილი** – ისტორიის დოქტორი
ნოდარ კახიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
მამია ფაღავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

EDITORIAL BOARD: **Bichiko Diasamidze *(Editor-In-Chief)*,** Simon Gogitidze, **Khatuna Diasamidze *(Editor)*,** Irina Varshalomidze, Giorgi Tavamaishvili, Otar Turmanidze, Guram Lortkipanidze (Tbilisi), Roin Malakmadze, Avtandil Nikoleishvili (Kutaisi), Gela Saitidze (Tbilisi), Ucha Okropiridze, Shushana Phutkaradze, Elza Phutkaradze, Guram Chaganava, Maia Chichileishvili, Nana Khakhutaishvili, **Oleg Jibashvili *(Responsible Editor)*.**

REVIEWERS: **Nino Inaishvili** – PhD in History
Nodar Kakhidze – Doctor of Historical Sciences
Mamia Pagava – Doctor of Philological Sciences

ISSN 1987-8745

© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი – 2015
© "ჯეოპრინტი" – 2015

სარჩევი – Contents

მთავარი რედაქტორისაგან – From Editor-In-Chief

კონფერენციის პროგრამა და მოსაწვევი
Conference Program and Invitation

ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია
History, Archeology, Ethnology

სულხან ალექსაია, გუგული კუკულაძე – აშშ-ს პოლიტიკური ინტერესები ბათუმში 1919-1920 წლებში
Sulkhan Aleqsaia, Guguli Kukuladze – Political Interests of the USA in Batumi in 1919-1920

ნარგიზ ახვლედიანი – ზოგი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის მახინჯაურში
Nargiz Akhvlediani – For Some Definition of Geographic Names in Makhinjauri

გია გელაშვილი – ჰერმან კოელერი ბათუმის ოლქის შესახებ (1842 წ.)
Gia Gelashvili – Herman Koeler about Batumi District (1842)

სიმონ გოგიტიძე – სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის
Simon Gogitidze – Concerning to the Origin of the Etymology of Batumi

ოთარ გოგოლიშვილი – დავით კლდიაშვილი – ბათუმში ქართული ტრადიციების დანერგვისა და განმტკიცების საქმეში დაუღალავი მებრძოლი
Otar Gogolishvili – Davit Kldiashvili – the Restless Fighter for Introduction and Strengthening of Georgian Traditions in Batumi

ბიჭიკო დიასამიძე – მუჰაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით
Bichiko Diasamidze – Forced Migration Processes in Batumi-Kobuleti according to Sergei Meskhi and Aleksandre Frenkeli

ირინე ვარშალომიძე – ახალი ნუმიზმატიკური მასალა ბათუმის შემოგარენიდან
Irine Varshalomidze – New Numismatic Material from Batumi Suburbs

შორენა ვაშაძე – 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ბათუმი
ShorenaVashadze – 1924 Uprising and Batumi

გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი – ბათუმი ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშებში

Goderdzi Vatchridze, Sulkhan Kuprashvili – Kutaisi Governors' Reports about Batumi

შოთა ზოიძე – აკაკი წერეთელი აჭარაში
Shota Zoidze – Akaki Tsereteli in Adjara

ოთარ თურმანიძე – ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორია
Otar Turmanidze – History of Batumi Household Machine Factory

კახა კვაშილავა – ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ – სამურზაყანოელ შარვაშიძეთა იდეა
Kakha Kvashilava – About One Plan for Batumi Liberation from the Ottomans – An Idea of Sharvashidzes from Samurzakano

გუგული კუკულაძე – ინგლისური კომპანია „სიბუნიონის" ეკონომიკური პოლიტიკა ბათუმის ოლქში და მისი ასახვა საქართველოს დამფუძნებელი კრების მასალებში
Guguli Kukuladze – Economical Politics of the English Company „Sibunion" in the District of Batumi and its Reflection in the Records of the Constituent Assembly of Georgia

ნაილე მიქელაძე – რეპრესირებულ ოჯახთა ისტორიიდან
Naile Mikeladze – From the History of Repressed Families

უჩა ოქროპირიძე – ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი
Ucha Okropiridze – The Project of Batumi Porto Franco Charter

ქეთევან პავლიაშვილი – სულთან აბდულ-აზიზეს სახელობის ბათუმის მეჩეთის აგების ისტორიულ-პოლიტიკური საფუძველი (XIX ს-ის 60-70-იანი წწ.)
Ketevan Pavliashvili – The Historical and Political Basis of Construction of the Mosque of Sultan Abdul Azizie in Batumi (60-70-s of XIX Century)

გელა საითიძე – რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ბათუმის ოლქიდან (1906-1917 წწ.)
Gela Saitidze – Russian State Council (the Duma) Deputies from Batumi District (1906-1917)

ლელა სარალიძე – ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვების ისტორიიდან (1920 წ.)
Lela Saralidze – From the History of Leaving Batumi by British Troops (1920)

ქრისტინე ფაღავა-ბულეზი – ბათუმის ისტორიის უცნობი ფურცლები (1920-1924 წლები)
Christine Pagava-Boulez – Unknown Pages from the History of Batumi (1920-1924)

ნანი ფუტკარაძე – ქართველ მუჰაჯირთა სოფლები თურქეთის შავიზღვისპირეთში (გირესუნის პროვინცია)

Nani Phutkaradze – Georgian Muhajir Villages on Turkey's Black Sea Coast (Giresun Province)

მურად ქასაბი – მუჰაჯირთა დასახლებანი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბათუმში
Murat Kasap – The Settlements of Muhajirs in the Second Half of XIX Century

ტარიელ ჭიღვარია, სულხან კუპრაშვილი – ორი უნივერსიტეტის ურთიერთობათა ისტორიიდან
Tariel Chighvaria, Sulkhan Kuprashvili – From the Relations of Two Universities

დოდო ჭუმბურიძე – აკაკი ჩხენკელი და აჭარის საკითხი
Dodo Chumburidze – Akaki Chkhenkeli and Adjara Issue

ნიკო ჯავახიშვილი – ბათუმში გამოშვებული ქაღალდის ფულადი ნიშნები (1918-1922 წლები)
Niko Javakhishvili – Paper Money Substitutes Issued in Batumi (1918-1922)

ოლეგ ჯიბაშვილი, ხათუნა დიასამიძე – აკაკი წერეთლის საიუბილეო სადამო ბათუმში
Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze – Anniversary Evening of Akaki Tsereteli in Batumi

განათლება, კულტურა
Education, Culture

რომან აბაშიძე – ერთი ეპიზოდი ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიიდან
Roman Abashidze – One Episode from the History of the First Georgian School in Batumi

თამარ გოგოლაძე – "თეთრი ქალაქის" ხილვები შოთა ზოიძის პოეზიაში
Tamar Gogoladze – The Shadows of "White City" in Shota Zoidze's Poetry

სოფიო თავაძე – ბათუმის კინემატოგრაფიული ცხოვრების ისტორიიდან – კინოთეატრების დაარსება და განვითარება
Sopio Tavadze – From the History of Batumi Cinematography – the Establishment of Cinemas and their Development

თეა თავბერიძე – ბათუმის თოჯინების თეატრის ისტორიიდან (თენგიზ სარდანაშვილის გახსენება)
Tea Tavberidze – From the History of Batumi Puppet Theatre (Remembering Tengiz Sardanashvili)

მარიამ კობერიძე – იაკობ გოგებაშვილი ბათუმის სკოლის შესახებ
Mariam Koberidze – Iakob Gogebashvili about Batumi School

ავთანდილ ნიკოლაიშვილი – 1918 წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები
Avtandil Nikoleishvili – Ottoman Occupation of Batumi in 1918 and the Georgian Writers

რამაზ სურმანიძე – ვასილ ველიჩკო, მისი წერილი გრიგოლ ვოლსკისადმი და ერთი ლექსის თარგმანი
Ramaz Surmanidze – Vasil Velichko's Letter to Grigol Volski and the Translation of One Poem

დალი ფუტკარაძე – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია და სოციალური ადაპტაცია ბათუმის საბავშვო ბაღებში
Dali Phutkaradze – Disabled Children's Integration and Adaptation in Batumi Kindergartens

შუშანა ფუტკარაძე, მერაბ ახვლედიანი – ევგენი მარკოვის ბათუმური ნარკვევები
Shushana Putkaradze, Merab Akhvlediani – Evgena Markov's Essays of Batumi

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე – ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს (სტამბოლის ქართველთა საცავში დაცული მასალების მიხედვით)
Shushana Putkaradze, Roin Malakmadze, Naile Chelebadze, Tamila Lomtatidze, Shorena Putkaradaze – Cultural and Educational Activities of Batumi Municipality in 1897 (According to the Materials Kept in Istanbul Georgian Depositary)

შუშანა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი, შორენა ფუტკარაძე – სტუმრად სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში
Shushana Phutkaradze, Tsiala Narakidze, Nargiz Akhvlediani, Shorena Phutkaradze – Visiting the Georgian Cultural Depository in Istanbul

ეთერ ქავთარაძე – ბათუმის თეატრალური ცხოვრების ისტორიიდან
Eter Kavratadze – From the History of Batumi Theatrical Life

თინა შიოშვილი – აჭარული ფირალის ეპოსის გმირები
Tina Shioshvili – Heroes from Ajarian Gangster Epic

ნატო ცქვიტინიძე – დაბადების ადგილი – ბათუმი
Nato Tskvitinidze – Place of Birth – Batumi

მაია ჭიჭილეიშვილი – ძველი ბათუმის ქუჩები (დავით კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანება)
Maia Chichileishvili – Old Batumi Streets (Davit Kldiashvili Street Development)

ეკოლოგია, ტურიზმი
Ecology, Turism

მაია აზმაიფარაშვილი – მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციები და საქართველო
Maia Azmaiparashvili – Georgia and the Tendencies of the World Tourism Development

გიული გიგუაშვილი – ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი
Giuli Giguashvili – Features of Formation of State Policy on Tourism Development

პაატა გიორგაძე, ზაურ ციხელაშვილი, ნოდარ ჩხეიძე, გივი ჭიჭინაძე – საქართველოს მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მარაგების ეფექტური გამოყენების შესახებ – რეალობად ქცეული ქართული ეკონომიკური სასწაული
Paata Giorgadze, Zaur Tsikhelashvili, Nodar Chkeidze, Givi Chichinadze – About Effective Use of Natural Underground Water Supply of Georgia – Georgian Economic Miracle Turned into Reality

მერაბ მეგრელიშვილი – ბათუმის კლიმატი და გარემოს დაცვის აქტუალური საკითხები
Merab Megrelishvili – Batumi Climate and Issues of Environmental Protection

ვახტანგ მიქაშავიძე, ჟანი მიქაშავიძე – ბათუმის ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები
Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze – Problems of State Regulation and Sustainable Development of Tourism Industry in Batumi

ნოდარ ჩხეიძე, ზაურ ციხელაშვილი, პაატა გიორგაძე – ბათუმის ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზების საკითხისათვის
Nodar Chkheidze, Zaur Tsikhelashvili, Paata Giorgadze – Batumi's Ecological Problems and the Ways to Resolve Them

ზაურ ციხელაშვილი, ნოდარ ჩხეიძე, პაატა გიორგაძე – ბათუმის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში ახალი ტიპის მცურავი შტორმშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების განთავსების საკითხისათვის
Zaur Tsikhelashvili, Nodar Chkeidze, Paata Giorgadze – For the Issue of Allocation of a New Type Storm Mitigation Waterworks in the Coastal Recreation Area of Batumi

კრებულის ავტორები – Authors of the Articles

მთავარი რედაქტორისაგან

ძვირფასო მკითხველო, თქვენს სამსჯავროზე გამოდის კრებულის **“ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა”** VI ტომი, რომელშიც დაიბეჭდა 2015 წლის 5-6 სექტემბერს, სახალხო ზეიმობის **“ბათუმობა”** ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მერიის დაფინანსებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ეს მერიის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარებული მესამე კონფერენცია იყო. ამიტომ, გადავწყვიტეთ წინა ხუთი კონფერენციის მასალების მოკლე ანალიზი წარმოგვედგინა, რათა თვალსაჩინო გამხდარიყო ასეთი კონფერენციების ჩატარების მიზანშეწონილობა ქალაქ ბათუმის, როგორც საქართველოს ერთი გამორჩეული ეკონომიკური, კულტურული და ტურისტული ცენტრის წარსულისა და დღევანდელობის უკეთ შესასწავლად და გასაცნობად, მისი საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებისა და ტურისტული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად.

ადრე ჩატარებულ ხუთ კონფერენციაზე წაკითხულ იქნა **286** ავტორის **239** მოხსენება. თუ მოხსენებათა თემატიკას გავაანალიზებთ, ყველაზე მეტია ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მიმართულებით მომზადებული სტატიები (114), რაც ქალაქის წარსულისა და დღევანდლობისადმი დიდ ინტერესზე მიუთითებს. ასევე მაღალია ქალაქის კულტურისა და განათლების საკითხების კვლევისადმი ინტერესი. ამ პრობლემებისადმი მიძღვნილია 55 მოხსენება. ქალაქის ისტორიის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს ეძღვნება 41 სტატია, ეკონომიკასა და ტურიზმს – 29.

სულ, ხუთივე ტომში დაბეჭდილი 239 მოხსენებიდან 146 მასპინძლების – ბათუმლებისაა (უნივერსიტეტი, სხვა სამეცნიერო დაწესებულებები), 71 მოხსენება – საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებიდან არის წარმოდგენილი (თბილისი, ქუთაისი, გორი, ახალციხე...), 22 – მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებიდან: **ბრაიან გილმოური** (ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი), **ნატანიელ ერბ სატულლო** (ჰარვარდი, აშშ), **ეიარი რაიან** (სიეტლი, აშშ), **დევიდ ბრაუნდი** (ექსტერი, დიდი ბრიტანეთი), **ქასაბ თეზგორი, მურად ქასაბი** (თურქეთი), **მარტინ ფრედერიქსონი** (ორჰუსის უნივერსიტეტი, დანია), **გაბრიელა ბელოვა** (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი), **კურტ რაიცი** (ბერლინი, გერმანია), **სერგეი რუმიანცევი** (აზერბაიჯანი) და სხვ.

კონფერენციებში უცხოელ მონაწილეთა გეოგრაფია (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, დანია, თურქეთი, ბულგარეთი, აზერბაიჯანი და სხვ.) მიუთითებს, ჯერ ერთი, ბათუმისადმი მეცნიერთა გაზრდილ ინტერესზე, და, მეორე, ამ კონფერენციის

რეზონანსულობასა და მის როლზე ბათუმით უცხოელთა დაინტერესების საქმეში.

კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა ერთ ნაწილში წარმოდგენილია ავტორთა რეკომენდაციები და წინადადებები ქალაქის ისტორიის შესწავლისა თუ ინფრასტრუქტურის სრულყოფის მიზნით. ვფიქრობთ, არც ეს უნდა იყოს უმნიშვნელო ქალაქ ბათუმის უკეთესი მომავლის გააზრებისათვის. და, რაც მთავარია, **“ბათუმობის”** პროგრამაში გაჩნდა ერთი საინტერესო სიახლე – შემეცნებითი ღონისძიება, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **“ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა”.**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ქალაქ ბათუმის მერია

Batumi Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute

Batumi City Hall

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
International Scientific Conference

ბ ა თ უ მ ი

წ ა რ ს უ ლ ი დ ა თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ო ბ ა

B a t u m i

P a s t a n d P r e s e n t

- VI -

პროგრამა და მოსაწვევი

Program and Invitation

სექტემბერი 5-6 September

ბათუმი 2015 Batumi

,,ვით სპილო არ მწამს სპილოდა,

თუ ალარა აქვს ხორთუმი,

ისე კავკასი კავკასად,

თუ არ ექნება ბათუმი!“

აკაკი წერეთელი

ქ–ნო

.....

ბ–ნო

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ **VI** საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენციაში
„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ მონაწილეობის მისაღებად,
რომელიც ჩატარდება სახალხო ზეიმობის ***„ბათუმობა“*** ფარგლებში
2015 წლის 5-6 სექტემბერს, ბათუმის
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში
დასაწყისი 11^{00} საათზე
მისამართი: ნინოშვილის ქ. №35,
უნივერსიტეტის I კორპუსი,
III სართული, შოთა რუსთაველის დარბაზი №55

საორგანიზაციო კომიტეტი

Mrs

……

Mr

We have the pleasure to invite you to participate
in the **V** International Scientific Conference
“Batumi – Past and Present”
which will take place in the frame of public holiday “Batumoba” on the 5st -6nd
of September 2015
At Batumi Shota Rustaveli State University
Conference begins at 11^{00}
Address: 35, Ninoshvili Str. the 1st Building of University,
3rd Floor, the Shota Rustaveli Hall №55

Organizing Committee

საორგანიზაციო კომიტეტი:

როინ მალაყმაძე (თავმჯდომარე), ბიჭიკო დიასამიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ოლეგ ჯიბაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ნარგიზ ახვლედიანი, სიმონ გოგიტიძე, ხათუნა დიასამიძე, ირინა ვარშალომიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე, თამილა ლომთათიძე, ნაილე მიქელაძე, გივი ნახუცრიშვილი, ნაილა ჩელებაძე, უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, ნანი ფუტკარაძე, მაია ჭიჭილეიშვილი.

Organizing Committee:

Roin Malakmadze (Chairman), Bichiko Diasamidze (Assistant to Chairman), Oleg Jibashvili (Senior Secretary), Nargiz Akhvlediani, Simon Gogitidze, Khatuna Diasamidze, Irine Varshalomidze, Jemal Varshalomidze, Otar Turmanidze, Nino Inaishvili, Nodar Kakhidze, Tamila Lomtatidze, Naile Mikeladze, Givi Nakhutsrishvili, Naila Chelebadze, Ucha Okropiridze, Shushana Phutkaradze, Elza Phutkaradze, Nani Phutkaradze, Maia Chichileishvili.

რეგლამენტი: მომხსენებელი – 10-15 წუთი
კამათში მონაწილე – 5 წუთი

Time-limit: Speaker – 10-15 minutes
Discussant – 5 minutes

2015 წლის 5 სექტემბერი * * September 5th 2015
პლენარული სხდომა 11⁰⁰ Plenary Session

კონფერენციის გახსნა – უნივერსიტეტის რექტორის მ/შ, პროფესორი **მერაბ ხალვაში**
Opening of the Conference – Acting Rector of University, Profesor **Merab Khalvashi**

მისალმებები Welcome Speeches

მოხსენებები Reports

1. **ნოდარ ჩხეიძე** (ბათუმი, საქართველო), **ზაურ ციხელაშვილი** (თბილისი, საქართველო), **პაატა გიორგაძე** (თბილისი, საქართველო)
ბათუმის ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზების საკითხისათვის
Nodar Chkheidze (Batumi, Georgia), **Zaur Tsikhelashvili** (Tbilisi, Georgia), **Paata Giorgadze** (Tbilisi, Georgia)
Batumi's Ecological Problems and the Ways to Resolve Them

2. **ზაურ ციხელაშვილი** (თბილისი, საქართველო), **ნოდარ ჩხეიძე** (ბათუმი, საქართველო), **პაატა გიორგაძე** (თბილისი, საქართველო)
ბათუმის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში ახალი ტიპის მცურავი შტორმშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების განთავსების საკითხისათვის
Zaur Tsikhelashvili (Tbilisi, Georgia), **Nodar Chkheidze** (Batumi, Georgia), **Paata Giorgadze** (Tbilisi, Georgia)
For the Issue of Allocation of a New Type Storm Mitigation Waterworks in the Coastal Recreation Area of Batumi

3. **პაატა გიორგაძე** (თბილისი, საქართველო), **ზაურ ციხელაშვილი** (თბილისი, საქართველო), **ნოდარ ჩხეიძე** (ბათუმი, საქართველო), **გივი ჭიჭინაძე** (თბილისი, საქართველო)
საქართველოს მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მარაგების ეფექტური გამოყენების შესახებ – რეალობად ქცეული ქართული ეკონომიკური სასწაული
Paata Giorgadze (Tbilisi, Georgia), **Zaur Tsikhelashvili** (Tbilisi, Georgia), **Nodar Chkheidze** (Batumi, Georgia), **Givi Chichinadze** (Tbilisi, Georgia)
About Effective Use of Natural Underground Water Supply of Georgia – Georgian Economic Miracle Turned into Reality

I სხდომა, I სექცია 12[00] Session I, Section I
სხდომის ხელმძღვანელები Session Heads
ლელა სარალიძე, ოთარ გოგოლიშვილი
Lela Saralidze, Otar Gogolishvili

1. **ქეთევან პავლიაშვილი** (თბილისი, საქართველო)
სულთან აბდულ-აზიზეს სახელობის ბათუმის მეჩეთის აგების ისტორიულ-პოლიტიკური საფუძველი (XIX ს-ის 60-70-იანი წწ.)
Ketevan Pavliashvili (Tbilisi, Georgia)
The Historical and Political Basis of Construction of the Mosque of Sultan Abdul Azizie in Batumi (60-70-s of XIX Century)

2. **დოდო ჭუმბურიძე** (თბილისი, საქართველო)
აკაკი ჩხენკელი და აჭარის საკითხი
Dodo Chumburidze (Tbilisi, Georgia)
Akaki Chkhenkeli and Adjara Issue

3. **ლელა სარალიძე** (თბილისი, საქართველო)
ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვების ისტორიიდან (1920 წ.)
Lela Saralidze (Tbilisi, Georgia)
From the History of Leaving Batumi by British Troops (1920)

4. **გელა საითიძე** (თბილისი, საქართველო)
რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ბათუმის ოლქიდან (1906-1917 წწ.)
Gela Saitidze (Tbilisi, Georgia)
Russian State Council (the Duma) Deputies from Batumi District (1906-1917)

5. **ოთარ თურმანიძე** (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორია
Otar Turmanidze (Batumi, Georgia)
History of Batumi Household Machine Factory

6. **ნიკო ჯავახიშვილი** (თბილისი, საქართველო)
ბათუმში გამოშვებული ქაღალდის ფულადი ნიშნები (1918-1922 წლები)
Niko Javakhishvili (Tbilisi, Georgia)
Paper Money Substitutes Issued in Batumi (1918-1922)

7. **კახა კვაშილავა** (თბილისი, საქართველო)
ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ – სამურზაყანოელ შარვაშიძეთა იდეა
Kakha Kvashilava (Tbilisi, Georgia)
About One Plan for Batumi Liberation from the Ottomans – An Idea of Sharvashidzes from Samurzakano

8. **უჩა ოქროპირიძე** (ბათუმი, საქართველო)
ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი
Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)
The Project of Batumi Porto Franco Charter

9. **ნუგზარ ზოსიძე** (ბათუმი, საქართველო)
იტალიის პოლიტიკური ინტერესები ბათუმში 1919-1920 წლებში
Nugzar Zosidze (Batumi, Georgia)
Political Interests of Italy in Batumi in 1919-1920

10. **სულხან ალექსაია, გუგული კუკულაძე** (ბათუმი, საქართველო)
აშშ-ს პოლიტიკური ინტერესები ბათუმში 1919-1920 წლებში
Sulkhan Aleqsaia, Guguli Kukuladze (Batumi, Georgia)
Political Interests of the USA in Batumi in 1919-1920

სხდომის შეჯამება
Summary of session

5 სექტემბერი * * September 5th
I სხდომა, II სექცია 12⁰⁰ Session I, Section II
სხდომის ხელმძღვანელები Session Heads
შუშანა ფუტკარაძე, სულხან კუპრაშვილი
Shushana Phutkaradze, Sulkhan Kuprashvili

1. **ავთანდილ ნიკოლეიშვილი** (ქუთაისი, საქართველო)
1918 წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები
Avtandil Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)
Ottoman Occupation of Batumi in 1918 and the Georgian Writers

2. **ეთერ ქავთარაძე** (თბილისი, საქართველო)
ბათუმის თეატრალური ცხოვრების ისტორიიდან
Eter Kavtaradze (Tbilisi, Georgia)
From the History of Batumi Theatrical Life

3. **თამარ გოგოლაძე** (გორი, საქართველო)
„თეთრი ქალაქის“ ხილვები შოთა ზოიძის პოეზიაში
Tamar Gogoladze (Gori, Georgia)
The Shadows of “White City” in Shota Zoidze’s Poetry

4. **რამაზ სურმანიძე** (ბათუმი, საქართველო)
ვასილ ველიჩკო, მისი წერილი გრიგოლ ვოლსკისადმი და ერთი ლექსის თარგმანი
Ramaz Surmanidze (Batumi, Georgia)
Vasil Velichko’s Letter to Grigol Volski and the Translation of One Poem

5. **შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე** (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით)
Shushana Phutkaradze, Roin Malakmadze, Naila Chelebadze, Elza Phutkaradze, Tamila Lomtatidze, Shorena Phutkaradze (Batumi, Georgia)
Cultural and Educational Activities of Batumi Municipality in 1897 (According to the Materials Kept in Istanbul Georgian Depositary)

6. **მაია ჭიჭილეიშვილი** (ბათუმი, საქართველო)
ძველი ბათუმის ქუჩები (დავით კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანება)
Maia Chichileishvili (Batumi, Georgia)
Old Batumi Streets (Davit Kldiashvili Street Development)

7. **ნატო ცქვიტინიძე** (ბათუმი, საქართველო)
დაბადების ადგილი – ბათუმი
Nato Tskvitinidze (Batumi, Georgia)
Place of Birth – Batumi

8. **თეა თავბერიძე** (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის თოჯინების თეატრის ისტორიიდან (თენგიზ სარდანაშვილის გახსენება)
Tea Tavberidze (Batumi, Georgia)
From the History of Batumi Puppet Theatre (Remembering Tengiz Sardanashvili)

9. **დალი ფუტკარაძე** (ბათუმი, საქართველო)
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია და სოციალური ადაპტაცია ბათუმის საბავშვო ბაღებში
Dali Phutkaradze (Batumi, Georgia)
Disabled Children's Integration and Adaptation in Batumi Kindergartens

სხდომის შეჯამება
Summary of session

5 სექტემბერი * * September 5th
II სხდომა, I სექცია 15ºº Session II, Section I
სხდომის ხელმძღვანელები Session Heads
დოდო ჭუმბურიძე, რამაზ სურმანიძე
Dodo Chumburidze, Ramaz Surmanidze

1. **გია გელაშვილი** (თბილისი, საქართველო)
ჰერმან კოელერი ბათუმის ოლქის შესახებ (1842 წ.)
Gia Gelashvili (Tbilisi, Georgia)
Herman Koeler about Batumi District (1842)

2. **ბიჭიკო დიასამიძე** (ბათუმი, საქართველო)
მუჰაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით
Bichiko Diasamidze (Batumi, Georgia)

Forced Migration Processes in Batumi-Kobuleti according to Sergei Meskhi and Aleksandre Frenkeli

3. **ფაღავა-ბულეზი ქრისტინე** (პარიზი, საფრანგეთი)
ბათუმის ისტორიის უცნობი ფურცლები (1920-1924 წლები)
Pagava-Boulez Christine (Paris, France)
Unknown Pages from the History of Batumi (1920-1924)

4. **ჯემალ კარალიძე** (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობის ზოგიერთი საკითხი 1918-1921 წლებში
Jemal Karalidze (Batumi, Georgia)
Some Issues of Activity of Batumi Municipality in 1918-1921

5. **ტარიელ ჭიღვარია, სულხან კუპრაშვილი** (ქუთაისი, საქართველო)
ორი უნივერსიტეტის ურთიერთობათა ისტორიიდან
Tariel Chighvaria, Sulkhan Kuprashvili (Kutaisi, Georgia)
From the Relations of Two Universities

6. **შორენა ვაშაძე** (ბათუმი, საქართველო)
1924 წლის აჯანყება და ბათუმი
Shorena Vashadze (Batumi, Georgia)
1924 Uprising and Batumi

7. **გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი** (ქუთაისი, საქართველო)
ბათუმი ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშებში
Goderdzi Vachridze, Sulkhan Kuprashvili (Kutaisi, Georgia)
Kutaisi Governors' Reports about Batumi

8. **სიმონ გოგიტიძე** (ბათუმი, საქართველო)
სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის
Simon Gogitidze (Batumi, Georgia)
Concerning to the Origin of the Etymology of Batumi

9. **ზაზა შაშიკაძე, რუსლან ბარამიძე** (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის მოსახლეობის დინამიკა ოსმალური და რუსული აღწერების მიხედვით (1830-1890-იანი წლები)
Zaza Shashikadze, Ruslan Baramidze (Batumi, Georgia)
Dynamic of Batumi Population Based on Ottoman and Russian Reports (1830-1890)

10. **ნაილე მიქელაძე** (ბათუმი, საქართველო)
რეპრესირებულ ოჯახთა ისტორიიდან
Naile Mikeladze (Batumi, Georgia)
From the History of Repressed Families

სხდომის შეჯამება
Summary of session

5 სექტემბერი * * September 5th
II სხდომა, II სექცია 15⁰⁰ Session II, Section II
სხდომის ხელმძღვანელები Session Heads
მაია ჭიჭილეიშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი
Maia Chichileishvili, Avtandil Nikoleishvili

1. **თინა შიოშვილი** (ბათუმი, საქართველო)
   აჭარული ფირალის ეპოსის გმირები
   Tina Shioshvili (Batumi, Georgia)
   Heroes from Ajarian Gangster Epic

2. **შუშანა ფუტკარაძე, მერაბ ახვლედიანი**
   ევგენი მარკოვის ბათუმური ნარკვევები
   Shushana Phutkaradze, Merab Akhvlediani (Batumi, Georgia)
   Evgeni Markov's Essays of Batumi

3. **შოთა ზოიძე** (ბათუმი, საქართველო)
   აკაკი წერეთელი აჭარაში
   Shota Zoidze (Batumi, Georgia)
   Akaki Tsereteli in Adjara

4. **ოთარ გოგოლიშვილი** (ბათუმი, საქართველო)
   დავით კლდიაშვილი – ბათუმში ქართული ტრადიციების დანერგვისა და განმტკიცების საქმეში დაუღალავი მებრძოლი
   Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)
   Davit Kldiashvili – the Restless Fighter for Introduction and Strengthening of Georgian Traditions in Batumi

5. **მარიამ კობერიძე** (გორი, საქართველო)
   იაკობ გოგებაშვილი ბათუმის სკოლის შესახებ
   Mariam Koberidze (Gori, Georgia)
   Iakob Gogebashvili about Batumi School

6. **შუშანა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი, შორენა ფუტკარაძე** (ბათუმი, საქართველო)
   სტუმრად სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში
   Shushana Phutkaradze, Tsiala Narakidze, Nargiz Akhvlediani, Shorena Phutkaradze (Batumi, Georgia)
   Visiting the Georgian Cultural Depository in Istanbul

7. **სოფიო თავაძე** (ბათუმი, საქართველო)
   ბათუმის კინემატოგრაფიული ცხოვრების ისტორიიდან – კინოთეატრების დაარსება და განვითარება
   Sofio Tavadze (Batumi, Georgia)
   From the History of Batumi Cinematography – the Establishment of Cinemas and their Development

8. **ნარგიზ ახვლედიანი** (ბათუმი, საქართველო)
ზოგი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის მახინჯაურში
Nargiz Akhvlediani (Batumi, Georgia)
For Some Definition of Geographic Names in Makhinjauri

9. **რომან აბაშიძე** (ბათუმი, საქართველო)
ერთი ეპიზოდი ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიიდან
Roman Abashidze (Batumi, Georgia)
One Episode from the History of the First Georgian School in Batumi

სხდომის შეჯამება
Summary of session

2015 წლის 6 სექტემბერი * * September 6st 2015
III სხდომა 13⁰⁰ Session III
სხდომის ხელმძღვანელები Session Heads
თინა შიოშვილი, გელა საითიძე
Tina Shioshvili, Gela Saitidze

1. **მაია აზმაიფარაშვილი** (გორი, საქართველო)
მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციები და საქართველო
Maia Azmaiparashvili (Gori, Georgia)
Georgia and the Tendencies of the World Tourism Development

2. **გიული გიგუაშვილი** (გორი, საქართველო)
ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი
Giuli Giguashvili (Gori, Georgia)
Features of Formation of State Policy on Tourism Development

3. **ვახტანგ მიქაშავიძე, ჟანი მიქაშავიძე** (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები
Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze (Batumi, Georgia)
Problems of State Regulation and Sustainable Development of Tourism Industry in Batumi

4. **მერაბ მეგრელიშვილი** (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის კლიმატი და გარემოს დაცვის აქტუალური საკითხები
Merab Megrelishvili (Batumi, Georgia)
Batumi Climate and Issues of Environmental Protection

5. **ამირან კახიძე, თამარ შალიკაძე, მალხაზ ნაგერვაძე** (ბათუმი, საქართველო)
ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. კაპნისთავში (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი)
Amiran Kakhidze, Tamar Shalikadze, Malkhaz Nagervadze (Batumi, Georgia)
New Archaeological Discoveries in Kapnistavi Village (Khelvachauri Municipality)

6. **ნინო ძნელაძე, ნარგიზ სურმანიძე, მირანდა თურმანიძე** (ბათუმი, საქართველო)
არქეოლოგიური გათხრები მახვილაურის ადრერკინის სამაროვანზე
Nino Dzneladze, Nargiz Surmanidze, Miranda Turmanidze (Batumi, Georgia)
Archaeological Excavations on Makhvilauri Necropolis of the Early Iron Age

7. **ამირან კახიძე, ნარგიზ სურმანიძე, მალხაზ ნაგერვაძე** (ბათუმი, საქართველო)
არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ნაქალაქარზე
Amiran Kakhidze, Nargiz Surmanidze, Malkhaz Nagervadze (Batumi, Georgia)
Archaeological Excavations in Old Settlement of Pichvnari

8. **მურად ქასაბი** (სტამბოლი, თურქეთი)
მუჰაჯირთა დასახლებანი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ბათუმში
Murat Kasap (Istanbul, Turkey)
The Settlements of Muhajirs in the Second Half of XIX Century

9. **ნანი ფუტკარაძე** (ბათუმი, საქართველო)
ქართველ მუჰაჯირთა სოფლები თურქეთის შავიზღვისპირეთში (გირესუნის პროვინცია)
Nani Phutkaradze (Batumi, Georgia)
Georgian Muhajir Villages on Turkey's Black Sea coast (Giresun Province)

10. **გუგული კუკულაძე** (ბათუმი, საქართველო)
ინგლისური კომპანია „სიბუნიონის“ ეკონომიკური პოლიტიკა ბათუმის ოლქში და მისი ასახვა საქართველოს დამფუძნებელი კრების მასალებში
Guranda Kukuladze (Batumi, Georgia)
Economical Politics of the English Company „Sibunion" in the District of Batumi and its Reflection in the Records of the Constituent Assembly of Georgia

11. **ირინე ვარშალომიძე** (ბათუმი, საქართველო)
ახალი ნუმიზმატიკური მასალა ბათუმის შემოგარენიდან
Irine Varshalomidze (Batumi, Georgia)
New Numismatic Material from Batumi Suburbs

12. **ოლეგ ჯიბაშვილი, ხათუნა დიასამიძე** (ბათუმი, საქართველო)
აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ბათუმში
Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze (Batumi, Georgia)
Akaki Tsereteli's Jubilee Evening in Batumi

სხდომის შეჯამება
Summary of session

კონფერენციის შეჯამება
Conference Conclusion

სულხან ალექსაია, გუგული კუკულაძე
(ბათუმი, საქართველო)

აშშ-ს პოლიტიკური ინტერესები ბათუმში 1919-1920 წლებში

ბათუმში პირველობისათვის წარმოებული ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა, როდესაც მუდროსის ზავით ანტანტის ერთ-ერთ სახელმწიფოს, ინგლისს, წილად ერგო ოსმალეთის მიერ დაკავებული ტერიტორიები, და მათ შორის ბათუმის ოლქიც. ინგლისს პირველობაში, აქ, ეცილებოდა საფრანგეთი და ამერიკის შეერთებული შტატებიც.

იმის შემდეგ რაც, 1919 წლის გაზაფხულზე ინგლისის მთავრობაში დაისვა ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანის საკითხი, რაც რუსეთის გააქტიურებით იყო ნაკარნახევი. ინგლისელები მიხვდნენ, რომ ბოლშევიკური რუსეთი ამიერკავკასიას არავის დაუთმობდა და მასთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ინგლისელები იმასაც აცნობიერებდნენ, რომ თუკი ისინი გაიყვანდნენ თავიანთ ჯარებს ამიერკავკასიიდან, მათ ნაცვლად აშშ-ს საოკუპაციო ჯარები შევიდოდა და იქ თავისი პროტექტორატის დამყარებინას შეეცდებოდა. ამიტომაც ინგლისელები ცდილობდნენ ამიერკავკასიაში მათ ნაცვლად შედარებით სუსტი სახელმწიფოს ჯარები შემოსულიყო და თუკი სამომავლოდ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა ისევ თვითონ დაპატრონებოდნენ მას.

სწორედ ამიტომაც, 1919 წლის 8 აპრილს ინგლისსა და იტალიას შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ამიერკავკასიაში ინგლისელებს შეცვლიდნენ იტალიელები *[ჯოჯუა, 1997: 68-69]*. ამ შეთანხმებიდან ორი კვირის შემდეგ იტალიიდან ჩამოვიდა დელეგაცია პოლკოვნიკ გაბას მეთაურობით. ამ დელეგაციის წევრები ორლანდო და სონინო აქტიურად შეუდგნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის დაკავებისათვის მზადებას. გაბა იტალიაში გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, რომ: „საქართველოში დიდი მასშტაბით ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელებისათვის აუცილებელია ჩვენს განკარგულებაში იყოს ბათუმის ნავსადგური, სადაც შეიძლება საზღვაო ბაზა აშენდეს. აქედან შეიძლება რკინიგზასაც გაეწიოს კონტროლი“ *[ტაბაღუა, №3, 1982: 89]*.

იტალიელებმა ვერ შეძლეს ამიერკავკასიის ოკუპაცია. ეს ორი მიზეზით იყო განპირობებული. რუსეთის ფაქტორით, რომ აშკარად ჩანდა მისი დაინტერესება ამიერკავკასიით და მეორე

იმით, რომ 1919 წლის ზაფხულში იტალიაში დაიწყო პოლიტიკური გამოსვლები. შეიცვალა ორლანდოს კაბინეტი და ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ფრანჩესკო ნიტი. ნიტის აზრით, ამიერკავკასიაში ჯარების შეყვანას შესაძლოა მოჰყოლოდა რუსეთთან ან თურქეთთან შეჯახება, რაც დამღუპველი იქნებოდა იატალიის ეკონომიკისათვის. ამიტომაც, 1919 წლის ზაფხულში, მან ოფიციალურად უარი განაცხადა ამ ტერიტორიაზე ჯარების შეყვანაზე ***[Нитти, 1923: 182-183].*** ინგლისელებმა ეს ქმედება შეაფასეს, როგორც იტალიის მცდელობა ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღებისათვის ***[Джорж, 1957: 409].***

1919 წლის 8 აპრილის ინგლის-იტალიის ხელშეკრულებამ ძალიან გააღიზიანა ამერიკა. ამით უკმაყოფილო იყო სამხედრო და მთავრობის წევრები. იმ პერიოდისათვის სომხეთში მყოფი ამერიკელი გენერალი ჯორჯ მოსლი აღნიშნავდა, რომ: ამიერკავკასიაში ამერიკელთა ბაზა უნდა გამხდარიყო ქალაქი ბათუმი ***[Кунина, 1954: 111].*** 1919 წლის აპრილში ამერიკელები გეგმავდნენ დაეკავებინათ თურქეთის ნავსადგური ალექსანდრეტა და აქედან სომხეთში შეეყვანათ 70 000 მეომარი. აქვე განიხილებოდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ოკუპაციაც ***[Кунина, 1954: 111-112].*** ამერიკელებმა „რამდენიმე მისია მოავლინა (სომხეთში) (მათ შორის, ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯედსონი, კაპიტანი ბ. მური, გენერალი ჯ. ჰარბორდი და სხვ.)“ ***[https://www.facebook.com/notes].***

ამერიკელებმა მოახერხეს და გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს პარიზის კონფერენციის მონაწილეებზე. 1919 წლის 14 მაისს ამერიკას მიაკუთვნეს მანდატი სომხეთსა და შავი ზღვის სრუტეებზე ***[ლამბაშიძე, 1964: 148].*** იმავე წლის 5 ივლისს კი პოლკოვნიკი ჰასკელი დაინიშნა სომხეთში მოკავშირეთა უმაღლეს კომისრად ***[ლამბაშიძე, 1964: 158].*** ინგლისელები შიშობდნენ, რომ პოლკოვნიკი ჰასკელი შეეცდებოდა მთელი ამიერკავკასიის უმაღლესი კომისარი გამხდარიყო და ამიტომაც ამ თანამდებობაზე (სომხეთის გამოკლებით) დაინიშნა ინგლისელი ქართველოლოგი ოლივერ უორდროპი.

ამერიკელები მარტო სომხეთით შემოფარგვლას მართლაც არ აპირებდნენ და სწორედ ამიტომაც შეიკავეს თავი აქ ჯარების შეყვანაზე. 1919 წლის 11 აგვისტოს პარიზის კონფერენციის სხდომაზე ამერიკელებმა ნიადაგი მოსინჯეს და მოინდომეს მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია ***[Штеин,1949: 322].*** იმავე წლის 14-15 ნოემბრის სხდომებზე ამერიკელებმა აშკარად მოითხოვეს პოლკოვნიკ ჰასკელისათვის გადაეცათ მთელი ამიერკავკასია, მაგრამ ამჯერადაც პარიზის კრების მონაწილეებმა უარი გაუბედეს ამერიკას ***[სიორიძე, 2011: 122].***

ამრიგად, ამიერკავკასიაში პირველობას ინგლისს აშკარად ეცილებოდა აშშ ***[მაღლაკელიძე, 1953: 24].*** მაგრამ, ამერიკელი

დიპლომატებიც თვლიდნენ, რომ ამიერკავკასიას რუსეთი არავის არ დაუთმობდა და მასთან ურთიერთობის გაფუჭებას ერიდებოდნენ. ამას ადასტურებს 1920 წლის 10 აგვისტოს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ბეინბრიჯ კოლბის მიერ იტალიის მთავრობისადმი გაგზავნილი ნოტა. სადაც წერია, რომ: „ამერიკა მხარს უჭერს ბოლშევიკური რუსეთის სახელმწიფოს იმპერიისდროენდელ საზღვრებში აღდგენას, ოღონდ გარკვეული კორექტივებით. ეს ცვლილებები უნდა შეხებოდა „ფინეთის, პოლონეთის ეთნიკურ ტერიტორიებს და, ასევე, იმ ტერიტორიებს, რომლებიც შემდგომი ხელშეკრულებებით უნდა შეურთდეს სომხეთის სახელმწიფოს. ამ ხალხების მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ კანონიერია. ყველა ისინი ძალით იყო ანექსირებული რუსეთის მიერ“ ***[კირთაძე, 1997: 100].***

მკვლევარი ღამბაშიძე მიიჩნევს, რომ აშშ სახელმწიფოს აშკარა სიმპატიები ამოძრავებდა სომხეთთან მიმართებაში. ეს გამოწვეული იყო სომეხი მონოპოლისტების ძალისხმევითაც. ამერიკის „პრეზიდენტი, მთავრობა და მთელი აღმოსავლური აპარატი სომხეთზე ამერიკის მანდატის მომხრედ გამოდიოდა. ყველაფერს აკეთებდა... (მათი) ინტერესების დასაკმაყოფილებლად“ ***[ღამბაშიძე, 1970: 115].*** „ამერიკელი კონგრესმენი, ვოლტერ მარიონ ჩენდლერიც, რომელიც შეერთებულ შტატებში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობის ოფიციალურ ლობისტად მუშაობდა, ამერიკიდან იტყობინებოდა, რომ მას წარმატების მიღწევის ძალზე მცირე შანსი აქვს, რადგანაც ის ამერიკაში ყოველ ნაბიჯზე აწყდება სომხეთის ლობისტების წინააღმდეგობას“ ***[http://www.spekali.tsu.ge/].*** ჩვენის აზრით, სომეხი მონოლისტების ძალისხმევა ამერიკაზე უფრო საბაბი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი აღნიშნული აშშ-ს ინტერესებშიც შედიოდა. სომხეთი მას გამოადგებოდა იმ პოლიტიკურ პლაცდარმად, საიდანაც იგი შეძლებდა თავისი პოლიტიკის გატარებას ამირკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში. საქართველოში აშშ-ს პირველი კონსული ფელიქს უილოუბი სმითი საერთოდ არ ცნობდა ქვეყნის დამოუკიდებლობას ***[http://iberiana.wordpress.com/about/georgia-usa/],*** რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ვარაუდს.

აშშ-ს მხარდაჭერით გათამამაბულმა სომხებმა მიზნად დაისახეს სომხეთის საზღვრების გაფართოება საქართველოს ისტორიული ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე და ვერსალის საზავო კონფერენციაზე წარადგინეს თავიანთი მოთხოვნები.

სომხეთის სახელმწიფოს საზღვრების გამოსარკვევად პარიზიდან ლონდონში ჩავიდა სომხეთის დელეგაცია, სადაც ეს საკითხები განიხილებოდა 1920 წლის თებერვალ-მარტში. ამ საკითხს განიხილავდა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და იაპონიის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური კომისია.

ამ კომისიაზე სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა შავ ზღვაზე გასასვლელი გზის უზრუნველყოფა. სომხური პროექტის თანახმად, მათ უნდა გადასცემოდათ მთელი ლაზისტანის სანჯაყი, რომელზეც თავისი უფლებები განაცხადა ქართულმა დელეგაციამ ვერსალის კონფერენციაზე *[ავალიშვილი 2011: 297].*

მიუხედავად იმისა, რომ ამ კომისიაზე ქართულმა დელეგაციამ საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა ლაზისტანის ტერიტორიის ისტორიულად საქართველოსადმი კუთვნილება, კომისიის თავჯდომარემ ბ. კამმერერმა აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ზღვაზე გასასვლელი. „როცა ვქმნით დამოუკიდებელ სომხეთს, ჩვენ იგი აუცილებლად უნდა უზრუნველყოთ გასავალი გზით...“ *[ავალიშვილი 2011: 299].* აშკარა იყო, რომ ამ კომისიას უფრო მეტად აინტერესებდა თავისი პრაგმატული ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება, ვინემ ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

ამრიგად, აშშ-ს მანდატის სომხეთზე გავრცელება მიზნად ისახავდა „დიდი სომხეთის“ იდეის სისრულეში მოყვანას, რომელიც მათ პლაცდარმად იქცეოდა ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მათი პოლიტიკის გატარებისათვის.

ამის საპასუხოდ, 1920 წლის 15 აგვისტოს, ქართულმა დელეგაციამ ვერსალის კონფერენციის საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობებს წარუდგინა დოკუმენტი. სადაც საუბარია „დიდი სომხეთის“ აღდგენის მიზანშეუწონლობაზე და მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნებმა, სამომავლოდ, არ უნდა დაუშვან რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერთება და აშშ-ს მიერ მათი ხელოვნური დანგრევა *[გაზ. „ერთობა“: 1920 წ. 15 ოქტომბერი].*

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა აღნიშნული ასე შეაფასა: „შეერთებული შტატები, რომელიც ამას წინათ ერთა თვითგამორკვევის მხურვალე დამცველი გამოდიოდა, ეხლა ერთი კალმის მოსმით ქართველი ხალხის უდაო ისტორიულ და ეროვნული უფლებებს, თვითგამორკვევას უარყოფს“ *[გაზ. „ერთობა“: 1920 წ. 21 სექტემბერი].* ანალოგიური პათოსი იკითხება ე. გეგეჭკორის მიერ რომის გაზეთ „ტრიბუნას“ თანამშრომლებთან გაკეთებულ განცხადებაშიც *[საერთაშორისო სამართლისა და.., 1949: 80-83].*

საქართველოსთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია კარგად აქვს შეფასებული მთავრობის თავჯდომარეს ნოე ჟორდანიას. მისით თქმით: „საქართველოს მომავალი დასავლეთს მტკიცედ მიეჯაჭვა, მაგრამ ქართველი ხალხი ევროპის წინაშე მოწყალებისათვის კი არ

წარმსდგარა, არამედ უფლებებისათვის, რომ შესაფერისი ადგილი მიეჩინათ ,,აზიის გზის ყურეში“ *[ვადაჭკორია, 2006: 434].*

აშშ-მ სამომავლოდ მართლაც დათმო თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში ბოლშევიკური რუსეთის სასარგებლოდ. ალბათ, ზოგადად, დასავლეთისათვის მომგებიანი იქნებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან გამოენახა საერთო ენა. ისტორიული სამართლიანობიდან გამომდინარე მიდგომოდა ამ სახელმწიფოებს შორის საზღვრების დადგენის საკითხსაც და ეფიქრა მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებაზე. ექცია ისინი იმ ბუფერულ ზონად, რომელიც გადაულახავი იქნებოდა მოსკოვისათვის. მაგრამ მან პირიქით, დაასუსტა ეს ქვეყნები, გარკვეული დოზით დესტაბილიზაცია შეიტანა იქ და, ბოლოს, რუსეთის უზარმაზარი გასაღების ბაზრისა და ულევი ნედლეულის სანაცვლოდ გაყიდა ისინი.

გამოყენებული ლიტერატურა:

ავალიშვილი, 2011: – ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი.

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 21 სექტემბერი

გაზ. „ერთობა“, 1920 წ. 15 ოქტომბერი

ვადაჭკორია, 2006: – ვადაჭკორია შ., საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები (XX საუკუნე), წიგნი II, თბილისი.

კირთაძე, 1997: – კირთაძე ნ., ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო, თბილისი.

მაღლაკელიძე, 1953: – მაღლაკელიძე ს., ინგლის-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში (დოკუმენტები), „საისტორიო მოამბე“, თბილისი, №7, 1997.

საერთაშორისო სამართლისა.., 1949: – საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დოკუმენტები, შეადგინა და კომენტერები დაურთო დ. ენუქიძემ, თბილისი.

სიორიძე, 2011: – სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, თბილისი.

ტაბაღუა, 1982: – ტაბაღუა ი., ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე, „მაცნე“, (ისტორიის სერია), თბილისი, №3, 1982.

ღამბაშიძე, 1964: – ღამბაშიძე გ., ინგლისისა და აშშ-ს აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ (1919 წ.), თბილისი.

ღამბაშიძე, 1970: – ღამბაშიძე გ., იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ 1920 წელს, თბილისი.

ჯოჯუა, 1997: – ჯოჯუა დ., საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921 წლებში, თბილისი.
Нитти, 1923: – Нитти ф., Европа над бездной, изд-во ,,мисл“, Петроград
Джорж, 1957: –Джорж Л., Правда о мирных договорах, II, Москва.
Кунина, 1954: – Кунина А. Е., Провал Американских планов завоевания мирового господства в 1917-1920 гг., Москва.
Штеин, 1949: – Штеин Б., ,,Русский вопрос“ на парижской мирной конференции (191-1920 гг.), Москва.
https://www.facebook.com/notes
http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/4/33
http://iberiana.wordpress.com/about/georgia-usa/
https://burusi.wordpress.com/2010/02/14/treaty-of-versailles-1919/#jp-carousel-37541

Sulkhan Aleqsaia, Guguli Kukuladze
(Batumi, Georgia)

Political Interests of the USA in Batumi in 1919-1920

Summary

In the given article is discussed the relationship between Georgia and the USA in 1918-1921, which is not studied properly at present. The USA had the apparent sympathies toward Armenia. According to the views of some of the researchers it was caused by the efforts of Armenian monopolists.

To our mind the effort of Armenian monopolists should be more the reason though the given fact was the subject of the US national interests too. Armenia would be useful for the USA as a political springboard from whence it can carry out its policy in Transcaucasia and in Middle East. As a result of it , the southern part of the district of Batumi and Lazistan Sajaqi were transferred to the possession of Armenia at the conference held in London which was the violation of the historical justice.



საზღვრები სომხეთა ტერიტორიული პრეტენზიებისა, წარდგენილი გვრისლის საზავო კონფერენციაზე
[https://burusi.wordpress.com/2010/02/14/treaty-of-versailles-1919/#jp-carousel-37541]

ნარგიზ ახვლედიანი
(ბათუმი, საქართველო)

ზოგი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის მახინჯაურში

მახინჯაური თავისი ბუნებრივი სილამაზით ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ადგილია აჭარაში. ის მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმიდან 5 კილომეტრის დაშორებით. მახინჯაურს ჩრდილოეთით საზღვრავს სასირეყელის სერი, აღმოსავლეთით – თავქუდიანის მთა, სამხრეთით – ჯვარის მთა და დასავლეთით – შავი ზღვა.

მახინჯაურის ტერიტორიის უმაღლესი წერტილია თავქუდიანის მთა, რომელიც ზღვის დონიდან 600 მეტრამდეა.

ჯვარის ქედი, რომელიც მახინჯაურს სამხრეთიდან აკრავს, ექვს კილომეტრზე გრძელდება. იგი იწყება თავქუდიანის მთიდან და ვრცელდება დასავლეთისაკენ.

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, სანაპირო დაბლობს ახლო წარსულში გაცილებით მეტი ფართობი სჭერია. ზღვა ამ სანაპირო დაბლობში ნახევარ კილომეტრზე მეტ მანძილზე შეჭრილა და დაუპყრია საყანე ადგილები და მახინჯაურიდან ბათუმისაკენ მიმავალი უმოკლესი საცალფეხო გზა.

აკად. ალ. ჯავახიშვილის მიხედვით მახინჯაურის ტერიტორიის დიდი ნაწილი მოქცეულია კოლხეთის ზღვისპირა დაბლობის ოლქში, სადაც ის გამოყოფს მესამეულის დანაოჭებული სტრუქტურის დაბლობ-ბორცვიან და წვრილმთიან რელიეფის ტიპს, რომელსაც ახასიათებს ალუვიური საფარველის განვითარება წითელმიწა ნიადაგების სახით და ტერასებით *[კვასხვაძე, 1964: 252]*.

აჭარაში, ისევე როგორც სხვაგან ხშირად ადგილის სახელწოდებები დავიწყებას ეძლევა. მათი მოპოვება, დაფიქსირება და შენახვა მეტად საშური საქმეა, ვინაიდან სამომავლოდ შესაძლებელია აქამდე არსებული ტოპონიმების, ადგილის სახელწოდებების გაქრობაც. ასე მაგალითად, აჭარაში დღემდე ცნობილი ტოპონიმი „მწვანე კონცხი“ კარგად დავიწყებული „წყავნარი კონცხია“, დღევანდელი „განთიადი“ კი „ორპირი“ იყო (აზიზ ახვლედიანის ცნობით).

ცნობილია, რომ აჭარის ტერიტორიაზე ბევრი ობიექტის სახელწოდება უკავშირდება რუსი ჩინოვნიკების გვარებს. ასე მაგ.: სიბირიაკოვი, პოპოვი, გუბანოვი, სმირნოვი, ლიტვინოვი და სხვა. ამ ტოპონიმთა ქვეშ ჯერ კიდევ მისაკვლევია ძველი ქართული ტოპონიმები.

აჭარის სანაპირო ზოლი, კერძოდ ბათუმი და მისი შემოგარენი, ყოველი დამპყრობლის ხელში განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ამ მხრივ მახინჯაური,

საქვეყნოდ განთქმული კურორტი, ყველასათვის მომზიდველი იყო და მისი ხელში ჩაგდება ყველა დამპყრობელს ერთნაირად სურდა.

მახინჯაურში არსებული რუსულენოვანი ტოპონიმების ქვეშ მათი ძირძველი ქართული სახელწოდებების აღდგენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. ასე მაგალითად, ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ერთი ტოპონიმის უძველეს გეოგრაფიულ სახელწოდებაზე. ეს გახლავთ ტოპონიმი „გუბანოვი“, რომლის ძველი სახელწოდებაც ოჯინჯია.

ოჯინჯი – ჩაის პლანტაცია (დაბა მახინჯაური). „ოჯინჯი“ მახინჯაურში თურქების შემოსვლამდე არსებული ტოპონიმია, რომელიც რუსების შემოსვლის შემდეგ „გუბანოვი“ გახდა. შდრ.: პოპოვი, სიბირიაკოვი, სმირნოვი, ლიტვინოვი და ა.შ. ეს ტერიტორია ერთგვარ შეფერდებაზე, ძირს ჩამოსაჯდომი დასასვენებელ ადგილადაც იყენებდნენ წარსულში. ადგილობრივი მკვიდრთა, გვარის უხუცეს წარმომადგენელთა აზ. ახვლედიანისა და ნაზი ახვლედიანის ცნობით, ამ ადგილას ძველად ფრინველს იჭერდნენ ბადით და ერთგვარი მოსასვენებელი (ძირს ჩამოსაჯდომი) ადგილიც იყო. ფრინველთ საჭერი ადგილები ბევრია საქართველოში, ასე მაგ., შდრ. სასირე ყელი (მახინჯაურში). მკვლევარი აზიზ ახვლედიანი ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში „შევარდენი სასირეყელზე“ წერდა:

„ნაწვიმარი იყო, აგვისტოს ბოლო, „ცა მოწმენდილიაო“ – ვერ იტყოდი, მაგრამ მზე ანათებდა მაინც მახინჯაურსა და მის შემოგარენს. პარმაღზე შემდგარი ალხამუში ორმოცდაათ ნაბიჯზე დაშორებულ ჯიხურს უყურებდა, წაბლის მსხვილი მორებისაგან ნაშენი, ნაჯახით ნათალი რომ იყო და სახურავის შეკეთება უნდოდა. კარგად იცოდა, შესაცვლელი იყო ყავრის სახურავი, მაგრამ ბორჩხიდან კრამიტს ელოდა, მენავეებს მოლაპარაკებოდა და ჭოროხის შესართავიდან ურმებით ამოზიდავდა. ეზოში შეკაზმული ცხენი იდგა. ტორებს სცემდა და პატრონისაკენ აიქნევდა დროდადრო თავს... ფიქრობდა ალხამუში, თან ეჩქარებოდა, სასირეყელზე უნდა ასულიყო, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, მეფეს უნდა დახვედროდა, რომელიც გუშინ ქობულეთს მოსულიყო და ახლა აქეთ აპირებდა შემოვლას... არ იყო ეს მეფის საომარი მოგზაურობა. მხლებლები დაბლა, სამძიმეთასთან ელოდებოდნენ ალხამუშს. სასირეყელზე ხდებოდა ხოლმე მეფესთან შეხვედრა. ასე იყო რატომღაც შემოღებული. სამძიმეთასთან, ოციოდე კაცს მოეყარა თავი. საერთო სალამი მისცა დამხვდურთ ალხამუშმა და ნელი სვლით შეუდგა სასირეყელის აღმართს. მოკითხვის შემდეგ განაპირდნენ და წიფლის ქვეშ ძელსკამზე ჩამოსხდნენ დამხვდურები. ამასობაში ბიჭმაც მოირბინა: უკვე გამოჩნდნენო, იქით მიიშვირა ხელი, ჩაქვისკენ, და სულ მალე სამეფო ამალაც გამოჩნდა ზევით მომავალი. დამხვდურნი მიდგენ-მოდგენ, ყველამ თავისი ადგილი დაიჭირა, წოდების და მდგომარეობის მიხედვით ძელსკამიდან

დინჯად წამოდგა ალხამუში. არ წასულა ქვევით შესაგებებლად. ასე იყო მიღებული, წესად დათქმული, იქ, ზედ სასირეყელზე, უნდა დახვედროდნენ საპატიო სტუმარს. იმერელ თავადებთან და როსტომ გურიელთან ერთად მოუძღოდა იმერეთის მეფე ბაგრატი ამალას. ახალგაზრდა თავდგირიძე გამოირჩეოდა მათში, წუხანდელი მასპინძელი. ასიოდე ნაბიჯიღა დარჩა მეფის ამალას და დამხვედურთ შორის. ალხამუშმა ახლა შენიშნა, რომ გამოკაფულ გადმოსასვლელზე, ხეებს შორის გაბმული ჩიტბადე დარჩენოდათ მონადირეებს, მის ქვეშ უნდა გაევლოთ მეფესა და ამალას. ალხამუშმა თვალით ანიშნა ბედეზე და ძებნა დაუწყო ბაგრატასშვილს, თუმცა ეჭვობდა, რომ იგი მის ჩამოხსნას მოასწრებდა. თითქმის ამოვაკებულმა მეფემ თვალი შეავლო ბადეს. სალამი მისცა დამხვდურთ და ცხენიდან ჩამომხტარმა ის იკითხა პირველად, ჩიტი თუ ებმებაო ბადეში? კი, მორიდებით უპასუხა ალხამუშმა, მწყერი აქ იშვიათად გაებმება, გვრიტი, ინაგა, მტრედი და ტყისქათამი ხშირად იცისო, დასძინა. მეფე წინ წამოვიდა, დანარჩენნი უკან გაჰყვნენ. დააცქერდა ზღვაში კონცხად შეჭრილ ბათუმს. ერთხანს გაირინდა, მერე მობრუნდა და შეევისვენოთო, ნელა ჩაილაპარაკა. დარჩეული ხილით სავსე ხონჩა მიართვეს ყმაწვილმა ბიჭებმა მეფეს და ჯამში დაცვარული დოქიდან ლალისფერმა ჩხავერმა იწყო დენა. ჯამი აიღო მეფემ, ამერ-იმერის ერი დალოცა, დამხვდურთ ერთხელ კიდევ დაუქნია თავი მადლიერების ნიშნად და ცივი ჩხავერი მოსვა. წინ წამოიწია და სამხრეთისაკენ ცას მიაბჯინა თვალი. ოჰო, რა შევარდენია, თქვა მან და ყველამ დაინახა, როგორ ნელა აკეთებდა ირაოს ეპისკოპოსის გულზე გადმოკიდებული ჯვრისოდენა, მაღლა ცას მიკერებული შევარდენი. – გეახლებათო, ნელა წამოიძახა ალხამუშმა. ნადირობას გადაყოლილმა იმერელმა თავადებმა დამცინავად იღიმილეს, გურიელმა წარბი აზიდა გაურკვევლად, სხვებსაც ეჭვი შეეპარათ ნათქვამში. მხოლოდ ალხამუში იდგა გულდაჯერებული. მან კარგად იცოდა, რომ ომბალურზე, ჯვარზე, ოღიაზე და სხვაგან გაწაფული ბიჭები ისხდნენ სპეციალურ ქოხებში მიმინოს ბადეთი და ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდნენ. ცოტაც და, შევარდენი მოწყვეტით დაეშვა მახლობელი მთისაკენ. ოციოდე წუთში მეფე უკვე თავზე უსვამდა ხელს ფრთებშეკრულ, ყვითლად მოელვარე თვალებით ცეცხლისმფრქვევ შევარდენს და კმაყოფილებით იყურებოდა ალხამუშისაკენ. საახვლედიანოდან ერთი რემა რომ მოგერთმია, ასე ვერ დაგიფასებდი, ალხამუშ, როგორც ამას, ამ შევარდენს, – და იგი მოახლოებულ ბაზიერს გადასცა... მეფის ამალა ბათუმისაკენ დაეშვა, დამხვდურნიც მათ მიჰყვნენ, ცოტა ხანში ყოროლისწყალთან აბაშიძე და ქიქავა შეუერთდებოდათ მათ... მეფის მასპინძლობაც იქ, ბათუმში, აბაშიძეებთან იყო განზრახული *[ახვლედიანი, 1991: 2].*

როგორც აღვნიშნეთ, ეს გახლდათ ამონარიდი აზ. ახვლედიანის საგაზეთო წერილიდან სასირე ყელზე, სადაც დღემდე ფრინველთ საჭერი ადგილია და გამოცდილი ბაზიერები ნადირობენ იქ ფრინველებზე.

"სასირე – ნ. ბადე" – მითითებულია სულხან-საბასთან, ხოლო ბადე განმარტებულია შემდეგნაირად:

"**ბადე** – სახელი არს ყოველთა მკედთა თვალედად ნასკულთა. ბადედ ითქმის ქსელი დედაზრდილისა; ბადედ იწოდებიან მანქანებანი ეშმაკთანი წარწყმედელნი მოღვაწეთანი; იქმან ბადეთა აბრეშუმთაგან, კარავთა ოქრომოპეტალებულთა, ქალთა სამშობიეროდ. იქმან ქალნიცა ყოელთა უწმიდესთა თავსაბურავად ანუ ყელის მოსახვევად, ჭრელად ნემსულსა, რომელსა მაქმანი ეწოდება. ბადე არს თევზთა შესაპყრობელი (4, 20 მათე). სათხეველი, ხოლიხი, ღრიპონი, ჩიჩქინური, მასე, ზელმა, ხელბადე და ეგევითარნი; ბადე არს შესაპყრობელი ფრინველთა: აშრიალი და ოჯიჯი, სასირე და ჩიტბადე, ტრედბადე; მრავალრიგნი არიან" ***[ორბელიანი, 1991: 88-90].***

აშრიალი – საქორე ბადე, ქორის ბადე.

ოჯიჯი. პ. ჭარაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში დაფიქსირებულია განმარტების გარეშე: ოჯიჯი – განუმარტავია ***[ჭარაია, 1991: 111].*** ოჯიჯი განმარტებულია სულხან-საბასთან: ოჯიჯი – ბადე მეგრულად, მრგვალი ბადეა ქორთ (ქორის) დასაცემელი ***[ორბელიანი, I, 1991: 612].*** „ოჯიჯი" სიტყვათწარმოებით და აგებულებით მართლაც მეგრული ჩანს. ო-ჯიჯ-ი, შდრ. „ჯიჯ" = ქართული „ძირ"-ის, მისი კანონზომიერი შესატყვისია. ე.ი. ძირს დასაგები, „საძირე" ბადე ***[დანელია, 1991: 621].*** შესაძლებელია, „ნ" ფუძეში შემდეგ განვითარებული იყოს: ო-ჯი[ნ]ჯ-ი. „ჯინჯ" – ძირია პ. ჭარაიასთან მეგრულ-ქართულ ლექსიკონში ***[ჭარაია, 1991: 184].*** დავუბრუნდეთ ზემოთ მოყვანილ შედარებას სასირე ყელთან, რაც სულხან-საბასთან შედარებულია „ბადე"-სთან. ბადე მიჩნეულია, როგორც ერთგვარი საჭერი რამ, შესაპყრობელი (შდრ. „ოჭოფო" – სახნავ-სათესი ადგილი, სოფ. წაბლანაში, „ობოდირ" – იგივე საბადური – ბადის მოსადგამი ადგილი, ბადის ადგილი ***[ორბელიანი, 1993: 19].*** რაც შეეხება ტოპონიმ „ოჯინჯი"-ს ეტიოლოგიას, ალბათ ეს იყო ადგილი, სადაც ფრინველს ბადით იჭერდნენ, ფრინველთ საჭერი ადგილი იყო და ამიტომაც ეწოდა ეს სახელწოდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1991: – ახვლედიანი ა., „შევარდენი სასირეყელზე", გაზ. „საბჭოთა აჭარა", ბათუმი, 1991.

ახვლედიანი, 2001: – ახვლედიანი ნ., ზანიზმები აჭარის ტოპონიმიაში, ბათუმი.

ახვლედიანი, 1944: – ახვლედიანი (კირისილოღლი) ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), ბათუმი.

კვასხვაძე, 1964: – კვასხვაძე კ., მახინჯაურისა და მისი მიდამოების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, ბათუმი, გვ. 251-268.
ორბელიანი, 1991: – ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, წ. I, თბილისი.
ორბელიანი, 1993: – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. II, თბილისი.
ჭარაია, 1997: – ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

Наргиз Ахледиани (Батуми, Грузия)

К толкованию некоторых географических имён в Махинджаури

Резюме

На территории Аджарии названия многих объектов связаны с фамилиями русских чиновников. Это, например: Сибиряков, Попов, Губанов, Смирнов, Литвинов и другие. Однако пока ещё возможно восстановление ранних грузинских топонимов, существующих на месте русскоязычных наименований. На этот раз в работе речь идёт о древнейшем географическом наименовании одного топонима. Это топоним «Губанов», старым названием которого является «Оджинджия».

გია გელაშვილი
(თბილისი, საქართველო)

ჰერმან კოელერი ბათუმის ოლქის შესახებ (1842 წ.) [1]

I

ბათუმი მდებარეობს ტრაპიზონიდან დაახლოებით 95 ინგლისურ მილზე ჩრდილო-აღმოსავლეთით და იმავე სახელწოდების ყურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაპირზე, რომლის სიგანე 3 ინგლისური მილია. ყურე ქმნის უსაფრთხო და ვრცელ ნავსადგურს, რომელშიც სულ ცოტა 80 გემს შეუძლია ღუზის ჩაშვება. ყურეში შესვლისას დიდი ხომალდები ძალიან არ უნდა მიუახლოვდნენ მის აღმოსავლეთ ნაპირს, რადგან აქ თავთხელია და ჩრდ.-დასავლეთის ქარის დროს ზღვა მაღლა აგდებს (ახეთქებს) მათ. სამაგიეროდ შეუძლიათ უხიფათოდ მიადგნენ დასავლეთის დაბალ ნაპირს, სადაც წყალი ყველგან ისე ღრმაა, რომ ნაპირიდან 70-80 ფუტის დაშორებით, სადაც ჩვეულებრივ დგებიან გემები, 15-17 საჟენი (=6 ფუტს) სიღრმისაა. ნაპირიდან 120-150 ფუტზე კი, სიღრმე უკვე 25-30 საჟენია.

მცირე სიგანის ვაკე ზოლის უკან, სამხრეთით და აღმოსავლეთით აღიმართებიან მაღალი და ტყით დაფარული მთები. დასავლეთით, თუმცა დაბალი, მაგრამ ხშირი ბუჩქნარით დაფარული გორაკები იცავენ ნაპირს. ამდენად, მხოლოდ საკმაოდ ძლიერი ჩრდილო-დასავლეთის ქარები მეტ-ნაკლებად აღელვებენ წყალს; ამასთან არ იწვევენ სახიფათო ადიდებას, რადგან, ნაპირის მიმართულების შემდგომ გაგრძელებაზე წყლის ზედაპირს აღარ უბერავენ. ასევე *კალაშ*-ად წოდებული ქარები, რომლებიც ნაპირიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან წლის ყოველ დროს ხშირად უეცრად ამოვარდებიან და ძალზე ძლიერად ქრიან, გემებს არ ვნებენ, რადგან ესენი წყლის დიდი სიღრმის გამო ნაპირთან ისე ახლოს დგანან, რომ ქარები მთელი ძალით მათ ვერ ეხეთქებიან. ამდენად ბათუმის ნავსადგური წყლის სიღრმითა და უსაფრთხოებით ერთ-ერთი საუკეთესოა შავი ზღვის აზიურ სანაპიროზე და, კერძოდ, *სინოპის* შემდეგ პირველია. ის, როგორც

---

[1] სრული სათაურია: Hrr n. Dc. Herm. Koeler's geographisch-statistische Notizen über die Districte von Batum und Tschoruksu, nebst Bemerkungen über die Küste im östlichen Theile des Paschaliks von Trepisond. Mitgetheilt von Herren C.Ritter (ბ-ნ დოქტორ ჰერმ. კოელერის გეოგრაფიულ-სტატისტიკური ჩანაწერები ბათუმისა და ჩორუკსუს ოლქების შესახებ, რასაც ერთვის შენიშვნები ტრაპიზონის საფაშოს აღმოსავლეთ ნაწილში არსებული სანაპიროს თაობაზე. ეს მოგვაწოდა ბ-ნმა რიტერმა).

ეს ცნობები დაცულია კრებულში – Monatsberichte über die Verhandlungen der Gesellschaft für Erdkunde zu Berlin. Neue Folge: Zweiter Band. Berlin, 1845 (ყოველთვიური უწყებები ბერლინის გეოგრაფიული საზოგადოების მიმოხილვათა შესახებ. ბერლინი,1845)

კოელერმა აღნიშნული მხარეები მოინახულა 1842 წელს – გ.გ.

სავაჭრო პუნქტი, ასევე არაა უმნიშვნელო და მასში შედიან გემები თურქული, ბერძნული, რუსული და იტალიური ბაირაღებით, რომლებიც ღუზას მუდამ უშვებენ ბაზრის, ინგლისის საკონსულოს შენობისა და *ბეი*ს საცხოვრებლის საპირისპიროდ. ყურეში წყალი მეტწილად მშვიდია და გაჩერებული, ხშირად კი ზედაპირი სარკისებური.

ბათუმის ჩრდილოეთის ნაწილი, რომელიც მოიცავს ბაზარსა და რამდენიმე დაბალ სახლს, აგებულია უშუალოდ რიყის ქვებიან სანაპიროზე; ეს კი ყურეს ჩრდილო-დასავლეთის შესასვლელთან დაახლოებით 150 ნაბიჯის სიგანისაა. რიყის ქვები ამოტანილია ზღვის მიერ და წყლის ნაპირის პარალელურად რიგებად ქმნიან ნაყარის კვალს. ამის იქით გვხვდება ქვებს შორის აქა-იქ ამოსული მწირი მცენარეული, ხოლო შემდეგ ისეთი ხშირი და გადაბმული ეკლიანი ბუჩქნარია, რომ მათში მხოლოდ გაკაფული გზით შეიძლება გადაკვეთოთ *კახაბერიდან ჭოროხამდე* მიმავალი ვაკე.

ყურეს სამხრეთ ბოლოში ცოტა ზემოთ, მისგან 4-5 ფუტზე, ვიწრო ქვიან ნაპირზე, რომელიც მოფენილია ნიჟარებითა და ზღვის მცენარეულით, არის მძიმე, ჭაობიანი ნიადაგი, რომელზეც ძევს ბათუმის სამხრეთი ნაწილი და რომლის ყველაზე დაბალი ადგილები გამოყენებულია ბრინჯის მოსაყვანად. ბრინჯის ჭაობების ზედმეტი წყალი იწრიტება (იჟონება) ნიადაგიდან სანაპიროსკენ; ხოლო აქა-იქ უერთდებიან აგრეთვე პატარა ნაკადულებს. ამ ჭაობებს იქით გარკვეულ მანძილზე აღიმართებიან ტყიანი მთები.

ბათუმის ვაჭრობას მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის ადგილობრივთა ქიშპი; განსაკუთრებით მტრობა ბათუმელებისა *ჩაქვთან*. ესაა ბათუმიდან ჩორუკსუსკენ მიმავალ გზაზე, დაახლოებით 10 ინგლისური მილით მისგან დაშორებული პუნქტი. მტრობის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩაქვის მაცხოვრებლებმა არ მოისურვეს დამორჩილებოდნენ *ბათუმის აღას*. მცირე იალქნიანი გემები, რომლებიც დაცურავდნენ ბათუმსა და ჩორუკსუს შორის, ჩაქველებს ხელთ რომ არ ჩაეგდოთ, თავის ჩვეულებრივ პირდაპირ კურსს გვერდს უვლიდნენ. მიუხედავად ახლოს მდებარე ტყეებისა, გემებს არ აგებენ, ასევე ღია პატარა ბოტებს, რომლებიც მთელ თურქულ-აზიურ სანაპიროზე იხმარება. ამათგან მხოლოდ ცოტა ეკუთვნიან ბათუმელებს. ნაპირზე ყრია ზოგი უხეშად დამუშავებული კანოე და ნახმარი სამდინარო ნავები *ჩორუკიდან*. ამათ გარდა, ერთანძიანი ღია, დიდი თუ პატარა სანაპირო ბოტები, რომლებიც შემდგარია მერწევზე (ძელებზე საგორებლად?- გ.გ.) და დაშვებულ ქანდარაზე დაკიდული აქვთ აფრა, რაც ეკიპაჟს ღამით იცავს წვიმისა და ქარისგან. ამათ შორის აქა-იქ ნაპირზე ანთია ცეცხლი, რომელზეც ჯოხებისგან შეკრულ სამფეხაზე დაკიდული ქვაბით ხარშავენ თევზს ან ბრინჯს. სანაპიროს ზოგი პუნქტიდან, როგორიცაა *სურმენე* და

რიზე, ზამთარში ბათუმში მრავლად მოდიან ბოტები სათევზაოდ. ისინი ყურეს პირთან დაჭერილი ზღვის გოჭებიდან იღებენ დიდძალ ქონს. ასევე იჭერენ თართს პირადი მოხმარებისთვის და საექსპორტოდ დასამარილებლად. საკმაო რაოდენობით იჭერენ ქაშაყს, კამბალას, ანჩოუსს (=სარდალა თევზი) და ბევრ სხვას, მაგრამ გამოიყენებენ ნედლ მდგომარეობაში. სატრანზიტო ვაჭრობა (საქმე) ძალზე შეზღუდულია. თუმცა 1841 წელს საცდელად ორი სპარსელი მოვიდა ტრაპიზონიდან ბევრი ფუთა საფეიქრო ნაწარმით (ქსოვილებით). შემდეგ აყვნენ ჭოროხს ართვინისკენ და იქიდან სურდათ თავისი საქონელი მაზიდით წაეღოთ თავრიზში. ტრაპიზონიდან ცხენებით ტრანსპორტირების სიძვირემ აიძულა ისინი ამ გზას დადგომოდნენ, რაც მათი აზრით უფრო იაფი იქნებოდა. ტრაპიზონის ფაშამ **ოსმანმა** დაიწყო ტრაპიზონიდან ბათუმამდე გზის გაყვანა (დაუდო სათავე გზას), რომელიც გაზრდიდა ვაჭრობას მთელი სანაპიროს გასწვრივ და ნავებთან დაკავშირებული გაუბედაობა და რისკი განზე დარჩებოდა.

ბაზარი მდებარეობს ყურეს დასავლეთი მხარის სამხრეთ ბოლოში, დაბალ ნაპირზე და ქმნის ერთადერთ ქუჩას, რომელიც მიუყვება წყლისპირს პარალელურად ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. მისი სახლების ორი რიგი შედგება კრამიტით გადახურული, ხის, დაახლოებით 130 პატარა დუქნისგან. ისინი შემდგარია ერთმანეთზე დაწყობილ დიდ ქვებზე, ისე, რომ მათი იატაკი მიწიდან 2 ფუტის სიმაღლეზეა. უკანა მხარეს, ქუჩის გარეთ მათ აღმართული აქვთ დატეხილი ქვის საკვამლე მილი. აქა-იქ ქუჩის გარდიგარდმო, სახურავებისგან გამოშვერილი საფარი, რომელთა ერთი რიგი, ფოთლებით, ფიჩხით ან ფიცრით დაფარული, საყრდენზე ძევს და იცავენ მზისა და წვიმისგან; მართალია, მცირე ადგილს იკავებენ, მაგრამ ძალზე აბნელებენ.

ამ დუქნების მეპატრონეები მეტწილად არიან ტრაპიზონის, რიზეს, ლაზისტანისა და აჭარის ოლქების მაცხოვრებლები, რომლებიც ზამთრობით აქ რჩებიან და ამ ფარდულებთან პატარა ოთახებში (სათავსებში) ცხოვრობენ. თუმცა ამჟამად, გაბატონებული საფრთხისა და არახელსაყრელი სავაჭრო პირობების გამო, ფარდულთა უმეტესობა ცარიელია და საერთოდაც ბათუმის მოსახლეობა შემცირებული.

ბაზრის შუიდან აღმოსავლეთისკენ, ნაპირის მიმართულებით მიდის სახლების მოკლე რიგი, რომელთა შორის არის ერთი თუ ორი სამჭედლო ფარდული, ხოლო მის ჩრდილოეთით დგანან – ერთი ყავახანა, *ინგლისის საკონსულოს აგენტის* საცხოვრებელი (ეს არის აქ ზამთარში ერთადერთი მცხოვრები ფრანკონელი) და *ბეის* სახლი. ბაზრის დასავლეთით დგას ხის მეჩეთი, ასევე ხის დაბალი მინარეთით; მის ახლოს კი

სამხრეთით – საცოდავი (უბადრუკი) აბანოს შენობა[2], რომლის ერთადერთ სააბაზანოს და საორთქლავ ოთახს კვირის სახვადასხვა დღეებში იყენებენ ქალები და კაცები. ამას გარდა, ყურეს სამხრეთ ბოლოში, შედარებით ამაღლებულ ტერიტორიაზე, უშუალოდ ბრინჯის ჭაობებთან (საფლობთან) კიდევ არის 40-50 სახლი, რომლებსაც აკრავთ მშრალი მესერით შემოღობილი ბაღები. ბაზარში არის საფუნთუშე, სადაც ყიდიან აზიური თურქეთის ჩვეულებრივ წყალნარევ მჭლე პურს (ეს არაა *ლაზუტად* წოდებული სიმინდის პური). ბაზარს აქვს აგრეთვე მცირე მარაგი ჩვეულებრივი იმპორტული საქონლისა, როგორიცაა რუსული რკინა, გერმანული ფოლადი, კალა, ნიშადური, იმგლისური ბამბის ქსოვილები, განსაკუთრებით მიტკალი; აგრეთვე კოლონიალური (საბაყლო) საქონელი – ძირითადად ყავა, შაქარი და წიწაკა. ამას გარდა აქვთ მცირე რაოდენობით ყირიმული მატყლი (შალი), მარილი, თურქული ქსოვილები და ბათუმის, აჭარისა და ლივანეს ოლქების (მხარეთა) პროდუქტები – სახელდობრ, სიმინდი, ბრინჯი, თაფლი, სანთელი (ცვილი), კარაქი. *ექსპორტი* ბათუმიდან (და იმავდროულად აჭარიდან, რაც თავისი პროდუქციიდან აქ მოაქვთ გასაყიდად) შეიძლება შეფასდეს 4000 ფუნტ სტერლინგად. გარდა საშენი ხე-ტყის მასალისა და კაკლის ხისა, რომელთა დიდი რაოდენობა გააქვთ გემებით, პროდუქციის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი (უზრუნველყოფა) კარგ პერიოდებში შემდეგია:

სიმინდზე	25000 კგ	8 თურქული პიასტრი	= 200000 პიასტრი
ბრინჯზე	30000 ოყა (oka)	1 "—"	= 30000 "—"
სანთელზე (ცვილი)	3000 "–"	12 "—"	= 36000 "—"
თაფლზე	10000 "–"	3 "—"	= 30000 "—"
თევზის ქონზე	12000 "–"	2.5 "—"	= 30000 "—"
ბზა[3]	10000 კინტო[4]	8 "—"	= 80000 "—"

[2] თურქული აბანოები დიდ ქალაქებში ელეგანტურადაა ნაგები. დაღლილობის შემდეგ სთავაზობენ შესანიშნავ გამაგრილებელ საშუალებებს; მაგრამ მაღალი ფენების კაცებსა და ქალებში [აბანოს] ხშირი მოხმარება იწვევს კანის სისუსტეს, გაუფერულებას, შეშუპებას და ა.შ.. სხვა მხრივ თურქი ფიქრობს, რომ ამას მხოლოდ წყალი იწვევს და ბანაობის შემდეგ ისევ იცვამს ჭუჭყისგან გაწებოვნებულ პერანგს.

[3] კინტო ბზა ტრაპიზონში ღირს 10-20 პიასტრი, რედუტ-კალეში – კინტო 7 პიასტრი, კონსტანტინოპოლში კი – 20 პიასტრზე მეტი.

[4] ერთი კინტო = 44 ოყას (okas)

ბზა აქ შედარებით ძვირია, რადგან ის ჩამოაქვთ ძნელად მისადგომი მთებიდან. ცერცვი (ლობიო), რომელიც ბათუმის მეზობლად მოჰყავთ, საექსპორტოდ არაა საკმარისი. ვაჭრობის დრო იფარგლება მეტწილად ზამთრის თვეებით, რადგან ბათუმი თავისი არაჯანსაღი ჰავის გამო ზაფხულში მთლიანად ცარიელდება; სახელდობრ, ივნისის დასაწყისიდან სექტემბრის ბოლომდე არა მარტო ბაზრის მოვაჭრენი და ხელოსნები ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში, არამედ თვით ბათუმელებიც ადიან მთებში. მხოლოდ ერთეულები რჩებიან, რათა უდარაჯონ ჩაკეტილ ბინებს, ან მოხიბლულები დიდი მოგებით, რასაც მათ აძლევთ შიდა რაიონებში მარილის გაყიდვა. ამ პერიოდში გაცლილ სახლებში ურიცხვი რაოდენობით ბუდობდნენ მერცხლები, ხოლო უთვალავი კოღოები დაბზუიან ჭაობებზე, რომელთა ნესტიანი ანაორთქლი ვიცე-კონსულისა და ბეის ავეჯით გაწყობილ ბინებსაც კი აზიანებენ. სავაჭრო საქონელს შორის უნდა იქნეს მოხსენებული ცხენები, რომლებიც აქ დაუბორკავად თავისუფლად ძოვენ და ამიტომ ხშირად იკარგებიან – მათში სთავაზობენ ძალზე დაბალ ფასებს (ჩვეულებრივ 1–2 სტერლინგს; ზოგიერთი კი სპეკულაციურად მიჰყავთ ტრაპიზონში. თხებს ყიდიან 25 პრუსიულ Sgr(?)-დ თითოს; ქათამს 3 პიასტრად. გასაყიდად ასევე მოაქვთ შებოლილი, მუცელზე შუაზე გაკვეთილი და გაბრტყელებული ქათმები.

ინგლისის საკონსულოს აგენტის სახლიდან თუ გავიხედავთ კომპასის მიხედვით ჩრდ.-აღმოსავლეთ–აღმოსავლეთით, ყურეს აღმოსავლეთის შესასვლელთან ჩანს მაღალი და ტყით დაფარული *მახინჯაურის* კონცხი; ჩრდ.-აღმოსავლეთ–ჩრდილოეთით კი შორი და ასევე ტყიანი და მთიანი კონცხი; აღმოსავლეთით და სამხრეთით – ყველაზე მაღალი და ტყიანი მთა მეზობელ მთებს შორის; სამხრეთ- სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით – ორი, თოვლით დაფარული (ივნისის დასაწყისში) შორეული მთა; აღმოსავლეთ–ჩრდ.-აღმოსავლეთითაა იზოლირებული ბორცვი ზედ ყურეს აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომლის წვერზეც დგას ქვის ნაგებობა.

მინერალური წყალი. თუ წახვალ ბათუმიდან სანაპიროს გაყოლებით და შემოუვლი ყურეს სამხრეთ კიდეს, გაივლი ბრინჯის ჭაობებს და მიხვალ მდინარესთან, რომლიდანაც ბათუმელები სასმელ წყალს იღებენ; ჩაუვლი ქოხებს და მიადგები სიმინდის ყანებს და პატარა სალეწ (საძეგველ) ქოხებს. შემდეგ გაივლი მაღალი გვიმრით დაფარულ არეს და მიხვალ პატარა მდინარესთან, რომელზეც ხის ისეთი დანჯღრეული ხიდია, რომ ფეხშეწყობით უნდა გადაიარო. მალე ამის შემდეგ კვლავ პატარა ნაკადულზე გადებულ ხიდს მიადგები, როგორსაც აქ ჩვეულებრივ ხვდები. სახელდობრ, ხის ტანი ერთი ბოლოთი ძევს მაღალ ნაპირზე, ხოლო დაბალზე ეყრდნობა ძელს, რომელზეც ამოკვეთილი საფეხურების მაგვარი გეხმარება ასვლა-

ჩამოსვლისას. ცხადია, ასეთი ხიდის გამოყენება მხოლოდ ფეხით მოსიარულეს შეუძლია; თუმცა წყალდიდობისას ნაკადულის დიდი სისწრაფის გამო მხოლოდ შუამდე შედიან. ეს ნაკადული მიედინება კონუსის ფორმის გორაკის ძირში, რომელიც მთლად განმარტოებით აღიმართება მდელოზე, ხოლო მის წვერზე დგას ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეული ქვის შენობა, რომელიც ადრე წარმოადგენდა *ლაზისტანის მუსელიმის* რეზიდენციას; ეს კი ახლა ცხოვრობს **ხოფაში (Koppo).** ცოტა უფრო შორს ტყიანი მთები თითქმის ზღვამდე ჩამოდიან. ციცაბო აღმართს მივყავართ ტყეში ჩამალულ პატარა სოფლამდე. ტყეში ასვლის მაგივრად თუკი გაუყვები ნაპირს, გაივლი მინდვრებს და მიხვალ მცირე ხეობის შესასვლელთან, სადაც მდელოებიდან ჩამოედინება ნაკადული. ამ ნაკადულის აყოლებით, ბუჩქნარსა და ტყეში სიარულით, ბათუმიდან 1 1/2 საათში მიადგები მინერალურ წყაროს, რომლის სიახლოვესაც უკვე შორიდან გვამცნობენ ამ წყლის (აბანოს) სტუმართა მიმსვლელ-წამსვლელი ჯგუფები: ცხენზე მჯდომი, თუ ფეხით მოსიარულე შეფუთნული ქალები შეიარაღებული მამაკაცების თანხლებით. მაღალი ხეების ჩრდილში, ტყის ღრმა სიწყნარეში დგას ქოხი, რომელშიც ღარით შეყვანილია რამდენიმე ნაბიჯით ზევით გამომავალი წყალი. ველური შესახედაობის შეიარაღებული მამაკაცები ჯგუფებად ისხდნენ, ხოლო მოშორებით, მამაკაცებისგან ზურგშექცევით, რიგებად ჩამწკრივებული შეფუთული ქალები. იქვე ახლოს, მოჩხრიალე ნაკადულის გასწვრივ ბალახობდნენ ცხენები. კაცები და ქალები, როცა რიგი მოუწევთ, ჩადიან ამ ქოხის კუთხეში არსებულ ბნელ გადატიხრულში და მთლად ბნელ სრიალა ორმოში ჯდებიან შეთავაზებულ სველ ხის ნაჭერზე და ღარიდან მომავალ სუსტ ნაკადს ტანს უშვერენ. დიდი გაჭირვებით დავიყოლიე კაცები, რომ, სანამ არავინ ბანაობდა, უცბად შევსულიყავი საბანაო ქოხში. სიბნელისა და მოლიპულობის მიუხედავად, შევძელი უხიფათოდ ჩავსულიყავი და ამოვმძვრალიყავი. წყალი გოგირდოვანია, რაც სხვა დროს ალბათ სუნით იგრძნობა; ახლა კი ისე მცირედ იყო, რომ გაჭირვებაში შეეძლოთ მისი დალევა. წყარო, რომელიც ამჟამად (ივნისში) ძლივს მოედინებოდა, სხვა დროს გაცილებით ძლიერია. მისი ტემპერატურა იყო 16 გრადუსი რეომიურით. კანის ზოგიერთი დაავადებისას ალბათ შეიძლება მისით სარგებლობა.

II

შავი ზღვის ყველაზე განაპირა სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, სადაც ქართლისა და სომხეთის ქედების განშტოებები ერთმანეთს ებჯინებიან, მდებარეობენ *ბათუმისა* და *ჩორუკსუს* მხარეები (ოლქები). პირველი ეკუთვნის *ტრაპიზონის* საფაშოს,

მეორე – *ყარსისას*...[5] მათ ჩრდილოეთის საზღვარს ქმნის შავი ზღვა. ბათუმი აღმოსავლეთით ებჯინება ჩორუკსუს, ხოლო ეს უკანასკნელი მკაცრი სამხედრო კორდონით გამოეყოფა საქართველოს. სამხრეთით, ზღვიდან რამდენიმე საათის სავალზე ესაზღვრებიან ყარსისა და არზრუმის საფაშოების კუთვნილ *ლიზანეს* და *აჭარის* პროვინციებს; დასავლეთით კი – სწრაფ *ჭოროხს*. ორივე ოლქს აქვთ მსგავსი ბუნებრივი მახასიათებლები და კლიმატური თავისებურებები; როგორც ნიადაგი და ამინდი, ასევე მცენარეულიც ორივეგან ერთნაირია. ასევე არსებობს სრული შესაბამისობა მოსახლეობის პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებში, რომლებიც ეკუთვნის **ლაზების** მკაცრ მოდგმას... *კახაბერის ვაკე* ვრცელდება ბათუმიდან ჭოროხისკენ... ადიდებული ნაკადულების და ხშირი წვიმების წყლების დაწრეტის გაძნელების გამო, სანაპირო ზოლში ხდება დაგუბება და დაჭაობება, რამაც კახაბერის დაბლობზე ზოგ ადგილებში ნამდვილი ტბორები გააჩინა; თუმცა მცენარეულისთვის ხელსაყრელია, განსაკუთრებით ბრინჯის კულტურისთვის. მეორე მხრივ ზაფხულობით ეს ნაყოფიერი დაბლობები ხდება საშიში ციების კერა, რის გამოც სიცხეების დადგომისთანავე ბათუმში იწყება მოსახლეობის გასვლა და მისი დაცარიელება....

ბათუმის ოლქს უკავია სანაპირო ზოლი 25-27 ინგლისური მილის სიგრძეზე, ხოლო უდიდესი სიგანე დაახლოებით 15-18 ინგლისური მილია. ის მოიცავს 300-400 სახლს და უხდის გუბერნიას[6] წლიურად 30-40 ქისას (=150-200 ფუნტ სტერლინგს). **აჭა** იღებს მოსავლის ერთ მეათედს და, ამას გარდა, დაკანონებულ გადასახადს ოლქში დროებით ჩასახლებული ქურთების ოჯახების წევრებისგან....ზამთრობით კახაბერის ვაკის თითქმის შუაში ქურთების გარკვეული რაოდენობის ოჯახების, დაახლოებით 70 ძელური ქოხისგან შემდგარი სოფელი ცხოვრობს, რომლებიც აქ თავის ნახირს აბალახებენ, ხოლო ზაფხულში მთებში მიერეკებიან საძოვრად. ამის ნებართვის სანაცვლოდ ყოველ პარასკევს, როცა მათ ბაზარში კარაქი და ყველი ჩამოაქვთ, თითოეულმა მათგანმა *ბათუმის ბეგს* გადასახადის სახით უნდა დაუტოვოს 1/2 ოყა კარაქი. მათი ყოფნა უზრდის საფრთხეს სხვის სიცოცხლესა და ქონებას, რადგან ამათი

---

[5] ეს ცნობები დაცულია იგივე სახელწოდების კრებულში (იხ. ზემოთ, გვ. 1, სქოლიო), მხოლოდ მეოთხე წელიწდეულისაა –მაისი, 1842-43 და გამოცემულია ბერლინში 1843 წელს.

[6] გადასახადების აკრეფისას გუბერნია (მთავრობა) მოითხოვს ამდენს ფაშასგან; ეს ამ თანხას უნაწილებს საფაშოს ოლქებს. ამავე დროს, თითქოს საკუთარი ჯიბისთვის განსაზღვრავდეს, თითოეულისგან გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე საჭიროა, რათა მთავრობა დააკმაყოფილოს. *მუსელიმი* ასევე მოიაზრებს წილს, რასაც თავის *აღაებსა* და *ბეგებს* მოსთხოვს. ასე მდიდრდება თითოეული ხალხის ხარჯზე, ვისაც შეუძლია ხელის ფათური.

ყაჩაღური ბუნება სხვის ხარჯზე გამდიდრებას ითხოვს... მათი რიცხვი ადრე 60 ოჯახზე მეტი იყო, მაგრამ *ბათუმის ბეგმა* ისინი შეავიწროვა და 30-მდე შემცირდა, ხოლო დანარჩენები მეტწილად დასავლეთის ოლქებში გაბრუნდნენ.

...[ჭოროხი ართვინიდან სანაოსნოა]. მასზე დაცურავენ 4 ფუტი სიგანის და 20 ფუტი სიგრძის ნავები. ამ ნავის ნიჩბებს უსვამს ორი ან სამი კაცი, რომლებიც ნავის წინა ნაწილში სხედან, ხოლო ერთი, ბოლოში მდგომი, ხოფით მართავს მიმართულებას. აღმართში ცურვისას ძლიერი დინება შეუძლებელს ხდის მართვას და მენავეები ნავს ნაპირისკენ მიათრევენ; იქ სადაც ნავი კლდეებს შორის გაივლის, მათ ეხეთქება. ართვინიდან ეს ნავები გამოდიან შემოდგომასა და ზამთარში და 8-9 საათში არიან შესართავთან, ხოლო იქიდან 2 საათში, ნიჩბების მოსმით და თრევით, ბათუმში. დინების აღმა ცურვისას ბათუმიდან ართვინამდე 3-4 დღეა საჭირო. მაისსა და ივნისში დაღმა 6-7 საათში ჩამოდიან, აღმა კი 6-8 დღე სჭირდებათ, რადგან ამ დროს დინება ძალიან ძლიერია... ბათუმისკენ დიდი რაოდენობის ხე-ტყეს ჩამოაცურებენ; სახელდობრ, თხმელას და მუხას, ხოლო უფრო მაღალი ადგილებიდან ნაძვს.

ნავებით მოაქვთ ძირითადად საშენი ქვა და აგური, გამომწვარი კირი, უხეში თიხის ნივთები, ზოგიერთი პუნქტების საფაბრიკო ნაწარმი, ასევე ფიცრები. მცირე მოცულობის და ძვირად ღირებული სხვა პროდუქტები ჩამოაქვთ ცხენებით ჭოროხის ნაპირების გაყოლებით... ცხენებსაც უჭირთ ამ გზის გავლა: ზოგან კლდიანი საფეხურები 3-ზე მეტი ფუტი სიმაღლისაა, სადაც მხედარი ქვეითდება და ცხენს მისი მოხერხებულობის იმედად ტოვებს, თვითონ კი პატარა ბუჩქებს ეჭიდება, რომ არ დაცურდეს და არ გადაიჩეხოს.

დამატება.

ინგლისის საკონსულოები ამ სანაპიროზე გახსნილია *სამსუნში, ტრაპიზონში* და *ბათუმში.* მათ წარმოადგენენ საკონსულოს აგენტები, რომელთაც ვიცე-კონსულებს უწოდებენ და ექვემდებარებიან მთავარ კონსულს *არზრუმში*... ბათუმის საკონსულო ივნისიდან ნოემბრამდე ცარიელია. *ტრაპიზონში* არის სხვა საკონსულოები: ერთი ფრანგული, ერთი რუსული, ერთი ავსტრიული (ამ ორს ამჟამად ერთი პიროვნება განაგებს), ერთი ბერძნული და ერთი ტოსკანური (ამჟამად გაერთიანებული). *სინოპში* იმყოფება რუსი აგენტი, რომლის მთავარი მიზანია ხელი შეუშალონ და დააბრკოლონ ვაჭრობა ჩერქეზებთან, რომელთათვისაც სინოპი მთავარი პუნქტი იყო.

სინოპში არის ერთი საკარანტინო ექიმი (შვეიცარიელი), *სამსუნში* ასევე ერთი იტალიელი ექიმი და ერთი აგენტი დუნაის ორთქლის ხომალდების კომპანიიდან. *ტრაპიზონში* არიან ერთი გამოცდილი ინგლისელი ექიმი, ერთი იტალიელი ექიმი, ერთი

ამერიკელი მისიონერი (მის ეფექტურობაზე ნაკლებს საუბრობენ), ერთი თურქი აგენტი დუნაის ორთქლის ხომალდების კომპანიიდან და ერთი თუ ორი ვაჭარი...

Gia Gelashvili (Tbilisi,Georgia)

Herman Koeler about Batumi District (1842)

Summary

In our report we offer a Georgian translation of an information about Batumi District in 1842 given by German author Herman Koeler in his "Geographical and statistical notes about the Districts of Batum and Choruksu..." published in "Monatsberichte über die Verhandlungen der Gesellschaft für Erdkunde zu Berlin" in 1843 and 1845 in Berlin.

Koeler describes everything he saw himself the town, its harbour, its vicinity, bazaar, navigation, commerce, rulers etc.

სიმონ გოგიტიძე
(ბათუმი, საქართველო)

სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის

ტოპონიმ ბათუმის წარმომავლობის შესახებ ბევრ მკვლევარს გამოუთქვამს შეხედულება: მ. ჯანაშვილის აზრით, ტერმინ ბათუმში გამოყოფილი ფუძე "ბათ" უნდა მომდინარეობდეს ფრინველის სახელიდან – ბატი. ავტორის განმარტებით ბატა-ბატამი ნიშნავს ბატიანს ***[ვახუშტი, 1904: 322 (შენ)]***.

გურსკაიას გადმოცემით, ადრიანეს დროს მდ. ბათუსი სადგომი იყო რომის სავაჭრო და სამხედრო გემებისათვის. მდინარე ბათუსმა სახელი მიიღო ნავსადგურისაგან, რომელსაც ეწოდებოდა Batus limen, ე.ი ღრმა ნავსადგური. მისივე შენიშვნით ზოგიერთები ამბობენ, რომ ბათუმი თურქული სიტყვაა და ნიშნავს ჩავარდნილ ადგილს ***[Гурская, 1901: 1]***.

ნ. მარი აღნიშნავდა, რომ პირველი ცდა ეთნო-ტოპონომიკის გზით ქალაქ ბათუმის სახელწოდების ეტიმოლოგიური ახსნისა უკავშირდება ბერძნულ სიტყვას "ბათი" (ღრმა), რომელიც ახასიათებს ამ ადგილს (ღრმა ნავსადგური) ***[ახვლედიანი, 1944: 163-164]***.

ი. ჭყონიას აზრით ტოპონიმი ბათუმი მომდინარეობს ჭანური სიტყვიდან და ნიშნავს ჭონჭყო, ჭაობიან ადგილს, მიწას ***[ჭყონია, 1910: 5]***.

ი. კალფოღლუს მიხედვით, თურქულმა დასახლება "პატუმმა" მისცა სახელი ქალაქ ბათუმს. ბათუმი იყო უძველესი ქალაქი, რომელიც იწოდებოდა ბათუ ან ბათუსად. მაგრამ როდესაც მთელი ოლქი გადავიდა ქართველი ერისთავების ხელში, სოფელ ბატას ეწოდა პატომი, როგორც ამბობს ვახუშტი. ქართული სიტყვიდან თურქებმა ჩამოაყალიბეს სიტყვა ბატუმი ***[Кальфоглу, 1905: 15 кол.18]***

მსგავსი ზეპირსიტყვიერი მასალა მოაქვს ზ. ჭიჭინაძესაც, რომლის მიხედვით თითქოს თამარ მეფეს დაუგენია ერთი ქართველი გამგე-პირი, რომელსაც ბატონს ეძახდნენ... შემდეგ დაერქვა ბათომი ***[ჭიჭინაძე, 1916: 27-29]***.

ხ. ახვლედიანი აღწერს ხალხური ეტიმოლოგიის რამდენიმე ვარიანტს. ერთ-ერთის მიხედვით, როცა თურქები ჭოროხის მხრიდან მოდიოდნენ ბათუმისაკენ, მათი ერთი ჯარისკაცი ისე ღრმად ჩაძირულა ტალახში (თუ ჭაობში), რომ შეშინებულს დაუძახია – "ბათთუმ", რაც თურქულად ნიშნავს დავიღუპე – ჩავიძირეო. აი, ასე წარმოშობილა ბათუმის სახელწოდება. მეორე ვარიანტით, სახელწოდება ბათუმი წარმოიშვა მაშინ, როცა საქართველოს მეფემ ამ მხარის განმგებლად დანიშნა ვინმე ბატონი. ირანელი და ბერძენი ვაჭრები ქართულ გამოთქმას – "ბატონი" – ამახინჯებდნენ და ამბობდნენ ბათონო-ბათო, აქედან

წარმოდგება ბათომი-ბათუმიო. ეს ხალხური ვერსიაც სიმართლეს არ შეეფერება ***[ახვლედიანი, 1944: 163-164].***

100 წელს გადაცილებული მაწყვალთელი ქალბატონი ემსარ ფუტკარაძე გადმოგვცემდა, რომ ბათუმის სახელწოდება მოდის თურქული სიტყვიდან "ბათურდი", რაც განადგურებას, "დამსობას" ნიშნავსო.

ი. მაზლაკინა წერდა, რომ ბათუმი ბერძნული "ბატუსიდან" ან თურქული სიტყვიდან წარმოდგება და ნიშნავს დაბლობ ადგილს ***[მაზლაკინა, 1938].*** სხვაგან ნათქვამია, რომ სიტყვა "ვათი" წარმოიშვა ანტიკური "ბათუს ლიმენიდან" – "ღრმა ნავსადგური" ***[Барбаро и Контарини.., 1971: ком. 238].*** ნ. დერჟანივის ცნობარში განმარტებულია, რომ არიანე თანამედროვე ბათუმის ადგილზე ასახელებს ბატას, რაც ბერძნულად ღრმას ნიშნავსო ***[Батум и его окрестности, 1906: 21]***. ვ. ნოზაძესთანაც ასეა მითითებული ***[ნოზაძე, 1989: 61 (შენ.)].*** ამ სიტყვის ეტიმოლოგია ასეა გააზრებული სხვაგანაც ***[Комахидзе, 1968: 8].***

ვ. ჯაოშვილის მიხედვით, ბათუმის ქართული სახელწოდება ევროპელების მიერ გააზრებული იყო ამ სიტყვის ბერძნული შინაარსით ("ბათუს" ბერძნულად ღრმას ნიშნავს). მართლაც, შეუძლებელია, რომ ბათუმის მეტად ხელსაყრელი მდებარეობა უძველესი დროიდან არ ყოფილიყო გამოყენებული ნავსადგურად, მით უმეტეს, რომ ასეთ დანიშნულებას ბათუმი ასრულებდა გვიანი შუასაუკუნეების უფრო ძნელ ეპოქებში ***[ჯაოშვილი, 1966: 11].*** მსგავსი შეხედულებისაა მ. სვანიძეც. მისი გადმოცემით, ბერძენმა გაიგონა ქალაქის სახელწოდება "ბათუმი" და იგი მიამსგავსა ბერძნულ სიტყვას "ბათისს" ***[სვანიძე, 1999: 3].***

ზ. ცინცქილაძე მიიჩნევს, რომ ტოპონიმ ბათუმში გამოყოფილი "ბათ" ძირის სემანტიკა გაურკვეველია, თუმცა, სიტყვა ბათუმის აგებულება ქართულია. რაც შეეხება ბერძნულ სახელწოდებას (ბათისი), შეუძლებელია ქართულისაგან დამოუკიდებელი იყოს ***[ცინცქილაძე, 1989].***

ს. ჯანაშიას აზრით, ბათუმში გამოყოფილი ფუძე "ბათის", "ბათვს" ქართულია, მაგრამ ბერძნულად გააზრებული, ბერძნულში კი "ბათ", "ბათეა" ნიშნავს ღრმას.

ბათუმი, ქვ. ჩხატარაიშვილის ვარაუდით, ჭანური დიალექტის საფუძველზე იხსნება – ბათომი ერქვა მხარეს, ციხეს (მასთან მდებარე მცირე დასახლებებით), მდინარეს და ტბას.

ი. ბექირიშვილი წერდა, რომ სახელწოდება ბათუმში გამოყოფილ ორივე კომპონენტს ბატა-ბათეა-ბათუსს და -უმ სუფიქსს არავითარი კავშირი არ გააჩნია თურქულ სიტყვასთან "ბატიმი", რომელიც ტოლფასოვანია ქართული დაცემა-ჩავარდნისა. კავშირში არაა ასევე სვანურ "ბაჩთან" (ქვა). ბატიმიდან ბათუმის სახელწოდების მიღება მართებული არაა, ეს მხოლოდ დამთხვევაა. უფრო მართებულია, ამ სახელწოდების ბერძნული "ბათ"-დან

(ღრმა) მომდინარეობა *[ბექირიშვილი, 2001: 202-204; ბექირიშვილი, 2001: 6].*

შ. ვარშანიძის აზრით, ანტიკურ ხანაში შავი და ხმელთაშუა ზღვების სანაპირო პუნქტებისათვის "ბათ"- ან "ფათ"-ძირიანი სახელები მასობრივად ჩანს, ისინი საერთო ქართველური ან ზოგადი ბერძნული უნდა იყოს. ეს კი ჯერჯერობით კვლავ ძიების საგანია *[ვარშანიძე, 1990: 147].*

სახელწოდება ბათუმის ახსნის თურქული ან ბერძნული ვარიანტები მკვლევართათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამიტომ იყო, რომ ს. ყაუხჩიშვილმა სცადა ამ სახელწოდების სხვა განსხვავებული ახსნა წარმოედგინა. მისი აზრით, ტერმინ ბათუმში უნდა გამოიყოს ფუძე "ბათ" და სუფიქსი "-ომ". ფუძე "ბათ" დაკავშირებული უნდა იყოს სვანურ "ბაჩ"-თან, რომელიც ქვას აღნიშნავს *[ყაუხჩიშვილი, 1965: 106].*

ს. ყაუხჩიშვილის თვალსაზრისი გაიმეორა ა. ინაიშვილმა. ყოროლისწყლის ძირი "ყორ" ქვის ცნების გამომხატველია, ისე როგორც სვანური "ბათ"-"ბაჩ" ქვის ცნებასთანაა დაკავშირებული. ყოროლისწყლის რიყიანობა (ქვიანობა) უთუოდ აპირობებდა, როგორც ბათუს, ბაჩის (სვანური), ისე ყორონ/ყოროლ (ქართულ-ზანური) სახელის წარმოქმნას. სვანური ტომების გაქრობასთან ერთად დაიკარგა თავდაპირველი სვანური "ბაჩ" (ქვა) და წარმოიქმნა ყორონ/ყოროლი. ყოროლისწყლის შენაკად ლეჩას სახელწოდებაში გამოიყოფა "ლე-" სვანური პრეფიქსი, ხოლო "ჩ" მიაჩნია "ბაჩ"-ის ნაშთად, რაც თითქოს ამაგრებს ს. ყაუხჩიშვილის მიერ ჩატარებულ ეტიმოლოგიურ ძიებებს სახელწოდება ბათუმის შესახებ *[ინაიშვილი. 1976: 73-87].*

იმავე მოსაზრებას მხარი დაუჭირა ჯ. ჩხეიძემ. მან გაიზიარა, რომ "ბათ-ომ-ი" წარმოშობით ქართული სიტყვაა, მაგრამ გაზიარებულია, როგორც ბერძნული "ბათუს" (ღრმა). "-ომ" ქართული სუფიქსია, ძირი "ბათ" უნდა ენათესავებოდეს სვანურ სიტყვას "ბაჩ", რომელიც ქვას ნიშნავს *[ჩხეიძე. 1957: 17-18].* იგივე თვალსაზრისი გაიმეორა თ. მიბჩუანმაც. ტოპონიმი ბათუმი სვანური წარმოშობისაა და აღნიშნავს ქვიან, კლდოვან ადგილს. ხეობის სახელი "ბათა" (ბაჩა) მოგვიანებით დასახლებული პუნქტის სახელად იქცა *[მიბჩუანი, 1989: 215].* ს. ყაუხჩიშვილის ეს თვალსაზრისი გაიმეორეს სხვებმაც *[სიჭინავა, 1960: 8].*

მკლევართა ნაწილმა არ გაიზიარა სახელწოდება ბათუმის სვანური სიტყვიდან მომდინარეობის თეორია. მ. ქალდანის მიხედვით, "ბათ" სახელი უნდა იყოს დღევანდელი სვანური "ბაჩ" სახელის უძველესი არქეტიპი, ხოლო "ბათ" (>ბეთშ) – "ბეჩ". "ბათ" და "ბაჩ" ორივე სვანური ენის კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს. მათ შორის "ბათ" ძველია, "ბაჩ" გვიანდელი. ქართულ-ზანური "თ" სვანურში "შდ"-ს რომ იძლევა, თვითონ ეს ფაქტიც კმარა ფუძე ქართველური "თ"-ს რთული შემადგენლობის საბუთად. ამ უკანასკნელში "თშ" კომპლექსის გამოყვანაც

შეიძლებოდა, რამაც სვანურში აფრიკატი “ჩ” მოგვცა ***[ქალდანი, 1983: 85-86].***

ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებას მხარი არ დაუჭირა აგრეთვე ი. სიხარულიძემ. მისი სიტყვით, მართალია ბათუმში გამოყოფილი “ბათ” ძირს უკავშირებენ სვანურ “ბაჩ”-ს, მაგრამ ტერმინის ლინგვისტური ანალიზი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. დაბრკოლებას ქმნის სვანურ-ქართული ენების ბგერათშესატყვისობის კანონზომიერება ***[სიხარულიძე, 1959: 87].***

არც სხვებმა გაიზიარეს ტოპონიმ ბათუმის კავშირი სვანურ ბაჩთან (კლდოვან, ქვიან ქალაქად გააზრება), მისი ორსეგმენტოვან ფუძედ დაშლა და პირველი კომპონენტის (ბათ) დაკავშირება სვანურ “ბაჩ”-თან. -ომ, -უმ, -ენ, -ემ, -ინ ქართულ-ზანურ-სვანურში ისეთი სუფიქსებია, რომლებიც საერთო ქართველურ ენაშივე უნდა არსებულიყო ***[ჩანტლაძე, 2012: 134, 137].***

თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით, ბათუმში გამოყოფილი “ბათ” ძირს უკავშირებენ სვანურ ბაჩს (ქვას), მაგრამ ტერმინის ლინგვისტური ანალიზი ამის შესაძლებლობას არ იძლევა ***[ყაუხჩიშვილი, 1987: 115-116].*** შემდეგში ქალბატონმა თ. ყაუხჩიშვილმა მოგვცა განმარტება: ქართული “ბათ” შეესაბამება სვანურ “ბაშდ”-ს და არა “ბაჩ”-ს. სვანური “ჩ” შეეფარდება ქართულ და ზანურ “კ”(ქ)-ს და არა “თ”-ს. ამასთანავე, პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში ბათუმის ტერიტორიაზე ბინადრობდა ზანური ტომი, მაშინ სვანური “ბაშდ”-ს უნდა შეეფარდებოდეს რაღაც უცნობი ძირით “ბოტ” (ბუტ) და არა “ბატ”. ამასთანავე, ზანური “ბატ” საეჭვოა სვანურ “ბაჩ”-ს შეეფარდებოდეს, თავისი განსაკუთრებული ეტიმოლოგიით – ქვა. ასევე, ბათუმს ტოპოგრაფიულად ქვებთან და ჭიუხებთან საერთო არაფერი არ აქვს. ჩვენი აზრით, – აღნიშნავს თ. ყაუხჩიშვილი, – ტერმინი ბათუმი შემადგენლობით ქართულია, “ბატ” ძირის ეტიმოლოგია უცნობია. რაც შეეხება ქალაქის და მდინარის სახელწოდებას – შეუძლებელია ის ქართულისაგან დამოუკიდებელი იყოს. საქმე იმაშია, რომ ბერძნულ სახელწოდებას აქვს თავისი ცნობილი მნიშვნელობა – ღრმა, ხოლო ქართულ “ბატ”-ისა არ ვიცით. სხვათაშორის, ბერძნული სიტყვა “bat” ძირით უცნობია აგრეთვე. ძნელი დასაშვებია, რომ ბერძნებმა მისცეს სახელწოდება ნავსადგურს და მდინარეს, ხოლო შემდეგ, მომდევნო დროში, ქართველებმა გააფორმეს თავიანთ ენაზე უცხოური, უცნობი სახელი. უფრო უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბერძნებმა გადაიღეს ადგილობრივი სახელწოდება და გაიაზრეს თავისებურად. ჩვენ რომ ჯერჯერობით არ ვიცით ქართული “ბატ”-ის ისტორია, ეს არ შეიძლება იყოს დაბრკოლება ***[Каухчишвили, 1988: 243-249].***

ტოპონიმ ბათუმის გააზრებას „კლდოვან, ქვიან ქალაქად”, მის ორსეგმენტოვან ფუძედ დაშლას და “ბათ” კომპონენტის

სვანურ ბაჩთან კავშირს გამორიცხავენ სხვებიც *[ჩანტლაძე, 2012: 134].*

ან. ლორთქიფანიძე ცდილობს შუალედური რგოლის გამონახვას ი. ჭყონიასა და ს. ყაუხჩიშვილის აზრებს შორის. მისი განმარტემით, შესაძლებელია, ქართულის მსგავსად, სვანურშიც ერთი მნიშვნელობა ჰქონდეს სიტყვას ბაჩ (ქვა) და "ბაჩ"-"ბეჩ" ფუძეს „დაბლობის, დაბალი ადგილის" მნიშვნელობით. ქართულში ქვა და ქვე ერთი ძირისაგან წარმოსდგებიან. ალბათ „ქვიან ტაფობის" მნიშვნელობა იმალება ტოპონიმებში ბაჩა (გუდაუთის რაიონი), ბეჩო (მესტიის რაიონი), ბეთლემის წყალი (ქობულეთის რაიონი) და სხვა.

ან. ლორთქიფანიძის აზრით, სახელწოდება ბათ-ომ-ი არ მომდინარეობს უშუალოდ სვანური სიტყვიდან ბაჩ (ქვა). იგი იქვე იმოწმებს ი. ჭყონიას და განმარტავს, რომ ჩვენი აზრითაც, "ბათ" ფუძე „მიწის" მნიშვნელობაზე უნდა დადიოდეს ეტიმოლოგიურად, თუმცა, უნდა მომდინარეობდეს ქართული სიტყვისაგან "ბუდე". თავად სიტყვა "ბუდის" თავდაპირველი მნიშვნელობა ალბათ "მიწაზე" დავა ეტიმოლოგიურად და დაკავშირებული უნდა იყოს ფატ(არ) ფუძესთან (ფუტურო, ღრმული და ა.შ.) *[ლორთქიფანიძე, 1996: 6].*

ბათუმის ეტიმოლოგიის საკითხისადმი ამ ბოლო დროს ბათუმისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების პირველ ტომში გამოქვეყნდა ბათუმის უნივერსიტეტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომელთა განსხვავებული შეხედულებანი. ისინი არ იზიარებენ სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე გამოთქმულ შეხედულებებს და გვთავაზობენ ამ საკითხის ახლებურ გადაწყვეტას. განვიხილოთ ისინი ცალკცალკე:

გ. ჩაგანავას აზრით, ტერმინ "ბათომ"-ში უნდა გამოიყოს "ბა-" პრეფიქსი, რომლის ნაირსახეობებს (ბ, ბი, ბე, ბუ, ბო) შესწავლის საკმაოდ დიდი ტრადიცია არსებობს. მკვლევარის აზრით, ტოპონიმში ყველაზე რთულია "თომ" ძირის წარმომავლობის გარკვევა. იგი ზანურ ***ტობა, ტიბა*** (ლაზური) – ***ტბა, გუბურა, ღრმა*** და ***ტობა, ტობო*** (მეგრული) – ***ტბა, ღრმა*** ლექსემებს უნდა უკავშირდებოდეს. თითქოს "თომ"-ის პირვანდელი ფორმა უნდა ყოფილიყო "ტობი" (ტობა). შემდგომში, როგორც ეს ლაზურში დასტურდება, ბ-ს წინ უნდა განვითარებულიყო მ და მივიღებდით ტომბი (ტომბა)-ს. მნიშვნელოვანია, რომ სიტყვა ტომბა დადასტურებულია მეგრულში ღრმას მნიშვნელობით. ამ სიტყვაზე ბა- პრეფიქსის დართვის შემდეგ სავარაუდოთ უნდა მიგვეღო – ბატომბი, შემდეგ ბატომი – ბათომი *[ჩაგანავა, 2009: 285-287; ჩაგანავა, 2011:198 чаганава, 2007: 427].*

მ. ფაღავას აზრით, ტერმინ ბათუმში უნდა გამოიყოს -ომ-უმ სუფიქსი, რაც ქართული ტოპონიმებისათვის უცხო არაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სუფიქსებით წარმოებული

ტოპონიმები (მაგ. ბეშუმი, კაპრეშუმი, ბარცხანა) მომდინარეობენ მცენარეული სახელებისაგან (მაგ. კაპრაშა, ბეშურა, ბარცხი). ასე რომ "ბათ" ძირი დაკავშირებული უნდა იყოს მცენარის სახელთან "ბათურა" (იქვე აღნიშნულია, რომ ეს სახელწოდება ავტორს მიაწოდა აზ. ახვლედიანმა – ს. გ.) მაშასადამე ბათუმი/ბათომი ის ადგილია, სადაც ბათურა ხარობს ***[ფალავა, 2009: 289-294].***

მ. ქამადაძე მიიჩნევს, რომ სახელწოდება ბათუმში ნათელია მხოლოდ ის, რომ იგი ქართული აგებულებისა და უძველესი წარმომავლობისაა. უცნობია "ბათ" ძირის მნიშვნელობა, დაუდგენელია -ომ სუფიქსის ფუნქცია ***[ქამადაძე, 2009: 297-298].***

ჩვენ ვიზიარებთ სახელწოდებაში ბათომი//ბათუმი ბათ//ბათა// ბატა ძირისა და ომ //უმ სუფიქსის გამოყოფას, მაგრამ, ზემოთაღნიშნულ მკვლევართაგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ ისინი სრულიად სხვა სემანტიკის მატარებლები უნდა იყვნენ. ზოგიერთების აზრით, თითქოს დაუდგენელია -ომ სუფიქსის ფუნქცია, ან კიდევ ომ-ით დაბოლოებული ტოპონიმები ფიტონიმური წარმოშობისაა. დიდი ხანია დადგენილია -ომ სუფიქსის რაობა. რ. გორდეზიანის მიხედვით, ეს სუფიქსი დასტურდება ეგეიდასა და მცირე აზიაში. "-ამ"(-მ) ქართველური სუფიქსი, რომელიც საერთო ქართველურ დონემდე აღდგება, წარმოშობით არის თემატური ზმნური სუფიქსი, რომელიც საკმაოდ ფართოდ გამოიყენება ქართულ სიტყვათწარმოებაში. ვფიქრობთ, ამ სუფიქსალური ელემენტის ვარიაციასთან გვაქვს საქმე ქართველურ ტოპონიმებში ამ დაბოლოებით. იმავე სუფიქსის ვარიანტებს ვადასტურებთ ტოპონიმებში: ბორჯომი, ბათუმი. ამდენად, მიუთითებს მეცნიერი, ამ მცირეაზიურ სუფიქსის ქართველურთან დაკავშირებას წინ არავითარი დაბრკოლება არ ეღობება ***[გორდეზიანი, 1985: 111].*** სხვების მიხედვით, -ომ-უმ ქართულ-ზანურ-სვანური სუფიქსებია, რომლებიც საერთო ქართველურ ენაში უნდა არსებულიყო ***[ჩანტლაძე, 2012: 137].*** მაშინ რა სემანტიკის მატარებელი უნდა იყოს ეს ბათურა – მცენარის, ადამიანის თუ ძაღლის სახელიდან უნდა იყოს მომდინარე? აქაც ბევრი რამ გაურკვეველია. ისიც არ ვიცით, ყოროლისწყლის ხეობა ნამდვილად იყო თუ არა ბათურას გავრცელების არე. ზოგიერთების მიხედვით, იქ არავითარი მცენარე ბათურას სახელით არ დასტურდება. სხვათაშორის, მცენარის სახელად ბათურა ვერ დავაფიქსირედ შესაბამის ლექსიკონში ***[მაყაშვილი, 1991].***

აქვე გვინდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ყურადღებას იმსახურებს სახელწოდების ორ სეგმენტად (ბა და თომი) დაყოფა. პირველი მათგანი შეიძლება დავუკავშიროთ ბალღი, ბავშვი, ბოვშვი, ბაღანა, ბაია, ბელი, ბაჭია, ბაყაყი, ბატკანი, ბალახი, ბარტყი, ბაჩა, ბაცაცა, ბახალა, ბაჯაჯლანა, ბაციკა, ბაყვი (ბავშვი) და ა.შ. ქართულ დიალექტებში არსებულ სიტყვებს, რომლებიც აღნიშნავენ პატარას, პაწაწინას, სემანტიკურად შვილს, ძეს. ხოლო

მეორე ელემენტი – "თომი" – შეიძლება დავუკავშიროთ ქართულ ონომასტიკონს. მაგალითად, თუმი, თუმა ***[სომხურ ხელნაწერთა... 1978: 46,79],*** ტომე ჰქვია აფსირტეს მოკვლის ადგილს ***[გიგაური, 1985: 35].***

ჩვენი აზრით ბათომი//ბათუმი უნდა შედგებოდეს "ბათ(ა)" ძირისა და -ომ(-მა) სუფიქსისგან. აქ ბატი//ბატა ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს. ქართულ სინამდვილეში გვაქვს ბათ(ბატ) ძირიანი სახელები და გვარები: ბატა, ბათა, ბათუ, ბათი, ბათია, ბათუყვა, ბაია, ბათაია, ბათალა, ბათურა, ბათუნა, ბათაყ, ბატარა, ბატუნა, ბათულია, ბათაძე, ბათნიძე, ბათიაშვილი და ა.შ. ***[მაისურაძე, 1981: 28; ლლონტი, 1986: 80-81; ახუაშვილი, 1999: 176].***

სიტყვა "ბატა"-ს რომ საერთო ქართველური წარმომავლობა ჰქონდა, ადასტურებს არა მხოლოდ ქართული ანთროპონიმიკა, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქართველურ სამყაროში გავრცელებული როგორც ონომასტიკონი, ისე ტოპონომიკური მასალა. დავიწყოთ საქართველოდან: სამეგრელოში – ბათუშ ნადიხ, ბატაშ დიხა, ბათუშ წყურმილე, ბატაიაშ ეკოლ, ბატუშ გოლა, ბათა როგორც ადამიანის საკუთარი სახელი გვხვდება აქვე და სხვაგანაც (ბათულია ერქვა დადიანის ბიძას) ***[ცხადაია, 2007: 70, 132, 209, 254, 287; ქც. IV, 1973: 986].*** "ბათ" ძირიანი სახელები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვა მხარეებშიც, კერძოდ სამცხეში (ბატია, ბატა-ტა) ***[გურჯისტანის ვილაეთის.., 1947: 14-43, 60].***

ბატა-ბათუ სახელი გავრცელებულია უძველეს მცირეაზიურ ქართველურ სამყაროში (ხათურ-ხეთურში): ვატი, ბატა ***[ძახიქ, 1990: 140, 141, 145, Гиоргадзе, 1991: 125].*** ურარტუს მეფე იშფუინის მამას ბატა ერქვა ***[Пиотровский, 1955: 41].*** საბერძნეთის ტერიტორიაზე, სადაც უძველეს პერიოდში მოსახლეობდნენ ქართველური ტომები: კრეტელები, მინოსელები, პელაზგები, თესალიელები, გვხვდება ტოპონიმები ბატი, ბათუ, მატი, ბათნი და ა.შ. ***[Політікое хартне].*** ტროა//ვილუშასა და მიმდებარე ტერიტორიაზე დადასტურებულია ტოპონიმები და ადამიანის საკუთარი სახელები ***[страбон, 1964: 295, 471, 559-560].***

მსგავსი აზრი გამოვთქვით ჯერ კიდევ 2002 წელს, ჩვენს ერთ-ერთ მონოგრაფიაში: სახელწოდება ბათუმი წარმოშობილი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელიდან, შეადარეთ: მედეა, ბატა, მადია, მინდია, მენტი და სხვ. ***[გოგიტიძე, 2002: 77].*** შემდეგ, 2015 წელს, იგივე აზრი გავიმეორეთ უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ნიკო ბერძენიშვილის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მომზადებულ წიგნში, რომელიც ამჯერად უკვე კონკრეტული ადამიანის საკუთარი სახელი (ბატა-ბათა) დავაფიქსირეთ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ "ფატუმი" ლათინური სიტყვაა და ბედს, ბედისწერას ნიშნავს.

მცირეაზიურ მოსახლეობას ჰქონიათ სიტყვა დუდუ ბათუმი (დიდი თუ თავი ბათუმი? – ს.გ.), რომლის მნიშვნელობა უცნობია

[ძახიქ, 1990: 173]. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით სამართლიანად უნდა ითქვას, რომ იქ, სადაც ქართველური ტომები ბინადრობდნენ, დღესაც არსებობენ "ბატ" ძირიანი ტოპონიმები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის საკუთარ სახელს – ბატა (ბათა). რომელი ენის კუთვნილება უნდა იყოს სიტყვა ბატა (ბათა) და რას უნდა ნიშნავდეს?

ბატა (ბათა) მეგრული დიალექტის კუთვნილებაა, რომელიც ქართულად ნიშნავს ნაზს, სუსტს *[ქობალია, 2010: 58].* ამდენად, ქართული საკუთარი სახელის "ნაზი" მეგრული შესატყვისი იქნება "ბატა" (ბათა). მაშასადამე, სახელწოდება ბათომი// ბათუმი წარმომდგარი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელიდან ბათა (ბატა), რომელსაც ქართულში შეესატყვისება ასევე ფართოდ გავრცელებული სახელი ნაზი. ამ მოსაზრებას თითქოს ასევე უნდა უჭერდეს მხარს ჩვენს მხარეში გავრცელებული ერთი ძველი გადმოცემა, რომელიც ამბობს, რომ ბათომი ააგო (თუ დაარსა) ქართველმა ადამიანმა სახელად ბატამ (ბათამ), რომელსაც ძმაც ჰყოლია გენო.

ბათუმის წარმომავლობის ეს ვერსია მოგვაწოდა ისტორიკოსმა სულხან მსხალაძემ, რომელსაც მას მისი მამისაგან გაუგონია, ხოლო მამამისს კიდევ იმისი მამისაგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1964: – ახვლედიანი ხ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათუმი.

ახუაშვილი, 1999: – ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები, II, თბილისი.

ვახუშტი, 1904: – ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციით, ტფილისი.

ბექირიშვილი, 2001: – ბექირიშვილი., აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათუმი

ბექირიშვილი, 2001: – ბექირიშვილი ი., სახელწოდება ბათუმი თურქულია თუ ბერძნული? გაზ. აჭარა, 27 ოქტომბერი.

გიგაური, 1985: – გიგაური ც., კოლხეთი რომაულ მწერლობაში, თბილისი

გოგიტიძე, 2002: – გოგიტიძე ს., აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის, ბათუმი

გურჯისტანის ვილაეთის.., 1947: – გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, თარგმანი ს. ჯიქიასი, I, თბილისი.

ვარშანიძე, 1990: – ვარშანიძე შ., აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე, ბათუმი.

ინაიშვილი, 1976: – ინაიშვილი ა., ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, კრ.; აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბილისი.

ლორთქიფანიძე, 1996: – ლორთქიფანიძე ან, სახელწოდება „ბათუმის" ეტიმოლოგიისათვის, გაზ. აჭარა, 22 ივლისი

მაზლაკინა, 1998: – მაზლაკინა ი., ბათუმი, გაზ. აღორძინება, 4 დეკემბერი

მაყაშვილი, 1991: – მაყაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

მაისურაძე, 1981: – მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები, თბილისი

მიბჩუანი, 1983: – მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი.

ნოზაძე, 1989: – ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.

სვანიძე, 1999: – სვანიძე მ., ბათუმის სახელწოდების დადგენისათვის, გაზ. აჭარა, 6 აგვისტო.

სიჭინავა, 1960: – სიჭინავა ვლ., ბათუმის ნავსადგურის ისტორიიდან (ხელნაბეჭდი ინახება ს. გოგიტიძესთან)

სიხარულიძე, 1959: – სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონომიკა, II, ბათუმი

სომხურ ხელნაწერთა.., 1978: – სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), ალ. აბდალაძის თარგმანი, თბილისი.

ფაღავა, 2009: – ფაღავა მ., კვლავ ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

ქალდანი, 1983: – ქალდანი მ., კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის, ჟურნ. ”ჭოროხი”, №2, 1983.

ქამადაძე, 2009: – ქამადაძე მ., ბათუმის ტოპონიმია, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

ქართველური ლექსიკის.., 2012: – ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, I, თბილისი ქც, 1973 – ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი.

ქობალია, 2010: – ქობალია ა., მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ღლონტი, 1986: – ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები, თბილისი

ჩაგანავა, 2011: – ჩაგანავა გ., ბა-პრეფიქსის ფსიქოლოგიური დიფერენცირების ფუნქციები ზანურში – ლინგვისტოლოგიური ძიებანი, II, თბილისი

ჩაგანავა, 2009: – ჩაგანავა გ., ტოპონიმ ბათუმის წარმომავლობისათვის, – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი.

ჩანტლაძე, 2012: – ჩანტლაძე ი., ქართველური ლექსიკის ისტორიიდან, I, თბილისი.

ჩხაიძე, 1957: – ჩხაიძე ჯ., ბათუმი, ბათუმი.

ცინცქილაძე, 1989: – ცინცქილაძე ზ., ჩაისუბანი თუ ორთაბათუმი, გაზ. "აჭარა", 1989 წლის 21 ივლისი.
ცხადაია, 2007: – ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II (ზუგდიდის რაიონი), თბილისი.
ძახიქ, 1990: – ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბილისი.
ყაუხჩიშვილი, 1987: – ყაუხჩიშვილი თ., ანტიკური წყაროები ქ. ბათუმის ისტორიისათვის, – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XVI, თბილისი.
ყაუხჩიშვილი, 1965: – ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, II, თბილისი.
ჭიჭინაძე, 1916: – ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება, ტფილისი.
ჭყონია, 1910: – ჭყონია ი., სიტყვის კონა, თბილისი.
ჯაოშვილი, 1966: – ჯაოშვილი ვ., ბათუმი, თბილისი.
Барбаро и Контарини, 1971: – Барбаро и Контарини о Росии, перевод Е. Скржинской, Ленинград.
Гиоргадзе, 1991: – Гиоргадзе г. Вопрося обшественного строя хетов, Тбилиси
Гурская, 1901: _ Гурская, путеводител и справочная книжица по гор. батуми и его окрестностям, Тифлис.
Кальфоглу, 1905: – Кальфоглу И., Древнеишие известия о Батуме. – ИКОИРГО, 18, №1
Каухчишвили, 1988: – Каухчишвили Т., Античные источники по истории города Батуми. –Истичниковед ческие разыскания 1985, Тбилиси.
Комахидзе, 1968: – Комахидзе Д., Батуми, ком.
Чаганава, 2007: – Чаганава Г., Этимология топонима Батуми (Батоми). – АЭЭК, Тбилиси .

Simon Gogitidze (Batumi, Georgia)

Concerning to the Origin of the Etymology of Batumi

Summary

The are no common view on the origin of the etymology of Batumi. M.Janashvili, Gurskaia, N.Marr, I. Kalfoglu, S.Kaukhchishvili, M.Kaldia, G.Chaganava and M.Pagava have different opinions.

On our view, origin of etymology of Batumi comes from the own name Bata, which is Megrelian word and means delicate. According to one legend, Bata was a founder of Batumi.

ოთარ გოგოლიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

დავით კლდიაშვილი – ბათუმში ქართული ტრადიციების დანერგვისა და განმტკიცების საქმეში დაუღალავი მებრძოლი

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე „ახალი ცხოვრების სიო" ბათუმის სამხედრო ნაწილებშიც შეიჭრა და კორექტივებიც შეიტანა რუსულ სალდაფონურ ცხოვრებაში. პროგრესულად მოაზროვნე ოფიცრობაც უკვე სხვა თვალით უყურებდა სამხედრო სამსახურს. წინ იწევდა ლიბერალური, ზოგადადამიანური ღირებულებები. ასეთ ფონზე ეროვნულად მოაზროვნე, სოციალური და პიროვნული თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველ ოფიცრებს ორმაგი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ. სამხედრო ნაწილებში მათ უნდა ეტვირთათ ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლის გაერთიანება და ამ თვალსაზრისით ჯარისკაცთა გათვითცნობიერება, მათთვის ელემენტარული განათლების, საერთოდ ცხოვრებისეული ცოდნის მიცემა. ამოსავალი წერტილი, რა თქმა უნდა, ზოგადადამიანური იდეალები იყო. სამხედრო ნაწილები ხომ მრავალენოვრული გახლდათ.

საქმეს ის უადვილებდათ, რომ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ზოგი ქალაქის მმართველობის ხმოსანიც იყო და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო საქმიანობაში. ამ დროისათვის არნახულად აქტიურდება მუშათა მოძრაობაც, საერთოდ მშრომელი საზოგადოების პროტესტი არსებული ჩამორჩენილი სინამდვილისადმი. თვით უმაღლეს სამოქალაქო და სამხედრო მმართველობაშიც გამოჩნდნენ ლიბერალურად მოაზროვნენი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხელსაყრელი იყო პროგრესულად მოაზროვნე ოფიცრებისათვის, მაგრამ მოწინააღმდეგე რეაქციონელებსაც, ცხადია, არ ეძინათ. მხარს უჭერდნენ „მკაცრ მმართველობას" და შესაბამის ღონისძიებებსაც მიმართავდნენ. ამ ნიადაგზე სულ უფრო იზრდებოდა წინააღმდეგობა მათ შორის. მართლაც საოცარია მაშინდელი, მკაცრად იერარქიული რუსული სამხედრო რეჟიმის პირობებში, როგორ ახერხებდნენ პროგრესულად განწყობილი ოფიცრები ჯარისკაცთა შორის ზოგადადამიანური ფასეულობების შეტანას, მათ გათვითცნობიერებას, ელემენტარული ცოდნის მიცემას და საერთოდ, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, რასაც ხშირად ზიანი და მსხვერპლიც მოჰყვებოდა, მაგრამ სხვაგვარად არც შეეძლოთ და არც ჰქონდათ მოქცევის უფლება. ამას ავალებდათ საკუთარი სამშობლოსა და ხალხის ინტერესები, რომელთა „სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი" ქვეყნის ყოველი კუთხიდან ბათუმში ჩამოსული მუშა

ახალგაზრდები და ჯარისკაცები იყვნენ. სამხედრო ნაწილებში ეს მისია პროგრესულად მოაზროვნე ოფიცრობას უნდა ეკისრა, ქართველ ოფიცრობას კი ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისათვის უნდა ეზრუნა. ისტორიამ ბათუმის სამხედრო ნაწილებში მომსახურე ბევრი ათასი ოფიცრის სახელი შემოგვინახა, ბევრიც ჯერ კიდევ გამოსამზეურებელია. მათ მამამთავრად საესებით სამართლიანადაა მიჩნეული დიდი ქართველი მწერალი და ჰუმანისტი, საზოგადო მოღვაწე, პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი. ძირითადად სწორედ მისი მემუარული ჩანაწერებიდან ვიგებთ იმ დროის სამხედრო მმართველობაში, ბათუმის სამხედრო ნაწილებში არსებული ვითარების, მოვლენათა და პიროვნებათა შესახებ ***[ასმხფ №56, ს. 123, ფურც. 45-46].***

მუშათა მოძრაობის აღმავლობის, ჯარისკაცთა შორის მღელვარების დაწყებისას და საერთოდ, ქართული საზოგადოებრიობის გამოღვიძების კვალობაზე, ბათუმში მოღვაწე ჩვენი მამულიშვილები ფრიად სერიოზულიდა დელიკატური ვითარების წინაშე აღმოჩნდნენ–როგორ მოეხერხებინათ ისე, რომ რეაქციული მმართველობის და გამკაცრებული სადამსჯელო ღონისძიებების პირობებში ეს ყველაფერი საზიანო და უბედურების მომტანი არ ყოფილიყო ხალხისათვის. ქალაქის მმართველობის საქმიანობა ივანე ანდრონიკაშვილის მეთაურობით, აქეთკენაც უნდა ყოფილიყო მიმართული. ეს პროგრესულად მოაზროვნე ოფიცრებსაც უნდა გაეთვალისწინებინა

დავით კლდიაშვილი დიდი სიმპატიით იხსენებს საოლქო სამხედრო შტაბის მოლიბერალო უმაღლეს ოფიცრობას, გენერლებს, შატილოვს, რეშეტინს, ბერხმანს. ციხის გარნიზონის შტაბის უფროს პოლკოვნიკ ნიკო დუმბაძეს, პოლკოვნიკ გიორგი კიკნაძეს. თავის სამხედრო ნაწილში მომსახურე თანამოაზრე ოფიცრებს ნესტორ იაშვილს, ნიკო იმნაძეს, ნოდარ ჯაყელს, სერგო კამოევს და სხვებს, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ჯარისკაცებს, ზრუნავდნენ მათზე და ხელს უწყობდნენ მათ გათვითცნობიერებას. „ჯერ პიროვნება ვარ და მოქალაქე, შემდეგ კი სამხედრო მოსამსახურე“ – დავით კლდიაშვილისა და მის თანამოაზრე ოფიცერთა ამგვარი პოზიცია სრულიად მიუღებელი იყო სამხედრო მანქანისათვის. ცხადია, მიუღებელი იყო მათი საქმიანობაც, განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის, მითუმეტეს, ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისათვის ზრუნვა ***[ასმხფ №56, ს. 123, ფურც. 67-69].***

„შენი სამშობლო რუსეთია და შენც, დურაკო, რუსი ხარ, შენი მოვალეობაა გწამდეს ღმერთი მეფე და უსიტყვოდ, მორჩილად ემსახურო მას,“ – ასე უჩიჩინებდნენ ნაწილის უფროსები ჯარისკაცებს ***[კლდიაშვილი, 1980: 32].***

მაგრამ ცხოვრება თავისას შვრებოდა. თვით უაღრესი რეაქციონერებიც კი იძულებული იყვნენ რამდენადმე მაინც

ანგარიში გაეწიათ ახალი ვითარებისათვის, იმისთვისაც, რომ დავით კლდიაშვილი წარჩინებული ოფიცერი იყო, ნაწილში სამსახურის დაწყებისთანავე ჩააბარეს მას თოფ-იარაღის სახელოსნო. რომელიც მოკლე დროში სანიმუშო გახდა. სანიმუშო იყო შემდგომში მისი ჯარისკაცთა გუნდიც (რაზმი). სამხედრო სამსახურის ბოლო წლებში ხშირად ასრულებდა სამხედრო ნაწილის უფროსის მოვალეობას და ასეთ დროს ნაწილში სიმშვიდე და წესრიგი სუფევდა, რისთვისაც მადლობას ეუბნებოდნენ ციხის გარნიზონის მეთაურები, რომელთაც მისი სამხედრო ნაწილი ექვემდებარებოდა. ამას აღწევდა სწორედ ჯარისკაცებზე ზრუნვით, მათთან ადამიანური დამოკიდებულებით, რაც დანაშაულადაც კი იყო მიჩნეული იმდროინდელ სამხერო სამსახურში. ამიტომაც პოლიტიკურად არასაიმედოდ თვლიდნენ. დავითის მსგავსი პროგრესულად მოაზროვნე ოფიცრები, ცხადია, მიუღებელი იყო ისეთი შოვინისტი, რეაქციონერი და ხალხთა მოძულე გენერლებისათვის, როგორებიც იყვნენ გრიაზნოვი, ალიხანოვ-ავარსკი, ლიახოვი, ვორონოცოვ-დაშკოვი, პარკაუ. მათ უკან იდგნენ მთავარმართებლები გოლიცინი, დუნდუკოვ-კორასკოვი, რომლებიც ძალისმიერი მმართველობის მქადაგებლები იყვნენ.

სწორედ გრიაზნოვმა შეადგინა ე.წ „ველური“ ნაწილებიდან გადმოყვანილი ჯარისკაცებისაგან დიდი რაზმი, შეაიარაღა არტილერიით, სარდლად დანიშნა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი და ცეცხლითა და მახვილით მოარბევინა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო თვით ქობულეთის ჩათვლით. არ დაუნდვიათ არავინ, ბავშვი და ქალიც კი, ვინც ოდნავი ხმის ამოღება გაბედა მტარვალთა წინააღმდეგ. გადაწვეს, გადაბუგეს, ჩამოახვრიტეს და ამით ვითომდა აღადგინეს მშვიდობა და წესრიგი. რაზმის ერთ-ერთმა პოლკოვნიკმა გიორგი კიკნაძემ მოუწოდა ჯარისკაცებს, თავი შეკავებინათ სისასტიკისაგან, რისთვისაც დასაჯეს. ასევე დასაჯეს ოფიცერი ევანგელიდი, რომელმაც არ შეასრულა ბარბაროსული ბრძანება, ბარკასზე გადაეყვანა ციხეში ჩამწყვდეული მუშები, ღია ზღვაში გაეყვანათ და იქ ჩაეძირათ, გადაწვას უპირებდნენ მუშათა კვარტალებსაც, ე.ი „წითელი მამალი“ უნდა აეფრინათ ქალაქში, მაგრამ არ გამოუვიდათ *[აცსა, ფ. 1-ა, აღ. 1, ს. 245, ფურც. 13-14].*

„ვალმოხდილ” რაზმს მკაცრი მმართველობის მომხრებმა საზეიმო საღამო მოუწყვეს ბათუმში. „შედეგების შეჯამების” დროს ერთმა ქართველმა პოლკოვნიკმა სიამაყით განაცხადა: „მე ჩემი საკუთარი სოფელიც კი არ დავინდეო“. ამ პოლკოვნიკს საკადრისი პასუხი გასცა და ხმა ჩააკმენდინა გენერალმა რეშეტინმა: „პოლკოვნიკო, აჯობებდა ჩუმათ ყოფილიყავით; ვერაფერი სანაქებო საქმე შეასრულეთ; ვანდალებს ემსგავსებგით... ვის წვავდით? ვის ხოცავდით? თქვენიანებს, თქვენს ნათესავებს” *[კლდიაშვილი, 1980: 56].*

გრიაზნოვმა მოარბევინა გურია თავისი ველური რაზმით გენერალ კრილოვს, რომელმაც მაინც ვერ მოდრიკა გურულები და სულიერად და ფიზიკურად მოღლილ–გამოფიტული, ღამით, ზღვით ჩუმად გააპარეს ბათუმიდან, რომ არ მოეკლათ.

გრიაზნოვს უფრო საშინელი გეგმაც ჰქონდა. როგორც დავით კლდიაშვილი წერს და ისტორიიდანაც ცნობილია, მას სურდა შეედგინა 20 ათას კაციანი სამხედრო რაზმი, არტილერიით და სადამსჯელო ოპერაციის გზით მოერბია მთელი ამიერკავკასია, ქვეყანას მართლაც დაქცევა ემუქრებოდა, მაგრამ მტარვალს არ დასცალდა. არსენა ჯორჯიაშვილმა ყუმბარით დაიფლითა იგი შუაგულ თბილისში.

„ჯორჯიაშვილმა მოსპო მტარვალი, გადაარჩინა ქვეყანა უბედურებას, მისგან გადაუხდელად დავალებულია ჩვენი ქვეყანა და ხალხი, დავალებული ვარ პირადად მეც. მისი წყალობით შემრჩა სიცოცხლე" ***[კლდიაშვილი, 1980: 71].*** საქმე ისაა, რომ გრიაზნოვის ბრძანებით, რომელიც მაშინ კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის უფროსი იყო, დავით კლდიაშვილი სამ დღეში უნდა გაეგზავნა დაღესტანში, სამურის პოლკში, საჯარიმო ნაწილში, როგორც რევოლუციური იდეების თანამგრძნობი და პოლიტიკურად არასაიმედო.

გაგზავნა გრიაზნოვის სიკვდილმა შეაფერხა. მალე აჯანყდნენ ამ პოლკის ჯარისკაცები. დახოცეს ყველა ოფიცერი და ყველაფერი გაანადგურეს. დავითიც გადარჩა.

ასეთ ფონზე მართლაც დაუჯერებლად მოჩანს, როგორ ახერხებდნენ პროგლესურად განწყობილი ოფიცრები ჯარისკაცთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, ადამიანური ფასეულობების ქადაგებას, საერთოდ, გამათვითცნობიერებელ საქმიანობას. სწორედ დავით კლდიაშვილისა და მისი თანამოაზრე ოფიცრების მცდელობით ნაწილში გაიხსნა კლუბი და საჩაიე, სადაც ტარდებოდა ლექციები, საუბრები, ეწყობოდა სხვადასხვა ხასიათის საღამოები, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, წარმოდგენები, ცეკვები. აქ ოფიცრები და ჯარისკაცები, ასევე მათი ოჯახები უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. ასევე ტარდებოდა გაკვეთილები, რომელზეც ასწავლიდნენ რუსულ და ქართულ წერა-კითხვას. იმართებოდა საუბრები საზოგადოების, შრომისა და საბრძოლო იარაღების განვითარების შესახებ და ა.შ. ***[აცსა, ფ. 1-ა, აღ. 1, ს. 245, ფურც. 88-91].***

ასე რომ, ოთხ წლიანი სამსახურის შემდეგ ეს ახალგაზრდები, სრულიად გამოცვლილნი, გათვითცნობიერებულნი, ნამდვილ ადამიანებად უბრუნდებოდნენ მშობლიურ კერას. თან მიჰქონდათ მიღებული ცოდნა, ახალი ცხოვრების იდეები და მომავლის რწმენა.

„ჩვენი დედ-მამა ტიროდა, როცა აქეთ მოვდიოდით, მაგრამ ახლა მეტისმეტად უხარიათ, ჩვენ ასე სასიკეთოდ გადასხვაფერებულს რომ გვხედავენ. მხეცები ვიყავით და კაცებად

დავბრუნდით სახლში თქვენის წყალობით...” – ასე ეუბნებოდნენ დავითს და სხვა მოამაგე ოფიცრებს სამსახურდამთავრებული ახალგაზრდები.

„ნაწილში სამხედრო სამსახურისთვის ჩვენ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოგვდიოდა ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები, მაგრამ სრულიად გამოუსვლელნი ცხოვრებაში, დაბეჩავებულ გლეხურ ყოფაში გაზრდილები, რომელთაც უფრო უარესს უმზადებდა რუსული ყაზარმული ცხოვრება. ის ხომ ფაქტობრივად თრგუნავდა პიროვნებას და მორჩილ მანქანად აქცევდა მას. აბა, მამულიშვილის გულს როგორ უნდა მოესვენა, როგორ უნდა გაემეტებინა ისინი ისეთი ბედისათვის. ბევრმა რუსული კი არა, ქართულიც არ იცოდა წესიერად. მაგალითად, სამურზაყანოელებმა და ე.წ სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრებმა. აუცილებელი იყო მათი ცხოვრებისეული გათვითცნობიერება, ელემენტარული განათლების მიცემა, კულტურული ღირებულებების შეთვისება. ამას ვაკეთებდით როგორც შეგვეძლო”, – იგონებს დავით კლდიაშვილი თავის მემუარულ ჩანაწერებში. ასეთი საქმიანობისათვის დავით კლდიაშვილი პოლიტიკურად არასაიმედოდ ცნეს და აიძულეს 26-წლიანი სამსახურის შემდეგ თავი დაენებებინა სამხედრო საქმისათვის.

„პოდპოლკოვნიკუ კლდიაშვილი: ეგო სვიატელსტვო გრაფ ვორონცოვ დაშკოვ, ნაშოლ სვოეოვრემენნიმ, ჩტობი ვი პოდალი ოტ სტავკუ”. ასეთი იყო უმაღლესი ვერდიქტი. თუმცა, წარჩინებული ოფიცერი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კვლავ გაიწვიეს სახედრო სამსახურში *[კლდიაშვილი, 1980: 77-81.*

დიდ მწერალსა და ჰუმანისტს ეროვნულ მოღვაწეს არც ამჯერად უღალატია თავისი მრწამსისათვის. ზოგადადამიანური და ეროვნული იდეალებისათვის, რასაც კინაღამ შეეწირა კიდეც. მან ბრძოლით განვლო გზა ბათუმიდან ლაზისტამდე, სადაც პირონიკის კომენდატად დაინიშნა. ჩვეულებისამებრ, ეწინააღმდეგებოდა უაზრო სალდაფონურ ხელმძღვანელობას, უნიჭო სარდლობის გადაწყვეტილებებს. აკრიტიკებდა უშედეგო სამხედრო ოპერაციებს, იცავდა ჯარისკაცებს უსამართლო, არაადამიანური დამოკიდებულებისაგან.

იგი გულისტკივილით აღწერს ბათუმიდან პირონიკამდე რა საშინელი დღე დააყენეს მთელ მხარეს და მის მოსახლეობას თურქებმა. შემდეგ თავისი სისატიკით განთქმულმა რუსმა ყაზახ პლასტუნებმა. გაძარცვეს, დაანგრიეს და დაწვეს ყველაფერი, რის შედეგადაც დაიღუპა დიდძალი მოსახლეობა.

დავით კლდიშვილი ლაზისტანშიც დაუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას, ესაუბრებოდა მათ ისტორიაზე, საქართველოზე. მისივე ინიციატივით, თბილისიდან საქველმოქმედო საზოგადოებამ ლაზებში სამუშაოდ გაგზავნა კონსტანტინე კობახიძე. მალე იქვე გამოჩნდა ცნობილი ეროვნული მოღვაწე და

მკვლევარი იოსებ ყიფშიძე. მამულიშვილთა ამ სამეულმა დიდი შრომა გასწია იქაური ლაზების გასათვითცნობიერებლად.

ერთხელ დავითთან პიროკინელი ლაზები მივიდნენ და თხოვეს დახმარება საღვთო ტყის გადარჩენაში, რომელსაც ლიახოვის ბრძანებით გაჩეხვა-გადაწვას უპირებდნენ მესანგრეები. დავითმა დაცვა ჩააყენა და საღვთო ტყეს ახლოს არ გააკარა ისინი. ეს ომის პირობებში ფრონტის ხაზზე, ისიც ოფიცრისაგან, გაუგონარი საქციელი იყო. მას სამხედრო ტრიბუნალი და სასტიკი სასჯელი ემუქრებოდა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო საქმის წარმოება შეფერხდა. ამასობაში თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო. მეფე გადადგა, იმპერიას დროებითი მთავრობა ჩაუდგა სათავეში და დავით კლდიაშვილისთვის აღარავის ეცალა ***[ასმხფ №56, ს. 123, ფურც. 108-111].***

მამულიშვილებს უკვე სხვა საფიქრალი გაუჩნდათ. კვლავ სასწორზე იდო ქვეყნისა და ხალხის ბედი. არავინ იცოდა რა მოჰყვებოდა დიდი ქვეყნების მიერ მსოფლიოს ახალ გადანაწილებას. კერძოდ რა ბედი ეწეოდა ე.წ სამუსლიმანო საქართველოსაც და განსაკუთრებით ბათუმს, რომელიც ახლა უკვე მოზრდილ ევროპულ ქალაქად ქცეული და დამშვენებული, კვლავ მეომარი ქვეყნებისა და სხვათა ინტერესის საგანი და საპირწონე იყო.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ასმხფ №56, ს. 123 – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №56, საქმე №123.

აცსა, ფ. 1ა, აღ. 1, ს. 245 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1-ა, აღწერა 1, საქმე №245.

კლდიაშვილი, 1980: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.

Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)

Davit Kldiashvili – the Restless Fighter for Introduction and Strengthening of Georgian Traditions in Batumi

Summary

On boundary of 19th and 20th century "The Breeze of New life" invaded in Batumi's military part and amened in life of Russian army. Officers, who were progressive thinking ,started to look at the military service with another side. Liberalism and value of humanity started advancing. On this background officers, who were fighting for freedom were imposed double responsibility. In military parts they had to consolidate soldiers to fight for unity, they had to give them elementary education and vital knowledge. The main was human ideals, because military parts were international.

The history has reserved many names of officers, who were served in military parts of Batumi, but many of them are still unknown. The head of military is considered great Georgian writer, humanist, public man, lieutenant-colonel Davit Kldiashvili. Exactly from his memoirs we find out about situation in Batumi's military parts, about facts and people.

ბიჭიკო დიასამიძე
(ბათუმი, საქართველო)

მუჰაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით

მუჰაჯირობა ერთი მძიმე და ტრაგიკული ფურცელია საქართველოს ისტორიისა. მან არა მარტო იმდროის საქართველოს (XIX საუკუნის ბოლო ათწლეულები) სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ვითარებაზე იქონია გავლენა, არამედ ბევრი საფიქრალ-საზრუნავი დაუტოვა მომავალ თაობებს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გასახლებულ მოძმეთა შთამომავლებში ეროვნული ცნობიერებისა და სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულის შენარჩუნება-განმტკიცების თვალსაზრისით.

მუჰაჯირობა აჭარაში საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი. გამოქვეყნებულია არაერთი მონოგრაფია, გამოკვლევა, სტატია, სადაც საუბარია მის მიზეზებსა და შედეგებზე, მისი შეჩერების შესაძლებლობებზე, სხვადასხვა სოციალურ ძალთა თუ სახელმწიფოთა დაინტერესებაზე ამ პროცესით და სხვა. წარმოდგენილი ნაშრომით გვსურს მკითხველის ყურადღება მივაპყროთ მუჰაჯირობის ხანის ორი თანამედროვის, იმ მოვლენების თვითმხილველების, რუსთა ჯარებთან ერთად 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმის ამბების მონაწილეების – ს. მესხისა და ალ. ფრენკელის ჩანაწერებზე, რომელთა მიზანს მაშინ მიმდინარე მოვლენების მკითხველებამდე მიტანა, მაშინდელ საზოგადოებაზე გაცნობა, იმდროინდელი საზოგადოების ამ მოვლენისადმი ყურადღების მიპყრობა და განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერა წარმოადგენდა, დღეს კი ისინი უმნიშვნელოვანეს წერილობით წყაროს წარმოადგენს აჭარაში, კერძოდ, ბათუმ-ქობულეთის მხარეში მუჰაჯირობის პროცესის შესასწავლად.

ორივე ავტორი სამხედრო კორესპონდენტების ფუნქციას ასრულებდა. ს. მესხი ქართულენოვანი პრესისთვის ამზადებდა მასალებს, ალ. ფრენკელი – რუსულენოვანი პრესისთვის. ს. მესხი – ცნობილი სამოციანელი მოღვაწე, გამოცდილი ჟურნალისტი იყო; ალ. ფრენკელი – წარმოშობით ებრაელი, განათლებით იურისტი, პროფ. რ. სურმანიძის გამოკვლევით, რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878) დაწყებამდე ჩამოსულა საქართველოში *[ფრენკელი, 2012: 9]*.

ორივე ავტორის მიზანს შეადგენდა რუსული ჯარის ბათუმში შესვლისა და თურქეთის ხელისუფალთა მიერ ომში გამარჯვებულ რუსეთის წარმომადგენლებზე ბათუმის ჩაბარების ამბების ასახვა და საზოგადოებისათვის მიწოდების პრესის მეშვეობით, მაგრამ ამის პარალელურად ისინი თვითმხილველთა, სანდო ინფორმატორთა თუ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით გვაწვდიან საინტერესო ცნობებს ომის წინა ხანის აჭარაზე, თურქეთისა და რუსეთის მცდელობებზე მოსალოდნელ ომში

ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, მუჰაჯირობის მიზეზებსა და შედეგებზე და სხვა საინტერესო საკითხებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში მუჰაჯირობის მთავარ მიზეზად ზოგიერთი ავტორი რელიგიურ ფაქტორს (მუსლიმანური ფანატიზმი) ანიჭებდა უპირატესობას, ზოგიც, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურს. სინამდვილეში ყველა ფაქტორი ერთად აღებული განაპირობებდა მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან აყრასა და უცხოეთში ლტოლვას“ ***[კახიძე, 2004: 14].*** ამას ადასტურებენ ამ მოვლენების თანამედროვე ს. მესხი და ალ. ფრენკელიც.

ავტორები მკითხველებს შეახსენებენ, რომ ომის წინ და ომის წლებში, ოსმალო ემისრები, ხოჯა მოლების და დიდგვაროვანთა (აღები, ბეგები) დიდი ნაწილი მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ რუსების შემოსვლის შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა მათი ოჯახების სიწმინდეს, რელიგიურ აღმსარებლობას და მოუწოდებდნენ მათ შეექმნათ მებრძოლი რაზმები აქტიური წინააღმდეგობის გასაწევად და ზოგჯერ აიძულებდნენ ამის გაკეთებას ***[მეგრელიძე, 1963: 115].*** ავრცელებდნენ ჭორებს აჭარელთა და ლაზთა მოსალოდნელი შეიარღებული აჯანყების შესახებაც, მაგრამ ალ. ფრენკელის აზრით, რეალური ვითარება სულ სხვანაირია. იგი წერს: „გაზეთებში ბევრს ლაპარაკობდნენ ლაზებზე, მათ აჯანყებაზე, მათ ავტონომიაზე, რომელსაც თითქოს ისინი მოითხოვდნენ. ამ ადგილებში კი, სადაც მოსალოდნელი იყო მცხოვრებთა წინააღმდეგობა, საერთოდ არავითარი ლაზები არ არიან... როგორც კი გაიგეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომ ჩვენი ბანაკი მახინჯაურშია, ჯერ კიდევ საღამოთი დაიწყეს ჩვენთან მოსვლა თავიანთი ხორაგით: ყურძნით, მსხლით, კიტრით და სხვა ხილეულით“ ***[ფრენკელი, 2012: 33, 75].*** ამის საფუძვლად მას ისიც მიაჩნია, რომ „ქრისტიანული გადმოცემები ძალუმად ცოცხლობს ქობულეთელთა მეხსიერებაში, როდესაც მას ეწევა რაიმე უბედურება ან ავადმყოფობა, ამას იგი თავისი წინაპრის მიერ დატოვებული ტაძრის (საყდრის) წყრომას მიაწერს... მიჰყავს შესაწირავად ქათამი, ცხვარი და სხვა... ქვეყანაში ახლაც არიან მალული ქრისტიანები... ***[ფრენკელი, 2012: 120],*** ამიტომ იგი თვლის რომ „რუსეთის ქართველობის მეშვეობით, რუსები ადვილად შეეგუებიან ქობულეთლებს, თუკი გაგებით მოეკიდებიან ***[ფრენკელი, 2012: 121].***

ს. მესხი გაზეთი „დროების“ საშუალებით მკითხველს აუწყებდა მოსალოდნელი ომის შესახებ და წერდა: ...ქართველების უმთავრესი ყურადღება ამ ბრძოლის დროს უნებლიეთ ოსმალეთის საქართველოზედ არის მიქცეული... ყველაზე უფრო გურიაში დ ოსმალეთის საქართველოს საზღვარზე ომიანობის საქმეს შეეხება“ ***[მესხი, 2000: 51].*** იგი ეყრდნობა და იზიარებს გ. ყაზბეგის მოსაზრებას, რომ „ბათუმისა და საზოგადოდ ოსმალოს

საქართველოს დაპყრობა რუსეთის ჯარს არას გზით არ შეუძლია, თუ ადგილობრივი მცხოვრებლები, ოსმალოს ქართველები, ომიანობის დროს ჩვენი მოწინააღმდეგენი იქნებიან, იმათ ან პირდაპირ ჩვენი მხარე უნდა დაიჭირონ და ან უნდა გაჩერდნენ თავისთვის... ამის გამო... უნდა ვცდილობდეთ გავიცნოთ ისინი, მოვიგოთ იმათი გული, დავიმსახუროთ იმათი თანაგრძნობა და სიყვარული“ ***[მესხი, 2000: 53].*** როგორც ჩანს, ვითარება სხვანაირი შექმნილა, რადგან გულნატკენი ჟურნალისტი წერს: „ჩვენის მხრით რომ ცოტა მომეტებული გულგამჭრიახობა, უანგარობა და ხერხი ყოფილიყო ხმარებული თავიდანვე, ეს მტრობა და განხეთქილება არ ჩამოვარდებოდა ჩვენსა და ქობულეთლებს შუაო“ ***[მესხი, 2000: 70].***

ახლა, როცა ომი დასრულებული იყო და ზავის პირობებით რუსეთს უნდა გადაცემოდა ბათუმი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ს. მესხი ამბობს: „როგორ დავიჭერთ იმათთან თავიდამვე საქმეს, როგორ ვეცდებით, რომ ეს ნდობა გავამართლოთ, არ გავამტყუნოთ და, მართლა, როგორ ძმობას აღმოვუჩენთ ჩვენ იმათ“ ***[მესხი, 2000: 94].*** იგი საამისო რეკომენდაციებსაც იძლევა: რუსის ჯარს სათავეში ადგილობრივთათვის ნაცნობი და მისაღები პირები (თავადი გრ. გურიელი, უფ. მ. მეფისოვი) წაუძღვენ წინ; რუსის ჯარმა აჩვენოს თავისი მოქმედებით, რომ მტრად კი არ მოდის, არამედ სამეგობროდ; მთავრობამ ადგილობრივთა ენაზე გამოსცეს პროკლამაცია, გამოუცხადოს ხალხს, რომ სამტროდ არ მოდიან ***[მესხი, 2000: 100-101].*** მაგრამ ეს ყველაფერი უფრო სურვილებად ჩანს. როგორც თვითონვე წერს, ბათუმში შემსვლელ ჯარში „არც ერთი სოტნა ჯარი ჩვენებურებისა არ ერია“ ***[მესხი, 2000: 106].***

აჭარაში კი უკვე დაწყებული იყო ადგილობრივთა აყრა-გადასახლება, რაც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი. პირველ ეტაპზე ამ პროცესს თურქეთის მხარე პროვოცირებდა და უწყობდა ხელს. კერძოდ, მათ მიერ შემოგზავნილი ემისრები, ხოჯა-მოლები მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ რუსები შეგავიწროვებენ, ოჯახს შეგირცხვენენ, სარწმუნოებას წაგართმევენ, ამიტომ სთავაზობდნენ ოსმალეთში გადასახლებას და იქ საუკეთესო პირობების შექმნას ***[სამხრეთ-დასავლეთ.., 2008: 71].*** არადა, სინამდვილეში, მათ გადასახლებულები სჭირდებოდათ დაუსახლებელი ადგილების ასათვისებლად და ჯარის შესავსებად. როცა მოწოდება შედეგს არ იძლეოდა, ძალასაც იყენებდნენ. ალ. ფრენკელი წერს: „დამიდასტურეს, რომ თურქები ჰკრებენ ხალხს და ძალათვე მიჰყავთ გემებზე... ისინი ცდილობდნენ ჯერ ქალები და ბავშვები გაეგზავნათ, დარწმუნებულნი იმაში, რომ შემდეგ ყველა მამაკაცი მიაშურებდა თავის ოჯახს თურქეთში“ ***[ფრენკელი, 2012: 72].*** თურქები ადგილობრივთა გასახლების საქმეში იყენებდნენ ოსმალთა სამსახურში მყოფ ქართველებსაც. „დევრიშ-ფაშას თანმხლებთა შორის, – წერს ალ. ფრენკელი, მე

მაჩვენეს რამდენიმე ქობულეთელი სხვადასხვა ჩინით, რომლითაც ისინი უკანასკნელ ომში დაწინაურდნენ. რამდენიმე ასეთი მოქადაგე დევრიშ-ფაშამ ჩურუქ-სუში მოსვლისას მოიყვანა. ხალხის გადაბირება ძალიან აშკარად ხდებოდა“ ***[ფრენკელი, 2012: 82].*** თურქთა მხრივ ძალადობას ადასტურებს ს. მესხიც: „ქობულეთში ყოფნის დროს ჩვენთან მოვიდა ერთი პატარა 12-14 წლის ქობულეთელი ბიჭი, რომელმანც შესჩივლა თ. გრიგოლს: ნიზამები შემოშპენ სახლში, პაწაი ძამაი, დაი და მამაი წაიყვანეს. მეორემ სთქვა, რომ ჩვენ ყანაში ვიყავით სამუშაოთ და დედაკაცები ძალათ წაათრიეს ბათუმშიო“ ***[მესხი, 2000: 109].***

თურქთა განსაკუთრებული აქტიურობა ადგილობრივთა გადასახლებაში აშკარად შეიმჩნევა იმ პერიოდში, როცა ბერლინის კონგრესზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბრწყინვალე პორტა რუსეთს აზიაში უთმობდა არდაგანს, ყარსს და ბათუმს. ბათუმი ცხადდებოდა პორტო-ფრანკოდ, უპირატესად, კომერციული თვალსაზრისით ***[ვარდმანიძე, 2013: 112].*** მანამდე ოსმალეთის ხელისუფლება აჭარის მოსახლეობას იარაღით ამარაგებდა და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აქეზებდა ***[ვარდმანიძე, 2013: 117],*** მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაწყდა აჭარის ბათუმითურთ რუსეთზე გადაცემა, თურქებმა გააქტიურეს აჭარიდან ქართული მოსახლეობის გასახლება სხვადასხვა ხერხებითა და ძალის გამოყენებითაც. „დევრიშ-ფაშა, საერთოდ, აყოვნებდა ბათუმის ჩვენზე გადმოცემას, რათა დრო მოეგო და რაც შეიძლება მეტი მცხოვრები გაეყვანა ქვეყნიდან“ – წერს ალ. ფრენკელი.

ბერლინის კონგრესის შემდეგ, სპეციალურმა კომისიამ გადაწყვიტა, თურქებს ქობულეთ-ჩაქვის მხარე 17-24, ხოლო აჭარა (ბათუმითურთ) 23-25 აგვისტოსთვის უნდა დაეცალათ ***[ვარდმანიძე, 2013: 112],*** მართლაც, 25 აგვისტოს რუსეთის ჯარი შევიდა ბათუმში. ოცი საარტილერიო გასროლით რუსებმა პატივი მიაგეს თურქეთის დროშის დაშვებას, ხოლო ასერთი გასროლით დამთავრდა რუსეთის დროშის აღმართვის ცერემონია ***[ფრენკელი, 2012: 87].*** ახლა, „პირველად მაინც, – წერს ს. მესხი, განსაკუთრებით სიფრთხილე მართებს ყველას, ვისაც ამ ხალხთან რაიმე საქმე და კავშირი ექნება; თუ ჩვენ ჩვენის პატიოსნებით, ჩვენის საქმით, მაგალითით დაუმტკიცებთ იმათ, რომ ხალხის შესაწუხებლად არ მოვსულვართ იმათ ქვეყანაში, რომ სამართლიანები ვართ, ავსა და კარგს გავარჩევთ, პატიოსნება გვიყვარს, თუ ჩვენ, ერთის სიტყვით, ისე მოვეპყრობით იმას, როგორც ნამდვილ ძმას შეეფერება და არა ისე, როგორც ძალით აღებულს, დაპყრობილ ხალხს, დარწმუნებული იყავით, რომ დიდის სიამოვნებით დარჩებიან, აღარ გაივლებენ გულში ოსმალეთში გადასახლებას“ ***[მესხი, 2000: 136].*** ერთი შეხედვით, ამ სურვილს საფუძველს უმაგრებდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის სვიატოპოლკ-მირსკის მიმართვა

მოსახლეობისადმი, სადაც შემდეგი დაპირებები იყო ჩამოთვლილი:

1. ადგილობრივთა ოჯახები, რელიგია და ქონება ხელუხლებელი რჩება;

2. რუსეთის მთავრობის მიმართ ხალხის მოვალეობა იგივე რჩება, რაც ოსმალთა ბატონობის პერიოდში;

3. მხარის ადგილობრივი მმართველობა იგივე რჩება;

4. გასახლების მსურველებს მიეცემათ ქონების გაყიდვის დრო და საშუალება

ამ დაპირებებს უნდა შეეჩერებინა თითქოს ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან რუსეთის ხელისუფლება იმას არ აკეთებდა, რასაც ამბობდა. მისი ჭეშმარიტი მიზანი იყო ახლადშემოერთებულ მხარეში რუსებისა და სხვა მისთვის საიმედო ხალხის ჩასახლება. ეს აშკარად გამჟღავნებულია ხელისუფლების მაღალჩინოსნების საიდუმლო მიმოწერებში. სვიატოპოლკ-მირსკი რუსეთის საიმპერატორო კარისადმი გაგზავნილ პატაკებში წერდა: „უპირველესი და ამავე დროს, დროებითი მიზანი–ბათუმის ოლქის მშვიდობიანად დაკავება, შესრულებულია... ბათუმის შემოერთებით ჩვენ შევიძინეთ ბუნებრივი სიმაგრე... სამწუხაროდ, ეს სიმაგრე დასახლებულია დაუმორჩილებელი და ძალზედ მეომარი ხალხით. გარდა ამისა, ისინი რელიგიურად არიან დაკავშირებული თურქეთთან, რაც მათ უფრო მეტად საშიშ ხდის ჩვენთვის... საჭიროა ამ მოსახლეობის ასიმილაცია ან გადასახლება... მოსახლეობის მიმართ გატარებული უნდა იქნას რაც შეიძლება მკაცრი ზომები, იარაღის გამოყენებაც კი, მათი აბსოლუტურ მორჩილებაში მოყვანის მიზნით“ ***[ვარდმანიძე, 2013: 124].*** მოტანილი სიტყვები რუსეთის სახელმწიფოს ჭეშმარიტ მიზნებს აჩვენებს, ამიტომ ბუნებრივია, ის ღონისძიებებიც, რაც შემოერთებულ მხარეში, მის მოსახლეობაში ტარდებოდა. ს. მესხი იგონებს ერთი „პატივცემული პირის“ ნათქვამ სიტყვებს: „რაც გონჯი ხალხი იყო, ის გამოგვიგზავნეთო“ და განაგრძობს: „სადაც არ გაიხედავთ ბათუმში, ყველგან ჩინოვნიკების სახლებს და ადგილებს დაინახავთ. ვერ გამიგია – საიდამ და როგორ შეიძინა ამდენი ფული რომელმამე წვრილ ჩინოვნიკმა, რომელსაც წელიწადში ექვსას-შვიდასი ან ათასი მანეთი ჯამაგირი ეძლევა, რომ ამ ფულით თვითონაც ცხოვრობს, ცოლ-შვილსაც არჩენს და კიდევ ადგილ-მამულს იძენს და ორ სართულიან სახლსაც კი იშენებს ***[მესხი, 2000: 182].*** „მე მგონია, – აგრძელებს იგი, ამათის წყალობით არის, რომ ისინი ასე დაუნდობლად, ასე განზე გვიყურებდნენ, იმათ ჩვენი არ სჯეროდათ და ჩვენს ძმობაზე თითქმის უარს ამბობდნენ“, ასკვნის იგი. მართლაც რუსული ხელისუფლების გამარჯვებისა და ოსმალეთში გასახლების სამწლიანი ვადის (1879 წლის თებერვალი – 1882 წლის თებერვალი) განსაზღვრის შემდეგ, კიდევ უფრო იმატა

ოსმალეთში წამსვლელთა რიცხვმა. 1881 წლის 24 თებერვლის „დროებაში“ დაბეჭდილ ერთ წერილში ვკითხულობთ: „მას აქეთ, რაც რუსეთმა ეს მაზრა დაიპყრო, მუდამ ზაფხულზე და შემოდგომაზე ვხედავთ, რომ ეს ახლად-დაპყრობილი ხალხი ასობით და ათასობით ჩამოდის აბარგებული ბათუმში, რამდენიმე დღე დარჩება აქ მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, ძუძუ-მწოვარ ბავშვებით, უძლურ დედა და მამაკაცებით და ბოლოს, როგორც არის, მოდის ოსმალოს, ან სხვა რომელიმე უცხო ქვეყნის გემი და მიჰყავს ეს ხალხი ოსმალეთში... მნახველთ უამბნიათ და მოუწერიათ ჩვენთვის, რომ ესენი დედამიწას ჰკოცნიან, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულ-დამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიანო“ ***[მესხი, 2000: 174].***

სამშობლოდან წამსვლელთა განცდებისა და ტანჯვის წარმოდგენილი სურათი აშკარას ხდის, რომ მუჰაჯირად წასვლა იძულების შედეგი იყო და იგი სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა. განსაკუთრებით აწუხებდა ომით განაწამებ ხალხს გადასახადები. ჟურნალისტის შეკითხვაზე – „რითი იყვნენ შეწუხებული“, ერთი ბათუმელი ასე პასუხობს:

– „აჭარა, ბატონო, უიმისოდაც ძალიან ღარიბი ქვეყანაა. ამ ომიანობამ სულ დააძაბუნა ხალხი... კაცს სახლი არ აქვს, კერია დაუქრეს, პური არა აქვს და მიდიხართ, ეუბნებით: ორი წლის ხარჯი უნდა გადაიხადოვო!... არტაანის ნაჩალნიკმა სთქვაო, რომ ხალხი განაზდება, განებივრდება, თუ ახლავე ხარჯი არ დავაწეროთო, აგი როგორ იქნება“... ***[მესხი, 2000: 156].***

ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა პორტო-ფრანკოც. „ნახევარ ალაბი საახალოხე ჩითი და საპერანგე ვერ უყიდია გლეხს ისე, რომ არ გააჩერონ საბაჟოზე... – ყვებოდა ადგილობრივი გლეხი. ადრე მოდიოდა ბათუმში გლეხი, ჰყიდულობდა ოსმალოს და ფრანგის საქონელს და უშიშრად მიდიოდა შინ, იცოდა, რომ საბაჟოს ყარაულები წინ არ დაუხვდებიან და არ წაართმევენ ნავაჭრს.... თუ გადაესახლებიან, უფრო იმიტომაო, რომ მშიერ-ტიტველ ხალხს გონიაო, რომ ისმალოში წავალთ, იქნება იქ კერია მაინც გავეჩინო და ლუკმა-პური ვიშოვნოვო“ ***[მესხი, 2000: 158].***

როგორც ჩანს, გასახლებულთა რიცხვს ზრდიდა ადგილობრივ ბეგთა და წარჩინებულთა პოზიცია და დამოკიდებულება ამ პროცესისადმი, ალ. ფრენკელის თქმით, ბევრი ბეგი ჯამაგირს ღებულობდა თურქეთის მთავრობისგან. ახლა კი მათ ამის იმედი დაკარგეს, რამდენადაც საადგილ-მამულო კომისიას დავალებული აქვს გაარკვიოს, თუ რომელ ბეგთაგანს აქვს დაკარგული პენსიის მიღების უფლება“ (ფრენკელი, 2012:197). განაწყენებულ-დაშინებული ბეგები სტოვებდნენ სამშობლოს და მათ თან მიჰყვებოდნენ მოსამსახურეები და გლეხებიც. თვითმხილველთა დაკვირვებით, გადასახლებულთა შორის ყოფილან ქურდები და ავაზაკებიც.

„მითხრეს, – წერს ს. მესხი, რომ გადასახლებულებში ბევრი ქურდი და ავაზაკი ურევიაო, რომელთაც ეშინიათო, რომ რუსების ხელში დაუსჯელად ვეღარ აასრულებენ თავიანთს ხელობას, ან რომელთაც ძველი ცოდვების გამოაშკარავება აშინებთო“ ***[მესხი, 2000: 109-110].***

ს. მესხი და ალ. ფრენკელი აჭარიდან ადგილობრივთა გასახლების ერთ-ერთ მიზეზად რელიგიური ფაქტორსაც ასახელებენ, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მას მთავარ მიზეზად არ მიიჩნევენ. კორესპონდენტებს ჩაუწერიათ ჩაქვის მებატონესთან, 33 წლის ხასან-ბეგ ბეჟანოღლისთან (ბეჟანიძე) საუბარი ამ თემაზე. ხასან ბეგი ამბობს: – „რასაკვირველია, რუს ხელმწიფე ჩვენი სარწმუნოების შეცვლას და ჩვენ გარუსებას არ მოინდომებს, მაგრამ ეს თავისთავად მოხდება. ჩვენ მუდამ თქვენში დავიწყებთ ტრიალს, მუდამ თქვენს ცხოვრებას დაუწყებს ყურებას, ძალაუნებურად გადმოვიღებთ თქვენგან ჯერ გარეგან შემკულობას და მერე ზნეს, ხასიათს და სარწმუნოებასაც“ ***[მესხი, 2000: 130].*** ამავე საკითხზე თავის აზრს ალ. ფრენკელი ასე აყალიბებს: „რაც შეეხება რელიგიის ხელშეუხებლობას, ამ მხრივ მოსახლეობა სავსებით დამშვიდდა. საშიშროება, ფიქრობენ, მოელით მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც მერყევი არიან ისლამის დოგმებისადმი და თვით ისურვებენ დაუბრუნდნენ ქრისტიანობას, ე.ი. მიიღონ პაპათა რწმენა... მათ არავინ აიძულებს და ძალასაც არავინ დაატანს“ ***[ფრენკელი, 2012: 198].***

ს. მესხსა და ალ. ფრენკელს ყურადღება მიუქცევიათ მუჰაჯირობასთან დაკავშირებულ კიდევ ერთ საკითხზე: „შემოუშვას ჩვენმა მთავრობამ უკან დაბრუნებული მაჰმადიანი ქართველები და უნდა დაუბრუნოს იმათ ისევ თავიანთი ადგილ-მამული, მიწა-წყალი, სახლი და კარი, თუ არა“. საქმე იმაშია, რომ აჭარიდან გასახლებულთა ერთმა ნაწილმა, როცა გაეცნო იქ არსებულ აუტანელ პირობებს, გადაწყვიტა უკან დაბრუნება, მაგრამ ხელისუფლება ამის ნებას არ რთავდა. ს. მესხის პასუხი ამ საკითხზე ასეთია: „გადასახლებულები ხომ ემიგრანტები არ არიან; იმათ ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩვენი მმართველობისა და ხალხისთვის, რომ უკან დაბრუნება აკრძალული ჰქონდესო; მომეტებული ნაწილი იმათგან გამოსაცდელად მიდიან, თავიანთ ადგილ-მამულს გაუყიდველად სტოვებენ, და როცა ოსმალეთში ცხოვრება არ ეჭაშნიკებათ, უკანვე ბრუნდებიან. რა უფლებით, რომელი კანონით შეგვიძლია ჩვენ ავუკრძალოთ იმათ თავის ქვეყანაში დაბრუნება და თავის ადგილ-მამულშივე დასახლება“ კითხვას სვამს ჟურნალისტი. შემდეგ იგი იმ სიკეთეზეც ამახვილებს ყურადღებას, რისი მოტანაც შეუძლია ამ ნებართვას: „ეს დაბრუნებულები საუკეთესო მქადაგებლები იქნებიან იმათთვის, რომელნიც ჯერ კიდევ აქ დარჩენილან, მაგრამ გადასახლებას აპირებენ... ყოველგვარი მოსაზრება, გრძნობა და გონიერება გვეუბნება, აგრძელებს ჟურნალისტი, ... თუ ღმერთმა

ქნა და დაბრუნდნენ, ხელ-გაშლილად, ძმურად და სიყვარულით მივიღოთ“ *[მესხი, 2000: 164-166].*

ორივე ჟურნალისტი აანალიზებს რა აჭარაში რუსთა შემოსვლის შემდეგ შექმნილ ვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლების მიზეზებს, გაკვირვებას და შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელისუფლება მშვიდად უყურებს ამ პროცესს და ანგარიშს არ უწევს იმ უარყოფით შედეგებს, რისი მოტანაც შეუძლიათ რუსეთის სახელმწიფოსათვის აჭარიდან ადგილობრივთა მასობრივ გასახლებას და იქვე ჩამოთვლიან ამის მოსალოდნელ შედეგებს *[მესხი, 2000: 134-135; ფრენკელი, 2012: 189-191].* როგორც ჩანს, მათ სჯერათ ხელისუფლების საჯარო მოწოდებებისა და დაპირებებისა, თუმცა არ მოსწონთ, რომ „რაც გონჯი ხალხი და მოხელეებია“, იმათ გზავნიან აქ, ხალხი არ გაათავისუფლეს გადასახადებიდან, არ მოუხსნეს პორტო-ფრანკოს მარწუხები და სხვა. ამიტომაა, რომ მათი აზრით, „თუ ბათუმის ოლქის მოსახლეობა მასობრივად დაიწყებს გადასახლებას, ეს გამოწვეული იქნება, უმთავრესად, მათი ომისშემდგომი პერიოდის არასახარბიელო მატერიალური მდგომარეობით. ემიგრაციის შეჩერება შეიძლება მხოლოდ ყოველმხრივი და უხვი დახმარებით, რომელსაც ასე ძალზე საჭიროებს ამ მხარის გაჩანაგებული მოსახლეობა“ *[ფრენკელი, 2012: 200].*

ვფიქრობთ, მუჰაჯირობის დროინდელი თვითმხილველი ჟურნალისტების ს. მესხის და ალ. ფრენკელის ამ პროცესის ზოგადი შეფასებები გასაზიარებელია და დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მუჰაჯირობა ორი დიდი სახელმწიფოს (ოსმალეთი, რუსეთი) ინტერესებიდან გამომდინარე პროცესი იყო, რომლის მიზეზები ამ სახელმწიფოების მიერ აქ გატარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღონისძიებებიდან მომდინარეობდა. ს. მესხი და ალ. ფრენკელი, იმდროის რუსეთში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, რეალურად აღწერენ შექმნილ ვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივად გასახლების მიზეზებს. ისინი ხშირ შემთხვევაში არ ერიდებიან რუსეთის ხელისუფალთა მიერ აქ გატარებული პოლიტიკის კრიტიკასაც, რაც მათი მხრივ განსაკუთრებული ობიექტურობისა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებულობის მაჩვენებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვარდმანიძე, 2013: – ვარდმანიძე ჯ., მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 30-80-იანი წლები), ბათუმი.

კახიძე, 2004: – კახიძე ნ., მუჰაჯირობა – საქართველოს ეროვნული ტრაგედია, – კრ. „საისტორიო მაცნე“, XIII, ბათუმი.

მეგრელიძე, 1963: – მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი.
მესხი, 2000: – მესხი ს., წერილები აჭარაზე 1875-1882, შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.
სამხრეთ..., 2008: – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმის ოლქი – 1877-1920, ბათუმი.
ფრენკელი, 2012: – ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

Диасамидзе Бичико (Батуми, Грузия)

Махаджирство в Аджарии по трудам Серго Месхи и Александра Френкеля

Резюме

Материалы статей С. Месхи и А. Френкеля, современников и свидетелей махаджирства в Аджарии, позволяют сделать в связи с этим явлением следующие выводы:

Махаджирство явилось результатом соотвествующих социально-экономических и полити-ческих мероприятий, проведенных в интересах двух держав – Османской империи и России.

С. Месхи и А. Френкель дают точное описание сложившейся ситуации и указывают на истинные причины массового переселения людей. Они не уходят и от критики той политики, которую проводил царизм в Аджарии, что указывает на их высокую гражданственность и смелость.

Махаджирство оценивается как трагическая страница истории Грузии, которая не только оказала негативное влияние на социально-экономическое и демографическое положение в юго-западной части страны, но и оставила будущим поколениям проблему сохранения и упрочения национального самосознания и любви к своей исторической родине в потомках махаджиров, живущих за пределами Грузии.

ირინე ვარშალომიძე
(ბათუმი, საქართველო)

ახალი ნუმიზმატიკური მასალა ბათუმის შემოგარენიდან

ბათუმი და მისი შემოგარენი მდიდარია ნუმიზმატიკური მასალით. აქ არქეოლოგიური გათხრებისა თუ შემთხვევითი აღმოჩენების შედეგად არაერთი მონეტა თუ მონეტათა განძი არის აღმოჩენილი: განთიადში – ძვ.წ. IV საუკუნის სინოპური დრაქმა ***[ვარშალომიძე, 1996: 28-29],*** გონიოში – ძვ.წ. III საუკუნიდან დაწყებული ახ.წ. XIX საუკუნის ჩათვლით სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის 200-ზე მეტი მონეტა (მათ შორის რომაული მონეტების განძიც) ***[ვარშალომიძე, 2009: 3-96],*** მახოში – რომაული ხანის მონეტები (გამოუქვეყნებელია, განსაზღვრულია ჩვენს მიერ), მახინჯაურში – X საუკუნის ბიზანტიური მონეტა (განსაზღვრულია ჩვენს მიერ, გამოუქვეყნებელია), ხელვაჩაურში არაბული მონეტების განძი ***[ფალავა, ვარშალომიძე, თურქია, 2014: 85-95]***. ამჯერად ჩვენი მიზანია მხოლოდ ხელვაჩაურის განძის მიმოხილვა და ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

ხელვაჩაურის განძი შემთხვევით აღმოჩნდა 2004 წელს, დაბა ხელვაჩაურში, სოფელ კაპანდიბში, ადგილობრივი მცხოვრების – ზ.ზაქარაძის საკარმიდამო ნაკვეთში. იმავე წელს ბათუმის არქეოლოგიურმა მუზეუმმა შეისყიდა. განძი მუზეუმის ფონდებში მთლიანი სახით შევიდა. გატარებულია VI: 04-39 ნომრით. განძი შედგება 149 მთლიანი მონეტისგან და ერთი მონეტის ნატეხისაგან. მონეტებთან ერთად განძში შედიოდა ვერცხლის ბეჭედი და ორი ვერცხლისავე საკიდი. განძი თიხის ქოთანში იყო მოთავსებული. მას ხუფი ეხურა.

ხელვაჩაურის განძის ყველა მონეტა სტანდარტული – დირჰემის ნომინალისაა. 149 მონეტა მთლიანი სახითაა წარმოდგენილი, 1 კი ნატეხს წარმოადგენს. მონეტები ზარაფხანებისა და რეგიონების მიხედვით ასე ნაწილდება: სავადი (სამხრეთ ერაყი) – 105 დირჰემი (აქედან: ალ-ბასრა – 4, ალ-ქუფა – 4, მადინათ ას-სალამი – 97). ალ-ჯაზირა (ზემო მესოპოტამია) – 2 დირჰემი (არ-რაფიკა – 2). ჟიბალი (სპარსეთის ერაყი) – 26 (ალ-მუჰამმადია – 26). სეჯესტანი და ქირმანი – 3 (აქედან: მადინათ ზარანჯი – 1, ქირმანი – 2). ხორასანი – 9 (აქედან: მადინათ ნიშაბური – 1, მადინათ ბალხი – 7, მადინათ მარვი – 1). მავერანაჰრი – 1 (მადინათ სამარკანდი – 1). არმინია – 3 (არ-რანი – 3). დომინირებს სავადში მოჭრილი დირჰემები. ქრონოლოგიურად ადრეულია ჰიჯრით 132 წლით დათარიღებული დირჰემი, გვიანდელი – 199 წლით დათარიღებული ფული. განძის ტეზავრაცია ჰიჯრით 199 წლის შემდგომი პერიოდით უნდა დათარიღდეს (ქრისტეშობიდან 810-820 წწ.) ***[ფალავა, ვარშალომიძე, თურქია, 2014: 87]***

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს განძის აღმოჩენის ადგილის კვლევა. სოფელი კაპანდიბი მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ქ. ბათუმიდან დაახლოებით 9-10 კილომეტრში, მდინარე ჭოროხის სანაპიროზე.

ჭოროხის აუზი, მისი ქვემო წელი, მსოფლიო ოიკუმენის მეტად საინტერესო რეგიონთა რიგს განეკუთვნება. იგი ითვლება უძველეს მეტალოგენურ კერად, რომელსაც მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ანატოლიურ ცივილიზაციებთან. მომდევნო ეპოქებისთვის კი ეგეოსურ სამყაროსთან. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ ჭოროხის აუზი წარმოადგენდა დასავლურ ქართული ტომობრივი კოლხური კულტურის აკვანს. აქვე წარმოიშვნენ ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანებები დიაოხისა და კოლხას სახით. განსაკუთრებულია აქ მოსახლე კოლხური ტომების წვლილი რკინის მეტალურგიის განვითარების საქმეში. საკვლევმა ტერიტორიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოლხეთის სამეფოს ფორმირების პროცესში. ამ ადგილებში გადიოდა კლასიკურსა და ელინისტურ ხანაში ანტიკურ-ბერძნულ სამყაროსთან დამაკავშირებელი საზღვაო თუ სახმელეთო გზები. რომაული ხანისათვის იგი წარმოადგენდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს. გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრეში გამაგრებული ყოფილა რომაული გარნიზონები. წინა ეპოქების მსგავსად, ამ დროისათვის ჭოროხის ქვემო წელი წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობისა და რომის იმპერიასთან დაკავშირებული პროვინციების მნიშვნელოვან საკონტაქტო ზონას. უახლესი აღმოჩენების მიხედვით დასტურდება, რომ მსოფლიო ისტორიულ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული გონიო-აფსაროსის შემოგარენში მდებარე მოსახლეობა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია სოფელ მახოს, კაპანდიბის, სატეხიის, ზანაქიძეების უახლესი აღმოჩენები. იგივე ითქმის მომდევნო ეპოქების, განსაკუთრებით კი ადრეშუასაუკუნეების მიმართ. ჭორიხის ქვემო წელი საქართველოს ზღვისპირეთის სხვა მეზობელი რაიონების მსგავსად ამ ეპოქებისთვის საერთაშორისო ომებისა თუ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ასპარეზად ქცეულა. ამის ნათელი დადასტურება უნდა იყოს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კაპანდიბში აღმოჩენილი არაბული მონეტების განძი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელვაჩაურის აღმოჩენის გარდა, ცნობილია ქუფური მონეტების განძის პოვნის კიდევ სამი შემთხვევა: ზოტის განძი (გადარჩენილია 12 მონეტა) ***[ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2013: 60-67],*** არქაბის განძი (ყოფილა 200 დირჰემი) და ჭოროხის განძი (განძი გაიფანტა, აღწერილია მხოლოდ 1 ეგზემპლარი) ***[Джалаганйя, 1979: 55].*** ოთხივე განძი მჭიდრო ტერიტორიულ სიბრტყეზეა ნაპოვნი, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე IX საუკუნის დასაწყისში ფართოდ მიმოიქცეოდა არაბული

მონეტები.მეტიც, ისინი რეგიონის სამონეტო მეურნეობაში დომინანტურ როლს ასრულებდა.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება,რომ არაბული მონეტები, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოში მიმოიქცეოდა, მაგრამ ზოტისა და ხელვაჩაურის აღმოჩენებმა ეს სურათი მთლიანად შეცვალა. სწორედ ამიტომ, ხელვაჩაურის აღმოჩენას ნუმიზმატიკური და ისტორიული კუთხით უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვარშალომიძე, 1996: – ვარშალომიძე ი., სინოპური მონეტა სოფელ განთიადიდან, საისტორიო მაცნე, №3, ბათუმი.

ვარშალომიძე, 2009: – ვარშალომიძე ი., მონეტები გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი.

ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2013: – ფაღავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს., ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, შრომები, V, თბილისი.

ფაღავა, ვარშალომიძე, თურქია, 2014: – ფაღავა ი., ვარშალომიძე ი., თურქია ს., ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა) – წინასწარი მონაცემები, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, 10, თბილისი.

Джалаганйя, 1979: – Джалаганйя И., Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тбилиси.

IrineVarshalomidze (Batumi, Georgia)

New Numismatic Material from Batumi Suburbs

Summery

The Khelvachauri hoard was discovered accidentally in 2004 by Z. Zakaradze, on a plot of land attached to his house; all of it was purchased by the museum entirely. The hoard comprised 149 intact coins and 1 fragment of yet another coin , with total weight of 426.07g., as well as silver ring (d. = 2.1 cm.) and two silver pendants (joint inventory number for the hoard: VI:04-39).

All 150 coins constituted the Abbasid Kufic dirhams:

- Sawad (southern Iraq) – 105: al-Basra – 4, al-Kufa 4, Madinat as-Salam 97.
- Al-Jazira (upper Mesopotamia) – 2: Ar-rafika 2.
- Jibal (Persian Iraq) – 26: Al-Muhammadiya 26.
- Sijistan and Kirman – 3: Madinat Zaranj 1, Kirman 2.
- Khurasan – 9: Madinat Nisabur 1, Madinat Balkh 7, Madinat Marw 1.
- Maverannahr - 1: Madinat Samarqand 1.
- Arminiyya – 3: Arran 3.

შორენა ვაშაძე
(ბათუმი, საქართველო)

1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ბათუმი

1924 წლის აგვისტოს აჯანყება იყო ბრძოლა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული ამბოხი საქართველოში *[არსენიძე, 1964; გაბაშვილი, 1982: 146-159].*

გასულ წელს ამ თარიღიდან 90 წელი შესრულდა. პარიზში არსებული ქართული სათვისტომო ამ თარიღს აქტიურად გამოეხმაურა **(სურ. I).**

მეხსიერებას ჯერ კიდევ შემორჩა აჯანყების მონაწილეთა და ჩვენი, მათი შთამომავლების მოგონებები. ვფიქრობ, მათი გამოქვეყნება, დღის სინათლეზე გამოტანა, მნიშვნელოვნად წაადგება ისტორიის ამ უცნობი პერიოდის შესწავლას, რამეთუ ადამიანის მეხსიერების მთავარი ფუნქცია **ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარია.** საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანთა ხანგრძლივი მეხსიერების დეფორმირებასა და 1924 წლის აჯანყების დისკრედიტაციაზე საკმაო ძალისხმევა დახარჯა. მიუხედავად ამისა, მრავალთა მეხსიერებას მაინც ბევრი რამ შემორჩა, რაც აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტების აღსადგენად და საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცლის შესასწავლად.

მეხსიერება არის ინფორმაციის შენახვისა და აღდგენის უნარი. მისი ფუნქციაა გამოცდილების შეძენა, წარსულში აღქმულისა და განცდილის შენახვა, მომავალ ქცევაში მისი გათვალისწინება და ჩართვა. რადგანაც წარსულში მიღებული ცოდნა მომავალში გამოყენებისთვის გვჭირდება, მეხსიერება არა მხოლოდ წარსულის შენახვას, არამედ მომავალში მისი გამოყენების შესაძლებლობასაც გულისხმობს. ამდენად, მეხსიერება მოიცავს როგორც აწმყოს, ისე წარსულსა და მომავალს. ის, რისი დახსომებაც უნდა მოხდეს, ჯერ აწმყოში აღიქმება, შემდეგ ხდება აღქმულის შენახვა. აღქმული ინფორმაცია ფსიქიკაში ინახება ზოგჯერ უცვლელად, ზოგჯერ კი გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. მოგონებაზე დიდ გავლენას ახდენს ადრე ჩამოყალიბებული განწყობები, რწმენები, მოლოდინები. ხშირად თავდაპირველი შთაბეჭდილება განსხვავავებულ სახეს იღებს – ადამიანი მომხდარის ასლს არ იხსენებს, იგი გარკვეულად ქმნის ახალ შთაბეჭდილებას, რაც შეიძლება შეცდომის ან ილუზიის წყარო გახდეს. ხანგრძლივ მეხსიერებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს გაგება – ადამიანები უფრო კარგად იმახსოვრებენ გააზრებულ მასალას. ხანგრძლივი მეხსიერებისათვის არსებითია მასალის აღქმასა და აღდგენას შორის ფარული, ე.წ. ლატენტური პერიოდის არსებობა.

ამდენად, ისტორიის ამა თუ იმ ეტაპის რეალური სურათის აღსადგენად სასურველია ისტორიული პროცესების თვითმხილველთა ან მათთან უშუალო კონტაქტში მყოფ პირთა მოგონებების დროული მოძიება-შესწავლა და დღის სინათლეზე გამოტანა.

ბათუმის ისტორიის ერთ-ერთი მტკივნეული ფურცელია 1924 წელს რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში წამოწყებული აჯანყების დროს განვითარებული მოვლენები. ბათუმში ანტისაბჭოთა გამოსვლების მონაწილე ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის წევრებს წინასწარი გამოძიების გარეშე გაუსწორდნენ. მათ შესახებ მოგვითხრობს ვალიკო ჩუბინიძე პარიზში გამოცემულ წიგნში "მოგონებანი" ***[ჩუბინიძე, 1939: 240-280],*** საიდანაც მოგვაქვს ცნობები ცალკეულ პირთა არაადამიანური წამების შესახებ:.

ქიქავა მარო (მკერავი) – დააპატიმრეს ბათუმში. ზამთარში შიშველი ჰყავდათ ბათუმის ჩეკას განსაკუთრებულ საწამებელ მეცხრე საკანში, სადაც აწვიმდა და ათოვდა კიდეც. მას ხანგრძლივად აშიმშილებდნენ, აგინებდნენ და ლანძღავდნენ, შიშველი გაჰყავდათ დაკითხვაზე. ასე აწამებდნენ რამდენიმე თვის მანძილზე. შემდეგ ის გადაყვანილ იქნა ბათუმიდან თბილისის ჩეკაში;

ჭანტურია ათანასე – 13 დღის მანძილზე აწამებდნენ პირველ საკანში (გამომძიებელი სინკინი);

ჯაყელი ნოე – 22 დღე იმყოფებოდა პირველ საკანში (გამოძიებელი გვანცელაძე);

ნოდია მიხეილი – 29 დღე აშიმშილეს და ჰყავდათ ბნელ სარდაფში. 7 დღეს შიშველს ასხამდნენ ცივ წყალს და ისე აწმებდნენ (მინინი);

ჟღენტი გრიგოლი – 21 დღე იტანჯებოდა ბათუმის ჩეკაში (სინკინი);

თურმანიძე მიხეილს – 45 დღე ტანჯავდნენ (მინინი);

ჩიკვაიძე თომა – 33 დღის მანძილზე აწმებდნენ ბნელ სარდაფში (მინინი);

კაჭარავა მოსე – 12 დღე ამყოფეს ბნელ სარდაფში და 8 დღე – ტუალეტში (მინინი);

ჯიჯიეიშვილი სიმონ – 8 დღე აწამეს (მინინი)

გეგეჭკორი ვალოდია – 16 დღე ამყოფეს ბნელ სარდაფში და 10 დღე – მეცხრე საკანში (მინინი);

ჩხეიძე ტოტია – 16 დღე იტანჯებოდა ბნელ სარდაფში (გვანცელაძე);

ლომაძე დავით – 56 დღეს აწამებდნენ ბნელ სარდაფში (მინინი);

ცინცაძე ალექსანდრე – 33 დღე დაჰყო ბნელ სარდაფში (მინინი);

იმნაიშვილი ეპიფანე – 7 დღეს იტანჯენოდა მეცხრე საკნში (მინინი);

მგალობლიშვილი მიხეილი – 20 დღე გაატარა მეათე საკნში (მინინი);

გოგუა ერასტი – 42 დღე ჰყავდათ ბნელ სარდაფში (მინინი);

გოგუაძე კირილე (მასწავლებელი) – აწამა გამომძიებელმა სინკინმა და გარდაიცვალა წამების დროს;

ჩხაიძე შალვა (შაკო) ეპიფანეს-ძე – წამების შემდეგ დაავადდა და გარდაიცვალა საავადმყოფოში.

ქართველი ემიგრანტი ლევან ფაღავა ჟურნალში "ჩვენი დროშა"წერდა: 1924 წლის 28 აგვისტოს ქართველი ერი აჟანყდა სტიქიურად, მასობრივად, ვინაიდან მის ეროვნულ სულში ჩაწნულ, დიადი 26 მაისის დამოუკიდებლობის თაყვანისცემას არ შეეძლო აღუშფოთველად აეტანა მისთვის ნაციონალურად და მორალურად უცხო მოძალადის დამამცირებელი ტირანია ***["ჩვენი დროშა", 1989: 21-55].***

1924 წლის 31 აგვისტოს ანტისაბჭოთა გამოსვლების მონაწილეები დახვრიტეს. მათ შორის იყო ოსმალებისგან ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე გენერალ-მაიორი გიორგი ფურცელაძე, რომელსაც მაშინ ბათუმის გამაგრების შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა. ზოგიერთი მკვლევარის ცნობით, 1924 წლის 31 აგვისტოს ბათუმში დახვრიტეს აგვისტოს ამბოხების 23 აქტიური მონაწილე: პოლკოვნიკი დავით დადიანი, გენერალი გიორგი ფურცელაძე, ვლადიმერ ახვლედიანი, აკაკი რამიშვილი, დიომიდე გეგიაძე, აპოლონ ფანცულაია, აღათი გორდელაძე, ანტონ იმნაძე, გიგა ჩიქოვანი, ალექსანდრე ზოიძე, კალენიკე მალაზონია, ალფეზ ხომერიკი, ისიდორე ზოიძე, კირასი მკურნალიძე, ვლადიმერ ზაპერტოვი, ნიკოლოზ მუჯირი, ლავრენტი ქადეიშვილი, მიხეილ თაყაიშვილი, ვიქტორ ხომერიკი, სოფრომ ქინქლაძე, მიხეილ საბაშვილი, ვასილ ჩიტაიშვილი და ავთომოზ ჩიქოვანი.

ნოე ჟორდანია საქართველოს მომავალზე წერდა: „აგვისტროს დროშა მისი ცემენტია. აგვისტოს მსხვერპლი მისი საწინდარია. ხალხმა არ იცის დაღლა. თაობა სცვლის თაობას. ხალხმა ჭირში იცის მოთმინება. შეუძლია არც კი იკვნესოს, არც კი იოხროს, მაგრამ ძალმომრეობას ქედი არ მოუხაროს. აგვისტოში ავარდნილი ალი მასში არ ჩამქრალა, ხალხის გულში დაფარული ნაკვერჩხალი ათბობს მის სულს და აძლევს იმედებს. საქართველოს თამამად შეუძლია გაიმეოროს აკაკის დიდებული სიტყვები: "კავკასიის მაღალ ქედზე მოჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო, და მტრები კი ყვავ-ყორანი, მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯავს გასწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი" ***["ჩვენი დროშა", 1989: 21-55].***

აგვისტოს აჯანყებას ყოველწლიურად აღნიშნავენ საფრანგეთში. გასულ წელს პირველად აღინიშნა აგვისტოს

აჯანყებიდან 90 წლისთავი საქართველოში. ჭიათურაში დაიდგა გმირთა მონუმენტი. დარწმუნებული ვარ, ბათუმელებიც სათანადო პატივს მიაგებენ საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნას.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

არსენიძე, 1964: – არსენიძე რ., აჯანყება საქართველოში, პარიზი.

“ბრძოლა”, 1926: – ჟურნალი “ბრძოლა”, პარიზი, №9, მარტი, 1926.

გაბაშვილი, 1982: – გაბაშვილი რ., მოგონებები, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, თბილისი.

“გუშაგი”, 1989: – ჟურნალი “გუშაგი”, პარიზი, .№20, 1989.

“გუშაგი”, 1990: – ჟურნალი “გუშაგი”, პარიზი, №22, 1990.

ზალდასტანიშვილი, 1989: – ზალდასტანიშვილი ს., საქართველის 1924 წლის ამბოხი, თბილისი.

“ჩვენი დროშა”, 1979: – ჟურნალი “ჩვენი დროშა”, პარიზი, .№21, 1979.

“ჩვენი დროშა”, 1986: – ჟურნალი “ჩვენი დროშა”, პარიზი, აგვისტო, 1986.

“ჩვენი დროშა”, 1989: – ჟურნალი “ჩვენი დროშა”, პარიზი, აგვისტო, 1989.

ჩუბინიძე, 1939: – ჩუბინიძე ვ., მოგონებანი, პარიზი.

წერეთელი, 1971: – წერეთელი გრ., ქართული ემიგრაცია და ადამიანები, პარიზი.

ShorenaVashadze (Batumi, Georgia)

1924 Uprising and Batumi

Summary

The August Uprising was an unsuccessful insurrection against Soviet rule in the Georgian Soviet Socialist Republic from late August to early September 1924. During the 1924 August Uprising in Georgia, Batumi remained relatively quiet. On 31 August 1924, the local cell of the anti-Soviet underground organization was destroyed; its leaders, including major general Giorgi Purtseladze (then the chief of staff of the Batumi fortifications), were shot.

1924 – 2014
COMMEMORATION du 90E ANNIVERSAIRE
dE L'INSURRECTION NATIONALE
1924 წ. ეროვნული აჯანყებიდან 90
წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დღე
Le Comité Directeur de l'ASSOCIATION GEORGIENNE EN FRANCE
საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილთა სათვისტომოს
გამგეობა
Vous prie de bien vouloir honorer de votre présence
გიწვევთ
შაბათს 13 სექტემბერს - Samedi 13 septembre
12h30 service religieux au carré géorgien du cimetière de Leuville
13h30, au château de Leuville : table géorgienne
12:30 საათზე ლევილის სასაფლაოს ქართულ მონაკვეთში
13:30 ლევილის შატოში : ქართული სუფრა
ASSOCIATION GEORGIENNE EN FRANCE
საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ
ლტოლვილთა სათვისტომო
ანსამბლი ჩვენებურები

სურ. I

დიდება
ქართველ ერს
დიდება თავისუფლებას!
ჩვენი
დროშა
NOTRE DRAPEAU
ორგანო სძ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-Démocrate de Géorgie
დამაარსებელი: ნოე ჟორდანია
FONDATEUR : NOE JORDANIA
პარისი
1993

სურ. II

გოდერძი ვაჭრიძე, სულხან კუპრაშვილი
(ქუთაისი, საქართველო)

ბათუმი ქუთაისის გუბერნატორების ანგარიშებში

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის წერილობით წყაროებს შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ადგილობრივ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ ზემდგომ ინსტანციებში წარდგენილ სხვადასხვა სახის ანგარიშებს, რომლებიც შეიცავენ კონკრეტულ, ძირითადად სანდო მონაცემებს მხარის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის შესახებ.

„იმერეთის დროებითი მმართველობის“ ფუნქციონირების პერიოდში (1810-1840), XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, ოკრუგის უფროსები და ქუთაისის კომენდანტი ვალდებული იყვნენ მმართველობაში წარედგინათ ყოველთვიური და ყოველწლიური ანგარიშები ჩატარებული მუშაობის და ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ *[ვაჭრიძე, 1999: 159]*. ერთ-ერთი ასეთი სახის ჩვენთვის ცნობილი პირველი დოკუმენტი არის ქუთაისის კომენდანტის მიერ იმერეთის დროებით მმართველობაში გაგზავნილი 1837 წელს შედგენილი ანგარიში. მასში დეტალურადაა მოყვანილი ქალაქის ტოპოგრაფიული აღწერილობა, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს შენობების: ეკლესიები, სამთავრობო, სამხედრო უწყების და საზოგადოებრივი დანიშნულების, შესახებ, ასევე ანგარიში ეხება ქალაქის შემოსავალ-გასავალისა და განათლების საკითხებს *[ქცსა, ფ. 175, აღ. 1, ს. 34, ფურ. 1-16]*. ამ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქუთაისის და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში, რადგან იგი არის რუსული ხელისუფლების დროს შედგენილი პირველი ანგარიში ქალაქის მდგომარეობის შესახებ და საშუალებას გვაძლევს შემდეგი წლების ანალოგიურ ანგარიშებთან შედარებით, წარმოვიდგინოთ ქუთაისის ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი ცვლილებები.

1840 წელს ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა, რომლის მიზანი იყო სრული, წმინდა რუსული მმართველობის შემოღება და მისგან ადგილობრივი ელემენტების მთლიანად ჩამოცილება. დროებითი და შერეული მმართველობა, რომელიც სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს განახორციელებდა, სამოქალაქო მმართველობით შეიცვალა. შეიქმნა საქართველო-იმერეთის გუბერნია, რომელშიც იმერეთის ყოფილმა სამეფომ ქუთაისის მაზრა შეადგინა. მაზრის უფროსი საქართველო-იმერეთის გუბერნიის სამმართველოში დადგენილი ფორმის მიხედვით, აგზავნიდა ყოველწლიურ ანგარიშს მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ. ეს ანგარიშები გაცილებით უფრო

ვრცელი და დეტალურია, ვიდრე ქალაქის კომენდანტის და ამგვარად ისტორიული თვალსაზრისით გაცილებით მეტი მასალის შემცველია. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია მაზრის უფროსის პირველი – 1841 წლის ანგარიში ***[ქცსა, ფ. 176, აღ. 1].***

1840 წლის რეფორმით შექმნილი მმართველობის სისტემა მალე გაუქმდა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის 1844 წლის 27 ნოემბრის ბრძანებით, შეიქმნა კავკასიის სამეფისნაცვლო. პირველი მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით, 1846 წელს კავკასიაში მორიგი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდა. ამიერკავკასია გაიყო ოთხ გუბერნიად. საქართველომ შეადგინა ორი – თბილისის და ქუთაისის გუბერნიები ***[Эсадзе, 1907: 86].*** ქუთაისის გუბერნია ადმინისტრაციული თუ ტერიტორიული ცვლილებებით 1921 წლის 10 აპრილამდე არსებობდა. ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა ქუთაისის, გურიის და ახალციხის მაზრები. გუბერნიასთან „მითვლილი იყო" სამეგრელოს და საბატონო სვანეთის სამფლობელოები და სამურზაყანოს საბოქაულო.

1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის სამთავრო. შეიქმნა სოხუმის განსაკუთრებული ოკრუგი, რომელიც ქუთაისის საგენერალ-გუბერნატოროში შემოვიდა. 1867 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო გაუქმდა (შეიქმნა 1857 წელს ყირიმის ომის დროს) და გუბერნიას მართავდა სამხედრო გუბერნატორი. ამასთან ერთად, გუბერნიის შემადგენლობაში შემოვიდა სამეგრელოს გაუქმებული სამთავროს ტერიტორია. 1874 წელს გაუქმდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანამდებობა და გუბერნიის მართვა-გამგეობა რუსეთის შიდა გუბერნიების მართვის საერთო წესს დაემორჩილა.

1883 წელს ქუთაისის საგენერალ-გუბერნატორო აღდგენილი იქნა და მის შემადგენლობაში შემოვიდა ბათუმის ოლქი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ იქნა განთავისუფლებული თურქთა სამსაუკუნოვანი ბატონობისაგან და სოხუმის განყოფილება, რომელიც ოკრუგად გადაკეთდა. თავის მხრივ ბათუმის ოლქი ორად – ბათუმის და ართვინის ოკრუგებად გაიყო.

1903 წელს ქუთაისის გუბერნიას გამოეყო ბათუმის, ართვინის და სოხუმის ოკრუგები. ბათუმის და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და შეიქმნა ბათუმის ოლქი საკუთარი გუბერნატორით, ხოლო სოხუმის ოკრუგი უშუალოდ დაექმედებარა კავკასიის მთავარმმართველს. გუბერნატორს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგენით უმაღლესი სახელობითი ბრძანებულებით ნიშნავდა იმპერატორი ***[Свод законов.., 1876: 85].***

გუბერნატორი თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, იმპერატორს და შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგენდა ანგარიშს თანამდებობის მიღების და გუბერნიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. გუბერნატორი კანონით ვალდებული იყო ყოველი წლის ბოლოს იმპერატორთან წარედგინა ანგარიში.

სპეციალური ინსტრუქციით განსაზღვრული იყო ანგარიშის ფორმა და კონკრეტულად რა მონაცემები უნდა შესულიყო მასში. ანგარიშის ასლები ეგზავნებოდა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებას და შინაგან საქმეთა მინისტრს ***[Свод законов.., 1876: 124-125].*** გუბერნატორის წლიურ ანგარიშს თან ახლდა გუბერნიის მიმოხილვა, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სტამბური წესით იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა. გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის მიმოხილვები (Обзоры Кутаисской Губернии) დაცულია: სანკტ-პეტერბურგის ცენტრალურ საისტორიო, თბილისის ცენტრალურ საისტორიო, ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში და ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში №130 ფონდში (ქუთაისის გუბერნატორის კანცელარია) ინახება „მიმოხილვების" თითქმის ყველა გამოცემა 1887 წლიდან 1913 წლის ჩათვლით.

ქუთაისის გუბერნატორის ანგარიშები და გუბერნიის ყოველწლიური მიმოხილვები უმდიდრეს ფაქტობრივ მასალას შეიცავენ საქართველოს ახალი ისტორიის შესასწავლად. ისინი საშუალებას გვაძლევენ თვალი გავადევნოთ როგორ მიმდინარეობდა რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დამკვიდრების პროცესი, რა სიძნელეები ხვდებოდა საიმპერიო ხელისუფლებას მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების საქმეში. ამ მასალებში ნათლად ჩანს რუს მოხელეთა დიდმპყრობელური, შოვინისტური განწყობილება და უვიცი, უმეტეს შემთხვევაში ლოთი, მრუში და მექრთამე ჩინოვნიკის ქედმაღლური დამოკიდებულება ე. წ. „ინოროდცებისა" და „ტუზემცების" მიმართ. გუბერნატორები თავიანთ ანგარიშებში ხაზგასმით აღნიშნავდნენ „რუსული ელემენტის", რუსების ისტორიულ მისიაზე – გუბერნიის ადგილობრივი მოსახლეობა გამოიყვანონ საუკუნოებრივი ჩამორჩენილობიდან, პროგრესის და განათლების გზაზე გაიყვანონ ის. ამიტომ მათი აზრით, საჭიროა რაც შეიძლება მეტი რუსი დამკვიდრდეს საქართველოში. „ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ამ მხარეში თითქმის 60-წლიანი ბატონობის განმავლობაში რუსული მოსახლეობა მცირეა" – წერდა 1865 წლის ანგარიშში ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი ა. ოგოლინი. აქ არ არიან მყარად დამკვიდრებული რუსები. მისი აზრით, მხარის რუსეთის ცენტრთან სრულ შერწყმას ხელს სწორედ ის გარემოება უშლის, რომ გუბერნიაში ძალზე მცირეა „რუსული ელემენტი" და გუბერნატორი პირობას დებდა იმპერატორის წინაშე, რომ ყოველმხრივ შეეცდებოდა ეს ნაკლი გამოესწორებინა ***[ქცსა, ფ. 130, აღ. 1, ს. 98, ფურ. 7].*** რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, გუბერნატორი თვლიდა, რომ ისინი არც ზნეობრივად და არც გონებრივად ჯერ კიდევ არ არიან იმისათვის მომზადებული, რომ მონაწილეობა მიიღონ მხარის

მართვაში. რუსული ენის უცოდინრობა ხელს უშლის მათ აქაური გიმნაზიის კურსის დამთავრებაშიც კი. ადგილობრივ გარემოს კი არ შეუძლია მათ სამართლიანობის და მოვალეობის ნათელი ცნებები ჩაუნერგოს ***[ქცსა, ფ. 130, აღ. 1, ს. 98, ფურ. 45].***

იმის სურვილით, რომ ეჩვენებიათ რუსული მმართველობის კეთილისმყოფელი გავლენა მხარის დაწინაურების საქმეში, გუბერნატორები გაზვიადებულად წარმოადგენდნენ მათი საქმიანობის შედეგებს, მიუთითებდნენ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მალავდნენ ქვეყნის შიგნით არსებულ ნამდვილ ვითარებას. ამის გამო გუბერნატორთა ანგარიშებში დაცული ფაქტობრივი მასალა კრიტიკულად უნდა იქნას შესწავლილი, შემოწმდეს სხვა წყაროებთან შეჯერებით და დასკვნებიც მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნას გაკეთებული.

გუბერნატორი წლიურ ანგარიშს ადგენდა დადგენილი სტანდარტის მიხედვით. ანგარიში საფუძვლად ედო გუბერნიის მიმოხილვასაც. პირველ რიგში დახასიათებული იყო გუბერნიის გეოგრაფიული მდებარეობა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიის 1903 წლის „მიმოხილვაში" ეს განყოფილება შემდეგი საკითხებითაა წარმოდგენილი: საზღვრები და ტერიტორია, რელიეფი და ნიადაგები, ხელოვნური და ბუნებრივი მორწყვა, კლიმატი, წიაღისეული სიმდიდრეები და მინერალური წყლები, ადმინისტრაციული მოწყობა. მეორე განყოფილება ეძღვნება გუბერნიის მოსახლეობას, რომელიც შეიცავს მონაცემებს მოსახლეობის რაოდენობის, მისი მოძრაობის და საყოფაცხოვრებო თავისებურებათა შესახებ.

საინტერესოა რა ინფორმაციას შეიცავს ქუთაისის გუბერნიის შესახებ (ქუთაისის გუბერნია კი მთელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნაწილს მოიცავდა) 1894 წლის „მიმოხილვა".

I განყოფილება ეძღვნება გუბერნიის გეოგრაფიულ მდებარეობას, საზღვრებს, ტერიტორიას და ბუნებრივ პირობებს.

II განყოფილება მოიცავს ბუნებრივ და საწარმოო ძალებს და მოსახლეობის ეკონომიკურ საქმიანობას. როგორც თავადაზნაურული, ასევე გლეხური მიწათმფლობელობა მცირემიწიანობით და დაქსაქსულობით ხასიათდებოდა. სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს გამგებლობაში 1.108.055 დესეტინა მიწა იყო, 283.954-ით მეტი ვიდრე გასულ წელს, რაც იმით აიხსნება, რომ სამმართველოს გადაეცა მანამდე სამხედრო-სახალხო მმართველობის განკარგულებაში მყოფი მიწები. სახელმწიფო ქონების სამმართველოს გამგებლობაში ბათუმის ოკრუგში იყო 159.600 დესეტინა, აქედან 76.800 მოიცავდა ტყეებს, 72.800 – საძოვრებს და სხვა სავარგულებს და 10.000 – სახნავ-სათესისათვის უვარგის მიწებს ***[Обзор Кутаисской губернии, 1894: 4].***

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ქუთაისის გუბერნიაში გავრცელება დაიწყო თამბაქოს კულტურამ. პირველ რიგში თამბაქოს პლანტაციები გაჩნდა სოხუმის, ბათუმის და ართვინის ოკრუგებში. ამ რეგიონებში მოყვანილი პროდუქცია თურქულ თამბაქოს წარმატებით უწევდა კონკურენციას. ბათუმის ოკრუგში პლანტაციების რაოდენობა იყო 445, რომელსაც ეკავა 90 დესეტინა და 2230 საჟენი, ხოლო მოსავალი შეადგენდა 3.809 ფუთს. ფასი მერყეობდა 3 დან 12 მანეთამდე ფუთზე და ერთი დესეტინა თამბაქოს პლანტაცია 212 მანეთ წმინდა მოგებას იძლეოდა.

საინტერესო მონაცემებია ჩაის კულტურის გავრცელების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში, კონკრეტულად ბათუმის ოკრუგში. აქ ჩაის გავრცელების პიონერი და თაოსანი იყო გადამდგარი ინჟინერი, პოლკოვნიკი ალექსანდრე სოლოვცევი, რომელმაც 1886 წელს გამოიწერა და ბათუმის მახლობლად დარგო ჩაის ბუჩქები. ეს ცდა წარმატებით დასრულდა. 1894 წელს ადგილობრივი ადმინისტრაციის თანდასწრებით დაიწყო ჩაის პირველი კრეფა. ა. სოლოვცევმა და მისმა მოურავმა ლისენკომ ბათუმის ოკრუგში ფართოდ გაავრცელეს ჩაის კულტურა.

„მიმოხილვაში" წარმოდგენილია გუბერნიის როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვაჭრობა. საშინაო ვაჭრობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული და თავმოყრილი იყო ძირითადად ქალაქებსა და დაბებში. წლის განმავლობაში გაიცა 10.106 სავაჭრო დოკუმენტი, საიდანაც შემოსავალი 164.735 მანეთს უდრიდა. ბათუმის ოკრუგის ხაზინის მონაცემებით გაიცა 1.394 ნებართვა და მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 32.746 მანეთი. ქალაქ ბათუმში მოქმედებდა 13 საწარმო, მოგება – 27.300 მან.

ქუთაისის გუბერნიას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებით ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის შემდეგ, აღმოსავლეთის ქვეყნებთან რუსეთის სატრანზიტო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმი და ფოთი უცხოეთის და რუსეთის საქონლის გატანის და შემოტანის ძირითადი პუნქტები გახდნენ. ბათუმის მთავარ სასაწყობო საბაჟოდან 1894 წელს შემოტანილი იქნა 4.174. 279 ფუთი საქონელი, რომლის ღირებულება 3.072.826 მან. უდრიდა, ხოლო გატანილი იქნა 51.341.329 ფუთი საქონელი 19.440.357 მანეთის ღირებულების ***[Обзор Кутаисской губернии, 1894: 28].***

გუბერნიაში არსებობდა საკრედიტო დაწესებულებები. ქალაქ ბათუმში ფუნქციონირებდა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება და თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილება.

1894 წელს ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო სამმართველოს განყოფილებამ ბათუმში შეაკეთა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის ბინა, რაც 788 მანეთი დაჯდა.

გრძელდებოდა ბათუმის პორტის კეთილმოწყობა. იმპერიის სახელმწიფო საბჭომ ასიგნაციის სახით ბათუმისათვის 750.000 მანეთი გამოყო.

ბათუმში ფუნქციონირებდა 2 ბიბლიოთეკა, 2 წიგნის მაღაზია და 4 სტამბა.

1894 წლისათვის ქუთაისის გუბერნიაში ორი საქველმოქმედო საზოგადოება არსებობდა – ქუთაისის და ბათუმის. გარდა ამისა, წითელი ჯვრის რუსეთის საზოგადოების ქუთაისის ადგილობრივი განყოფილება და კავკასიის სომხური საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება.

საინტერესოა ასევე გავეცნოთ 1900 წლის „ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვას“. ბათუმს თავისი სამეურნეო ხარჯებისათვის გააჩნდა ორი სახის შემოსავალი: საერთო-საქალაქო და სპეციალური – ნავსადგურიდან მიღებული შემოსავლები, რაც 1891 წლის 12 მარტის და 1900 წლის 6 მარტის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ძირითადად განკუთვნილი იყო ნავსადგურთან მისასვლელი გზების და თვით ნავსადგურის კეთილმოწყობისათვის.

1898 წელს იმპერატორის ბრძანებით, ბათუმისათვის გამოყოფილი იქნა 600.000 მანეთი, რომელიც მოხმარდა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ვაჟთა გიმნაზიის შენობის მშენებლობას, სახანძრო ნაწილის გაუმჯობესებას, საქალაქო სასწავლებელს, საქალაქო-საზოგადოებრივ სახლს და საქალაქო ლომბარდის ძირითადი კაპიტალის შექმნას.

1900 წლისათვის ბათუმის შემოსავლების პუნქტები შემდეგი იყო:

შემოსავლები	**დაგეგმილი**	**სინამდვილეში შემოსული**
შეფასებითი მოსაკრებელი	105.545	88.276
სავაჭრო და სამეწარმეო მოსაკრებელი	30.459	32.850
საბაჟო მოსაკრებელი	5.769	8.898
საქალაქო ნაგებობები და საწარმოები	22.625	23.204
სხვადასხვა შემოსავლები	8.535	12.392
სულ:	246.240	233.340

ქალაქი თავის შემოსავალს ძირითადად ხარჯავდა: სამთავრობო დაწესებულებების, საქალაქო საზოგადოებრივი მმართველობის შესანახად, ციხეების განათების და გათბობისათვის, ყაზარმებისათვის, პოლიციისათვის, სახანძრო

ნაწილისათვის, ქალაქის კეთილმოწყობისათვის, საქალაქო შენობებისათვის, სახალხო განათლებისათვის, სამედიცინო, ვეტერინარული და სანიტარული საქმისათვის, ვალების გადახდისათვის. ჯამში – 270.230 მანეთი. 1897 წლის მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, 1899 წელს ბათუმის შემოგარენში დაიწყო ჭაობების დაშრობა, რისთვისაც გამოყოფილი იქნა 153.567 მანეთი ***[Обзор Кутаисской губернии, 1900: 73-76].***

„მიმოხილვები“ თავიანთი ფორმით და, ნაწილობრივ, შინაარსითაც, ტრაფარეტულია. ზოგჯერ მასალა მეორდება, მაგრამ მათში თავმოყრილია უხვი სტატისტიკური მონაცემები, რომელთა დალაგება წლების მიხედვით მოვლენის დინამიკაში შესწავლის საშუალებას იძლევა. ამიტომ, „ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვები“ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახა-ლი ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ვაჭრიძე, 1999: – ვაჭრიძე გ., იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840), ქუთაისი.

ქცსა, ფ. 130, აღ. 1, ს. 98 – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №175, აღწერა 1, საქმე №98.

ქცსა, ფ. 175, აღ. 1, ს. 34, – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №175, აღწერა 1, საქმე №34.

ქცსა, ფ. 176, აღ. 1 – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №176, აღწერა 1.

Обзор Кутаисской губернии, 1894: – Обзор Кутаисской губернии за 1894 год

Обзор Кутаисской губернии, 1900: – Обзор Кутаисской губернии за 1900 год

Эсадзе, 1907: – Эсадзе С., Историческая записка об управлении Кавказом, т. I-II, Тифлис.

Свод законов.., 1876: – Свод законов Российской Империи, т. II, ч. I, Общее губернское учреждение, СПБ.

Goderdzi Vatchridze, Sulkhan Kuprashvili
(Kutaisi, Georgia)

Kutaisi Governors' Reports about Batumi

Summary

Of the new history written sources of Western and South-Western Georgia, it is a variety of reports, made by the heads of local institutions of Russian administration to the upper instances, that are of primary importance and contain mostly reliable, specific data about political, economic, social and cultural condition of the region.

In the year 1883, Batumi Region became part of Kutaisi Governorate and was split into two okrugs: Batumi Okrug and Artvini Okrug. In 1903, Batumi, Artvini and Sukhumi Okrugs were separated from Kutaisi Governorate. Then Batumi and Artvini Okrugs were united and Batumi Region was created. A governor was presented by the Minister of Internal Affairs with a higher nominal decree and was appointed by the emperor.

After taking his position, the governor would present a report to the emperor and the Minister of Internal affairs on his appointment and the situation in the governorate. A governor was obliged by law to present a report to the emperor at the end of each year. The reports had a special instruction about how to fill them and what data to include. The governor's report was accompanied by the governorate's review which started to be published and distributed since the 80-ies of the XIX century. Those reports and reviews (Обзоры Кутаисской Губернии) are protected in the Kutaisi Central State Archive. Fund #130 (Kutaisi Governor's Chancellery) stores almost all the publications of "reviews" from 1887 to 1913.

"Reviews of Kutaisi Governorate" are a valuable source from the new history of Western and South-Western Georgia.

შოთა ზოიძე
(ბათუმი, საქართველო)

აკაკი წერეთელი აჭარაში

სათაურში იგულისხმება აკაკი წერეთლის არა მხოლოდ ბათუმში ჩამოსვლა და წასვლა, არამედ ისიც თუ როგორ გრძნობს თავს ჩვენს მხარეში მისი სახელი და პოეზია. მით უმეტეს, იგი სიცოცხლეშივე აღიარა ხალხმა მიწაზე მოსიარულე ღმერთად. ამ თემას არაერთი ღირსეული კალამი და პატივცემული მკვლევარი შეეხო. მათ შორის არიან აჭარაში ფოლკლორული ნიმუშების კვლევის პიონერი ჯემალ ნოღაიდელი, რომელმაც აკაკი წერეთლის ბათუმში სტუმრობის ამსახველი მასალები პირველმა მოიძია და გამოაქვეყნა. იხილეთ მისი „ნარკვევები და ჩანაწერები" ექვს ტომად, ტომი პირველი, პროფესორ იოსებ მეგრელიძის რედაქციით, გამომცემლობა „აჭარა," 1971 წ. მაშინ ამ ტომეულების საგამომცემლო რედაქტორი გახლდით. საინტერესო მასალებს მოიცავს ჰაიდარ აბაშის „შეხვედრა აკაკისთან." ძალიან მნიშვნელოვანი წერილები გამოაქვეყნეს ცნობილმა კრიტიკოსმა შოთა ქურიძემ, პროფესორმა რამაზ სურმანიძემ, შაქრო რომანაძემ, დავით ნაცვალაძემ და ბევრმა სხვამ. პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა აკაკის ძმის დავით წერეთლის აჭარაში, კერძოდ, მაჭახლის ხეობაში მოღვაწეობა და დღიურები.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს, რუსეთ-თურქეთის ომის წინ, ქართულ საზოგადოებაში გააქტიურდა სამხრეთ საქართველოს თემატიკა. განსაკუთრებით კი აჭარის დედა საქართველოსთან დაბრუნების საკითხი. გამოიკვეთა თერგდალეულთა აქტიური როლი. გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის „ოსმალეთის საქართველო," აკაკი წერეთლის „ოსმალოს საქართველო," რომლებშიც წარმოდგენილია თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მხარეების როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მას შემდეგ, რაც აჭარა დაუბრუნდა დედა საქართველოს, ილიასა და აკაკის უშუალო წინამძღოლობით, ქართველი ინტელიგენციისა და ეროვნულ მოღვაწეთა ყურადღება მთლიანად აჭარისაკენ შემობრუნდა. მათივე მზრუნველობით ბათუმში გაიხსნა (1881წ.) პირველი ქართული სკოლა, დაარსდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილება, სადაც გაიშალა მუშაობა ეროვნული ცნობიერების აღსადგენად. აქედან მოყოლებული, ილიას და აკაკის სახელები მკვიდრდება აჭარელთა ცნობიერებაში, იზრდება მათი პოპულარობა არა მარტო ბათუმში, აჭარის შორეულ სოფლებშიც კი.

მას შემდეგ, რაც აჭარაში აენთო „დედაენის" ნათელი და მომრავლდა ქართული სკოლები, აჭარელთა ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩვენი დიდი კლასიკოსების – შოთა

რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის სახელები. მათ პოპულარობას განსაკუთრებული ასპარეზი მიეცა XX საუკუნეში, როცა დაიწყო ჩვენი კლასიკოსების წიგნების მასობრივი ტირაჟებით გამოცემა. მაგონდება ჩემი ბავშვობა და 40-50 წლების მთის სოფელი. მაშინ ბიბლიოთეკები საერთოდ არ არსებობდა. საოჯახო ბიბლიოთეკებზე საუბარიც არ არის. გვქონდა მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოები. როცა მე დაწყებითი კლასის მოსწავლე ვიყავი, ჩემს ოჯახში მაშინ სახელმძღვანელოების გვერდით ორი წიგნი – ილიას და აკაკის ტომეულები იყო. მოგვიანებით გაჩნდა სხვა კლასიკოსებისა და თანამედროვე ავტორთა წიგნებიც. ჩემი უფროსი ძმა ნოდარი თავგადაკლული ლიტერატურის მოყვარული იყო და ყველა შესაძლებლობას იყენებდა ახალი წიგნების შესაძენად. მაშინ ჩვენს ოჯახში გაჩნდა სიმონ ჩიქოვანისა და ანა კალანდაძის ლექსების წიგნები. სწორედ, ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ჩემს პირველ ლექსებს აჩნდა სიმონის ლექსების ანაბეჭდი. რაც შეეხება ანას, მის პოეზიასთან შეხვედრამ და პირველმა შთაბეჭდილებამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ შემდგომში ჩემი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები მის შემოქმედებას მივუძღვენი. ისიც კარგად მახსოვს ზამთრის დიდ ღამეებში როგორ მღეროდნენ ჩემი მშობლები და და-ძმები აკაკის ლექსებს, განსაკუთრებით დამამახსოვრდა „ნათელას სიმღერა,” „სულიკო,” „საიდუმლო ბარათი.” ცხადია, მაშინ გამონაკლისი ჩემი ოჯახი არ გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ დღეს აჭარის მთავარი წიგნსაცავი – საჯარო ბიბლიოთეკა აკაკის სახელს ატარებს. ეს ბიბლიოთეკა 1902 წელს დაარსდა. 1937 წელს საჯარო ბიბლიოთეკის სტატუსი მიენიჭა და აკაკის სახელი ეწოდა. ბათუმში გვაქვს აკაკი წერეთლის ქუჩა და ამ ქუჩაზე მდებარეობს აკაკი წერეთლის სახელობის საშუალო სკოლა. აკაკის სახელს ატარებს ასევე ქობულეთის №1 სკოლაც. გასული საუკუნის 50-იან წლებში ქ. ბათუმში, საზღვაო სადგურის მიმდებარე სკვერში დაიდგა აკაკის ბიუსტი.

სამწუხაროდ, ა. აბაშიძის რეჟიმის ბოლო დღეებში, ბათუმის მაშინდელმა მერმა, სკვერის რეკონსტრუქციის მიზნით ბიუსტი აიღო და გადამალა. ვრცელდებოდა ხმები, რომ ბიუსტი აღების დროს დაიფშვნა. იყო სხვა ვერსიებიც. ამ დროს, მოვიდა მ. სააკაშვილის ძეგლებთან მებრძოლი გახრწნილი რეჟიმი. ჩემს კოლეგებთან ერთად, ვერსიების კვალდაკვალ დავიწყე ბიუსტის ძებნა, რაშიც გვაფერხებდა მერიის მაშინდელი, განახლებული შემადგენლობა. წერილიც კი გამოვაქვეყნე „ლიტერატურულ საქართველოში” სიმბოლური სათაურით – „აკაკის ბიუსტს დავეძებ, ვერ ვნახე, დაკარგულიყო.” სამწუხაროა, რომ დედაქალაქიდან ამ პუბლიკაციას არცერთი მწერალი არ

გამოეხმაურა. ხანგრძლივმა ძებნამ შეგედი გამოიღო. ბიუსტს მივაგენით ქალაქის გარეუბანში, მაშინდელი გამწვანების ტრესტის წინ, პატარა მდინარის პირას მოწყობილ სანაგვეში. სხვას ვერაფერს უწოდებ. ბიუსტი კვარცხლბეკიანად ფეხზე წამოვაყენეთ, გავწმინდეთ და დროებით ტრესტის წინ დავდგით, იმ იმედით, რომ მერია ახლა მაინც დაუბრუნებდა მას პირველ ადგილსამყოფელს. ამ საქმეში მხარში ამოგვიდგა მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე და მისი აქტივი. ბიუსტის წინ ორჯერ გავმართეთ საინფორმაციო მიტინგი. მერიის მესვეურთ მოვთხოვეთ ბიუსტის დაბრუნება საზღვაო სადგურის სკვერში. ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ მერიაში მოკალათებულმა ერთმა ნაცმა მოქალბატონემ შემოგვითვალა, სარესტავრაციოდ წავიღეთო. თუ ეს ასეა, რად აიღეს იგი შუაღამით, დაპირებულ რესტავრაციას 9 წელიწადს საშველი არ დაადგა. ბოლოს, როცა სააკაშვილის რეჟიმს წყალი შეუდგა, ბიუსტი ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე, აკაკის ქუჩაზე, №23 აკაკის სახელობის სკოლის წინ დაიდგა. ჩვენთვის ესეც მისაღები იყო.

დადგენილია, რომ აკაკი წერეთელი 4-ჯერ იყო ბათუმში – 1894 წლის 14 იანვარს, 1897 წლის 14 იანვარს, 1902 წლის 14 იანვარს და 1909 წელს. პირველი სამი ჩამოსვლა დაკავშირებული იყო ნინოობის დღესასწაულთან, რომელიც 14 იანვარს იმართებოდა. აკაკი აქ ჩამოდიოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების მოწვევითა და ნინოობის დღესასწაულთან ერთად იმართებოდა მისი საღამოებიც.

ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი ჯემალ ნოღაიდელი მაშინდელ წყაროებზე დაყრდნობით წერდა: „აკაკი 1898 წელს და 1902 წელს 14 იანვარს გამართულ საღამოებზე იხსენიება, როგორც საღამოს მონაწილე, მაგრამ შესაძლოა ეს მეტი შემოსავლისა და ეფექტის გამოწვევისათვის მოიმოქმედა საზოგადოებამ. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აკაკი ოფიციალურად 2-ჯერ იყო ბათუმში – პირველად 1909 წელს – მისი მოღვაწეობის 50 წლისთავზე გამართულ იუბილესთან დაკავშირებით.” 1898 წელს აკაკი მართლაც არ ყოფილა ბათუმში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეტი მოწვეული იყო, მაგრამ ვერ ჩამობრძანდა. საზოგადოებამ საღამოს პროგრამაში იმიტომ დააფიქსირა, რომ ხალხი მოეზიდა. უფრო გვიანდელი წყაროების მიხედვით, აკაკი ოთხჯერ ყოფილა ბათუმში, მაგრამ არა 1898 წელს. მისი ბათუმში ოთხჯერ ყოფნა დაფიქსირებულია პროფესორ ნოდარ კახიძის სტატიაში.

აქ აღარ შევჩერდები ბათუმში გამართული აკაკის საღამოების შესახებ, რადგან ამ საკითხზე სხვა მოხსენებაცაა საკონფერენციო პროგრამაში. მოკლედ ვიტყვი 1909 წელს გამართულ საღამოზე. იგი მიეძღვნა აკაკის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს, რომელიც 1908 წელს შესრულდა. ეს იუბილე აღინიშნა მსოფლიოს დიდ ქალაქებში. მაშინ არ იყო გაერო და მისი კულტურის კომისია, იუნესკოს რომ ვეძახით,

რომელიც გამოჩენილი ადამიანების იუბილეებსაც კურატორობს. ცოტა არ იყოს, დაუჯერებელიც კია აკაკის იუბილეთა სივრცე. პროფესორ გურამ შარაძეს, მონოგრაფიაში „აკაკი წერეთელი" დაფიქსირებული აქვს ის ქალაქები, სადაც აკაკის იუბილე გადაიხადეს, მათ შორისაა: პეტერბურგი, მოსკოვი, ბაქო, პარიზი, ლონდონი, ნიუ-იურკი, ვაშინგტონი, სტამბული, ევროპის კიდევ ბევრი ქალაქი. ცხადია, რომ ბათუმის საზოგადოება ამ მოვლენას უყურადღებოდ არ დატოვებდა. სწორედ, 1909 წელს ბათუმში ჩამობრძანებულ დიდ პოეტს რკინიგზის სადგურში მგზნებარე შეხვედრა მოუწყვეს. პოეტი ყვავილებით მორთულ ეტლში ჩააბრძანეს, ეტლიდან ცხენები აუშვეს, ჩვენი ქალ-ვაჟები შეებენ და აკაკი საკრებულოში მოაბრძანეს. მე ვიცნობდი ერთ-ერთ მონაწილეს, რომელიც ეტლში შეება. ეს იყო ბათუმელი პროვიზორი საშა თიროშვილი, რომელიც მაშინ 13 წლის ყოფილა, იგი მეგობრობდა ჰაიდარ აბაშიძესა და პარმენ ლორიასთან. მე იგი ბატონმა პარმენმა გამაცნო და მქონდა საშუალება უშუალოდ მისგან მომესმინა აკაკის ბათუმში სტუმრობისა და ეტლში შებმის ამბავი.

როგორც გითხარით, აკაკი ოთხჯერ იყო ბათუმში, მაგრამ დღემდე არ ვიცოდი სად ჩერდებოდა იგი. პროფესორმა რამაზ სურმანიძემ მოიკვლია აკაკის ბათუმური მისამართი და გამოაქვეყნა გაზეთ „აჭარაში." ამაზე აღარ შევჩერდები, რადგან ჩვენი კონფერენციის პროგრამაში ეს მოხსენებაცაა დაგეგმილი.

საყურადღებოა, ასევე, 1979 წელს ჟურნალ „განთიადის" მე-4 ნომერში დაბეჭდილი მისი „ფიქრები ძველ საფლავთან." აქაც საინტერესო მიგნებებთან გვაქვს საქმე. მოკვლეული მასალებით დგინდება, რომ დიდი მამულიშვილის სელიმ ხიმშიაშვილის შვილიშვილის ესმა ხიმშიაშვილის დეიდა ლისა აკაკის ბებია იყო დედის მხრით. ესმა აბდის ასული ხიმშიაშვილი გათხოვილი ყოფილა ოდიშის მთავარ ოტია ჯაიანზე, რომელიც გურიის 1841 წლის აჯანყების დროს დაიღუპა. ოტიას ქვრივი სიცოცხლის ბოლო წლებში ქუთაისში ცხოვრობდა. გარდაიცვალა 1893 წელს. დაკრძალულია ე.წ. გაღმა ქუთაისში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, პოეტ მამია გურიელის საფლავის გვერდით. არ არის გამორიცხული აკაკის ნაცნობობა და სტუმრობა, როგორც მისი ბებიის ახლო ნათესავთან. მით უმეტეს, ესმა ქუთაისში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს ჯერ კიდევ საკვლევი თემაა და ჩემი ქუთაისელი კოლეგები თუ დაინტერესდებიან, კარგი იქნება.

მნიშვნელოვანი მოგონებები დაგვიტოვეს აკაკის შესახებ ჰაიდარ აბაშიძემ, დავით კლდიაშვილმა და გრიგოლ ვოლსკიმ. 22 წლის ჰაიდარ აბაშიძე ქუთაისში ჩავიდა აკაკის იუბილეზე დასასწრებად, როცა აკაკიმ გაიგო ეს, სცენაზე სკამი მოატანინა და ჰაიდარი მის გვერდით დასვა. ეს მრავლისმთქმელი ფაქტია. აჭარელი გულო კაიკაციშვილის სიტყვა აკაკის კუბოსთან, მჭერმეტყველების ნიმუშად იყო მიჩნეული. გთავაზობთ მცირე

ამონარიდს: „გევედრები, დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალით და ერთი ხელით სანთელი ჩვენკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვადგინოთ ჩვენი დედა-ენა, გვიხსნან იმ გაჭირვებისაგან, რომელშიც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით. აღარ შეგაწუხებ. გაცხონოს ღმერთმან... და ვისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გამოჩენოდეს საქართველოს, განათლებულს, შენგან ანთებული ჟინჟღლით".

გამოყენებული ლიტერატურა:

ზოიძე შ., „ნათელი დაუღამებელი," გაზ. „აჭარა", 27 ოქტომბერი, 1990.

რომანაძე შ., „ლეღველი კაცი დიდი აკაკის ოჯახში," გაზ. „აჭარა", 12 ივნისი, 2003.

სურმანიძე რ., „აკაკის ბათუმური მისამართი", გაზ. „აჭარა", 27 ოქტომბერი, 1990.

სურმანიძე რ., „ფიქრები ძველ საფლავთან," კრებული „ხიმშიაშვილები," 2003, გვ. 452.

ქურიძე შ., „აკაკი და აჭარა," გაზ. „საბჭოთა აჭარა," 27 ნოემბერი, 1960.

წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოები ხუთ ტომად, IV, 1990.

წერეთელი ა., „1840-1940 – აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავი", გაზ. „საბჭოთა აჭარა," 21-23 ივნისი, 1940.

Шота Зоидзе (Батуми, Грузия)

Акаки Церетели в Аджарии

Резюме

Тема Акаки Церетели в Аджарии означает не только приезда в Аджарии великого поэта, а как чувствует себе его имя и творчество в нашей краю, это тогда, когда ещё при жизни считали его ходящим Богом на земле.

Имя Акакия Церетели в нашем краю было превознесено лишь после того, как Аджария было возвращено к своей матери – Родине и классиков стали печатать большим тиражом.

ოთარ თურმანიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორია

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა დაარსდა 1958 წლის ივლისში და მისი ლიკვიდაცია მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლიდან 8 წლის შემდეგ (1999 წ.). ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორია პირობითად შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი მოიცავს 1958-1970 წლებს, როდესაც მიმდინარეობდა ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, საწარმოო პერსონალის ფორმირება, პროგრამით გათვალისწინებული პროდუქციის ათვისება, მმართველობის სტრუქტურების, გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, საყოფაცხოვრებო ობიექტებისა და საბინაო ფონდის შექმნა. ეს იყო ძალზე რთული პერიოდი ქარხნის ისტორიაში.

მეორე პერიოდი, რომელიც 1971-1990 წლებს მოიცავს, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორიაში თავისი მასშტაბებით ძირითადი იყო. ამ ეტაპზე განხორციელდა ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განვითარება და საწარმოო პროცესების სრულყოფა, საკავშირო მასშტაბით ინტეგრაციისა და კოოპერაციის გაფართოება, საერთო და სამრეწველო პერსონალის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ზრდა, პროდუქციის მოცულობის, მისი ასორტიმენტის, ფულადი შემოსავლების, მოგებისა და წმინდა მოგების გადიდება, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების შექმნა-გაფართოება.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორიის მესამე ეტაპი დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წ.) და დასრულდა 1999 წლის აპრილ-მაისში, როდესაც საწარმოს სრული დემონტაჟი განხორციელდა. ამჟამად ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა ისტორიის კუთვნილებაა. მაგრამ მისი ისტორიის შესწავლას აქვს ისტორიულ-შემეცნებითი, ისტორიულ-საგანმანათლებლო, პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა.

თავდაპირველად ქარხანას ეწოდებოდა ელექტროტექნიკური. პროგრამის მიხედვით მას უნდა გამოეშვა ელექტროკარების ელექტრომოწყობილობა და ელექტროაპარატურა. 1958 წლის დეკემბერში შეიცვალა ქარხნის საწარმოო პროგრამა. მას დაევალა სარეცხი მანქანების, მისი სათადარიგო ნაწილების, საყოფაცხოვრებო ცენტრიფუგის გამოშვება. მათი რეალიზაცია მოხდებოდა საბჭოთა კავშირის მასშტაბით. 1968 წელს საწარმოს ეწოდა სარეცხი მანქანების ქარხანა, ხოლო 1970 წელს –

საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი და სახელწოდება შემორჩა ბოლომდე.

ქარხანა განთავსდა ბათუმის დასახლება ბენზეში, აჭარის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გრეხილი ავეჯის საამქროს შენობაში, რომელიც შეარჩიეს ახალგახსნილი საწარმოსთვის. მაგრამ იგი იყო მცირე მოცულობის და ნაკლებად გამოსადეგი. 1958 წელი მოსამზადებელი იყო ქარხნის ამოქმედებისათვის. გეგმის მიხედვით პირველ წელს ქარხნის საერთო პერსონალი განისაზღვრა 43 კაცის რაოდენობით. მათ შორის: 30 მუშა, 2 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, დანარჩენი – მოსამსახურეები. მაგრამ, ფაქტობრივად, ქარხნის საერთო პერსონალი 5 კაცს ითვლიდა, რომელიც ძირითადად ადმინისტრაციულ აპარატს შეადგენდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 6, ფურც. 14; ს. 24, ფურც. 35].***

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის პირველი დირექტორი იყო ასლან ბერიძე, 1960-1970 და 1984-1991 წლებში – ასლან ხარაზი, 1971-1983 წლებში – ა. ბაღათურია, 1974-1975 წლებში – ნოდარ ყურშუბაძე, 1976-1983 წლებში – ავთანდილ ცხადაძე. ქარხნის პირველმა ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-ტექნიკური და საკადრო ღონისძიებები განახორციელა. მათი ენერგიული მუშაობის შედეგად მოეწყო საამქროები და საწარმოო უბნები, დაიდგა დაზგა-მოწყობილობანი, შეიქმნა სამუშაო ადგილები და სხვა.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის კოლექტივის ორგანიზაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები: პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული კომიტეტები. ქარხნის კოლექტივის გაზრდის შედეგად შეიქმნა ამ ორგანიზაციების განთავისუფლებული ხელმძღვანელები თავიანთი აპარატით. საწარმოში პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების შექმნით განხორციელდა მუშა-მოსამსახურეთა ზედმეტი პოლიტიზება და იდეოლოგიზება. დღევანდელი გადასახედიდან ისინი მუშა-მოსამსახურეებისათვის მომაბეზრებელი და ზედმეტი დატვირთვა იყო.

პროფკავშირების საქარხნო კომიტეტი მრავალმხრივ სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით ქარხანაში წარმატებით მუშაობდა მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი, რომლის წევრების უმრავლესობას მუშები შეადგენდნენ. სავალდებულოდ ითვლებოდა მისი თავმჯდომარე ასევე მუშა ყოფილიყო. პროფკავშირების საქარხნო კომიტეტთან შექმნილი იყო ამხანაგური სასამართლო, ურთიერთდამხმარე სალარო, საიდანაც მის წევრებს შეეძლოთ მიეღოთ ერთდროული ფულადი დახმარება, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები. ქარხანას მუშა-მოსამსახურეები ამ უფლებით სისტემატურად სარგებლობდნენ.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის პროფკავშირის კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობდა სპორტულ ღონისძიებებს, წარმართავდა სოციალურ-კულტურულ მუშაობას, იცავდა მუშა-მოსამსახურეთა კანონიერ უფლებებს, ყოველწლიურად აფორმებდა კოლექტიურ ხელშეკრულებას საწარმოს ადმინისტრაციასთან, რომელშიც მოცემული იყო ორმხრივი ვალდებულებები და მისი შესრულებისათვის განსაკუთრებულ კონტროლს ახორციელებდა.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პროფკავშირების საქარხნო კომიტეტის მუშაობა მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. შრომის დაცვასა და ტექნიკის უსაფრთხოებაზე 1972 წელს დაიხარჯა 15 000 მანეთი, 1973 წელს – 20.000 მანეთზე მეტი ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 6, ფურც. 14; ს. 24, ფურც. 35].***

მომდევნო წლებში ამ მიმართებით ასიგნებანი კიდევ მეტად გაიზარდა. მუშა-მოსამსახურეებს უფასოდ და შეღავათიან პირობებში აძლევდნენ დასვენებისა და მკურნალობისათვის საგზურებს. მაგალითად, 1973 წელს 43 ასეთი საგზური გაიცა. 1976 წელს 100 ბავშვი დასვენების მიზნით გაიგზავნა კურორტებზე (ბეშუმი, ქვიშხეთი, ქობულეთი, მანგლისი და სხვა) ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 319, ფურც. 29; ს. 401, ფურც. 38].***

პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის ხელმძღვანელობით საინტერესო ღონისძიებები ტარდებოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიმართულებით. მარტო 1975 წელს ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში მოამზადეს 145 სპორტის თანრიგოსანი (პირველი, მეორე და მესამე თანრიგოსანი). წარმატებით მუშაობდა ქარხნის ფეხბურთის, ჩოგბურთისა და კალათბურთის გუნდები . ისინი სისტემატურად გამოდიოდნენ ადგილობრივ და საქართველოს ოლიმპიადებში. მაგალითად, 1975 წელს ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის სპორტსმენებმა მესამე ადგილი დაიკავეს საქართველოს რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. წარმატებით მუშაობდა 13 კაციანი ვოკალური ჯგუფი, რომელიც სისტემატურად მართავდა კონცერტებს ბათუმსა და მის შემოგარენში, აგრეთვე მოსკოვში, ოდესაში, რიგაში, ერევანში დ სხვა ადგილებში. ასევე სისტემატურად ეწყობოდა ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები. მათ შორის ისეთ ადგილებში, როგორიცაა ახალი ათონი, ხევსურეთი, ჯუმათი, ცისკარა, აღმოსავლეთი საქართველოს ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 319, ფურც. 29; ს. 401, ფურც. 38).***

საწარმოო ფართის სიმცირისა და პერსონალის მცირერიცხოვნობის გამო ქარხანაში 1959-1961 წლებში მხოლოდ საწარმოო უბნები მოეწყო (საშემდუღებლო, სამჭედლო-საჩამომსხმელო, დამამზადებელი, სამღებრო-საამწყობო, საინსტრუმენტო), აგრეთვე ცენტრალური და სატარო საწყობები.

ქარხნის საერთო ფართობს 4465 კვმ ეკავა, აქედან საწარმოო ფართობს – 2905 კვმ ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 50, ფურც. 2].***

ბათუმის ელექტროტექნიკურმა ქარხანამ პირველი სამრეწველო პროდუქცია – სარეცხი მანქანა სახელწოდებით „ბათუმი – 59“, სულ 767 ცალი 1959 წელს გამოუშვა. საერთო პროდუქციამ 80 ათასი მანეთი შეადგინა (ყველგან ფულის 1961 წლის მასშტაბით). მაშინ ქარხნის პერსონალის საშუალო წლიური რაოდენობა 64 კაცს ითვლიდა (35 მუშა, 15 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და 9 მოსამსახურე). წლის ბოლოს ქარხანაში სამრეწველო-საწარმოო პერსონალი 100 კაცს შეადგენდა. ეს იყო საწარმოს კოლექტივის პირველი წარმატება. თუმცა სარეცხი მანქანების წარმოების გეგმა ვერ შეასრულა, ხოლო ცენტრიფუგი საერთოდ ვერ გამოუშვა ნედლეულისა და მასალების მიუწოდებლობის გამო ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 24, ფურც. 33, 35; ს. 41, ფურც. 21; ს. 50, ფურც. 24, 33].***

ქარხნის კოლექტივს არ აკლდა ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღება, მაგრამ წარმატებული მუშაობა ძირითადად დამოკიდებული იყო საკავშირო საგეგმო კომიტეტის, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს, ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოს შესაბამისი სამმართველოს, 1965 წლის 12 ნოემბრიდან საბჭოთა კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობაზე. მათი მიზეზით ქარხანას დროულად არ მიეწოდებოდა ნედლეული და მასალები. ხშირად იცვლებოდა საწარმოო გეგმები და შრომის ნორმატივები. 1975 წლის ცნობით ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა ნედლეულს, მაკომპლექტებელ მასალებს და სხვა ფონდირებული გეგმით იღებდა საბჭოთა კავშირის 33 საწარმოდან. მათ შორის აღსანიშნავია მოსკოვის, ლენინგრადის, დნეპროპეტროვსკის, ომსკის, ურალის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ერევნის, ვლადიმირის, ორლოვის და სხვა საწარმოები ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 390, ფურც. 27-29].***

წარმოების მეორე წელსაც ქარხანაში სარეცხი მანქანების აწყობა ხდებოდა, რომლის ნაწილები ისევ რიგიდან (ლატვია) შემოჰქონდათ. სერიოზული პრობლემა იყო ნორმალური საწარმოო კორპუსების არ არსებობა. ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო, რომელსაც ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა ექვემდებარებოდა, საჭირო რაოდენობის ფინანსებს არ გამოყოფდა ქარხნის საწარმოო კორპუსების, ადმინისტრაციული და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის. მართალია, 1959 წელს დაიწყო ქარხნის საწარმოო კორპუსების მშენებლობა, მაგრამ იგი დიდხანს გაიწელა. 1959 წელს დაიხარჯა 277 ათასი მანეთი, 1960 წელს – 312,4 ათასი, ხოლო 1961-1965 წლებში – 1390 ათასი მანეთი. ქარხანას აშენებდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს №5

ტრესტი (ქ. ბათუმი). 1965 წელს ექსპლოატაციაში გადაეცა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ძირითადი საწარმოო კორპუსები, მაგრამ იგი უხარისხოდ ააშენეს და წარმოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ნაკლებად გამოსადეგი იყო. ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის მშენებლობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. ამისათვის 1966-1970 წლებში 941 ათასი მანეთი დაიხარჯა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 50, ფურც. 2; ასსდმ].***

ახალ კორპუსებში განთავსდა საამქროები და უბნები, გაიზარდა მათი რაოდენობა და ტექნიკური აღჭურვა. 1970 წელს ქარხანაში ითვლებოდა 2 საამქრო და 7 საწარმოო უბანი. მათ შორის 1966-1970 წლებში მოეწყო გალვანური და №2 საამწყობო საამქროები, საზეინკლო, პლასტმასის, ხისდამმუშავებელი, ფართო მოხმარების საქონლის უბნები. 60-იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელდა ქარხნის ტექნიკური გადაიარაღება. ამის შედეგად 1970 წელს ქარხანაში ითვლებოდა 552 ერთეული ტექნიკური დანადგარი და მოწყობილობა. მათ შორის 193 ლითონსაჭრელი ჩარხი, 106 ცალი სამჭედლო-საწნეხი, 113 ერთეული ენერგეტიკული მოწყობილობა და სხვ. ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 265, ფურც. 4; ს. 278, ფურც. 10].***

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობასთან ერთად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ქარხნის საკადრო კორპუსის ფორმირებისათვის, რომელშიც შედიოდა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშები, მოსამსახურეები. ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი დასაქმებული იყო სამმართველო აპარატში, განყოფილებებში, საამქროებსა და საწარმოო უბნებში, ქარხანაში 1959-1960 წლებში სამი განყოფილება არსებობდა (საგეგმო-ეკონომიკური, საბუხჰალტრო, შრომისა და ხელფასის). 1961 წელს შეიქმნა კადრების, მომდევნო წლებში – მომარაგების, საკონსტრუქტორო, ტექნიკური კონტროლისა და მთავარი მექანიკოსის განყოფილებები.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის კადრების შემადგენლობა 1960-1970 წლებში მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 1) ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 47, 147, 278].***

ცხრილი 1

მაჩვენებლები	**1960 წ.**	**1961 წ.**	**1965 წ.**	**1970 წ.**
სამრეწველო-საწარმოო პერსონალი	171	250	582	887
მათ შორის:				
მუშები	120	189	443	688
მოსწავლეები	–	7	12	–

ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი	25	29	77	125
მოსამსახურეები	–	16	42	–
უმცროსი მომსახურე პერსონალი	–	4	4	–

1960-1970 წლებში ქარხნის საწარმოო სამრეწველო პერსონალის რაოდენობა 3,4-ჯერ, მუშების – 3,7-ჯერ, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა – 5-ჯერ გაიზარდა. 1970 წლისათვის ქარხანას ჰყავდა სტაბილური ინჟინერ-ტექნიკური კადრები და მოსამსახურეები.

ქარხნის საწარმოო საქმიანობაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მუშათა ძირითადი პერსონალი – ზეინკლები, ხარატები, მგლინავები, ელექტროშემდუღებლები და სხვები. მუშათა მეორე კატეგორია დამხმარე იყო, მაგრამ რიცხობრივად აღემატებოდა მუშათა საწარმოო მასას. მაგალითად, 1968 წელს დამხმარე მუშა იყო 642 კაცი, ხოლო 1969 წელს – 696. მუშათა კადრების მოძიების, დასაქმების, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ქარხანაში 1959 წლიდან მუშაობდა საწარმოო ტექნიკური კურსები. გამოიყენებოდა სწავლების ინდივიდუალური ფორმაც. მაგალითად, 1964-1965 წლებში მოამზადეს 122 მუშათა კადრი, კვალიფიკაცია აიმაღლა 412, ხოლო მეორე პროფესია შეისწავლა 53 მუშამ ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 147, ფურც. 21; ს. 278, ფურც. 91].*** მეტნაკლებად ასე იყო მომდევნო წლებშიც.

მუშათა ახალი კადრების მომზადება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება, მეორე პროფესიის ათვისება განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. მათ შორის ძირითადი იყო მუშათა დენადობა, ახალი პროდუქციის ათვისება, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების განახლება. ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში 1961 წელს სამუშაოზე მიიღეს 62 კაცი, დაითხოვეს – 53, 1962 წელს ამ მახასიათებელმა 192 და 163 ერთეული შეადგინა, 1965 წელს – 435 და 273, 1969 წელს – 563 და 465, ხოლო 1970 წელს – 431 და 585 ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 147, ფურც. 60; ს. 278, ფურც. 9].***

მუშათა დენადობის ძირითადი მიზეზი იყო არანორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, დაბალი შრომის ანაზღაურება, საუწყებო სამგზავრო ტრანსპორტის არ არსებობა, ახალგაზრდების ჯარში გაწვევა, სასწავლებელში წასვლა და სხვა. ქარხანას არ გააჩნდა მუშათა საერთო საცხოვრებელი. მუშების ნაწილს კი საკუთარი საცხოვრებელი ბინა არ ჰქონდა. ქარხნის კოლექტივისათვის პირველი 15 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 1959 წელს დაიწყო, მოგვიანებით – მეორე (36 ბინიანი). მათი ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ, 1965 წელს, ქარხანას გააჩნდა ორი საუწყებო საცხოვრებელი სახლი 51 ბინით. მაგრამ ნაწილში ქარხნიდან დათხოვილი მუშა-მოსამსახურეები და სხვები ცხოვრობდნენ (19 ბინაში). 1965 წელს ბათუმის საყოფაც-

ხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისათვის საბინაო საკითხი გადაუჭრელი იყო. 1966 წელს დაიწყო მესამე 48 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მისი ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ რამდენადმე გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობები. მიუხედავად ამისა 1970 წელს ქარხნის 114 მომუშავე უბინაო იყო ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 50, ფურც. 36; ს. 278, ფურც. 9].***

მუშათა შრომის ანაზღაურება მცირე იყო, რაც უარყოფითად მოქმედებდა კადრების მოზიდვასა და სტაბილურობაზე. 1961 წელს ქარხნის მუშათა საშუალო თვიური ხელფასი 80 მანეთსა და 50 კაპიკს შეადგენდა, ხოლო 1970 წელს – 107 მანეთს. ზოგიერთ წლებში ამ მაჩვენებელზე ოდნავ მეტი იყო (1969 წელს), მაგრამ იგი არ ცვლიდა საერთო ვითარებას.

1959-1970 წლებში ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ძირითადი პროდუქცია სარეცხი მანქანა იყო. 1962 წლიდან ადგილზე აწარმოებდნენ სარეცხი მანქანის დეტალებსა და კვანძებს. 1965 წელს ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში დაიწყეს სარეცხი მანქანის „თოლია“ სერიული გამოშვება. მომდევნო წელს სარეცხი მანქანა „ბათუმი – 59“ წარმოებიდან მოიხსნა, მხოლოდ „თოლიას“ ტიპის სარეცხი მანქანა გამოდიოდა. 1959-1971 წწ. ქარხანამ მომხმარებელს მიაწოდა 841 571 ცალი სარეცხი მანქანა. ამ რაოდენობიდან 1960 წელს – 4807 ცალი, 1965 წელს – 61571, 1969 წელს – 159740, 1970 წელს – 13362 ცალი, ხოლო 1971 წ. 40200 ცალამდე შემცირდა. 1972 წლიდან ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში სარეცხი მანქანების წარმოება მთლიანად შეწყდა. იგი მოიხსნა წარმოებიდან ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 289, ფურც. 37-38; ს. 306, ფურც. 2].***

ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ბათუმური სარეცხი მანქანები უხარისხო აღმოჩნდა, ცუდად საღდებოდა და მომხმარებლის უკმაყოფილებას იწვევდა. ამის გამო ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენმა ქარხანამ არაერთხელ მიიღო რეკლამაცია და მნიშვნელოვანი ოდენობის ჯარიმა გადაიხადა. მაგალითად, 1964 წელს ქარხანამ სავაჭრო ორგანიზაციების სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადა 7983 მანეთი, 1965 წლს – 10340 მანეთი. ამ უკანასკნელ წელს ფიზიკურ პირებს, ვინც შეისყიდა ბათუმური სარეცხი მანქანა და დეფექტური აღმოჩნდა, ჯარიმის სახით გადაუხადა 60000 მანეთი. მეტ-ნაკლებად ანალოგიური ვითარება იყო მომდევნო წლებშიც. 1976 წელს ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენმა ქარხანამ 80 რეკლამაცია მიიღო ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 147, ფურც. 6; ს. 278, ფურც. 7].*** ქარხნის საწყობები დაწუნებული უკანდაბრუნებული პროდუქციით გაივსო, რაც წარმოების განვითარების შემაფერხებელი გახდა.

ანალოგიური ვითარება იყო კავშირის მასშტაბით. 1971 წლისათვის საბჭოთა კავშირში 28 ქარხანა სპეციალიზებული იყო სარეცხი მანქანების წარმოებაზე. ისინი წლიურად 5 მილიონ ცალამდე სარეცხ მანქანას უშვებდნენ, მაგრამ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა დაბალი იყო და ცუდად საღდებოდა. 1972 წელს 12 ქარხანაში შეწყდა სარეცხი მანქანების წარმოება და მათ რიგში აღმოჩნდა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 289, ფურც. 49].***

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა 60-იან წლებში ნედლეულითა და მაკომპლექტებელი მასალებით ცუდად მარაგდებოდა. ფონდირებულ მასალებს წლის მესამე და მეოთხე კვარტლებში იღებდა, რის გამო საწარმოო გეგმას ვერ ასრულებდა. მასალებისა და ნედლეულის არარითმული მოწოდებისა და მათი დეფექტურობის შესახებ ხაზგასმითაა აღნიშნული ქარხნის ანგარიშებსა და სხვა მასალებში. დეფექტურ და უხარისხო მაკომპლექტებელ მასალებს იღებდა თბილისის, ერევნის, ქუთაისის, ფოთის და სხვა საწარმოებიდან. ცხადია, მხოლოდ ამით არ აიხსნება ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის უხარისხო და დაბალი კონკურენტუნარიანი სარეცხი მანქანების გამოშვება. ამ საქმეში ქარხნის კოლექტივს, პირველ რიგში, ხელმძღვანელობასა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს ეკისრებათ თავისი წილი პასუხისმგებლობა.

მართალია, 1959-1970 წლებში ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ძირითადი პროდუქცია სარეცხი მანქანა იყო. ამ მიმართულებით სპეციალიზაციის დონე 1961 წელს 99,3%-ს შეადგენდა. მაგრამ მომდევნო წლებში დაიწყეს ახალი სახეობის პროდუქციის სერიული წარმოება და ასორტიმენტიც გაიზარდა. მაგალითად, 1962 წლიდან დაიწყო სარეცხი მანქანის სათადარიგო ნაწილების გამოშვება, 1963 წლიდან – ვენტილაციის. ამავე წელს მიმდინარეობდა საცდელი სამუშაოები სამრეწველო მტვერსასრუტების წარმოებისათვის, რომლის სერიული გამოშვება 1967 წელს განხორციელდა. ვენტილატორის წარმოება 1964 წელს შეწყდა, რადგან გასაღების ბაზარი არ გამოინახა. რაც შეეხება სარეცხი მანქანის სათადარიგო ნაწილებს, მისი წარმოება 1964 წელს 40,8 ათასი მანეთიდან 1965 წელს – 55,7 ათას, 1966 წელს – 88,2 ათას, 1969 წელს – 124 ათას, ხოლო 1970 წელს – 212,9 ათასამდე გაიზარდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 147, 186, 265, 278].*** მნიშვნელოვნად გაიზარდა მტვერსასრუტის „აჭარა“ წარმოება, რადგან მასზე დიდი მოთხოვნილება იყო. 1969 წელს დაამზადეს 1223 ცალი მტვერსასრუტი, ხოლო 1970 წელს – 3430 ცალი. თუმცა საკავშირო პროგრამა ითვალისწინებდა 4000 ცალი მტვერსასრუტის გამოშვებას, მაგრამ არასაკმარისი მასალების გამო გეგმა ვერ შეასრულეს.

ბათუმურ მტვერსასრუტებს ყიდულობდნენ საბჭოთა კავშირის სასტუმროები, თეატრები, წარმოება-დაწესებულებები. იგი გასაყიდად გადიოდა საფრანგეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ვიეტნამში, იემენში, მონღოლეთში, ჩრდილოეთ კორეასა და სხვა ქვეყნებში. თუმცა აჭარაში მტვერსასრუტებზე დიდი მოთხოვნილება არ ყოფილა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 265, ფურც. 22; ს. 278, ფურც. 1; ს. 362, ფურც. 45-46].***

საყოფაცხოვრებო ცენტრიფუგის წარმოება, რომელიც ერთ-ერთ ძირითად პროდუქციად ითვლებოდა საწარმოო პროგრამის მიხედვით, ქარხანამ ვერ უზრუნველყო, რადგან არ მიეწოდებოდა საჭირო მასალები (უჟანგავი ფოლადი). 1961 წელს პირველად დამზადდა 13 ცალი ცენტრიფუგი, გეგმით გათვალისწინებული 4000 ერთეულის ნაცვლად. გეგმები მომდევნო წლებშიც არ შესრულდა. 1964 წელს დაამზადეს 107 ცალი ცენტრიფუგი, 1966 წელს – 3000 ცალი, სხვა წლებში საერთოდ ვერ აწარმოეს ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 50, 147].*** ქარხანა აწარმოებდა საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების საქონელს (ალუმინის თეფშები, ფოლადის კოვზები, ლანგარი, საფერფლე და სხვა).

სიძნელეებისა და პრობლემების მიუხედავად, რაც მეტწილად ხელოვნურად იყო შექმნილი. ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენმა ქარხანამ მნიშვნელოვნად გაზარდა საერთო და სასაქონლო პროდუქცია, მოგება და წმინდა მოგება. ქარხნის ფინანსური შემოსავლის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი მე-2 (ათას მანეთობით) ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 41, ფურც. 4; ს. 147, ფურც. 1; ს. 285, ფურც. 2].***

ცხრილი 2

მაჩვენებლები	1960 წ.	1965 წ.	1970 წ.
საერთო პროდუქცია	502,2	5202	8855
სასაქონლო პროდუქცია	453,0	4666	8688
პროდუქციის რეალიზაცია	–	–	8455

1967 წლამდე საწარმოთა სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის მთავარი შედეგები აისახებოდა საერთო პროდუქციაში. ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხნის პროდუქცია 1960-1970 წლებში 17,6-ჯერ გაიზარდა. აქედან 1960-1965 წლებში – 10-ჯერ და მეტად, ხოლო 1965-1970 წლებში – 1,7-ჯერ. სასაქონლო პროდუქციის მაჩვენებელი ნაკლები იყო საერთო პროდუქციაზე, რამდენადაც ამ უკანასკნელში შედიოდა აგრეთვე საქარხნო სამუშაოები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა თანდათანობით გადიოდა დაგეგმვისა და

ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე, რომლის დროსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა პროდუქციის საქონლიანობის დონეს და რეალიზაციის მაჩვენებელს, მოგებასა და წმინდა მოგებას, მატერიალურ დაინტერესებას.

60-იანი წლების მეორე ნახევარში ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა რენტაბელური საწარმო იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რასაც მოწმობს მომუშავეთა გამომუშავების ზრდის მაჩვენებლები. 1960 წელს მომუშავეთა საშუალო წლიური გამომუშავება 2934 მანეთს, 1961 წელს – 5280, ხოლო 1965 წელს 11743 მანეთს უდრიდა. 1970 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 10335 მანეთამდე შემცირდა, მაგრამ 1960 წლის მახასიათებელს მაინც 3,5-ჯერ და მეტად აღემატებოდა. 1965-1969 წლებში საწარმოს მოგება 134,6 ათასი მანეთიდან 1188 ათას მანეთამდე გაზარდა (1970 წელს საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის გამო 413 ათასამდე შემცირდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 41, 47, 147, 278, 289]***. შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნოვატორებმა – გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა.

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებაში გაერთიანებული იყვნენ ამ საქმით დაინტერესებული მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. 60-იან წლებში ქარხნის რაციონალიზატორთა რაოდენობა 35-დან 51-მდე აღწევდა, რომლებსაც ყოველწლიურად საშუალოდ 45-68 წინადადება შეჰქონდათ და უმეტესი მათგანი წარმოებაში ინერგებოდა, უკუგებაც მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, 1960 წელს მიღებული 54 რაციონალიზატორული წინადადებიდან წარმოებაში დაინერგა 37, რომლის ეკონომიკური ეფექტიანობა 11086 მანეთს შეადგენდა. 1964 წელს დაინერგა 36 რაციონალიზატორული წინადადება, რომლის ეკონომიკური სარგებელი 102,5 ათას მანეთს უდრიდა. 1965 წელს ქარხნის რაციონალიზატორებმა შეიმუშავეს 59 წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 41, ხოლო ეკონომიკური უკუგება 200 ათას მანეთს უდრიდა, 1966-1970 წლებში რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადების დანერგვის შედეგად მიღებულია 321,8 ათასი მანეთი ***[აცსა, ფ. რ-394, ან. 1, სს. 37, 47, 67, 71, 86, 88, 114]***.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ნაყოფიერი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგიური პროცესები, დაამზადეს ახალი დეტალები და კვანძები, დაიდგა ავტომატიზებული ხაზები, რამაც ხელით შრომა შეამცირა. ძვირად ღირებული ლითონის მასალები იაფფასიანი პლასტმასით შეიცვალა და სხვა.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში ნოვატორთა შორის გამოირჩეოდნენ ე. ხაზანზუნი, გ. არუთინიანი, ს. სამადაშვილი, ბ. ეგიზაროვი და სხვები. ეფიმ ნატანისძე ხაზან-ზუნი ადრე ელექტრომექანიკურ ქარხანაში მუშაობდა იქაც

წარმატებული რაციონალიზატორი იყო. 1963 წელს სამუშაოდ გადავიდა ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში და განაგრძო ნოვატორული საქმიანობა. მისი წინადადებით შეიქმნა რეზინის ნაწილებად საჭრელი სპეციალური მანქანა და სარეცხი მანქანის ძრავის ახალი კონსტრუქციის სამაგრი. შეიცვალა კონდენსატორის ნაწილები და განხორციელდა ერთ-ერთი დაზგის ავტომატიზაცია და სხვა. ე. ხაზანზუნის მიერ 1960-1967 წლებში შემუშავებული რაციონალიზატორული წინადადებების წლიური მოგება 191,1 ათას მანეთს აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ სარეცხი მანქანის რეზინის ნაწილების დასამზადებელი სპეციალური მოწყობილობის შექმნით საწარმო ყოველწლიურად 65,2 ათას მანეთს იღებდა. ამ მიღწევების გამო ე. ხაზანზუნს 1966 წელს მიანიჭეს აჭარის, ხოლო 1969 წელს – საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება.

ნოვატორულ საქმიანობაში თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა სერგო ილიასძე სამადაშვილს, რომელმაც 1964-1967 წლებში 8 რაციონალური წინადადება შეიმუშავა. მათი დანერგვის შედეგად შეიცვალა სარეცხი მანქანის ნაწილები, რითაც საწარმომ 40816 მანეთი წლიური მოგება მიიღო. ამ მიღწევების გამო მას 1967 წელს მიანიჭეს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება. შესანიშნავი წარმატებები ჰქონდა ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილეს გრანტი გიორგისძე არუთინიანს, რომელიც 1969 წელს აჭარის დამსახურებული რაციონალიზატორი გახდა. მის მიერ 1962-1965 წლებში შემუშავებული რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად მიღებული ყოველწლიური მოგება 77,6 ათას მანეთს უდრიდა ***[თურმანიძე, 2005: 350-351].***

XX საუკუნის 70-იან წლებში ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში დამაკმაყოფილებელი ვითარება იყო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პერსონალის თვისებრივ რაოდენობრივი შემადგენლობით. მაგრამ ქარხნის გაფართოება, ტექნიკური გადაიარაღება, საკავშირო მასშტაბით კოოპერაციის გაფართოება, სამრეწველო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება, წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება მუდმივი პროცესი იყო და ამ მიმართებით 70-80-იან წლებში არაერთი ღონისძიება განხორციელდა. 1971-1975 წლებში ექსპლოატაციაში შევიდა მომინანქრების საამქრო, სახარატო უბანი გაზქურის მილის დასამუშავებლად, მექანიკური სტელაჟი, ადმინისტრაციული შენობა, მუშა-მოსამსახურეთა კლუბი 300 ადგილით, ბავშვთა ბაღი, 70 ბინიანი საცხოვრებელი სახლი და სხვა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში ქარხანაში ააშენეს საწყობის ახალი შენობა, 81 ბინიანი საცხოვრებელი სახლი, მოეწყო ორი ტექნოლოგიური ხაზი გოფრირებული შლანგის დასამზადებლად. 1987 წელს ექსპლოატაციაში შევიდა 83 ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ახალი პროდუქციის ათვისებასთან

დაკავშირებით შეიცვალა ტექნოლოგიური მოწყობილობანი, ჩამოიწერა ფიზიკურად და მორალურად მოძველებული ტექნიკა. მარტო 1980 წელს ჩამოიწერა 80 ერთეული ტექნიკური მოწყობილობა, დაამონტაჟეს 50 ცალი ახალი. წარმოების ტექნიკური განახლება სისტემატურად მიმდინარეობდა. 1985 წელს ჩამოიწერა 34 ცალი ტექნიკური მოწყობილობა, ხოლო დაიდგა 74 ერთეული. 1985 წლის ბოლოს ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში ითვლებოდა 542 ერთეული მექანიკურ-ენერგეტიკული მოწყობილობა. მათ შორის: 156 ლითონსაჭრელი ჩარხი და 107 სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობა და სხვა.

ტექნიკური გადაიარაღების მიუხედავად, 1990 წ. ქარხნის ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილი ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი იყო. პირველი მარტისათვის 541 ცალი დანადგარისა და მოწყობილობიდან 5 წლამდე ითვლებოდა 329 (60%). 5-დან 10 წლამდე – 132 ცალი, რომელიც 50%-ით ფიზიკურად გაცვეთილი იყო); 10-დან 20 წლამდე – 59 ერთეული (ფიზიკურად გაცვეთის მაჩვენებელი – 75%); 20 და მეტი წლისა იყო 21 ცალი ტექნიკური მოწყობილობა (ფიზიკურად გაცვეთის დონე 85%).

ქარხანაში ჯერ კიდევ 60-იან წლებში შეიქმნა ავტომეურნეობა, რომელიც 70-80-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1987 წლისათვის საწარმოში ითვლებოდა 41 ავტომანქანა. მათ შორის: სატვირთო, თვითმცლელი, სამგზავრო ავტომობილები, ავტოფურგუნი, ავტომტვირთავი, ექსკავატორი, ელექტროკარი და სხვა. ამ დარგში დასაქმებული იყო 50 კაცი (48 მუშა და 2 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი) ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 593, 737, 781, 801].*** ცხადია, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ტექნიკური განახლება, ახალი თაობის მანქანა-დანადგარებითა და მოწყობილობით აღჭურვა აუცილებლობას წარმოადგენდა, მაგრამ შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო საწარმოს პერსპექტივა უიმედოდ ჩანდა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და პროდუქციის მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქარხნის სამმართველო სტრუქტურებმა. 1975 წელს ამ სტრუქტურებში დასაქმებული იყო 158 კაცი. დირექტორის, მთავარი ინჟინრისა და დირექტორის მოადგილის გარდა ქარხანაში იყო სამი უფროსი ინჟინერი (წარმოების, უსაფრთხო ტექნიკისა და მშენებლობის დარგებში), სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი, იურიდიული კონსულტანტი, არქივის გამგე, ინსტრუქტორი ფიზიკურ მომზადებაში. 11 განყოფილება და სამსახური 104 საშტატო ერთეულით. მათ შორის ცენტრალური ლაბორატორია და სამეურნეო ნაწილი, კანცელარია. ქარხანაში მოქმედებდა 8 საამქრო და საწარმოო უბანი (4 საამქრო და ამდენივე უბანი) 44 საშტატო ერთეულით ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 390, ფურც. 47].***

მომდევნო წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მართვის სტრუქტურებმა ახალი ცვლილებები განიცადეს. 1990 წლის დასაწყისში ქარხნის ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების შტატი 188 ერთეულით განისაზღვრა. შეიქმნა დირექტორისა და მთავარი ინჟინრის მოადგილეების თანამდებობები. 1988 წლიდან ქარხნის დირექტორს ჰყავდა ოთხი მოადგილე (საერთო საკითხებში, ხარისხის, წარმოებისა და მშენებლობის დარგებში). ქარხანაში არსებობდა დირექტორზე უშუალოდ დაქვემდებარებული ინჟინერ-ინსპექტორი, ინჟინერი საწარმოო ესთეტიკის დარგში. 1987 წელს ქარხანაში არსებობდა 14 განყოფილება და სამსახური, 16 საამქრო და უბანი. მათ შორის 80-იან წლებში შეიქმნა კაპიტალური მშენებლობის, მთავარი კონსტრუქტორის, შლანგების ტექნოლოგიის, მთავარი ტექნოლოგიის განყოფილებები. ქარხნის დირექტორის 1988 წლის 18 მაისის ბრძანებით საწარმოში შეიქმნა სოციოლოგის საშტატო ერთეული, რომლის ამოცანას შეადგენდა მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შესწავლა, სოციალური ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 787, ფურც. 16-17, 20-26; ს. 787ა, ფურც. 26; ს. 797, ფურც. 2-11].*** მომდევნო დღეებში ზოგიერთი განყოფილება გამსხვილდა, ნაწილი გარდაიქმნა. 1989 წელი ივლისში გაერთიანდა მთავარი საკონსტრუქტორო, მთავარი ტექნოლოგიისა და ტექნიკური განყოფილებები.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ქარხნის მომუშავეთა შემადგენლობაში ახალი ცვლილებები მოხდა. იგი ძირითადად შეეხო მუშათა კადრებს. ცვლილებები გამოიხატა მუშათა დენადობაში, მათი თვისებრივ-რაოდენობრივ შემადგენლობაში. ყოველწლიურად მიმდინარეობდა მუშათა დათხოვნა და ახალი ნაკადის მიღება. ცხადია, მუშათა არასტაბილურობა საგრძნობ გავლენას ახდენდა პროდუქციის ხარისხზე. მუშათა ახალ-ახალი ნაკადის მიღების შედეგად გაძნელდა მათი საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, რამდენადაც საწარმოდან წასულები ინარჩუნებდნენ საუწყებო ბინებს. 1972 წელს სამუშაოზე მიიღეს 395 მუშა, დაითხოვეს 317. მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში სამუშაოზე მიიღეს 1754, ხოლო გაათავისუფლეს 1405 მუშა.

80-იან წლებში მუშათა დენადობა შემცირდა. მაგალითად, 1980 წელს სამუშაოზე მიიღეს 189 მუშა, ხოლო დაითხოვეს 179. 1985 წელს ამ მაჩვენებელმა 196 და 111 ერთეული შეადგინა, ხოლო 1987 წელს – 112 და 108. ცხადია, მუშათა დენადობის შემცირების მიზეზები იგივე რჩებოდა. დათხოვნის შემცირების ტენდენცია განპირობებული იყო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და საუწყებო საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებით, შრომის ხელფასის გადიდებით. საერთოდ 70-80-იან წლებში ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის

მომუშავეთა რაოდენობა გაიზარდა, რაზედაც წარმოდგენას გვიქმნის ქვემოთ მოყვანილი მონაცემები (იხილეთ ცხრილი 3).

ცხრილი 3

	1975წ.	1980წ.	1985წ.	1987წ.	1988წ.	1989წ.	1990წ.
მომუშავეთა საერთო რაოდენობა	861	930	1035	1084	1080	1045	1045
აქედან:							
სამრეწველო-საწარმოო პერსონალი	795	870	895	974	980	955	955
მათ შორის:							
მუშები	618	696	731	784	–	772	773
ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი	125	132	–	–	–	–	–

მომუშავეთა საერთო რაოდენობის მიხედვით ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა აჭარაში ერთ-ერთი მსხვილი საწარმო იყო. ქარხნის კოლექტივის ბირთვს სამრეწველო-საწარმოო პერსონალი შეადგენდა, რომელშიც შედიოდნენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები, უმცროსი ტექნიკური მოსამსახურე პერსონალი, მოსწავლეები. 1975-1988 წლებში სამრეწველო-საწარმოო პერსონალი თითქმის 200 კაცით გაიზარდა და ეს ზრდა ერთი საწარმოს მაგალითზე მნიშვნელოვანი იყო. ასევე მნიშვნელოვანი იყო მუშათა კონტინგენტის ზრდის მაჩვენებელი. 1975-1990 წლებში მუშებზე მოდიოდა ქარხნის საერთო პერსონალის 70%-ზე მეტი. 70-80-იან წლებში, როგორც ადრე, ქარხანაში ორი კატეგორიის მუშები მუშაობდნენ: საწარმოო და დამხმარე. თავისებურება ის იყო, რომ 55-57%-მდე გაიზარდა საწარმოო მუშების ხვედრითი წილი. 1976 და 1977 წლების პირველი იანვრის ცნობით ქალები შეადგენდნენ ქარხნის საერთო მომუშავეთა 50%-ზე მეტს. ისინი გამოიყენებოდა ნაკლებად მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე, ნაწილი არასაწარმოო სფეროში. 1975-1986 წლებში არასაწარმოო სფეროს პერსონალი 66-დან 114-მდე გაიზარდა. შემდგომში შემცირდა და 1990 წელს 90 ერთეული შეადგინა ***[აცსა, ფ.რ-514, ან. 1, სს. 425, 444, 495, 773, 789, 790, 793, 818].***

მუშათა ახალ-ახალ ნაკადის მიღებისა და პროდუქციის განახლებასთან დაკავშირებით ქარხანაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. მაგალითად, 1973 წელს მოამზადეს 57 ახალი მუშათა კადრი, ხოლო კვალიფიკაცია აიმაღლა 250 კაცმა. 1977-1978

წლებში მეორე პროფესია შეიძინა 50 კაცმა. 1978 წლის ქარხნის მუშათა 6,2%-ს მინიჭებული ჰქონდა მაღალი კვალიფიკაცია. ეს პროცესი კიდევ უფრო გაიზარდა მომდევნო წლებში.

ქარხნის სტაბილური და მაღალკვალიფიციური საწარმო პერსონალის ფორმირებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებდა მომუშავეთა შრომის, დასვენების და გართობისათვის სათანადო პირობების შექმნა, საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა. მართალია, ამ მიმართებით ქარხანაში არაერთი ღონისძიება გატარდა. ქარხნის ტერიტორიაზე მოეწყო სკვერი, დასვენებისა და გართობის სხვა ადგილები, კულტურის სახლი, რომელსაც მაშინდელ პირობებში „წითელ კუთხეს“ უწოდებდნენ. ქარხანას გააჩნდა ტექნიკური ბიბლიოთეკა, კლუბი, სამედიცინო პუნქტი, სპორტული მოედანი, სასადილო და ბუფეტი. 80-იან წლებში ქობულეთის რაიონში გამოუყვეს 4 ჰექტარი სავარგული, სადაც საბოსტნე მეურნეობა მოეწყო. ამიერიდან ქარხნის სასადილო უზრუნველყოფილი იყო საკუთარი წარმოების ბოსტნეულითა და მწვანილით. ქარხანას გააჩნდა საუწყებო რადიომაუწყებლობა.

80-იან წლებში ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის საერთო ფართობი 64 ათას კვმ-დე გაიზარდა, რომელიც მთლიანად მოასფალტებული იყო. აქედან საწარმოო ფართობს 15250 კვმ ეკავა ***[აცსა, ფ.რ-514, ან. 1, ს. 793, ფურც. 1].*** მართალია, ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მუშახელის მოზიდვისათვის. მაგრამ ძირითადი მაინც შრომის ანაზღაურება იყო. 70-80-იან წლებში, როგორც მანამდე, ქარხანაში მოქმედებდა შრომის ანაზღაურების ორი ფორმა: დროით და სანარდო. მუშების შრომის ანაზღაურება სანარდო ფორმით ხდებოდა. თუმცა ამ კატეგორიის მომუშავეებზე ხელფასის დროითი ფორმაც გამოიყენებოდა.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში სისტემატურად არ სრულდებოდა შრომისა და ხელფასის სახელმწიფო პროგრამა, რადგან გამომუშავების ნორმები გაბერილი იყო. ამასთან, მექანიზაცია არასაკმარისად იყო დანერგილი. 1989 წლისათვის ქარხანაში ხელით შრომის დონე 36,8%-ს უდრიდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 793, ფურც. 4].*** მართალია, შრომის ხელფასის ზრდა წლობით გაიწელა, მაგრამ 80-იან წლებში ამ მიმართებით მნიშვნელოვანი მიღწევები აღინიშნა. მაგალითად, თუ 1973 წელს მომუშავეთა საშუალო თვიური ხელფასი 126 მანეთს, ხოლო 1975 წელს 147 მანეთს შეადგენდა, 1980 წელს – 177 მანეთამდე, 1984 წელს – 204, 1985 წელს – 194, 1986 წელს – 214, 1987 წელს – 220, ხოლო 1989 წელს 235 მანეთს უდრიდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 319, 371, 393, 399, 773].*** ზეინკლების, ხარატების, მტვიფრავების, მგლინავების, ელექტროშემდუღებლების და სხვა პროფესიის მუშების ხელფასი გაცილებით მაღალი იყო.

ქარხნის სტაბილური კოლექტივის ჩამოყალიბება იმითაც იყო განპირობებული, რომ 80-იანი წლების მეორე ნახევრისათვის მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა უზრუნველყოფილი იყო საცხოვრებელი ბინით. ქარხანას გააჩნდა 7 საუწყებო საცხოვრებელი სახლი 574 ბინით. აქედან ორი საცხოვრებელი სახლი 84 და 250 ბინიანი ექსპლოატაციაში შევიდა 1987-1990 წლებში.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში 70-იან წლებში დაწყებული პროდუქციის განახლება და ახალი სახის პროდუქციის სერიული გამოშვება 80-იან წლებში გაგრძელდა. 1972 წლიდან დაიწყო გაზქურების სერიული წარმოება. სულ დაამზადეს 19946 ცალი გაზქურა, გეგმით გათვალისწინებული 69 ათასის ნაცვლად. გაზქურის წარმოების სახელმწიფო გეგმა 1973 წელსაც ვერ შეასრულა. მართალია, მისი გამოშვება 50565 ცალამდე გაიზარდა, რაც 2,3-ჯერ და მეტად აღემატებოდა 1972 წლის მახასიათებელს, მაგრამ სახელმწიფო გეგმა 70,2%-ით შესრულდა. 1975 წელს 80149 ცალი, ხოლო 1976 წელს – 85944 ცალი გაზქურა დაამზადა. ბათუმური გაზქურები დაბალი ხარისხის აღმოჩნდა და ცუდად საღდებოდა. 1977 წლიდან გაზქურის წარმოების შემცირება დაიწყო. 1980 წელს ქარხანამ დაამზადა 40050 ცალი გაზქურა. 1981 წლიდან მთლიანად შეწყდა მისი წარმოება.

80-იან წლებში ქარხნის ძირითადი პროდუქცია იყო მტვერსასრუტი, გოფრირებული შლაგები, თერმოკონტეინერი, ჩაის საშრობი ფირფიტა და სხვა. 1980-1983 წლებში მიმდინარეობდა ახალი მარკის მტვერსასრუტების საცდელი სამუშაოები და იგი წარმატებით დამთავრდა. 1984 წლიდან დაიწყო კომუნალური მეურნეობისა და მშრალად მოწმენდის მტვერსასრუტების სერიული გამოშვება. მტვერსასრუტების გამოშვება 1975 წელს 9440 ცალიდან 1980 წელს – 10042, 1985 წელს – 15009, 1987 წელს – 20018, 1990 წელს – 28032 ცალამდე გაიზარდა. როგორც ადრე, ისე 80-იან წლებში ბათუმური წარმოების მტვერსასრუტი მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა და კარგად საღდებოდა როგორც კავშირის მასშტაბით, ისე საზღვარგარეთ ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 306, 390, 399, 444, 486, 513].***

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის პროდუქციის ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა დაიკავა გოფრირებულმა შლანგებმა. 1983 წელს მასზე მოდიოდა ქარხნის სასაქონლო პროდუქციის თითქმის 40% (10 846 ათასი მანეთიდან 4306 ათასი მანეთი ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 685, ფურც. 78].*** ქარხანა აწარმოებდა სამი სახის შლანგს ორმაგი საფრით და მოთხოვნილებაც საკმაოდ მაღალი იყო. ცხადია, მაღალი მოთხოვნილების გამო შლანგების წარმოებაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 1973 წელს დაამზადეს 91,7 ათასი გოფრირებული შლანგი, 1975 წელს 178 ათას, 1980 წელს – 1431 ათას, 1985 წელს

– 2381 ათას, 1988 წელს – 3161 ათას, 1989 წელს – 3213,7 ათას, ხოლო 1990 წელს – 3437,5 ათასამდე გაიზარდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 331, 399, 593, 724, 818].***

70-80-იან წლებში, როგორც მანამდე, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში აწარმოებდნენ საოჯახო-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების საქონელს. ზოგიერთი მათგანი 70-იან წლებში აითვისეს. მათ შორის აღსანიშნავია თხევად სწვავზე მომუშავე ღუმელი, მაგიდის შუქმნათი, საახალწლო ნაძვის ხის მოკაზმულობა, ელექტროქურა, ბავშვის სათამაშოები და სხვა. 80-იან წლებში აითვისეს თერმოკონტეინერი, ჩაის საშრობი ღუმელის ფირფიტები, სპეციალური ტექნიკური მოწყობილობანი კვების მრეწველობის, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის, საბავშვო და ინვალიდთა ეტლი და სხვა. მაგალითად, 1990 წელს აწარმოეს 62330 ცალი ჩაის საშრობი ფირფიტა, 20090 ცალი თერმოკონტეინერი. 1986-1987 წლებში აწარმოებდნენ 54 ათასიდან 68 ათასამდე საბავშვო და ინვალიდთა ეტლს. 1981-1985 წლებში ფართო მოხმარების საგნების ხვედრითი წილი ქარხნის სასაქონლო პროდუქციაში 5%-დან 8,5%-მდე აღწევდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 716, ფურც. 46, 49; 801, ფურც. 6].***

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნისათვის ცენტრალიზებული ფონდებიდან ნედლეულის, მაკომპლექტებელი და სხვა სახის მასალების მიწოდების საქმეში შეფერხებები არსებობდა, 70-80-იან წლებში საწარმოს ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობა წარმატებული იყო. ამას მოწმობს სასაქონლო, საერთო პროდუქციისა და რეალიზაციის ზრდის მაჩვენებლები, რაც მოცემულია ქვემოთ (იხილეთ ცხრილი 4, ათას მანეთობით) ***[აცსა, ფ. რ-514, სს. 399, 593, 724, 773, 790].***

ცხრილი 4

	1975წ.	1980წ.	1985წ.	1987წ.	1988წ.	1989წ.
საერთო პროდუქცია	5926	8632	–	–	–	–
სასაქონლო პროდუქცია	4690	8407	15700	19092	19266	19400
საქონლის რეალიზაცია	4691	8655	15634	18593	18240	18795

1985 წლიდან საერთო პროდუქციის მაჩვენებელი აღარ აღირიცხებოდა, რადგან იგი თავიდანვე რეალურად არ ასახავდა წარმოების საქონლიანობის დონეს. ქარხნის სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის ძირითადი მახასიათებელი – სასაქონლო პროდუქცია 1975-1980 წლებში თითქმის 2-ჯერ, მომდევნო ხუთწლედში – ამდენჯერვე, ხოლო 1988 წელს 1975 წელთან შედარებით 4,1-ჯერ

გაიზარდა. ანალოგიური ვითარება იყო სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაში. თუმცა რეალიზაციის მახასიათებელი, როგორც ყოველთვის, მცირეთი ჩამორჩებოდა სასაქონლო პროდუქციის წარმოებას.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანას სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მიხედვით აჭარის სამრეწველო საწარმოებს შორის 1981 წელს მე-13 ადგილი ეკავა, ხოლო 1986 წლიდან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. 1987 წლიდან საკავშირო მასშტაბით დაიწყო პროდუქციის სახელმწიფო მიღება. ამ ღონისძიების მიზანს შეადგენდა პროდუქციის ხარისხის მიმართ სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება. 1987 წელს ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანაში სახელმწიფო კონტროლით მიღებული პროდუქცია 17430 ათას მანეთს, 1988 წელს – 18240 ათას, ხოლო 1989 წელს – 17808 ათას უდრიდა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 773, ფურც. 1].*** თითქმის ემთხვეოდა სასაქონლო პროდუქცია და სახელმწიფო კონტროლით მიღებული და ეს მახასიათებელი ქარხნის ნაყოფიერ სამეწარმეო საქმიანობაზე მიუთითებს.

სასაქონლო პროდუქციის ზრდა მიღწეულია წარმოების მასშტაბის გადიდებასთან ერთად შრომის ნაყოფიერების ამაღლებით, დანახარჯების შემცირებით. ერთი მომუშავის გამომუშავება 1975 წელს 5899 მანეთიდან 1980 წელს 9922, 1987 წელს 10226, ხოლო 1989 წელს 10647 მანეთამდე გაიზარდა (იყო ისეთი წლები, როდესაც ამ მახასიათებელზე დაბალი და მაღალიც იყო). დანახარჯი ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე 1960-1975 წლებში 89 კაპიკიდან 107 კაპიკამდე მერყეობდა. 80-იან წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთან, სტაბილური გახდა. მაგალითად, ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე 1987 წელს დაიხარჯა 62 კაპიკი, ხოლო 1989 წელს – 60 კაპიკი.

ცხადია, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და დანახარჯების შემცირების შედეგად ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენ ქარხანამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოგება და სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი რაოდენობის თანხები შეჰქონდა. ქარხნის მოგება 1974 წელს 443 ათასი მანეთიდან, 1980 წელს – 1264 ათას, 1985 წელს – 3680 ათას, 1987 წელს – 7010 ათას, ხოლო 1989 წელს – 7171 ათას მანეთამდე გაიზარდა. 1985 წელს ქარხნის მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1392 ათასი მანეთი, საწარმოს განვითარების ფონდში – 585 ათასი, ეკონომიკური სტიმულირების – 876 ათასი, მეცნიერებისა და ტექნიკის – 235 ათასი, სარეზერვო ფონდში – 99 ათასი მანეთი ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, სს. 50, 371, 390, 444, 593, 724, 737, 773, 790, 793, 802].***

ქარხნის ტექნიკურ პროგრესში თავისი წვლილი შეჰქონდათ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს. 1973 წელს შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციების მეშვეობით ქარხანაში გაუმჯობესდა შრომის

ორგანიზაცია, ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია. მართალია, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის საქმეში მნიშვნელოვანი იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების როლი, მაგრამ ამ მიმართებით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ გამომგონებლები და რაციონალიზატორები. 60-იან წლებთან შედარებით 70-80-იან წლებში ნოვატორთა საქმიანობა რამდენადმე შენელდა, მაინც წარმატებული იყო.

70-იან წლებში ქარხანაში შეიქმნა რაციონალიზატორთა 4 კომპლექსური ბრიგადა, რომელშიც გაერთიანდნენ მონათესავე დარგის სპეციალისტები და ისინი საერთო ძალისხმევით სწყვეტდნენ ტექნიკური პროგრესის პრობლემებს. 70-იან წლებში „საუკეთესო რაციონალიზატორებად აღიარეს კ. სერგოშვილი, ე. ხაზანზუნი, ვ. რეზნიჩენკო, გ. სვანიძე, ვ. კოროტკინი, სმიჩენკო, ტ. ბოლდისევა, ს. ბესკორსი. რაციონალიზატორთა წინადადების დანერგვის შედეგად განხორციელდა არაერთი ტექნიკური სიახლე. მათგან აღსანიშნავია ბრაკი რეზინის შლანგების რესტავრაცია, მტვერსასრუტი შლანგების ახალი მეთოდით წარმოება და სხვა. 1972 წელს ს. ბესკორსიმ, გ. მანუკიანმა და დ. ლუცევმა შეიმუშავეს სამი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვის ეკონომიკური სარგებელი 24250 მანეთს შეადგენდა ***[აცსა, ფ.რ-514, ან. 1, ს. 401, ფურც. 60-61; ფ. რ-394, ან. 1, ს. 116, ფურც. 109].*** 80-იან წლებში წარმატებული რაციონალიზატორები იყვნენ ა. კორძაია და გ. გურგენიძე. 1986 წელს ნოვატორთა მიერ განხორციელდა 400 ღონისძიება, რომელთა ეკონომიკური მოგება 200 ათას მანეთს უდრიდა ***[აცსა, ფ. რ-98, ან. 1, ს. 1729, ფურც. 11].***

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნისთვის მომგებიანი არ გამოდგა ეკონომიკური რეფორმა, რომელიც ე.წ. გარდაქმნის პერიოდში გატარდა. 1987 წლის 30 ივნისის კანონით „სახელმწიფო საწარმოთა (გაერთიანების) შესახებ“ ენიჭებოდა დამოუკიდებლობა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში. 1989 წლის 1 ივლისიდან ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა გადავიდა საბჭოთა კავშირის გემთმშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარებაში, გაერთიანდა ბათუმის გემთსაშენ ქარხანასთან. საბჭოთა კავშირის გემთმშენებლობის მინისტრის 1989 წლის 12 ივნისის ბრძანებით ორივე საწარმოს შეუნარჩუნდა თავიანთი სახელწოდება და თითოეულს მიენიჭა სრული დამოუკიდებლობა ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 797, ფურც. 1].*** 1991 წლის პირველი აპრილიდან ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხანა გარდაიქმნა საარენდო საწარმოდ. დებულების მიხედვით სხვა საწარმოებთან ურთიერთობას ახორციელებდა მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე. ფინანსური დამოუკიდებლობა, რომელიც საწარმოს მიენიჭა, ფორმალური აღმოჩნდა. საკავშირო უწყებას უფრო მეტი თანხა მიჰქონდა ქარხნის შემოსავლიდან. მაგალითად, 1989 წელს ქარხნის შემოსავლიდან საკავშირო

ბიუჯეტში გადაირიცხა 2,7-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე მანამდე. 1990 წელს ქარხანას დარჩა მოგების მხოლოდ 20% (1461 ათასი მანეთი). ამასთან, ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა შემოსავლის მხოლოდ 1%. გაუარესდა ფონდირებული მასალების მიწოდება. შეიზღუდა საუწყებო სახლების მშენებლობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში განლაგებული საკავშირო საწარმოები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ნედლეულის, მასალებისა და პროდუქციის რეალიზაციის ერთიანი საკავშირო ბაზრის მოშლის შედეგად ქარხანას ფუნქციონირება აღარ შეეძლო. შეიცვალა ქარხნის ხელმძღვანელობა. 1992-1994 წლებში ქარხნის დირექტორად მუშაობდა ნ. გოგიტიძე, ხოლო 1995-1999 წლებში დირექტორის მოვალეობას ასრულებდა ო. კონცელიძე. მათი მცდელობა ქარხნის შენარჩუნებისათვის უშედეგო აღმოჩნდა. მომუშავეთა რაოდენობა 1992 წელს 775, 1993 წელს – 425, 1995 წელს – 91, 1997 წელს – 44, ხოლო 1998 წელს – 33 კაცამდე შემცირდა. ამ უკანასკნელ წელს იყო 7 მუშა და 15 მოსამსახურე ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 789, ფურც. 3, 12, 22-24].*** 1994 წლისათვის გოფრირებული შლანგების წარმოება 6320-მდე (544-ჯერ და მეტად), მტვერსასრუტების – 987 ცალამდე (26,5-ჯერ) შემცირდა. 1995 წელს მთლიანად შეწყდა გოფრირებული შლანგების, თერმოკონტეინერისა და ჩაის სახმობი ღუმელის ფირფიტების გამოშვება ***[აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. 802, ფურც. 21].*** წარმოების შემცირებასთან ერთად ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა უხელფასო შვებულებაში გაუშვეს.

ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათაშენ ქარხანაში მუშაობის აღდგენისა და განახლების პერსპექტივა არ ჩანდა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1999 წლის 13 აპრილის დადგენილების საფუძველზე ქარხნის ლიკვიდაცია განხორციელდა. ხელისუფლების შეფასებით ქარხნის საწარმოო კორპუსები ავარიულ, ხოლო მანქანა-დანადგარების 80% მოწყობიდან იყო გამოსული. პლასტმასის პროდუქციის წარმოება ელექტრომექანიკური ქარხნის ერთ-ერთ საამქროში გადაიტანეს, ხოლო უხელფასო შვებულებაში გაშვებული მუშა-მოსამსახურეები გაათავისუფლეს ***[აცსა, ფ. რ-514, ან.1, ს. 851, ფურც. 5-11].*** ამის შემდეგ განახორციელეს ქარხნის დემონტაჟი, ხოლო მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობანი ჯართად გაიყიდა. ამჟამად ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათაშენი ქარხანა მხოლოდ ისტორიული მეხსიერებაა. მაგრამ მისი ისტორიის შესწავლა წარმოადგენს ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც დიდად წაადგება საქართველოს აღმშენებლობას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ასსდმ – აჭარის სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

აცსა, ფ. რ-98, ან. 1, ს. – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-98, ანაწერი 1, საქმე №1729.

აცსა, ფ. რ-394, ან. 1, ს. – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-394, ანაწერი 1, საქმე №116.

აცსა, ფ. რ-514, ან. 1, ს. – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-514, ანაწერი 1, საქმეები №№ 6, 24, 37, 41, 47, 50, 67, 71, 86, 88, 114, 116, 147, 186, 265, 278, 285, 289, 306, 319, 331, 354, 362, 371, 390, 393, 394, 399, 401, 425, 444, 495, 514, 593, 685, 716, 724, 737, 773, 781, 787, 787ა), 789, 790, 797, 801, 802, 818, 851.

თურმანიძე, 2005: – თურმანიძე ო., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომის შემდგომ პერიოდში (1946-1990 წწ.), ბათუმი.

Otar Turmanidze (Batumi, Georgia)

History of Batumi Household Machine Factory

Summary

Batumi household machine factory was founded in 1958, which should produce washing machines and spare parts. In 1970, the factory was named Household Machine Factory.

The article describes factory's material-technical base, industrial structures, general and commodity products, industrial personnel, their qualitative and quantitative composition.

The article also covers the nomenclature of factory's production, its quality, realization and financial condition. The paper noted that after the collapse of the Soviet Union, Batumi household factory became into hardship. In 1999, the factory was carried out liquidation. Now it is a history.

კახა კვაშილავა
(თბილისი, საქართველო)

ოსმალთა ბატონობისაგან ბათუმის განთავისუფლების ერთი გეგმის შესახებ – სამურზაყანოელ შარვაშიძეთა იდეა

მომხდურთა მიერ საქართველოს მიტაცებული მიწების გამოხსნა-განთავისუფლება ქართველთა მუდმივად დიდი ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა იყო. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა შარვაშიძეთა ცნობილ საგვარეულოსაც, რომლის ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა – სამურზაყანოს მფლობელმა მანუჩარ შარვაშიძემ – XIXს. 10-იანი წლების მიწურულს წამოაყენა ოსმალთაგან ბათუმის გათავისუფლების მნიშვნელოვანი ინიციატივა. ამ საქმეში აფხაზეთის სამთავრო სახლის წევრებიც მონაწილეობდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში აქამდე ერთგვარად მიჩუმათებული იყო და, შესაბამისად, იგი ვერ აისახა ისეთ სოლიდურ უახლეს ნაშრომში, როგორიცაა ოთხტომეული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *აჭარა*“ ***[სურგულაძე, სიხარულიძე, 2009: 280-289]***. თუმცა, ქართულ ისტორიოგრაფიაში მას პირველად გაკვრით და ზოგადად შეეხო ხ. ახვლედიანი ***[ახვლედიანი, 1956: 89-90]***, მაგრამ შემდგომ ნაშრომებში ***[ახვლედიანი, 1972; ახვლედიანი, 1978]***, რომელშიც მეცნიერი სამხრეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლების პრობლემას იხილავდა, ის ამ საკითხს უკვე აღარ მიბრუნებია. როგორც ჩანს, მან ეს იდეა უმნიშვნელოდ მიიჩნია. აღსანიშნავია, როდესაც სამურზაყანოს ისტორიული წარსულის პრობლემების კვლევის კონტექსტში აღნიშნული პრობლემა ჩვენც შევისწავლეთ ***[კვაშილავა, 2011: 223-227]***, თუმცა მაშინ ხ. ახვლედიანის ზემოხსენებულ ნაშრომს, სამწუხაროდ, არ ვიცნობდით.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მიწა-წყლის დაუფლების საქმეში რუსეთის იმპერიაც აქტიურად ჩაერთო, რომელიც მიზანმიმართული მცოცავი ანექსიის სახით იკავებდა ქართულ სამეფო-სამთავროებს. მაგრამ, ეს პროცესი იმჟამინდელი ქართული საზოგადოების ნაწილისთვის მისაღები იყო, რადგან ისინი ამ გზით მოიაზრებდნენ ქართული მიწა-წყლის გაერთიანებას და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

ამ ისტორიულ-პოლიტიკურ ფონზე აქტიურად ჩანს სამურზაყანოს მფლობელის მანუჩარ შარვაშიძის ფიგურაც, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე XVIII საუკუნის მიწურულს გამოჩნდა ***[კვაშილავა, 2008: 167-168; კვაშილავა, 2011: 184*** *(იხილეთ აქვე ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა მოსაზრებები)]***.

1809წ. გაზაფხულზე განახლდა 1806 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბატალიების ძირითადი სცენები ფოთის ციხის დაუფლებას დაუკავშირდა, რომლის კომენდატიც იყო აფხაზეთის მთავრის, 1808 წელს

საკუთარი შვილის – ასლან-ბეის – მიერ მოკლული ქელეშ-ბეის ნათესავი – ქუჩუკ-ბეი იყო ***[ბერძენი შვილი, 1965: 404]***. მას ბათუმის ციხეც ეჭირა ***[სურმანიძე, 1998: 4]***. ქუჩუკ-ბეის წინაპარი, შერვანი (ძმებთან – ზურაბი და მანუჩარი, რომელიც იმ ხანებში აფხაზეთის მთავარი იყო) ოსმალებმა XVIIს. 30-იან წლებში თურქეთში გადაასახლეს ***[Потто, 1904: 539-540; Эсадзе, 1907: 97-98]***. მართალია, შარვაშიძეებმა მალე მოახერხეს თურქებთან შეთანხმება, მაგრამ მანუჩარ შარვაშიძეს, აწ უკვე სულეიმან-ფაშად ქცეულს ***[Чиковани Ю., 2007: 37]***, აფხაზეთში დაბრუნების უფლება არ მისცეს და იგი ბათომის ბეგად დასვეს, ხოლო შერვანი კი ფაშის ტიტულით განაგებდა რიონის (ფოთის) ციხესა და ჭანეთს, რიზეს „ამოღმა“ ***[სიხ, 1973: 469]***. აფხაზეთში დაბრუნება მხოლოდ ზურაბმა შეძლო, რომელმაც სოხუმის ბეგობა ჩაიბარა. იგი ფაქტობრივად აფხაზეთის მთავარი გახდა, როდესაც კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდა ილორის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათვლით და მოსახლეობამ მთავრადაც აღიარა ***[ხორავა, 1996: 131]***.

შარვაშიძეების დადგენა ქართული ტერიტორიების (ბათომის, ფოთის) გამგებლებად გამოწვეული იყო იმით, რომ ოსმალებს უნდოდათ იქ ადგილობრივი მოსახლეობის და მისი ენის მცოდნე მოხელეების მივლინება. ამასთანავე, საკუთრივ ძმებიც მოწადინებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ თუნდაც ამ გზით დაბრუნებოდნენ სამშობლოს. როგორც ჩანს, შერვანთან და ზურაბთან შედარებით, მანუჩარი შედარებით გავლენიანი და ძლიერი პიროვნება იყო და სტამბოლს მისი უფრო ეშინოდა. ამიტომაც მას ბათუმი ჩააბარეს და არა – ფოთი, საიდანაც შეიძლებოდა აქტიური კონტაქტები დაემყარებინა დასავლეთ საქართველოს ანტიოსმალურ ძალებთან. ამასთან, მას, როგორც უფროს ძმას, ბეგის ტიტული მისცეს, მაშინ როცა უმცროსი, შერვანი, ფაშა გახდა. ოსმალები ამ გზით ძმებს შორის უთანხმოების ჩამოგდებას ცდილობდნენ.

რუსებისთვის უმნიშვნელოვანესი შენაძენი იქნებოდა ფოთის დაუფლება, რადგან მათ მიერ მოპოვებულ პოლიტიკურ და სამხედრო წარმატებათა შესანარჩუნებლად და საქართველოს საბოლოოდ შემოსამტკიცებლად აუცილებელი იყო ჯარის რაოდენობის გაზრდა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ეს ადვილი არ იყო ***[რეხვიაშვილი, 1989: 345]***. დარიალის ხეობით და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთისკენ შეიარაღებული ძალების გადმოსროლა არც ისე უსაფრთხო იყო, რაც 1804წ. მთიულეთის აჯანყებამ უჩვენა და, ამასთანავე, მეტად ხანგრძლივი და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული ***[რეხვიაშვილი, 1982: 263]***. ამიტომ რუსეთმა საგანგებო ყურადღება მიაქცია ფოთის ციხეს, რომელიც თურქებს ეკავათ ***[Дубровин, 1866: 277-278]***.

ჯერ კიდევ 1803 წელს პ. ციციანოვი სანქტ-პეტერბურგს ატყობინებდა, რომ სამეგრელო ფოთის გარეშე არაფერს წარმოადგენდა და მისი თქმით, რუსეთისათვის ამ ციხის დაჭერა გაცილებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვიდრე მთელი ამ სამთავ-

როსი, რომელიც ისევ და ისევ ფოთზე იყო დამოკიდებული ***[Дубровин, 1866: 277-278]***. 1804 წელს რუსეთის ელჩი სტამბოლში ა. ი. იტალინსკი სულთნის მთავრობისთვის იმის დამტკიცებას ცდილობდა, რომ ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, სხვადასხვა ნავმისადგომები და ციხე-სიმაგრეები იმათ საკუთრებაში რჩებოდა, ვისაც ისინი ძველთაგანვე ეკუთვნოდა, ფოთი კი ძველითგანვე სამეგრელოს ფარგლებში შედიოდა, ამიტომ თურქეთი მას ისევე უკანონოდ ფლობდა, როგორც გურიაში – ბათუმს და ანაკლიას – სამეგრელოში. აქედან გამომდინარე, ფოთი ოდიშს უნდა გადასცემოდა ***[რეხვიაშვილი, 1982: 263-264]***.

საბოლოოდ, რუსეთმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ოსმალეთისგან უფლება მიიღო ესარგებლა ფოთის პორტით საკუთარი ჯარებისთვის პროვიანტით მოსამარაგებლად ***[რეხვიაშვილი, 1982: 264]***. თუმცა, ეს „იდილია“ დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან რუსებმა პროვიანტის გარდა, აქედან ჯარების შეყვანაც დაიწყეს და სტამბოლმაც მათ ფოთის კარები ჩაუკეტა.

იმერეთის მმართველმა გენერალ-მაიორმა დიმიტრი ორბელიანმა ფოთის უომრად დაუფლება სცადა, რადგან ისიც მიიჩნევდა, რომ ამ ციხის ოსმალთა ხელში დარჩენა დასავლეთ საქართველოში რუსეთის პოზიციებს შეასუსტებდა ***[Потто, 1887: 441]*** და ქუჩუკ-ბეი შარვაშიძეს მიუგზავნა სოსლან და მანუჩარ შარვაშიძეები, ვახტანგ გურიელი და პოდპოლკოვნიკი ერისთავი, მაგრამ ეს ცდაც უშედეგოდ დასრულდა ***[ბერძენიშვილი, 1965: 408]***. ქუჩუკ-ბეი ადვილად დანებებას არ აპირებდა, რადგან ციხე საკმაოდ გამაგრებული იყო და თურქებს იქ 600 ჯარისკაცი ჰყავდათ მობილიზებული ***[დადიანი, 1962: 199]***, ამიტომ ფოთისთვის ბრძოლა ხანგრძლივი აღმოჩნდა.

1809წ. ნოემბერში ქუჩუკ-ბეის დასახმარებლად ახალციხის ფაშა წამოვიდა 9 000 მეომრით. ფაშას გურიის მთავრის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა ***[სიხ, 1973: 862]***, მაგრამ გურიელმა იმედები გაუცრუა და თავისი ლაშქრით მალთაყვასთან მტერი გაანადგურა. ეს მნიშვნელოვანი დარტყმა იყო ფოთის ოსმალო გარნიზონისთვის. 1809 წლის 15 ნოემბერს, ქუჩუკ-ბეიმ თავი დამარცხებულად სცნო. თუმცა, საქართველოს შავიზღვისპირეთის ამ მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტის დაუფლება რუსეთისთვის მეტად ხანმოლე აღმოჩნდა, რადგან 1812 წლის ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების პირობების თანახმად, ფოთი კვლავ ოსმალეთს გადაეცა.

სამურზაყანოს მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე, თავისი ლაშქრით, ფოთისთვის გამართული ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა. 1809წ. 14 აგვისტოს დ. ორბელიანმა და ლევან დადიანმა ფოთის შემოგარენის დაკავება დაავალეს ნიკო დადიანს (ავტორი თხზულებისა *„ქართველთ ცხოვრება“*), რომელმაც ეს ოპერაცია წარმატებით შეასრულა მანუჩარ შარვაშიძესთან ერთად ***[დადიანი, 1962: 199]***. ამ ბრძოლისას მათმა ლაშქარმა 8 ჯარისკაცი დაკარგა, ხოლო 12 – დაიჭრა ***[კვაშილავა, 2011: 222]***.

ნიკო დადიანისა და მანუჩარ შარვაშიძის თავდადებამ, მამაცობამ სარდლობის აღტაცება დაიმსახურა და დ. ორბელიანმა მთავარმმართებელ ალ. ტორმასოვის წინაშე მათი დაჯილდოების შუამდგომლობა აღძრა ***[Акты, 1870: 392, №523]***. მართალია, მანუჩარი რუსების სამსახურში იდგა და იმპერიას ემსახურებოდა, მაგრამ მას, როგორც ბევრ სხვა პოლიტიკოსს, სწორედ რუსეთი ეგულებოდა იმ გზად, რომელიც აღადგენდა ერთიან საქართველოს. ფოთის გათავისუფლების შემდეგ, მანუჩარმა ყურადღება ჩვენი ქვეყნის სხვა ნაწილს – ბათუმსა და აჭარას – მიაქცია.

დამარცხებული ქუჩუკ-ბეი, თავის მეომრებთან ერთად, მშვიდობით გაუშვეს და ის ბათუმში ჩავიდა ***[დადიანი, 1962: 200]***. ჩანს, მანუჩარმა ივარაუდა, რომ ერთხელ სასტიკად დამარცხებული ქუჩუკ-ბეი, ამჯერად უფრო დამყოლი იქნებოდა და მასთან მოლაპარაკებები დაიწყო ბათუმის ციხის რუსებისათვის გადასაცემად. სამურზაყანოს მფლობელის ამ ინიციატივამ რუსების ინტერესი გამოიწვია, მაგრამ ალ. ტორმასოვი ამ გეგმაზე განსაკუთრებულ იმედებს არ ამყარებდა. ხ. ახვლედიანი ამ გეგმის ინიციატორობას უსაფუძვლოდ რუსებს მიაწერს ***[ახვლედიანი, 1956: 89]***, რაც წყაროებში ასე ნამდვილად არ ჩანს.

მთავარმმართებელი მოკლე ხანში ახალციხეზე ლაშქრობას გეგმავდა და ფიქრობდა, რომ რუსების მიერ ახალციხის აღება თავისთავად განაპირობებდა ბათუმის ციხის დაცემასაც ***[Акты, 1870: 281, №359]***. ამის მიუხედავად, რუსეთის უმაღლესი ხელისუფალი ამიერკავკასიაში მაინც დათანხმდა ამ გეგმის რეალიზაციას იმ მოტივით, რომ ახალციხის კამპანიამდე ბათუმის ციხის მიღება და, თანაც უომრად, რუსეთის საქმისთვის ურიგო არ იქნებოდა და 1810წ. 16 მარტისა და 8 ივნისის საიდუმლო მიწერილობით გენერალ-მაიორ თევდორე სიმონოვიჩს, რომელმაც დ. ორბელიანი შეცვალა, ურჩია, ქუჩუკ-ბეის მისამხრობად არ დაეზოგა არაფერი და, ამასთანავე, მანუჩარ შარვაშიძეც, გეგმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, აუცილებლად დაჯილდოვდებოდა ***[Акты, 1870: 281, 938, №№359, 1438]***.

ალ. ტორმასოვმა 1810წ. 10 ნოემბერს გაილაშქრა ახალციხის წინააღმდეგ, სადაც სექტემბრის ბოლოდან რუსთა ტყვეობიდან გაქცეული და სამეფო-დაკარგული სოლომონ II იმყოფებოდა ***[დადიანი, 1962: 201-202]***. მაგრამ, იმ ხანად, ახალციხის აღების ოპერაცია უშედეგოდ დასრულდა, რადგან *„მაშინ გაჩნდა ჯარსა შინა მომსვრელი სენი (ესე იგი ჟამი)“* ***[დადიანი, 1962: 202]***.

ახალციხის დაუფლების უშედეგო მცდელობამ და თურქთა მიერ ციხისძირის გამაგრებამ, რომელიც გურიის სამთავროს უქმნიდა საფრთხეს, მანუჩარ შარვაშიძის გეგმას უფრო მეტი ღირებულება შესძინა ***[კვაშილავა, 2011: 224]***.

ამ ვითარებაში, ქუჩუკ-ბეის მოუდრეკელობამ მისი ბედი გადაწყვიტა. რ. სურმანიძე ვარაუდობს, რომ რუსებმა ქუჩუკ-ბეი მოკლეს და მკვლევარი ამას 1809 წლით ათარიღებს ***[სურმანიძე, 1998:***

4]. ავტორის ეს მოსაზრება წყაროებით ვერ დასტურდება. პირიქით, იქ ჩანს, რომ 1810 წლის პირველ ნახევარში ქუჩუკ-ბეი ჯერ კიდევ ცოცხალია ***[Акты, 1870: 281, 938, №№359, 1438].*** ოსმალებმა მის ადგილზე ლაზი ომარ-აღა ჟორდანია დანიშნეს ***[სურმანიძე, 1998: 4].*** იგი ქუჩუკ-ბეის ცოლის ძმა იყო ***[Акты, 1873: 100, №127].*** როგორც ჩანს, ბათუმელთა ნაწილისათვის ომარ-აღას კანდიდატურა მიუღებელი აღმოჩნდა, ვინაიდან, როგორც მანუჩარ შარვაშიძე 1810 წლის დეკემბერში აცნობებდა თ. სიმონოვიჩს, *„ბათუმის მოსახლენი მიჩვეული არიან, რომ მათი მფლობელები შარვაშიძეთა საგვარეულოდან არიან, რომელთაც ქუჩუკ-ბეიც მიეკუთვნებოდა“* (*«батумские жители, привыкнув иметь над собою владетелей из фамилии Шарвашидзе, из которой был Кучук-бей»*) ***[Акты, 1870: 339, №452].***

სამურზაყანოს მფლობელმა მალევე გამოძებნა შესაფერისი კანდიდატურა ბათუმელთა ამ სურვილის „დასაკმაყოფილებლად“. ეს იყო აფხაზეთის მთავრის გიორგი (საფარ-ბეი) შარვაშიძის უმცროსი ძმა სოსლან-ბეი, რომელიც ქუჩუკ-ბეის ახლო ნათესავი გახლდათ. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო ქელეშ-ბეის შვილი, რომელიც 1807 წლის დასაწყისიდან მანუჩარს ჰყავდა მძევლად ***[კვაშილავა, 2011: 210].*** როგორც მანუჩარი ირწმუნებოდა, მას ჰქონდა გარკვეული ცნობები, რომ ბათუმის ადგილობრივი მოსახლეობა მიიღებდა საფარ-ბეის ძმას. მანუჩარის გეგმით, საჭირო იყო სოსლანის ბათუმში გაგზავნა და ქუჩუკ-ბეის ქვრივზე დაქორწინება ***[Акты, 1870: 582, №582].*** ასეთი ქორწინება, როცა გარდაცვლილი მეუღლის ოჯახის წევრს შეუძლია ქვრივის ცოლად შერთვა, როგორც ცნობილია, ისლამის კანონებით დაშვებულია და ის, ბუნებრივია, ლეგიტიმურს გახდიდა სოსლან-ბეის ხელისუფლებას. როგორც ჩანს, ბათუმი შერვან-ბეი შარვაშიძისა და მისი მემკვიდრეების საკუთრება ყოფილა. ამიტომაც ციხის მეთაურადაც ოსმალებმა ქუჩუკ-ბეის ახლო ნათესავი გაამწესეს. თუკი, მოსახლეობის დიდი ნაწილი მას მიემხრობოდა, ამის შემდეგ ადვილი გახდებოდა ბათუმის დაუფლებაც ***[Акты, 1870: 339, №452].***

რუსეთის ხელისუფლებას მაჰმადიანი სოსლან-ბეის მიმართ გარკვეული ეჭვები გაუჩნდა. მას სჭირდებოდა დარწმუნება, რომ საფარ-ბეის უმცროსი ძმა ასლან-ბეის საქმეს არ გააკეთებდა, ანუ ისიც არ მიემხრობოდა თურქებს. სოსლან-ბეის „მოსინჯვა“ დაიწყო, რომლის პირველი შედეგებიც 1811წ. 6 მაისს თ. სიმონოვიჩმა ალ. ტორმასოვს უპატაკა: იმ შემთხვევაში, თუკი ბათუმის დაუფლების გეგმა წარმატებით დასრულდებოდა, სოსლან-ბეი ითხოვდა რუსეთის მფარველობას იმავე პირობებით, რა პირობითაც ის მის ძმას გიორგი (საფარ-ბეის) შარვაშიძეს მიეცა (შიდა ავტონომია და მთავრის ხელისუფლების მემკვიდრეობითი უფლება) ***[Акты, 1870: 582, №582].***

თ. სიმონოვიჩი ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული სოსლან-ბეის სანდოობაში და პატაკში, საფარ-ბეის უმცროსი ძმის

მიმართ, ხშირად ხმარობდა სიტყვას „თითქოს“ (*«будто –бы»*) ***[Акты, 1870: 582, №582]***. ამიტომ, რუსეთის ხელისუფლება ნებას არ რთავდა სოსლან-ბეის ბათუმში გასამგზავრებლად. ამასთანავე, მას, როგორც ჩანს, აფიქრებდას ბათუმელთა პოზიცია. რუსებმა წერილობითი დადასტურება მოითხოვეს იმისა, რომ ბათუმელები სოსლან-ბეის მიიღებდნენ. ასეთი სახის წერილი მანუჩარმა 1811წ. ოქტომბერში მიიღო. იგი თ. სიმონოვიჩს 24 ოქტომბერს ნაბაკევიდან წერდა (წერილი ქართულ ენაზე იყო შედგენილი), რომ მას ჰქონდა ორი გავლენიანი ბათუმელის – იუსუფ-აღას (ქუჩუკ-ბეისა და სოსლან-ბეის სიძედ ერგებოდა) და ომარ-აღა ჟორდანიას – პირობა, რომ მზად იყვნენ სოსლან-ბეი ბათუმის ბეგად ეცნოთ ***[Акты, 1873: 100, №127]***. ხ. ახვლედიანი ეჭვით უყურებს ამ წერილის რეალობას, თუმცა არ გამორიცხავს, რომ ბათუმელები მოწადინებული იყვნენ რუსეთთან შესაერთებლად იმ დროს ***[ახვლედიანი, 1956: 90]***.

აქედან გამომდინარე, მანუჩარი ითხოვდა რუსების ნებართვას, რათა ამ მარჯვე მდგომარეობით ესარგებლა და აპირებდა სოსლან-ბეის ხმელეთით გამგზავრებას ბათუმში ***[Акты, 1873: 100, №127]***.

რუსული ბიუროკრატიული აპარატის „წყალობით“, თ. სიმონოვიჩმა ეს ინფორმაცია ალ. ტორმასოვს მხოლოდ 3 ნოემბერს შეატყობინა ***[კვაშილავა, 2011: 226]***. ახალი მთავარმმართებლის მარკიზ ფილიპე პაულუჩისაგან დადებითი პასუხი ორ კვირაში მოვიდა (15 ნოემბერს). რუსები 1811წ. ოქტომბრიდან თურქეთთან საზავო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ და ამიტომ ჩქარობდნენ ბათუმის ხელში ჩაგდებას. თუკი ეს გეგმა წარმატებით დასრულდებოდა, მარკიზი პაულუჩი სოსლან-ბეის მოთხოვნის დაკმაყოფილებას აპირებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ისიც მფარველობის იმავე პირობებს მიიღებდა, როგორიც საფარ-ბეის ჰქონდა ***[Акты, 1873: 183, №253]***.

სოსლან-ბეისა და მისი მხლებლების ხმელეთით გამგზავრება რუსებმა გაუმართლებლად მიიჩნიეს, ვინაიდან ბათუმსა და მის შემოგარენში, ასევე – ციხისძირშიც, ოსმალეთის ჯარები იდგნენ და ის მხარე მთლიანად კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი. 1812წ. იანვრის მეორე ნახევარში სოხუმიდან ზღვით გამგზავრებული სოსლან-ბეი 60 ქვეშევრდომთან ერთად უკვე ბათუმში იყო ***[კვაშილავა, 2011: 226]***.

თ. სიმონოვიჩმა მანუჩარ შარვაშიძეს დაავალა ბათუმში სანდო პირის გაგზავნა, რომელიც ვითარებას დაზვერავდა და, ხელსაყრელ შემთხვევაში, ბათუმსაც დაიჭერდა ***[Акты, 1873: 102, №131]***. წყაროებში ამ ამბების შემდეგი გაგრძელება არ ჩანს. ვფიქრობთ, ამ საინტერესო გეგმის შემდგომ განვითარებას და მის რეალიზაციას ხელი შეუშალა 1812 წლის 16 (28) მაისს ბუქარესტში გაფორმებულმა ზავმა, რომელმაც დაასრულა 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი. რ. სურმანიძე სოსლან-ბეის ბეგობას ბათუმ-

ში 1811-1812 წლებით ათარიღებს *[სურმანიძე, 1998: 4]*. მკვლევარის ეს დასკვნა წყაროებით არ დასტურდება, ვინაიდან ზემოთ მოყვანილი დოკუმენტი მიხედვით, საფარ-ბეის ძმა ბათუმში მხოლოდ 1812 წლის იანვარში გაემგზავრა.

ამდენად, მ. შარვაშიძის გეგმა წარმატებით ვერ დაგვირგვინდა და იმ ხანებში ბათუმი დედა-სამშობლოს წიაღში ვერ დაბრუნდა, რადგან რუსეთის იმპერიას ჯერ კიდევ ვერ შესწევდა საკმაო ძალა ამ მნიშვნელოვანი რეგიონის დასაუფლებლად. ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწა-წყლის დაბრუნებას კიდევ რამოდენიმე ომი და ათწლეული დასჭირდა. საბოლოოდ, ბათუმი, აჭარასთან ერთად, საქართველოს 1878 წელს შემოუერთდა. მიუხედავად ერთგვარი წარუმატებლობისა, შეიძლება ითქვას, რომ მანუჩარის ზემოთ ხსენებული იდეა იყო პირველი ქმედითი ნაბიჯების გადაგმა XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალთაგან ბათუმის გამოსახსნელად და მნიშვნელოვანი ფაქტი როგორც საკუთრივ ბათუმის, ისე, ზოგადად, საქართველოს ისტორიაში და, ამდენად, ის იმსახურებს ჩვენი ქვეყნის წარსულის მკვლევართა ყურადღებას. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, უსაფუძვლოა ხ. ახვლედიანისეული შეფასებანი როგორც ამ გეგმისა, ისე – სამურზაყანოს მოურავის მანუჩარ შარვაშიძის პიროვნებისა და ღვაწლისა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ახვლედიანი, 1956: – ახვლედიანი ხ. ა., სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი.

ახვლედიანი, 1972: – ახვლედიანი ხ., სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი, ბათუმი.

ახვლედიანი, 1978: – ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. *XVI-XIXსს.*, ბათუმი.

ბერძენიშვილი, 1965: – ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბილისი.

დადიანი, 1962: – დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო *მ. ბურჯანაძემ,* თბილისი.

კვაშილავა, 2008: – კვაშილავა კ., სამურზაყანო ლევან შარვაშიძეს მმართველობის პერიოდში. *1757-1789*, – კრებ.: *საისტორიო ძიებანი*, ტ. X-XI, თბილისი.

კვაშილავა, 2011: – კვაშილავა კ., ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. *XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი*, თბილისი.

რეხვიაშვილი, 1982: – რეხვიაშვილი მ., იმერეთი XVIII საუკუნეში. თბილისი.

რეხვიაშვილი, 1989: – რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო. *1462-1810*, თბილისი.

სინ, 1973: – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, ტ. IV: *საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე.* ტომის რედაქტორი *მამია დუმბაძე.* თბილისი.

სურგულაძე, სიხარულიძე, 2009: – სურგულაძე ა., სიხარულიძე ფრ., განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის დამდეგს. განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის დამდეგს. *სელიმ ხიმშიაშვილი,* – წგნ.: სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *აჭარა.* ტ. II: V საუკუნე – 1877 წელი. ტომის რედაქტორი *ნ. კახიძე,* ბათუმი.

სურმანიძე, 1998: – სურმანიძე რ., ყადირ შერვაშიძე, ბათუმი.

ხორავა, 1996: – ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა. *XV-XVIIIსს.,* თბილისი.

Акты, 1870: – *Акты,* собранные Кавказскою Археографическою Коммисиею. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциею председателя коммиссии ст. сов. ***Ад. Берже***. Т. IV, Тифлис.

Акты, 1873: –*Акты,* собранные Кавказскою Археографическою Коммисиею. Архив главного управления Наместника Кавказскаго. Напечатан под редакциею председателя коммиссии ст. сов. ***Ад. Берже***. Т. V, Тифлис.

Дубровин, 1866: – Дубровин Н., Закавказье от 1803-1806 года, Санкт-Петербург.

Потто, 1887: – Потто В., Кавказская война в отдельныйх очерках, эпизодах, легендах, биографиях. Т. I: *От древнейших времен до Ермолова*, Санкт-Петербург.

Потто, 1904: – *Утверждение Русскаго владычества на Кавказе.* Под руководством начальника штаба Кавказскаго военнаго округа генерал-лейтенанта Н. Н. Белявскаго. Составлен в Военно-историческом Отделе под редакцией генерал-майора *Потто*. Т. 3, часть 2, Тифлис.

Чиковани, 2007: – Чиковани Ю., Род Абхазских Князей Шервашидзе *(Историко-генеалогическое исследование).* Тбилиси.

Эсадзе, 1907: – Эсадзе С., Историческая записка об управлении Кавказом. Т. I, Тифлис.

Kakha Kvashilava (Tbilisi, Georgia)

About One Plan for Batumi Liberation from the Ottomans – An Idea of Sharvashidzes from Samurzakano

Summary

In presented article we considered an important initiative of Colonel Manuchar Sharvashidze being Mouravi of Samuzakano for the liberation of Batumi-town from the Turks at the end of the first ten years of 19th century.

Manuchar participated actively in all the military operations of Russia during Russo-Turkish war of 1806-1812 in the Western Georgia (liberation of Poti, Safar-bey's support against Aslan-bey in the seizure of the throne of Abkhazia princedom). It is worthly of note that it was his idea to liberate Batumi. With it his aim Manuchar intended to take advantage of the position of Kuchuk-bey Sharvashidze, his relative, who was the commandant both of Poti and of this fortress. Evidently, the Samurzakanian ruler considered that after his defeat in Poti Kuchuk-bey would be more compliant of the local Russian administration looked upon this initiative with distrust because to seize Akhaltsikhe and believed that after the fall of this town Batumi government would capitulative to Russia by itself. Although they did not interfere with Manuchar's plan.

After the ill-fated march to Akhaltsikhe Manuchar's idea had gained weight. Kuchuk-bey who was being offered bribes and various honours proved intractable and was eventually assassinated. He was succeeded by Omar-aga Zhordania, Laz by birth, his relative. However, the local population were set against him. So Manuchar found the right candidate. It was Soslan-bey, a younger brother of the ruler of Abkhazia Giorgi (Safar-bey) Sharvashidze. According to Manuchar's plan Soslan-bey was to marry Kuchuk-bey's widow and adopt his post. The Samuzakano ruler had received the appropriate information from Batumi and knew that the native population would welcome Safar-bey's brother. In the late January, 1812, Soslan-bey arrived in Batumi. That is the last information concerning Soslan-bey in the sources which do not report anything about his subsequent life. Presumably the conclusion of this process was prevented by the Treaty of Bucharest of May 16 (28), 1812, which put the end of the Russo-Turkish war of 1806-1812.

გუგული კუკულაძე
(ბათუმი, საქართველო)

ინგლისური კომპანია „სიბუნიონის“ ეკონომიკური პოლიტიკა ბათუმის ოლქში და მისი ასახვა საქართველოს დამფუძნებელი კრების მასალებში

1918 წლის 30 ოქტომბერს, ოსმალეთმა მუდროსის ნავსადგურში ინგლისთან ხელი მოაწერა დროებით ზავს, რომლითაც იგი თავს დამარცხებულად აცხადებდა. ამიერიდან, ბათუმის ოლქში ოსმალებს დიდი ბრიტანეთი ჩაენაცვლა. 1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 15-20 ათასკაციანი ჯარით. ბრიტანელებმა აქ დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი, ჩამოაყალიბეს საგენერალ-გუბერნატორო, რომელსაც მეთაურობდა გენერალი კუკ-კოლისი ***[ცუხიშვილი, 1995: 21].*** ბათუმის მმართველობა ჩააბარეს კადეტ მასლოვს, რომელიც ერთგულად ასრულებდა ინგლისელთა განკარგულებასა და დენიკინის მითითებებს. ინგლისელები დენიკინელებთან უფრო თანამშრომლობდნენ, ვიდრე საქართველოს მთავრობასთან, თანაც, არ აძლავდნენ საშუალებას ფრანგებს და ოსმალებს კონკურენცია გაეწიათ საქართველოში პირველობისათვის ატეხილ ბრძოლაში.

მანამდე, 1917 წლის 23 დეკემბრის ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებით, განისაზღვრა ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროები. დონი, ყუბანი და კავკასია ინგლისს ერგო, ხოლო ყირიმი, უკრაინა და ბესარაბია – საფრანგეთს ***[Чохели, 1980: 95].*** თუმცა, აღნიშნული შეთანხმება ხელს არ უშლიდა საფრანგეთს, შესულიყო საქართველოში. მათთვის აქ სასურველი ფონი არსებობდა – ფრანგული კაპიტალი აქტიურ როლს თამაშობდა ქართულ რეალობაში. ფრანგი დიპლომატები ცდილობდნენ ინგლისელების წინააღმდეგ გამოეყენებინათ დენიკინის ძალები და კავკასიის რეგიონიდან გამოედევნათ ისინი.

არც ინგლისელები იყვნენ გულზე ხელებდაკრეფილნი და 1918
წლის ბოლოს დიდი ბრიტანეთის ჯარის ნაწილები გენერალ ტომსონის მეთაურობით ბაქოში შევიდნენ. მათი მიზანი იყო ბაქოს ნავთობისა და ამიერკავკასიის წიაღისეული სიმდიდრეების ხელში ჩაგდება.

ამ დროს გააქტიურდნენ ნავთობის მონოპოლისტები, რომლებიც ინგლისელებისაგან მოითხოვდნენ ამიერკავკასიის სრულ ოკუპაციას. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის აზრითაც, ამ რთული ვითარებიდან გამოსავალი ისევ ინგლისთან კარგი ურთიერთობის დამყარება იყო ***[ღამბაშიძე, 1964: 25].*** თუმცა, ქართველ დიპლომატთა იმედები არ გამართლდა. ინგლისელებისათვის მხოლოდ საკუთარი პრაგმატული გეგმების სისრულეში მოყვანა იყო მთავარი.

ინგლისის მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციის შემდეგ ფრანგები დარწმუნდნენ, რომ ინგლისი არავის არ დაუთმობდა ამიერკავკასიას, მაგრამ მაინც გაიბრძოლეს. საფრანგეთს უნდა შეემუშავებინა ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდების კონკრეტული გეგმა, რომელიც, ამავე დროს, უზრუნველყოფდა აქ მისი ინტერესების დაცვას. ასეთი გეგმა შეიმუშავა საქართველოში საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაურმა შარდინმა. მისი გეგმის თანახმად ამიერკავკასია გადაიქცეოდა შვეიცარიის მსგავსი პატარა შტატების კავშირად, რომლის დედაქალაქიც იქნებოდა თბილისი ***[Чохели, 1980: 121].*** მაგრამ ფრანგებს გაურთულდათ ურთიერთობა რუსეთთანაც. წითელი არმიის ნაწილებმა ფრანგები გამოდევნეს ოდესიდან და სევასტოპოლიდან. ამან კი, 1919 წლის აპრილში, უკიდურესობამდე გაართულა ვითარება ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რადგან ინგლისის ხელში აღმოჩნდა ყირიმი და უკრაინა. საფრანგეთის ავტორიტეტი დაეცა.

ინგლისელები ცდილობდნენ ეკონომიკურ ბლოკადაში მოექციათ საქართველო, რამაც დასცა ქართული ბონის მსყიდველუნარიანობა და გაიზარდა ფულის ემისია. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 10 მაისის სხდომაზე სოციალ-ფედერალისტი სიმონ მდივანი აღნიშნავდა: „...სულ არ არის 5 თვე, რაც შემოსულან ინგლისელები, და ჩვენი ფული ფულს აღარ ჰგავს. და თუ ასეთი მდგომარეობა, ასეთი პოლიტიკა გაგრძელდა – ჩვენი ფული წონით გასაღდება და არა რაოდენობით. როდესაც ისინი მოვიდნენ, გირვანქა ღირდა 45, დღეს კი ორასამდე არის ასული. ჩვენი ემისია ამავე დროს 100 მილიონით გაიზარდა. რასაკვირველია, ჩვენ ამაში ბრალს პირდაპირ ვერ დავდებთ მათ, მაგრამ მე ჩემ თავს ნებას ვაძლევ ვსთქვა, თუ ინგლისის სარდლობა მოისურვებს, ამ მოვლენას არ ექნება ადგილი. დღეს კი ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება, სანამ ჩუმი ბლოკადაა” ***[საქართველოს დამფუძნებელი.., 10.V.1919: 8-9].*** ინგლისელებმა ბათუმში გემების შემოსვლა დაბლოკეს, რამაც გამოიწვია ქართული ეკონომიკის დაცემა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქართველ ვაჭრებსა და მრეწველებს არ ჰქოდათ კონკურენტუნარიანი თავისუფალი გარემო. ამან დიდი დებატები გამოიწვია საქართველოს დამფუძნებელ კრების სხდომებზე. ერთ-ერთი სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშიდან ვკითხულობთ: „ჩვენ ვიცით, რომ იმ დროს, როდესაც ბათუმში აუარებელი გემი შემოდის, ჩვენში, ჩვენ ნავსადგურში ერთი გემიც არ შემოსულა. ამას აბრალებენ ხან დენიკინს, ხან სხვას; მე კი გულახდილათ უნდა ვაღიარო, რომ არავითარი ბრალი დენიკინს არ უდევს. საკმარისია ხმა ამოიღოს ინგლისის, ან საფრანგეთის სარდლობამ, რომ ეს არანორმალური მდგომარეობა მოისპოს. ეხლა კი არა თუ გემს არ უშვებენ ჩვენში, არავითარ სურსათს არ გვაძლევენ. ჩვენმა ვაჭრებმა, კოოპერატივებმა მოისურვეს საზღვარგარეთ ბაზართან კავშირის დაჭერა, საზღვარგარეთიდან მოდიოდა ხალხი

და გვთხოვდა, რამე ქსელი გაებათ აქაურ ვაჭარ-მრეწველებთან. ბევრიც აქედან წავიდა ამ მიზნით, მაგრამ ჰკითხეთ ჩვენ ვაჭრებს, თუ რა გაჭირვება, რა უბედურება განიცადეს მათ, როდესაც შემთხვევით მოხვდნენ იქ“ ***[საქართველოს დამფუძნებელი.., 10.V.1919: 10].***

მართალია, საქართველოს ეკონომიკას და მის საწარმოო ძალებს განვითარების დიდი პოტენციალი ჰქონდა თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და რესურსებიდან გამომდინარე, მაგრამ მას დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უწევდა. დამფუძნებელი კრების იმავე სხდომაზე სოციალ-დემოკრატმა გრიგოლ გიორგაძემ აბსოლიტურად სწორად აღნიშნა, რომ „ჩვენი ქვეყანა მდიდარი ქვეყანა არის. საწარმოო ძალები მასში სუსტადაა განვითარებული, ამ ძალებს ამუშავება უნდათ... ჩვენ გვეგონა და დღესაც დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ის ქვეყანაა, სადაც საწარმოო ძალები უნდა განვითარდეს. ჩვენს ქვეყანაში, რომელიც არის ხიდი ინდოეთთან, ხიდი აღმოსავლეთ დასავლეთს შორის, – ინგლისელებს და სხვა მოკავშირეებს ჰქონდათ და დღესაც აქვთ რეალური ინტერესები“ ***[საქართველოს დამფუძნებელი.., 10.V.1919: 12].*** სწორედ ეს ინტერესები იყო, რომ აფერხებდა ქართული ეკონომიკის აღმავლობას. ინგლისელები კი ცდილობდნენ თავის გასაღების ბაზრად ექციათ იგი. ამას ემატებოდა ისიც, რომ ბათუმში შემოტანილი დიდი რაოდენობის საქონელი ინგლისელებმა არ მიჰყიდეს ქართულ მხარეს და ხელში ჩაუგდეს გადამყიდველებს – „სპეკულიანტებს“. ყოველივე ამით კი ხელი მოითბეს ისევ ინგლისელებმა. საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „... ის ინგლისელი ვაჭრები, ის ბანკირები, რომლებიც ჩამოვიდნენ, გაკვირვებულნი იყვნენ იმ ზრდით, რომელსაც განიცდის მათი ვალიუტა და, აგრეთვე, იმით, რომ ჩვენი მანეთი ეცემა. ამას წინათ, მოგეხსენებათ, იგი ღირდა 250 მან. და დღეს უკვე 400 მან... ინგლისის ბანკი, რომლის განყოფილება უნდა გაიხსნან ბათუმში, ბევრად ნაკლებად აძლევს ამ ვალიუტას. ტფილისში ისეთი სპეკულაციაა, რომ ბაზარში 400 მან. ღირს, და ამას ჰქმნის ძალით მფარველობა აქაურ სპეკულაციისა. იმავე დროს ინგლისის ბანკმა შესაძლოდ სცნო, მიეცა ვალიუტა 250 მან.“ ***[საქართველოს დამფუძნებელი.., 17.VI.1919: 12].***

ამ მძიმე ვითარებიდან გამოსასვლის საშუალებად საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიჩნია ექსპორტზე სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლიის დაწესება. მონოპოლია დაწესდა თამბაქოზე, მატყლზე, აბრეშუმზე, შავქვაზე, ტყეზე და ყოველგვარ მადნეულზე. ამ საქონლის საზღვარგარეთ გატანის უფლება მხოლოდ „სიბუნიონ-ლიმიტედს“ ჰქონდა. ანუ იგი მონოპოლისტი გახდა, რის სანაცვლოდაც მას მიჰქონდა საქონლის გატანის ხარჯებიდან 5 პროცენტი და მოგების 20 პროცენტი, რაც საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენდა ***[საქართველოს***

დამფუძნებელი.., 25.XI.1919: 10]. სანამ ეს ხელშეკრულება გაფორმდებოდა, ქართველ ვაჭართა ჯგუფი მოითხოვდა ამ პროდუქციის ექსპორდზე გატანის უფლებას 22 პროცენტიანი მოგების სანაცვლოდ. ამ მოთხოვნებს შორის სხვაობა მხოლოდ 2 პროცეტი გახლდათ. უმჯობესი იქნებოდა, მთავრობას, მცირედენი სხვაობის მიუხედავად, ისევ ქრთველ ვაჭრებთან დაეჭირა საქმე, რადგან დაზღვევის მექანიზმი მეტი იყო და თანაც, ეს ხელს შეუწყობდა ქართველი ვაჭრების ჩართულობას საერთაშორისო აღებ-მიცემობაში და გამოიყვანდა მათ იზოლაციიდან.

რაც შეეხება „სიბუნიონ-ლიმიტედის“ წარმომავლობას, ამ საკითხმა საქართველოს დამფუძნებელი კრების მსვლელობის დროს დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დეპუტატთა ნაწილი მას რუსულ ფირმად მიიჩნევდა და მის უკან ამოფარებული რუსეთის სახელმწიფოსაგან მომდინარე პოლიტიკურ საფრთხეებზე ალაპარაკდა. დეპუტატთა მეორე ნაწილი კი მის ინგლისურ წარმომავლობას ამტკიცებდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საქმეში ჩაერთო საქართველოში მყოფი ინგლისის საელჩო. ბრიტანეთის კონსულმა ჰ. სტივენსმა 1919 წლის 11 დეკემბერს სპეციალური წერილი მისწერა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, სადაც ადასტურებდა „სიბუნიონ-ლიმიტედის“ ინგლისურ წარმომავლობას *[საქართველოს დამფუძნებელი.., 28.XI.1919: 32].*

საქართველოს მთავრობასა და „სიბუნიონ-ლიმიტედს“ შორის გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ამ ინგლისურ კომპანიას საქართველოში უნდა შემოეტანა საქონელი და მიეყიდა ქართული მხარისათვის. როგორც დეპუტატი ჯაფარიძე ამბობს „სიბუნიონ-ლიმიტედი“ საკუთარი თანხით ყიდულობდა საზღვარგარეთ საქონელს, რომელიც შემოჰქონდა საქართველოში და სამაგიეროდ მოგების 15 პროცენტი მიჰქონდა *[საქართველოს დამფუძნებელი.., 28.XI.1919: 20].* ინგლისური კომპანია საქართველოში პურის ერთადერთი შემომტანი ანუ მონოპოლისტი გახლდათ. საქართველოს მთავრობამ მას არანაირი დაზღვევა არ მოსთხოვა, რის გამოც დამფუძნებელი კრების წევრებმა სამართლიანად გააკრიტიკეს იგი *[საქართველოს დამფუძნებელი.., 28.XI.1919: 21].*

საერთო ჯამში, „სიბუნიონ-ლიმიტედმა“ მისთვის მომგებიანი ხელშეკრულების ქართულ მხარისათვის თავსმოხვევის შედეგად საკმაოდ დიდი მოგება ნახა. ქართული მხარე მასზე დამოკიდებული აღმოჩნდა. აღნიშნული ვითარება ამყარებდა ინგლისელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოზიციებს ბათუმის ოლქში, რაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა აქ მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. ამრიგად, „სიბუნიონ-ლიმიტედის“ კომპანია ინგლისელთა ხელში იქცა ბათუმის ოლქის მკვიდრთა დაკაბალებისა და მორჩილებაში მოყვანის ერთ-ერთ ინსტრუმენტად.

გამოყენებული ლიტერატურა:
საქართველოს დამფუძნებელი.., 10.V.1919: – საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 10 მაისი.
საქართველოს დამფუძნებელი.., 17.VI.1919: – საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 17ივნისი.
საქართველოს დამფუძნებელი.., 25.XI.1919: – საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 25 ნოემბერი.
საქართველოს დამფუძნებელი.., 28.XI.1919: – საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში, 1919 წლის 28 ნოემბერი.
ღამბაშიძე, 1964: – ღამბაშიძე გ., ინგლისისა და აშშ-ს აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიის მიმართ (1919 წ.) თბილისი
ცუხიშვილი, 1995: – ცუხიშვილი რ., ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ., თბილისი
Чохели, 1980: – Чохели А. И., Политика Франции в отношении Грузии (1917-1921), Тбилиси.

Guguli Kukuladze (Batumi, Georgia)

Economical Politics of the English Company „Sibunion" in the District of Batumi and its Reflection in the Records of the Constituent Assembly of Georgia

Summary

In the given article is discussed the character of the economical policy carried out by the English.

The English company ,,Subunion Limited'' signed a profitable agreement with the government of Georgia, which strengthened the political and the economical positions of the English in the district of Batumi. It can be said that the company ,, Subunion Limited'' became one of the tools of the English having under control the residents of the district of Batumi.

ნაილე მიქელაძე
(ბათუმი, საქართველო)

რეპრესირებულ ოჯახთა ისტორიიდან

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. სსრ კავშირის ხელმძღვანელობა დროებით მკაცრი რეჟიმისაგან თავს იკავებდა, მაგრამ სიტუაცია არსებითად შეიცვალა 30-იან წლებში, როდესაც კომუნისტური პარტიის შიგნით გაჩაღებული იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ბრძოლა ღვარძლიან დაპირისპირებასა და ბოროტმოქმედებაში გადაიზარდა. სსრ კავშირის ყველა რეგიონში განხორციელდა პოლიტიკური რეპრესიები, რის შედეგადაც დაიღუპა მილიონობით ადამიანი.

აჭარაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, აჯანყებებმა – ხულოსა და ჭვანის 1929 წლის 7 მარტის და სხვა გამოსვლებმა, გამოიწვია დამნაშავე თუ უდანაშაულო ხალხის რეპრესიები. მაქსიმალურად გამკაცრდა საბჭოთა კანონები. „1930 წ. ქ. ბათუმში 10 რელიგიური დაწესებულება იყო. აქედან 7 ეკლესია და 3 ჯამე. სოფლებსა და მაზრებში 134 ჯამე. მაგრამ მორწმუნეები რეპრესიების შიშით სალოცავად თითქმის აღარ მიდიოდნენ. 30-იანი წლების პირველ ნახევარში ჯამეები ფაქტობრივად გაუქმდა" ***[ჩაველეიშვილი, 2012: 178].***

რეპრესიებმა მკაცრი და ფართომაშტაბიანი სახე მიიღო 1937-38 წლებში. „მართლმსაჯულების ორგანოები მოქმედებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ნებით, მათი დაკვეთით. ასეთ პირობებში ადამიანების თავისუფლება, მათი ბედი განწირული და დაუცველი იყო. სსრ კავშირში განუზომელი უფლებები მიანიჭეს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამსახურებს. ისინი წინასწარ ადგენდნენ დასაპატიმრებელ ადამიანთა სიებს და დაუნდობლად ანადგურებდნენ მათ ***[თურმანიძე, 2012: 79].***

აჭარის ხელისუფლებას დავალებული ჰქონდა, განურჩევლად ასაკისა და სქესისა დაეპატიმრებინათ და რუსეთის შორეულ პროვინციებში გადაესახლებინათ ქვეყნისთვის საშიში ოჯახები, თუმცა დამნაშავეებს უდნაშაულო ოჯახებიც მიაყოლეს. ამ გადაწყვეტილებამ დიდ განსაცდელში ჩააგდო ქვეყანა. საგაზეთო სტატიებში ვკითხულობთ: „დაპატიმრებულებს, მსჯავრდებულებს აგზავნიდნენ სპეციალურ ბანაკებში, სადაც უმძიმესი პირობები იყო. 15 წლამდე ასაკის ბავშვები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განსაკუთრებულ მეთვალყურეობაში იმყოფებოდნენ. ამ ბრძანების გამაოგნებელი ერთი პუნქტი ისიც იყო, რომ ჩვილბავშვიან დედებს ბავშვებთან ერთად ასევე აგზავნიდნენ სპეციალურ ბანაკებში ***[„აჭარა", 1997].***

აჭარაში პოლიტიკური რეპრესიების განხორციელებაში ყველაზე მეტად აქტიურობდა ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და სხვა თანამდებობის პირები, რომელთაც არაერთი უდანაშაულო ადამიანი გადაასახლეს. მათ შორის არის ვრცელი სია პედაგოგების, თავჯდომარეების, ბრიგადირების, სკოლის დირექტორების, ფაბრიკა-ქარხნების ხელმძღვანელების და ა.შ.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იქცნენ აჭარის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. კერძოდ, დააპატიმრეს მწერალი და პუბლიცისტი მემედ აბაშიძე, რომელიც იმავე წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისში სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით დახვრიტეს ***[შარაძე, 1995: 166-167].*** მეტ-ნაკლებად მძიმე მდგომარეობა იყო ბათუმის ახლომდებარე სოფლებშიც.

საარქივო მასალების მიხედვით „ქ. ბათუმში, რაიონებსა და დაბა-სოფლებში თითქმის აღარ დარჩენილან ხელმძღვანელი მუშაკები, ვისაც პოლიტიკური რეპრესიები არ შეხებოდა. „შპიონის", „კონტრაბანდისტის" და სხვა აშკარად ფალსიფიცირებული ბრალდებით, ანდა რეპრესირებულ ყოფილ სახელმწიფო, პარტიულ და სხვა მუშაკებთან ნათესაობის მოტივით დააპატიმრეს მრავალრიცხოვანი რიგითი მოქალაქეებიც. მათ ხვრეტდნენ, უკეთეს შემთხვევაში მათ პატიმრობაში აგზავნიდნენ ციმბირსა თუ ჯურღმულებში" ***[თურმანიძე, 2012: 188].***

რეპრესიებმა მოიცვა მთელი აჭარა. აჭარის არ ხელვაჩაურის რაიონში, კახაბრის ვაკეზე, ბათუმთან ახლოს მდებარეობს სოფელი ფერია. ის ერთ-ერთი უძველესი სოფელია აჭარის სოფელთაგან. აქ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ცხოვრობდნენ. სხვა გვარებთან ერთად აქ ცხოვრობდნენ ზოიძეებიც. აქაური ზოიძეების გვარის ისტორია ისტორიული ტაო-კლარჯეთიდან გადმოსული ოფლიოღლებიდან მომდინარეობს. მათი გვარის წარმომადგენლები აჭარაში რიზეს ხეობიდან, კერძოდ, სოფელ **სალახადან** მოსულან. აჭარაში 1914 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახვილაურში დეიდასთან გადმოსახლებულან: **მემედი,** დედამისი, მამა, ძმა და სამი ქალიშვილი. **მემედს** თავისი ბედი დაუკავშირებია დეიდამისის გერისთვის (ქმრის პირველი ცოლის შვილი) – ემინე ზოიძისთვის. მაშინდელ ხელვაჩაურის რაიონსა და სოფლებში ცხოვრება საშიში და დაუცველი ყოფილა. ახლადშეუღლებულებს ვაჭრობითა და შრომით სოფელ ფერიაში ოჯახი შეუძენიათ და დასახლებულან.

წინაპრების შესახებ ოჯახის წევრები იგონებენ: „1921 წელს ბათუმის უშიშროების სამსახურის წარმომადგენელს ოჯახის უფროსი დაუბარებია და უთქვამს: ან რიზეში დაბრუნდით ან სამუდამოდ დარჩებით ბათუმში. მემედმა აქ დარჩენა გადაწყვიტა.

დედა და მისი ძმა კი რიზეში დაბრუნდნენ. მათი შთამომავლები დღესაც იქ ცხოვრობენ".

ბათუმში დარჩენილი მემედ ოფლიოღლი 1944 წლის რეპრესიების მსხვერპლი გამხდარა. მემედი იმ პერიოდისთვის სოფლის ფერმაში მეთვალყურედ მუშაობდა. ერთ საღამოს ოფლიოღლების ოჯახს სამხედროები დადგომიან თავს და უბრძანებიათ: „დაუყონებლივ დატოვეთ აქაურობაო". ოჯახის უფროსი სახლში არ ყოფილა. ოჯახს ბარგის ჩალაგებაში მეზობლად მყოფი მუსხაჯბები დახმარებიათ. მათ საგზლად ლიმონი და სიმინდი წაუღიათ. წვრილშვილიანი ოჯახი ურემზე დაუსვამთ, ბათუმში ჩაუყვანიათ და ეშელონებში ჩაუსხამთ. ემინე ზოიძისთვის შეუთავაზებიათ: „ადგილობრივი ხართ და თუ სურვილი გექნება დარჩითო". ემინეს შვილებსა და ქმართან ერთად გამგზავრება გადაუწყვეტია. გზად დიდი გასაჭირი გადაუტანიათ. დამშეულ-გაღატაკებული მგზავრები იძულებულები ყოფილან გაყინული და დაძველებული პური დაეხერხათ და ისე ეჭამათ. საბოლოოდ ისინი ყაზახეთში, სოფელ ყიზილკიაში ჩაუსახლებიათ. შემდგომში შრომისმოყვარე ოჯახს ცხოვრება კარგად მოუწყვია, თუმცა სამშობლოდან გადაკარგულებს მშობლიური კუთხის ნოსტალგია აწუხებდათ.

მოგვიანებით, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ისინი აჭარაში დაბრუნებულან. მათი გვარი 1956 წლამდე ოფლიოღლად, შემდგომში – ზოიძედ იწერებოდა. ოჯახმა გადაწყვეტა დედის, ემინე ზოიძის გვარის მიხედვით ცხოვრება ფერიაში გაეგრძელებინა. აჭარაში დაბრუნებულებს მათი საკუთრების უკან შესყიდვა მოუხდათ. მემედ ოფლიოღლსა და მის ცოლს ემინეს ოთხი ბიჭი და ერთი გოგონა ჰყავდათ. ესენი არიან:

ისმაილი – უფროსი შვილი, რომელიც გადასახლებაში დარჩა. მას ერთი ქალიშვილი – ნაზი და ორი შვილიშვილი ყავს: ჯემალი და ელვირა. მისი ოჯახი დღესაც რუსეთში ცხოვრობს. თავად ერთი წელიწადია გარდაიცვალა.

დურსუნი – მცხოვრები ფერიაში. მეუღლე ნაზი ქართველიშვილი. მათ ორი შვილი ჰყავთ: ამირანი შვილებით – ჯონი, გიორგი, თამუნა. მეორე ქალიშვილი მერი შვილებით – ელდარი, ირაკლი, ინდირა.

შაიზი – ფერიაში მცხოვრობი (აწ გარდაცვლილი). მეუღლე ნათელა მიქელაძე. შვილები: 1) დავით ზოიძე შვილებით – ნათია და ნუკრი. 2) დარეჯანი შვილებით – ია და გელა. 3) ნანი შვილით – თორნიკე. 4) ბადრი შვილებით – ანა, დიანა და ენრი.

იბრაიმი – ფერიაში მცხოვრები. მეუღლე – შუშანა ბერიძე (აწ გარდაცვლილი). შვილები: 1) ზაური – ქალიშვილებით: სალომე და მაია. 2) მერაბი – ორი ვაჟიშვილით: პაატა და ანრი, ქალიშვილი – ლიზიკო. 3) მარინა შვილებით – ელიტა და ლუკა.

ჰიდეთი – ქალიშვილი, მახინჯაურში მცხოვრები. მისი შვილები არიან: 1) მედიკო (სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი).

თემური (ორი ქალიშვილი). რეზო (ორი ვაჟიშვილი). მანანა (სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი). (მთქმელები. მ.ზოიძე და ბ.ზოიძე, დაბ. და მცხ. სოფელ ფერიაში. ნ. მიქელაძე, დაბ სოფელ ხიხაძირში, მცხ. სოფ. ფერიაში, 73 წ., ჩავიწერე 2015 წლის ივნისში).

ამ სოფელში, სხვა დანარჩენ გვარებთან ერთად ასევე ცხოვრობდნენ ჩაქვიდან რიზეში საცხოვრებლად გადასული და შემდგომ სოფელ ფერიაში უკან დაბრუნებული ქართველიშვილების ერთი შტო. ისინი თავდაპირველად ყურშუბაძეებად, შემდგომში კი რიზეში გურჯიოღლებად იწოდებოდნენ. აჭარაში დაბრუნებულები ხელისუფლებამ ქართველიშვილებად გააფორმა.

ქართველიშვილების ისტორია მსგავსია სხვა რეპრესირებული ოჯახების ისტორიებისა. მათ 1940-იან წლებში მოუწიათ მძიმე და გაუსაძლის პირობებში უკანონო გადასახლება. 40-იან წლებში ნაზი ქართველიშვილის მამა – სულეიმანი – სოფლის თავჯდომარედ მუშაობდა, დედა – ნაფიე ტაკიძე – დიასახლისი იყო. მათ ხუთი ვაჟიშვილი და 2 ქალიშვილი ჰყავდათ. 1944 წლის შემოდგომაზე ღამის 11 საათზე ქართველიშვილების ოჯახს მთავრობის წარმომადგენელები დაადგნენ თავს. უცხო პირებმა ოჯახის დიასახლისს სასწრაფოდ გამგზავრება უბრძანეს. დისახლისის პასუხი, რომ ქმარი სახლში არ იყო, მათვის არაფერს არ ნიშნავდა, არაფრის მოსმენა არ სურდათ. დიასახლისს მცირედი ბარგის ჩასაწყობად მეზობლები დაეხმარნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის უფროსი სახლში არ იყო და არც ინფორმაციას არ ფლობდა, წვრილშვილიანი დედა შორეულ გზას მაინც გაუყენეს. ისინი ხალხმრავალ ვაგონებში შეჰყარეს...

ძალიან ცუდ პირობებში მოუწიათ მგზავრობა. შიმშილი, წყურვილი. ვაგონში აუტანელი პირობები იყო. გზაში დედამ შვილები შიმშილისგან ძლივს იხსნა. მან მათ გამოსაკვებად წაღებული ლიმონი გადაცვალა პურზე. დაღლილ-დაქანცულებმა სული ძლივს ჩაიტანეს ყაზახეთში.

ტკივილით აღსავსე მოგონებებით, ცრემლიანი თვალებით ნაზი ქართველიშვილი იხსენებს გადასახლების უმძიმესს დღეებს. „ხელისუფლების წარმომადგენლები ვაგონებიდან გზადაგზა გარდაცვლილ ადამიანებს ისე ყრიდნენ, როგორც ტვირთსავსე ტომრებს. სიკვდილის მოლოდინით შეშინებული ადამიანები ერთმანეთს შეცსქეროდნენ. არავინ არ იცოდა ვინ იქნებოდა შემდეგი”.

რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ (3-4 დღე), მათ ოჯახის უფროსი სულეიმანი შეუერთდა... რუსეთში გადასახლებულები ცხენებშებმულ ურემში გადასვეს და შორეულ გზას გაუყენეს. ირგვლივ უსასრულო თოვლიანი ყინულიანი ტრამალები იყო გადაჭიმული. ბავშვებიანი მგზავრები

ფეხშიშველა, ნახევრად მშივრები და ტვირთებით დატვირთულები გაუდგნენ გზას. დაახლოებით სამი-ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ მიადგნენ ყაზახეთის, სოფელ ყიზილკიას. მათი საცხოვრებელ ადგილად, სწორედ ის იყო შერჩეული. გადასახლებულებს მისცეს ძველი შალის გადასაფარებლები (ადიალები) და ერთი ძველი ოთახი საცხოვრებლად. სულეიმანსა და ნაფიეს იმედი არ დაუკარგავთ. თავიდან დაიწყეს ცხოვრების მოწყობა. დასაწყისისთვის ნაფიემ გადაწყვიტა თხა ეყიდათ. ქართველიშვილების ოჯახი შემდგომში თანდათან მოძლიერდა. ვაჟიშვილებმა ქარხანაში დაიწყეს მუშაობა. ძმებიდან ქაზიმი ფანჯრების ცეხში მუშაობდა. ჯემალი თამბაქოს ფაბრიკაში. მამა – ღამის დარაჯად მოეწყო. დღისით – ოჯახს სასოფლო – სამეურნეო საქმიანობაში ეხმარებოდა (მთქ. ნ. ქართველიშვილი, დაბ. და მცხ. სოფელ ფერიაში, 78 წ. ჩავიწერე 2015 წლის ივნისში).

საქართველოში დაბრუნებამდე, ნაზი ქართველიშვილმა თავისი მომავალი ბედი გადასახლებული ზოიძის ვაჟიშვილს, დურსუნს დაუკავშირა. შორეული ყაზახეთის სოფელ ყიზილკიაში ერთი ქართული ტრადიციული ქორწილი შედგა. 1956 წელს ისინი საქართველოში, სოფელ ფერიაში თავის ძირძველ კერას დაუბრუნდნენ და დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.

რეპრესირებულთა რეაბილიტაციის შედეგად, მათ შთამომავლობას მოეხსნა ცილისმწამლებლური იარლიყები, რომლებსაც ისინი წლების განმავლობაში ტყუილუბრალოდ ატარებდნენ. საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 11 დეკემბერს მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ". ამ კანონით 2001-2002 წლებში რეპრესირებულთა ოჯახებისთვის გათვალისწინებული იქნა გარკვეული შეღავათები ***[„საბჭოთა აჭარა", 1989].***

ისტორიულმა სიმართლემ იზეიმა, თუმცა რეპრესირებულთა ოჯახების ტკივილი კვლავ მოუშუშებელ იარად რჩება. 30-40-იანი წლების სისხლიანი დევნა ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდია საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა

„აჭარა", 1997 – გაზ. „აჭარა", 7 ივნისი, 1997.

თურმანიძე, 2012: – თურმანიძე ო., მასობრივი რეპრესიები XX საუკუნის 30-იან წლებში, – კრ.: სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, IV, ბათუმი.

„საბჭოთა აჭარა", 1989: – გაზ. „საბჭოთა აჭარა", 18 იანვარი, 1989.

შარაძე, 1995: – შარაძე გ., მემედ აბაშიძე, ბათუმი.

ჩავლეიშვილი, 2012: – ჩავლეიშვილი მ., „ანტისაბჭოთა მოძრაობა XX საუკუნის 20-30-იან წლებში, – კრ.: სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, IV, ბათუმი.

Naile Mikeladze (Batumi, Georgia)

From the History of Repressed Families

Summary

Having been established the Soviet authority in Georgia the social-political situation was completely changed. In all regions of the USSR a considerable number of population was gone under the repressions and millions of people were killed. The repressions got particularly severe and large-scaled in 1937-38.

The Public Commissar of internal Affairs and other authorities of Autonomous Republic of Adjara were actively involved in the processes of repressions exiling hundreds of people. According to the archive materials, there were not left any executives not having been repressed. The repressions were accomplished all over Adjara.

There is a village of Pheria near Batumi, in Kakhaberi valley, Khelvachauri Region of AR of Adjara. The main topic of the work concerns to the story of the inhabitants in this village. They still live in Adjara. The distress of the repressed families is still alive and incurable. The bloody persecution of 30-40s of the 20th century will always remind of itself as a disgraceful tragedy of the whole country.

უჩა ოქროპირიძე
(ბათუმი, საქართველო)

ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი

На подлинномъ собственною Его императорского Высочество наместника Кавказасого, рукою написано «одобряю».
Начальник Главного управления Наместника Кавказского.
Генерал-лейтенант Старосельский

14 октября 1878 г.
Въ Тифлисъ

ქ. ბათუმში პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი

ა. საერთო დებულებანი

§ 1. პორტი და ქალაქი ბათუმი სარგებლობს პორტო-ფრანკოთი მინიჭებული უფლებით და თავისუფალი ვაჭრობით.

§ 2. ამის საფუძველზე პორტსა და ქალაქ ბათუმში ნებადართულია თავისუფალი და უბაჟო უცხოური, შემოსატანად ნებადართული საქონლის შემოტანა. საერთო ტარიფით აკრძალული უცხოური მარილის და საქონლის შემოზიდვა კი ბათუმში არ დაიშვება.

§ 3. პორტსა და ქალაქ ბათუმზე ნაბოძები თავისუფლება უცხოური საქონლის უბაჟოდ შემოტანისა არ ვრცელდება რუსეთში გამოშვებულ საქონელზე, რომელსაც დადებული აქვს გასატანი ბაჟი. ამიტომაც, რუსული საქონლის საზღვარგარეთ გატანის წესი ბათუმის პორტშიც გამოიყენება მთელი ძალით.

§ 4. პორტო-ფრანკო შემოისაზღვრება ხაზით, რომელიც გავლებულია ქალაქის გარშემო და აღნიშნულია გეგმაზე, ეს ხაზი განისაზღვრება თხრილებით, არხებით, ან სხვა ხელოვნური წინაღობებით.

§ 5. ბათუმში იქმნება: ა) ზღვის ნაპირის ახლოს მთავარ სასაწყობე საბაჟო, საბაჟო ფორმალობების და ხაზინაში ქვემოთ ჩამოთვლილი გადასახადების გადასახდელად, როგორც შემოზიდვის, ისე საქონლის გატანისას, ამასთან ყურის ზედამხედველობისათვის, რომელსაც ბათუმისა დაერქვა; ბ) ორი საბაჟო ბრანდვახტა ყურეში შემოსასვლელის წინ ხომალდების გაშვებისა და შემოშვებისათვის; ვ) პორტო-ფრანკოს ხაზზე მოუწყობელი წინაღობების, რომელიც ქალაქს შემოსაზღვრავს, ორ საგუშაგოს, რომელსაც ერთს ერქმევა ოზურგეთის, მეორეს ჭოროხის, პორტო-ფრანკოს რაიონიდან გზებზე გამოსასვლელად ორივე მხარეს სხვადასხვა პირთა გასატარებლად, ბათუმში რუსული საქონლის და ქალაქიდან ქვეყნის შიგნით ყოველგვარი უბაჟო საგნების, აგრეთვე საქონლის საბაჟოზე ბაჟის გადასახდელით ზიდვა და გ) პორტო-ფრანკოს მთელ საზღვარზე დაწესდეს სასაზღვრო დაცვის სათანადო ზედამხედველობა ქ.

ბათუმიდან მხარის შიგნით საქონლის საიდუმლოდ გატანის აღსაკვეთად.

§ 6. ბათუმში საბაჟო შენობის მოწყობა და შენახვა; აგრეთვე პორტო-ფრანკოს საზღვრებში წინაღობების, საგუშაგოებისა და სასაზღვრო დაცვის ჩინებისათვის შენობების მოწყობა ოდესის ყოფილი პორტო-ფრანკოს მსგავსად, კარგი იქნებოდა ქ. ბათუმისთვის დაგვედო მოვალეობა, მისთვის უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟის განსაზღვრული ნაწილის დადების უფლების მინიჭებით. მაგრამ რაკი ამ პერიოდისთვის სამართლიანი, რუსულ კანონების საფუძველზე შექმნილი ქალაქის მმართველობა ბათუმში არ არსებობს, ხოლო მეორე მხრით პორტო-ფრანკოს შემოღება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, სავარაუდოა ბათუმის პორტო-ფრანკოს მოსაწყობად საჭირო ყველა სამუშაოები ჩატარდება ხაზინის ხარჯზე. ქ. ბათუმში ვაჭრობის განვითარების და სამართლიანი საქალაქო მმართველობის მოწყობისათვის, მთავრობამ, გამოყენებული ხარჯების ასანაზღაურებლად, თავისთვის უნდა დაიტოვოს უფლება ბათუმში შემოტანილ საქონელზე დაადოს ბაჟის ნაწილი თავისი შეხედულებისამებრ.

§ 7. ბათუმში უცხოეთიდან ზღვით მოსული პირების შეშვება წარმოებს ამ საკითხზე იმპერიაში არსებული საპასპორტო წესების საფუძველზე.

§ 8. პირების გაშვება და ბათუმიდან ნებადართული საწარმო საგნების (საქონლის) საგუშაგოს გავლით გატანა, მათი სათანადო შემოწმების შემდეგ, წარმოებს საბაჟოს წესდება 273 სტატიის თანახმად, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. ბათუმის საგუშაგოს ფეხით ან ტრანსპორტით გავლის და საქონლის შემოტანისას, შემოწმება არ ხდება. პირთაგან, რომლებიც ფეხით ან ტრანსპორტით გაივლიან საგუშაგოს, რაიმე წერილობითი მოწმობის წარმოდგენას არ მოითხოვენ.

§ 9. შავი ზღვის პორტებში დაწესებული სახომალდო მოსაკრებლები, ბათუმში ექვემდებარება სრული ზომით გადახდას.

§ 10. პორტისა და ქ. ბათუმის თავისუფალი ვაჭრობა არ ცვლის სიფრთხილის იმ ზომებს, რომლებიც დადგენილია გადამდები სნეულებებისაგან დასაცავად და ამიტომაც ყველა საკარანტინო დადგენილება, ამ საკითხზე გამოცემული, მთელი ძალით უნდა იქნას გამოყენებული ბათუმის პორტის მიმართ, იმპერიის შავი ზღვის სხვა პორტების თანაბრად.

ბ) ბათუმში მოსული ხომალდების და შემოზიდული საქონლის შესახებ

§ 11. რადგანაც ბათუმში ნებადართულია საზღვარგარეთის საქონლის უბაჟოდ შემოტანა, ამიტომ ყველა ხომალდი შემოსული საზღვარგარეთიდან, თავისუფლდება საბაჟო დათვალიერებისა და დაბეჭდვისაგან. მაგრამ ბათუმის პორტში შემოსვლისას

ვალდებულია საბაჟო წესდების 448-ე სტატიის თანახმად გაჩერდნენ საბაჟო ბრანდ-ვახტთან იმ ფორმალობათა შესასრულებლად, რომლებიც დადგენილია 1868 წლის შენიშვნების დამატების საბაჟო წესდების 450-ე სტატიისა და იმავე წესდების 451-ე სტატიით; ე.ი. ბრანტვახტზე საბაჟო ჩინოვნიკს წარუდგინოს თავისი ხომალდისა და ტვირთის საბუთები; ყურეში ხომალდების შესვლისას, საბაჟოში შკიპერები წარადგენენ, საერთო საფუძველზე პირადად ხომალდისა და ტვირთის დოკუმენტებს საშკიპერო მონაცემებს ბრანტვახტის მიერ შკიპერისათვის დაბრუნებულს დაბეჭდილ პაკეტში.

§ 12. საკაბოტაჟო წესები, დადგენილი რუსეთის ერთი პორტიდან მეორეში საქონლისა და ნივთების გადატანისთვის, ვრცელდება ბათუმის პორტზეც.

§ 13. საკაპოტაჟო ხომალდებიც ბათუმის პორტში არ თავისუფლდებიან ხომალდის დოკუმენტების წარდგენისაგან საბაჟო ბრანტვახტზე, ყურეში შესვლის წინ.

§ 14. პორტიდან გამსვლელი ყველა ხომალდმა ყურიდან გასვლის წინ უნდა გაჩერდეს საბაჟო ბრანტვახტთან შემდეგის მისაღებად: საზღვარგარეთული ხომალდებმა-როლი, ხოლო საკაპოტაჟოებმა-პასპორტები.

§ 15. ხომალდის მფლობელები, რომლებიც არ შეასრულებენ ამ წესდების §§ 11, 13 და 14 გადმოცემულ მოთხოვნებს, ექვემდებარებიან ფულად ჯარიმებს, რომელიც დადგენილია საბაჟო წესდებით.

§ 16. ბათუმში შემოზიდული უცხოური საქონელი, თუკი მანიფესტში ან კონოსამენტში მითითებული ხარისხით აღმოჩნდება შემოტანისათვის ტარიფით ნებადართული, გემიდან გადმოტვირთვისთანავე გადის ქალაქში შემოწმებისა და დადაღვის გარეშე, მაგრამ საქონლის პატრონის იმაზე ხელმოწერით, რომ მის მიერ შემოტანილ საქონელთა რიცხვში არ არის ისეთი, რომელთა შემოტანაც იმპერიაში აკრძალულია. ეჭვის შემთხვევაში, საბაჟოს უფლება აქვს გახსნას საეჭვო ადგილები დარწმუნების მიზნით, და თუ აღმოჩნდება ისეთი ნივთები და მათთან თანასწორად საქონელი, რომელთა შემოტანაც აკრძალულია და რომლებიც ხომალდის შემოსვლისას შეიძლება ჩაითვალოს საიდუმლოდ შემოზიდულად, განკარგული იქნება საბაჟო წესდების კანონებით.

§ 17. საქონელი, რომლის შემოტანაც აკრძალულია, ტვირთის დოკუმენტაციაში მითითებულია თავისი საკუთარი სახელით, გადმოტვირთვისას საბაჟოს მეთვალყურეობის ქვეშ შემოდის და დაიშვება საბაჟოს წესდების 718-ე, 719-ე, 731-ე, 732-ე და 736-ე სტატებში გამოხატული წესების მიხედვით უკან უცხოეთში გასატანად სამი თვის განმავლობაში, თუ საბაჟოს წესების 771-ე და 772-ე სტატიებით დადგენილი წესის მიხედვით შვიდ დღეში ამის შესახებ შეტანილი იქნება განცხადება.

აკრძალული საქონელი, რომელზედაც არ იქნება განცხადება ზემოთ დასახელებულ დროის განმავლობაში უცხოეთში გატანის შესახებ, ექვემდებარება კონფისკაციას საერთო წესის საფუძველზე.

§ 18. ბათუმიდან უცხოეთში საქონლის გატანა შეიძლება დაშვებული იქნას მხოლოდ იმ გემებით, რომლებიც მიემართებიან პირდაპირ უცხოეთის პორტებში.

§ 19. რადგან უცხოური საქონლის ბათუმში შემოტანა ნებადართულია მათი შემოწმებისა და ამის შედეგად საბაჟოს არ აქვს საშუალება მეთვალყურეობა გაუწიოს ქალაქში ბეჭდვითი ნაწარმოებების შემოუტანლობას, რომელთა შემოტანაც აკრძალულია, ადგილობრივ პოლიციას ეძლევა ნება მეთვალყურეობა გაუწიოს ასეთ ნაწარმოებებს, რათა ისინი არ გავრცელდეს პორტო-ფრანკოს ფარგლებში და საგუშაგოების მოვალეობაში შედის არ დაუშვან მისი გამოტანა აღნიშნულ ფარგლებს გარეთ.

3) ბათუმიდან გატანილი საქონელთა შესახებ

§20. ბათუმში უცხოური საქონლის უბაჟო და შეუმოწმებლად შემოშვება ბათუმის საბაჟოს საგუშაგოებს და სასაზღვრო დაცვას ავალდებულებს პორტო-ფრანკოს ფარგლებში მკაცრად დაიცვას, რომ ბათუმიდან საბაჟოს ნებართვის გარეშე არ იქნას გაშვებული უცხოური საქონელი ბაჟის გადახდის გარეშე საგუშაგოს გავლით. ასეთი საქონლის გატანა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ საშიშროებას, მაგრამ ზღვით გატანა მოითხოვს მეტად ფხიზელ მეთვალყურეობას. ამ საფუძველზე ბათუმის საბაჟოს ჩინოვნიკებმა ყურადღებით უნდა დაათვალიერონ ბათუმში მოსული გემი მოტანილი ტვირთის გადმოტვირთვისას და შემდეგ მისი დატვირთვა უნდა წარმოებდეს ხომალდის ჩინოვნიკისა და მეთვალყურის ადგილზე მოუცილებლად ყოფნისას. თუ დატვირთვა იწარმოებს რამდენიმე დღეს, მაშინ ღამის პერიოდში სამუშაოების შეჩერებისას ხომალდების „ლუკები“ დაპლომბილი უნდა იყოს და ამის გარდა მეთვალყურეთაგან დაყენებული იქნეს მუდმივი ყარაული. დატვირთვის დამთავრების შემდეგ გამსვლელი ხომალდების ლუკები დაიპლომბოს და არ მოიხსნას ზედამხედველები, ისე გავიდეს ხომალდი ნავმისადგომიდან, შკიპერს მიეთითოს გაჩერდეს ბრანტვახტის წინ. ხომალდის ბრანტვახტთან მისვლისას, მასზე მყოფი საბაჟოს ჩინოვნიკი ათვალიერებს პლომბებს ლუკზე და თუ ისინი მთელი აღმოჩნდება, მაშინ მოხსნის მათ, მათთან ერთად ზედამხედველებს, შკიპერს გადასცემს როლს და ხომალდს ზღვაში გაუშვებს.

§ 21. უცხოური საქონელი, რომელიც განსაზღვრულია პორტო-ფრანკოს ფარგლებიდან იმპერიაში გასატანად, გამოცხადებული და დათვალიერებული უნდა იქნას საბაჟოში დადგენილი წესის მიხედვით და სრულად ანაზღაურებული ბაჟით

ევროპული ტარიფის მიხედვით; რისთვისაც საქონლის მეპატრონეები ვალდებულნი არიან ისინი წარმოადგინონ საბაჟოში ზედნადებით, ან კონოსამენტებით ერთ ეგზემპლარად. რადგან ბათუმში საბაჟო პაკჰაუზები ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის, ამიტომაც ზემოთ აღნიშნული დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს სავაჭრო საწყობებში.

§ 22. ბაჟით ანაზღაურებული საქონელი, მათი დამოქლონვით, რომლებიც მოქლონს ექვემდებარება და იმ ადგილების დაპლომბვა, რომლებშიც შენახულია საქონელი საბაჟო წესდების 955-ე, 956-ე, 959-ე და 960-ე სტატიების მიხედვით იგზავნება საბაჟოდან, სათანადო იარლიყით, ზედამხედველის თანხლებით. სახმელეთო გატანისათვის-საგუშაგოებში, ხოლო ზღვით გატანის შემთხვევაში იმპერიის სხვა პორტებში-ყურეებში, სახომალდო ზედამხედველმა უნდა დაათვალიეროს და თუ შემდეგ ადგილები და პლომბები აღმოჩნდება მთელი, სასაქონლო ადგილები მათგან პლომბების მოხსნისას, პირველ შემთხვევაში გაიშვება საგუშაგოს გავლით, ხოლო მეორეში იტვირთება ხომალდზე. იარლიყები ამისათვის საგუშაგოსა და ხომალდის ზედამხედველის სათანადო დამოწმებით იმავე დღეს საბაჟოში უკან ბრუნდება.

§ 23. წინა პარაგრაფებში მითითებულ სასაქონლო ადგილების შემოწმებისას საგუშაგოზე ან ყურეში, თუ ადგილი, კვანძი, ან პლომბი დაზიანებული იქნება, ან ეს უკანასკნელნი საერთოდ არ აღმოჩნდება, მაშინ ასეთი ადგილები დაუყოვნებლივ წარდგენილი იქნას საბაჟოში, რომელიც ასეთ შემთხვევაში თანმიმდევრულად ამოწმებს საქონელს და თუ ის აღმოჩნდება ხარისხით ან რაოდენობით შეუსაბამო გამოცხადებულთან, მაშინ საბაჟო ამ ადგილების ხელახლა დასაპლომბად, რომლებშიც ის ჩაწყობილია აგზავნის იარლიყისთვის მოთხოვნილების (მიხედვით) შესაბამისად, პორტო-ფრანკოს რაიონიდან გასატანად, საქონლის მეპატრონისაგან ჯარიმის გადახდით საბაჟო წესდების 977-ე და 978-ე სტატიების (მიხედვით) საფუძველზე, დაჯარიმება ხდება შეფუთვის კვანძების თუ პლომბების გაფუჭებისათვის. საქონელი, რომელიც აღმოჩნდება შემოწმებისას განცხადებაში მიუთითებელი, აქედან გამომდინარე ბაჟგადაუხდელი, ექვემდებარება კონფისკაციას, როგორც ჩუმად შემოზიდული, საბაჟო წესდების კანონის შესაბამისად.

§ 24. ბათუმიდან ზღვით უცხოური საქონელის გაგზავნა რუსეთის იმპერიის სხვა პორტებში, შესამოწმებლად და ბაჟის გადასახდელად დაიშვება ზღვით საქონლის სატრანზიტო გადატანისათვის კანონის საფუძველზე; ამისათვის საქონლის გამგზავნელები ვალდებულნი არიან საბაჟოში წარადგინონ თხოვნა, კონოსამენტების დებულებით ერთ ეგზემპლარად ტრანზიტით გასაგზავნ საქონელზე, მიზიდული იქნას სასაქონლო ადგილზე და წარდგენილი იქნას იმ ოდენობის გირაო, რომელიც

გათვალისწინებულია 1863 წლის საბაჟო წესდების 932-ე სტატიის კანონებით. ვაჭრობის შესახებ და 948-ე სტატიით იმავე წესდების 1868 წლის დამატებისა.

§ 25. საქონლის ხარისხისა და რაოდენობის არასწორი ჩვენებისათვის განცხადებაში, რომლებიც უნდა გაიტანონ პორტო-ფრანკოს ფარგლებს გარეთ, ამასთან ერთის ან მეორის უცოდინარობის შესახებ გაცხადებისას, განმცხადებელს დაედება ჯარიმა საბაჟო წესდების კანონებით.

§ 26. ზღვით ბათუმში შემოსულებს და ასევე იმპერიის სახმელეთო გზით მოგზაურებს საგუშაგოს გავლით, ნება ეძლევათ წაიღონ მათთან არსებული ნივთები სამგზავრო საგანთა კანონის საფუძველზე. იგივე კანონები უნდა დაიცვან იმ პირებმაც, რომლებიც, იმპერიამ შორეული ადგილებიდან ბათუმში მოსულნი, ისევ უკან ბრუნდებიან.

§ 27. ბათუმში სახმელეთო გზით ყველა მოსულისათვის და აქედან წამსვლელებისათვის, როგორიცაა: ქალაქის, მისი შემოგარენის თუ ქალაქის გარეუბნის მცხოვრებლებს, ნება არა აქვთ გაიტანონ არავითარი უცხოური საქონელი ბაჟის გადაუხდელად, იმ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის გარდა, რომელიც ზედ აცვიათ.

§ 28. ბათუმში მოტანილი რუსეთის საწარმოთა ნაწარმი, შეიძლება შემოტანილი და გატანილი იქნას უკანვე იმპერიაში თავისუფლად და უბაჟოდ, რადგან ეს ნაწარმები შემოზიდული ზღვით შეიძლება ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გატარებულ იქნას საგუშაგოების გავლით შემოგარენის ადგილების საჭიროებისათვის.

§ 29. ბათუმიდან რუსული წარმოების საქონლის გატანისას, მოითხოვონ საფაბრიკო მოწმობის ან ადგილობრივი პოლიციის მოწმობების წარდგენა, რომ ნამდვილად რუსული წარმოშობისაა გატანილი საქონელი. ამ მოწმობათა ნამდვილობის შემოწმება უნდა სწარმოებდეს საბაჟოში და არა საგუშაგოზე.

§ 30. საქონელი, რომელიც დაკავებული იქნება საიდუმლოდ გატანისას, ან პორტო-ფრანკოს ფარგლებს გარეთ გაზიდვისას, მისი გამტან-გამზიდველებს მოექცნენ საერფო საფუძველზე (ე.ი. კანონის მიხედვით-უ.ო.).

§ 31. ბათუმის პორტო-ფრანკოს აღნიშნული წესდებით პროექტის დამატებისათვის, საჭიროა:

1) დაათვალიერონ ბათუმის მიმდებარე ადგილი და განსაზღვრონ მომავალი პორტო-ფრანკოს რაიონის ხაზი და ის შეიტანონ გეგმაში, რომელიც შედგენილი იქნება ორ ეგზემპლარად.

2) განისაზღვროს სასაზღვრო ხეობების და თხრილების, ან სხვა წინაღობების ზომები, და საბაჟოს საგუშაგოებისათვის შეირჩეს ადგილები.

3) პორტო-ფრანკოს ფარგლებში შეირჩეს პუნქტები კორდინებისათვის და განისაზღვროს ამ საზღვრების დაცვისათვის დარაჯების რაოდენობა, როგორც მომავალ, ისე დადგენილ დროს წინაღობების მოწყობამდე.

4) იწარმოოს რეიდის დათვალიერება და განისაზღვროს მისთვის საზღვაო საბაჟოს ზედამხედველობა.

5) საბაჟოსათვის გამოინახოს შესაფერისი კერძო შენობა, და თუ შესაძლებელია პაკჰაუზებისთვისაც და დაქირავებული იქნეს ისინი.

6) კერძო ნაგებობათა დაქირავებისათვის წარმოებული მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში, შევეცადოთ გადავაწყვეტინოთ მესაკუთრეს მიყიდოს ის ხაზინას.

და 7) საბაჟოსათვის შენობის გამონახვის სრულად შეუძლებლობის შემთხვევაში, შეირჩეს ადგილი სახაზინო შენობის ასაგებად, გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომელიც უნდა შეადგინოს კავკასიის სამხარეო საკარანტინო-საბაჟო განყოფილების სამმართველომ და დასამტკიცებლად წარმოადგინოს დადგენილი წესით.

ამის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ადგილზე ბათუმში, ამიტომაც ევალება საიდუმლო მრჩეველ კაჩალოვს და კავკასიის და იმიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო ნაწილის მმართველს, ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს ბარონ ოსტენ-საკენს, გაემგზავრონ ბათუმში, სადაც ადგილობრივი სამხედრო გუბერნატორის გენერალ-მაიორ კამაროვის მონაწილეობით მოახდინონ გამოკვლევა აღნიშნული 7 პუნქტის მიხედვით და შედეგად შეადგინონ საერთო ხელმოწერით აქტი ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი, პორტო-ფრანკოს გეგმით, წარედგინოს მის იმპერატორობით უმაღლესობას კავკასიის მეფისნაცვალს, ხოლო მეორე ასეთივე გეგმით, გადაეცეს საიდუმლო მრჩეველ კაჩალოვს.

დედანთან სწორია

კავკასიაში და ამიერკავკასიაში საკარანტინო-საბაჟო ნაწილის მმართველი, მისი აღმატებულესობის კარის კამერჰერი ბარონი ოსტენ-საკენი.

დოკუმენტური წყარო:

Проект правил порто-франко в городе Батуми – Центральный государственный исторический архив СССР в Москве (ЦГИА СССР), фонд 574, дело 446, л.л. 7-11 об.

Уча Окропиридзе (Батуми, Грузия)

Проект правил порто-франко в городе Батуми

Резюме

Перевод является полной версией документа «Проект правил порто-франко в городе Батуми» с указанием точной даты его составления. В документе оговорены аспекты прибития иностранных судов в порте Батуми и их отбытие; аспекты транзита товаров и грузооборота в границах порто-франко Батуми. Уделяется внимание регуляциям для приезда и отъезда подданных Россиискоой империи и граждан других стран. В документе также представлены другие важные детали регулирующие функциональность порто-франко в Батуми.

ქეთევან პავლიაშვილი
(თბილისი, საქართველო)

სულთან აბდულ-აზიზეს სახელობის ბათუმის მეჩეთის აგების ისტორიულ-პოლიტიკური საფუძველი (XIX ს-ის 60-70-იანი წწ.)

ქართველი ერის ძნელბედით ცხოვრებაზე მთელი მისი ისტორია მეტყველებს, რაც საბუთდება უამრავი ქართული თუ უცხოური წერილობითი და მონუმენტური ძეგლით. მიუხედავად ამ ძნელბედითობისა, ქართველი ერი არ გაბოროტებულა და საქართველოს მკვიდრი ეროვნებებისა და აღმსარებლობების მატარებელთადმი ისტორიულად ტოლერანტობას ავლენდა.

რამდენიმე ცივილიზაციათა არეალში ყოფნამ იმთავითვე განსაზღვრა საქართველოს პოლიეთნიკურ-პოლიკომფესიური გარემო და აქ მცხობრებმა ყველა ერმა ისეთივე ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქვეყნის განვითარებაში,როგორც ქართველებმა.

გარე სახელმწიფოების ინტერესებმა და საქართველოზე ხანგრძლივმა ბატონობამ, ქვეყანას უამრავი პრობლემა შეუქმნა: ქართველთა ერთი ნაწილი პოლიტიკურად მოსწყდა მშობლიურ მიწას, სულიერად დედა-ეკლესიას და საქართველოში საუკუნეების მანძილზე გაჩნდნენ მუსლიმები, კათოლიკენი, სომხურ-გრიგორიანული ორიენტაციისანნი. მიუხედავად ამ სირთულისა, მათ მაინც შეინარჩუნეს ეროვნული კულტურა, ტრადიციები, ისტორია, თვითშემეცნება და ქართველი მართლმადიდებლების გვერდით იღწვოდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის ძლიერებისათვის. აღნიშნულს უამრავი წერილობითი წყარო ადასტურებს.

საისტორიო მეცნიერებაში მკაცრად დადგენილია, რომ პირველწყარო ისტორიული პროცესების კვლევისა და შესაბამისი სამეცნიერო დასკვნების უტყუარ საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ ისტორიული მეცნიერება მაინც ვერ აღმოჩნდა დაცული რიგი გადახრისაგან; საუკუნეების მანძილზე, ეპოქის იდეოლოგები უხეშად ზემოქმედებდნენ ისტორიულ ფაქტებსა თუ მოვლენებზე. ამ მხრივ არც ახალი, უახლესი და, მით უფრო, თანამედროვე ეპოქაა გამონაკლისი. მიმდინარე საერთაშორისო თუ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ისტორიას ეპოქის შესაბამისი იდეოლოგია დაუკვეთა და მიმდინარეობს ისტორიის უხეში ფალსიფიკაცია. ამ მიუღებელ ქმედებაში მსოფლიოს არა ერთი მეცნიერია ჩართული. ეს პროცესი კი იწვევს განსხვავებულ ერებსა და კონფესიებს შორის დაპირისპირებას.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, წინამდებარე ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული ისტორიის ერთ-ერთ უძველეს ფრაგმენტზე – ბათუმის ე.წ. აზიზეს მეჩეთის აგების პოლიტიკურ საფუძველზე; განზოგადებულია მეჩეთის აგების ისტორიული წანამძღვრები და მეჩეთის რელიგიურ-კულტურული ფუნქცია-

დანიშნულებები. პრობლემის ანალიზი სრულად ეყრდნობა პირველწყაროებს და ემსახურება

საზოგადოების საკითხში სიღრმისეულ გარკვევას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ევრიპული და რუსული პერიოდული გამოცემები, რომელში დაცული წყაროები მდიდარ ისტორიულ ინფორმაციას შეიცავს საკვლევ პრობლემატიკაზე.

საკითხში სიღრმისეულად გარკვევისათვის უპირველესად საჭიროდ მივიჩნევთ სულთან აზიზეს წარმომავლობასა და მისი მოღვაწეობის ეპოქაში გარკვევას. სულთანი აზიზე ტახტზე 31 წლის ასაკში ავიდა და სახელმწიფოს 1861-1876 წლებში მართავდა. ზოგადად, სულთნის ირგვლივ ისტორიული წყაროები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს გვაწვდის. მათი უმეტესობა სულთნის ცხოვრება-მოღვაწეობას ნეგატიური კონტექსტით განიხილავს, როგორც სახელმწიფო რეფორმების გატარების მოწინააღმდეგე მმართველს. თურქი ისტორიკოსის კოჯა თურქის თანახმად: "...მისი გონებრივი შესაძლებლობები დაბალი იყო; კულტურული არეალი შეზღუდული;გონება ვიწრო... დიდ დროს ანდომებდა პირად სიამოვნებას, სასახლის კარის ქალებთან გარყვნილ ცხოვრებას..." თითქმის ყველა საისტორიო წყარო სულთანს იხსენიებს, როგორც ეჭვებით შეპყრობილ ადამიანს, რაც მას ხელისუფლების თანამშრომლებთან ურთიერთობას ურთულებდა; მაგალითად, სასახლის კარზე იკრძალებოდა ახალშობილთათვის მისი სახელის დარქმევა; პანიკური მოწამვლის შიში და სხვ. ამავე წყაროების თანახმად, სულთანი სახელმწიფო ფინანსებს პირადი ინტერესებისათვის იყენებდა. მისი პირადი და სასახლის ყოველწლიური ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის 15% შეადგენდა.

ევროპული კულტურის ხიბლში მყოფი სულთანი მეცადინეობდა მისი თურქეთში დანერგვისათვის, რომლის გამოყენებას უნარმოკლებული იყო განვითარებას ჩამორჩენილი თურქეთის საზოგადოება. თურქი ისტორიკოსის თახსინ იუნალის აღნიშვნით, სულთნის სასახლის ყოველწლიური ხარჯები 30 მლნ. კესეს აღემატებოდა, ხოლო საგარეო ვალი კი 200 მლნ. ფუნტი სტერლინგი იყო.

თავისი მმართველობის დასაწყისში აზიზემ ქვეყანაში აქტიური რეფორმაციული მუშაობა გაშალა: გააუქმა რიგი სახელმწიფო ინსტიტუტი, შეამცირა სულთნის ჰარამხანის მოხელეთა რიცხვი, სახელმწიფო თანამდებობებიდან გაათავისუფლა მისი წინამორბედი სულთნის კადრები და დანიშნა ახალი მოხელეები. აზიზეს სახელს უკავშირდება თურქეთის სამხედრო ფლოტის რეფორმა, თუმც ყურადღების მიღმა დატოვა სათანადო კვალიფიკაციის კადრი, რამაც უარყოფითი შედეგი გამოიღო რუსეთ-თურქეთის (1877-1878) ომის დროს და აისახა ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების შედეგებში.

მოგვიანებით, მისმა რეფორმებმა სახე იცვალა და ბიუროკრატიულ მმართველობად ჩამოყალიბდა.

საგულისხმოა სულთან აზიზეს რელიგიური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრული იყო საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პროცესებით და მისი ევროპული ორიენტაციით. მისი მმართველობის პერიოდში თურქეთის საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში უკიდურესი სიმწვავით გამოირჩევა. თურქეთისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ ევროპა და რუსეთი. ორივე მხარეს თავისი პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა. ევროპის მიზანი იყო ისტორიული თურქეთის დაშლა და მისი ტერიტორიალური გადანაწილება (პრუსია,ავსტრია); ანალოგიური ინტერესით მოქმედებდა რუსეთიც; ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ თურქეთის შენარჩუნებას თავისი გავლენის სფეროში; ამ უკანასკნელთა მისწრაფებებს ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერია.

ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის პოლიტიკური ტანდემის შედეგი იყო სულთან აზიზეს დიპლომატიური მოგზაურობები ევროპაში, რაც თურქეთის ისტორიაში უპრეცენდენტო შემთხვევა იყო. აზიზემ ევროპაში მოიარა დუნაის ქვეყნებიც და იქ თურქულ-მუსლიმური ორიენტაციის გაძლიერების სიმბოლოდ 1867 წელს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ააგო მისი სახელობის მეჩეთი. ამ უკანასკნელის აგება ბათუმის მეჩეთის მსგავსად უკავშირდება დედა-დედოფლის ვალიდე ხათუნის სახელს.აღმოსავლეთ ევროპაში თურქული პოზიციის გაძლიერება რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა; თურქეთი კი მოკავშირედ ევროპას მოიაზრებდა.

რუსეთის იმპერიის თურქეთისადმი ინტერესებში შედიოდა ყირიმის ომის (1853-1856) მძიმე შედეგების გაუქმება, მახლობელ აღმოსავლეთზე, ბალკანეთსა და შავ ზღვაზე გავლენის მოპოვება. ამ საქმეში კი რუსეთის დასაყრდენი ადგილობრივი სლავი მოსახლეობა იყო. სლავების რუსულმა ორიენტაციამ განსაზღვრა სულთან აზიზეს რელიგიური პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ. 1873 წელს სულთანმა სლავების დამამძიმებელი რამდენიმე ბრძანებულება გამოსცა, რასაც სლავთა უკმაყოფილება და მათ წინააღმდეგ აზიზეს დამსჯელი ექსპედიციები მოჰყვა. სულთნის ეს პოლიტიკა იძულებითი ნაბიჯი იყო, რამაც დააჩქარა მისი მმართველობის დასასრული.

ქრისტიანთა დევნის პოლიტიკამ გააძლიერა თურქული ფანატიზმი, რაც სულთანს ქვეყნის მმართველობაში სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ამ ვითარებიდან გამოსავალს სულთანი თურქეთის ტერიტორიებიდან ქრისტიანთა აყრა-გადასახლებაში ხედავდა; დაიწყო ქრისტიანების მასიური დევნის პროცესი; ერთად-ერთი დაპყრობილი ტერიტორია აჭარა იყო, სადაც თურქებმა ვერ მოახერხეს მუსლიმი და ქრისტიანი ხალხების დაპირისპირება.

თურქეთის დასუსტების გამო, მის ინტერესებში არ იყო აგრესიულ რუსულ პოლიტიკასთან ღია დაპირისპირება, არც რუსეთს აწყობდა თურქეთთან საომარი ოპერაციები; პირიქით, რუსეთი ცდილობდა დიპლომატიური გზებით თურქეთის გადაბირებას და ევროპისაგან მის გამიჯვნას. რუსული დიპლომატიური პროექტის ავტორი და განმახორციელებელი იყო კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩი გრაფი ეგნატიევი, რომელსაც საისტორიო საბუთების თანახმად სულთან აზიზეზე დიდი გავლენა ჰქონდა. ინგლისის საპირისპიროდ რუსეთი მხარს უჭერდა აღმოსავლურ დესპოტიზმს. რუსეთ-ინგლისს შორის მიმდინარე დაპირისპირებაში, ევროპულმა დიპლომატიამ გაიმარჯვა, თურქეთმა არჩევანი ევროპაზე გააკეთა, თუმც დაპყრობილი ქრისტიანი ერების ექსპანსია კვლავინდებურად გააგრძელა. აღნიშნული გამოვლინდა 1875-1876 წლების აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანთა მოძრაობის სისხლში ჩახშობის ფაქტში. ეს მოძრაობა კი პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა აჭარაში განვითარებულ მოვლენებთან. სულთნის დაუნდობელი რეაქცია ამბოხებაზე განსაზღვრული იყო რუსეთისათვის „ჭკუის სწავლებით“. სულთნისთვის ცნობილი იყო, რომ სლავები რუსეთს მფარველად, ხოლო კავკასიაზე რუსეთის სრული ბატონობის სურვილს მისი სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად მოიაზრებდნენ.

1875 წელს აღმოსავლეთ ევროპაში (ბოსნია, ჰერცოგოვინა, სერბეთი, ბულგარეთი) დაიწყო ე.წ. „ბალკანეთის პირველი კრიზისი“, რაც განპირობებული იყო სლავების ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლით. ამ დროს რუსეთს არ ჰქონდა მზაობა სლავების „დასაცავად“ და თურქეთთან დიპლომატიური გზებით ცდილობდა კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებას. კერძოდ, ის თურქეთისაგან ითხოვდა ქრისტიანებისადმი რელიგიურ კომპრომისს, რაც, ფაქტობრივად, ევროპის მოთხოვნაც იყო. სულთანი იძულებული იყო კომპრომისზე წასულიყო, თუმცა ასეთმა პოლიტიკამ მუსლიმი მოსახლეობის აგრესია გამოიწვია და ქვეყანა რელიგიური ხასიათის ამბოხებებმა მოიცვა. საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, სულთანი აზიზე იძულებული გახდა მაჰმადიანი მოსახლეობისათვის ანგარიში გაეწია და ქრისტიანთა დევნა განეახლებინა. ამრიგად დაიწყო „ბალკანეთის კრიზისის“ მეორე ეტაპი. ევროპის მოთხოვნას ქრისტიანთა დევნის შეწყვეტაზე, სულთანმა უარით უპასუხა, რასაც „ბალკანეთის კრიზისის“ მესამე ეტაპი მოჰყვა. ამ უკანასკნელის შედეგი იყო რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და აჭარის გათავისუფლება თურქთა ბატონობისაგან.

სლავების ამბოხების ჩახშობაში სულთანმა მთელი დაპყრობილი ერები ჩართო; იგივე მოითხოვა აჭარის მოსახლეობისგანაც, რაზეც უარი მიიღო; მეტიც, აჭარაშიც დაიწყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. აღნიშნულის

საწინააღმდეგოდ სულთანმა ბათუმს მიავლინა მოსამართლე იბრეიმ აღა, რომელსაც აჭარის თავკაცებმა სლავების ამბოხებაზე თავიანთი პოზიცია წერილობით შეატყობინეს და ადგილზე მოსალაპარაკებლად არ გამოცხადდნენ: "...ჩვენ, ასეთ უსამართლო საქმეში მონაწილეობას არ მივიღებთ... თქვენ კი საიდანაც მობრძანდით, იქითვე წაბრძანდით..." სწორედ ბათუმის ამ პოზიციას მოჰყვა მთელი აჭარის დარბევა, რომელშიც განსაკუთრებით ევნო აჭარის მუსლიმი მოსახლეობა, რამეთუ, როგორც მუსლიმები, ისინი მოვალენი იყვნენ ალაჰის ურჩი ხალხების დარბევაში მონაწილეობა მიეღოთ.

თურქეთისათვის აჭარის პროთურქულ ორიენტაციას მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა, რამეთუ რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირების ხაზი აჭარაზე გადიოდა, შესაბამისად, თურქეთის სამხედრო ნაწილიც აჭარაში, კონკრეტულად ბათუმში იყო განთავსებული. მისი შენახვის ხარჯებიც აჭარის მოსახლეობაზე მოდიოდა, ხოლო ისლამური იდეოლოგიის გაძლიერებაზე თურქეთის ხელისუფლება ზრუნავდა. სწორედ ამ უკანასკნელს ემსახურებოდა ბათუმში 1869 წელს ტრაპიზუნტის ფაშას ემინ მუჰლის მიერ აგებული მეჩეთი, რომელსაც თურქი სამხედროების სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილების ფუნქცია დაეკისრა. სულთანმა აზიზემ მეჩეთის აგების ფირმანი 1863 წელს გამოსცა. ფირმანი იუწყებოდა, რომ ნავსადგურის ჩრდილო-დასავლეთ ნაკვეთის შუა ნაწილში აშენებულიყო ჯამე, რომელიც მისი სახელის მატარებელი იქნებოდა. ამ ტერიტორიას მოგვიანებით აზიზეს უბანი ეწოდა. როგორც იმ დროის რუსი სამხედრო კორესპონდენტი იუწყება, აზიზეს სახელობის ბათუმის ჯამე თურქეთის ჯარებისთვის იყო განკუთვნილი. უახლესი ისტორიის წყაროებზე დაყრდნობით, მეჩეთი XIX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოურმა რელიგიურმა პოლიტიკამ შეიწირა და ის „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის" („მუკი") აქტივისტების ანტირელიგიური იდეოლოგიის მსხვერპლი შეიქნა.

სულთან აზიზეს საშინაო, საგარეო, რელიგიურმა თუ სოციალ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ თურქეთის კრიზისი გააღრმავა, რაც ახალგაზრდა მმართველი ელიტის უკმაყოფილებას იწვევდა. მათ 1865 წელს შექმნეს საიდუმლო პოლიტიკური ორგანიზაცია „ახალი ოსმალები", რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყანაში კონსტიტუციური რეფორმების გატარება. შეთქმულების გამოაშკარავებას მონაწილეთა მკაცრი რეპრესიები მოჰყვა. ამის შემდგომ აშკარა გახდა, რომ თურქეთში რეფორმების გატარება შეუძლოებელი იყო. ქვეყნის პროგრესულ ნაწილში ჩამოყალიბდა აზრი სულთნის ტახტიდან გადაყენებაზე იმ მიზეზით, რომ სულთანი გონებრივ-ფსიქიური აშლილობის საფუძველზე მოკლებული იყო პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის უნარს. "ახალი ოსმალების" აქტივისტი შეიხ ულ-

ისლამის განცხადებით: "თუ მბრძანებელი ავლენს უჭკუობას, თუ მას არ გააჩნია პოლიტიკური ცოდნა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს სამართავად, თუ ის მომხვეჭელია, რომელიც ვნებს მის სახელმწიფოს, თუ მისი ტახტზე ყოფნა ქვეყანას მოუტანს დამღუპველ შედეგებს, ასეთ შემთხვევაში – საჭიროა თუ არა მისი გადაყენება? კანონი იუწყება: შეიძლება!"

სულთანი აბდულ აზიზე 1876 წელს დაატყვევეს და, როგორც სახელმწიფო დამნაშავე, ჩირაგანის სასახლეში გამოკეტეს. აზიზეს სიკვდილის ირგვლივ არსებული ისტორიული წყაროები ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს იძლევა. წყაროების ერთი ნაწილის თანახმად, სულთანმა პატიმრობისას თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე; 1881 წლის სახელმწიფო მოხელეთა წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესის აქტები კი გვამცნობს, რომ სულთანი ციხეში იქნა მოკლული. უკანასკნელი პერიოდის მეცნიერული კვლევები აღნიშნული აქტების მართებულობას ადასტურებს და სულთნის მკვლელობას „ახალი ოსმალების" სახელმწიფო მმართველობაში მოსვლის მეცადინეობას უკავშირებს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია, XIX ს., თბილისი, 2003.

პავლიაშვილი ქ., საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია 1800-1945 წწ., თბილისი, 2008

Вешапели Г., Турецкая Грузия. Лазистан, Трапизунд и Чорохский край, Москва, 1916.

Известия Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества, Том VI, Тифлис, 1879-1881.

Исарлов Л., Письма о Грузии, Тифлис, 1899.

Казбек Г., Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского Санджака, Тифлис,1876.

Суворов А.Н., Описание г.Батума с планами и видами, Москва, 1895.

Unal. I,1700-den. 1958-e. Kada 1958.

www.kimkimdir.gen.tr

www.Osmanli700.gen.tr

www.ttk.org.tr

www.haber.mynet.com

www.kultur.gov.tr

www.turksultans.com

www.Turkcekaynak.com

www.pl1872.com

www.disciverislamicart.org

www.belgerer.com

www.istorfact.ru

www.gendocs.ru

Ketevan Pavliashvili (Tbilisi, Georgia)

The Historical and Political Basis of Construction of the Mosque of Sultan Abdul-Azizie in Batumi (60-70-s of XIX Century)

Summary

In the article there is represented the political basis of the building of Sultan Abdul-Azize's mosque in Batumi; there is also generalized mosque's building historical premises and its religious-cultural designation. The analysis of problem is leans on the first sources and accommodate with information the society about the problem. About the problem there is defence much sources in the European and Russian periodic issues.For Turkish government the Adjarian's political oriantation was very important,because the line between Russia and Turkish wars was pasted on Adjaria;Expediently,in Batumi was Turkish army.For army was built the mosque in 1869 in Batumi by Amin Muhli the sultan of Trapizunt,and but not for the islamization of adjarians. In 30-th of XX-th,by the Soviet religious policy , soviet activities of Georgia,the mosque was demolished.

გელა საითიძე
(თბილისი, საქართველო)

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ბათუმის ოლქიდან (1906-1917 წწ.)

/თეზისები/

XX ს-ის დასაწყისიდან, რუსეთში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომელსაც შემდგომ იაპონიასთან ომში სამარცხვინო დამარცხება მოჰყვა, თვითმპყრობელური ხელისუფლება აიძულა, ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად 1905 წლის 18 თებერვალს გარკვეული რეფორმები გაეტარებინა. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ შინაგან საქმეთა მინისტრ ა. ბულიგინს არჩევნების ჩატარების დებულების შემუშავება დაავალა. რამდენიმე თვეში ასეთი დოკუმენტი უკვე მზად იყო. მეფის მიერ გამოცემული სპეციალური მანიფესტით გადაწყდა, რომ არჩევნების საფუძველზე, სახელმწიფო სათათბირო (Дума) ყოფილიყო მოწვეული, რომელიც გარკვეულ როლს შეასრულებდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებასა და განხილვაში.

პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა არჩევნები, მთელი იმპერიის მასშტაბით, 1906 წლის თებერვალ-მარტში მიმდინარეობდა, ხოლო კავკასიაში, სპეციალური დებულების საფუძველზე, იგი მოგვიანებით გაიმართა. ამის გამო, საქართველოდან არჩეული დეპუტატები პეტერბურგში ერთი თვის დაგვიანებით ჩავიდნენ.

I სახელმწიფო სათბირო 1906 წლის 27 აპრილს თავრიდის სასახლეში გაიხსნა. მისასალმებელ სიტყვაში იმპერატორმა იქ შეკრებილ დეპუტატებს ხალხის მიერ არჩეული „საუკეთესო ადამიანები“ უწოდა და რწმენა გამოთქვა, რომ ისინი ძალას არ დაიშურებდნენ და თავგანწირვით ემსახურებოდნენ სამშობლოს. 436 დეპუტატი იმპერატორის ამ სიტყვებს ოვაციით შეხვდა, მაგრამ პირველმა სახელმწიფო სათათბიროს უზენაესი ხელისუფლის იმედები ვერ გაამართლა და იგი 72 დღის შემდეგ, 1906 წლის 8 ივლისს, იმავე იმპერატორის ბრძანებით დათხოვნილ იქნა. მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1907 წლის 20 თებერვლისათვის დაინიშნა.

კავკასიაში, კერძოდ, ქ. თბილისში, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ბათუმ-ართვინის ოლქსა და სოხუმის ოკრუგში I სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები 1906 წლის 19 მაისს გაიმართა. დებულების შესაბამისად, სულ 110 ამომრჩევი იქნა არჩეული: მათგან ქ. თბილისსა და მის გუბერნიაში – 49, ქუთაისის გუბერნიიდან – 45, ხოლო ბათუმ-ართვინის ოლქსა და

სოხუმის ოკრუგში – 16. სწორედ ამ 16 ამომრჩევთაგან უმრავლესობამ ხმა მისცა პროკოფი ლევანის ძე შერვაშიძეს – გადამდგარ გენერალ-მაიორს, თავადს, მსხვილ მიწათმფლობელს, უპარტიო მონარქისტს. საქართველოდან არჩეულ სხვა დეპუტატებთან (ის. რამიშვილი, ნ. ჟორდანია, ივ. გომართელი, ს. ჯაფარიძე, სვ. წერეთელი, ი. ბარათაშვილი და არტ. აივაზოვი) ერთად, ისიც იმპერიის დედაქალაქში გაემგზავრა. საქართველოდან წარგზავნილთა უმრავლესობამ იმთავითვე მიიქცია ყურადღება აქტიური გამოსვლებით, დღის წესრიგში მდგარი საკითხების განხილვებისას. რაც შეეხება ბათუმიდან არჩეულ დეპუტატს – პრ. შერვაშიძეს, გაზეთ „ცისკრის“ სიტყვებით რომ ვთქვათ: „თავი მხოლოდ იმით ისახელა, რომ მჭერმეტყველურად სდუმდა“-ო ***[იხ. გაზ. „ცისკარი“, 1907 წლის 21 ოქტომბერი].***

არც მეორე სახელმწიფო სათათბიროში ბათუმ-ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან წარგზავნილ დეპუტატს – კონსტანტინე კანდელაკს, სოც.-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის წარმომადგენელ მუშას გამოუჩენია თავი. მალე ისიც 1907 წლის 3 ივნისს ძალით გარეკილ ხალხის რჩეულთა რიცხვში მოხვდა და, როგორც სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი, „სამშობლოს ღალატის“ ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა მალე გაათავისუფლეს და დანარჩენ ქართველ დეპუტატთა (ირ. წერეთელი, არჩ. ჯაფარიძე, გრ. მახარაძე, სევ. ჯუღელი, ჭოლა ლომთათიძე და სხვ.) ბედის გაზიარებას და ციხე-გადასახლებებში გაგზავნას გადაურჩა.

მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები შეცვლილი საარჩევნო კანონის (ე.წ. 3 ივნისის კანონის) საფუძველზე ჩატარდა. ამჯერად, საქართველოდან 8-ის ნაცვლად, 3 დეპუტატი იქნა არჩეული (თბილისის გუბერნიიდან – ნიკოლოზ სიმონის ძე ჩხეიძე, ქუთაისის გუბერნიიდან – ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი, ბათუმ-ყარსის ოლქებიდან და სოხუმის ოკრუგიდან – ისევ პროკოფი ლევანის ძე შერვაშიძე).

უნდა ითქვას, რომ III სახელმწიფო სათათბიროში არჩეულმა დეპუტატებმა ბოლომდე ამოწურეს თავიანთი რწმუნებების ვადა. სხვათაგან გამოირჩეოდა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძისა და ევგენი გეგეჭკორის ტანდემი, თავისი პარტიული პოზიციიდან გამომდინარე საკითხების დასმით. რაც შეეხება პროკოფი შერვაშიძეს, მან მთელი ხუთი წლის განმავლობაში, მხოლოდ ხუთიოდეჯერ შეძლო სათათბიროს ტრიბუნაზე გამოსვლა, მაგრამ განსაკუთრებულად თავი არაფრით დაუმახსოვრებია ***[გ. საითიძე. ქართული პოლიტიკური აზრი და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო (1905-1917), თსუ გამომც., თბ., 2006, გვ. 245].***

1912 წლის 27 ოქტომბერს ბათუმის თვითმმართველობის დარბაზში გამართულ რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროში წარსაგზავნი დეპუტატის არჩევნების დროს აკაკი ივანეს ძე ჩხენკელმა – სოც.-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) წარმომადგენელმა გაიმარჯვა და სოც.-დემოკრატ კარლო ჩხეიძესთან (თბილისი და თბილისის გუბერნია) და ვარლამ გელოვანთან (სოც.-ფედერალისტი) ერთად პეტერბურგს გაემგზავრა.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოდან არჩეულ დეპუტატთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია აკაკი ჩხენკელს, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში იღვწოდა რუსეთის IV მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში, როგორც ბათუმისა და ყარსის ოლქებისა და სოხუმის ოკრუგის წარმომადგენელი. მან იმთავითვე გამორჩეული ყურადღება დაიმსახურა თავისი საქმიანი და ღრმადგააზრებული გამოსვლებით, იმის მიუხედავად, რომ როგორც „ინოროდცების“ წარმომადგენელს, არც ისე ხშირად ეძლეოდა სათათბიროს ტრიბუნის დაკავების საშუალება. აკ. ჩხენკელი, ევროპულად განათლებული და ორატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, ღირსეულ პარტნიორობას უწევდა თავის თანამემამულესა და თანაპარტიელს, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელს – კარლო ჩხეიძეს. თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ თავიანთი რადიკალური გამოსვლებით, ისინი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ არა მარტო კოლეგებს – დეპუტატებს, არამედ იმპერიის დემოკრატიულ ძალთა წარმომადგენლებს შორისაც.

აკ. ჩხენკელი IV სათათბიროში დეპუტატად ყოფნის დროს გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით: იგი შედიოდა სათათბიროს 6 მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში, 8-ჯერ არჩეული იყო სხვადასხვა დროებით საპარლამენტო კომისიაში, 22-ჯერ ხელი აქვს მოწერილი სხვადასხვა შეკითხვაზე (запрос-ზე), სხვადასხვა გამომსვლელის მიმართ ადგილიდან 49-ჯერ გააკეთა რეპლიკა, სათათბიროს სხდომის თავმჯდომარის მხრიდან 81-ჯერ დაიმსახურა შენიშვნა, სიტყვა ჩამოერთვა 5-ჯერ, დარბაზიდან გააძევეს 2-ჯერ, მომდევნო სხდომები გამოატოვებინეს 3-ჯერ; მარტო 1916 წლის სხდომების დროს, სიტყვით გამოვიდა 49-ჯერ და სხვ. ***[იხ. Государственная Дума, 4-го созыва, С.-Петербург, 1916 г., стр. 196-197].***

რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე პირველივე გამოსვლისას, 1912 წლის 10 დეკემბერს, აკაკი ჩხენკელმა არა მარტო ქართველი სოციალ-დემოკრატების პოზიცია, არამედ თავისი პირადი შეხედულებებიც დააფიქსირა რუსეთში ეროვნული საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ნაციონალური საკითხის წინ წამოწევა ისეთ ქვეყანაში, სადაც „უამრავი სხვადასხვა ეროვნება ცხოვრობს“,

სრულიად ნორმალური იყო. მის ამ გამოსვლაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ აკ. ჩხენკელის გამოსვლა იყო რუსეთის ეროვნული პოლიტიკის სასტიკი კრიტიკა და ყურადღების იმაზე გამახვილება, თუ რა მოუტანა ამ პოლიტიკამ საქართველოს გასული ერთი საუკუნის განმავლობაში. აკ. ჩხენკელმა ამ გამოსვლაში, ფაქტობრივად, საქართველოს ეროვნული ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა.

აკაკი ჩხენკელი, როგორც ბათუმიდან არჩეული დეპუტატი, სისხლხორცეულ დაინტერესებას იჩენდა რეგიონის საკითხებით. მეტად რეზონანსული გამოდგა მისი გამოსვლა 1916 წლის 11 თებერვალს სათათბიროს სხდომაზე. ტრიბუნაზე ასვლისთანავე, მან პირდაპირ მიმართა დეპუტატებს: „მინდა გაგაცნოთ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც ჯერჯერობით ამ შენობაში სიტყვა არავის უთქვამს და განხილვის საგნად არ ქცეულა – საკითხი აჭარას შეეხება“ ***[Государственная Дума. IV созыв. Стенограф. отчеты. сессия четвертая, стр. 38-59. С.-Петербург, 1916].***

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებამ ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიული კუთხის – აჭარის და აქ მცხოვრებ მაჰმადიან თანამოძმეთა გადარჩენის საქმეში.

Gela Saitidze (Tbilisi, Georgia)
Russian State Council (the Duma) Deputies
from Batumi District (1906-1917)

/Abstract/

In February, 1905 the emperor Nicholas II, gave the task to the country's Interior Minister Buligin to elaborate election regulations. In a few months the document was ready, and by the king's special Manifesto it was decided: based on elections, to convene the State Duma (Дума), which would play a certain role in the development and review of the country's budget. The introduction of the Duma was a step forward in the political life of Russia, which was called “The executioner of the Europe”.

It should be noted that the Georgian MPs also worked in the Russian State Duma. They were further using the experience gained there quite successfully in the law-creative activity for independent Georgia.

For ten years of existence of the Russian State Duma, three representatives of Batumi and Sukhumi Districts were taking part in its activities: They were in I and II convocation of the Duma – Prokopi (Patronymic Levan) Shervashidze, the prince, retired major general, landowner, non-party monarchist; in II convocation of the State Duma - Konstantin Kandelaki–a worker, the Social Democrat, and in the IV convocation of the State Duma –Akaki (Patronymic Ivane) Chkhenkeli – an intellectual, one of the leaders of the Social Democratic Party (Mensheviks).

Akaki Chkhenkeli was one of the distinguished among 20 MPs from Georgia. He immediately attracted great attention by his business and deeply thought-out speeches. He was a European-educated and talented person with oratory skills, he was a worthy partner of his party mate and compatriot, the Chairman of the Duma Social Democratic faction – Karlo Chkheidze.

Akaki Chkhenkeli was the only MP, who on February 11, 1916 used the Duma tribune and publicly declared what was happening in Adjara – one of the historical regions of Georgia.

ლელა სარალიძე
(თბილისი, საქართველო)

ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვების ისტორიიდან (1920 წ.)

პირველ მსოფლიო ომში, გერმანიის დამარცხების გამო, შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ინგლისის ხელისუფლებას შესაფერის დასაყრდენ ძალად მიიჩნევდა. მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი გერმანული ორიენტაციის ნაცვლად, ინგლისურით შეიცვალა. 1918 წლის 30 ოქტომბერს, კუნძულ ლემნოსის ნავსადგურ მუდროსში, ანტანტას (ინგლისი, საფრანგეთი) და ოსმალეთის იმპერიას შორის ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის XV მუხლის ძალით, ოსმალეთს ამიერკავკასიიდან და ამასთანავე, ბათუმის ოლქიდან ჯარები უნდა გამოეყვანა და იქ ინგლისი ჯარი უნდა შესულიყო. თავის მხრივ, ინგლისის მთავრობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა, დროებით თავს იკავებდა ჯარების შემოყვანისგან და ლონდონში საკითხის ყველა დეტალის დამატებით შესწავლა-განხილვასთან ერთად, საქართველოში ჯარის შემოსაყვანად საგულდაგულოდ ამზადებდა პირობებს. ოსმალეთის წასვლის შემდეგ, 1918 წლის 22 დეკემბერს, ბათუმის ნავსადგურში ინგლისის ჯარი შევიდა. მუდროსის ზავის თანახმად, მათ დაიკავეს ბათუმი და მისი ოლქი, შემოიღეს საოკუპაციო რეჟიმი, რომელსაც ინგლისელი გენერალი კუკ-კოლისი ჩაუდგა სათავეში. თავის მხრივ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აჭარას (ბათუმის ოლქს ართვინის ოკრუგით, ე. ი. სამუსულმანო საქართველოს) საქართველოს შემადგენელ ნაწილად თვლიდა და ადგილობრივ მოსახლეობას ოლქისთვის ავტონომიის დაპირებაც მისცა.

ამიერკავკასიაში ანტანტის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისგან ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვეყნების ჩამოცილებას ითვალისწინებდა. ამიერკავკასიაში საფრანგეთის მისიის მეთაური დე ნონენკური თავის მოხსენებაში საფრანგეთის მთავრობისადმი აღნიშნავდა: „თვით ბოლშევიკურად განწყობილ მოსახლეობის ნაწილშიც კი ნაციონალისტური ტენდენციები მძლავრობს, ამიტომაც მხურვალე ბოლშევიკებიც კი: მახარაძე, ქავთარაძე, ცინცაძე და სხვები თავიანთ მოქმედებებს საქართველოში რუსეთის აღდგენისაგან განცალკავებულად განსაზღვრავდნენ“ ***[Afanasyan, 1981: 86-87].*** ინგლისის ხელისუფლებასთან ალიანსის გამო, ბოლშევიკები მკაცრად აკრიტიკებდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. 1918 წლის დეკემბერში, დიღომში (თბილისთან ახლოს) არალეგალურად შეიკრიბა ამიერკავკასიის კომუნისტების კონფერენცია, რომლის მუშაობას თბილისის ბოლშევიკური ბიუროს მეთაური მიხა ცხაკაია წარმართავდა. კონფერენციის მიერ მიღებულ რაზოლუციაში

აღნიშნულია: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობები წარმოადგენენ დასაყრდენს ინგლისის იმპერიალიზმისა, რომელიც ქმნის აქ ბაზებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისათვის. ინგლისელ იმპერიალისტებს აქ მოაქვთ ბორკილები, რომ „დემოკრატიულ“ მთავრობათა დახმარებით დაიმონონ არა მარტო ამიერკავკასია, არამედ რუსეთისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა“ ***[სურგულაძე, 1961: 239-240].***

ინგლისის ხელისუფლება მეფის რუსეთის თეთრგვარდიელთა მოძრაობას ეხმარებოდა. დაიკავეს თუ არა ინგლისელებმა ბათუმი, მათ იქ რუსული პოლიტიკის გატარება დაიწყეს. ბათუმის მართვა მათ ე. წ. „მმართველ საბჭოს“ ჩააბარეს, რომელსაც რუსი მასლოვი ხელმძღვანელობდა. ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო 9 წევრით დაკომპლექტდა და 1918 წლის 27 დეკემბრიდან 1919 წლის 15 აპრილამდე მოქმედებდა ***[სიორიძე, 1996: 35-41].*** მასლოვი მალე გააძევეს ბოროტი ქმედებებისთვის, მაგრამ „მმართველი საბჭო“, ბათუმის ოლქში, რუსული პოლიტიკის წარმართვას მაინც განაგრძობდა. ისინი დევნიდნენ ქართველებს, განსაკუთრებით ებრძოდნენ ქართული ორიენტაციის მაჰმადიანებს, ხსნიდნენ რუსულ სკოლებს, შეადგინეს რუსული ადმინისტრაცია და საკუთარი აგენტების მეშვეობით, ქართველების საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდნენ. ინგლისელებმა იმთავითვე დაიკავეს ბათუმის ნავსადგური. თავიანთი გუბერნატორისთვის შეუზღუდავი უფლებამოსილების გადაცემით, ისინი ქალაქსა და ბათუმის ოლქში მათთვის სასურველი წესრიგის უზრუნველყოფას ცდილობდნენ. 1919 წლის თებერვალში, ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარების მთავარსარდალმა, ფ. უოკერმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს ნ. ჟორდანიას განუცხადა: „მე მინდა გაცნობოთ თქვენ, რომ სხვაგვარ პოლიტიკას ინგლისი ამ მომენტში ვერ გაატარებს“ ***[Документы, 1957: 730].***

1919 წელს, ბათუმში მყოფ ინგლისელებთან სამუშაოდ მივლინებული იყო ლეიტენანტი შ. მირიანიშვილი. საანგარიშო მოხსენებაში იგი წერს: „...თავიდანვე ვცდილობდი დავახლოვებოდი ინგლისის ადმინისტრაციის უმთავრეს პირებს და შემექმნა მათთან ნამდვილი, სიმართლეზე დამყარებული ინფორმაცია და ისეთ დაწესებულებათა გამგეთ, რომელთა მუშაობას ჰქონდა რაიმე კავშირი საქართველოსთან, ან საქართველოს ქვეშევრდომებთან, ან ადგილობრივ მცხოვრებლებთან და ცხოვრებასთან. ასეთები იყვნენ: გენერალ-გუბერნატორი კუკ-კოლისი და მისი ადიუტანტი, სამოქალაქო გუბერნატორი გარისი, ინგლისელების პოლიციის უფროსი და მისი თანაშემწე, საინფორმაციო ბიუროს და დაზვერვის გამგე, კაპიტანი მათეუსი; საბაჟოს უფროსი კაპიტანი ლიქსონი და ნავსადგურის გამგე კაპიტანი ჯეუერი; სამხედრო სასამართლოს მოსამართლე მაიორი ვებსტერი და პროკურორი

კაპიტანი კორნენი, ფოსტა-ტელეგრაფის გამგე კაპიტანი გოცსი და სხვა წვრილმანი მოხელეები, რომელთაც რაიმე გავლენა ჰქონდათ ამა თუ იმ საქმეზე. გარდა ამისა, ქართველ მუსულმანთა კომიტეტის დავალებით, ვაწვდიდი ინგლისელებს ჩემ მიერ თარგმნილ მასალებს გაზეთ „სამუსულმანო საქართველოდან“; ვუთარგმნიდი მათვე სხვადასხვა საკითხებზე და მოთხოვნილებაზე პეტიციებს და მემორანდუმებს... რამდენჯერმე ვახლდი დელეგაციებს, როგორც სამუსულმანო საქართველოს კომიტეტისას, აგრეთვე ქართულ ეროვნულ საბჭოს და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, როგორც თარჯიმანი და ვშუამავლობდი მათ მიერ წამოყენებული საკითხების საჩქაროდ, ჩვენთვის სასურველ გადაწყვეტას...“ ***[სცსა, ფ. 1864, ს. 238, ფურც. 36].*** როგორც შ. მირიანიშვილის საანგარიშო წერილიდან ჩანს, ბათუმში მყოფ ინგლისელებს, რუსი და სომეხი თარჯიმნების გამო, საქართველოზე არც თუ ისე კარგი წარმოდგენა ჰქონდათ. თავისი მოღვაწეობით, ის დახმარებას უწევდა ბათუმის კონსულს, ჩიმიჯიშვილს, რათა ინგლისელთა კეთილგანწყობა მოეპოვებინა. ბათუმში არსებული სიძვირის გამო, იგი ყურადღებას აქცევდა ეკონომიკურ საკითხებსაც, როგორიცაა ყოფილი ფოსტების მიწების გაცემა ქართველებისთვის, ქართული გემების თავისუფალი ნაოსნობა შავ ზღვაზე, ქართული ყალბი ფულების მომჭრელთა და გამავრცელებელთა დევნა, საქართველოს ამა თუ იმ პირის გემზე სამუშაოდ მოწყობა და უცხოეთში გამგზავრება. ბათუმში მყოფი ინგლისელების პოლიტიკა, თეორგვარდიელების, ასევე, სომხების წახალისებას უწყობდა ხელს, რაც შემდეგში ქართული ტერიტორიების დაშლის საწინდარი გახდა.

1919 წლის 4 სექტემბერს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა, ამიერკავკასიაში ინგლისის განსაკუთრებულ კომისარს ოლივერ უორდროპს მიმართა: „ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, თუ არ გვეყოლა ძლიერი მოკავშირე, ძნელი იქნება ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობის მოპოვება, არამც თუ მარტო ჩვენ, არამედ ევროპის შედარებით დიდ სახელმწიფოებსაც, რომელნიც უფრო უზრუნველყოფილნი არიან ფინანსური მხრით, ახლანდელ დროში არ შეუძლიათ გარედან დაუხმარებლად არსებობა. საქართველოს მთავრობას ესმის, რომ იგი უნდა დაეყრდნოს რომელიმე ძლიერ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და ამ შეგნებამ უკარნახა მას გარკვეული ორიენტაცია ინგლისზე... იგი სთხოვს დახმარებას ინგლისს და სურს იცოდეს, რას მოისურვებს ინგლისი სამაგიეროდ... ახლანდელი მომენტი რთულდება ამიერკავკასიიდან ინგლისური შეიარაღებული ძალების წასვლით საკმარისია, ინგლისელები, რომელნიც არიან შემაკავშირებელი ელემენტები, წავიდნენ, რომ დაიწყოს გართულება სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან... ჩვენ ოფიციალურად ვთხოვდით საზავო

კონფერენციას, ლონდონს და აქაურ ინგლისურ სარდლობას დაეტოვებინათ ამიერკავკასიაში ინგლისური ჯარების მხოლოდ ერთი ნაწილი. ჩვენ დაგვპირდნენ პასუხს, მაგრამ დღემდე იგი არა გვაქვს“ *[ნოზაძე, 1989: 93].*

ამ განცხადების საპასუხოდ, ბათუმში დარჩა ინგლისის საოკუპაციო ჯარის ნაწილი. ბათუმის გარშემო დიპლომატიური სჯა-ბაასი დაიწყო და გაგრძელდა იმ მხრით, რომ საქართველოს მთავრობა მოითხოვდა ბათუმისა და ბათუმის ოლქის საქართველოზე გადაცემას. ინგლისელების მიერ ბათუმის ოლქის დაცლის შემდეგ, საკითხი თვით ქალაქ ბათუმს და მის პორტს ეხებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აზრით, ბათუმის ოლქი და თვით ბათუმი საქართველოს უნდა გადასცემოდა. ბათუმის პორტი კი, როგორც სამხედრო ბაზა და ნავსადგური, ინგლისელების ხელში უნდა ყოფილიყო. ასეთი წინადადება ინგლისის ხელისუფლებამ მიიღო, თუმცა მათი მხრიდან პასუხი არ ყოფილა.

1920 წლის 2 იანვარს, ბოლშევიკური რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გ. ჩიჩერინმა ოფიციალური ნოტით მიმართა საქართველოს და აზერბაიჯანის მმართველებს და მათ, ინგლისის ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფი, დენიკინის წინააღმდეგ სამხედრო ალიანსის შეკვრისკენ მოუწოდა, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღო. საქართველოს მთავრობა, ინგლისელთა მხრიდან, ქართველების მიმართ არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების მიუხედავად, ყოველმხრივ ცდილობდა მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას.

1920 წლის 11 იანვარს, ინგლისმა, საფრანგეთმა და იტალიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფაქტიური დამოუკიდებლობა ცნეს. „დე ფაქტო“ აღიარების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ქვეყნის ტერიტორიული აღდგენის საკითხი. ლორდ კერზონის ცნობით, უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა საქართველოს იარაღით დახმარებოდა, რაც გენერალ მილნს დაავალა. ამ ინფორმაციის შემდეგ თვე ნახევარი გავიდა და საქართველოს დაპირებული იარაღი არ მიუღია. ბოლშევიკების და თეთრგვარდიელების აქტიური ქმედებების გამო, ბათუმის ოლქში კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა, რამაც საქართველოს ხელისუფლების შეშფოთება გამოიწვია *[სცსა, ფ. 1864, ს. 236, ფურც. 7].*

1920 წლის 31 იანვარს, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციას ატყობინებს: „...მიიღეთ ზომები ბათომის საკითხის საჩქაროდ დასამთავრებლად – ეს კითხვა საშინლად აღელვებს მთელს საზოგადოებას. დღიდან დღეზე ელიან, როგორც ბათომის ოლქისათვის, ისე მთელი საქართველოსათვის კითხვის კეთილად დაბოლოებას. საქართველოს მთავრობა თანახმაა ბათომი დარჩეს დიდი ბრიტანეთის ბაზად, მაგრამ მართვა-გამგეობა ოლქისა და

ქალაქის უნდა გადაეცეს საქართველოს. ბათომში ამჟამად სწარმოებს გაძლიერებული აგიტაცია ბოლშევიკებისა და ოსმალეთის, ამ მხრიდან რესპუბლიკის საზღვრები სრულიად ღიაა. სასიკვდილო საფრთხე მოგველის ჩვენც და დიდ ბრიტანეთსაც, თუ არ იქნა მიღებული სასწრაფო ზომები. ბათომის ოლქის მცხოვრებთა სიმპათიაზე დაყრდნობით საქართველოს შეუძლია დაამყაროს სათანადო წესრიგი და საბოლოოდ უზრუნველყოს საზღვრები ოსმალ-ბოლშევიკთა მოსალოდნელი შემოსევისაგან“ ***[სცსა, ფ. 1864, ს. 236, ფურც. 39].***

ბათუმიდან ჯარების გაყვანის წინააღმდეგ გამოვიდნენ კერზონი და მისი მომხრეები. 1920 წლის 9 თებერვალს, მან მთავრობაში განსახილველად შეიტანა მემორანდუმი, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ ევაკუაციის პოლიტიკური შედეგები ამიერკავკასიის რესპუბლიკებისთვის კატასტროფული იქნებოდა ***[სიორიძე, 2008: 481].*** ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარების წასვლა, რეალურად რეგიონის თავისანაბარად მიტოვებას ნიშნავდა, როდესაც რუსეთი მას ჩრდილოეთიდან უკვე უახლოვდებოდა, სამხრეთით კი ახალი ოსმალური, ქემალისტური ძალები ირაზმებოდნენ. არსებული საფრთხის ფონზე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ქართველი ერის პოლიტიკური თავისუფლების ნიადაგზე, დამხმარე ძალის მოსაპოვებლად აქტიურ დიპლომატიურ მუშაობას ეწეოდა. ერთი მხრივ წარმოებდა ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის, მეორე მხრივ, ქვეყნის სახელმწიფოებრივი სიმტკიცისთვის და მესამე მხრივ, საჭირო დამხმარე ძალის მოსაპოვებლად.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აღშფოთება გამოიწვია ინგლისელების მიერ ქალაქ ბათუმის „პორტო ფრანკოდ“ გამოცხადებამ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მოკავშირე სახელმწიფოების პარლამენტებს საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. ნოტას ხელს აწერდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ა. ლომთათიძე. ნოტაში ნათქვამია: „საქართველოს მთავრობას თებერვლის 29-ს ოფიციალურად ეუწყა, რომ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმი ცხადდება პორტო-ფრანკოდ მცირე დამოუკიდებელი ტერიტორიული ზონითურთ. დიდი აღელვება და მწვავე გულისტკივილი გამოიწვია ქართველ ერში ამ ცნობამ. ამ ორი თვის წინ მთელი ჩვენი ერი მოკავშირეთა მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობას დღესასწაულობდა. ჩვენი ხალხი მოელოდა, რომ დამოუკიდებლობის ცნობას ბუნებრივ შედეგად მოჰყვებოდა ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოსთვის დაბრუნება. ეს მხარე – სამხრეთი საქართველო შავი ზღვის ნაპირებზე მიკრული, უძველესი დროიდან წარმოადგენდა საქართველოსათვის ევროპისაკენ მამზირალ თვალს... საქართველოს საბედნიეროდ,

მოკავშირეთა გამარჯვებამ გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. საქართველოს ამ ხელშეკრულებისთვის ხელი არ მოუწერია – პირიქით, ის მოკავშირეთა მხარეზე იბრძოდა ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ და ფაქტიურად ანტანტის მოკავშირე იყო. ასე იყო არა მარტო ბათუმის დაცვის დროს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა. ამჟამად, ბათუმი მოკავშირეთა ხელშია, ხოლო ბათუმის ოლქი უპატრონოდ არის მიტოვებული. იმ დროს, როცა საქართველო მოქალაქეობრივი ცხოვრების წესიერი მიმდინარეობით, მტრების თვალშიაც სანატრელ კუნძულს წარმოადგენს გარშემო გამეფებულ ანარქიის ზონაში, ქ. ბათუმსა და მის ოლქში ბატონობს თავაშვებული სპეკულაცია, საარაკო სიძვირე, შიმშილობა და ანარქია, იქ ძარცვა-გლეჯა და კაცისკვლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა ამგვარად, დასნეულდა საქართველოს სხეულს მოწყვეტილი მისი ორგანული ნაწილი... ბათუმის ოლქის ქართველობა (რომელიც მცხოვრებთა 95%-ს შეადგენს) დღეს ფაქტიურად უპატრონოდ დარჩენილი, მოქალაქეობრივ წესიერებას მოწყურებული, მოციქულს მოციქულზე უგზავნის საქართველოს – ემუდარება წესიერების დამყარებას, ჯარების გაგზავნას ოლქში. მაგრამ საქართველო დღემდე ელოდება თავისი უცილობელი უფლების აღსრულებას – მოკავშირეთა მიერ ბათუმის ოლქის საქართველოსთვის დაბრუნებას და სამაჰმადიანო საქართველოსაც ამავე იმედით აშოშმინებდა. საქართველოს ხალხს სწამდა, რომ მისი დამოუკიდებლობის ცნობა აუცილებლად გულისხმობდა ბათუმის საკითხის მის სასარგებლოდ გადაჭრას. უიმისოდ თვით დამოუკიდებლობის ლიტონი პრინციპი შეუსაბამოდ უნდა გადაქცეულიყო, ვინაიდან როგორც ცოცხალ ორგანიზმს ვერ ვეტყვით – იცოცხლე, მაგრამ ნუ ისუნთქებ –ისევე საქართველოსთვის არ ითქმის – იყავი თავისუფალი, ხოლო ბათუმის ოლქი დასთმეო“ ***[სცსა, ფ. 1833, ს. 1171].***

ოსმალების საოკუპაციო ჯარების წასვლის შემდეგ, სამუსულმანო საქართველო ფაქტიურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებში შედიოდა. რჩებოდა მხოლოდ ბათუმი, სადაც იმდროისთვის ინგლისის ჯარი იდგა. ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის მთავარ პირობად ქართველი პატრიოტები ბათუმის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთებას მიიჩნევდნენ. 1920 წლის 29 თებერვალს, სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა: „სამუსულმანო საქართველო უნდა შევიდეს დედა სამშობლო-საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიურ საფუძველზე“ ***[სცსა, ფ. 1864, ს. 239, ფურც. 57].*** დადგენილებას ხელს აწერენ: სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე და „ჯემიეთ ისლამიეს“ (მუსულმანთა საბჭოს) თავმჯდომარე, ალი ჰაიდარ ჯაფარიძე.

1920 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბათუმში ბოლშევიკების აგენტები სპეციალურ ჯგუფებს ქმნიდნენ, რომელსაც ანარქიის მოწყობა ევალებოდათ, ამის გამო, საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად მიიჩნევდა ქართულ შეიარაღებულ ძალებს სტრატეგიული პოზიციები დაეკავებინათ და სთხოვდა მას, რათა მთავარი საკითხები საქართველოს მთავრობასთან შეეთანხმებინა. ე. გეგეჭკორმა წერილის ასლი გაუგზავნა საფრანგეთის უმაღლეს კომისარს ***[სცსა, ფ. 1864, ს. 239, ფურც. 1].***

საქართველოს ხელისუფლების სურვილს ბათუმი საქართველოს საზღვრებში დაებრუნებინათ, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ოლივერ უორდროპმა, 1920 წლის 28 მარტს, შემდეგი წერილით უპასუხა: „თქვენო აღმატებულებავ, მისი უდიდებულესობის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგია სამხედრო სამინისტროსაგან საქართველოს ჯარების მოუფიქრებელი შეჭრა ბათომის ოლქში, რომელიც დღემდე იმყოფება ბრიტანეთის ოკუპაციის ქვეშ. ლორდი კერზონი მავალებს მე, მოგმართოთ სერიოზული გაფრთხილებით და პროტესტით, ამასთანავე საერთოდ ვაუწყო ამიერკავკასიის სახელმწიფოებს, რაც შეიძლება მკაფიო ენით, რომ ყოველი ცდა, მიმართული მოკავშირეთა კონფერენციის წინააღმდეგ ან მისი დაყენება „შეუსრულებელი ფაქტის წინაშე“ ფრიად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს და შედეგად მოჰყვება ის, რომ დიდი ბრიტანეთი თუ აქამდე ყოველთვის სიმპათიით ეკიდებოდა ამ სახელმწიფოებს, ამის შემდეგ ეს სიმპათია უეჭველად შემცირდება“ ***[სცსა, ფ. 1864, ს. 236, ფურც. 66].***

ლონდონსა და სან-რემოში ამიერკავკასიის რესპუბლიკების ბლოკის შექმნის მცდელობის ჩაშლის, აზერბაიჯანის გასაბჭოვების და 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ, ბათუმში მოკავშირეთა სამხედრო ნაწილის ყოფნამ აზრი დაკარგა.

1920 წლის 19 ივნისს ამიერკავკასიაში საფრანგეთის რესპუბლიკის კომისარმა დე მარტელმა, ე. გეგეჭკორს შემდეგი წერილი გაუგზავნა: „მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ მე 18 ამა თვეს მივიღე თქვენი წერილი იმ ხმების გამო, რომელნიც გავრცელდნენ ინგლისელთა და მოკავშირეთა მიერ ბათომის ევაკუაციის შესახებ. მე პატივი მქონდა თქვენთვის სიტყვიერად გადმომეცა ამბავი მოსალოდნელი ევაკუაციის შესახებ, რომელიც მე რადიოთი მივიღე საფრანგეთის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალ ადმირალ დემონისაგან. საფრანგეთის ჯარებმა, რომელნიც ახლა ბათუმში იმყოფებიან და ექვემდებარებიან ინგლისელ გენერალს, რასაკვირველია, ბრიტანეთის ჯარების ბედი უნდა განიცადოს, მაგრამ ჩემი მთავრობისაგან ევაკუაციის

შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიმიღია. ამ პირობებში მე არ შემიძლია გაცნობოთ, მოკავშირეთა ჯარების წასვლის დღე თუ იგი საზოგადოდ ამ მოკლე ხანში მოხდება. მე თვითონ ვთხოვე პარიზში მოკავშირეთა მიერ ბათუმის ოკუპაციის გაგრძელება“ ***[სცსა, ფ. 1864, ს. 239, ფურც. 2].***

1919 წლის ბოლოს ამიერკავკასიაში ინგლისის ხელისუფლების პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა. 1920 წლის 28 ივნისს, ინგლისის წარმომადგენელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთვის გადაცემის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ***[სარალიძე, 2013: 160].***

ბათუმიდან ჯარის გაყვანის შესახებ, საბოლოო პასუხი ქართველმა ხალხმა, 1920 წლის ივლისში მიიღო, როდესაც ინგლისელებმა ბათუმი საბოლოოდ გაათავისუფლეს და საქართველოს ჩააბარეს. ამ ფაქტს წინ უძღოდა, 1920 წლის 7 მაისის, საქართველო-რუსეთის ხელშეკრულება. ხელშეკრულების V მუხლი საქართველოს ხელისუფლებისგან მოითხოვდა: „დაუყოვნებლივ გააძევოს და განაიარაღოს ყველა ის უცხო ძალა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა. „უცხო ძალაში“, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლება გულისხმობდა ინგლისის საოკუპაციო ჯარს ბათუმში. ხელშეკრულება ძალაში შევიდა ხელისმოწერისთანავე. ამგვარად, საქართველოს მთავრობა იძულებული შეიქნა, ინგლისის ხელისუფლებისთვის, ბათუმის დაცლა დაუყოვნებლივ მოეთხოვა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, ფაქტიურად ინგლისის ორიენტაციაზე უარის თქმა იყო, რის გამოც, ინგლისმა, 1920 წლის ივლისში ბათუმი საქართველოს ჩააბარა. 1920 წლის 28 აპრილს, რუსეთის წითელმა არმიამ აზერბაიჯანის რესპუბლიკა დაიკავა.

ინგლისის ხელისუფლება საქართველოს საკითხს რუსეთთან კავშირში განიხილავდა. ლოიდ ჯორჯის მთავრობამ, ჯერ კიდევ 1920 წლის მეორე ნახევარში დაიწყო კრასინთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად. ხელშეკრულებას ხელი 1921 წლის 16 მარტს მოაწერეს, თუმცა მისი პროექტი ბევრად უფრო ადრე იყო მზად. ცხადია, როცა რუსეთის წითელი არმია საქართველოს თავს დაესხა, რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისის მთავრობა მას ხელს არ შეუშლიდა, რადგან ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის ძალით, ინგლისი კავკასიის საკითხებში თავს არადაინტერესებულად აცხადებს. ა. ჩხენკელი თავის მემუარში წერს: „...1921 წლის 6 იანვარს, როცა პარიზში, უმაღლეს საბჭოში საქართველოს იურიდიული ცნობის საკითხი დაისვა, ლორდ კერზონი წინ აღუდგა მას და საბუთად ის მოიყვანა, რომ მოსკოვი ამ შემთხვევაში საქართველოს არ დაინდობდა. კერზონს არ უნდოდა საქართველოს დაცემა, მაგრამ იმავე დროს გრძნობდა, რომ ეს გარდაუვლად მოხდებოდა, რადგან ინგლისი უკვე შეკრული იყო

რუსეთთან. თუმცა 1921 წლის 27 იანვარს, ინგლისმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა „დე იურე“, ლოიდ ჯორჯმა იცოდა თუ რა მოელოდა საქართველოს რუსეთის მხრიდან, მაგრამ მას არ უგრძვნია სინდისის ქენჯნა...“ *[სცსა, ფ. 1864, ს. 694].*

ინგლისის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლას საქართველოსთან მიმართებაში, ხელი შეუწყო მისი გავლენის შესუსტებამ ახლო აღმოსავლეთში, სადაც ინგლისის ხელისუფლებამ კრიზისი განიცადა. ინგლისის მთავრობა ცდილობდა საოკუპაციო ჯარები მოეხსნა და ხარჯები შეემცირებინა. საქართველო-რუსეთის 7 მაისის ხელშეკრულებამ, ინგლისი დაარწმუნა, განსაკუთრებით აზერბაიჯანის ბოლშევიზაციის შემდეგ, რომ მისი გავლენა ამიერკავკასიაში შესუსტებული იყო, რაც ინგლისის ხელისუფლების მიერ უკანასკნელი საოკუპაციო ნაწილის ბათუმიდან მოხსნის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ბათუმიდან ინგლისის ჯარის გასვლის შემდეგ, საქართველო მოახლოვებული ოსმალური და რუსული საფრთხის წინაშე მარტო დარჩა.

1920 წლის 7 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ბათუმში, სამხედრო ტაძრის წინ, სადაც ორ მაღალ სვეტზე, საფრანგეთის და ინგლისის სახელმწიფო დროშები იყო აღმართული, ინგლისის და საქართველოს ჯარის აღლუმი გაიმართა. 7 საათზე ჩამოუშვეს საფრანგეთ-ინგლისის დროშები და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამფეროვანი დროშა ააფრიალეს. იმ წუთიდან ბათუმი და მისი ოლქი ფაქტიურად და იურიდიულად საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაში გადავიდა, რითაც ისტორიული სამართლიანობა აღდგა. ბათუმში, იმ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებული მუხრან ხოჭოლავა იყო.

გაზეთი „საქართველო“ ასე აფასებს ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვებას: „...ბათუმი და სამუსულმანო საქართველო არა მარტო ეროვნულად და გეოგრაფიულად, არამედ უფლებრივად ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს. საბედნიეროდ ბათუმი ანტანტის ხელში იყო, რომელსაც დაპყრობითი მიზანი არ ჰქონია და თავის დროზე უნდა დაეცალა. ეს დაცლა მოხდა, ბათუმი ბუნებრივად ჩვენს ხელში გადმოვიდა, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ფაქტს ჩვენ თვითონ გამოვაცალეთ უფლებრივი საფუძველი, ვერ გავაცანით იგი ევროპას. ამიტომ არის, რომ ბათუმის მხარეს ეპოტინება ყველა: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ოსმალეთი. თითქოს ამ ქვეყანას კანონიერი პატრონი არ ჰყავდეს“ *[„საქართველო“, 1921: 1].*

დღეს, როცა XXI საუკუნეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კვლავ დარღვეულია, საქართველოს ტერიტორიის 20% რუსეთის ჯარების მიერ უკანონოდ არის ოკუპირებული და საქართველოს საგარეო ორიენტაციის კურსი ევროინტეგრაციისკენ არის მიმართული, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარსული

ისტორიული ფაქტების გაანალიზებას, რათა დაშვებული შეცდომები კვლავ არ განმეორდეს.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ნოზაძე, 1989: – ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.

„საქართველო“, 1921: – გაზეთი „საქართველო“,1921 წლის 1 იანვარი.

სარალიძე, 2013: – სარალიძე ლ., ბათუმი ინგლისის ოკუპაციის პერიოდში (1918-1920 წწ.), – კრ.: ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), III, ბათუმი.

სიორიძე, 1996: – სიორიძე მ., ბათუმის ოლქის მმართველი საბჭო (1918-1919), – კრ.: საისტორიო მაცნე, №5, ბათუმი.

სიორიძე, 2008: – სიორიძე მ., „ბათუმის საკითხის“ ინტერნაციონალიზაცია 1918-1920 წ.წ., – წიგნში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი.

სურგულაძე, 1961: – სურგულაძე ა., სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, II, თბილისი.

სცსა, ფ. 1833, ს. 1171 – დამფუძნებელი კრების მიმართვა მოკავშირეთა სახელმწიფოების პარლამენტის მიმართ ქ. ბათუმის „პორტო ფრანკოდ“ გამოცხადების გამო, 1920წ., საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, აღწერა 1, საქმე №1171.

სცსა, ფ. 1864, ს. 236 – დოკუმენტები ბათუმის ოლქის ანტანტის საოკუპაციო ჯარებისაგან გათავისუფლებისა და მისი საქართველოსთან შემოერთების შესახებ, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №236.

სცსა, ფ. 1864, ს. 238 – ინგლისელებთან კავშირის ოფიცრის, ლეიტენანტ შ. მირიანიშვილის მოხსენება ბათუმიდან ინგლისელთა არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებაზე ქართველების მიმართ, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №238.

სცსა, ფ. 1864, ს. 239 – „ჯამიეთ ისლამიეს“ და სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის შეთანხმება, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე №239.

სცსა, ფ. 1864, ს. 694 – მემუარი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის, ა. ჩხენკელის დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წწ., საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლი, ფონდი 1864, საქმე №694.

Afanasyan, 1981: – Afanasyan S., L'Arménie, L'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendence à l'instauration du Pouvoire Soviétique 1917-1923, édition: L'Armattan, Paris.
Документы, 1957: – Документы внешней политики СССР, I, Москва.

Lela Saralidze (Tbilisi, Georgia)

From the History of Leaving Batumi by British Troops (1920)

Summary

The work is based on the new archive documents and it is about history of British troops withdraw from Batumi. British troops left the Batumi on July 7, 1920. Batumi and its region moved at the disposal of the legal owner of the Democratic Republic of Georgia.

British leaders considered Caucasian territory as a political unit which would have to solve its problems about political status with Russia. Government of Lloyd George started negotiations about trade Agreement with Russia, In the second half of 1920. Agreement was signed on the 16th of March 1921, but project was already made two months earlier. When Red army attacked Georgia in 1921, Russian Government was sure that England would be neutral. According to the one article in the agreements English side says that they are not interested in Caucasus. On the 6th of January 1921, On Ententes Supreme Council, in Paris, where the issue of legal recognition of independence of Georgian Democratic Republic was discussed, Minister of Foreign Affairs Lord Curzon was trying to persuade their Allies that if they vote for Georgian Independence, Russia would not spare them. Despite this on the 27th January 1921, Georgian independence "De Jure" was recognized by English Government. English Government thought that economic recovery of Russia would be important source of raw materials and realization area for English Industry. This was the basis of Lloyd Georges pro-Russian politics, which in the end sacrificed the Independence of Georgia.

ქრისტინე ფაღავა-ბულეზი
(პარიზი, საფრანგეთი)

ბათუმის ისტორიის უცნობი ფურცლები (1920-1924 წლები)

კონფერენციის ერთ-ერთი სტუმარი, ჩვენი თანამემამულე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას შვილიშვილი, დღეს ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი, ქალბატონი ქრისტინე ფაღავა-ბულეზი, გამომდინარე იქედან, რომ ვერ მოხერხდა მისი ბათუმში ჩამოსვლა, ვიდეო-მოხსენებით წარსდგა კონფერენციის მონაწილეთა წინაშე.

წარმოგიდგენთ ქალბატონი ქრისტინეს მისასალმებელ სიტყვას, აგრეთვე ვიდეო-მოხსენების მოკლე შინაარსს. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ქრისტინეს ვიდეო-გამოსვლა მიმდინარეობდა ლევილის ქართველთა მამულის ხედებისა და ღირსშესანიშნაობების ჩვენების ფონზე, რითაც კონფერენციის მონაწილეებს საშუალება მიეცათ ვიზუალურად გაცნობოდნენ ლევილის პეიზაჟებსა და მოხსენებაში გაშუქებული ისტორიული პროცესების ამსახველ ფოტო და დოკუმენტურ მასალას.

ქალბატონი ქრისტინეს ვიდეო-გამოსვლა დაიწყო მისასალმებელი სიტყვით კონფერენციის მონაწილეებისა და მონატრებული თანამემამულეებისადმი:

“ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო თანამემამულენო, სიხარულით მოგესალმებით ყველას. ვსარგებლობ მომენტით და მინდა მადლობა გადავუხადო შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ნიკო ბერძენიშვილის კვლევით ინსტიტუტს ბათუმისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე ჩემი მოწვევისათვის. მართალია, ფიზიკურად თქვენს გვერდით არ ვიმყოფები და ლევილიდან ვუერთდები კონფერენციის მუშაობას, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ შემდეგში ბათუმში ჩამოსვლაც შესაძლებელი გახდება.

როგორც მოგახსენეთ, მე ახლა ლევილში ვიმყოფები, სადაც ჩვენი დიდი წინაპრების სული ტრიალებს. თქვენ შეგიძლიათ ჩემთან ერთად დაათვალიეროთ ეს პატარა ნაწილი ქართული მიწისა საფრანგეთში. აგერ სალონი ჩვენი მამულის. ამ დარბაზში თქვენ ნახავთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრების ფოტოებს. მე მინდა შეგახსენოთ, რაც თქვენც ალბად მშვენივრად იცით, რომ ბათუმში შეკრებილმა დამფუძნებებლმა კრებამ დაამტკიცა მთავრობის გადაწყვეტილება არ მოეწერა ხელი კაპიტულაციისათვის და ქართული დროშით წასულიყო უცხოეთში, საზრვარგარეთ, რათა ემიგრაციაში გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ბათუმში იტალიურ გემზე ავიდნენ ჩემი ბაბუა, მთავრობის თავმჯდომარე

ნოე ჟორდანია, აგრეთვე ევგენი გეგეჭკორი, ნოე ხომერიკი, კონსტანტინე კანდელაკი და სხვები.

სხვათაშორის, უნდა გაჩვენოთ ფრანგული გაზეთიდან ამოღებული ფოტო, რომელზეც ჩანს საქართველოს მთავრობის მიერ საფრანგეთში გაგზავნილი მინისტრი აკაკი ჩხენკელი. ფოტო გადაღებულია იმ დღეს, როდესაც გაიხსნა საქართველოს საელჩო პარიზში. ეს მოხდა 1921 წლის 25 თებერვალს, მაშინ, როცა ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაეცა თბილისი. საქართველო ამის შემდეგ ერთხანს კიდევ იყო დამოუკიდებელი, ხოლო საელჩო კიდევ უფრო დიდხანს ფუნქციონირებდა და მხოლოდ 1933 წლის ივლისში დაიხურა.

დედაჩემი ასმათ ჟორდანია, მეუღლე ლევან ფალავასი, ხშირად მესაუბრებოდა ბათუმზე. მეუბნებოდა რა ლამაზი ქალაქია ბათუმი, რა სასიამოვნო ხალხი ცხოვრობს აქ, რა ერთგული ქართველები და ამატებდა, რომ ბათუმი იყო კარი ევროპისაკენ. როცა პირველად ჩამოვედი ბათუმში 2009 წელს, ბევრი რამ ვიცანი დედაჩემის ნაამბობის მიხედვით. მომეწონა ბათუმის ძველი და ახალი უბნები, მართლაც მშვენიერი იყო ბოტანიკური ბაღი. ქალაქი სიცოცხლით იყო სავსე. ძალიან მესიამოვნა, როცა დავინახე ნოე ჟორდანიას ქუჩა."

შესავალი სიტყვის შემდეგ ქალბატონი ქრისტინე შეეხო დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ბოლო პერიოდის მნიშვნელოვან მომენტებს, მათ შორის ინგლის-საქართველოს ურთიერთობებს ბათუმთან დაკავშირებით, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის საქმიანობას, რომელიც აჭარის საქართველოს შემადგენლობაში დატოვებისათვის იბრძოდა და სხვა საკითხებს. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა ნოე ჟორდანიას მთავრობის მიერ საქართველოს ამბებში ევროპელთა უკეთ გათვითცნობიერების მიზნით საქართველოში ევროპელი სოციალისტებისა და II ინტერნაციონალის წარმომადგენელთა მოწვევაზე.

მომხსენებლის სიტყვით, ცნობილი ევროპელი სოციალისტები და II ინტერნაციონალის წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ პიერ რენოდელი, ემილ ვანდერველდე, რემსი მაკდონალდი (ლეიბორისტული პარტიის ლიდერი, შემდგომში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი), კამილ ჰიუსმანსი (შემდგომში ბელგიის პრემიერ-მინისტრი) და სხვები, 1920 წლის სექტემბერში ჩამოვიდნენ ბათუმში და შემდეგ მოიარეს თბილისი და მთელი საქართველო. მოგვიანებით მათ შეუერთდა ცნობილი თეორეტიკოსი კარლ კაუცკი. მათი მონაწილეობით მოეწყო მრავალი მიტინგი და საჯარო გამოსვლა. ქალბატონმა ქრისტინემ კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა ამ ამბების ამსახველი ფოტო-მასალა და ელისაბედ ორბელიანის რედაქტორობით თბილისში გამომავალი ფრანგულენოვანი გაზეთის "LA REPUBLIQUE GEORGIENNE" 1920 წლის 23 სექტემბრის ნომერი

(№59), რომელიც მთლიანად ეძღვნებოდა ევროპელი სოციალისტების ჩამოსვლასა და საქმიანობას. ჩამოსულთაგან ზოგიერთი თვეობით დარჩა საქართველოში, მათგან მნიშვნელოვანი ცნობები მიეწოდა ევროპის პოლიტიკურ წრეებს აქ მიმდინარე პროცესების შესახებ. მაგ. პიერ რენოდელმა, საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატმა, ორსაათიანი მოხსენება გააკეთა 1925 წელს საფრანგეთის პარლამენტში თემაზე "საქართველოს დამოუკიდებლობა და ბოლშევიზმის საერთაშორისო პოლიტიკა" ("L'indépendance de la Géorgie et la politique internationale du Bolchevisme"), ხოლო კარლ კაუცკიმ წიგნიც გამოაქვეყნა საქართველოზე ("A Social-Democratic Peasant Republic"). ყოველივე ეს დადებითად აისახა ახალგაზრდა რესპუბლიკის იმიჯზე ევროპაში.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა 1921 წლის თებერვალ-მარტში ბათუმში მიმდინარე მოვლენებზე, რომელთა გაშუქებისას იგი ეყრდნობოდა როგორც ნოე ჟორდანიას ცნობილ მემუარულ ნაშრომს "ჩემი წარსული", ისე მის ხელთ არსებულ საინტერესო ფოტო და დოკუმენტურ მასალას. დასკვნის სახით ითქვა, რომ ნოე ჟორდანიას მეთაურობით ეროვნული მთავრობის უარმა კაპიტულაციაზე და ბრძოლის გაგრძელებამ ემიგრაციაში განაპირობა სწორედ ევროპული სახელმწიფოების მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობის ხელშეკრულებაში საქართველოს უფლებებთან მიმართებაში დათქმების პარაგრაფის შეტანა, რამაც ხელი შეუწყო 1991 წელს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას

აუდიტორიაზე სათანადო ეფექტი მოახდინა მომხსენებლის მიერ თავისი დეიდის, ნოე ჟორდანიას უმცროსი ქალიშვილის, ქალბატონ ნათელას წარდგენამ. იგი 2,5 წლის იყო, როცა მამასა და სხვა თანამემამულეებთან ერთად იტალიურ გემზე ავიდა ბათუმში და ემიგრაციაში გაემგზავრა შორეული ევროპისაკენ. ანუ დღეს ის არის უკანასკნელი ცოცხალი მომსწრე საქართველოს I რესპუბლიკის უკანასკნელი ტრაგიკული დღეებისა. ქალბატონი ნათელა ქართულად მიესალმა კონფერენციის მონაწილეთ და სრულიად საქართველოს.

სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, საფრანგეთის ეროვნული ბანკის არქივების მონაცემებზე დაყრდნობით, ქალბატონმა ქრისტინემ ისაუბრა აგრეთვე საფრანგეთში გატანილ საქართველოს განძის შესახებ. საქართველო-საფრანგეთის მოლაპარაკების საფუძველზე, ქართული განძი ბათუმის პორტში აიტანეს ფრანგულ სამხედრო კრეისერზე "ერნესტ რენანი". კონსტანტინოპოლში განძი მეორე ფრანგულ სამხედრო გემზე – "ბიენ-ჰოა"-ზე გადაიტანეს. "ბიენ-ჰოა" 20 მარტს გავიდა კონსტანტინოპოლიდან და 1921 წლის 11 აპრილს საფრანგეთის ქალაქ მარსელში ჩავიდა. ასე გადარჩა ქართული განძი,

რომელსაც საფრანგეთში ექვთიმე თაყაიშვილი, იოსებ ელიგულაშვილი და სხვები ჩაყვნენ.

მოხსენების დასასრულს ქალბატონმა ქრისტინემ მსმენელთ მოუთხრო თავისი დედის, ასმათ ჟორდანიას ისტორია, რომელიც ავადმყოფი ბებიის, ნოე ჟორდანიას დედის, ქრისტინე ჩიქოვანის სანახავად ჩამოვიდა საფრანგეთიდან საქართველოში.

ქრისტინე ჩიქოვანი არ გაჰყოლია ნოე ჟორდანიას და მის ოჯახს ემიგრაციაში და ლანჩხუთში ცხოვრობდა. იგი ყველას ენატრებოდა, განსაკუთრებით შვილიშვილს ასმათ ჟორდანიას, რომელსაც ძლიერ უყვარდა ბებია და შემდეგ მისი სახელი თავის ქალიშვილს დაარქვა. მიუხედავად მონატრებისა და სურვილისა, ნოე ჟორადნიას ოჯახი დაპატიმრების შიშით ვერ ბედავდა ასმათი საქართველოში გამოეშვა, მაგრამ როცა ქრისტინე ბებიას ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, მისი შეჩერება ვერავინ შესძლო. დაუკავშირდა მოსკოვში გავლენიან ბოლშევიკს ა. ენუქიძეს და, ყველასათვის გასაკვირად, 19 წლის ასმათმა საქართველოში ჩასვლის უფლება მიიღო. იგი 1924 წლის ზაფხულის დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდა და ბებიას ესტუმრა. ცოტა ხნის შემდეგ, იმავე წლის აგვისტოში, ისინი ბათუმში იმყოფებოდნენ, როცა საქართველო ანტიბოლშევიკურმა აჯანყებამ მოიცვა (სხვათა შორის, აჯანყებაში მონაწილეობდა ჩვენი მომხსენებლის მამაც, იმ დროს სრულიად ახალგაზრდა ლევან ფაღავა). ბებია და შვილიშვილი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. ცოტა ხნის შემდეგ ქრისტინე ჩიქოვანი, ასაკისა და ავადმყოფობის გამო, ციხიდან გამოუშვეს. მოხუცი ქალბატონი ყოველ დღეს ციხის წინ დაჩოქილი ატარებდა და ღმერთს შვილიშვილის გათავისუფლებას ევედრებოდა. ასმათ ჟორდანიამ მძიმე დღეები გადაიტანა. იგი იყო მოწმე იმ სასტიკი წამებისა, რასაც ბათუმის ციხის პატიმრები განიცდიდნენ. მასაც მოუწია დაკითხვებისა და იმიტირებული სასამართლოს გაძლება. ბოლოს, ციხის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ასმათს უთხრა, რომ ციხეში მას აუცილებლად დაღუპვა ელოდა, და რადგან არ სურდა რომ ჟორდანიას სისხლი მის ხელებზე ყოფილიყო, დაეხმარებოდა ციხიდან გასვლაში, ოღონდ ასმათს იმავე ღამით უნდა დაეტოვებინა ბათუმი. მართლაც, იგი ციხიდან გამოუშვეს და ბებიამ იმავე ღამით გააცილა ბათუმიდან. ასმათი სტამბოლში ჩავიდა, იქიდან კი საქართველოს I რესპუბლიკის წარმომადგენელის, კონსტანტინე გვარჯალაძის დახმარებით საფრანგეთში, პარიზში დაბრუნდა.

აუდიტორია ყურადღებით უსმენდა საინტერესო ვიდეო-მოხსენებას, რომელშიც უხვად იყო გამოყენებული როგორც მოვლენათა უშუალო თვითმხილველთა მოგონებები, ისე ლევილში არსებული მრავალფეროვანი ფოტო და დოკუმენტური მასალა. მადლობა გვინდა მოვახსენოთ ქალბატონ ქრისტინეს კონფერენციაში ასეთი ნაყოფიერი მონაწილეობისათვის და იმედს გამოვთქვამთ, რომ შემდეგში კიდევ ბევრჯერ გვექნება საშუალება

თანამშრომლობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ურთიერთგა-ზიარებისა, თანაც, არა მხოლოდ ვიდეო-გამოსვლის გზით.

Christine Pagava-Boulez (Paris, France)

Unknown Pages from the History of Batumi (1920-1924)

Summary

One of the conference guests, our fellow and Noe Jordania's (the Head of the government of the first Republic of Georgia) granddaughter, nowadays the Vice-president of Noe Jordania's Institute, Mrs. Christine Pagava-Boulez represented her video report at the conference.

In her video-report, first Mrs. Pagava-Boulez greeted the conference participants. Then she talked about the important events of the last period of Independent Georgia: English-Georgian Relations on Batumi question, the Liberation Committee of Muslim Georgia etc. She paid special attention to the visit of European Socialists and the members of the Second International to Georgia, organized by Noe Jordania Government. The aim of the visit was to raise awareness of the Europeans around the Georgian matter.

Then author spoke about the events that took place in February-March of 1921 in Batumi (including the Georgian Treasure). Covering these issues Mrs. Pagava-Boulez used Memories of eyewitnesses, interesting photo and documentary material.

At the end of the speech, Mrs. Pagava-Boulez told the audience about her mother – Mrs. Asmat Jordania, who visited her sick grandmother - Mrs. Christine Chikovani in Georgia in 1924. During her visit, because of the 1924 Uprising, the Cheka arrested Mrs. Jordania.

Mrs. Pagava-Boulez's interesting video-report was highly appreciated by the conference participants.

ნანი ფუტკარაძე
(ბათუმი, საქართველო)

ქართველ მუჰაჯირთა სოფლები თურქეთის შავიზღვისპირეთში (გირესუნის პროვინცია)

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ცხოვრება უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ისტორიის შემდეგმა მოვლენებმა განაპირობა: ძირითადად ქართველებით დასახლებული რეგიონების მოქცევამ მეზობელი ქვეყნის საზღვრებში (ტაო – ოლთისის, პარხალის, თორთუმის ხეობები, იუსუფელი... კლარჯეთი – შავშეთ-იმერხევი, ჭოროხის აუზის შუა წელში მდებარე სოფლები, ართვინი, ნიგალი, ბორჩხა, მაჭახელი, მურღული, არტანუჯი; კოლა, არტაანი...) და მუჰაჯირობის შედეგად (1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროიდან დაწყებული 1921 წლამდე) საქართველოდან ქართველების გადასახლებამ თურქეთში *[ნიკოლეიშვილი, 2009: 129]*. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველთა მუჰაჯირობამ განსაკუთრებული მასშტაბები, 1877-1878 წლების ომის შედეგებიდან გამომდინარე, სწორედ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მიიღო *[ბარამიძე, 1999: 48]*. სწორედ ამ ეპოქას შეეხება ჩვენი საკვლევი თემაც. გამოთქმა „მუჰაჯირი ქართველი“ ჩვენს ენაში მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში მკვიდრდება. საინტერესოა, რომ მუჰაჯირი ქართველები თავიანთ თავს „ჩვენებურებს“ ეძახიან *[ფუტკარაძე, 1993: 9]*.

მუჰაჯირობა მნიშვნელოვნად განსაზღვრა იმ ფაქტორმაც, რომ 1877-1878 (ისევე როგორც 1828-1829) წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად გაერთიანება მოხდა არა ორი დამოუკიდებელი ქართული სხეულისა ქართულ სახელმწიფოში, არამედ ოსმალეთისა და რუსეთის საქართველოსი – უცხო, რუსული სახელმწიფოს შიგნით. ამის გათვალისწინებით კი აშკარა ხდება, რომ მუჰაჯირობის ხასიათი და, საერთოდ, მუჰაჯირობა, როგორც მოვლენა, ქართულ სინამდვილეში განაპირობა არაქართულ სახელმწიფოებში წლების მანძილზე არაქართული იდეოლოგიით ნასაზრდოები ქართული კუთხეების არატრადიციულმა გაერთიანებამ. მართალია, XIX საუკუნის ბოლოს აჭარა, როგორც ვამბობთ, დაუბრუნდა დედა-სამშობლო საქართველოს, მაგრამ ფაქტობრივად კი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა **[ბარამიძე, 1999: 50]**.

ჩვენი კვლევის მიზანია ქართველ მუჰაჯირთა უცხო ადგილას დამკვიდრების, სირთულეების დაძლევის, ახალ გეოგრაფიულ, სოციალურ და ეთნიკურ გარემოსთან შეგუების, მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლების, ცხოვრების, დღევანდელი ყოფისა და სხვა მსგავსი საკითხების შესწავლა. ამჯერად წარმოვადგენთ გირესუნის პროვინციის სოფლების შესწავლის შედეგებს, რაც, ძირითადად, ეყრდნობა 2015 წლის

ივლისში გირესუნის პროვინციის სოფლებში მოპოვებულ საველე ექსპედიციის მასალებს.

კვლევა ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუირების და დაკვირვების მეთოდების გამოყენებით. საკვლევი მასალა მოვიპოვეთ გირესუნის პროვინციის სოფლებში მცხოვრებ მუჰაჯირების შთამომავალებში. შერჩევითობის დროს ყურადღება ექცეოდა ინფორმანტთა ასაკს, ამიტომ, ძირითადად, გამოკითხვა ჩატარდა უფროსი ასაკის რესპოდენტებს შორის. ასევე ყურადღება ექცეოდა ინფორმანტთა სოციალურ მდგომარეობას და სქესს. საველე მუშაობის პროცესში რესპოდენტებს ვთხოვდით, რომ მოეყოლათ წინაპრებისაგან გადმოცემული ამბები მუჰაჯირობის შესახებ და სხვა ზეპირსიტყვიერი მასალა. მოპოვებული მასალებიდან იკვეთება, რომ მუჰაჯირობასთან დაკავშირებით ძირითადად შემონახულია პიროვნული ისტორიები და საკუთრივ მუჰაჯირობის დროს მომხდარი ამბები. ამავდროულად, იმ პერიოდში არსებული ვითარება და მუჰაჯირობის გამომწვევი მიზეზები, ფაქტობრივად, მუჰაჯირთა შთამომავლებისათვის არაა ცნობილი ან არ ფიქსირდება. გამოკითხულები, წინაპართა გადმოცემებზე დაყრდნობით, მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახელებენ, რომ გადმოსახლებულნი არიან აჭარა-ბათუმის ამა თუ იმ რაიონიდან, თუმცა, ისეთი ფაქტის მომსწრენიც გავხდით, როცა მთხრობელმა არ იცოდა თუ სად იყო მისი ძველი საცხოვრისი.

გირესუნის პროვინციაში (ილში) ქართველ მუჰაჯირთა განსახლების არეალია:

გირესუნის ილის გირესუნის რაიონი: სოფელი ანბარალანი.

დერელის რაიონი: სოფ. აქქაია (ბაშჩუქურ), ჩმესუიუ.

ბულანჯაკის რაიონი: სოფ. დამუდერე, თეფეკოი, თოკმადენი, იეშილთეფე, თეფეორენი, ოდადუზი, ქარააღაჩი, ჰეჯეთი, გუნეიქოი, ეზელთერე, ქუჩუკდერე.

ქეშაპის რაიონი: სოფ. ქურბანფინარი.

გირესუნის პროვინციაში მცხოვრები ქართველები, ძირითადად, აჭარისწყლის ხეობიდან – ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის რაიონებიდან (სოფლები: თხილვანა, ჭვანა, წონიარისი, ცხმორისი, ჯოჭო და სხვ.) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია.

დამუდერე. სოფ. დამუდერეს მკვიდრი რეჯებ შარდაღი (ბერიძე, 70 წლის), ასე გადმოგვცემს დამუდერეს ისტორიას: „1877-78 წლების ომის შემდეგ ჩუენი ძველები სოფელ დამუდერეში აჭარიდან – წონიარისიდან გადმოსახლებულან, ჩუენები რომ აქ ჩამოსულან, ქვეით ერთი მინდორი ალაგია, იქ მიუციათ ადგილი, მაგრამ იქ კოღოებს შეუჭამიათ და უფრო ზემოთ წამოსულან, აქ იმისხო ტყე ყოფილა ძირი კუთხეში მოსულან და იქიდან მოუვლიან ტყე გაუკაფიათ და სოფელი გაუშენებიათ, აქ თავიდან

ორი ძმა ამოსულა, შემდეგ გამრავლებულა. ჩემი დედეი რომ წამოსულა ნალის გასაღები წამუღია, რომ უკან დავბრუნდებიო, ჰამა გზები ჩეიკეტა და ვეღარ დავბრუნდით.“

აქ ცხოვრობენ: არსლანოღლები, აიდინოღლები, თოსუნოღლები, დემიროღლები, გეჩიჩოღლები, ალიშანოღლები, ოდაბაშოღლები, დუმანოღლები, სეფეროღლები, ოსმანოღლები.

დღეისათვის სოფელ დამუდერეში დაახლოებით 130-მდე ოჯახია, აქ ძირითადად წონიარისიდან გადასახლებული მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. 5 კომლი დამუდერედან სოფ. ეზელთერეში წასულა და იქ გამრავლებულა, ზოგიც სოფ. გუნეიქოიში და თეფექოიში განაწილებულა *[ფუტკარაძე, 2015].*

ანბარალანი. სოფელში 40-მდე კომლია დასახლებული. ადგილობრივთა გადმოცემით ისინი ძველი ჩელებოღლების შთამომავლები არიან.

აქქაია (ბაშჩუქურ). ამ სოფელში ქართველები ძალიან ცოტაა. ადრე 20 კომლი ყოფილა, დღეს უკვე სოფელი გათურქებულია. ქართველი 5-6 კომლია სოფელში დარჩენილი.

იაიქინლიკი. ამ სოფელში 60 სახლია. აჭარიდან, ჯოჭოდან გამოსული მუჰაჯირების სოფელია. ასახელებენ გვარებს: თოფალოღლი/თოფანოღლი და კამპეროღლი. აქვეა მეზობელი სოფლები **ქეშაპფინარი** და **ქურბანფინარი.** ადგილობრივთა გადმოცემით, ამ სოფლებში უფრო გვიან პერიოდში ჩამოსული მუჰაჯირები ცხოვრობენ, მაგრამ რა მიზეზით ჩამოვიდნენ ამაზე ვერ საუბრობენ. მოსახლეობის უმეტესობა ქართულად ვეღარ საუბრობს.

ყიშლა – “ჰაჯეთზე გარიგებული” (ჰაჯეთისაგან გამოყოფილი) სოფელია. ფატმა ილმაზის (თეთრაძე, 85 წლის) გადმოცემით, აქ 15-20 კომლი გურჯი ცხოვრობს. ესენი, ძირითადად, ბათუმიდან, **თხილვანიდან** მოსული **ესედოღლები** არიან.

ჰაჯეთი. აიშე აინ ბეიაზის (60 წლის) გადმოცემით: „ჩუენი ძველები ანაი ბაბაი თლად (ყველა) გურჯები ყოფილან, ჩემი დედეი **ჯოჭოდან** წამოსულა, იქ **ლაზოღლი** იყო. ჯერ გაღმა (სოფ. ყიშლა) დასახლებულა, არ მოწონებია იქავრობა და აქ (ჰაჯეთი) გადმოსულა, აქ კაი მიწები უძებნია, ჰამა ბათუმის მიწას დუნიაზე მიწა არ ჯობს.“

ქუჩუკდერე. აქ, ადგილობრივთა გადმოცემით, დუზჭვანიდან ჩამოსული მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ, თუმცა ქართულად მოსაუბრე ძალიან ცოტაა.

თეფექოი – წონიარისელი მუჰაჯირების სოფელია. მუსტაფა ილმაზის (ხათიოღლი, 65 წლის) გადმოცემით: „1877-78 წლების ომის შემდეგ ბათუმში გემი მოსულა და ჩემი დედეი იქიდან გამოქცევლა. აქ თავდაპირველად 40 კომლი მოსულა. თავიდან ჩუენი დედეები ქვემოთ დუჟდუმლებიან (დაუსახლებიათ), ჰამა იქ ავადმყოფობა, ბევრი ბუზი ყოფილა და წამოსულან, ზემოთ წყარო

წყალი უძებნიათ. აქავრობა ტყე ყოფილა, გაუკაფიათ და აქ დასახლებულან. ჩვენს ზემოთ სოფლებში: ქარააღაჩში და იუნემლეში ზეგნელები ცხოვრობენ.“ ამ გადმოცემით ჩანს მუჰაჯირების ეთნომენტალობა, რომ განსხვავება აჭარის კუთხეებს შორის სწორედ აჭარიდან წაღებული ისტორიული ხსოვნაა. ტერმინ „ზეგნელში“ რესპოდენტი შუახევისა და ხულოს რაიონებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავალს გულისხმობს.

თეფექოიში. აქ ხათიოღლები, ჩხაკოღლები (ალბათ ჩხიკვაძე), კამპეროღლები, ჩარიოღლები, მემედოღლები-მოლაიბრაიმოღლები, თოფალოღლები ცხოვრობენ.

თეფექოიში შედის: ა) ბახაჯაკის უბანი (Mahalle); ბ) ქვედა უბანი (Alt Mahalle); გ) შუა უბანი (Orta Mahalle).

გუნეიქოი. აქ ცხოვრობენ: კვირტოღლები, ჰელიმოღლები, ყარამედოღლები, ემინოღლები, ქუჩქალოღლები, ქურდოღლები. ადგილობრივთა გადმოცემით ქეჩიჩოღლებიც იყვნენ. ვესილე კვირტოღლი-ქუჩქალოღლის (67 წლის) გადმოცემით: „სოფელი გუნეიქოი ადრე დამუდერეში შედიოდა და იქიდან გარიგებული სოფელია, ჩუენი წინაპრები ბათუმიდან – წონიარისიდან წამოსულან. ომი რომ მომხდარა, ბათუმი არევლა, რუსები მოსულან, ჩუენები შეშინებულან, მუსლიმანები გადარჩევლან და აქეთ გამოქცევლან. ჯერ ბულანჯაკ მოსულან, ჰამა იქ ავადმყოფობა ყოფილა, იქიდან ზოგი გაღმა (თეფეორენი) დასახლებულა, ზოგიც ამოსულან და აქ დამჟდარან, ეს ადგილი დუუკავიან. წყალი სადაც იყო, ის ადგილი გამუურჩევიან. რომ მოსულან, ამ ადგილს ადრე ავუთი რქმევია, აქ ძროხას ავუთი (შხამიანი ბალახის სახელია) უჭამია და მომკვდარა, რის გამოც დაერქვა ავუთი. ჩვენებს სახელი შუუცვლიან, თანაც ძალიან მზიანი ადგილია და ამიტომაც გუნეიქოი (მზიანი სოფელი) დუურქმევიან.“ დღეისათვის სოფელში 45 კომლი ცხოვრობს. ადგილობრივთა გადმოცემით, გარდა წონიარისელებისა სოფელ გუნეიქოიში თხილვანიდან გადმოსახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებიც არიან დამკვიდრებულნი *[ფუტკარაძე, 2015]*.

თეფეორენი – ცხოვრობენ ქუჩქალოღლები, თონიოღლები, მუთიოღლები, სარიოღლები, ამედოღლები. ზოგი ჭვანიდან გადმოსახლებულან, ზოგიც ღორჯომიდან, თხილვანადან. ზენურე ილმაზის (ამედოღლი, 70 წლის) გადმოცემით: „ამედოღლები ვართ, ჩემი დედეი თხილვანიდან მოსულა და ბულანჯაქ დამჯდარა. ჰამა იქ ჯუერი (ავადმყოფობა) ყოფილა და ზეით გამოქცევლა, ტყესთან და წყალთან ახლოს დასახლებულან. ბათუმ მუსლიმანობა უწევიან, ლოცვა უკრძალიან და იმიტომ გამოქცევლა“ *[ფუტკარაძე, 2015]*.

დასახელებული სოფლების მოსახლეობის ნაწილი წასულია სტამბულში, ადაფაზარში, ბურსაში, დუზჯეში, კოჯაელში და სხვა ქალაქებში. ქართულის მცოდნე ძალიან ცოტაა, ახალგაზრდა

თაობამ ძირითადად ქართული აღარ იცის. ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სოფლების გარდა, გირესუნის მიდამოებში, შავი ზღვის სანაპიროზე, ცხადია, სხვაგანაც ცხოვრობენ ქართველი მუჰაჯირების შთამომავალთა ცალკეული ოჯახები, მაგრამ არა ასე კომპაქტურად. ზეპირი ისტორიების ჩაწერისას საველე მუშაობამ ნათელყო, რომ გირესუნის პროვინციის სოფლებში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლებს ბევრს არაფერი ახსოვთ მათი წინაპრების ჩამოსახლების შესახებ. ამდენი ხნის შემდგომ მათ თხრობას დიდი განცდები, ემოციები აღარ ახლავს. მთხრობელთა ნაამბობში აშკარად იკვეთება ძველი ისტორიების მივიწყება. მუჰაჯირობის ეპოქა თანდათან იშლება იქ მცხოვრებ ადამიანთა მეხსიერებიდან და გადადის კულტურულ მეხსიერებაში. ჩვენს მიერ მოპოვებული ზეპირი ისტორიები მნიშვნელოვანია და ფასეული იმ თვალსაზრისითაც, რომ თაობა, რომელსაც „ახსოვს“ ბებია-ბაბუების მოგონებები მუჰაჯირობის ეპოქაზე, თანდათან ქრება. ამდენად, წინაპართა გადმოცემების მოპოვება დროთა განმავლობაში უკვე შეუძლებელი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბარამიძე, 1999: – ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX ს-ის 70-80-იანი წლები), ბათუმი.

ნიკოლეიშვილი, 2009: – ნიკოლეიშვილი ა., ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში, ქუთაისი.

ფუტკარაძე, 1993: – ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი.

ფუტკარაძე, 2015: – ფუტკარაძე ნ., საველე-ექსპედიციის დღიური, თურქეთი – გირესუნის პროვინცია, 2015 წლის 21-23 ივლისი.

Nani Phutkaradze (Batumi, Georgia)

Georgian Muhajir Villages on Turkey's Black Sea Coast (Giresun Province)

Summary

The paper deals with the 1877-1878 Russo-Turkish war of the Georgian Black Sea region of Turkey in exile, mainly in the province of Giresun. Giresun province's villages are considered descendants of Muhajirs oral histories, some of the villages and the resettlement of the legends of the establishment.

Murat Kasap
(Istanbul, Türkiye)

19.YÜZYILIN İKİNCİ YARISINDA BATUM VE HAVALİSİNDE MUHACİR İSKANI

Karadeniz kıyısında önemli bir limanı ve stratejik konumu ile Batum şehri Kafkasya'nın kapısı niteliğindedir. Şehir bu özelliği nedeniyle civar devletlerin dikkatini çeken bir bölge olmuştur. 1853-1856 yılları arasında gerçekleştirilen Kırım Savaşı zamanında Batum'da bir askeri kıta bulundurulmuş ayrıca Batum ve havalisinden oluşturulan gönüllü Gürcü askerleri de Osmanlı ordusunda Ruslar'a karşı savaşmıştır. Tüfek, tabanca ve kama gibi silahlarla donatılmış milli kıyafetleriyle savaşa katılan Acaralı Gürcü gönüllülerinin, yaşadıkları serhat hayatı nedeniyle her türlü askeri işlere vakıf ve askeri hayatın zorluklarına da dayanıklı bir toplum oldukları da özellikle vurgulanmıştır.

1853-1856 Kırım Savaşı, Osmanlı Devleti'nin tarihte ilk kez İngiltere ve Fransa'nın müttefiki olarak, Çarlık Rusya ile savaştığı ve galip geldiği bir harptir. Savaşın esas nedenini Rusya'nın İstanbul ve Boğazları ele geçirerek, sıcak denizlere inme politikası oluşturmuştur. Kırım Savaşı'nın Kafkasya'da yaşayan Müslüman ahalinin Rusya baskısından kurtuluş şansı olarak görüldüğü söylenebilir. Her ne kadar Kırım Savaşını Osmanlı Devleti Batılı müttefikleriyle beraber galip olarak kazanmış olsa bile 1856 yılında yapılan Paris Barış Antlaşmasının Kafkasya halkları için bir fayda getirmediği görülmektedir. Antlaşmadan kısa bir süre sonra Rusya yönünü Ortasya'daki Türk Hanlıklarına çevirmiş ve Çar II.Aleksander, Kırım yenilgisinin açtığı yarayı Kafkasya'da kazanacağı bir büyük zafer ile kapatmak istemiş ve bu amaçla Kafkas Orduları Başkomutanı Baryatinsky, ilk iş olarak Dağıstan ve Çeçenistan'ı geniş bir kuşatma altına almıştır. 6 Eylül 1859 senesinde Şeyh Şamil'in teslim olması sonrasında Muhammed Emin Efendi'nin Çerkezistan'da süren kısa mücadelesi 1861 yılında yenilgiyle sonuçlanmıştır. Abazalar, Ubıh ve Şapsıhlar'ın mağlubiyetinden sonra 21 Mayıs 1864 tarihinde Kuzey Kafkasya tamamen Rusya hakimiyetine dahil olmuştur. Gerek 1856 yılından sonra ve gerekse büyük sürgün olarak adlandırılan 1864 göçünde Kuzey Kafkasya dağlı halklarının bir kısmı Osmanlı'nın Anadolu ve Rumeli topraklarında iskan olunmuştur.

Muhacirlerin bir kısmı merkezi Batum olan Lazistan Sancağında iskan olunmuştur. Lazistan'a gelen muhacirlerin yaklaşık 10/15 bin kişi kadar olduğu tahmin edilmektedir. Nitekim 8 Ağustos 1864 tarihli bir gazete haberinde 15 bin kişi Abaza ve Çerkes muhacirin 7-8 bin kadar keçi, koyun ve sığırıyla birlikte Batum'dan giriş yapıp Lazistan Sancağı'nın değişik yerlerine yerleştirildikleri yazmaktadır. Batum ve civarında 11 Ağustos 1866 tarihine kadar iskân edilen muhacirlerin kabile isimleri ile kabile reislerini adları, köy adları, hane ve nüfuslarını gösteren tablo şöyledir;

Kabilenin ve Liderlerinin Adları	KÖY ADI	HANE	NÜFUS
Kosba Kabilesinden Ziksevel Bey	Mecidiye	39	170

Marşan Kabilesinden Sefer BEY	Şerefiye	17	87
Marşan Kabilesinden Zebur Bey	Bahariye	21	111
Sait Giray ve Şahin Bey	Reşidiye	33	151
Marşan Kabilesinden Batı ve Kızıl Bey	Fuadiye	53	281
Kuta Mustafa ve Ahmet Bey	Nusretiye/Teşvikiye/Arifiye	80	376
Ömer, Seydi Ali ve Süleyman Bey	Mahmudiye	44	190
Selim ve Halim Bey, İnci Hanım	Feridiye/Ragıbıye	45	291
Hacı Şahinoğlu Hüseyin ve Zakra Bey	Atiyye/Adliye	67	367
Hacı Ali, Arslan, Halil, Zencar Bey, Maan Hanım	Lütfiye/İrfaniye/Mecidiye/ Mahmudiye	97	488
Arsan, Şabat ve Şahin Bey	Fevziye	31	182
Halil, Habric, Uzun Süleyman, Sani Süleyman Bey	İcadiye/Avniye/Bedriye	106	660
Yakup ve Ömer Bey	İnamiye	25	145
Hacı Mustafa ve Hasan Ağa	Nuriye	84	463
Şabat ve Mahir Bey	Küşadiye/Bedriye	76	367
Hüseyin Bey	Hüseyniye	40	199
Ömer ve Habiç Bey	Aziziye	96	529
Reşid ve Hasan Bey	Şükriye/Feriye	35	175
		988	5219

Lazistan Sancağında Hopa-Kobuleti arasında muhacirler için 29 yeni köy oluşturulmuştur. Muhacirler kaynaklarımızda genelde Çerkes olarak adlandırılmışlardır ancak belgeler incelendiğinde içlerinde Abaza, Ubıh ve Dağıstan muhacirlerine de rastlanmaktadır.

Osmanlı hükümeti muhacirlerin iskânıyla birlikte muhacirlere tohumluk yem, çift için öküz ve ziraat için gerekli alet ve edevat temin edilmiştir. Muhacir köylerinde mescidler de inşa edilmiştir.

Osmanlı hükümeti Batum ve havalisinde yerleştirilen muhacirlerin eğitimlerine önem vermiş ve bu köylerde yapılan mektepler de özellikle mahalli dilleri ve gürcüce bilen hocaları görevlendirmiştir. 13 Haziran 1866 tarihinde Lazistan Sancağındaki muhacir köylerine aylık 150 kuruş maaş ile tayin edilen hocaların ve tayin edildikleri köylerin adları aşağıdaki listeye göre şöyledir.

HOCANIN ADI	TAYİN EDİLDİĞİ MUHACİR KÖYÜ
Arhavili Mustafa Efendi	Şerefiye Köyü
Hopalı Ali Efendi	Bahariye Köyü
Livaneli Cafer Efendi	Reşidiye Köyü
Batumlu Memi Efendizade Osman	Lütfiye Köyü
Maçahelli Mehmed Efendi	İcadiye Köyü
Sohumlu Hüseyin Efendi	Nuriye Köyü

Çakvili Hüseyin Efendi	Kuşadiye Köyü
Acaralı İsmail Efendi	Hüseyniye Köyü
Acaralı Osman Efendi	Şükriye Köyü
Çerkes Hacı Hasan Efendi	Fuadiye Köyü
Livaneli Ahmed Efendi	Feridiye Köyü

Aynı tarihte buradaki muhacir köyleri için 6497 adet tecvid, ilmihal, maksud, bina, emsile, tebareke, amme ve elif cüzü gönderilmiştir. Bunun karşılığında Batum'da bulunan muhacirler İstanbul hükümetine memnuniyetlerini iletmişlerdir.

Ancak Batum ve havalisinde muhacirler ve yerli halk arasında zaman zaman arazi meselesi olmak üzere çok sayıda problemler yaşanmıştır. Muhacirler ve yerli halk arasında bir uyum sorunu olduğu gibi zaman zaman muhacirler arasında bölge halkının mallarını çalma gibi adli olaylar da yaşanmıştır. İstanbul hükümeti yerli halk ve muhacirler arasında yaşanan problemleri çözmek üzere idari ve askeri memurları görevlendirilmiştir. Ancak bu sorunların hemen çözülemediği de aşikardır, zira 9 Ağustos 1869 tarihli bir belgede muhacirler ile yerli ahali arasındaki düşmanlığın kanuna uygun halledildiği ancak köy ahalilerinin silahla gezmelerinin de yasaklandığı belirtilmektedir.

Batum ve havalisinde iskan edilen muhacirleri bir kısmı yaşadıkları uyum ve diğer problemler nedeniyle değişik zamanlarda yerleştirildikleri köylerden ayrılarak özellikle İzmit ve Adapazarı taraflarında yaşayan akrabalarının yanına göç etmiştir. Göç edenler Batum'da kalan akrabalarını da getirmek istemiştir. Osmanlı arşivinde Anadolu'ya gelen Abaza ve Çerkes muhacirlerinden Batum'da kalan akrabalarını da davet ettiklerine dair çok sayıda belge bulunmaktadır.

1877/1878 Osmanlı Rus Harbi sonrasında Batum ve havalisinin savaş tazminatı olarak Rusya'ya bırakılması üzerine yaşanan büyük göçte buradaki kuzey Kafkasya muhacirlerinin de Gürcülerle birlikte Osmanlı topraklarına göç ettiği görülmektedir. Osmanlı kaynaklarında Batum muhacirleri ile Batum ve civarından göç eden Abaza muhacirlerinin ayrı ayrı kayıt altına alınmıştır. İzmit'in Gölcük ilçesinin Selimiye köyü muhacir kayıtlarında köy ahalisinin bir kısmı Batum Abaza muhaciri olarak gösterilmiştir. Bununla birlikte bir kısım Abaza muhacirinin Batum'da kaldıkları da ortadadır.

მურად ქასაბი
(სტამბოლი, თურქეთი)

მუჰაჯირთა დასახლება ბათუმსა და მის შემოგარენში XIX ს-ის მეორე ნახევარში

ქალაქი ბათუმი, როგორც შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პორტი, თავისი სტრატეგიული ადგილ-მდებარეობით კავკასიის კარიბჭეს წარმოადგენს. აქედან

გამომდინარე, როგორც ქალაქი, ისე მთლიანად რეგიონი მეზობელი ქვეყნების დიდ ინტერესს იწვევდა. 1853-1956 წლებში ყირიმის ომის მიმდინარეობის დროს ბათუმში სამხედრო ნაწილები იყო განლაგებული, გარდა ამისა, ბათუმის და მისი შემოგარენის მცხოვრებთაგან დაკომპლექტებული ქართველ მოხალისეთა რაზმიც იბრძოდა ოსმალთა არმიაში რუსების წინააღმდეგ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ომში მონაწილე, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი აჭარელი ქართველი მოხალისეები, რომლებიც თოფებით, დამბაჩებითა და ყამებით იყვნენ შეიარაღებულები, იმის გამო, რომ სასაზღვრო რეგიონში ცხოვრობდნენ, ყოველგვარ სამხედრო საქმიანობაში გარკვეულები იყვნენ და სიძნელეებსაც კარგად უძლებდნენ.

1853-1856 წწ. ყირიმის ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ რუსეთი, სტამბოლისა და სრუტეების გავლით, თბილ ზღვებზე გასვლას ცდილობდა. ოსმალეთის იმპერიამ, ინგლისთან და საფრანგეთთან მოკავშირეობის შედეგად, ცარისტულ რუსეთთან მიმართებაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის ომი რუსეთის ზეწოლისგან კავკასიის მუსლიმი მოსახლეობის განთავისუფლების შანსი იყო. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩანს, რომ პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებამ კავკაასიის მუსლიმ ხალხებს არავითარი სარგებელი არ მოუტანა. მოლაპარაკებიდან მცირე ხნის შემდეგ, რუსეთის პოლიტიკური ინტერესები, უმეტესწილად, შუა აზიის თურქული სახანოებისაკენ იქნა მიმართულია.

ალექსანდრე II-მ ყირიმის ომის ჭრილობების მოშუშება კავკასიაში გამარჯვების მირწევით მოინდომა. ამ მიზნით, კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ბარიატინსკიმ, უპირველესად, დაღესტანი და ჩეჩნეთი მოაქცია მჭიდრო ალყაში. 1859 წლის 6 სექტემბერს, შამილის დანებების შემდეგ, ჩერქეზეთში მუჰამედ ემინ ეფენდის მოკლეხნიანი ბრძოლაც მარცხით დამთავრდა. აფხაზების, უბიხების და შაფსუღების დამარცხების შემდეგ, 1864 წლის 21 მაისს, ჩრდილოეთ კავკასია მთლიანად რუსეთის მმართველობაში გადავიდა. რის გამოც, როგორც 1856 წლის შემდეგომი პერიოდის, ისე დიდ გადასახლებად წოდებული 1864 წლის მუჰაჯირობის შედეგად (იძულებითი გადასახლება) ჩრდილოეთ კავკასიის მთის ხალხთა ერთი ნაწილი ანატოლიისა და რუმელიის მიწებზე დასახლდა.

მუჰაჯირთა გარკვეული ჯგუფები დამკვიდრდა ლაზისტანის სანჯაყშიც, რომლის ცენტრიც ბათუმი იყო. ფიქრობენ, რომ ლაზისტანში მოსულ მუჰაჯირთა რიცხვი დაახლოებით 10-15 ათასი იყო. 1864 წლის 8 აგვისტოს ერთ-ერთ გაზეთში წერია, რომ 15 ათასი აფხაზი და ჩერქეზი მუჰაჯირი, 7-8 ათასამდე თხით, ცხვრით და მსხვილფეხა საქონლით, ბათუმიდან შემოვიდა და ლაზისტანის სანჯაყის სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლდაო. ქვემოთ მოცემული ცხრილი გადმოგვცემს 1866 წლის 11

აგვისტომდე ბათუმსა და მის შემოგარენში დასახლებულ მუჰაჯირთა გვარებს და მათი უფროსების სახელებს, სოფელთა დასახელებებს, კომლთა და მოსახლეობის რაოდენობას.

გვარი და მისი უფროსი	სოფლის დასახელება	კომლი	სული
ქოსბას გვარიდან ზიქსეველ ბეი	მეჯიდიე	39	170
მარშანის გვარიდან სეფერ ბეი	შერეფიე	17	87
მარშანის გვარიდან ზებურ ბეი	ბაჰარიე	21	111
საიდ გირაი და შაჰინ ბეგები	რეშიდიე	33	151
მარშანის გვარიდან ბათი და ქიზილ ბეგები	ფუადიე	53	281
ქუთა მუსტაფა და აჰმედ ბეგები	ნუსრეთიე/თეშვიქიე/ არიფიე	80	376
ომერი, სეიდი და სულეიმან ბეი	მაჰმუდიე	44	190
სელიმ და ჰალიმ ბეგები, ინჯი ხანუმი	ფერიდიე/რაღიბიე	45	291
ჰაჯი შაჰინოღლუ, ჰუსეინ და ზაქრა ბეგები	ათიიე/ადლიე	67	367
ჰაჯი ალი, არსლანი, ჰალილი, ზენჯან ბეგები, მაან ხანუმი	ლუთფიე/ირფანიე/ მეჯიდიე/მაჰმუდიე	97	488
არსანი, შაბათი და შაჰინ ბეგები	ფევზიე	31	182
ჰალილი, ჰაბრიჯი, უზუნ სულეიმანი, სანი სულეიმან ბეგები	იჯადიე/ავნიე/ბედრიე	106	660
იაქუფ და ომერ ბეგები	ინამიე	25	145
ჰაჯი მუსტაფა და ჰასან აღა	ნურიე	84	463
შაბათ და მაჰირ ბეგები	ქუშადიე/ბედრიე	76	367
ჰუსეინ ბეგი	ჰუსეინიე	40	199
ომერ და ჰაბიჩ ბეგები	აზიზიე	96	529
რეშიდ და ჰადან ბეგები	შუქრიე/ფერიე	35	175
სულ		988	5219

ლაზისტანის სანჯაყში, ხოფა-ქობულეთს შორის მონაკვეთზე, მუჰაჯირებისთვის 26 დასახლება გაჩნდა. ჩვენს წყაროებში მუჰაჯირები, ძირითადად, ჩერქეზებად არიან მოხსენებულნი, თუმცა, დოკუმენტების ანალიზისას აფხაზ, უბიხ და დაღესტნელ მუჰაჯირებსაც ვხვდებით.

ოსმალეთის სახელმწიფომ, მუჰაჯირების დასახლების შემდეგ, ისინი სათესლე ფურაჟით, მიწის დამუშავებისათვის საჭირო ხარებით და სასოფლო სამეურნეო იარაღითაც უზრუნველყო. მუჰაჯირთა სოფლებში სალოცავებიც (მეჩეთები) აშენდა.

ოსმალეთის მთავრობა ბათუმსა და მის შემოგარენში დასახლებული მუჰაჯირების განათლებასაც ანიჭებდა მნიშვნელობას და აქ აშენებულ სკოლებში, უმეტესწილად, გადმოსახლებულთა ენებისა და ქართულის მცოდნე მასწავლებლებს ნიშნავდა. ქვემოთ მოგვაქვს ცხრილი, რომელშიც ნაჩვენებია ლაზისტანის სანჯაყის მუჰაჯირთა სოფლებისა და იმ

მასწავლებელთა სია, რომლებიც 1866 წლის 12 ივნისს დანიშნეს იქ და 150 ყურუში ეძლეოდათ ყოველთვიური ხელფასის სახით.

მასწავლებლის სახელი	მუჰაჯირების სოფელი
არხაველი მუსტაფა ეფენდი	შერეფიე
ხოფელი ალი ეფენდი	ბაჰარიე
ლივანელი ჯაფერ ეფენდი	რეშიდიე
ბათუმელი მემი ეფენდიზადე ოსმანი	ლუტფიე
მაჭახელელი მეჰმედ ეფენდი	იჯადიე
სოხუმელი ჰუსეინ ეფენდი	ნურიე
ჩაქველი ჰუსეინ ეფენდი	ქუშადიე
აჭარელი ისმაილ ეფენდი	ჰუსეინიე
აჭარელი ოსმან ეფენდი	შუქრიე
ჩერქეზი ჰაჯი ჰასან ეფენდი	ფუადიე
ლივანელი აჰმედ ეფენდი	ფერიდიე

იმავე წელსა და რიცხვში მუჰაჯირთა სოფლებში 6497 ერთეული ყურანის წასაკითხი (თეჯვით) და სხვა სასულიერო ლიტერატურა გაიგზავნა. ამასთან დაკავშირებით, ბათუმიდან სტამბოლის მთავრობას მათი კმაყოფილების შესახებ შეატყობინეს.

ბათუმსა და მის შემოგარენში, ადგილობრივ მოსახლეობასა და მუჰაჯირებს შორის, ხშირად მიწასთან დაკავშირებული პრობლემები იჩენდა თავს. მუჰაჯირებსა და ადგილობრივებს შორის თანაცხოვრება გარკვეულ პრობლებს ქმნიდა. ხშირი იყო მუჰაჯირების მიერ ადგილობრივთა ქონების ქურდობის ფაქტებიც. სტამბოლის მთავრობა ადგილობრივებსა და მუჰაჯირებს შორის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ადგილზე საჯარო და სამხედრო მოსამსახურეებს ნიშნავდა. მაგრამ, აშკარაა, რომ პრობლემები სწრაფად არ მოგვარებულა. 1869 წლის 9 აგვისტოს შედგენილი ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, მუჰაჯირებსა და ადგილობრივებს შორის მტრობის საკითხი კანონის ძალით მოგვარდა, ოღონდ სოფლის მოსახლეობას იარაღის ტარება აეკრძალა.

ბათუმსა და მის შემოგარენში დასახლებულ მუჰაჯირთა ერთმა ნაწილმა, ადგილობრივებთან უთანხმოებისა და სხვა პრობლემათა გამო, სხვადასხვა დროს საკუთარი სოფლები დატოვა და, ძირითადად, იზმითისა და ადაფაზარის მხარეებში მცხოვრებ ნათესავებთან გადასახლდა. გადასახლებულები ბათუმში დარჩენილი ნათესავების გადაყვანასაც ფიქრობდნენ. ოსმალურ არქივში უამრავი წერილი ინახება, რომლითაც ანატოლიაში წამოსული აფხაზი და ჩერქეზი მუჰაჯირები ბათუმში დარჩენილ ნათესავებს თავისთან ეპატიჟებოდნენ.

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ, როდესაც ეს ტერიტორიები რუსეთს დარჩა და დიდი გადასახლებები განხორციელდა, აქ მყოფი ჩრდილოკავკასიელი მუჰაჯირებიც, ადგილობრივ ქართველებთან ერთად, ოსმალეთის მიწებზე გადასახლდნენ. ოსმალურ წყაროებში ბათუმის ქართველი მუჰაჯირები და ბათუმის შემოგარენიდან გადასახლებული აფხაზი მუჰაჯირები სხვადასხვა რეესტრში არიან აღრიცხული. იზმითის გოლჯუქის ილჩეს სოფელ სელიმიეს მუჰაჯირთა რეესტრებში სოფლის მოსახლეობის ერთი ნაწილი ნაჩვენებია როგორც აფხაზი მუჰაჯირები. ამასთანავე ერთად ცნობილია, რომ აფხაზი მუჰაჯირების ერთი ნაწილი ბათუმში დარჩა.

ტარიელ ჭიღვარია, სულხან კუპრაშვილი

(ქუთაისი, საქართველო)

ორი უნივერსიტეტის ურთიერთობათა ისტორიიდან

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს უმთავრეს საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენენ. ქუთაისში უმაღლესი სასწავლებელი 1933 წელს ჩამოყალიბდა. 1930 წელს მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, რომელიც რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად გარდაიქმნა. 1933 წელს კი მისი ერთი ფაკულტეტი ლექტორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან ერთად ქუთაისში გადმოვიდა და პედაგოგიური ინსტიტუტის ფორმატით დაიწყო ფუნქციონირება. ორი წლის შემდეგ – 1935 წელს კი ქალაქ ბათუმში პედაგოგიური სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. აღსანიშნავია, რომ ორივე უმაღლესი სასწავლებლის მისია მსგავსი იყო და იმხანად რეგიონში სამეცნიერო და ძირითადად პედაგოგიური კადრების მომზადებას ემსახურებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ორივე უმაღლესი სასწავლებელი არასოდეს არ ყოფილა ერთმანეთის უშუალო კონკურენტი და მათი ურთიერთობები ძირითადად კოლეგიალობით და სამეცნიერო თანამშრომლობით ვითარდებოდა.

კარგა ხნის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთ უნივერსიტეტად რჩებოდა საბჭოთა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. საბჭოთა ეპოქის კონიუქტურის წყალობით მეორე საუნივერსიტეტო ქალაქი საქართველოში სოხუმი გახდა და ქუთაისისა და ბათუმის პედინსტიტუტებისათვის უნივერსიტეტად გარდაქმნის პერსპექტივა კარგა ხნის განმავლობაში საკმაოდ ბუნდოვანი იყო. საბედნიეროდ 1990 წელს ეს პრობლემა დადებითად გადაწყდა და საქართველოს მთავრობის 1990 წლის 3 სექტემბრის დადგენილებით ქუთაისისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტები უნივერსიტეტებად გარდაიქმნენ.

უნივერსიტეტებად ფორმირებამ ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის წინაშე უფრო მაღალი რანგის ამოცანები დააყენა და დრომაც მოითხოვა უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავებულიყო. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი უმაღლესი სასწავლებლის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი ჯერ კიდევ ათეულობით წლის წინ ჩაეყარა.

ბათუმისა და ქუთაისის პედადაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მეგობრობასა და ურთიერთობას საფუძველი 1974 წლის შემოდგომაზე ჩაეყარა. მაშინდელი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი

კურსის სტუდენტის რუსუდან მეგრელაძის მოგონებით, მათ წინადადებით მიმართა ერთ-ერთმა ლექტორმა ბატონმა აბელ სურგულაძემ, რომ მეგობრული კავშირი გაებათ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებთან, ისინიც სიხარულით დაეთანხმნენ. ბათუმელი პირველკურსელები: ლილი ჭყონია, მედეა პატარაია, რუსუდან მეგრელაძე ქუთაისს ეწვივნენ.

იმხანად ქუთაისში ბატონი ლევან სვანაძის შემცვლელად, რომელიც ინგლისში სამეცნიერო მივლინებაში იმყოფებოდა, მისი სალექციო კურსის წასაკითხად, მიწვეული იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი აბელ სურგულაძე. მისივე სარეკომენდაციო წერილითა და თხოვნით აღჭურვილნი ზემოთ ჩამოთვლილი სტუდენტები, ეწვივნენ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატს, (დეკანი – პეტრე ვაჭრიძე, მოადგილე – გურამ გაბუნია), მათაც სიამოვნებით მიიღეს მიწვევა და დაიწყო ბათუმ-ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების მეგობრობის სინტერესო ეტაპი, რომელიც სრული სასწავლო ციკლი, ანუ ხუთი წელი გრძელდებოდა და დღესაც არ განელებულა.

პირველი შეხვედრა ბათუმში გაიმართა 1975 წლის 28 იანვარს. ქუთაისელთა დელეგაციას ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექტორები გურამ გაბუნია და ტარიელ ჭიღვარია ხელმძღვანელობდნენ. ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების შემდეგ საზეიმო სადამო გაიმართა ინსტიტუტის სააქტო დარბაზში, რასაც მოჰყვა ოფიციალური ბანკეტი „ინტურისტში“. იქ მყოფთა მოგონებით ეს იყო ემოციებით, სითბოთი და სიყვარულით დატვირთული შეხვედრები, თითქოს დიდი ხნით ადრე იცნობდა ყველა ერთმანეთს, ამიტომაც გადაიქცა ეს ყველაფერი შემდგომში დიდ მეგობრობად, როგორც ინსტიტუტების ასევე პიროვნულ დონეზე.

1975 წლის მარტში ქუთაისელი სტუდენტები: ქეთევან გოშხეთელიანი, ელიზა დარახველიძე და სხვები ეწვივნენ ბათუმს და საპასუხო ვიზიტად მოიწვიეს ბათუმელები. თარიღიც დააზუსტეს 1975 წლის 18 აპრილი. ქუთაისი საგანგებოდ მოემზადა ამ დღისათვის.

სტუმართა დელეგაციას ხელმძღვანელობდნენ ქალბატონი ეთერ ჯიჯეიშვილი და ბატონი პავლე ჯორბენაძე. მეორე დღეს მათ ბატონი აბელ სურგულაძეც შეუერთდა. სტუდენტებმა მოინახულეს სათაფლიის მღვიმე, გელათისა და მოწამეთას მონასტრები, გეგუთის დარბაზი, ბაგრატის ტაძარი და შთაბეჭდილებებით აღვსილები დაბრუნდნენ უკან. ბანკეტი გაიმართა რესტორან „ხვამლში“. შესანიშნავ ქართულ სუფრას თან ახლდა კალამბური, ლექსი, სიხარულის ცრემლი. რუსუდან მეგრელაძისა და სხვა სტუდენტთა მოგონებით, თურმე ბატონი აბელ სურგულაძე ამბობდა – სტუდენტსა და ლექტორს ვერ გაარჩევდი ისეთი უშუალობა დამყარდაო. ეს კი მაშინდელი

საბჭოური მენტალიტეტით, მოგეხსენებათ, არცთუ მისაღები იყო. შეხვედრის ბოლო აკორდი იყო განათებული ღამეული გელათის მონახულება. მეორე დღე კი საოცრად თბილი და გაცილებას რომ ახლავს, ისეთი სევდანარევი უკვე საყვარელ ადამიანთა გასტუმრების ჟამი შეიქმნა. ბათუმელი სტუმრების პატივისცემის ნიშნად ქუთაისელი მასპინძლები მატარებელს სამტრედიამდე გაჰყვნენ.

ბათუმში იმთავითვე დაწყებულა მზადება საპასუხო მასპინძლობისათვის. აბელ სურგულაძეს შეუთავაზებია სტუდენტებისათვის ქუთაისელთა სტუმრობის დროს ბატონი ლევან სანიკიძე მოეწვიათ. ეს იქნებოდა სასიამოვნო სიურპრიზი და თანაც შეხვედრებს აკადემიურობასაც შემატებდა, რადგანაც იმხანად გამოიცა „უქარქაშო ხმლები“-ს პირველი წიგნი და სწორედ მისი განხილვა იყო გადაწყვეტილი.

ბათუმელმა სტუდენტებმა მისი კარგი ხასიათის გამო იოლად დაითანხმეს ბატონი ლევან სანიკიძე, შემდეგ კი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით ქუთაისს დესპანებად მოევლინნენ სტუდენტები: რუსუდან მეგრელაძე, ლალი ჭყონია და გრეტა დოლიძე. შეუთანხმდნენ ხელმძღვანელობას და დიდი სიყვარულით მიიპატიჟეს ქუთაისლები ბათუმს.

მასპინძლებმა ქუთაისელ სტუმრებს სიურპრიზად დააახვედრეს ცისფერყანწელებისაგან ნასესხები ღონისძიების სახელწოდება – „ქაიანური“ (ეს ყოფილა აბელ სურგულაძის იდეა). საღამო სრული ანშლაგით ჩატარდა. ბატონი ლევან სანიკიძეც შეუერთდა შეხვედრას. საზეიმო ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქუთაისელი ლექტორები: თამარ მახარაძე, ნიკოლოზ ეგოროვი, ვახტანგ ამაღლობელი, გურამ გაბუნია, პეტრე ვაჭრიძე, მარინა კუჭუხიძე, ტარიელ ჭიღვარია და სხვები.

შემდეგ გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია. ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“-ს განხილვაც მოეწყო. დასტურად იმისა, რომ ეს შეხვედრები მხოლოდ გართობა და სანახაობა არ იყო, კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ, ბათუმისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების ლექტორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

დადგა 1977 წლის გაზაფხული – ბათუმელთა საპასუხო სტუმრობის დრო ქუთაისში. დელეგაციას ბატონები ნური ვეძაძე და დიმიტრი (ჩალხია) ჩავლეიშვილი ხელმძღვანელობდნენ, ქუთაისლები რკინიგზის სადგურ „რიონში“ დახვდნენ სტუმრებს. საზეიმო საღამოზე მოვიწვეულნი იყვნენ ქუთაისელი პოეტები. დიდხანს იგონებდნენ ენვერ ნიჟარაძისა და სხვათა შემოქმედებას, ხშირად გაისმოდა კერძო შეხვედრების დროსაც შემდგომში მათი ლექსებიდან ამონარიდები. სტუმრებმა მაშინ მთლიანად ამ შეხვედრას და ღონისძიებას „შესანიშნავი ქუთათურობა“ უწოდეს.

იმავე 1977 წლის ნოემბერში მომავალი ვიზიტის შესათავაზებლად ქუთაისს ეწვია წარმომადგენლობა: ლილი ჭყონია, ნატო გოთოშია, რუსუდან მეგრელაძე, ომარ წულაძე და აწ გარდაცვლილი იური ჩხარტიშვილი. გაიმართა შეხვედრები რექტორატში, დეკანატში, სტუდენტებთან. შეთანხმებისამებრ, 1977 წლის ნოემბერში, გვიანი შემოდგომის აჭარას ესტუმრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დელეგაცია. საზეიმო შეხვედრები მხატვარ ხალატოვის სახელოსნოში დაიწყო, გარდა მხატვრის შემოქმედების გაცნობისა, ეს იყო პოეზიის დილა – ერთმანეთს ეცილებოდა ემოციურად დატვირთული და აღფრთოვანებული სტუდენტობა. მაშინდელი განწყობის აღწერა ძალიან ძნელია, გაისმოდა ლექსები სამშობლოზე, ქუთაისზე, ბათუმსა და სიყვარულზე.

ღონისძიება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა სახელოსნოში, რომელიც ბევრად უფრო მეტია ვიდრე ეს სახელი გვეუბნება, ჩატარდა კონკურსი ყველაზე სიმპათიური ლექტორის და სტუდენტის გამოსავლენად. ყველა აღნიშნავდა, რომ ბედნიერებისაგან ყველას სახე უღიმოდა და თვალები უციმციმებდა.

საზეიმო სუფრა განსხვავებული და ორიგინალური რომ ყოფილიყო, აბელ სურგულაძის ინიციატივით სუფრა გაიშალა ბუნების წიაღში, ოზურგეთის რაიონის სოფელ ხვარბეთში ნუნუ ლესელიძის შესანიშნავ ოჯახში. მწიფე ციტრუსით, გადაყვითლებული იყო იქაურობა, ჩამავალი მზის სხივი ყველაფერს აცისკროვნებდა. იქ მყოფების აღწერით ისეთი განწყობა და სილამაზე იყო, რომ მუნჯსაც ორატორს გახდიდა. ყველას – სტუმარსა თუ მასპინძელს თავისი ადგილი თეფშზე დადებულ მეგობრული მინიშნებით უნდა მოეძებნა, ამან კიდევ უფრო ლაღი გახადა ისედაც შესანიშნავი ატმოსფერო. სუფრას აბელ სურგულაძე თამადობდა, ერთ-ერთმა მასპინძელმა შეახსენა სტუმრებს – „ახლა გაფრთხილდით, საქმე გაქვთ ბათუმის სუფრის ღმერთთანო“.

1978 წლის გაზაფხულზე ქუთაისს ესტუმრნენ ბათუმელი უკვე „დიპლომანტი“ სტუდენტები: რ. მეგრელაძე, ლ. ჭყონია, ლ. ღლონტი, ნ. გოთოშია, მ. პატარაია, გ. დოლიძე, ლ. ნაჭყებია, მ. ჭანტურაშვილი, მ. აბულაძე, თ. ზოიძე, ჯ. აბაშიძე, ნ. ვასაძე, ლ. გიორგობიანი, ნ. ქირია, ბ. იაკობიძე, მ. ბოლქვაძე და სხვ. მათი მასპინძლები იყვნენ ქუთაისელი სტუდენტები: ქ. გოშხეთელიანი, ე. დარახველიძე, მ. გიგინეიშვილი, მ. ახვლედიანი, რ. შამელაშვილი, მ. წილოსანი, მ. მასხარაშვილი, ნ. უგულავა და სხვ.

ბათუმელთა შეფასებით ის დღეები ნამდვილი გვირგვინი იყო, ქალაქის ხელმძღვანელობის ინიციატივით სამი დღით რესტორან „იმერეთში“, რომელსაც ღონისძიებებისათვის შესანიშნავი დარბაზები ჰქონდა, გაიმართა პოეზიის საღამო და მცირე სამეცნიერო კონფერენცია.

ამ ურთიერთობამ ბევრი კარგი რამ გააკეთა, იქამდე, რომ ოჯახებიც კი შეიქმნა, მაგალითად ქეთევან გოშხეთელიანი და ბათუმელი ოთარ წულაძე დაქორწინდნენ.

სტუდენტების პარალელურად გულითადი მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა ბათუმელ და ქუთაისელ ლექტორ-მასწავლებლებს შორის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბატონი აბელ სურგულაძე ხუთი წლის განმავლობაში ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობდა ახალ და უახლეს ისტორიაში. მანამდე ასეთი პრაქტიკა ორი უმაღლესი სასწავლებლის ურთერთობებში არ არსებობდა. როგორც ქუთაისში, ასევე ბათუმში ამგვარ შემთხვევებში პროფესურას ძირითადად თბილისიდან იწვევდნენ. თბილისიდან ხდებოდა როგორც ქუთაისში, ასევე ბათუმში სახელმწიფო საგამოცდო კომისიების თავმჯდომარეების მოწვევა. სიტუაცია შეიცვალა XX საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სახელმწიფო გამოცდებზე სახელმწიფო – საატესტატო კომისიის თავმჯდომარედ ბათუმიდან მოწვეული იქნა პროფესორი აბელ სურგულაძე. პარალელურად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდებს ქუთაისელი ტარიელ ჭიღვარია ხელმძღვანელობდა. ამ ურთიერთობებმა კიდევ უფრო გაამყარა ორი უნივერსიტეტის მეგობრობა და მას შემდეგ რაც აბელ სურგულაძე ვეღარ ასრულდებდა სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის და ისტორიის ფაკულტეტის დეკანატის ინიციატივით ისტორიის ფაკულტეტზე სახელმწიფო საატესტატო კომისიის თავმჯდომარედ 1999 წელს მოწვეული იქნა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი – პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონ ბიჭიკოს ადრიდანვე ინტენსიური, კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ქუთაისის სამეცნიერო სამყაროსთან. სტუდენტობის პერიოდში ის ხშირად ღებულობდა მონაწილეობას ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართულ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე ხშირად ხელმძღვანელობდა ქუთაისში ჩამოსულ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა დელეგაციებს. ბატონი ბიჭიკოს ხელმძღანელობით ქუთაისის სახელმწიფო უნვიერსიტეტში ჩატარებული იქნა პირველი სამაგისტრო გამოცდები და სამაგისტრო დაცვები ისტორიის ფაკულტეტზე.

იმდროინდელი წესით სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის საქმიანობის ვადა სამი წლით შემოიფარგლებოდა, მაგრამ მოხდა ძალიან საინტერესო და საგულისხმო ფაქტი. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის – პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილის და ბათუმის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ნური ვერძაძის ერთობლივი შეთანხმებით პროფესორ ბიჭიკო დიასამიძეს გაუხანგძლივდა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეობის ვადა. ჩვენი აზრით აქ ხაზი გაესვა როგორც პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის დიდ პიროვნულობას, ასევე ორი უნივერსიტეტის მეგობრობის უზარმაზარ მნიშვნელობას.

ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტების მეგობრობა ახლაც წარმატებით გრძელდება და უნდა ითქვას, რომ ამ საქმის ავანგარდში ორივე უნივერსიტეტის ისტორიკოსები დგანან, რაც ამჟამად უნივერსიტეტებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებით და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობით გამოიხატება. ქუთაისელი ისტორიკოსები რეგულარულად ღებულობენ მონაწილეობას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის (ხელმძღვანელი პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე) და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტის (ხელმძღვანელი პროფ. როინ მალაყმაძე) მიერ გამართულ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმებში: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ და „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“. ბათუმელი კოლეგებიც სტუმრობენ ქუთაისს და მონაწილეობას ღებულობენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართული ლიტერატურის დეპარტამენტის მიერ მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციებში.

ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო ამტკიცებს ორი უმთავრესი რეგიონალური უნივერსიტეტის მეგობრულ ურთიერთობას, რაც უდაოდ ხელს უწყობს სასწავლო და სამეცნიერო საქმის განვითარებას საქართველოში.

Tariel Chighvaria, Sulkhan Kuprashvili
(Kutaisi, Georgia)

From the Relations of Two Universities

Summary

The friendship of Kutaisi and Batumi State Universities includes several 10 years. It is clearly shown in friendly relationsip of students and scientific and grant-aided projects of professors and teachers.

დოდო ჭუმბურიძე
(თბილისი, საქართველო)

აკაკი ჩხენკელი და აჭარის საკითხი

ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ამიერკავკასიის რესპუბლიკისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა პირველი მინისტრი, საქართველოს ელჩი ევროპაში, ემიგრანტი მოღვაწე და დიდი პატრიოტი – აკაკი ჩხენკელი (1874-1959) თავისი დროისათვის გამორჩეული პიროვნება იყო. მიუხედავად სოციალ-დემოკრატობისა, ის არასდროს შემოზღუდულა პარტიული ინტერესებით და ეროვნულ იდეალებს ყველაზე მაღლა აყენებდა.

ჩხენკელი განსაკუთრებული სიყვარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით იყო დაკავშირებული აჭარასა და ბათუმთან. ის 1912 წელს, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან ***[საითიძე, 2002: 76]***.

სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მას დაუპირისპირდნენ სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე, „ბატუმსკი ვესტნიკის“ რედაქტორი გრიგოლ ვოლსკი, მაგრამ მისი ძირითადი მოწინააღმდეგე იყო ალექსანდრე შერვაშიძე. აკაკი ჩხენკელმა მეტი ხმა მიიღო და გახდა დეპუტატი აფხაზეთიდან და ბათუმ-ყარსის ოლქიდან.

როგორც დეპუტატი, ჩხენკელი სათათბიროს ტრიბუნიდან პოლიტიკურად აქტიურობდა, სათათბიროში ის საგარეო დარგში მოღვაწეობდა, ხელმძღვანელობდა შეკითხვათა კომისიას. ის იყო ასევე სოციალისტური ინტერნაციონალის ფრაქციის წევრიც ***[შარაძე, 1991: 67-83]***.

განსაკუთრებული იყო მისი დამოკიდებულება I მსოფლიო ომის დროს იმპერიის ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ღალატში დადანაშაულებული აჭარლების მიმართ. ჩვენ მოვიძიეთ და ქართულად ვთარგმნეთ დოკუმენტი, რომელიც აჭარის საზოგადოებამ წარუდგინა აკაკი ჩხენკელს, როგორც მის წარმომადგენელს სახელმწიფო სათათბიროში. დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მასში მოტანილია მანამდე სპეციალურ ლიტერატურაში, მათ შორის ბათუმელი მკვლევრების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციულად ტევად ნაშრომებში აღუნიშნავი ფაქტები. ის არც ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი ნაშრომის ავტორს, მალხაზ სიორიძეს არ აქვს განხილული ***[სიორიძე, 2002: 128]***.

1. ტრაგიკული მოვლენების წინაისტორია დოკუმენტში ასეა გადმოცემული: „ბათუმის ოლქის ფარგლებში წარმოქმნილ სამხედრო მოქმედებებში ადგილობრივმა სამხედრო ხელისუფლებამ გამოავლინა სრული დაბნეულობა და გაუთვითცნობიერებლობა, რის გამოც თურქებმა სწრაფი შეტევით

ორი დღის განმავლობაში დაიკავეს თითქმის მთელი ოლქი. ამ დროს ჩვენმა ჯარებმა, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობის გაუწევლად, დაიხიეს ბათუმის მთებისკენ, რომელიც გამაგრებულია მიხეილის ციხე-სიმაგრით. ამ რაიონის სარდალმა (მეთაურმა), გენერალ-მაიორმა გოლშინმა, ვერ გაითვალისწინა რა თურქთა თავდასხმა, არათუ არაფერი გააკეთა რუსეთის ქვეშევრდომობის ქვეშ მყოფი ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის საშველად, არამედ განკარგულებაც კი გასცა ციხე-სიმაგრის რაიონიდან ძალადობრივი გზით იქ მცხოვრები ყველა აჭარელი, – მუსულმანი ქართველები, თურქული ჯარის მიერ დაკავებულ მხარეს განედევნათ. ამასთან, ამ მუსულმანების სახლები და ქონება მათსავე თვალწინ იქნა გადაცემული გასაძარცვად და გადასაწვავად, თავად ისინი, მათ შორის ქალებიც, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, მათი მხრიდან, ათასგვარი ძალადობის და შეურაცხყოფის მსხვერპლნი შეიქმნენ. ამავე დროს, მიმავალი ჯარის კვალდაკვალ ბათუმიდან მიდიოდნენ ბედის ანაბარად მიტოვებული ადმინისტრაციის წევრები და ქრისტიანი სომხები – ქალაქ ართვინის მცხოვრებნი. ყველამ მშვიდობიანად მიაღწია ბათუმს და სასამართლო პროცესების დროს ადმინისტრაციის ჩინოვნიკები ადასტურებდნენ ადგილობრივ მუსულმანთა – სრულიად მტრობას მოკლებულ, თანაგრძნობის გამომხატველ დამოკიდებულებას მათ მიმართ.“

2. მოვლენების II პერიოდი დოკუმენტის ავტორებს, რომლებიც ტექსტში არ არიან დასახელებულნი (მაგრამ ნათელია, რომ ისინი არიან აჭარის ინტელიგენციის ის წარმომადგენლები, რომლებიც იბრძოდნენ ე.წ. „სამაჰმადიანო საქარველოს“ განთავისუფლებისათვის და ცხოვრობდნენ ბათუმში) ასე აქვთ დახასიათებული: „მეორე პერიოდს წარმოადგენს ჩვენი ჯარების შეტევაზე გადასვლა ბათუმისა და ყარსის ოლქების ფარგლებში (ამ უკანასკნელის დიდი ნაწილი, სარიყამიშის ბრძოლის დროიდან მოყოლებული, ასევე დაკავებული იყო თურქების მიერ). ეს პერიოდი, ამ ოლქების მოსახლეობისათვის, რომელიც ოთხი თვის განმავლობაში თურქების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, დიდ უბედურებად იქცა. ჩვენივე ჯარი, რომელიც შედგებოდა თურქესტანიდან, იმიერბაიკალიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ხსვადასხვა ნაწილებისაგან, რომლებიც ნაკლებად იცნობდნენ ადგილობრივი ცხოვრების პირობებს, ხელისუფლებისა და სომხების დამოკიდებულებას მუსულმანების მიმართ, თურქეთსა და თურქების მიერ ოკუპირებულ ჩვენ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქრისტიანთა ხვედრს, სასტიკად უსწორდებოდნენ საბრძოლო შეტევისას გზაზე შეხვედრილ ჩვენ მუსულმან მოსახლეობას.

ძნელია აღწერა ყველა იმ სისატიკის, ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის სურათის, რომლის მსხვერპლიც გახდა აჭარელი მოსახლეობა (აგრეთვე ყარსის მუსულმანი მოსახლეობა) რუსული

ჯარის უკუშეტევისას. სასტიკმა, დაუმსახურებელმა ანგარიშსწორებამ, პანიკაში მყოფი მოსახლეობა აიძულა გაქცეულიყო და თავი მთებისა და ტყეებისათვის შეეფარებინა, სადაც შიმშილით იხოცებოდნენ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. იყო შემთხვევები, როცა ძაღლები საკუთარი პატრონების გვამით იკვებებოდნენ, ქალები ჩვილ ბავშვებს თოვლში აგდებდნენ, გაყინვით სიკვდილისთვის გამეტებულებს. იმ ქალებზე, რომლებიც გაქცევას ვერ მოასწრებდნენ, ჯერ ძალადობდნენ, შემდეგ კი ხოცავდნენ. ყარსის ოლქში ქალთა საკონცენტრაციო ბანაკებიც კი შეიქმნა, სადაც მათზე ძალადობა ყოველდღიურად ხდებოდა. როგორც აჭარელ, ისე ყარსელ მუსულმანთა მთელი ქონება გაძარცვულ იქნა, სახლები დაანგრიეს. აჭარაში, მაგალითად, სპილენძის ერთი ჭურჭელიც კი არ დარჩა. მთელი მუსულმანური მოსახლეობა ეჭვმიტანილი გახდა და მასობრივი დახვრეტების მსხვერპლად იქცა. ეს ყველაფერი კი ხდებოდა გეგმაზომიერად, შეგნებულად, როგორც გარკვეული გეგმის შედეგი, რომელსაც განუხრელად ატარებდა სამხედრო ხელისუფლება. სახელმწიფო სათათბიროს წევრის, აკაკი ჩხენკელის მცდელობებმა, დახმარებოდა მოსახლეობას და საზოგადოების რამდენიმე ფენაში ატეხილმა განგაშმა მხოლოდ ის შედეგი მოიტანა, რომ ხელისუფლება გაღიზიანდა. აი, ამ ხელისუფლებამ, ადგილობრივი ადმინისტრაციის თავდებობის მიუხედავად, დაიწყო აჭარლების და ყარსის მუსულმანთა დადანაშაულება სომეხთა ხოცვა-ულეტაში, სომხების მუსულმანთა წინააღმდეგ წაქეზება საჩივრების შემოსატანად და საპასუხო ძალდობის ჩასადენად. და აი, ასეთ პირობებში შეიქმნა პროსკრიპციული **(იმ პირთა სია ძველ რომში, რომლებიც სახალხოდ იყვნენ გამოცხადებული კანონგარეშედ პოლიტიკური საქმიანობისთვის)** სიების შედგენა, დაახლოებით 3 000 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც სახელმწიფო ღალატში ადანაშაულებდნენ.

რამდენიმე ნეიტრალური მოწმის ჩვენებით, რომლებიც სრულ ნდობას იმსახურებენ, შემდეგ კი გამოძიების ობიექტური მონაცემებით (ამ პროცესში წანასწარი ძიება არ ყოფილა) დადგინდა, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე თურქების მიმართ ბათუმის და ყარსის ოლქების მუსულმანური მოსახლეობა სრულიად ლოიალური იყო. გენერალ პოროშინის, შემდეგ კი ბრწყინვალე თავადის, გოლიცინის გამოძიების მიხედვით, რაც დეპუტატ აკ. ჩხენკელისა და მთავრსარდლის შტაბის დაჟინებით მოხდა, დადგინდა, რომ მუსულმანური მოსახლეობის მხრიდან მასობრივ ღალატს ადგილი არ ჰქონია. საყურადღებოა, რომ მეფე ნიკოლოზ II-ც კი, თავის დეპეშაში ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე, აჭარის მოსახლეობაში მომხდარს მოიხსენიებდა არა ღალატად, არამედ „უბედურებად“. იმავე მონაცემებით დგინდება, რომ არავითარ მტრულ გამოსვლებს ადმინისტრაციულ ჩინოვნიკთა და სამხედროთა წინააღმდეგ, საომარი მოქმედებების დაწყებამდე

ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ადმინისტრაციის თითქმის ყველა ჩინოვნიკი ადასტურებდა, რომ ბევრი მოხალისე მუსულმანი აგენტი აძლევდნენ მათ ღირებულ და სანდო, როგორც შემდეგ გაირკვა, ინფორმაციას თურქული ჯარის განლაგების შესახებ, საზღვრისპირა მოსახლეობა, თურქთა თავდასხმის შიშით, მუდმივად ითხოვდა ქვეყნის სიღრმეში გადმოსახლებას, ჯარების მობილიზაციის პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობა ყველა მოვალეობას ზუსტად ასრულებდა, სატელეგრაფო ხაზის დაცვა მოსახლეობის რაზმების მიერ ხორციელდებოდა ზედმიწევნით, ჯარის ბათუმის ოლქიდან გასვლის მომენტამდე, თურქების ქალაქ ართვინზე თავდასხმის წინაც კი, კერძოდ, 1914 წლის 3-4 ნოემბერს, ამ მოსახლეობის მიერ შეძენილი იქნა დიდი ღირებულების სახაზინო მიწის ნაკვეთები, თანხა სრულად იქნა გადახდილი და ყველა ფინანსური მოვალეობა მოსახლეობის მიერ უსიტყვოდ იქნა შესრულებული. თურქთა ჯარების თავდასხმის დროს დადგენილია თურქთა ტყვეობიდან რუსი სტრაჟნიკის, კასიანოვის გათავისუფლების ფაქტი, აგრეთვე მუსულმანთა მიერ გაწეული დახმარება ჩვენი ჯარებისათვის დათოვლილი უღელტეხილებისა და გზების უფასოდ გაწმენდის სახით. ჯარმა უსაფრთხოდ დაიხია უკან ზემო აჭარის მცხოვრებთა დახმარებით“.

3. დოკუმენტი ასევე დაწვრილებით ეხება მოვლენების შედეგებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დოკუმენტში მოტანილი ფაქტი, რომ რუსული სარდლობის მიერ თურქი ჩეტნიკების დანაშაული სომეხთა დარბევაში პროვოკაციულად დაბრალდა აჭარელ მუსულმანებს. ამით ნათლად ჩანს, რომ ცარიზმი სპეციალურად აპირისპირებდა ერთმანეთთან ამიერკავკასიის მოსახლეობას, რათა გაეთიშა ისინი და თავად ესარგებლა ამ ვითარებით. აი, როგორ არის გადმოცემული დოკუმენტში ამ დაპირისპირების ესკალაციის მომენტები და თავად აკაკი ჩხენკელის უდიდესი ძალისხმევა უდანაშაულო მუსულმანი თანამოძმეების დასაცავად.

„ყველა აღწერილი დეტალი, ვკითხულობთ დოკუმენტში, – თითქოსდა უნდა გამორიცხავდეს სასამართლო პროცესს აჭარლებისა და ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანთა მიმართ სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით, მაგრამ ამ საქმისადმი შექმნილი განწყობის გამო, მთავრობაში წინ წამოიწია ამ რეგიონის სომეხი მოსახლეობის საკითხმა, იმის გათვალისწინებით, რაც ამ მოსახლეობას გადახდა. ამ რაიონში თურქული ჯარისა და ეთნიკური ბანდების ოთხთვიანი ყოფნისას მიმდინარეობდა სომეხთა ხოცვა-ჟლეტა. საქმის მონაცემებით უნდა დავსკვნათ, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა დაიწყო თურქეთის ჯარის უკანდახევისას ოლქის ფარგლებიდან, როდესაც ბრძოლისუნარიანი სომეხი ახალგაზრდობა ცდილობდა გაპარულიყო თურქების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან და

დახმარებოდა შეტევაზე გადასულ ჩვენ ჯარებს – ამ მკვლელობებს თან ახლდა ძარცვა-გლეჯა და ძალადობა ქალებსა და ცალკეულ პიროვნებებზე. სომეხთა ეკლესიები დარბეულ იქნა. ყველა ამ საშინელებას სომხებში საპასუხო გაბოროტება უნდა წარმოეშვა ზოგადად მთელი მუსულმანობის მიმართ. ეს ყოველივე კი, რა თქმა უნდა, ნოყიერი ნიადაგი იყო სხვადასხვა პროვოკაციებისა და ბნელი ძალების საქმიანობისათვის, რომლებსაც ყოველთვის მოსწონდათ მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორეზე გაქეზება, განსაკუთრებით მუსულმანების სომხებზე და პირიქით. ამის ნათელი დასტურია სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის ისტორია. ჩატარდა გამოძიება, მიკერძოებული სამხედრო-სასამართლო ნაწილის მეთაურის, გენარალ მაკულსკის ხელმძღვანელობით, რომელიც ამჟამად სამსახურიდან დათხოვნილია, არღვევდნენ ძიების ჩატარებისას დადგენილ ყველაზე ელემენტარული წესებსაც კი და ყველგან ავლენდნენ მიკერძოებულობას და წინასწარგანწყობას მუსულმანთა წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე, გაღატაკებულმა და შემდგომში მთელი ამ სისასტიკისგან გაბოროტებულმა სომეხმა მოსახლეობამ, რა თქმა უნდა შური ადგილობრივ მუსულმანეზე იძია. ზემოთქმულის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიტანოთ შემთხვევა, როდესაც არტანუჯის პროცესში, რომელზეც 49 ადამიანს ედებოდა ბრალი, ნეიტრალური მოწმის, ფელდფებელ პოპოვის ჩვენებით დადგინდა, რომ დაპატიმრებული მუსულმანები ამოცნობამდე არტანუჯის მოედანზე გამოჰყავდათ, შემდეგ კი მორეკავდნენ სომხებს და აიძულებდნენ მათ ამა თუ იმ პირების ამოცნობას. ასეთ პროვოკაციულ ხერხებს ძიების წარმოებისას არაერთგზის მიმართავდნენ. ასე ესმოდა მათი როლი ამ საქმეში დეპუტატ ჩხენკელს, რომლის ენერგიული გამოსვლების წყალობით, როგორც სახელმწიფო სათათბიროს, ისე უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, ბათუმისა და ყარსის ოლქების მუსულმანი მოსახლეობა საბოლოო დარბევას გადაურჩა. ასე ესმოდათ მათი როლი საზოგადოებას და ადმინისტრაციის რამდენიმე მიუკერძოებელ ჩინოვნიკს.

საკმარისია გავიხსენოთ სომეხ-თურქთა ისტორიული დამოკიდებულება, რომ მაშინვე დავრწმუნდეთ, რომ საცოდავ სომეხთა ხოცვა-ჟლეტა თურქთა უკანდახევის დროს მოხდა თურქი ჩეტნიკების მიერ. რატომ უნდა ჩაედინათ ეს ჩვენ მუსულმანებს და არა თურქულ ბანდებს, ისიც იმ მომენტში, როდესაც ჩვენი ჯარების ძლევამოსილ შეტევაში ეჭვი არ ეპარებოდათ არა მარტო სომხებს, არამედ მუსულმანებსაც, აუხსნელია როგორც ძიების მონაცემებით, ისე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. სხვაგვარად როგორ შეიძლება ახსნა, მაგალითად, იმვე საქმეში არსებული ამაღელვებელი შემთხვევის ამბავი, რომელიც მთლიანად სომხებით დასახლებულ დაბა ფხიკიურში მოხდა, სადაც ჩვენმა მუსულმანებმა თურქ ჩეთნიკებს შეიარაღებული

წინააღმდეგობა გაუწიეს სომხების დამცირების მცდელობის გამო და სადაც ამავე მუსულმანებმა ეს სომხები და მათი ქონება საღ-სალამათი და ხელუხლებელი გადაარჩინეს. ბოლოსდაბოლოს, უცნაური არ არის, რომ ჩვენი ჯარის ბათუმის ოლქში შესვლის პირველი ორი კვირის განმავლობაში, სომხები, ნეიტრალური მოწმეებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ჩვენებების თანახმად, იცავდნენ ადგილობრივ მუსულმანებს და ხელისუფლებას უდასტურებდნენ მათ კეთილსაიმედოობას და მხოლოდ გენერალ მაკულსკის კომისიისა და ათასგვარი ბნელი ძალების გამოჩენის შემდეგ უკლებლივ ყველა ადგილობრივი მუსულმანი ძარცვასა და მათ მიმართ ძალადობაში დაადანაშაულეს. ეს ყველაფერი ნათელ მაგალითს წარმოადგენს გენერალ მაკულსკის საგამოძიებო კომისიის ზოგიერთი წევრის დანაშაულებრივი როლისა, რომლებიც, ყველაფერთან ერთად, ფორმალურ პროცესუალურ დარღვევებს უშვებდნენ როგორც ძიების პროცესში, ისე სასამართლო დადგენილებებში.“

დოკუმენტში აღწერილია ის პროცესუალური დარღვევები, რომელიც მაკულსკის საგამოძებო კომისიამ მოახდინა.

1. ეს იყო საკანონმდებლო დარღვევა, ანუ როგორც მას დოკუმენტის შემდგენლები უწოდებენ, – აზრობრივი, სამხედრო სასამართლოს დადგენილების 342-ე გვერდზე და ამავე დებულების პროექტის III განყოფილების 1350-ე გვერდზე მოცემული განმარტებისა, რომ ძიების მწარმოებელი, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ცვლის სამხედრო გამომძიებელს, ვალდებული იყო დაეცვა სამხედრო გამომძიებლის მოქმედებათა მარეგულირებელი კანონები.

ამასთან, მოცემულ საქმეში, ძიების მწარმოებლები დაშორდნენ კანონის ნორმებს და დანაშაულის ძიების საქმეში ახდენდნენ კანონმდებელთა ყველა ნების იგნორირებას, რაც ხელს უშლიდა სასამართლოს – სწორად განესაჯა ამა თუ იმ პირთა დამნაშავეობა ჩადენილ სისხლის სამართლის საქმეებში.

2. ბევრ განსასჯელს ბრალად დებდნენ მკვლელობასა და ძარცვას, მაშინ, როდესაც ამ დანაშაულთა შედეგად დაზარალებული პირები სრულიად ნათლად და გარკვეულად მიუთითებდნენ მათთვის მოპარულ საგნებს და იმ ადგილებს, სადაც მათი მოკლული ნათესავები იყვნენ დამარხული. სასამართლომ დაადგინა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო საგამოძიებო მოქმედებების სრული არაობიექტურობის შემთხვევები მკვლელობებისა და ძალადობათა ძიების პროცესში. არაობიექტურობა დაშვებული იყო ბოროტმოქმედების ადგილის დათვალიერებისა და ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო შემოწმებებისას, მოკლულ სომეხთა საერთო საფლავების შესწავლისას ექსპერტთა საშუალებით, ამ საფლავებიდან ამოღებული გვამების გაკვეთის, მათი

პიროვნებების, წარმოშობისა და ეროვნებების დადგენის პროცესში და სხვ.

ამ ყველაფერთან ერთად, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ სამხედრო სასამართლო ქარტიის 445-450 მუხლების ისეთი არსებითი დარღვევა, რომელიც, დიდი სურვილის მიუხედავად, აფერხებს მკვლელობების და ძარცვის არაერთი ბრალდების ობიექტური გამოძიების ყოველგვარ შესაძლებლობას.

ასეთ პირობებში ამ დანაშაულების შესახებ ჩატარებული ყველა განხილვა იძულებულია დაემყაროს დაზარალებულთა ცარიელ სიტყვას.

რამდენად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ დაზარალებულთა განცხადებებს, დანაშაულებრივ მოვლენათა ობიექტური გამოძიების არარსებობის შემთხვევაში, იმითაც შეიძლება განვსაჯოთ, რომ დაღუპულ სომეხთა საერთო საფლავებზე ჯვარი და ღობეები გაჩნდა მხოლოდ თვენახევრის შემდეგ რუსის ჯარის გამოჩენიდან და ისიც მაშინ, როდესაც სამხედრო გუბერნატორმა უსაყვედურა მათ ახლობლებს წამებულთა საფლავების მიმართ უყურადღებობა.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იწვევდა ადვოკატთა ეჭვებს და ბუნებრივად უბიძგებდა მათ გამოეკვლიათ ამ საფლავების შიგთავსი, რაოდენობა მათში დამარხული სომხებისა, რომელთა მკვლელობაშიც ადანაშაულებდნენ განსასჯელებს.

ასეთი გამოკვლევისა და ნივთმტკიცებათა არარსებობა, ახლაც ბადებს კითხვებს, ჰქონდა კი ადგილი ამ დანაშაულებრივ შემთხვევებს?

3) გამოძიება წინამდებარე საქმეზე, რომლის საფუძველზეც ყველა მსჯავრდებულს წაყენებული აქვს ბრალდება სახელმწიფოს ღალატში, სისხლის სამართლის 103-ე მუხლით, ანუ მოქალაქისთვის ყველაზე საშინელ დანაშაულში, დარღვეულია სასამართლო ქარტიის 514, 515 და 518 მუხლები, რასაც ადასტურებს ბრალდებულთა ახსნა-განმარტებები და თვით საქმის წარმოება.

1. ბრალდებულებს არ წარედგინათ საგამოძიებო მოქმედება, როგორც ეს არის მოთხოვნილი სამხედრო სასამართლო ქარტიის 514-ე მუხლით;

2. ამავე ქარტიის 515-ე მუხლის მიუხედავად, ბრალდებულებს არ მიეცათ შესაძლებლობა მიეთითებინათ რაიმე ახალ გარემოებებზე და საერთოდ, დაეპირისპირებინათ რაიმე მათ მიმართ წაყენებული დანაშაულისადმი;

3. გამოძიებასთან დაკავშირებული ქაღალდები, შეკრული და აკინძული იქნა არა მათი წარმოების ადგილზე, თავად ძიების განმხორციელებელთა მიმართ, არამედ ქალაქ თბილისში, იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც მასში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ეს საქმეები დაბეჭდილია კავკასიის არმიის სამხედრო სასამართლო ნაწილის მთავარსარდლის ბეჭდით.

ძიების მწარმოებელთა ასეთი მოქმედებები წარმოადგენს სამხედრო სასამართლო ქარტიის 518-ე მუხლით გათვალისწინებული წესის პირდაპირ დარღვევას.

არსებითად, ეს აუფასურებს მთელს კვლევას და საფუძველშივე სპობს მისი განმახორციელებლების მიმართ ნდობას, ბრალდებულებს კი ართმევს დოკუმენტების დაცულობის და საგამოძიებო მასალების ხელშეუხებლობის კანონის მიერ მისთვის მინიჭებულ გარანტიას, დოკუმენტებისა, რომლებიც, როგორც წესი, მოიცავენ არა მხოლოდ ბრალდებულის დანაშაულის მამხილებელ, არამედ მის გამამართლებელ მონაცემებსაც.

4) სასამართლო მოკვლევაზე არაერთი სომეხი მოწმის ჩვენებით დგინდება, რომ უმეტეს ბრალდებულთა ჩხრეკას და ნივთმტკიცებათა ამოღებას ისინი თავად აწარმოებდნენ, ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე და ასეთი გზით მოპოვებული მონაცემები ედო საფუძვლად ქურდობის, ძარცვის და დარბევის ამა თუ იმ კონკრეტულ ბრალდებას. თავად გამომძიებლები ჩხრეკას არ ატარებდნენ და, შესაბამისად, საქმის ეს მხარე, არ იყო სამხედრო სასამართლო ქარტიის 425-444-ე მუხლების შესაბამისად მოწყობილი.

5) მოკვლევის მწარმოებლებმა, რომელთა ხელშიც არის აქამდე ძიების მთელი მონაცემები, სომეხ მოწმეთა ჩვენებებში ვერსად იპოვეს მითითება ბრალდებულებზე, როგორც საქარის ქედზე მომხდარი ბრძოლების მონაწილეებზე. ამ გარემოების დადგენა აუცილებლად უნდა მოხდეს ოფიციალურად არმიის შტაბისგან: 1)ნამდვილად ჰქონდათ თუ არა ბრძოლები ამ ადგილებში ჩვენ ჯარებს ადგილობრივ ჩეტნიკებთან ან თურქეთის რეგულარულ ან არარეგულარულ არმიასთან და 2) დროის რა მონაკვეთში, რა რიცხვებში და როგორ პირობებში მიმდინარეობდა ეს ბრძოლები.

საქმეში ასეთი მონაცემების არარსებობა ხელს უშლიდა სომეხთა განცხადებების ჭეშმარიტების დადგენას, მით უფრო, რომ მიდამოს ტოპოგრაფია, საქარის ქედის დიდი დაშორება ოკრობა ქედიდან უდავოდ აჩენს ეჭვს სომეხ მოწმეთა იმ განცხადებების სიმართლეში, რომ, თითქოს მათ სროლის ხმა ესმოდათ და ზოგიერთ შემთხვევაში ბრძოლის ველსაც კი ხედავდნენ.

ასეთ პირობებში, წინასწარი მოკვლევის ეს არსებითი ნაკლოვანებანი მნიშვნელოვნად შეიძლებოდა გამოსწორებულიყო საქარის ქედისა და ართვინის ოლქის სოფელ სვეტის უშუალო დათვალიერების მონაცემებით, მაგრამ ამ მიმართებითაც მოკვლევის მწარმოებლებმა, შემდეგ კი სასამართლომ მოახდინეს სამხედრო სასამართლო ქარტიის 365-ე სტატიაში მითითებული დანაშაულის ადგილის დათვალიერების წესის იგნორირება.

6) დაცვის მხარისათვის სრულიად გაუგებარი იყო, მოკვლევის ნორმალურად წარმართვის შემთხვევაში, როგორ შეიძლებოდა განსასჯელის სკამზე აღმოჩენილიყო ავადმყოფი და დაუძლურებული მოხუცი სალაჰ ჰუსეინ-ოღლი. იგი, როგორც სასამართლო თვალნათლივ დარწმუნდა, დაჩაჩანაკებული და უძლური ბერიკაცია, რომელსაც სხვის დაუხმარებლად გადაადგილება არ შეუძლია. მისნაირ ბრალდებულთა არსებობა (თავად ის სასამართლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში გარდაიცვალა) განსასჯელთა შორის კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მოცემულ საქმეში უგულვებელყოფილი იყო დანაშაულის გამოძიების ყველაზე ძირითადი წესები, ამასთან, ასეთ აშკარა შემთხვევებშიც კი, არ არსებობდა ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების დასკვნა.

7) სასამართლო მოკვლევით დადგენილია, რომ, ბევრ შემთხვევაში, ძიების მონაცემები უარყოფილი იქნა ბრალდების მოწმეთა ჩვენებებით და ეს ეხებოდა ისეთ გარემოებებსა და ფაქტებს, რომლებიც, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო სცოდნოდათ მოკვლევაზე დაკითხულ პირებს. აქვე, შეუძლებელია არ გაითვალისწინოთ თარჯიმანთა დანაშაულებრივი როლი. ესენი არიან: აპეტიანი, კარკარიანი, მელქონიანი და პარომაქსიზოვი, რომლებიც ვითომდა მოწმეთა ჩვენებების თარგმანის სახით, მოკვლევის მწარმოებლებს აწვდიდნენ საკუთარი განსჯის ნაყოფს. დასახელებულ თარჯიმანთაგან პირველი, – აპეტიანი, როგორც პოლკოვნიკ პოსტორგუევის ჩვენებამ გამოავლინა (გვ. 79), ჯერ კიდევ ომამდე ახდენდა ხოლმე ადგილობრივი მუსულმანების პროვოცირებას და საერთოდ, მათ მიმართ საეჭვოდ იყო განწყობილი; მეორე თარჯიმანიც, კარკარიანი, დაზარალებულ მხარეს წარმოადგენდა, რადგან მას დედა და ძმა მოუკლეს.

საქმეში დამტკიცებული არ არის არათუ განსასჯელთა მონაწილეობა მათთვის დაბრალებულ დანაშაულში, არამედ თვით ის ფაქტიც, ეს დანაშაულები ნამდვილად იქნა ჩადენილი თუ არა.

ამ საქმეებზე არსებულ ყველა საბრალდებო აქტში, მოკვლევის ასეთი სახით დაყენებაში გამოსჭვივის აშკარა შეუთავსებლობა საბრალდებო აქტის ისტორიულ ნაწილსა და ბრალდების ფორმულირებაში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის კოდექსის 3-108 სტატიებთან შეუსაბამობა.

თავად ბრალდების ფორმულირებაში, სისხლის სამართლის კოდექსის 3-108-ე მუხლების მიხედვით, ყველგან მითითებულია, რომ ბრალდებულები მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში, მაგრამ რომელში, სად და როდის, თითქმის არცერთ შემთხვევაში მითითებული არ არის, რადგან ეს მონაცემები არც მოკვლევაში არსებობდა. სრულიად გასაგებია, რომ ასეთი ბრალდება, რომელიც შემოზღუდული არ არის არც სივრცით, არც დროით, საშუალებას არ იძლევა მას თუნდაც მოწმის ჩვენება

დაუპირისპირო. უმრავლეს შემთხვევაში და სხვა, სიხლის სამართლის ზოგად დანაშაულებში, რომლებიც წარმოიქმნა სახელმწიფო ღალატის ბრალდების დანაშაულის გზადაგზა, ასევე არ არის მითითებული მათი ჩადენის ზუსტი დრო.

ამ ფორმალურ საფუძვლებზე აიგო მთელი დაცვა. ყველა ამ არსებითი დარღვევის მიხედვით, დაცვის მიერ დროულად კეთდებოდა როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი განცხადებები, მაგრამ ყოველგვარი წარმატების გარეშე, რაც სამხედრო სასამართლოებში საქმეების უკიდურესად არანორმალურად დაყენების შედეგი იყო, რომლის შემადგენლობაშიც წინასწარგანზრახულად იყვნენ შეყვანილი ტენდენციური და უკიდურესი მრწამსის მატარებელი პიროვნებები. საქმეში დაცვის მხარის ორწლიანი მონაწილეობის განმავლობაში, მისი როლი ყველაზე უმწეო იყო, მდგომარეობა კი ყველაზე შეურაცხმყოფელი, როგორიც შეიძლება ახსოვდეს რუსეთის სისხლის სამართლის პროცესების ისტორიას. დაცვა მუდმივად ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლების გამოყენებას მოცემულ საქმეში არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა, იმდენად, რამდენადაც საქმეში არ არსებობდა პირობები, რომლებიც ამ მუხლების და ასევე სარედაქციო კომისიის ჟურნალის შინაარსის გათვალისწინებით, სასამართლოს მისცემდნენ საფუძველს ასეთი მძიმე ბრალდება აეგო. დაცვა განუწყვეტლივ მიუთითებდა სასამართლოს, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში განვითარებული მოვლენები, რისი შედეგიც გახდა მუსულმანი მოსახლეობის სამშობლოს ღალატში დადანაშაულება, ისეთ პირობებში ხდებოდა, როცა ქვეყნის ოკუპაციის პერიოდში მტერს საშუალება ჰქონდა ნებისმიერ ბრალდებულზე მოეხდინა ფიზიკური და მორალური ზემოქმედება.

ამჟამად რამდენიმე ასეული სამშობლოს ღალატში ბრალდებული აჭარელი და ყარსელი მუსულმანი რუსეთის სხვადასხვა ციხეში იხდის საჯელს. მათ ყოფილ დამცველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ დროებითი რევოლუციური მთავრობა ყოფილი ხელისუფლების აგენტების ამ უდანაშაულო მსხვერპლთა ბედისადმი სერიოზულ ყურადღებას გამოიჩენს.

წარმოგიდგენთ რა, ღრმად პატივცემულო აკაკი ივანეს ძევ, ამ მოხსენებით ბარათს, დამცველთა ჯგუფი გთხოვთ შუამდგომლობით შეხვიდეთ დროებით მთავრობასთან უდანაშაულო აჭარლებისა და ბათუმისა და ყარსის ოლქის მუსულმანების ამნისტირების შესახებ. ეს ზომა, გარდა სამართლიანობისა და ჰუმანურობის გამოჩენისა ბრალდებულთა და მათი ოჯახების მიმართ, ასევე დაამშვიდებს და დააკმაყოფილებს ადგილობრივ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გულისფანცქალით ელოდება სამართლიანობის ამ აქტს დროებითი ხელისუფლების მხრიდან“. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ ჩვენ ამ დოკუმენტს ვერც ჩხენკელის და ვერც დამოუკიდებელი

საქართველოს სხვა ფონდებში ვერ მივაკვლიეთ. ის გამოქვეყნებული აქვს კომენტარებისა და შენიშვნების გარეშე, რუსულ ენაზე, წყაროს მიუთითებლად მკვლევარ ზაირა გერგედავა-ჭელიძეს *[გერგედავა-ჭელიძე, 2002: 1-87]*.

ასეთია ამ ვრცელი საარქივო დოკუმენტის შინაარსი. ის ახალი ფაქტებით ავსებს ამ საკითხის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმ დიდ გულისხმიერებას, რაც აკაკი ჩხენკელს და, ზოგადად, მთელს ქართულ ინტელიგენციას, გააჩნდა აჭარისა და მისი მოსახლეობის მიმართ.

პირველ მსოფლიო ომში აჭარელთა პრობლემას ვხვდებით ჩხენკელის მიერ 1949 წელს დაწერილ სტატიაში – „სამშობლოსათვის თავგანწირული კოტე აფხაზის ხსოვნას“, რომელიც 1949 წელს, ოქტომბერშია დაწერილი და გადაეგზავნა აფხაზის ვაჟს – ნიკო აფხაზს *[სცსსა, ფ. 1831, აღ. 2, ს. 253]*.

„1914 წლის ზაფხულში ამტყდარ ამ დიდ ომში ოტომანთა იმპერიაც ჩაება გერმანიის მხარეზე რუსეთის წინააღმდეგ. მესმა რა ადრე შემოდგომას მისგან გამოწვეული აჭარლების დიდი გაჭირვება, გავეშურე ბათუმისკენ, სადაც პირველად მომიხდა გენერალ ლიახოვის ნახვა მისივე კომენდატურაში. აქ ხომ ჩემს ნებადაურთველად არ შეიძლება ჩამოსვლა, თქვენ კი დაარღვიეთ ეს ბრძანება, – მეუბნება მაღალი, ჩოხა-ახალუხში გაჭიმული გენერალი. – რად მეჭირვებოდა თქვენი ნებართვა, – ვუპასუხე მე, ბათუმის დეპუტატს სახელმწიფო დუმაში, თითქო მე ვარ აქ მასპინძელი და თქვენ კი სტუმარი. გენერალ ლიახოვს ჭკუაში დაუჯდა ეს პასუხი, დატოვა დარბაზში ათიოდე შტაბის წევრი და შემიძღვა თავის ბიუროში. ცოტა ხნის მუსაიფის შემდეგ შემოვბრუნდით დარბაზში და გენერალმა ლიახოვმა გასცა ბრძანება გაენთავისუფლებინათ ომის გამო დატუსაღებულნი, როგორც მახსოვს 150 აჭარელი. და იქვე მდგომ გენერალ მილლერს წინადადება მისცა, თქვენ წაიყვანთ ბატონ დეპუტატს ადრე დილით ბრძოლის ველზეო. მართლაც ჩამისვა გენ. მილლერმა თავის ავტოში და ვიმგზავრეთ გზატკეცილით ბორჩხამდე, სადაც ორიოდე ზარბაზანი ყუმბარას გაისროდა მდინარე ჭოროხის გაღმა ტყიან მაღალ გორასკენ და იქიდან ტყვიისმფრქვეველით (პულიმიოტით) უპასუხებდნენ. ესენი არიან „ჩეტნიკებიო“, მეუბნება გენერალი, დავრჩი 2-3 საათი, იქვე ვისაუზმეთ. შემთხვევითმა ტყვიამ ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ არავის მოხვედრია. მხედართა შორის აღმოჩნდა ერთი ექიმიც, ახალგაზრდა ქართველი. ამდენი გზა გამოვიარეთ და ერთი ძაღლის მეტი არავინ შეგვხვედრია, სად არიან მცხოვრებნი, რატომ არ სჩანან-მეთქი, – ვეკითხები მას ქართულად. მცხოვრებთ ატუსაღებენ და ამიტომ გარბიან დიდი და პატარა ოსმალეთისკენ, აჭარა ცალიერდება! – მიპასუხა ექიმმა. მაშ, იმათაც დაიჭერენ, ვინც გუშინ გაანთავისუფლეს, – ვეუბნები ჩემს თავს. ბათუმში

დაბრუნებისას ვინახულე ქალაქის თავი თავადი ანდრონიკაშვილი და ზოგიერთი სხვა გავლენიანი პირი. ჩემ შეკითვებზე, რატომ არ იღებენ ზომებს მშვილობიან მცხოვრებთა დასაცავად? განა იყო შემთხვევა, მათ რამე დაუშავეს რუს მეომართ? რატომ არ მიმართავენ მათ უფროსებს თბილისში ამ საჩივრით? – ერთხმად მიპასუხებენ: შეუძლებელია! სამხედრო წესებია გამოცხადებული, ქალაქიდან გასვლა-შემოსვლა ნებადაურთველად აკრძალულია, მცხოვრებთ არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ საჩივრისთვის ჩვენც დაგვსჯიან.. ჩამოვედი თბილისში და ვინც ვნახე და გავეცანი, პირველი გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი თ. კოტე აბხაზი იყო. მან თავაზიანად მიმიღო, ყურადღებით მოისმინა ჩემი ნანახი და გაგონილი ბათუმის ოლქში. სამწუხაროდ, – მითხრა მან, – ჩვენ უძლურნი ვართ რამეს გავხდეთ ასეთ დროს და ღიმილით დასძინა: თუ აჭარლები გაიქცნენ, მათ ადგილზე ჩვენს უმიწაწყლო გლეხებს ჩაასახლებენ. ეს კი არ მომწონა და ვუპასუხე აღელვებით, როგორც მჩვევია: რას ბრძანებთ, თავადო, განა ჩვენი გლეხებისთვის ვინ გაიმეტებს ასეთ სამოთხისებურ მხარეს?

მეორე პაემანი მეფის მოადგილის სამხედრო ნაწილის თანაშემწე ღენერალ მიშლიაევსკისთან მქონდა დანიშნული. მანაც ყურადღებიანად მომისმინა და ზოგი რამ კიდეც ჩაიწერა და დამპირდა – ზომებს მივიღებო. მე ვითომ უცაბედად, გამომშვიდობებისას ჩავილაპარაკე: როგორც კი გაიხსნება სახელმწიფო დუმა, შეკითხვას შევიტან-მეთქი. ამ დროს მაცნობეს, რომ ერთ დარბაზში ქართველები ბჭობენ იმავე საგანზე და სურთ შენი ნახვაო. მეც წავედი მაშინვე და გავაცანი შეკრებილთ საქმის ვითარება. იქვე გავეცანი მარშლის თანაშემწეს თ. სუმბათაშვილს, რომელიც ბათუმში წავიდა უდანაშაულო ხალხის გამოსაქომაგებლად. აქედან უკვე სჩანდა, რომ კოტე აფხაზის მწარე ღიმილი მე ვერ გამომიცვნია და ჩემს ნაბიჯს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მე ხშირად ვესტუმრებოდი ბათუმს, ორჯერ კიდეც გავანთავისუფლებინე ახლად დაჭერილები, ქართულ საზოგადოებაშიც დაიწყო ერთგვარი აღელვება, პრესაც ალაპარაკდა, თუმცა ფრთხილად. მემედ-ბეგიც ამუშავდა თავისებურად; გამოიცა სპეციალური ერთდროული გაზეთიც. პირველ გვერდზე მოათავსეს სხვათა შორის ჩემი წერილიც, ბათუმის ქალაქის თავი ანდრონიკაშვილი გამომედავა თურმე განმეორებით პრესაში, კოტე აბხაზი კი სდუმდა. მე ამ დროს პეტროგრადში ვიყავი, გვიან გავიგე“.

ეს ორი დოკუმენტი, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია იმ უამრავ მასალასთან შედარებით, რაც მომდევნო წლებში აკაკი ჩხენკელის ბათუმთან დაკავშირებულ მოვლენებს წარმოაჩენს. ყველა დანარჩენი ჩვენ შევიტანეთ ჩხენკელისადმი მიძღვნილ მონოგრაფიის სპეციალურ თავში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

გერგედავა-ჭელიძე, 2002: – გერგედავა-ჭელიძე ზ., „აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ევოლუცია (1898-1917), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

საითიძე, 2002: – საითიძე გ., აკაკი ჩხენკელის პირველი გამოსვლა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“, 2002 წლის №2.

შარაძე, 1991: – შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. I, თბილისი.

სიორიძე, 2002: – სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

სცსსა, ფ. 1831, აღ. 2, ს. 253 – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე №253, 4 ფურცელი, ხელნაწერი (ხელნაწერი შავი ვარიანტია, ჩასწორებებით, ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს – „ეძღვნება მის ერთადერთ შვილს ნიკო აბხაზს“).

Dodo Chumburidze (Tbilisi, Georgia)

Akaki Chkhenkeli and Adjara Issue

Summary

The article analyzes and evaluates a document, wich is written in Russian and translated into Georgian by the author of the article. In this article is described a punishment the Muslim population of Adjara by Russian troops,during the First World War. These people was punished just becouse of different faith. The article describes the biased judgments, which were issued by a court and violation of laws.

Obtained documents were given to the Russian State Duma MP, Akaki Chkhenkeli , To protect him unfairly punished population of the Adjara.

ნიკო ჯავახიშვილი
(თბილისი, საქართველო)

ბათუმში გამოშვებული ქაღალდის ფულადი ნიშნები (1918-1922 წლები)

XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულსა და ოციანი წლების დასაწყისში, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ფართოდ გამოიყენებოდა ქაღალდის დროებითი ფულადი ნიშნები (სუროგატები). ასეთი ტიპის ფულით ცალკეული ქვეყნების მიმოქცევის არხები წლობით იყო გავსებული ***[ჯავახიშვილი, 1996: 113].***

1914-1922 წლებში მხოლოდ გერმანიის ქალაქებში გამოუშვეს 43.500-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ქაღალდის ფულადი სუროგატი, რომლებსაც მოიხსენიებდნენ სახელწოდებით – «ნოტგელდი». ასეთი ტიპის ფული გერმანიაში მიმოიქცეოდა XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე ***[Шелоков, 1987: 186].***

სახელმწიფოს სახელით გამოშვებული ფულის ნიშნების ნაკლებობისასა, რაც 1918-1924 წლებში საქართველოში ხშირად შეინიშნებოდა, არა მხოლოდ ქალაქები, არამედ ცალკეული საზოგადოებები, დაწესებულებები და კერძო კლუბებიც კი იძულებული ხდებოდნენ, რომ საკუთარი ფულადი სუროგატები ძირითადად ქაღალდის ხურდა ფულის სახით ებეჭდათ.

სუროგატებს ახასიათებდათ ლოკალური მიმოქცევითი სივრცე. ისინი სხვადასხვა დროს გამოუშვეს ქალაქებში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში, სოჭსა და ტყიბულში ***[ჯავახიშვილი, 1996: 113-117].***

1918 წლის დასაწყისში, ხურდა ფულის მწვავე დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით, ბათუმის საქალაქო ხაზინამ გამოუშვა ზომით 30X48 მმ. შემდეგი ღირებულების მქონე ქაღალდის ფულადი სუროგატები: 1 (დაბეჭდილია ყვითელი ფერის ქაღალდზე), 3 (დაბეჭდილია მწვანე ფერის ქაღალდზე), 5 (დაბეჭდილია ლურჯი ფერის ქაღალდზე), 10 (დაბეჭდილია წითელი ფერის ქაღალდზე), 25 (დაბეჭდილია ყავისფერი ფერის ქაღალდზე) და 50 (დაბეჭდილია იისფერი ფერის ქაღალდზე) მანეთი.

აღნიშნული სუროგატების ავერსზე (წინა მხარეზე), ცენტრში მოთავსებულ მრგვალ ჩარჩოში გამოსახულია პალმის ხე, რომლის გარშემოც აღბეჭდილია შემდეგი წარწერა რუსულ ენაზე: «Разменный денежный знакъ Батумского казначейства» («ბათუმის ხაზინის ხურდა ფულის ნიშანი»). სუროგატების ავერსზევე გვხვდება გამაფრთხილებელი წარწერა: «Подделка преследуется закономъ» («გაყალბება ისჯება კანონით»).

5, 10 და 50-მანეთიანი სუროგატების რევერზე (მეორე მხარეზე) გვხვდება ხელით დასმული ფაქსიმილე რუსულ ენაზე, ხოლო 1 და 3-მანეთიანების რევერსი ხელმოუწერელია.

ის ფაქტი, რომ ბათუმის საქალაქო ხაზინის მიერ გამოშვებულ ხსენებულ ქაღალდის ფულად სუროგატებზე

გვხვდება მხოლოდ რუსულენოვანი წარწერები, იმით აიხსნება, რომ იმდროინდელ ბათუმში დიდი გავლენით სარგებლობდა რუსული ეროვნული საბჭო პ. მასლოვის ხელმძღვანელობით. სწორედ მის გარშემო დაირაზმა იმპერიალისტური იდეოლოგიის მქონე და შესაბამისად – ანტიქართულად განწყობილ პიროვნებათა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ანისიმოვი, პარაიკოშიცი, სერებრიაკოვი, ბუნიაკოვი და სხვები. ეს ჯგუფი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ამ ძირძველ ქართულ ქალაქში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციის გავრცელებას. ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში ხსენებულ ჯგუფს ხელს უწყობდნენ როგორც გენერალ ანტონ დენიკინის ხელმძღვანელობით მოქმედი თეთრგვარდიელები, ასევე, სხვადასხვა დროს ბათუმში შეჭრილი თურქი და ინგლისელი ოკუპანტები.

1918 წლის 1 აპრილს ბათუმის ოლქის ტერიტორია დაიკავეს ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც სამხედრო გუბერნატორად ჰამიდ ბეი დაადგინეს ***[ზოსიძე, 1995: 38].***

ზემოხსენებულმა ანტიქართულმა ძალამ საერთო ენა ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმთანაც გამონახა. კერძოდ, ბათუმში მყოფ მაღალი რანგის თურქ ოფიცრებს პ. მასლოვმა განუცხადა: «ბრესტის ხელშეკრულებით ჩვენ გადმოგეცით ბათუმი და იმ დღიდან ჩვენ ვართ თქვენი გულითადი მოკავშირენი და მეგობრები» ***[სცსსა, ფ. 1864, აღ. 1, ს. 9, ფურც. 51].***

ოკუპანტები სასწრაფოდ შეუდგნენ ბათუმის თავიანთ ყაიდაზე გადაწყობას. სამხედრო გუბერნატორის ბრძანებით, ქალაქის სავაჭრო დაწესებულებებს აეკრძალათ ქართული ფულის ნიშნების მიღება. სამაგიეროდ, მიმოქცევაში არსებულ ბათუმის საქალაქო ხაზინის ფულს, რუსეთის იმპერიის სახელით გამოშვებულ საკრედიტო ბილეთებთან და ოსმალეთის ვალუტასთან – ლირასთან ერთად, დაემატა ოქროს მონეტებიც, რომლებზედაც გამოსახული იყო იმპერატორ ნიკოლოზ II-ის პორტრეტი ***[სცსსა, ფ. 1864, აღ. 1, ს. 24, ფურც. 43].***

I მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ თავისი საოკუპაციო ჯარი ბათუმის ოლქიდანაც გაეყვანა. მათი ადგილი დაიკავა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ჯარმა. ვინაიდან დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი მესვეურები რუსეთის იმპერიის რესტავრაციაზე ზრუნავდნენ, მათ თანადგომა გამოუცხადა პ. მასლოვის დაჯგუფებამ. ამ ჯგუფმა ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბერში შეადგინეს ბათუმის ოლქის სახელმწიფოებრივი მოწყობის გეგმა, რომლის თანახმადაც ეს ოლქი უნდა გამოცხადებულიყო გუბერნიად, გენერალ ანტონ დენიკინის ხელმძღვანელობით. ამით მათ სურდათ ბათუმის ოლქის გადაქცევა ხსენებული გენერლის სარდლობით მოქმედი «მოხალისეთა არმიის» ცენტრად.

1919 წლის იანვრიდან დიდი ბრიტანეთის იმპერიის საოკუპაციო ადმინისტრაცია ბათუმის ოლქში ფუნქციონირებას შეუდგა. ოლქის გუბერნატორად დაინიშნა გენერალი კუკ კოლისი.

ვინაიდან აღნიშნული ოლქის ახალი საოკუპაციო რეჟიმი თავის მოკავშირეებად მიიჩნევდა თეთრგვარდიელებს, ინგლისელებმა სცადეს, რომ რუსეთის სამხრეთ რეგიონებთან (რომლებიც თეთრგვარდიელებს ეკავათ) გაეღრმავებინათ პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირი. ამ მიზნით, ბათუმის ოლქში მიმოქცევაში უკვე არსებული ფულის ნიშნების პარალელურად დაუშვეს დონის რესპუბლიკის საკრედიტო ბილეთები. მოგვიანებით, ადგილობრივ მოსახლეობას ხელფასი სწორედ ამ ვალუტით ეძლეოდა *[ზოსიძე, 1995: 67-69; 82]*. ამით მათ სურდათ, რომ ბათუმის ოლქში ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად ქცეულიყო დონის რესპუბლიკის საკრედიტო ბილეთები *[«საქართველო», 1919]*.

ინგლისელმა ოკუპანტებმა დაუყოვნებლივ ჩაიგდეს ხელში ადგილობრივი ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტები. მათი ნებართვით, ბათუმის საქალაქო ხაზინამ 1919 წელსაც განაგრძო საკუთარი ფულადი სუროგატების ემისია, კერძოდ, დაბეჭდა: 5 (დაბეჭდილია ლურჯი ფერის ქაღალდზე), 10 (დაბეჭდილია წითელი ფერის ქაღალდზე), 25 (დაბეჭდილია ყავისფერი ფერის ქაღალდზე) და 50 (დაბეჭდილია იისფერი ფერის ქაღალდზე) მანეთის ღირებულების მქონე ქაღალდის ფულის ნიშნები.

საგულისხმოა, რომ ბათუმის საქალაქო ხაზინის ფულის ნიშნებზე ამჯერად ხელს ინგლისელი ოფიცერი აწერდა.

იმდროინდელი ბათუმის რეალურ სურათს შეულამაზებლად აღწერდა გაზეთი «ერთობა», რომელშიც ვკითხულობთ: «ბათუმში კი ყველაფერი გადასხვაფერებულია, საზოგადოებრივი ცხოვრება გაყინულია, გადამწვარი, აოხრებული. განაპირა ბათუმი ცრემლებს მოგგვრის, დაგამწუხრებს, სამხედრო ბანაკად ქცეული... ძარცვა-გლეჯა, მკვლელობა, ლოთობა, ქალების და ბავშვების დახრჩობაც ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა და ბოროტება იმალება ბათუმის საიდუმლოებით მოცულ სიღრმეში. ქართველების წინააღმდეგ ითესება გესლი და შხამი. შავრაზმული აგიტაცია პრესითაც სწარმოებს. «ნაშ კრაი» დღითიდღე სხვადასხვა სენსაციური ცნობებით კვებავს ფართე მასებს... მთელი ძალაუფლება, მმართველობის აპარატი ინგლისელების ხელშია... მთელი ფინანსები ინგლისის ხელშია. მაგალითად, ოცი მანეთის ასიგნოვკაზედაც, რომელიც უნდა მიეღო ქალაქის სკოლის მასწავლებლებს, ხელი უწერია ინგლისელ მაიორ გენდომს» *[«ერთობა», 1919]*.

1920 წლის ივლისის დასაწყისში ბათუმის ოლქში მყოფმა ინგლისელებმა ეს ოლქი დაუბრუნეს საქართველოს, ხოლო თავად – სამშობლოში დაბრუნდნენ.

დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო რეჟიმისაგან თავდახსნილ ბათუმში შეწყდა სეპარატული ემისია და დამკვიდრდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფული (ბონი), მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

საბჭოთა რუსეთის არმიის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ბათუმში ჩამოყალიბებულმა ე. წ. «რევოლუციურმა კომიტეტმა» 1922 წელს მიმოქცევაში გამოუშვა საკუთარი ფულადი სუროგატი – 15 და 25 ათასი მანეთის ღირებულებით, რომლებიც ყვითელი ფერის მუყაოს ქაღალდზე დაიბეჭდა ***[Васюков, 1993: 103].***

ამრიგად, 1918-1919 და 1922 წლების განმავლობაში ბათუმში გამოდიოდა ადგილობრივი ქაღალდის ფულადი სუროგატები, რომლებსაც უშვებდა ჯერ საქალაქო ხაზინა (1918-1919 წლებში), ხოლო შემდეგ – ე. წ. «რევოლუციური კომიტეტი» (1922 წელს). პირველ პერიოდში, ყოველივე ამას, ფინანსურ-ეკონომიკურთან ერთად, გააჩნდა სამხედრო-პოლიტიკური დანიშნულებაც. სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური ძალები თუ თურქი და ინგლისელი ოკუპანტები ყველანაირად ცდილობდნენ, რათა აჭარა დედასამშობლოსაგან ჩამოეცილებინათ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

სცსსა, ფ. 1864, აღ. 1, ს. – საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღწერა 1, საქმე №№ 9, 24.

«ერთობა», 1919: – გაზეთი «ერთობა», თბილისი, 1919, № 96.

«საქართველო», 1919: – გაზეთი «საქართველო», თბილისი, 1919, № 146.

ზოსიძე, 1995: – ზოსიძე ნ., პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 1995.

ჯავახიშვილი, 1996: – ჯავახიშვილი ნ., ქართული ბონისტიკა (ქაღალდის საფასთმცოდნეობა), თბილისი, 1996.

Васюков..., 1993: _ Васюков А., Горшков В., Колесников В., Чистяков М., Бумажные денежные знаки России и СССР, СПб., 1993.

Щелоков, 1987: _ Щелоков А., Свидетели истории, Москва, 1987.

Niko Javakhishvili (Tbilisi, Georgia)

Paper Money Substitutes Issued in Batumi (1918-1922)

Summary

Because of the less number of paper money issued by the State in 1918-1924 in Georgian towns, separate societies, institutions and private clubs had to issue their own money, mainly coins, as substitutes for paper money.

The presented work studies paper money substitutes issued by Batumi Urban Treasury during 1918-1921. Baside the fact that it had financial-economical meaning it also nad distinct military-political significance, as it shows how every kind of political forces or ocupationists were trying their best to separate Adjara from the motherland – Georgia.

ოლეგ ჯიბაშვილი, ხათუნა დიასამიძე
(ბათუმი, საქართველო)

აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ბათუმში

1908 წელს ქართველმა ერმა თავისი ღირსეული შვილისა და ყველასათვის საყვარელი პოეტის, აკაკი წერეთლის შემოქმედებითი საქმიანობისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილე აღნიშნა. საიუბილეო დღეები ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ერის მიერ ერთი კონკრეტული პირის მიმართ გამოვლენილმა სითბომ, გულწრფელმა სიყვარულმა და საყოველთაო პატივისცემამ მანამადე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. საზეიმო განწყობილება საქართველოს ფარგლებსაც გასცდა და მას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფი პატრიოტი ქართველები და აკაკის ნიჭის დამფასებელი უცხოელებიც შეუერთდნენ.

"აკაკის იუბილე ჯერ საქართველოს დედაქალაქმა გადაიხადა. ეს მოხდა 1908 წლის 7 დეკემბერს" ***[ასათიანი, 1953: 441].***

მკვლევარი ლევან ასათიანი, ხატოვნად აღწერს რა თბილისის საიუბილეო საღამოს გრანდიოზულობასა და ჭეშმარიტ სახალხო ხასიათს, დასძენს:

"პირველი, შესავალი სიტყვა წარმოთქვა საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ – ქართველი ხალხის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა და მოამაგემ, აკაკის ერთგულმა და ნაცადმა მეგობარმა იაკობ გოგებაშვილმა.

ასე დაიწყო საიუბილეო ზეიმი.

საქართველოს ყოველი კუთხიდან, დაბა-ქალაქებიდან, სოფლებიდან, სხვადასხვა კულტურული დაწესებულებებიდან მოვიდნენ იმ დღეს დელეგაციები, – მათი რიცხვი 200-ს აღემატებოდა, – რომ მიელოცათ ძვირფასი სახალხო პოეტისათვის საიუბილეო დღესასწაული, რომ ხალხის სახელით გულითადი მადლობა ეთქვათ იმ უზომო ამაგისათვის, რომელიც მან სამშობლოს დასდო, რომ ესურვათ მისთვის ხანგრძლივი სიცოცხლე" ***[ასათიანი, 1953: 443].***

სურათი მართლაც რომ შთამბეჭდავია.

თავისთავად ცხადია, რომ საერთო სიხარულს არც აჭარა გამოაკლდებოდა, მით უმეტეს, რომ აკაკის აჭარასთან დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა აკავშირებდა. მრავალრიცხოვან დელეგაციებს შორის ბათუმიდან წარგზავნილებს თავისი საპატიო ადგილი ეკავათ და მათ ღირსეულადაც წარმოაჩინეს ჩვენი კუთხე.

"– სხვა ქართულ ქალაქთა შორის თვალწარმტაცი შავი ზღვის პირას მცხოვრებნი ქართველები წმინდა გულიდან ამოღებულ სალამს გიძღვნიან და გილოცავენ დღევანდელ დღეს –

ნათქვამია მგოსნისადმი ბათუმელ დეპუტატთა მიმართვაში" *[ბარამიძე, 2001: 80].*

თბილისის შემდეგ აკაკის იუბილე საქართველოს სხვა ქალაქებმაც აღნიშნეს. ბათუმს 1909 წლის იანვარში ხვდა წილად საყვარელი მგოსნის მასპინძლობა.

"1909 წლის 14 იანვარს, ნინოობა დღეს ბათუმელებს სადღესასწაულოდ აღუნიშნავთ აკაკის სამწერლობო მოღვაწეობის 50 წლისთავი, რამაც, ცხადია, მეტი ლაზათი შესძინა ზეიმს," – ნათქვამია პროფესორების – აბელ სურგულაძისა და რამაზ სურმანიძის აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ერთობლივ ნაშრომში "შუქი ნათლისა" *[სურგულაძე, სურმანიძე, 1990: 33].*

თავად აკაკის გადაწყვეტილებით, ბათუმში საიუბილეო შეხვედრების დამასრულებელი, ერთგვარი დამაგვირგვინებელი საღამო უნდა შემდგარიყო. იგი თვეზე მეტია უკვე მისდამი მიძღვნილ ზეიმებში იღებდა მონაწილეობას და, როგორც ჩანს, ასაკმა და თანდაყოლილმა მოკრძალებულობამ აიძულა თავი შეეკავებინა მათი შემდგომი გაგრძელებისაგან. ეს ჩანს ოჯახისათვის მიწერილი მისი ერთ-ერთი წერილიდან. აქედანვე ჩანს ის დიდი შთაბეჭდილება, რაც ამ დღეებში მიუღია პოეტს – იგი ერთიან სახალხო დღესასწაულს უწოდებს საიუბილეო შეხვედრებს.

"ახლახან დავბრუნდი ბაქოდან, სადაც ჩემი იუბილე გადაიხადეს[7]. დავბრუნდი შინ დაქანცული. შემდეგი (საიუბილეო) გამგზავრება მაზრებში უკვე გადავდე. მხოლოდ 14 იანვარს ვიქნები ბათუმში და ეს იქნება უკანასკნელი... უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის უბრალო იუბილე, რომელიც ერთ დღეს თავდება. ეს არის ხანგრძლივი სახალხო დღესასწაული" – ნათქვამია აღნიშნულ წერილში *[სურგულაძე, სურმანიძე, 1990: 33].*

აქვე გვინდა შეგახსენოთ, რომ 1909 წლის 14 იანვრის საღამო არ ყოფილა ბათუმში პირველი საზეიმო შეხვედრა აკაკისთან. ნინოობის დღესასწაულზე სახალხო პოეტის მოწვევის ტრადიციას ჯერ კიდევ 1897 წლის 14 იანვარს ჩაეყარა საფუძველი. ამ დროისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ 1881 წელს გახსნილი პირველი ქართული სკოლა აჭარაში. სკოლა დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. "ამის დასაძლევად და სკოლის გასაღონიერებლად ვოლსკიმ და მესხმა (გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი – ო.ჯ.) გადაწყვიტეს ყოველწლიურად თოთხმეტ იანვარს, ნინოობას, სასწავლებლის სასარგებლოდ განსხვავებული საღამოს გამართვა. პირველი საღამო არაჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის. თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყუილა არ ჩაუვლია და საღამომ დიდებულად ჩაიარა... საღამოზე მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი

[7] 1908 წლის 21 დეკემბერი.

წერეთელი, რომელსაც სადგურზე დაუხვდა მთლად ქართველობა და რომელსაც, გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში, აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა მქუხარე ვაშა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდის. აკაკიმ საღამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და, რაღა თქმა უნდა, დიდად აღაფრთოვანა ხალხით გაჭედილი დარბაზი" – გვაუწყებს მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელიც იმ ხანებში ბათუმში გადიოდა სამხედრო სამსახურს ***[კლდიაშვილი, 1984: 53-54].*** მისივე სიტყვით, საქველმოქმედო საღამომ დიდი ფული – სამი ათასი მანეთი შემოიტანა. ამის შემდეგ "თოთხმეტი იანვრის საღამო, ნინოობა, მაცოცხლებელ წყაროდ შეიქნა სასწავლებლისათვის – გაჭირვებიდან გამოიყვანა და ფეხი მოამაგრებინა" ***[კლდიაშვილი, 1984: 54].***

კლდიაშვილისაგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის საქველმოქმედო საღამოს შესახებ გაზეთ "ივერიის" 1897 წლის მეათე ნომერი[8]:

"14 იანვარს, ნინოობას, დანიშნულმა საღამომ ჩვეულებრივ საუცხოვოდ ჩაიარა. დარბაზის მშვენიერი მორთულობა, ელექტრონის განათება, საინტერესოდ შედგენილი პროგრამა, ჩვენის საყვარლის პოეტის აკაკისა და აგრეთვე გურულ მომღერალ ქალთა და ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალის ი. კარგარეთელის მონაწილეობა, უმთავრესად კი თვით პატიოსანი და კეთილი საგანი, რომლისთვისაც იმართება ყოველ წელიწადს ეს საღამო, შეიქნა მიზეზად, რომ საზოგადოება ბლომად მოგროვდა ... წმინდა შემოსავალი დარჩა 1500 მანეთი" ***["ივერია", №10, 1897: 2].***

როგორც საგაზეთო წერილის კონტექსტიდან ირკვევა, 1897 წლის ნინოობის საქველმოქმედო საღამო სრულებითაც არ ყოფილა ბათუმში გამართული პირველი ასეთი საღამო. აშკარად ჩანს, რომ მსგავსი საღამოები წინა წლებშიც ჩატარებულა, რაც საეჭვოს ხდის დავით კლდიაშვილის მონათხრობს. შეუსაბამობა ჩანს შემოსულ თანხასთან დაკავშირებითაც – კლდიაშვილთან 3000 მანეთია დასახელებული, "ივერიაში" – 1500. თუმცა, თანხებს შორის არსებული განსხვავება შეიძლება იმით აიხსნას, რომ დასაშვებია კლდიაშვილი ასახელებდეს მთლიანად შემოსულ თანხას, გაზეთი კი გაწეული საორგანიზაციო ხარჯების დაფარვის შემდეგ შემოსული თანხიდან დარჩენილ წმინდა მოგებას. მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოტეზაა. რაც შეეხება საქველმოქმედო საღამოების დაწყების დროს, აქ შეუსაბამობა ვერანაირი მოსაზრებით ვერ აიხსნება და ერთ-ერთი მონაცემი აშკარად მცდარია. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მრავალი

[8] გაზეთ "ივერიის" აღნიშნული ნომერი მოგვაწოდეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების თანამშრომლებმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მათ.

წლის შემდეგ შედგენილ მემუარებთან შედარებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მოვლენის თანადროული პრესის მონაცემებს. ვფიქრობთ, ისინი უფრო შეესაბამებიან რეალობას. საინტერესოა, რომ ბათუმის წარსულის კარგი მცოდნე, ცნობილი მეცნიერი ჯემალ ნოღაიდელი აკაკისადმი მიძღვნილ წერილში საქველმოქმედო საღამოების დასაწყისად პირდაპირ მიუთითებს 1894 წელს. იგი ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ აფიშის მიხედვით 1909 წლის ნინოობის საღამო მე-16 იყო რიგით ***[ნოღაიდელი, 1971: 197]***. სასურველია ამ საკითხების უფრო ღრმად შესწავლა, რაც ამჯერად არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს. რაც შეეხება აკაკის ყოფნას 1897 წლის ნინოობის საღამოზე, ეს აშკარაა და არავითარ ეჭვს არ იწვევს.

არსებობს ვარაუდი, რომ აკაკი წერეთელი სხვა წლებშიც მონაწილეობდა ბათუმში ჩატარებულ ნინოობის საქველმოქმედო საღამოებში. ჯ. ნოღაიდელი მიუთითებს, რომ "აკაკი 1898 წელს და 1902 წლის 14 იანვარს გამართულ საღამოშიაც იხსენიება, როგორც საღამოს მონაწილე, მაგრამ შესაძლოა ეს მეტი შემოსავლისა და ეფექტის გამოწვევისათვის მოიმოქმედა საზოგადოებამ[9]" ***[ნოღაიდელი, 1971: 195]***. მტკიცე არგუმენტად ვერ გამოდგება, მაგრამ ჯ. ნოღაიდელის მოსაზრებას გარკვეულწილად ამაგრებს ის ფაქტიც, რომ გაზეთ "ივერიის" 1898 და 1902 წლების იანვარ-თებერვლის ნომრებში[10] ვერ წავაწყდით რაიმე ცნობას, რაც დაადასტურებდა აკაკის მონაწილეობას აღნიშნულ საღამოებში ***["ივერია", №№10-37, 1898; "ივერია", №№12-40, 1902]***.

დავუბრუნდეთ ისევ 1909 წლის 14 იანვრის საიუბილეო საღამოს.

ეს ღონისძიება და, საერთოდ, ეს დღე, თვითმხილველთა გადმოცემით, საოცრად შთამბეჭდავი, ხოლო თავისი მასშტაბებით უპრეცედენტო და განუმეორებელი იყო ბათუმისათვის. პირველწყაროებზე დაყრდნობით, მკვლევარი ჯ. ნოღაიდელი აღნიშნავს:

"მეორედ აკაკი მოწვეული იყო 1909 წელს, როდესაც აღინიშნა აკაკის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე.

ამ დროს კიდევ უფრო დიდი იყო მზადება (იგულისხმება 1897 წელთან შედარებით – ო. ჯ.). პოეტის საპატივცემულოდ დიდმა ხალხმა მოიყარა თავი სადგურზე. იქ იყვნენ მოხუცები, ახალგაზრდებიც და ბავშვებიც. მოსულიყვნენ თაიგულებით. გამოჩნდა პოეტიც. გაისმა ხალხში ჟრიამული, შეძახილები – "აკაკი!", "აკაკი!"

---

[9] იგულისხმება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

[10] გაზეთ "ივერიის" აღნიშნული ნომრები მოვიძიეთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ-საიტზე ***"ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელი"***.

პოეტი ჩასვეს საგანგებოდ მორთულ ეტლში. ეტლის წამოყვანა სასტუმრომდის მეეტლის ნაცვლად ქალებმა იკისრეს.

ქალების ამგვარმა პატივისცემამ აკაკი ძალზე შეაწუხა, – იგი თავს უხერხულად გრძნობდა" *[ნოღაიდელი, 1971: 196].*

ბათუმის კოლორიტის, იმდღევანდელი მოვლენების უშუალო მონაწილის, აწ გარდაცვლილი ალექსანდრე თიროშვილის მოგონებებით კი ირკვევა, რომ ბათუმელები არა მარტო მეეტლის ნაცვლად მართავდნენ ეტლს, არამედ ცხენების ნაცვლადაც შეებნენ შიგ და ისე მიიყვანეს საყვარელი პოეტი დანიშნულების ადგილამდე. ს. თიროშვილიც მათ შორის იყო. მის მოგონებებს ასე გადმოგვცემს თავის საგაზეთო წერილში პუბლიცისტი სამსონ აბულაძე:

"– სხვა ბათუმელ ახალგაზრდებთან ერთად, – გვიამბო საშა თიროშვილმა, – მის ეტლშიც შევბმულვარ ცხენის მაგიერად... ახლა რომ ოფიცერთა სახლია[11], მაშინ იქ საზოგადოებრივი საკრებულო იყო და სადგურიდან იმ საკრებულომდე სულ ასე მივიყვანეთ. თქვენ უნდა გენახათ, რა ხდებოდა იმ დღეს ბათუმში. მთელი ქალაქი ქუჩაში გამოეფინა. ყვავილებს ესროდნენ, ესალმებოდნენ. ცრემლმორეული პოეტი მადლობას უხდიდა მოზეიმე ხალხს... ბედნიერი ის იყო, ვინც იმ სადამოს საკრებულოში შესვლა მოახერხა და აკაკის მოუსმინა" *[აბულაძე, 1992: 2].*

უნდა შევნიშნოთ, რომ ს. აბულაძის წერილში მექანიკურად არის გაერთიანებული 1897 და 1909 წლების ამბები, რაც ს. თიროშვილის მოგონებების მართებულობას ეჭვქვეშ ვერ დააყენებს. იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილი საშა ნამდვილად 1909 წელს მონაწილეობდა აკაკის დახვედრაში და ეტლშიც შეება სხვა თანაქალაქელებთან ერთად, დაბეჯითებით მიუთითებს ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა ზოიძეც. ბატონ შოთას პირადი მეგობრობა აკავშირებდა ალექსანდრე თიროშვილთან და იმდროინდელი ამბებიც უშუალოდ მისგან აქვს მოსმენილი. ამ მონასმენის შთაბეჭდილებებით დაიწერა შ. ზოიძის ქვემოთ მოტანილი სტრიქონებიც, რაც ნაწილია მისი მშვენიერი პოემისა "თეთრი ქალაქი":

"ყმაწვილი ქალები და ვაჟები –
ჩვენი გიჟმაჟი გარიჟრაჟები,
როცა აკაკი აქ ჩამოსულა,
ყველანი სადგურში გამოსულან.

ეტლიდან ცხენები აუშვიათ,
ეტლი ყვავილებით აუვსიათ,

[11] ბულვარის შესასვლელთან ახლოს მდებარე ეს შენობა დღეს აღარ არსებობს.

თავად შებმულან ქალ-ვაჟები,
ზოიძეები და ხალვაშები.

ჯექლები და ჯანიანები,
ჯაყელები და ჯაიანები,
ათაბაგი და ამაღლობელი,
დააკლდებოდა აბა რომელი?!

მათ შორის იყო თიროშვილი საშა,
ბატონი საშა დაიხარჯა შარშან,
მან ეს ამბავი მიამბო მაშინ,
როცა ვიყავი არც ისე ბავშვი.

აკაკი ეტლში ჩაუბრძანებიათ,
საკრებულოში მიუბრძანებიათ...”
[ზოიძე, 2014: 5].

საინტერესოა, რომ უფრო ადრე ქუთაისშიც ასე გამოხატა ქართველობამ იუბილარი აკაკისადმი თავისი დიდი სიყვარული და პატივისცემა.[12]

“ხალხის სიყვარულმა და აღფრთოვანებამ – წერს მკვლევარი ლ. ასათიანი – ქუთაისში მეტად ექსპანსიური ხასიათი მიიღო. ბინიდან საზეიმო სხდომაზე მიმავალი აკაკის ეტლიდან ახალგაზრდობამ ცხენები გამოხსნა, თვითონ შეება შიგ და ისე მიიყვანა პოეტი თეატრში. ზღვა ხალხი ტაშისცემითა და საზეიმო ყიჟინით მიჰყვებოდა მოხუცი აკაკის ამ ტრიუმფალურ მსვლელობას” *[ასათიანი, 1953: 446].*

ეს მართლაც ტრიუმფია, უდიდესი სიყვარულის გამომჟღავნებაა, საყოველთაო აღიარებაა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გასაგებია, როგორი ემოციური დატვირთვით ჩატარდებოდა თავად სიუბილეო საღამო ბათუმში. სხვათა შორის, იგი მხატვრულ-შემოქმედებითი თვალსაზრისითაც კარგად იყო დაგეგმილი და გაფორმებული. თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ აფიშას, რომელიც ჯ. ნოღაიდელის წერილიდან გადმოვიღეთ:

“ქალ. ბათუმი
XVI ქართული საღამო
14 იანვარს, 1909 წ.

პროგრამა

I განყოფილება

1. ქართველი საზოგადოების სახელით მისალმება აკაკი წერეთელს.

[12] 1908 წლის 14 დეკემბერი.

2. მისალმება რუსულად.
3. აკაკის პატივსაცემად ფალიაშვილის მიერ შედგენილ "მრავალჟამიერს" იმღერებს ხორო ხ. ს. კსენოფონტოვის ლოტბარობით.
4. "სიმღერა" და "პატარა მურია" – ლექსი აკაკისა, წაიკითხავს კალანდაძე.
5. "მუშის ნატვრა" და "მგელი და კრავი" – მისივე, წაიკითხავს ქარცივაძე.
6. ქართულ ხმებს: "მოდის გემი", "მუმლი მუხასა", "ვახტანგ მეფე", "ჩუხჩუხით ჩამორბოდა", "დღეს მერცხალი შემოფრინდა" – იმღერებს ხორო ხ. ს. კსენოფონტოვის ლოტბარობით.

II განყოფილება
"პატარა კახი"
ისტორიული დრამა აკაკის – ქუთაისის დრამატული დასი.

III განყოფილება
"დივერსიმენტი"
დამსახურებული არტისტის ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით და "ლეკური", "ევროპული ცეკვა", "ლეკური" და "უზუნდარა".

დასაწყისი საღამოს 9 საათზე
ბეჭდვა ნებადართულია
სტამბა ს. მ. შმაევსკისა"

[ნოდაიდელი, 1971: 197].

ვფიქრობთ, საკმაოდ კარგად შერჩეული და მრავალფეროვანი პროგრამაა. ხოლო რა სულისკვეთება და განწყობა იქნებოდა გაბატონებული დარბაზში, ეს ადვილი წარმოსადგენია.

საინტერესოა, რა იყო მიზეზი ასეთი საყოველთაო აღტკინებისა? რა ძალამ აიძულა ქართველი ერი ასე ერთხმად, ერთსულოვნად, მთელი ემოციურობით დახარჯულიყო თუნდაც ყველასათვის უსაყვარლესი შემოქმედისა და მოღვაწის საიუბილეო დღეებში?

როცა ამ კითხვას ვსვამთ, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს აკაკი არ იმსახურებდა ასეთ აღიარებას და ეს გვაოცებს.

არა და არა!

აკაკი, სწორედაც, რომ ღირსი იყო ასეთი პატივისცემისა, რასაც ყველა გრძნობდა და, გარკვეულწილად, მანამდეც გამოხატავდნენ ამას. ჩვენ ის გვაკვირვებს, რომ ქართველმა ერმა ასე ერთხმად, მთელი თავისი შემადგენლობით აღიარა ეს, და არა თუ მხოლოდ აღიარა, მთელი სულითა და გულით, უდიდესი ემოციურობით მსოფლიოს დასანახად გაუკეთა დემონსტრირება ამ

აღიარებას და თვალშეუდგამი დიდების კვარცხლბეკზე აიყვანა საქართველოსთვის გულანთებული პოეტი.

ჩვენდა სამწუხაროდ, ღირსეული თვისტომის მის სიცოცხლეშივე დამსახურებულ აღიარებას იშვიათად ვახერხებთ ქართველები.

საოცარი და სასიხარულო სწორედ ის არის, რომ აკაკის მიმართ ერმა დასძლია ეს ცუდი კომპლექსი და თავის ღირსეულ შვილს სიცოცხლეშივე არგუნა დამსახურებული აღიარება, თანაც როგორი აღიარება – ყოვლისმომცველი და საყოველთაო!

ვფიქრობთ, თავისი როლი ამ საქმეში, აკაკის პირად დამსახურებებთან ერთად, ცოტა ხნით ადრე, 1907 წელს საქართველოში დატრიალებულმა ტრაგედიამაც ითამაშა.

აკაკისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში მკვლევარი ლ. ასათიანი საინტერესო შედარებას აკეთებს. იგი წერს:

"რამდენადაც დიდი იყო ქართველი ხალხის მწუხარება ილია ჭავჭავაძის სიკვდილის დღეებში, იმდენად უფრო მეტი სიხარული გამოხატა მან აკაკის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის დროს.

ეს სიხარული და ზეიმი რაღაც ხაზგასმულ, დემონსტრაციულ ხასიათს ატარებდა" ***[ასათიანი, 1953: 441].***

სწორედაც, რომ ასე იყო. სწორედ ილიას სიკვდილმა აგრძნობინა ქართველებს, რომ ერის ღირსეული შვილის დაფასება, იგივე ერის ღირსების დაფასებაა და ეს დაფასება, მთლიანობაში, ერს უფრო სჭირდება, ვიდრე მის ცალკეულ წევრს.

ვინ იყო და რა იყო ილია ქართველობისათვის, ყველასათვის ნათელია.

ილიამ სულიერად შეკრა და შეადუღაბა დაქსაქსული ქართველობა. თითქმის ჩამკვდარი ეროვნული თვითშეგნება გააცოცხლა, მიძინებული ეროვნული თავმოყვარეობა გააღვიძა. სიტყვითა და კალმით შეებრძოლა ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფო მანქანას და ქართველთა დეგრადაცია-ასიმილაციის საშუალება არ მისცა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილიამ სახელმწიფოებრიობადაკარგული ქართველი ერისათვის სახელმწიფოს ფუნქცია შეასრულა და დაშლას გადაარჩინა იგი. ამიტომაც დგას ილია დავით აღმაშენებელის გვერდით.

ასეთი ილია ქართველებს ქართველებისავე ხელით მოგვიკლეს. მისმა სიკვდილმა უდარდელა ქართველები სულით-ხორცამდე შესძრა. საკუთარი მომავლისადმი შიშმა, უდიდესი დანაკარგით გამოწვეულმა სინანულმა და საშინლად შეურაცხყოფილი ეროვნული თავმოყვარეობის შეგრძნებამ მოიცვა იმდროინდელი ქართული საზოგადოება. ქართველებს ღირსეული პასუხი უნდა გაეცათ ამ დიდი დარტყმისათვის და გასცეს კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული არასრულფასოვნების შეგრძნება გაგვანადგურებდა შინაგანად.

ქართველთა ეროვნული აღტკინება და სულიერი აფეთქება ილია ჭავჭავაძის ღირსეული თანამებრძოლის, დიდი ქართველისა და ერის ჭეშმარიტი სულიერი მედროშის – აკაკი წერეთლის სიყვარულსა და საყოველთაო აღიარებაში განივთდა, განსხეულდა და მძლავრ ეროვნულ ენერგიად გადმოიღვარა. ამ ენერგიამ ილიას სიკვდილით სულში ჩაფურთხებულ ერს ეროვნული თავმოყვარეობის დაქვეითებისა და სულიერი დაცემის საშუალება არ მისცა.

როცა აკაკის ეფერებოდა, სწორედ მის არსებაში იმ დღეებში განსხეულებულ ეროვნულ თვითშეგნებასა და თავმოყვარეობას ეფერებოდა ქართველი კაცი. დიდება აკაკის, რომ თავისი კაცურ-კაცობითა და კარგი ქართველობით, თავისი პიროვნული ღირსებებით ამისი საშუალება მისცა ქართველ ერს. პიროვნება თვითონ უნდა ყოფილიყო დიდი, თავისი არსებით ასეთი დიდი მიზნის მიღწევის საფუძველი რომ გამხდარიყო.

სხვათა შორის, რაღაც თვალსაზრისით, აშკარა პარალელების გავლება შეიძლება აკაკის საიუბილეო დღეებსა და 1956 წლის მარტის ცნობილ მოვლენებს შორის.

ამდენად, 1909 წლის 14 იანვრის აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ბათუმში – ეს იყო ორგანული და განუყოფელი ნაწილი იმ თავისებური, ზოგად-ეროვნული მოძრაობისა, რაც იმ დღეებში მიმდინარეობდა სრულიად საქართველოში გასაოცარი ერთსულოვნების ფონზე, და რასაც აკაკი წერეთლის ღვაწლის დაფასებასთან შერწყმული ეროვნული თავმოყვარეობისა და თვითშეგნების მძლავრი გამოვლინება ედო საფუძვლად. ამ საერთო-ქართულ ღონისძიებაში ღირსეული მონაწილეობით ბათუმმა და, ზოგადად, აჭარა-შავშეთ-კლარჯეთმა თავისი ადგილი და როლი დააფიქსირა იმდროინდელი საქართველოს ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბულაძე, 1992: – აბულაძე ს., მცირე მოგონება, გაზეთი "აჭარა", 1992 წლის №104 (18 ივნისი).

ასათიანი, 1953: – ასათიანი ლ., ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბილისი.

ბარამიძე, 2001: – ბარამიძე შ., ბათუმელი დეპუტატები აკაკის იუბილეზე, ჟურნალი "ლიტერატურული აჭარა", 2001 წლის №8.

ზოიძე, 2014: – ზოიძე შ., თეთრი ქალაქი (პოემა), "უქიმერიონი" (მწერალთა და ხელოვანთა გაზეთი), 2014 წლის №1-2.

"ივერია", №10, 1897: – წერილი ბათუმიდან, გაზეთი "ივერია", 1897 წლის №10.

"ივერია", №№10-37, 1898: – გაზეთი "ივერია", 1898 წლის №№10-37.

"ივერია", №№12-40, 1902: – გაზეთი "ივერია", 1902 წლის №№12-40.

კლდიაშვილი, 1984: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.

ნოღაიდელი, 1971: – ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, I, კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები ლექსიკონითურთ დაურთო პროფ. იოსებ მეგრელიძემ, ბათუმი.

სურგულაძე, სურმანიძე, 1990: – სურგულაძე ა., სურმანიძე რ., შუქი ნათლისა, ბათუმი.

Oleg Jibashvili, Khatuna Diasamidze
(Batumi, Georgia)

Anniversary Evening of Akaki Tsereteli in Batumi

Summary

In 1908, the Georgian Nation celebrated the jubilee of honored and loved Poet Akaki Tsereteli. They marked the 50th anniversary of his professional and public activities. The Jubilee days turned into the national holiday. The warmth, sincere love and respect of the nation revealed to the specific person covered the unprecedented scopes.

The jubilee evenings were held in different cities of the country in turns. In Batumi Akaki Tsereteli's Jubilee was marked on 14 January 1909. At the railway station, many people met Akaki Tsereteli with flowers and ovations. The youth-drawn cab took Akaki Tsereteli to the destination. The jubilee evening was held solemnly. Like the whole Georgia, Batumi expressed the great respect and love to the dear poet.

The authors claim that the greatness of the jubilee was due to the personality of Akaki Tsereteli as well as the fact that the Georgian Nation wanted to restore the overwhelmed national pride caused by the assassination of Ilia Chavchavadze.

რომან აბაშიძე
(ბათუმი, საქართველო)

ერთი ეპიზოდი ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიიდან

აჭარა, როგორც სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, უძველესი დროიდან იზიარებდა ქართველი ტომების ისტორიულ ხვედრს. მას არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ცალკე ისტორია.

თავისი დიდი მატერიალური და სულიერი კულტურის საგანძურით აჭარა ყოველთვის წარმოადგენდა სრულიად საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ კუთხეს. სამწუხაროდ, ოსმალეთის იმპერიამ, ისარგებლა რა საქართველოს დაქსაქსულობით, საუკუნოვანი მძიმე ბრძოლების შემდეგ მაინც შეძლო დაეპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო და მისი შემადგენელი ნაწილი – აჭარა და დაემკვიდრებინათ აქ ქართველებისათვის უცხო, ოსმალური მმართველობის სისტემა.

ჩვენი მხარის დაპყრობის შედეგად ძალად თავს მოხვეულმა, აჭარისათვის უცხო ოსმალური მმართველობის წესებმა, სარწმუნოებამ და საგანმანათლებლო სისტემამ შეაფერხა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული განვითარება; დაირღვა ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ხალხის სრულყოფილი გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის აუცილებელი სწავლება და აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე, ხალხის სულიერი კულტურა ყალიბდებოდეს ეროვნულ ტრადიციებზე.

აჭარას, დედა-საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, მაინც მძიმე პირობებში უხდებოდა მიყენებული ჭრილობების მოშუშება, რადგან იგი ახლა აღმოჩნდა რუსეთის ბატონობის ქვეშ, რომელსაც, როგორც ყველა დამპყრობელს, არარად მიაჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული პრობლემების მოგვარება და ხელშეწყობა. არსებული რეალობიდან გამომდინარე კი საჭირო იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღდგენა, რაც, უმეტესწილად, განათლების სფეროს უნდა ეკისრა.

ოსმალთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარაში დანერგა მაჰმადიანური სასკოლო განათლების სისტემა, რომელიც გაოსმალება-გათურქების იარაღად იქცა. ასევე ცარიზმიც, აქ შემოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ, ცდილობდა განათლების სისტემა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისათვის გამოეყენებინა და ამ მიზნით რუსული სკოლები გაეხსნა. პარალელურად, რუსეთი ცდილობდა ხელი შეეშალა ქრისტიან და

მაჰმადიან ქართველთა შეკავშირებისათვის. ამის გამო იგი არა თუ არ ზღუდავდა მაჰმადიანური სასკოლო განათლების კერებს, არამედ მედრესეების რაოდენობის ზრდასაც კი უწყობდა ხელს, როგორც აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების განმტკიცების შემაფერხებელ საშუალებას.

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთანავე, საქართველოში ფართო მოძრაობა გაიშალა „ბედისაგან მივიწყებულ ძმებთან“ გაცნობა-დაახლოება-შეთვისებისათვის და ეს, პირველ რიგში, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელებაში უნდა გამოხატულიყო. ეს იქნებოდა მძლავრი სტიმული ახლადგამოხსნილ ქართველ მუსლიმანთა ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და კულტურული პროგრესის საქმეში.

ისლამური სამყაროს რეაქციული წრეების წარმომადგენლები კვლავაც ცდილობდნენ ისლამიზაციის პროცესის გაღრმავებას, მეფის რუსეთის ჩინოვნიკები კი გარუსებას. ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მოწინავე ქართული ინტელიგენცია ერთ მუშტად იკვრება, რათა ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინა აჭარისათვის. განუზომელია ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა ღვაწლი.

აჭარაში სკოლების გახსნის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“.

აღნიშნულმა საზოგადოებამ პირველად ბათუმში, 1881 წლის მარტში დააარსა ქართველი მაჰმადიანებისათვის პირველი ქართული სკოლა – ორკლასიანი სასწავლებელი. იაკობ გოგებაშვილი და მისი თანამოაზრეები ფიქრობდნენ, რომ ის უნდა ყოფილიყო „ღვიძლ ძმათა შორის კავშირის განახლების გზა“, ეროვნული სასკოლო განათლების სფეროში „პირველი მერცხალი“. თუმცა ეს სკოლა თავდაპირველად თავის ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებდა. იაკობ გოგებაშვილი ამის შესახებ გულდაწყვეტილი წერდა:

„სკოლის დანიშნულება დიად მაღალი და მიმზიდველი იყო, და „წერა-კითხვის საზოგადოებას“ არ დაუზოგავს არაფერი, რათა ბათუმის სკოლა ამ დანიშნულებას მოსწეოდა.

საზოგადოება იყო ღარიბი ფულით, მაგრამ ამ სკოლაზედ კი სწევდა იმოდენა ხარჯსა, რომლის გაღებას მხოლოდ მდიდარი საზოგადოება გაჰბედავს... საერთოდ რომ ვსთქვათ, „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ბათუმის სკოლის შენახვაზედ მის დაარსებიდან აქამომდე დაუხარჯავს 20 000 მანეთზე მეტი. კარგი მშობლიური ზრუნვა არ გახლავთ, განა? ხოლო ნაყოფი სრულიად არ შეეფერება ამოდენა ხარჯსა და ზრუნვას“ [გოგებაშვილი, 1940: 59-60].

ბათუმის პირველი ქართული სკოლის შესახებ ბევრი დაწერილა. გ. ნიორაძემ წიგნიც მიუძღვნა მას. ეს თემა მომდევნო

წლებში სიღრმისეულად იქნა შესწავლილი. გაშუქდა ყველა იმ პიროვნების დამსახურებაც, ვისაც თავისი წვლილი შეუტანია ამ საშვილიშვილო საქმეში. ამიტომაც, ძალიან რთულია აღნიშნულ საკითხს რაიმე შესძინო. თუმცა, ჩვენ მაინც გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ უცნობ, საინტერესო ეპიზოდზე ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიიდან, რომელიც ხაზს უსვამს ქართველი ქრისტიანი სასულიერო პირების დაინტერესებას აქ მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც აღწერილია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის, გრიგოლის სტუმრობა პირველ ქართულ სკოლაში. ეპისკოპოსი აჭარაში ჩადის მაშინ, როცა მოსახლეობაში ისლამური ფანატიზმია გაბატონებული, როცა მეზობელი ოსმალეთის შორსგამიზნული პოლიტიკით ინტენსიურად ხდებოდა რელიგიისა და ეროვნების გაიგივება, რითაც ისლამი თავისი ზემოქმედების არეალში აქცევდა აჭარის მოსახლეობის ცნობიერებას.

რელიგიურ (ისლამურ) ფანატიზმს რომ აჭარის მოსახლეობის ფართო ფენებში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული, ადასტურებს დიმიტრი ბაქრაძეც. იგი წერს: **„ყველაფერს, რასაც კავშირი აქვს სხვა რელიგიასთან, უყურებენ სიძულვილით... ცხოვრება ყურანის მიხედვით, აი რა იზიდავს მაჰმადიანს, აი, რას თვლის თავისი სულისა და ხორცის ერთადერთ მოთხოვნილებად. აჭარასა და ჩურუქსუში რაზედაც არ უნდა წამოიწყო ლაპარაკი, მათ გადააქვთ საუბარი რელიგიურ თემებზე“** ***[Бакрадзе, 1874: 27].***

არსებული სიტუაციის მიუხედავად, გურია-სამეგრელოს მღვდელმთავარი პატრიოტული მისიით მოგზაურობს აჭარაში. **„ბათუმში ჩამოსულა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი. როცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებულ სკოლაში შესულა, ასე მიუმართავს მოსწავლეებისათვის: „თქვენ, შვილებო, ჩვენი ძველებური ძმები ხართ, ეს მხარე ძველადვე ძალდატანებით მოაშორეს საქრისტიანო მხარეს, საქართველოს და გაამაჰმადიანეს; ამას თქვენც გაიგებთ, თუ ისწავლით გულისმოდგინედ. მხოლოდ სწავლა შეგვაერთებს ორს დიდის ხნით დაკარგულს ძმებსაო... “** – აღნიშნავს იმდროინდელი პრესა ***[ხუმარა, 1886].***

ეპისკოპოსმა კარგად იცოდა თუ რა რთულ პირობებში უწევდა პირველ ქართულ სკოლას მუშაობა. ქართველი ინტელიგენციის მსგავსად, იგი დაინტერესებული იყო პასუხი გაეცა კითხვაზე: რატომ ვერ ასრულებდა ეს სკოლა დაკისრებულ მისიას? ის არ შემოფარგლულა მაჰმადიანი ქართველი შეგირდების დამოძღვრითა და განათლების მიღების საჭიროებაზე საუბრით. მას კარგად მოეხსენებოდა, რომ როგორც აჭარაში არსებულ მედრესეებში, ისე აღნიშნულ ქართულ სკოლაში, სწავლების პროცესს უმეტესწილად წარმართავდნენ უაღრესად

დაბალი მეცნიერული ცოდნის მქონე მოლები. სასულიერო პირები – ხოჯები და მოლები, რომლებიც ვერ ფლობდნენ ვერც სათანადო ცოდნას, ვერც იმ ორიგინალურ მეთოდთა სისტემას, რაც უზრუნველყოფს საერთო წარმატებას განათლების სისტემაში, მასწავლებლებად, ბუნებრივია, ვერ ივარგებდნენ. ეპისკოპოსი დაინტერესდა არსებული პრობლემებით და შეეცადა აღნიშნული ფაქტების სისწორეში პრაქტიკულად დარწმუნებულიყო. ამიტომაც, **„კვალად მაჰმადიანებს მიმართა ყოვლად უსამღვდელო გრიგოლმა, წააკითხა „ყორანი.“ მაჰმადის რჯულის ხოჯას სთხოვა გადაეთარგმნა ის ადგილი „ყორანისა“, რომელიც ყმაწვილებმა წაიკითხეს, მაგრამ ხოჯამ ვერ გადათარგმნა, რადგანაც არაბულად არის დაწერილი „ყორანი...“** ***[ხუმარა,1886].***

ეპისკოპოს გრიგოლს კარგად მოეხსენებოდა, რომ მოლა, რომელიც არც ღირსეული პიროვნული თვისებებით, არც ბავშვის სულიერ სამყაროში წვდომის უნარით და არც განათლებულობით არ იყო დაჯილდოებული, სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში წარმატებას ვერ მიაღწევდა.

ერთის მხრივ, ისლამური ფანატიზმი, ხოჯა-მოლათაგან სწავლულობის დაბალი დონე, მათ დიდ ნაწილში ეროვნული შეგნების დეფიციტი, მეორეს მხრივ, ცარიზმის ანტიეროვნული პოლიტიკა, რუსული საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც მიზნად ისახავდა აჭარის მოსახლეობის ეროვნული შეგნების ჩახშობას – ერთობლიობაში უარყოფითად აისახებოდა ბათუმის პირველი ქართული სკოლის ნორმალურად ფუნქციონირებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში გახსნილ პირველ ქართულ სკოლებს თურქულ მედრესეებსა და იმპერიული რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ სასწავლო დაწესებულებების წინააღმდეგ უხდებოდა ბრძოლა წარმატების მოსაპოვებლად, ქართველი ინტელიგენციის, აჭარაში მოვლინებული პატრიოტი და განათლებული პედაგოგების, ცნობილი სასულიერო პირების დიდი ზრუნვით, ქართულმა სკოლამ ორი ათეული წლის განმავლობაში მაინც შეძლო აჭარის მკვიდრთა ნდობის მოპოვება, რამაც განაპირობა აქაური მოსახლეობის ეროვნული შეგნების განმტკიცება და კულტურული დაწინაურება.

გამოყენებული ლიტერატურა:

გოგებაშვილი, 1940: – გოგებაშვილი ი., რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, II, თბილისი.

ხუმარა, 1886: – ხუმარა, დაბა და სოფელი, გაზ. ივერია“, №107, 1886.

Бакрадзе,1874: – Бакрадзе Д., Краткий очерк Гурии,Чуруксу и Аджарии, С-Петербург.

Roman Abashidze (Batumi, Georgia)

One Episode from the History of the First Georgian School in Batumi

Summary

The Georgian intelligentsia recognised that the first Georgian school in Batumi should be a powerful tool to strengthen the national awareness of local residents after the release of Ajara from Ottomans' three years domination. A similar position was held by the Georgian elesiastics. Bishop Gregory's visit at this school is the bright confirmation of this.

თამარ გოგოლაძე
(გორი, საქართველო)

"თეთრი ქალაქის" ხილვები შოთა ზოიძის პოეზიაში

ურბანისტული თემა არაიშვიათად დომინირებს გასული საუკუნის თუ თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ესა თუ ის ქალაქი იპყრობს მნახველს თავისი სპეციფიკითა და უბრალოებით. ქართულ გამორჩეულ ქალაქთაგან (თბილისი, ქუთაისი, გორი) ბათუმს განსაკუთრებით „წყალობს" პოეზია, თუ პროზა. ბათუმის განუმეორებლობა ორი საუკუნეა იპყრობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა და სტუმრების ყურადღებას. რომანტიკული განწყობილების საფუძველი შავიზღვისპირეთია და „თეთრი ქალაქი", რომელიც მეტი აქცენტით დომინირებს ქართველი პოეტის შოთა ზოიძის პოეზიაში. ბუნებრივია, მის დაბადებამდე, ჭაბუკობის დროს თუ სადღეისოდ ბათუმი არაერთი პოეტისათვის გამხდარა პოეტური შთაგონების წყარო. თავად შოთა ზოიძე მამია ვარშანიძეს მიიჩნევდა ბათუმის პირველ მენესტრელად:

„დანარჩენი ვართ ყველანი მესამე,
ბათუმის პირველი მენესტრელი ის არის"

[ზოიძე, 2012: 479]

ბათუმის პეიზაჟი წელიწადის სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ამინდში განსხვავებულია. მხატვარი მას აღიქვამს წვიმის მრუმე ფერებში გახვეულს, ჩამობინდულს ან მაგნოლიის, სურნელოვან მოყვითალო ყვავილივით გადაშლილს, ან თეთრ-ტალახნარევი ფიფქით გაწყობილს. პოეტისათვის ის „თეთრი ქალაქია", თეთრი, უმანკო აისსა თუ დაისში მოციმციმე, არა ქათქათა ელფერით, არამედ თეთრი, ოღონდ თბილი ელფერის თეთრი ქალაქი, რომლის სილამაზე მისი ძველი ქუჩებია, გასახვევგამოსახვევები, პლაჟისა ან პორტისაკენ გამავალი, აბორცვილ მწვანე ქედებისაკენ მიკლაკნილი და ზოგჯერ უცნობი, ფანერითა თუ თუნუქით აშენებული ქოხმახებით, რომელთა ღია კარებიდან შემწვარი თევზის სუნი შეგეგებება, მაგრამ ეს პეიზაჟია. ვნახოთ როგორია იგი პოეტთან, შოთა ზოიძესთან, რომლისთვის ბათუმი ჰაერია, ბათუმი წვიმის წვეთებია, ბათუმი მზეა და თეთრი ღამე თუ შავი დღე...

1962 წელს დაწერილ ლექსში „ბათუმი" საოცნებო ქალაქი განთიადის ალმოდებული ცით ხასიათდება, ტალღებს ჩაკონებული მზითა და თბილი წვიმით თუ თოვლით სულის ამავსებელი. აქ შეიგრძნობს პოეტი ნაღდ სიყვარულს ქალაქისადმი:

„მიყვარს ბათუმის ცა მიამიტი,
მისი ჯადო და მისი თილისმა...
მე ცოცხალი ვარ ქვეყნად იმიტომ,
რომ სიყვარულმა მომკლას იმისმა".

(„ბათუმი") *[ზოიძე, 2012: 67]*

ეს ჭაბუკობისდროინდელი ლექსია, პირველი აღტაცებით და პირველი შეგრძნებებით. მაგრამ საქართველოდან შორსმყოფი პოეტისათვის ცხადი ხდება, რომ ისაა ერთდაერთი და განუმეორებელი:

„მე სულ შენი ვარ აწი,
ვარ შენი ღია კარი,
გინდა – კოცონზე დამწვი,
გინდა – ჯვარს გამაკარი“.

(„ბათუმის მონატრება მოსკოვში“ – 1983 წ.)

[ზოიძე, 2012: 205]

პეიზაჟი და მისი ბუნების აღწერა თითქოს ქალაქის გარეგნობით გამოწვეული განცდაა, ის ღრმავდება, ბათუმის სიხარული თუ ჭირი პოეტის გრძნობის თანაზიარი ხდება, მის სულში იჭრება. და აი თეთრი ქალ-ქალაქი ამოტვიტივდება პოეტის შემოქმედებაში უკვე პოემად „თეთრი ქალაქი“ (2013-2014 წლები). აქ ბუნება-განცდა ერთიანდება უზარმაზარ სიყვარულში, რომელშიც პოეტი ხარობს მისით და გული ეწურება მისი ტრაგედიით. ეს ტრაგედია ქართული გენის თანამდევარია, დაპყრობა, განადგურება, აღორძინება, ღალატი და ერთგულება. პოემა „თეთრი ქალაქი“ უსიუჟეტოა თითქოს, მაგრამ სიუჟეტი ხომ ქალ-ქალაქის ტრაგიკული ისტორიაა დაარსებიდან დღემდე, სისხლნაპკურები და პოეტის ბედთან გაიგივებული. ამიტომ პოემის მთავარი ლირიკული გმირი თავად პოეტია, რომელიც შემსწრეა მისი ისტორიისა და აწმყოსიც. თუმცა წარსული ხანგრძლივია, აწმყოც დაუსრულებელი, ლირიკული გმირი ყველაფერს გრძნობს, ყველაფერს იღებს. ამიტომ იქცევა თეთრი ქალაქი ხანდახან გაუცხოებულ, ხან კი ძალზე ახლობელ სატრფოდ.

პოემა „თეთრი ქალაქი“ შედგება ტრადიციული შესავლის, დასასრულის და 13 თავისაგან. ზოგიერთ თავს ეპიგრაფი წაემძღვარება, როგორიცაა: „ქალაქი – მთელი ქვეყნის ფანჯარა, აღმოსავლეთით და დასავლეთით“ (გალაკტიონ ტაბიძე), „და ატორტმანდა ჩვენი ბათომი, ჩვენი ბათომი მაისის ხვედრი“ (პაოლო იაშვილი) და სხვ. წამძღვარებანი ქალ-ქალაქის წინამორბედი პოეტების მიერ მეტაფორული „გახსნაა“, რომლის „დასაბუთება“ უკვე თვით თავშია მოცემული

„მეც ჩინებურად მოვიკალათე
და ვწერ პოემას თეთრი ქალაქის,
რომ მისი ერთი ვარ მოქალაქე,
რომ ამ პოემას ესე დავარქვი“.

(„თეთრი ქალაქი“) ***[ზოიძე, 2012: 461]***

ზმანება თეთრი ქალაქისა თან დასდევს პოეტს, რადგან იგი მასშია და ლირიკული გმირიც მისი ნაწილია, ორგანული, განუყოფელი თვით ქალ-ქალაქისა. ასე დადის პოეტი მკითხველთან ერთად თეთრი ქალაქის თეთრი ქუჩებით, რათა

შეიგრძნოს და შეაგრძნობინოს მკითხველსაც, რას განიცდის პოეტი და რას გრძნობს მკითხველი.

კონტრასტებია მეორე თავის დასაწყისში: შავი ზღვა და თეთრი ბათუმი. ეს წარმოსახვითი კონტრასტებია: არც ზღვაა „შავი“ და არც ქალაქი – „თეთრი“. ეს პოეტში გარდასახული ფერებია მაშინ, როდესაც „ფინჯანი ყავა, ცხადია – შავი“, თეთრი გედები, თეთრი ნიჟარები და თეთრი ქალაქი, რომელსაც „ცერბერი“ დაპატრონებია სისხლიანი დროშით. თავი „მე და შენ“ ქალაქისა და პოეტის შერწყმაა, როდესაც

„მე შენ გიხილე ცეცხლში მძინარე
და ჩემი თავი შემოგთავაზე“.

(„თეთრი ქალაქი“) *[ზოიძე, 2012: 465]*

მაგრამ გაუჭირდა ქალაქს ისე, რომ

„ღამეა თეთრი, როდესაც ბნელა,
დღისით რომ ბნელა, თეთრია ღამე“.

(„თეთრი ქალაქი“) *[ზოიძე, 2012: 467]*

კვლავ იჭრება წარსული, მარინსკაიას ქუჩაზე ილიას სტუმრობისა, რომელიც მტკივნეულია პოეტისათვის, რადგანაც გაქრა ძველიც და მისი ნაშთიც და მაშინ:

„ვიგრძენ ვიღაცა წარსულს მპარავდა
და საქართველო დაპატარავდა“

(„თეთრი ქალაქი“) *[ზოიძე, 2012: 469]*

აკაკის ბათუმში სტუმრობის გახსენება კი სინანულია დიდი პოეტისადმი თაყვანისცემის ტრადიციის მივიწყების გამო. აქ უცებ, მეშვიდე თავში, წარმოჩნდება თავად ლირიკული გმირიც, პოეტი, რომელიც თავს იწონებს ბათუმელობით.

მადლიერების გრძნობა არასოდეს დაკლებია პოეტს. დიახ, ბათუმი ქალ-ქალაქი, დედაცაა მისთვის, მშობელი, რომელმაც პოეტად აქცია. ეს იყო დიდი რწმენის სიმბოლოც.

„რადგან არ იყო ეს უმთავრესი,
არც უკეთესი, არც უარესი,
მე მქონდა რწმენა და მას დავარქვი
ბათუმი – ჩემი თეთრი ქალაქი!“

(„თეთრი ქალაქი“) *[ზოიძე, 2012: 472-473]*

ჩოლოქთან მოვლენები უეცრად იელვებს პოეტის ცნობიერებაში:

„აქვე ბაღია, მწვანე ედემი,
მგოსნებმა ლექსი უძღვნეს რამდენი,
ჩოლოქთან შავი ღამე თენდება,
ჩოლოქთან თეთრი დილა ღამდება“.

(„თეთრი ქალაქი“) *[ზოიძე, 2012: 475]*

„მოჭრილი მკლავი“ ასოციაციაა არსაკიძის მოკვეთილი კლავისა, რომელიც მშვიდობიან გარემოში ცხოვრობს:

„თითქოს მომირჩა მოჭრილი მკლავი
და მოსაჭრელი მეწვის და მტკივა“

(„თეთრი ქალაქი“) *[ზოიძე, 2012: 478]*

უფლის წყალობაა მართლაც ბათუმის მენესტრელთა გახსენება, მადლიერებით, სიყვარულით და გენის აღორძინების მცდელობით...

კვლავ იკვეთება დასასრულში პოეტის განუყოფლობა მშობლიურ ქალაქთან, იგი ნაწილია ქალაქის, მადლიერი, რომ მის მგოსნად იქცა, ქალაქსაც უყვარს იგი და ეს ერთობლივი განცდა ერთ მთლიანობად აქცევს ორივეს. „თეთრი ქალაქი“ ბათუმიცაა და მისით შთაგონებული პოეტიც. ეს მარადიულობაა და პოემაც ერთგვარი საგალობელია. პოემის მხატვრული აქსესუარები განუყოფელია აზრთან. ულამაზესი პოემა თითქოს გაზაფხულივით მშვენიერია პოეტურ სიტყვაში აჟღერებული.

ქალაქი, ქალ-ქალაქი კი მარადის რჩება მისი მონატრებით გულაძგერებული პოეტისათვის.

პოემა შევიდა შოთა ზოიძის რჩეული ნაწერების ორტომეულის I ტომში. მისი პოეტური სტილის, მხატვრული ხერხების ანალიზი ცალკე შესწავლის საგანია. წინამდებარე სტატიაში კი ვცადეთ წარმოგვედგინა „თეთრი ქალაქის“ ხილვები მისი მენესტრელი პოეტის შემოქმედებაში, რომელიც ნაწილია ბოჰემისა და „მელექსეთა ჰამქრისა“, თავის საყვარელ ქალაქს რომ უძღვნეს საგალობელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

გვეტაძე, 2015: – გვეტაძე ომარ, “თეთრი ქალაქის” მენესტრელი, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 17 აპრილი, 2015.

ზოიძე, 2012: – ზოიძე შოთა, რჩეული ნაწერები ორ ტომად, I, ბათუმი.

Tamar Gogoladze (Gori, Georgia)

The Shadows of “White City” in Shota Zoidze’s Poetry

Summary

Urban theme in poetry is often interesting and romantic part, without it the "Creation curve" becomes fragmented. There are several cities in Georgia, to which the poets have dedicated poems "nourished by the blood of their hearts". One of such cities is Batumi, which has gained the name of “White City” in the creative work of an Adjara poet Shota Zoidze. Besides the poems dedicated to Batumi created in different periods (1970, 1983, 1994),the poem "The White City" is the most significant. Itsreal and night dream shadows are merged with the poet’s soul. The thematic review is an attempt to present the article.

სოფიო თავაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის კინემატოგრაფიული ცხოვრების ისტორიიდან – კინოთეატრების დაარსება და განვითარება

კინემატოგრაფის ნიმუშები ქართველმა საზოგადოებამ პირველად თბილისში იხილა, 1896 წლის ნოემბერში, რასაც ადასტურებს გაზეთ "ცნობის ფურცელში" გამოქვეყნებული განცხადება სათავადაზნაური თეატრში "ლუმიერების ცოცხალი ფოტოგრაფიული სურათების" ჩვენების თაობაზე ***[ხარატიშვილი, 1975: 3]***. მას შემდეგ კინოსეანსებს სისტემატიური ხასიათი მიეცა. 1904 წლიდან დედაქალაქში, შემდეგ კი საქართველოს სხვა ქალაქებში ფუნქციონირება დაიწყო კინოთეატრებმა.

ბათუმში ყველაზე ცნობილი და პრესტიჟული კინოთეატრი იყო "აპოლო". საარქივო მასალებში არსებულ წერილში, რომელიც 1909 წლის 18 ნოემბრითაა დათარიღებული, ნიკოლოზ ბროვალი მიმართავდა ქალაქის იმჟამინდელ მერს, ივანე ანდრონიკაშვილს, მარინეს პროსპექტზე მიწის ნაკვეთის გამოსაყოფად, რათა კინოთეატრი აეგო ***[აცსა, ფ. ი-7, აღ. 1, ს. 477]***. ქალაქის თვითმმართველობამ დაამტკიცა კინოთეატრის პროექტი, რომელსაც "აპოლო" ეწოდა ("აპოლო" კინოთეატრების ქსელი იყო და იგივე სახელწოდების კინოთეატრი უკვე თბილისშიც არსებობდა). საარქივო მასალები არ გვამცნობენ შენობის პროექტის ავტორისა და არქიტექტორის ვინაობას. ასევე უცნობია კინოთეატრის მშენებლობის დაწყებისა და გახსნის ზუსტი თარიღი. სავარაუდოდ, იგი 1910 წელს უნდა გახსნილიყო. ვინაიდან, ბათუმელი ფოტოგრაფის, მიხეილ გლაუდანის 1911 წლის იანვრით დათარიღებულ ფოტოზე უკვე ჩანს "აპოლოს" შენობა. "აპოლო" იყო პირველი სტაციონარული კინოთეატრი, **"საუკეთესო სათეატრო შენობა მთელს ბათუმში, მუდამ სუფთა და ახალი ჰაერით, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა ჯანმრთელობისთვის"** ***["ბათუმის გაზეთი", 1911 (სტილი დაცულია)]***.

იმ დროს კინოთეატრები კერძო საკუთრებას წარმოადგენდა. "აპოლოს" მფლობელი იყო ნიკოლოზ ბროვალი. იგი მაყურებელს სხვადასხვა ჟანრის ფილმებს სთავაზობდა. კინოსეანსები ყოველდღე იმართებოდა. კინოთეატრს საინფორმაციო მხარდაჭერას ადგილობრივი პრესაც უწევდა. იმდროინდელ პრესაში გვხვდება შემდეგი შინაარსის რეკლამები: **"ელექტროთეატრი "აპოლო". დირექცია ბროვალი და ამხანაგობა. 30 ოქტომბერი, "ცოდვა ცოდვისაგან". დრამა 4 ნაწილათ. ეს სურათი ნაჩვენები იქნება 10 საათის მერმე მხოლოდ მოზრდილთათვის"** ***["ბათუმის გაზეთი", 1915]***. ან კიდევ: **"ელექტროთეატრი "აპოლო" პარასკევიდან ახალი სურათების გარდა აჩვენებს შესანიშნავ, საუცხოვო, სენსაციურ სურათს "დაკრძალვა დიდებული საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის**

დავით სარაჯიშვილისა” ***[“ბათუმის გაზეთი”, 1916 (სტილი დაცულია)].***

მაყურებლის დაინტერესების და მოზიდვის მიზნით, ზოგიერთ აფიშაზე სარეკლამო შინაარსის ტექსტებთან ერთად გვხვდება ფილმის შესახებ ამონარიდი უცხოური პრესიდან. მაგალითად, კინოთეატრ „აპოლოს” ერთ-ერთი აფიშაზე ვკითხულობთ: **„მაცდური სინათლე”. ტრაგედია 8 ნაწილად. დაჩაგრული გული. განსაკუთრებული ანსამბლი. „მაცდური სინათლე” ეს არის ნიშნები სინამდვილესი მთელი მისი სიმახინჯით. ძნელად თუ შეიძლებოდა ასეთი დიდი პსიქოლოგიური ანალიზით ადამიანის გრძნობათა და სულიერ განწყობილებათა წმინდა ნიუანსების განსახიერება. ცნობილი ტრაგიკის რუდოლფ შილდკრაუტის თამაშობა სტოვებს არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას”** (ამონარიდი აფიშიდან, სტილი დაცულია).

თუმცა ბათუმში კინოთეატრების ისტორია “აპოლოთი” არ იწყება. საარქივო მასალებზე დაყრდნობით, უფრო ძველ და, სავარაუდოდ, პირველ კინოთეატრად “ილუზიონი” შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც 1907 წელს რ. ვიდემანმა და კ. სგურიცასმა ბულვარში ააგეს ა. შტენბერგის პროექტით. კინოჩვენებები აქ ყოველდღიურად დღის 5 საათიდან, ხოლო კვირაობით და დღესასწაულებზე დღის 12 საათიდან იმართებოდა. ოთხშაბათობით და შაბათობით პროგრამა იცვლებოდა. აღსანიშნავია, რომ მაშინდელ კინოთეატრებში მხოლოდ ფილმებს არ აჩვენებდნენ, ეწყობოდა კონცერტებიც, საგასტროლოდ ჩამოსული მსახიობები კი თეატრალურ წარმოდგენებს დგამდნენ. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ქალაქის ბულვარში სხვა მფლობელთა კინოპავილიონებიც არსებობდა. მაგალითად, 1908 წელს ქალაქის თვითმმართველობამ დააკმაყოფილა ა. როზეტისა და ნ. ბროვალის თხოვნა ბულვარში ფართის გამოყოფაზე “კინემატოგრაფისათვის პავილიონის ასაგებად”. ბულვარში არსებული კინოპავილიონები დროებით, ხით ნაგებ კონსტრუქციებს წარმოადგენდა ***[აცსა, ფ. ი-7, აღ. 1, ს. 477].***

1908 წლის 19 იანვრით დათარიღებულ საარქივო დოკუმენტში რ. ვიდემანი და კ. სგურიცასი თხოვნით მიმართავდნენ ქალაქის თვითმმართველობას კინოთეატრ “ილუზიონის” გაფართოების მიზნით. მფლობელები აღნიშნავდნენ, რომ შენობაში ბევრი აუთვისებელი სივრცეა, რის შედეგადაც 64 კვ. საჟენი (ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული, ერთი საჟენი უდრიდა 2, 134 მეტრს) ფართობიდან მაყურებელთა დარბაზს უჭირავს მხოლოდ 24 კვ. საჟენი, რაც არარენტაბელურია და “ილუზიონის” მცირე შემოსავალი ვერ ფარავს გაწეულ ხარჯებს. რ. ვიდემანს ამავე სახელწოდების მეორე კინოთეატრიც ჰქონდა ქალაქის ცენტრში, რომლის აგების თაობაზე ნებართვას და დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩაზე (ამჟამინდელი კ. გამსახურდიას

ქუჩა) მიწის ნაკვეთის გამოყოფას იგი 1908 წლის 30 აპრილს სთხოვდა ქალაქის თვითმმართველობას. ბულვარში არსებული ხის კონსტრუქციისაგან განსხვავებით, ეს უკვე ქვით ნაგები და კრამიტით გადახურული შენობა იყო *[აცსა, ფ. ი-7, აღ. 1, ს. 477].*

"ილუზიონის" და "აპოლოს" გარდა, ბათუმში სხვა კინოთეატრებიც არსებობდა: "პალასი" (მ. აბაშიძის და ა. მელაშვილის №31-34, მფლობელი იაკობსონი), "პიკადილი" (კ. გამსახურდიას და შ. რუსთაველის №5-11, მფლობელი რელიგიონი), "ტრიუმფი" (გ. მაზნიაშვილისა და ს. ახმეტელის №7-8, მფლობელი ნ. ბროვალი), "სელექტი" (ღია და დახურული დარბაზებით, შ. რუსთაველის №5, მფლობელი რელიგიონი), "ლირა" (ი. ჭავჭავაძის №13-15, მფლობელი იაკობსონი) *[აცსა, ფ. რ-9, აღ. 1, ს. 131].*

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის 11 ივლისის დადგენილებით, ქვეყანაში არსებული ყველა კინოთეატრი, მთელი მისი ქონებითა და აღჭურვილობით, ჩამოერთვა მფლობელებს და გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად *[აცსა, ფ. რ-9, აღ. 3, ს. 84].*

1931 წელს ბათუმის აღმასკომმა გამოიტანა დადგენილება, ქალაქში ჯერ კიდევ არსებული ბურჟუაზიული სახელწოდებების დაწესებულებებისთვის სახელის გადარქმევის თაობაზე და კომუნისტური სახელწოდებების მინიჭებაზე. აღნიშნული დადგენილების თანახმად, "აპოლო" "ინტერნაციონალად" გადაკეთდა. "პალასს" ეწოდა "კომკავშირელი", "სელექტს" – "ოქტომბერი" და ა.შ. 1932 წლის დადგენილებით, მათ ფასადებიც შეუცვალეს.

ბათუმში კინოთეატრების რაოდენობა არც კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ შემცირებულა. არსებულთა რიცხვს ახალი კინოთეატრები შეემატა. ესენი იყო: "თბილისი" (ნ. ბარათაშვილის და მ. აბაშიძის ქუჩების კვეთა), "ქრონიკა" (შემდგომში "პიონერი", მარჯანიშვილის და დ. თავდადებულის ქუჩების კვეთა), "ბათუმი" (პუშკინის ქუჩა), "რუსთაველი" (ბაგრატიონის ქუჩა), "კომკავშირელი" (ლ. ასათიანის ქუჩა) და სხვა. საერთო ჯამში, საბჭოთა პერიოდში, ბათუმში დაახლოებით 22 კინოთეატრი არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ ბათუმში კინოთეატრის ფუნქცია პარალელურად ჰქონდა შეთავსებული სხვადასხვა კლუბს. კინომოყვარულებისთვის კინოჩვენებები იმართებოდა ყოფილ ოფიცერთა სახლში (მდებარეობდა ე. ნინოშვილის ქუჩაზე), ასევე ე.წ. "მასწავლებელთა სახლში" (მ. აბაშიძის ქუჩა), სადაც აჩვენებდნენ კინოთეატრებისაგან განსხვავებულ, მაღალმხატვრულ კინოპროდუქციას.

90-იან წლებში, ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბათუმის კინოთეატრების ნაწილი დანგრევას ემსხვერპლა, ნაწილი სხვადასხვა დაწესებულებად გადაკეთდა. დიდი კინოტრადიციების

მქონე ქალაქის დღევანდელი რეალობა კი ასეთია: ამჟამად ბათუმში ერთადერთი კინოთეატრი, საუკუნის წინანდელი "აპოლო" ფუნქციონირებს, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში არ შეუცვლია დანიშნულება და აშენებიდან დღემდე კინოთეატრად დარჩა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აცსა, ფ. ი-7, აღ. 1, ს. 477 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, აღწერა 1, საქმე №477.

აცსა, ფ. რ-9, აღ. 1, ს. 131 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-9, აღწერა 1, საქმე №131.

აცსა, ფ. რ-9, აღ. 3, ს. 84 – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-9, აღწერა 3, საქმე №84.

"ბათუმის გაზეთი", 1911 – "ბათუმის გაზეთი", 1911 წლის 3 აგვისტო.

"ბათუმის გაზეთი", 1916 – "ბათუმის გაზეთი", 1916 წლის 17 ივლისი.

ხარატიშვილი, 1975: – ხარატიშვილი გ., ქართული კინოს დაბადება, თბილისი.

Sopio Tavadze (Batumi, Georgia)

From the History of Batumi Cinematography – the Establishment of Cinemas and their Development

Summary

The first cinemas in Georgia appeared in 1904 – firstly in the capital of Georgia and then in other cities of the country.

"Apollo" was the most popular and prestigious cinema in Batumi. It was the first stationary cinema. Besides "Apollo", there also were other cinemas in the city – "Iluzioni", "Palace", "Piccadilly", "Triumph", "Select", "Lira", etc.

Cinemas were in private ownership at that time. After establishment of the Soviet Regime in Georgia, all cinemas existed in the country as well as their property and equipment were confiscated from their owners and announced in the state ownership.

In 1931, Batumi Executive Committee passed a resolution about renaming of all institutions giving them pro-Communist names. Under to the 1932-dated decision, the facades of these buildings were also changed.

The number of cinemas was not decreased after the establishment of the Communist Regime. Moreover, the new ones – "Tbilisi", "Khronika", "Batumi", "Rustaveli", "Komkavshireli", etc were put into operation.

Various clubs in Batumi were functioning as the cinemas as well. Screenings for movie lovers were held in the former Officers' House and the so-called Teachers' House, where, unlike the cinemas, a film production with a high artistic quality was presented.

In 90s, due to the hard social-economic situation in the country, some of Batumi cinemas were destroyed and some of them were turned to different institutions. Nowadays, there the only century old cinema “Apollo” functions in Batumi, a cinema, which hasn’t changed its significance so far and has been preserved as a cinema since its establishment.

ილუსტრაციები



კინოთეატრი “აპოლო”, 1911 წელი, მ. გლაუდანის ფოტო

კინო აპოლო
დღეს და ყოველ დღე
მხატვრული ფილმა
ცნობილი ებრაელი მწერლის შოლომ-აშის ტრაგედიის ინსცენიროვკა
„დი ციბროხინე ერცენ“
მაცდური სინათლე
ტრაგედია 8 ნაწილად. დაჩაბრული გული. განსაკუთრებული ანხამბლი.
მთავარ როლებში: განთქმული კინო მსახიობი ქსენია დესნი
მსოფლიო ებრაელი ტრაგიკი:
რუდოლფი შილდკრაუტი, იზა ადელგეიმი და ფრიდა რიხარდი.
დაღგმა ბერნდ ალდორის.
სატაბტო ჯალაკების პრესის გამოხმაურება სურათზე „მაცდური სინათლე“-ზე
თეატრი-კინო 20 ნოემბერს, ქ. მოსკოვი.
„მაცდური სინათლე“ ეს არის ნიშნები სინამდვილესი მთელი მისი სიმახინჯით. ძნელად თუ შეიძლებოდა ასეთი დიდი პსიქოლოგიური ანალიზით ადამიანის გრძნობათა და სულიერი განწყობილებათა წმინდა ნიუანსების განსახიერება. ცნობილი ტრაგიკის რუდოლფ შილდკრაუტის თამაშობა სტოვებს არა ჩვეულებრივ მთაბეჭდილებას.
Кино АПОЛЛО
СЕГОДНЯ и ЕЖЕДНЕВНО
художественный фильм
Инсценировка трагедии Еврейского писателя ШОЛОМ АШ
„ДИ ЦИБРОХИНЕ ЭРЦЕН“
МАНЯЩИЕ ОГНИ
Трагедия в 8 част. (РАЗБИТОЕ СЕРДЦЕ). Исключительн. ансамбль.
В главных ролях: извест. кино-артистка Ксения ДЕСНИ, мировой евр. трагик Рудольф Шильдкраут, Иза Аделькейм, Фрида Рихард. Постановка Бернд Алдор.
Отзывы столичной прессы о картине „МАНЯЩИЕ ОГНИ“ Театра-кино 20-го ноября, Москва. „Манящие Огни“, это образцы действительной жизни со всеми ее уродливыми гримасами. Вряд-ли можно было с большим психологическим чутьем вскрыть самые тонкие нюансы человеческих чувств и настроений. Игра знаменитого трагика Рудольфа Шильдкраута оставляет необычайное впечатление.
Батум, Полиграфотдел.—Главл. № 266. Заказ № 1541. Тираж 1000.

კინოთეატრ “აპოლოს” აფიშა

კინოთეატრი “ილუზიონი”. დონდუკოვ-კორსაკოვის (დღევანდელი კ გამსახურდიას) ქუჩა

კინოთეატრი “თბილისი”

თეა თავბერიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის თოჯინების თეატრის ისტორიიდან (თენგიზ სარდანაშვილის გახსენება)

ბათუმში საბავშვო თეატრის ისტორია თითქმის საუკუნეს ითვლის. აღსანიშნავია, რომ მის არსებობაში მნიშვნელოვანი წვლილი ყველა დროის დიდმა ბათუმელმა მემედ აბაშიძემ შეიტანა, ამიტომაც 2001 წლის საქართველოს კულტურის სამინისტროს დადგენილებით თოჯინების თეატრი გადაკეთდა თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრად და მას მემედ აბაშიძის სახელი მიენიჭა.

ფეხბედნიერად უნდა ჩაითვალოს პირველად საბავშვო თეატრის ხელმძღვანელის ს. ლ. შემსკოის სცენარის მიხედვით „დონ კიხოტის" დადგმა, რასაც 1922 წლიდან მოყოლებული დღემდე მოჰყვა 150-მდე სპექტაკლი თოჯინების თეატრის სცენაზე. თავდაპირველად თოჯინების თეატრს „ტიკინების თეატრი" ეწოდებოდა, რომლის რეჟისორი გრიგოლ კოსტავა გახლდათ. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ საქართველოში თოჯინების თეატრის დაარსების იდეა წარმოიშვა მოსკოვში სტალინთან საქართველოს დელეგაციის მიღებაზე, სადაც თამარ ჭავჭავაძემ დასვა საკითხი საქართველოში თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე. ბათუმის თოჯინების თეატრის ისტორია მოიცავს რამდენიმე პერიოდს: 1. თოჯინების თეატრის მოყვარულთა წრე, 2. მე-20 საუკუნის 30-იან წლები, 3. 50-იან წლებში არსებული თოჯინების თეატრი მასწავლებელთა სახლთან და 4. 1980 წლიდან დღემდე ***[ჩხარტიშვილი, აბულაძე, 2008: 5].***

ბათუმის თოჯინების თეატრი ამაყობს არაერთი წარმატებული მსახიობით, რომლებიც დღემდე ქმნიან და ალამაზებენ მის მდიდარ ისტორიას, მათ შორისაა ღირსეული ბათუმელი, აჭარის დამსახურებული არტისტი თენგიზ სარდანაშვილი, რომელზეც დღეს, სამწუხაროდ, წარსულში გვიწევს საუბარი. იგი 1960 წელს დაიბადა ბათუმში, ხელოვანის ოჯახში, მამა- დავთ სარდანაშვილი აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა 16 წლის თ. სარდანაშვილის დებიუტი შედგა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში, როცა მან კიტა ბუაჩიძის კომედიაში „ეზოში ავი ძაღლია" შეასრულა პიონერის, თამაზის როლი. საერთო ჯამში კი ბათუმის დრამატულ თეატრში თენგიზ სარდანაშვილმა 15-მდე როლი შეასრულა. 1983 წლიდან მოყოლებული იგი უკვე ბათუმის თოჯინების თეატრში მოღვაწეობს. აქ მან 35-მდე სხვადასხვა როლი შესთავაზა ნორჩ მაყურებელს. ახლაც ახსოვთ მისი წიქარა („წიქარა"), კლოუნი („ბუტია"), მგელი („ოქროს წიწილა"), მფრინავი („პატარა უფლისწული"), ზღარბი („ბატის ჭუკი"), ამირანი („ამბავი

ამირანისა"), დევი („ნაცარქექია") და სხვ. საგულისხმო კომენტარს ვკითხულობთ თეატრმცოდნეების ლაშა ჩხარტიშვილისა და ნერონ აბულაძის მიერ გამოცემულ წიგნში „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა ისტორიის საკითხები": „ეთერ თავართქილაძის მიერ დადგმულ სპექტაკლში „ნაცარქექია" საინტერესო მხატვრული სახე იყო დევი (აჭარის დამსახურებული არტისტი თენგიზ სარდანაშვილი), რომელიც უარყოფითი პერსონაჟი კი არ არის, არამედ საყვარელი და იუმორს გვრის მაყურებელს... მისი გამოჩენა ზიზღს ან შიშს კი არ აღძრავს, არამედ ინტერესს" ***[ჩხარტიშვილი, აბულაძე, 2008: 31].***

თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 29 ივლისის ბრძანებულებით, თენგიზ სარდანაშვილს მიენიჭა აჭარის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

თენგიზ სარდანაშვილი მრავალმხრივი მოღვაწე იყო. იგი თანამშრომლობდა კინოსტუდია ქართულ ფილმთან და შესაბამისად აქვს კინოროლებიც, კერძოდ მეთევზის როლი მხატვრულ ფილმში „ოჩაბამბა", ასევე კინოსტუდია ქართული ფილმისა და საფრანგეთის კინოსტუდიის ერთობლივ ნამუშევარში „ზღვის მაშვრალი" მან ითამაშა ინგლისელი მეზღვაურის როლი. თავისი კვალი თ. სარდანაშვილმა დატოვა აჭარის რადიოშიც, სადაც მას 30-ზე მეტი ზღაპარი აქვს გახმოვანებული.

1995-1998 წლებში იგი მუშაობდა აჭარის ბავშვთა ფედერაციის სატელევიზიო სტუდია „ენკი-ბენკის" მთავარ რეჟისორად, თანამშრომლობდა აჭარის ყრუ-მუნჯთა საზოგადოებასთან, სადაც უნარშეზღუდულ პირებს ათამაშებდა პანტომიმას.

თენგიზ სარდანაშვილის სახელი უკავშირდება საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც, თანამშრომლობდა სკოლებთან, 1983-1986 წლებში კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში კურირებდა სტუდენტურ დღეებს.

თენგიზ სარდანაშვილი 2008 წელს, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჩვენი ქალაქის სამსახურში დგას მისი ოჯახი დღესაც. მეუღლე-ლილი აბუსერიძე და ერთადერთი ქალიშვილი იზა სარდანაშვილი პროფესიით პედაგოგები არიან და ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდას, სწორედ მათ თბილ ოჯახში მოგვეცა შესაძლებლობა გვენახა ის არაერთი მადლობის ბარათი, რომელიც თენგიზ სარდანაშვილს სხვადასხვა დროს გადაეცა თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, მის ხსოვნას მიეძღვნა 2009 წლის 2 მაისს ბათუმის დრამატულ თეატრში ჩატარებული ღონისძიება „ხსოვნა გულისა," 2010 წელს კი თოჯინების თეატრში აღინიშნა მისი 50 წლის იუბილე.

თოჯინების თეატრის მმართველმა მედეა ჩარკვიანმა, ჩვენთან საუბარში, თენგიზ სარდანაშვილს ბრწყინვალე მეთოჯინე

და თოჯინების თეატრის უპრეტენზიო ჯადოქარი უწოდა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ თენგიზ სარდანაშვილის ცხოვრების გზა არა მარტო თოჯინების თეატრის, არამედ ჩვენი ქალაქის მდიდარი ისტორიის სისხლ-ხორცეული ნაწილია.

.

ფოტოზე: მარცხნიდან პირველი **თენგიზ სარდანაშვილი**

გამოყენებული ლიტერატურა:

ჩხარტიშვილი, აბულაძე, 2008: – ჩხარტიშვილი ლ., აბულაძე ნ., ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიის საკითხები

Tea Tavberidze (Batumi, Georgia)

From the History of Batumi Puppet Theatre
(Remembering Tengiz Sardanashvili)

Summary

Batumi puppet theatre is proud of its talented actors, among them is Tengiz Sardanashvili native of Batumi he was born in an artist Davit Sardanashvili's family and he performend more than 50 roles in theatre stage. After his long and productive work he was ranked as Ajari's honored artist in 1988. He was working in radio-television for years, also he acted in some films. Unfortunately he passed away very young in 2008, he was only 47 in our city tere are a lot of memorial evenings dedicated to him.

მარიამ კობერიძე
(გორი, საქართველო)

იაკობ გოგებაშვილი ბათუმის სკოლის შესახებ

იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას, ამიტომ განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდა ის იმდროინდელ სასწავლო დაწესებულებებს, სახელმძღვანელოებს, სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს. მან არაერთი სამეცნიერო ნაშრომი თუ კრიტიკული წერილი მიუძღვნა იმ პრობლემებს, რომლის მოგვარების გარეშეც შეუძლებელი იყო ეროვნული განათლების მიღება. აღზრდის ხალხურობის პრინციპის საფუძველზე იაკობი მოითხოვდა ისეთ სკოლებს, რომლებიც მოსწავლეებს მისცემდნენ ნამდვილ ცოდნას ბუნებისა და საზოგადოების შესახებ და აღზრდიდნენ მათში ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარს. იგი წერს: „კარგად მოგეხსენებათ, რომ ხალხის განათლება დედა ბოძია, მთავარი ბურჯია ქვეყნის კეთილ-დღეობისა, ბედნიერებისა. ისიც კარგად აქვს შეგნებული ყველა მოაზრე ქართველსა, რომ სკოლა არის უპირველესი და უძლიერესი წყარო ხალხის განათლებისა" ***[გოგებაშვილი, 1954: 464].***

ი. გოგებაშვილი მოზარდ თაობას ერის მომავლად თვლიდა, ამიტომ მისი აზრით, ზრუნვა სკოლაზე, რომელიც ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებოდა, ნიშნავს ხალხის, ერის მომავალზე ზრუნვას. ქართველი ხალხის მომავალი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი მამულიშვილები ეყოლება მას. იგი საქართველოს სინამდვილეში აღზრდის ძირითად მიზნად მიიჩნევდა „ახალი ტიპის ქართველების" აღზრდას, ე. ი. ისეთი თაობის აღზრდას, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულითა და ყოველმხრივი განათლებით, თაობისა, რომელსაც სიცოცხლის დაუშურებლად უნდა ებრძოლა ეროვნულობის შენარჩუნების, მშობლიური ენისა და ტერიტორიის გადარჩენის, ეროვნული კულტურის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ***[ლორთქიფანიძე, 1952: 385].***

იაკობ გოგებაშვილი ამ ამოცანის შესრულებას აკისრებდა ახალი ტიპის სკოლას, რომელიც „საოცარის ოსტატობითა და სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნით, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მაღალის ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისის თავის იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორცით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ" ***[გოგებაშვილი, III, 1954: 182-183].***

ქართველ ხალხს, მის ინტელიგენციას კარგად ესმოდა სწავლა-განათლების ფასი და მისთვის კოლექტიური ზრუნვის

დიდი მნიშვნელობა. მეცხრამეტე საუკუნეში ამ მიზნით რამდენიმე საზოგადოება დაარსდა, რომელთა შორის სახალხო განათლების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1879 წელს „ქართველთა შორის წერა – კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" დაარსებას. „ამისთანა მაღალ-მნიშვნელოვანი საზოგადოება ჩვენში ჯერაც არ დაბადებულა. მას დანიშნულება აქვს არა რაიმე დაბალი საგანი, არამედ იმისთანა უძვირფასესი საუნჯე ადამიანისათვის, როგორიც არის ერის განათლება. იგი ემსახურება არა ერთ რომელსამე წოდებას ქვეყნისასა, არამედ ვალად იღებს ზრუნვას მთელს ერზედ. მისთვის არ არსებობს არც თავადი, არც აზნაური, არც სამღვდელო, არც გლეხი. იგი ემსახურება საერთოდ მთელს ქართველობას. მისი მოქმედება არ განისაზღვრება ჩვენი ქვეყნის ერთა რომელიმე კუნჭულით, -- მის სარბიელს, ასპარეზსს შეადგენს მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საქართველო" ***[გოგებაშვილი, 1954: 3].***

აღნიშნული საზოგადოება ხსნიდა და ინახავდა ქართულ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, სცემდა სახელმძღვანელოებს, აგროვებდა ძველ ხელნაწერებსა და სამუზეუმო ექსპონანტებს, მართავდა საიუბილეო საღამოებს და სხვა. საზოგადოების პირველი თავმჯდომარე იყო დ. ყიფიანი, შემდეგში კი ი. ჭავჭავაძე, გ. ყაზბეგი, ალ. ჭყონია და სხვები. საზოგადოებამ ასზე მეტი ქართული სკოლა დაარსა, რომელთა შორის აღსანიშნავია ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა, ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლა, გომარეთის, კავკავის, წინარეხის, ბათუმის, თონეთისა და სხვა ქართული დაწყებითი სკოლები ***[ლორთქიფანიძე, 1988: 352].***

ქ. ხითარიშვილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სხდომის ოქმების საფუძველზე აღნიშნავს: „რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არა მხოლოდ ფინანსურად ეხმარებოდა ბათუმის სკოლას, არამედ სისტემატურად თვალყურს ადევნებდა მის შინაგანაწესს, სკოლის მდგომარეობას, მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენის სტატისტიკას, ისინი განსაზღვრავდნენ სწავლის პროცესის დაწყებასა და არდადეგების თარიღს" (ხითარიშვილი, 2014: 93). ბათუმის სკოლაში რევიზორად იყო გაგზავნილი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლა კარგ მდგომარეობაში იყოფებოდა. მისი სიტყვებით: „ბათუმის სკოლა წარმოადგენს ამჟამად ნამდვილ პედაგოგიურს სასწავლებელს, ჭეშმარიტ ლამპარს განათლებისას, რომელიც ქართველთა გაძლიერებას ამ მხარეში მეტად დაეხმარება" ***[საე, ფ. 481, ს. 350].***

1892 წელს გაზეთ ივერიის №85 ნომერში დაიბეჭდა იაკობ გოგებაშვილის წერილი „ერთი სკოლის შესახებ" ი. სვიმონიძის ფსევდონიმით. ამ წერილში დადებითად არის შეფასებული „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მიერ ბათუმის

სახალხო სკოლის დაარსება, რომლის მიზანს წარმოადგენდა ის, „რომ მაჰმადიან ქართველთა შვილები მიეზიდნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში, მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართულის წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლთა ძმათა შორის, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულს საუკუნეებში ათასის წლის ძმურის ისტორიულის ცხოვრებისა და ერთად მოქმედების შემდეგ" *[გოგებაშვილი, 1954: 260].*

ეს წერილი გვაძლევს ვრცელ ინფორმაციას „ქართველთა შორის წერა –კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობის შესახებ. იაკობის ცნობით: საზოგადოება იყო ფულით ღარიბი, მაგრამ ამ სკოლაზედ-კი სწევდა იმოდენა ხარჯსა, რომლის გაღებასაც მხოლოდ მდიდარი საზოგადოება თუ გაჰბედავს... სკოლის სახლში იმდენს, რომ ამ ფულით მთელს სამაგალითო სკოლას შეინახავდა სხვა ადგილას; მასწავლებელს ჰქონდა დანიშნული იმოდენა ჯამაგირი, რომელიც არც ერთს პირველ-დაწყებითს სკოლის მასწავლებელს არ ეძლევა ჩვენში" *[გოგებაშვილი, 1954: 260].*

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" არა მარტო ფინანსურად და მატერიალურად ეხმარებოდა ბათუმის სკოლას, არამედ ადმინისტრირებასაც თვითონ აწარმოებდა: თვითონ ნიშნავდა „განვითარებულ, მხნე და სწავლების ოსტატობაში დახელოვნებულ" მასწავლებლებს. წიგნები და სასწავლო ნივთებიც უხვად იგზავნებოდა ამ საზოგადოების მიერ ბათუმის სკოლაში. იაკობი აღნიშნავს, რომ „საზოგადოებამ ამას ისიც დაუმატა, რომ იმავ თვითვე გაამწესა მაჰმადის სჯულის მასწავლებელი მოლა და მას წელიწადში ჯამაგირად დაუნიშნა ოც-და-ოთხი თუმანი ფული, რომელიც არც ერთს პირველ-დაწყებითი სკოლის სჯულის მასწავლებელს ჩვენს ქვეყანაში არ ეძლევა" *[იქვე].*

მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდისა და პირველდაწყებითი განათლების მთელ აჭარაში გავრცელებისათვის „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" სოფლიდან ჩამოიყვანა ბავშვები სკოლაში, თავისი თანხით დაუქირავა თავშესაფარი, რომლის პატრონობა მიანდო ყურანის მასწავლებელს მოლას. იაკობის ცნობით, ბათუმის სკოლის შენახვაზე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუხარჯავს 20000 მანეთი. ეს თანხა იმდენი იყო, რომ ამით 5-6 სკოლას შეინახავდა და გაუძღვებოდა სხვა ადგილებში *[იქვე].*

იაკობი აღნიშნავს, რომ შედეგი დახარჯული თანხის შესაფერისი არ იყო. „მაჰმადიან ქართველთა შვილები, რომელთათვის უმთავრესად დაარსდა, არსებობდა და არსებობს ბათუმის სკოლა, თითო-ოროლობით შემოდიოდნენ და შემოდიან

ამ სკოლაში, ასე რომ მათი ნამდვილი რიცხვი თითქმის არც ერთს წელიწადს თოთხმეტზედ ზევით არ წასულა მთელის ათის წლის განმავლობაში. ყოველმა ცდამ, რომ ამ გვარს მოწაფეების რაოდენობას ემატნა წლითი-წლობით, ამაოდ ჩაიარა. მაზედ უარესიც მოხდა: ბოლოს წლებში მაჰმადის სჯულის მოწაფეთა რიცხვმა მეტად იკლო. ნაცვლად წინანდელის თოთხმეტისა, ამ ჟამად სწავლობს მხოლოდ შვიდი მაჰმადიანი მოწაფე ბათუმის სკოლაში" ***[გოგებაშვილი, 1954: 261].***

იაკობ გოგებაშვილი დაწვრილებით განიხილავს ბათუმის სკოლაში სწავლის ხელშემშლელ პრობლემებს: „ეს თითო-ოროლა აჭარა-ქობულეთელიც სწავლას ბეჯითად არ ეკიდებოდა და არც ახლა ეკიდება. ხშირად აკლდებოდნენ და აკლდებიან გაკვეთილებსა, სცდებიან სწავლას მაშინაც, როდესაც ქრისტიანების დღესასწაულებია და მაშინაც, როდესაც მაჰმადიანთა უქმეები სდგას. ამის გამო ესენი სკოლის ყოველს განყოფილებაში ძალა-უნებურად ცალკე განყოფილებას შეადგენენ. ცხადია, რომ ამან ძლიერ უნდა დააბრკოლოს სწავლის ჯეროვანი მსვლელობა მთელს სკოლაში და შეამციროს წარმატება ქრისტიან ქართველებისაცა" ***[გოგებაშვილი, 1954: 261].*** მოსწავლეთა სიმცირის მიზეზად ის ასახელებს იმას, რომ ბათუმში მცირედ ცხოვრობენ როგორც ბეგები, ისე დაბალი წოდების მაჰმადიანი ქართველები, ხოლო სოფლიდან შვილების ჩამოყვანა სასწავლებლად ძლიერ უძნელდებათ. სწავლის მსურველთა რაოდენობაზე მოქმედებს მშობლების შიში „ვაი თუ ერთად ყოფნამ და სწავლამ ქრისტიან ბავშვებთან ჩვენ შვილებში მაჰმადიანობა შეარყიოსო" ***[იქვე].***

ბათუმის სკოლაში შექმნილ პრობლემების შესახებ დაიბეჭდა არაერთი წერილი იმდროინდელ პრესაში. გ. საითიძემ ნაშრომში „ახლად შემოერთებული ბათუმის საკითხი XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს პრესაში" გაანალიზა ბათუმის სკოლის შესახებ გაზეთ „დროებაში" დაბეჭდილი სპეციალური წერილი „ბათუმის სკოლას" ***[საითიძე, 2014: 254],*** სადაც ილია ჭავჭავაძე 1881 წლის სექტემბერში უმძიმეს ვითარებაში ჩავარდნილი სკოლის შესახებ წერს, რომ დიდის ამბით გახსნილი სკოლა ცუდ დღეში აღმოჩენილა. მის მიზეზი გამხდარა ბათუმში მთავრობის მიერ გახსნილი ნორმალური სასწავლებელი, სადაც თავიანთი შვილები გადაუყვანიათ მაჰმადიან ქართველებს და ქართულ სკოლაში 14-15 ყმაწვილი დარჩენილა, ისინიც გურულ-მეგრელი მედუქნეებისაო. არადა, ბათუმის პირველ ქართულს სკოლას, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, კიდევ სხვა უფრო უაღრეს მნიშვნელობას ვაძლევდით. ამ სკოლის საშუალებით ჩვენ ველოდით, ჩვენს ძველ მოძმეთ დაბრუნებას, უფრო მტკიცე, დაახლოებულ კავშირის გამართვას" ***[„დროება", 1881, №127]***

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოება" უკვე აპირებს მაჰმადიან ქართველთათვის დაარსოს ცალკე სკოლა და ადგილად ამოურჩევია ქობულეთი. უმთავრეს ხარჯს – ჯამაგირს მასწავლებლებისას, სკოლის ავეჯეულობის დამზადებას და წიგნებს თვითონ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" იკისრებს. მცირე ხარჯი: მოლის ჯამაგირი და სახლის ქირა ქობულეთმა უნდა გადაიხადოს. „სადაც-კი საქართველოში სკოლაა, სოფელი იხდის ორმოცამდე თუმანს წელიწადში, და ქობულეთს ნუ თუ ამის ნახევრის გადახდა გაუძნელდება!..." თუ ქობულეთელებმა მოინდომეს და სკოლა გაიხსნა, „ქობულეთში სკოლის დაარსება იქნება პირველი ნაბიჯი „წერა-კითხვის საზოგადოების" მოქმედებისა მაჰმადიან საქართველოში. ამას უნდა მოჰყვეს მეორე ნაბიჯი გამართვა სკოლისა აჭარაში, მაგალითად, ქედაში. მეორე ნაბიჯს უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯები, რათა საზოგადოება მოეწიოს თავის წადილსა: განათლების მოფენას სამხრეთ-საქართველოში და განახლებას ძმურის კავშირისას ჩვენსა და აჭარელ-ქობულეთელთა შორის ეროვნულს ნიადაგზე" *[გოგებაშვილი, 1954: 262]*.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იაკობ გოგებაშვილმა წერილში „ერთი სკოლის შესახებ" მეტად ვრცელი და გაანალიზებული ინფორმაცია მოგვაწოდა ბათუმის სკოლისა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" საქმიანობისა და პრობლემების შესახებ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

გოგებაშვილი, 1954: – გოგებაშვილი ი. თხზულებანი, II, თბილისი.

გოგებაშვილი, III, 1954: – გოგებაშვილი ი. თხზულებანი, III, თბილისი

„დროება", 1881, №127 – გაზ. „დროება", № 127, 1982 წლის 20 ივნისი.

ლორთქიფანიძე, 1952: – ლორთქიფანიძე დ., იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი: იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, I, თბილისი.

ლორთქიფანიძე, 1952: – ლორთქიფანიძე დ., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი.

საითაძე, 2014: – საითაძე გ., ახლად შემოერთებული ბათუმის საკითხი XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს პრესაში: ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, V, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები 2014 წლის 1-2 სექტემბერი, ბათუმი.

საე, 481 – საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 481, საქმე №350.

ხითარიშვილი, 2014: – ხითარიშვილი ქ., ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომის ოქმები ბათუმის სკოლის შესახებ: ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, V, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები 2014 წლის 1-2 სექტემბერი, ბათუმი.

Mariam Koberidze (Gori, Georgia)

Iakob Gogebashvili about Batumi School

Summary

In 1892 year Iakob Gogebashvili's „about one school ''was published in the newspaper Iveria №85 under the pseudonym I. Svimonidze. In this letter there is positively estimated foundation of Batumi Public School by the „Society Spreading of Literacy ''. It set as an object not only giving primary education, also renew people's connection with own brothers who were newly returned on the homeland.

With this letter Iakob Gogebashvili gave us too expensive and analyzed information about Batumi and about the works and problems of „Society Spreading of Literacy Between Georgians''. This society helped Batumi School financially and materially,also administered it. According its information the next school would be opened in Qobuleti, next in Qeda and in different side of Achara.

ავთანდილ ნიკოლაიშვილი
(ქუთაისი, საქართველო)

1918 წელს ოსმალთა მიერ ბათუმის ოკუპაცია და ქართველი მწერლები

როგორც ცნობილია, გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან 1918 წლის 3 მარტს ბრესტში გაფორმებული სეპარატისტული ზავის შედეგად საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს საქართველოსთან და სომხეთთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე გადასცა ისტორიულად მათთვის კუთვნილი ისეთი რეგიონები, როგორებიცაა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტაანის) ოლქები. ეს მაშინ, როცა რუსეთში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად, ამიერკავკასია ამ იმპერიის იურისდიქციას უკვე აღარ ემორჩილებოდა, რაც 1918 წლის 10 თებერვალს ოფიციალურადაც გააფორმა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მოწვეულმა სეიმმა, რომლის შემადგენლობაშიც რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატები შედიოდნენ. სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომლის შემადგენლობაშიც გაერთიანდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ ბრესტის საზავო შეთანხმების გაფორმებიდან ერთი კვირის შემდეგ, 1918 წლის 10 მარტს, უკვე ოფიციალურად მოითხოვა ამ ზავით გათვალისწინებული პირობის სასწრაფოდ შესრულება და მისთვის ხსენებული რეგიონების გადაცემა. მაგრამ 11 მარტს მოწვეულმა ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთის ხელისუფლების ეს მოთხოვნა უარყო და დაადგინა, დიპლომატიური გზით ეცადა თურქეთთან წარმოქმნელი ამ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება.

14 მარტს ოსმალეთისა და ამიერკავკასიის სახელისუფლებო დელეგაციებს შორის ტრაპიზონში მართლაც დაიწყო ამგვარი მოლაპარაკება, თუმცა ჩვენი წარმომადგენლობის მცდელობას, როგორმე მოეხერხებინათ სადავოდ ქცეული ტერიტორიების თუნდაც ნაწილობრივ მაინც შენარჩუნება, შედეგი არ მოჰყოლია.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტის საზავო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო თურქეთის არმიამ 1918 წლის 9 აპრილს საქართველოს საზღვრები გადმოლახა და 15-21 აპრილს ბათუმი, ოზურგეთი და თითქმის მთელი მესხეთი დაიკავა ბორჯომამდე. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

ამ ტრაგიკულ მოვლენას, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ ჰკარგავდა ისტორიულად კუთვნილ დიდმნიშვნელოვან ქართულ რეგიონებს, ქართველი მოსახლეობის უმწვავესი რეაქცია და პატრიოტულ გრძნობათა კიდევ უფრო

მეტად გამძაფრება მოჰყვა. ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება მაინც ოსმალთა მიერ ბათუმის დაკავებამ გამოიწვია. აჭარისა და მისი მთავარი ქალაქის ხელმეორედ დაკარგვის რეალურმა საშიშროებამ მაშინ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი შეაკავშირა და აღანთო ამ ძირძველი ქართული მხარისადმი სიყვარულის უმძაფრესი გრძნობით. ეროვნული შეკავშირების ეს უძლეველი სულისკვეთება ჩვენმა საზოგადოებამ არა მარტო მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული მასობრივი დემონსტარციებით გამოხატა, არამედ მტრის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო რაზმების ჩამოყალიბებითაც, რომლის შემადგენლობაში მრავალი მოხალისე ეწერებოდა საკუთარი ნება-სურვილით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტიურობა მაშინ ქართველმა მწერლებმაც გამოიჩინეს. როგორც ბევრი მათგანის შემოქმედებითაც და ბიოგრაფიითაც ნათლად ჩანს, ქართული მწერლობის არაერთი წარმომადგენელი იმხანად არა მარტო თავისი ნაწერებით გამოეხმაურა ოსმალთა მიერ ბათუმის ხელმეორედ დაპყრობის ტრაგიკულ ფაქტს, არამედ პირადადაც ჩაეწერა ქალაქის განსათავისუფლებლად შექმნილ სახალხო ლაშქარში. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ კონკრეტულ ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. დავიწყებ დავით კლდიაშვილით (1862-1931 წწ.).

როგორც ცნობილია, დავით კლდიაშვილი პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იგი უკვე პენსიაში იმყოფებოდა, ამ ომში ის მაინც გაიწვიეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმის დასაცავად გამართულ საბრძოლო ოპერაციებში. გარდა ფართოდ ცნობილი მისი მემუარებისა, ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობებს ვხვდებით 1920 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ.“ თავად მწერლის მონათხრობის მიხედვით, 1918 წლის 3 მარტს 600 ჯარისკაცის თანხლებით იგი ჯერ სოფელ აჭარისწყლის საგუშაგოზე გაუმწესებიათ, შემდეგ ქედაში გაუგზავნიათ „აჭარლებთან მოსალაპარაკებლად,“ 31 მარტის ტრაგედიის პერიოდში კი ბათუმის დასაცავად გამართულ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და ბარცხანაში ყოფნისას კინაღამ ოსმალოს მიერ ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გამხდარა.

31 მარტის ბათუმის ტრაგედიასთან და დ. კლდიაშვილთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამ ტრაგიკული მოვლენის ერთ-ერთი თვითმხილველი, ოფიცერი ი. ყიფიანი ზემოთ ხსენებულ კრებულში გამოქვეყნებულ წერილში – „ძველი ჭრილობა,“ რომელშიც ქალაქის იმდღევანდელი მდგომარეობა ასეა აღწერილი: „შეწყდა ზარბაზნების გრიალი და ტყვიის მფრქვეველთა სასიკვდილო ცეკვა. ქალაქმა ოდნავ დაისვენა. მხოლოდ სამების (ახალშენის) ფორტიდან კიდევ

გაისმოდა დაგვიანებული ზარბაზნის ხმა. იქ ჩვენი ახალგაზრდობა იდგა და მტერს ებრძოდა. ანარიის (ურხის) ფორტზე დილიდანვე ჩვენ დახოცილ მოძმეთა თავზე ოსმალთა დროშა ფრიალებდა.“

ნავსადგურიდან რკინიგზის სადგურისაკენ ავტომობილით მიმავალ ი. ყიფიანს ქუჩაში დ. კლდიაშვილი დაუნახავს, მანქანა გაუჩერებია, მისთვის შიგ ჩაჯდომა შეუთავაზებია და უთქვამს: „გადის უკანასკნელი მატარებელი, წამი წამზე ოსმალებს ველით, ბატონო დავით, უსათუოდ უნდა გაყვეთ ამ მატარებელს... ბათუმის ბედი გადაწყვეტილია. თქვენ მას ეხლა უკვე ვერ იხსნით. თუ საჭირო იქნება, აქ ჩვენ დავრჩებით, თქვენ კი იქიდან დაგვეხმარეთ!“

მაგრამ შექმნილი მდგომარეობით უაღრესად შეწუხებულ და აღშფოთებულ მწერალს ამ შეთავაზებაზე კატეგორიული უარი უთქვამს და თავისი ეროვნული გულისტკივილი ამ სიტყვებით გამოუხატავს: „სირცხვილი, სირცხვილი! განა მეტი საშინელება და დამცირება იქნება?“ ი. ყიფიანს მაშინ იქ მყოფი სხვა ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც მიშველებიან და ცრემლებმორეული მწერალი ძალით ჩაუსვამთ მატარებელში, რომელსაც ასკერთა რაზმების შემოჭრამდე რამდენიმე წუთით ადრე დაუტოვებია ქალაქი. დიდი მწერლის ბიოგრაფიიდან ნაკლებად ცნობილ და უაღრესად მნიშვნელოვან ამ მონათხრობს მისი ავტორი საბოლოოდ ამ სიტყვებით ამთავრებს: „გული გაიყინა, ჰაერი დამძიმდა, სულში ათასი ყორანი ჩაფრინდა, და სასიკვდილო ჩხავილი დაიწყო. ვუყურებდი მხოლოდ ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავს, დავითის ცრემლს“ ***[დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ, 1920: 13].***

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თურქული აგრესიისაგან ბათუმის დაცვასა და საერთო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობაში იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ბევრი წარმომადგენელი იღებდა აქტიურ მონაწილეობას. „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის – შალვა აფხაიძის გადმოცემით, როცა 1918 წელს თურქი ასკერების შემოტევის შედეგად ბათუმს დაკარგვის რეალური საფრთხე დაემუქრა, მაშინ მის დასაცავად გამართულ ბრძოლაში „ქუთაისში მცხოვრებმა პატრიოტულად განწყობილმა, მაგრამ სრულიად მოუმზადებელმა ახალგაზრდებმაც (იგულისხმებიან „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების წარმომადგენლები – ა. ნ.) მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ რაზმს მეთაურობდა ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი. რაზმი იდგა ხულოსთან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ ეს მომენტი აქვს აღბეჭდილი მხატვარ კროტკოვს სურათზე (ის იყო ჩვენი ხატვის მასწავლებელი რეალურ სასწავლებელში, კაცი ფრიად განათლებული და ახალგაზრდობის მოყვარული], რომელიც ოფიცრობამ დ. კლდიაშვილს იუბილეს დროს მიუძღვნა. დავითი გახარებული იყო ახალგაზრდობის პატრიოტული აღგზნებით. მაგრამ, როგორც მხედარმა, ისიც კარგად იცოდა, თუ

რისი მაქნისი ვიყავით. მალე ჩვენი რაზმი შეცვალა ჯარის პატარა ნაწილმა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ბათუმი დაეცა“ ***[აფხაიძე, 1988: 23].***

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის 31 მარტს თურქი ასკერების მიერ ბათუმის აღებას პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე იმავე დღეებში დაწერილი ლექსებითაც გამოეხმაურნენ. მაგალითად, ფრაგმენტი პაოლოს ლექსიდან ***[იაშვილი, 1965: 106]:***

უკვე იწყება მრისხანე წამი,
წამი, რომელიც ძვლებს დაახვავებს;
უკვე შეირხა ზღვასთან ლერწამი, –
ბათომის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს...
ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გაშალეთ მზეზე კრიალა ხმლები,
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.

რაც შეეხება ტ. ტაბიძეს, ბათუმის დაკარგვით ჩვენი ქვეყნისთვის თავსდატეხილი ეროვნული ტრაგედია მან იმავე დღეებში დაწერილი ამ სტრიქონებით გამოხატა ***[ტაბიძე, 1983: 83]:***

ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი,
ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი.
ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარი,
პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა...
საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოდ მოვიქანცები.
ახ, მეგობრებო, ჩემი სული ჭვარტლია სხვენის,
ცრემლით სავსეა ჩემი წილი „ჩვენი ყანწების.“

აღნიშნული მოვლენა ტ. ტაბიძემ 1927 წელსაც გაიხსენა ლექსში „...და გარიბალდის წითელი ქუდი“ ***[ტაბიძე, 1983: 150].*** პოეტი დაუცხრომელი მწუხარებით იხსენებს 1918 წლის აპრილს და თურქების მიერ ბათუმის დაპყრობის ფაქტს ჩვენს ეროვნულ სირცხვილად მიიჩნევს. ტიციანის გულისტკივილს კიდევ უფრო ამძაფრებდა გახსენება იმისა, რომ ქართველ პატრიოტთა სურვილი მტერზე რევანშის აღებისა იმხანად წარუმატებელი ოცნება აღმოჩნდა.

როგორც სათანადო მასალებიდან თვალნათლივ ჩანს, ოსმალთა აგრესიისაგან ბათუმის, აჭარისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების დასაცავად გამართულ საბრძოლო ოპერაციებში, გარდა ზემოთ დასახელებული მწერლებისა, სხვებსაც მიუღიათ მონაწილეობა. მათ შორის ყოფილა კონსტანტინე გამსახურდიაც. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო საქმის“ 1918 წლის 1 (13), 5 (18) და 10 (23) აპრილის ნომრებში კ. გამსახურდიას მიერ გამოქვეყნებულ წერილების სერიაზე – „ტფილისიდან ბათომამდის“ დაყრდნობით მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი სოსო სიგუა:

„მარტში კონსტანტინე ქართულ ლაშქარში მოხალისედ ჩაეწერა, რათა ებრძოლა თურქი ასკერების წინააღმდეგ, რომელთაც ბოლშევიკურმა რუსეთმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, გადასცა სამხრეთი საქართველო. კონსტანტინემ აიღო კარაბინი, ჩაიცვა სამხედრო ფორმა და თბილისიდან ბათუმში მატარებელს გაჰყვა... ბათუმში რომ შევიდა, ქალაქში ყუმბარები ცვიოდა. დამფრთხალი ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა. არც თავად იცოდა, რა გაეკეთებინა. თავისი თავი ლევ ტოლსტოის დაბნეულ პიერ ბეზუხოვს აგონებდა. ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო – ბათუმის სწრაფი დაცემის გამო“ *[სიგუა, 2011: 78].*

როგორც მემუარული ლიტერატურიდან ჩანს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის 1918 წელს გამართულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა ტერენტი გრანელსაც მიუღია. კერძოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვა-ზე ტ. გრანელის თანამედროვე ალექსანდრე გაბესკირიას მკვლევარ გივი ცქიტიშვილისთვის ასეთი პასუხი გაუცია: „იყო ასეთი სამხედრო ნაწილი, ე. წ. მეშვიდე ათასეული, რომელსაც გენერალი ვაჩნაძე მეთაურობდა. მე კი კაპიტან გურამიშვილის ნაწილში ვირიცხებოდი. იქ შევიტყვე რომ ტერენტი ჯარში იყო გრიგოლ ცეცხლაძესთან, აკაკი ვასაძესთან, ჰერკულეს ყანჩელთან ერთად. ჩემს ნაწილში კი სიმონ ჩიქოვანი, კოლია ჩაჩავა და გრიშა ორაგველიძე იბრძოდნენ. მაშინ ყველა ახალგაზრდა, 16 წლის მოსწავლეებიც კი, ჯარში გაიწვიეს. ჯარი ორგვარი იყო – სახალხო, ანუ ეროვნული გვარდია, რომელსაც ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა და წვევამდელებისა, ანუ ჩვეულებრივი. მე და ტერენტი წვევამდელთა ჯარში ვირიცხებოდით... გამიგონია კი, რომ ტერენტი აქტიურად მონაწილეობდა ბათუმიდან თურქი ასკერების განდევნაში“ *[ცქიტიშვილი, 1990: 212].*

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოში იმხანად არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტური მასალებით ისიც დასტურდება, იმჟამინდელი მოვლენებისადმი მაშინდელ ჩვენს საზოგადოებას ერთგვაროვანი დამოკიდებულება რომ არ ჰქონია და მისი გარკვეული ნაწილი მათდამი საკმაოდ გულგრილად და ინერტულად ყოფილა განწყობილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა არსებობდა ჯარში, რომლის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიაში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად სრულიად დემორალიზებული იყო და ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით გენერალი გიორგი მაზნაიშვილი, რომელიც ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო თურქი ასკერების წინააღმდეგ იმხანად გამართული საომარი ბატალიებისა: „ქართული ჯარების შესადგენად პირობები ვერ იყო კარგი... არსებული სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ წინად იყვნენ გახრწნილნი და, რომ

დაინახეს ეროვნული ჯარების მოწყობა, კიდევ უფრო გაიხრწნენ. ჯარისკაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ. ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასაძინებლად. ქალაქი გატენილი იყო მოხეტიალე ჯარისკაცებით... ახლად შემდგარი ეროვნული ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ წილს იგდებდა ხელში სახელმწიფოს ქონებიდან. ოფიცერთა შემადგენლობაც ვერ იდგა სასურველ სიმაღლეზე“ ***[მაზნიაშვილი, 1990: 4].***

მთავარსარდლის ბრძანებით, სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში დაინიშნა გ. მაზნიაშვილი იმ სამხედრო რაზმის უფროსად, რომელიც სადგურ ჩაქვიდან ბათუმისაკენ უნდა გადაადგილებულიყო და „ყოველი ღონისძიებით შეეშალა ხელი ოსმალებისთვის, რომ მათ არ დაეჭირათ სამების ფორტი.“ თუმცა, გ. მაზნიაშვილის ინფორმაციით, რაზმი, რომლის უფროსობაც მას დაევალა და რომლის მიერაც განსახორციელებელი გეგმის სასწრაფოდ და წარმატებით შესრულებაზეც ბათუმის ბედი იყო დამოკიდებული, რეალურად არ არსებობდა, ქვეითი ჯარის დაუხმარებლად, მარტოოდენ არტილერიით, კი მტერზე იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო. „საქმის ვითარება საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა და რთულდებოდა. ყოველ საათში ერთი-ერთმანეთზე მოდიოდნენ მატარებლები, დატვირთული მოტაცებული ქონებით, და ეს მატარებელი გარედან და შიგნით მთლად გაჭედილი იყო ფრონტიდან გამოქცეული ქართველი ჯარისკაცებით...

სადგურ სამტრედიის კომენდანტი ბევრსა სცდილობდა შეეჩერებინა გამოქცეული ჯარისკაცები, მაგრამ ვერას აწყობდა, რადგან ამისთვის საკმაო ძალები არა ჰყავდა. გამოქცეულები გარბოდნენ თავიანთ სოფლებსა და სახლებში და თან მიჰქონდათ სახაზინო ტანისამოსი, იარაღი და მოკაზმულობა. 31 მარტს გათენებისას გამოირკვა, რომ ბათუმი უნდა დაცემულიყო. მართლაც, პატარა ხანის უკან მოვიდა ცნობა, რომ ბათუმი ჩაბარდა ოსმალებს“ ***[მაზნიაშვილი, 1990: 24].***

სამწუხაროდ, გ. მაზნიაშვილის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს და იმჟამინდელი ქართული ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც რომ არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ სახელმწიფოებრივ მოვალეობას, ამას სხვა ავტორებიც ადასტურებენ.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად და ბათუმში იმხანად შექმნილი ურთულესი მდგომარეობის მეტი სიცხადით წარმოსაჩენად რამდენიმე სიტყვა ალექსანდრე ქუთათელის (1897-1982 წწ.) ისტორიული რომანის – „პირისპირ“ იმ ეპიზოდებზეც მინდა ვთქვა, სადაც დოკუმენტური სიმართლითაა ასახული ბათუმში 1918 წლის 31 მარტს დატრიალებული ტრაგედია.

ეს ტრაგიკული მოვლენა ალ. ქუთათელის რომანში ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ორი კუთხიდანაა დანახული – ერთის მხრივ, იმ უპასუხისმგებლო და მოღალატეობრივი საქციელის ჩვენებით, რაც ბათუმის დასაცავად მიმდინარე საომარი ბატალიების მონაწილე ჯარისკაცების უდიდესმა ნაწილმა გამოიჩინა მაშინ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს და, მეორეს მხრივ, ამ მებრძოლთა მცირე ნაწილისა და ფართო საზოგადოების პატრიოტული თვითშეგნების წარმოჩენით.

ალ. ქუთათელის რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის – ბათუმის დასაცავად გამართული საომარი ოპერაციის აქტიური მონაწილის, კაპიტან ჯიბო მაყაშვილის მონათხრობის მიხედვით, „ბათუმის გარნიზონის უმეტესობა თურქების შემოტევამდე წავიდა და განაცხადა: რახან ამიერკავკასიის ხელისუფლებამ უარი განაცხადა საბჭოთა მთავრობის ცნობაზე, ჩვენ ვტოვებთ ბათუმს და რევოლუციის დასაცავად მივდივართო. ამაოდ ცდილობდნენ ოფიცრები და აგიტატორები, აეხსნათ მათთვის, თუ რა უდიდესი საფრთხე მოელოდა საქართველოს“ ***[ქუთათელი, 1967: 208].*** ჯარისკაცთა მიერ საბრძოლო პოზიციების მიტოვების პროცესმა კიდევ უფრო მასშტაბური ფორმა მიიღო უშუალოდ საომარი ოპერაციის დაწყებისთანავე და ფრონტზე დარჩენილებმაც „ჯგუფ-ჯგუფად დაიწყეს გაპარვა. გაპარვამ მასობრივი ხასიათი მიიღო... მსოფლიო ომში ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებსაც აღარ შერჩენოდათ წინანდელი სიმამაცე და დისციპლინა. ყველანი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა“ ***[ქუთათელი, 1967: 211].***

ბათუმის დამცველი გარნიზონიდან იმხანად გამოქცეულ ჯარისკაცთა ამგვარმა ქმედებამ არა მარტო ქალაქში თურქ ასკერთა უპრობლემოდ შემოჭრას შეუწყო ხელი, არამედ მთელ ქვეყანაში შექმნა ქაოსური ვითარება. ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ შესაბამისი ეპიზოდი ა. ქუთათელის რომანიდან: „ბათუმიდან განუწყვეტლივ მოდიოდნენ ჯარისკაცებითა და ლტოლვილებით შეკუნწლული მატარებლები. გამოქცეულნი ვაგონებში ვერ ეტეოდნენ, ბაქანზე, სახურავებზე ისხდნენ, კიბეზე ეკიდნენ. ყველას ნადავლი, დატაცებული სახაზინო ქონება, ჩემოდნები, კალათები, ვეება ფუთები და ბარგი-ბარხანა მოჰქონდა. ფრონტი ირღვეოდა... ჯარისკაცები შინისკენ გარბოდნენ...

რა ზომები უნდა მიგვეღო? ჯარის რომელი ნაწილი უნდა დაგვეპატიმრებინა და გაგვერეკა ფრონტზე, როდესაც ბათუმის თითქმის მთელი გარნიზონი გამორბოდა? გადამღობი რაზმის ერთ ჯარისკაცზე ასი მოდიოდა. სამტრედიის სადგურის კომენდანტი და მისი რაზმი თავგამოდებით მუშაობდნენ; მაგრამ რომელი ერთი დეზერტირი უნდა დაეპატიმრებინათ? სადგურთან ზღვა ხალხი ტორტმანობდა. ვაჭრები, სპეკულანტები და ჩარჩები იქვე ყიდულობდნენ ჯარისკაცებისგან საწყობებში დატაცებულ ტანისამოსს, ფეხსაცმელსა და იარაღსაც. დილიჟნები და ეტლები

მახლობელ სოფლებში დეზერტირების გადაზიდვას ვერ აუდიოდნენ“ *[ქუთათელი, 1967: 209].*

მიუხედავად იმისა, რომ ალ. ქუთათელის რომანი საბჭოთა პერიოდის პარტიული იდეოლოგიით განმსჭვალულ ნაწარმოებს წარმოადგენს, მწერალი, რამდენადაც იმჟამინდელი ცენზურული პოლიტიკა ამის შესაძლებლობას აძლევდა, არა მარტო მენშევიკური ხელისუფლების ანტიეროვნულ საქმიანობას აკრიტიკებდა, არამედ ბოლშევიკებისაც. მაგალითად, მისი ხაზგასმით, ნაცვლად იმისა, რომ ბათუმიდან ჯარისკაცთა მასობრივად გაქცევის პროცესი როგორმე შეეჩერებინათ და ამით თურქი დამპყრობლების აგრესიას წინ აღდგომოდნენ, „ბოლშევიკები სახელდახელო მიტინგებს მართავდნენ, ჯარისკაცებს ფრონტის მიტოვებისაკენ მოუწოდებდნენ და „რევოლუციის გასაღრმავებლად“ და სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად შინ იარაღით დაბრუნებას უქადაგებდნენ“ *[ქუთათელი, 1967: 209].*

მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ბათუმის ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცების ამგვარ მოღალატეობრივ ქმედებათა პარალელურად ალ. ქუთათელის რომანში სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირვით მებრძოლ ქართველ მეომართა გმირობაცა და მაშინდელი ჩვენი საზოგადოების პატრიოტული სულისკვეთებაცაა წარმოჩენილი. პირველ ყოვლისა სწორედ ამ სულისკვეთების წიაღიდან მომდინარე ეროვნული შურისძიების გრძნობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ბათუმში განცდილი სამარცხვინო მარცხიდან რამდენიმე დღის შემდეგ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით მობილიზებულმა სახალხო ლაშქარმა და ქართულმა ჯარმა ჩოლოქთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მტერი უკუაქცია.

1918 წლის 31 მარტის ბათუმურ ტრაგედიას უაღრესად საგულისხმო შეფასება მისცა პოეტმა კოლაუ ნადირაძემაც (1895-1990 წწ.) თავის ერთ-ერთ ბელეტრისტულ ჩანაწერში – „ნადირობის დროს მოყოლილი ამბები.“ ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენებ ფრაგმენტებს დასახელებული ოპუსიდან. სანადიროდ წასული სამი მეგობრიდან ერთ-ერთის თქმით, როცა ბრესტის ხელშეკრულების ძალით ოსმალებმა ბათუმის მათთვის გადაცემა მოითხოვეს, „ჩვენ იძულებული გავხდით, ბათუმი იარაღით დაგვეცვა... ყველას გახსოვთ ის წვიმიანი და უმხიარულო დღე ქუთაისში – ზარების რეკვა და მქუხარე სიტყვები ბაღში! გიმნაზიელით დაწყებული და გათავებული ჩვეულებრივი ვაჭრით, რომლის ყოველდღიურ ბედნიერებას სავსებით უზრუნველყოფდა მოგების ერთი მეათედის მწვანე ბაზარზე დახარჯვა, ყველა გაიძახოდა:

– ვუშველოთ ბათუმს! – დავიხსნათ ბათუმი! – დავეხმაროთ ბათუმს!

არ დარჩენილა არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც არ ჩაწერილიყო რაზმში, რომელსაც სურვილი არ განეცხადებინოს ბათუმის დასაცავად წასვლაზე. ყველა ხედავდა და დარწმუნებული იყო, რომ ბათუმის დაკარგვა საქართველოსთვის დიდი უბედურება იქნებოდა, რომ უბათუმოდ წარმოუდგენელი იყო მისი არსებობა.

ეს იყო საერთო ენთუზიაზმი, რომელმაც, მართალია, ვერ გადაარჩინა ბათუმი, მაგრამ შეაკავშირა მრავალი და ნათლად დაანახა ყველას, რომ მხოლოდ ენთუზიაზმით შესაძლებელია გამარჯვების მოპოვება...

მე მახსოვს ხალხით გაჭედილი ქუთაისის ბაღი, ქუთაისის ქუჩები. მეც ქუჩაში ვიყავი ხალხში გარეული. სხვებთან ერთად ჩავეწერე მოხალისეთა რაზმში და მოუთმენლად მოველოდი იმ წუთს, როცა წაგვიყვანდნენ ბათუმში მტრის წინააღმდეგ. მე ვერ წარმომედგინა ისეთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც არ აენთებოდა ბრძოლის წყურვილით და ქვეყნის დაცვისათვის არ მიატოვებდა თავის სახლს, თავის ცოლ-შვილს და დედ-მამას“ ***[ნადირაძე, 1984: 129].***

სამწუხაროდ, ამ საერთო ეროვნულ ენთუზიაზმს მაშინ წარმატება არ მოჰყოლია და ამ სახალხო რაზმების მებრძოლებს მტერმა დაასწრო ბათუმის აღება. ასე რომ, ომში წასვლა მათ უკვე არა ქალაქის დასაცავად და შესანარჩუნებლად მოუხდათ, არამედ მის უკან დასაბრუნებლად.

კ. ნადირაძის ხსენებული პუბლიკაციის პერსონაჟები გულისტკივილით იმაზეც საუბრობენ, რომ ოსმალთა ჯარი მაშინ მხოლოდ ბათუმის დაუფლებით არ დაკმაყოფილებულა და იგი ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილების დასაპყრობადაც აქტიურად მოიწევდა წინ. ქართველი მებრძოლები თუ უკვე გურიაში შემოჭრილ მტერს იქაური უღელტეხილებისა და ბუნებრივი სიმაგრეების გადმოლახვის შესაძლებლობას მისცემდნენ, მაშინ მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდებოდა და ოსმალეთა ჯარი ორიოდე დღეში ქუთაისსაც დაეუფლებოდა.

კ. ნადირაძის დოკუმენტური ნოველის პერსონაჟები უდიდესი გულისტკივილით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ ქვეყანას მაშინ „ისეთი მთავრობა, ან ისეთი პიროვნება არ ჰყავდა,“ რომელიც სამშობლოს დასაცავად გულანთებული საზოგადოების ზემოთ მოხსენიებული ნაწილის პატრიოტულ სულისკვეთებას, ინიციატივასა და ენთუზიაზმს „მტკიცე ხასიათს მისცემდა“ და წინ წარუძღვებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ „ჩვენი ჯარი – თუკი მას შეიძლებოდა ეს სახელი წოდებოდა – შედგებოდა ცუდად გაწვრთნილი, ცუდად შეიარაღებული ახალგაზრდებისგან, რომელთაც აკლდათ საჭმელი და ყოველივე ის, რაც საჭიროებას წარმოადგენს. დისციპლინას ჩვენ თავად ვქმნიდით. ნამდვილად კი ის არ არსებობდა.

ხელმძღვანელობის უმრავლესობა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რამე მოეპარა“ *[ნადირაძე, 1984: 133].*

ოსმალეთის წინააღმდეგ გამართულ ამ ომში დამარცხების განმაპირობებელ მიზეზებზე საუბრის დროს კ. ნადირაძის ხსენებული ნოველის პერსონაჟები იმ გარემოებასაც უსვამენ ხაზს, ზემოთ აღნიშნული პატრიოტული სულისკვეთებით სინამდვილეში საზოგადოების მხოლოდ ნაწილი რომ იყო გულანთებული, ქვეყნის მართვა-განმგებლობის სათავეებთან მდგარი ელიტის უმეტესობა კი ამგვარ ტრაგიკულ ეროვნულ მოვლენებს გულგრილად ადევნებდა თვალს.

მაგალითად, აი, რას ათქმევინებს მწერალი ხსენებული ნოველის ერთ-ერთ პერსონაჟს ამასთან დაკავშირებით: „ჩემის ღრმა რწმენით, ამ საშინელ მომენტში მთელი ჩვენი თავადაზნაურობა ფრონტზე იყო. ეს მე მჯეროდა აბსოლუტურად. არავითარ ძალას არ შეეძლო ამ რწმენის შერყევა. ჩემი ოცნება ხედავდა მათ იარაღში ჩამსხდართ და ხმლით ხელში იარაღით გაქროლილთ მტრებზე.“

თუმცა რეალურად არსებული მდგომარეობის უნებურმა ხილვამ კ. ნადირაძის პერსონაჟის ეს რომანტიკული პატრიოტული წარმოსახვა ერთბაშად დაამსხვრია, რითაც მწერალმა თავისი ნოველის პერსონაჟთა მიერ გამოხატულ ეროვნულ სკეპტიციზმს განზოგადების ფართო მასშტაბები შესძინა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ნაწარმოებიდან: ფრონტიდან მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაბრუნებული ერთ-ერთი პერსონაჟი, ღამით ქალაქში სეირნობის დროს, გასართობ კლუბში მოხვდა და, მისდა მოულოდნელად, სრულიად განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდა: მის წინ „მხიარული და უდარდელი სახეებით იდგნენ ჩვენი თავადები – ჩოხებში გამოწყობილნი და ჩვეულებრივად თამაშობდნენ კარტს... ისმოდა მათი ოხუნჯობა, სიცილი, დარბაისლური ლაპარაკი...

ჯარისკაცის დანახვაზე გაიკვირვეს, მათმა სახემ უსიამოვნო გამომეტყველება მიიღო... მე საჩქაროდ შემოვბრუნდი და ჩქარი ნაბიჯით გავეშურე კიბისაკენ. უკან დარჩა თავადების სიცილი, თამბაქოს კვამლი, მხიარული სახეები, კარტის შრიალი. არ მახსოვს, როგორ ჩამოვედი კიბეზე, როგორ მოვედი სახლში. ჩემში უეცრად რაღაც გაწყდა; თითქოს ვიღაცამ სილა გამაწნა, თითქოს ვიღაცამ გათელა ჩემი ბავშვური სიყვარული, ჩემი ბავშვური ოცნება“ *[ნადირაძე, 1984: 137].*

სამწუხაროდ, მწერლის მიერ ესოდენი ემოციური სიმძაფრით გამოხატული ეს პატრიოტული გულისტკივილი განზოგადებული ფორმითაც რომ წარმოაჩენს ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ეროვნულ ინდიფერენტიზმსა და გულგრილ დამოკიდებულებას ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებისადმი, აფხაზეთში განვითარებული ქართულ-რუსული სისხლიანი კონფლიქტის დროსაც ნათლად გამოჩნდა. ჩვენდა

საგალალოდ, ქართული სახელმწიფოს გადასარჩენად გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლების პერიოდში ქართველთა გარკვეული ნაწილი მაშინაც მხოლოდ პიროვნულ მიწიერ კეთილდღეობაზე ზრუნვით უფრო მეტად იყო დაკავებული და უცხო ქვეყნების გასართობ ცენტრებში დადიოდა დროის ფუქსავატურად გასატარებლად.

1918 წლის 31 მარტის ტრაგედია გამონაკლისი არ ყოფილა და ბათუმსაც და მთელ აჭარასაც ამ დროიდან მოყოლებული 1921 წლამდე სხვა დროსაც დამუქრებია დედასამშობლოსგან ფიზიკურად მოწყვეტის საფრთხე. თუმცა საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის მოწინააღმდეგეთა ყველა ეს მცდელობა საბოლოოდ მათი სრული კრახით დამთავრდა და ბათუმიცა და აჭარაც უკვე სამუდამოდ დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის ღვიძლ და განუყოფელ ნაწილად.

გამოყენებული ლიტერატურა:

აფხაიძე, 1988: – აფხაიძე შ., მახსოვს მარადის.., თბილისი.

დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ, 1920: – დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ (კრებული), ტფილისი.

იაშვილი, 1965: – იაშვილი პ., პოეზია, პროზა, თარგმანები, თბილისი.

მაზნიაშვილი, 1990: – მაზნიაშვილი გ. მოგონებანი, ბათუმი.

ნადირაძე, 1984: – ნადირაძე კ., რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბილისი.

სიგუა, 2011: – სიგუა ს., მარტვილი და ალამდარი, I, თბილისი.

ტაბიძე, 1983: – ტაბიძე ტ., ლექსები, პოემები, პროზა, წერილები, თბილისი.

ქუთათელი, 1967: – ქუთათელი ა., პირისპირ. რომანი ოთხ წიგნად, წ. I-II, თბილისი.

ცქიტიშვილი, 1990: – ცქიტიშვილი გ., ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბილისი.

Avtandil Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)

Ottoman Occupation of Batumi in 1918 and the Georgian Writers

Summary

In order to actually take possession of the Georgian regions given to Turkey as result of the terms of the Brest Treaty on April 9, 1918 the Turkish army crossed the border of Georgia and on April 15-21 it occupied Batumi, Ozurgeti, and almost all Meskheti as far as Borjomi. The Georgian army was able to stop Turkey only at the Choloki River. The tragic national event caused a sharp reaction among the Georgian population. In this respect Georgian writers were particularly active. Many of them responded to the tragic fact of the Ottoman Conquest of Batumi for the second time not only by their works but they personally joined the People's Army to liberate the city. In particular,

D. Kldiashvili, P. Iashvili, T. Tabidze, K. Gamsakhurdia, T. Graneli and others took an active part in the battle to protect Batumi.

რამაზ სურმანიძე
(ბათუმი, საქართველო)

ვასილ ველიჩკო, მისი წერილი გრიგოლ ვოლსკისადმი და ერთი ლექსის თარგმანი

გამოჩენილი ქართველი პოეტის, ექიმის, მუნიციპალური და საზოგადო მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის (1859-1909) ცხოვრება და მოღვაწეობა გაშუქებულია რამდენიმე მონოგრაფიაში (დავით ნაცვალაძე, თეიმურაზ კომახიძე, ოთარ გოგოლიშვილი, რამაზ სურმანიძე და სხვ.), მრავალ სამეცნიერო ნაშრომში და საგაზეთო პუბლიკაციაში. ამის მიუხედავად მის შესახებ მკითხველთა ფართო წრისთვის ზოგი რამ კვლავ უცნობია.

2014 წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „გრიგოლ ვოლსკი“, რომელშიც თითქოს მის შესახებ ყველაფერმა მოიყარა თავი, მაგრამ მე მისი სრულყოფილების არ მჯეროდა და მართალიც ვყოფილვარ.

ახლახან გავეცანი კრებულს „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები.“ მასში შეტანილია ც. ნოზაძის „ვ.ლ. ველიჩკოს წერილი გრ. ვოლსკისადმი“ ***[ნოზაძე, 1974],*** რომელიც არცერთ ზემოთდასახელებულ ავტორს (და არც მე) თავის წიგნში არათუ შეუტანია, უბრალოდ არც მოუხსენიებია. ასეთ შეცოდებას (ც. ნოზაძის ერთი წერილის გამოტოვებას) მკითხველი საზოგადოება ალბათ გვაპატიებს, თუმცა ეს არაა მთავარი. ჩემი და წინამორბედი ავტორების მთავარი ცოდვა ისაა, რომ თურმე ქალბატონ ციური ნოზაძეს გრიგოლ ვოლსკის შემოქმედებაზე საკანდიდატო დისერტაცია დაუცავს (1975 წელს), მაგრამ სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა (1992 წლის 14 იანვარი).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის გამგეს, დოცენტ დალი ჩიკვილაძეს განსვენებული ციური ნოზაძის ნაშრომი წიგნად გამოუცია[13] ***[ნოზაძე, 1999],*** ჩვენ კი (და ჩემს წინამორბედ ავტორებს) ამის შესახებ არაფერი გვცოდნია. ბუნებრივია, არც ეს წერილი და არც ციური ნოზაძის 104-გვერდიანი წიგნი, „გრიგოლ ვოლსკი. ცხოვრება და შემოქმედება,“ არ მოხვდა „გრიგოლ ვოლსკის ბიბლიოგრაფიაში,“ რომელიც მე ჩემს წიგნს დავურთე ***[სურმანიძე, 2014].***

მაპატიოს განსვენებული ციური ნოზაძის სულმა, შევეცდები მისი დამსახურება მკითხველს საგანგებო წერილით გავაცნო და ამით ოდნავ მაინც გამოვისყიდო ვალი.

* * *

[13] წიგნი გამოგზავნა ჩემმა ძველმა მეგობარმა, ჟურნალისტმა თიესა ლესელიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი.

დავუბრუნდეთ წერილს, რომელიც ლიტერატურის მუზეუმში ინახება და რომელსაც პირველად შეეხო და იგი საფუძვლიანად გამოიკვლია ციური ნოზაძემ. მან ამავე დროს დაადგინა, რომ გრ. ვოლსკის ლექსი, „როს საუკუნოდ დავდუმდე," თარგმნა არა მარტო ვ. ველიჩკომ, არამედ ი. ტხორჟევსკიმ[14]. ე. ი. არსებობს აგრეთვე ამავე ლექსის უკრაინული თარგმანიც.

1890-1895 წლებში ველიჩკო გულწრფელად თანაუგრძნობს ქართველებს და ყოველმხრივ უწყობს ხელს მათ პოპულარიზაციას რუსეთის საზოგადოებაში; აწყობს ლიტერატურულ საღამოებს თავის ბინაზე, სადაც იკითხება თარგმანები ქართული პოეზიიდან, ხდება ურთიერთგაცნობა და დაახლოება ქართველ და რუს ინტელიგენციას შორის. უშვებს თარგმანთა კრებულებს („აღმოსავლური მოტივები," „არაბესკები") სიამოვნებით თარგმნის ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, გ. ერისთავს, გრ. ვოლსკის ლექსებს, სისტემატიურად თანამშრომლობს ჟურნალში «Вестник Европы», სადაც 1892 წელს აქვეყნებს აკაკის „თამარ ცბიერის" თარგმანს. იმ პერიოდში ქართულ ენაზე ითარგმნა ვ. ველიჩკოს ლექსები და პოემები „ქაიხოსრო", „ქრისტე აღსდგა", „გორის ციხე". ვალერიან გუნია თარგმნის ველიჩკოს კომედიას „პირველი ბუზი". ქართველი პოეტები ლექსებს უძღვნიან ველიჩკოს და თარგმნიან მის ნაწარმოებებს, რომლებიც სისტემატიურად იბეჭდება „ივერიაში."

* * *

ვასილ ლევის ძე ველიჩკო წარმოშობით უკრაინელია. დაიბადა 1860 წელს პოლტავის გუბერნიის ქალაქ პრილუკში, აზნაურის ოჯახში. ბავშვობა გაატარა ხუტორ ვერნიგოროვშჩინაში, საგვარეულო მამულში. 1870 წელს სწავლობდა კიევის დანიელის პანსიონატში. 1883 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამართალმცოდნეობის სასწავლებელი. მსახურობდა პეტერბურგში იუსტიციის და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებში.

1880 წლიდან ვ. ველიჩკო წერს ლექსებს და აქვეყნებს რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. კალამი სცადა პოეზიასა და დრამატურგიაში. თარგმნიდა ქართველი კლასიკოსების ლექსებს; შეიძლება ითქვას, რომ მან პირველმა გააცნო ქართული პოეზია რუსულ საზოგადოებას.

---

[14] ივანე ფელიქსის ძე ტხორჟევსკი (1843-1910), რუსი პოეტი, მთარგმნელი. მეუღლესთან ალექსანდრასთან ერთად ნაწარმოებებს ბეჭდავდა ჟ. „ფალანგაში," „გუსლში." მეგობრობდა ნიკო ნიკოლაძესთან. თარგმნა გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ა. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის, რ. ერისთავის, გრ. ვოლსკის და სხვათა ლექსები.

ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან ვ. ველიჩკოს ურთიერთობა დასტურდება 1890 წლიდან, კერძოდ ნიკო ნიკოლაძესთან, რომელსაც წერს წერილს და თხოვს, „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოაქვეყნოს აკაკის ლექსების თარგმანები. იგი პეტერბურგში შეხვდა აკაკის და, როგორც თვითონ აცნობებს ადრესატს, მან გააცნო („თამარ ცბიერი“, „იმედი“). სხვათაშორის, 1892 წ. აკაკისაც უთარგმნია ველიჩკოს „გორის ციხე“. ლექსი „ქრისტე აღსდგა“ ვ. ველიჩკოს მიუძღვნია ისტორიკოს ალ. ხახანაშვილისადმი.

კირილე ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1892 წლით უნდა დავათარიღოთ (თარიღი არაა მინიშნებული), აკაკი წერს: „...რამდენიმე, ასე, ოცდაათამდე ჩემი ლექსები და „თამარ ცბიერი“... გადავთარგმნე პროზათ, მერე ველიჩკომ გადაიღო ლექსებათ და ისეთი ამბავი მოახდინა, რომ გასაკვირველი. რუსის ლიტერატორებს ძალიან მოეწონათ, როგორც მოსკოვში, ისე აქ... გადადის და გადმოდის ხელნაწერი სხვადასხვა კრუჟოკებში და კითხულობენ. ქართულიდან რომ არის, მე მგონია, ის უკვირსთ, თორემ სხვა მაინცა და მაინც არა არის რა!.. ყველა ჟურნალს უნდოდა დაებეჭდა და „სევერნი ვესტნიკს“ დარჩა. სცენაზედაც აპირებენ თამაშს... ჩემთვის ის შედეგი ჰქონდა ამ ანბავს, რომ რამდენიმე ჟურნალში მიმიწვიეს თანამშრომლად“ *[წერეთელი, 1963: 52].*

ამგვარად, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, ვ. ველიჩკოს ძალზე მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქართველ მწერლებთან, ქართულ კულტურასთან და საზოგადოებრიობასთან.

1895 წელს ვ. ველიჩკო საქართველოში ჩამოვიდა. 4 ოქტომბერს მისთვის და ი. ფ. თხორჟევსკისთვის გაუმართავთ ვახშამი, რომელზეც სიტყვები წარმოუთქვამთ ილია ჭავჭავაძეს, გიორგი წერეთელს და ნინო ყიფიანს, კოტე მაყაშვილს კი ლექსი მიუძღვნია.

ამ ნადიმზე ილიას ვ. ველიჩკოსა და ი. თხორჟევსკისთვის დიდი მისია დაუკისრებია და ასე მიუმართავს: „არც პუშკინი, არც ლერმონტოვი და არც სხვები მათი მიმყოლნი არ შეხებიან საქართველოს ერის გულს, არ ჩაუხედიათ მისი გულის სიღრმეებში, თუ რა ძვირფასი მარგალიტები ბრწყინავენ შიგ. ეს მოვალეობა წილად გხვდათ თქვენ“ *[ჟურნ. „კვალი“, №43, 1895].*

ილიას მიმართ ვ. ველიჩკოს დამოკიდებულების შედეგმა კიდევ უფრო შორს, ინგლისში გააღწია და იქაური საზოგადოების ინტერესი გამოიწვია. 1897 წლის 3 სექტემბერს ინგლის-რუსეთის სალიტერატურო საზოგადოების პრეზიდენტმა ე. კაზალეტიმ ილია ჭავჭავაძეს ასეთი წერილი გამოუგზავნა:

„თქვენო ბრწყინვალებავ!

წავიკითხე რა „ნივაში“ ვ. ველიჩკოს ხელმოწერით სტატია თქვენზე და თავად რ. დ. ერისთავზე, ვბედავ მოგმართოთ თქვენ

ორივეს თხოვნით, უარი არ გვითხრათ, მოგვაწოდოთ ცნობები თქვენს ცხოვრებაზე და ლექსებზე.

ჩვენი სურვილია დავბეჭდოთ ისინი ინგლისურ ენაზე ჩვენს მომავალ ბროშურაში.

... იმედი მაქვს, რომ თქვენ ორივე უარს არ გვეტყვით და აგრეთვე ნებას მოგვცემთ აგირჩიოთ ინგლის-რუსეთის ლიტერატურული საზოგადოების წევრად.

ჩვენი მიზანია დავამყაროთ მეგობრული ურთიერთობა თქვენსა და ინგლისელებს შორის.

თუ შემიძლია რამე სარგებლობა მოგიტანოთ, მზად ვარ გემსახუროთ. ღრმა პატივისცემით თქვენი ბრწყინვალების მორჩილი მსახური

ე. ა. კაზალეტი,
პრეზიდენტი!“

[შარაძე, 1987: 356]

1897 წლის ივლისში საგურამოში ილიასთან სტუმრად იყვნენ ცნობილი ფრანგი პროფესორი – მედიკოსი ჟაკ ბერტელიონი, იტალიელი პროფესორი ბოსკო და რუსი პოეტი და მთარგმნელი ველიჩკო. სტუმრებისთვის სასიამოვნო რომ ყოფილიყო, მასპინძელმა მოაწყო ურმით მოგზაურობა ზედაზნის მონასტერში ***[ლაისტი, 1963: 40].***

ილიასთან ვ. ველიჩკოს ურთიერთობა განსაკუთრებულია. 1896 წელს პეტრე-პავლობის დღესასწაულთან დაკავშირებით იგი მას უძღვნის ლექსს, თანაც თავისთავს ილიას „მორჩილ თანამოძმეს“ უწოდებს და ნანობს, რომ ამ დღესასწაულს მასთან ერთად ვერ განადიდებს:

«Высокочтимый князь Илья!
Скорблю, скорблю о том глубоко,
Что день великого пророка
Не с Вами славить буду я.
14 июля, 1896 г. Хутор Вернигоровщина.
Смиренный Ваш собрат Величко.»

[ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები.., 1951: 204]

საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმში, ამჟამადაც ინახება პალის ენაზე, სინგალეზიური შრიფტით პალმის ფოთოლზე დაწერილი ბუდისტური ტექსტი, რომელიც დიდ ილიას ვასილ ველიჩკომ უსახსოვრა ***[შარაძე, 1990: 105].***

იმავე 1895 წლის 22 ოქტომბერს ვ. ველიჩკო ესწრებოდა რაფიელ ერისთავის იუბილეს; სხვათაშორის, რუსეთის თითქმის ერთი საუკუნის ბატონობის პერიოდში ეს იყო ქართველთა ერთ-ერთი პირველი ეროვნული დღესასწაული. ასე მიაჩნდა ეს შეხვედრა იმდროინდელ მოწინავე საზოგადოებრიობას. თუმცა ამ საღამოს არ ჩაუვლია ინციდენტის გარეშე და ეს ვ. ველიჩკოს უკავშირდება. გიორგი ლასხიშვილი იგონებს:

„მახსოვს ველიჩკოს გამოსვლა, იმას ალბათ გაგონილი ჰქონდა, აკაკის და ილიას შორის რომ ვერ იყო კარგი განწყობილება და წარმოსთქვა რუსული ლექსი-ექსპრომტი, რომელშიაც უსურვა ორ დიდ პოეტს შერიგება და კეთილი ურთიერთობა. აკაკიმ ველიჩკოს ეს გამოსვლა იწყინა და გაჯავრებით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა. ამ უცხო კაცს ჩვენი ვითარების არაფერი ესმის და იმიტომ შედის შეცდომაშიო“ ***[ლასხიშვილი, 1934: 99].***

პოეტის აღშფოთება იმდენად დიდი იყო ვ. ველიჩკოს ამ ავანტურისტულ გამოსვლაზე, რომ რადიკალურად შეუცვლია მის მიმართ განწყობილება.

თბილისიდან ვ. ველიჩკო ბათუმში გადაუპატიჟნიათ და კარგადაც უმასპინძლიათ.[15]* ჩემი აზრით, ამის ინიციატორი იყო გრიგოლ ვოლსკი, რაც მისადმი მიწერილი ბარათითაც დასტურდება. ეს ის დროა, როცა ბათუმის ქალაქისთავად ლუკა ასათიანი აირჩიეს, რამაც ერთგვარად გამოაცოცხლა და მიზანმიმართული გახადა ქართველი საზოგადოებრიობის (გრ. ვოლსკი, ივ. მესხი, დ. კლდიაშვილი და სხვ.) საქმიანობა.

1897-1899 წლებში ვასილ ველიჩკო კავკასიაში რუსეთის იმპერიის ოფიციალური ორგანოს გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი გახდა (შეცვალა ვასილ ჩერქეზიშვილი). ამის შემდეგ იგი თვითმპყრობელობის აპოლოგეტად იქცა (შესაძლოა ადრეც იყო). იგი ხოტბას ასხამდა არსებულ წეს-წყობილებას და ლაფში სვრიდა ადგილობრივ მოსახლეობას. გამოავლინა აქტიური ანტისომხური და ანტისემიტური ტენდენციები, რაც მკაფიო შოვინისტურ გამოსვლებში აისახა.

ვ. ველიჩკოს გამოხდომები სომხების წინააღმდეგ იმდენად რასისტულ-შოვინისტური და შავრაზმული იყო, რომ თვით ქართველებიც წინ აღუდგნენ ამ გამოსვლებს. გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებულ ველიჩკოს პამფლეტს, „ნორ-ქაღაკს“ ვასილ ჩერქეზიშვილმა უპასუხა პამფლეტითვე, „ნორ-დარდაქ“ (ახალი სულელი), რასაც მაშინდელ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა ***[ლასხიშვილი, 1934: 112].***

ქართველების მიმართ ველიჩკო თითქოს ლოიალურია, ქართული ენის შესწავლასაც მიჰყო ხელი, თუმცა მისი გამონათქვამები ჩვენთვისაც არანაკლებ შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. მოვუსმინოთ ცნობილ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს გიორგი ლასხიშვილს: „ველიჩკო ჯერ ლანძღავდა სომხებს: ანგარების ხალხია, ებრაელების მსგავსი, არ დასანდობი, ფლიდი, გარყვნილი და სხვა. მერე ჩვენზე სწერდა: ქართველები რაინდი ხალხია, ერთგული რუსეთისა, პატიოსანი, მაგრამ ჩვენ,

[15] სამწუხაროდ ამ სტუმრობის დეტალები იმდროინდელ პრესას არ გაუშუქებია (იქნებ ჩვენ ვერ მივაგენით).

რუსებმა ვერ გავიგეთ ამ ხალხის სულიერი თვისებები და მიდრეკილება და დავღუპეთ, ეს ხალხი მეომარი ხალხია, ომის დროს ის მაღლდება, ხოლო მშვიდობიანობის დროს ის სულით ეცემა. ევროპული კულტურა და ცივილიზაცია მავნებელია ამ ერისათვის, იმისთვის საჭიროა სამხედრო სკოლა, სამხედრო სამსახური, იმგვარი სამხედრო ცხოვრება, როგორიც კაზაკებს აქვთ; გიმნაზია და უნივერსიტეტი ამ ხალხისთვის გამოსადეგი არ არის“ *[ლასხიშვილი, 1934: 113-114].*

ესეც შენი ლოიალობა. რას ვაქნევთ „რაინდობას“ და „პატიოსნებას“ თუ ჩვენ, შუა საუკუნეების ქართული რენესანსის მემკვიდრეებს არ გვიჭრდება ევროპული კულტურა, გიმნაზია და უნივერსიტეტი?

სხვათაშორის, ვ. ველიჩკო თავის შავრაზმული მოსაზრებების ასახვას ახერხებდა ევროპული, სპარსული, ოსმალური, ქართული ლექსების თარგმანებშიც. ამაზე ქართველი ავტორები დუმდნენ (გამონაკლისია აკაკი). თუმცა ხმას იმაღლებდნენ თვით რუსი მწერლები.

ქართველ პოეტთა ველიჩკოსეულ თარგმანებში, მაგალითად, კორნეი ჩუკოვსკიმ შენიშნა, რომ „ველიჩკო ცდილობს თავი აარიდოს ეროვნულ თვისებებს, რომელიც ახასიათებს ორიგინალის ავტორს. აშკარა იყო, რომ მთარგმნელი საგანგებოდ ირჯებოდა, რათა მის ქართულიდან თარგმანებში არ ყოფილიყო არავითარი ქართული ნიშანი... ასეთი განწყობის საფუძველია ამ პოეტების მშობელი ხალხის დაცინვა, მისდამი ზიზღი და აბუჩად აგდება.“ ანალოგიურია ნ. ს. ლესკოვის, ვ. სოლოვიოვის, ა. ბელის და სხვათა შეფასებები.

ვ. ველიჩკოს ასეთი განწყობა კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისთვის: „ვიცით, კარგად გვესმის რა ჭეშმარიტ რუსულის სულისკვეთებით არის გაჟღენთილი ეგ ადამიანიო, მაგრამ გარემოება ხელს გვიწყობს და უნდა გამოვიყენოთო“ *[ლასხიშვილი, 1934: 113-114].*

ქართველები ვ. ველიჩკოში ხედავდნენ ქართული ლიტერატურის პოპულარიზატორს, ამიტომ მას, როგორც ვთქვით, 1895 წელს საგანგებო ნადიმიც კი მოუწყვეს. თუმცა, როცა ველიჩკომ აშკარად გამოამჟღავნა რუსიფიკატორული, შოვინისტურ –შავრაზმული მიზნები. ქართველ მოღვაწეთა ნაწილმა მას ზურგი აქცია.

1899 წელს ვ. ველიჩკომ დატოვა „კავკაზ“-ის რედაქცია, მაგრამ ერთხანს თბილისში დარჩა. მან აქ შექმნა ალ. პუშკინის სახელობის ფონდი, რომლის ყულაბაში შემოსული სახსრები ხმარდებოდა დამშეულებს, ქალთა სკოლას, ონის ბიბლიოთეკას, სტიქიით და მოუსავლიანობით დაზარალებულებს.

1900 წლის ივნისში ვასილ ველიჩკო საბოლოოდ გამოეთხოვა თბილისს. სხვათაშორის, იგი გაუცილებიათ ნიკო

ცხვედაძეს, სიმონ ესაძეს და ეკატერინე მელიქიშვილი-მესხისას *[გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900: 2].*

მოსალოდნელი იყო, რომ თბილისიდან წასვლის შემდეგ ვ. ველიჩკო ოდნავ მაინც შეიცვლიდა თავის განწყობას კავკასიელების მიმართ, თუმცა მოხდა პირიქით. იგი კვლავ ცუდად იხსენიებს რუსეთში მცხოვრებ ებრაელებსა და სომხებს, არც ქართველებს აკლებს ხელს, მოუხშირა ანტიქართული მასალების ბეჭდვას, რასაც მოჰყვა აკაკის ლექსი „ყიზილბაშური;“ მასში უკიდურესად უარყოფითად არის შეფასებული ველიჩკოს პუბლიკაციები. პრესაში მკაცრი კრიტიკით გამოვიდნენ აგრეთვე სამსონ ფირცხალავა, ლევან ყიფიანი, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და სხვ.

პეტერბურგში ველიჩკო გახდა „რუსსკი ვესტნიკის“ თანარედაქტორი. დასაწყისში იგი აქვეყნებდა მხოლოდ ლექსებს, მაგრამ როგორც კი რედაქტორი გახდა, მოუხშირა ნაციონალისტური და შოვინისტური შინაარსის მქონე პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებას. მისი ძირითადი მრწამსი იყო შემდეგი: „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ეროვნება რუსეთისთვის ისეთივე სასიცოცხლო ჭეშმარიტებაა, როგორც ფრინველისთვის ფრთები და ჰაერი მათთვის, ვინც სუნთქავს.“

ვასილ ველიჩკო გარდაიცვალა 1903 წლის 31 დეკემბერს ფილტვების ანთებით. დაკრძალულია მშობლიური ხუტორის ვერნიგოროვშჩინას სასაფლაოზე.

ვასილ ველიჩკოსთან ურთიერთობამ თბილისის საზოგადოებრიობა ორად გაჰყო. ერთმა ნაწილმა კარგად უწყოდა მისი გაორება, მაგრამ ითმენდა და ზოგჯერ იცავდა კიდეც მას სხვების თავდასხმისაგან (ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, ვ. გუნია, გ. წერეთელი, ალ. ხახანაშვილი, მიხ. ნასიძე, ნიკო ხიზანიშვილი, ნ. ცხვედაძე, ს. ესაძე, ე. მელიქიშვილი და სხვ.). მეორენი, კერძოდ: ჩიორა (არტემ ახნაზაროვი), ნიკო მარი, გიორგი ლასხიშვილი, ი. ზურაბიშვილი, ესპერ უხტომსკი, სამსონ ფირცხალავა, ლევან ყიფიანი, ვლ. ლორთქიფანიძე და სხვები მკვეთრად უარყოფითად ახასიათებდნენ ველიჩკოს, რომელიც შუღლს აღვივებს ერებს შორის, აქვს შოვინისტური შეხედულებები და ა.შ.

ვასილ ველიჩკოს მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის მე შეგნებულად არ დავასახელე გრიგოლ ვოლსკი, რადგანაც არცერთ მის გამოსვლაში, ან პუბლიკაციაში იგი არ ახსენებს ვ. ველიჩკოს, არც კარგად და არც ცუდად. მათი ურთიერთობის გასარკვევად და მიახლოებითი დასკვნის გასაკეთებლად ალბათ მკითხველი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი და ჯერჯერობით ერთად-ერთი გრიგოლ ვოლსკისადმი გაგზავნილი ვ. ველიჩკოს ზემოთ დასახელებული წერილი და მის მიერ თარგმნილი ლექსი, „როს საუკუნოდ დავჯუმდე...“ გამოგვადგება.

ჯერ გავეცნოთ ვასილი ველიჩკოს პირად წერილს[16]:

„უძვირფასესო კოლეგა გრიგოლ იოსების ძევ!

დაუვიწყარი ბათუმიდან გამომგზავრების შემდეგ დიდი ხანია ვაპირებდი შენზე მოწერას, რათა მთელი სულით და გულით მადლობა გადამეხადა ყველაფრისთვის და უფრო მეტად იმისთვის, რომ შენ არსებობ, ისეთი, როგორიც ხარ!... თუმცა უპირველესად მე ხელს მიშლიდა სამოგზაურო ფუსფუსი, აგრეთვე დაუმსახურებელი ზეიმები, რომელთაგან ალბათ ჭკუას დავკარგავდი, მე სულიერად ფილოსოფოსს რომ არ შემეგნო: მე უფრო საბაბი ვიყავი, ვიდრე საგანი ყველაფერ იმის გამოსახატავად, რაც ჩემთვის ძვირფასია და რაც შენი თანაქალაქელების გაწვალებულ გულებში დუღდა...

პეტერბურგში დაბრუნებული, გონს მოვეგე თუ არა, გამოფხიზლებულმა, ამ სიტყვის პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით, შევიგნე, რომ შენზე მადლობის სათქმელად ძალა არ მეყოფა: ამისთვის ცოტაა სიტყვები, საჭიროა ფაქტები, საჭიროა მრავალი წელი... და მეც ძალაგამოცლილი ვდუმდი მანამ, სანამ " იმ ადგილების და ადამიანების, ვინაც ჩემი სული მშობლიური გახდა, ე. ი. „სამშობლოს ნატვრამ ჩემგან არ მოითხოვა ლექსები... და ჩემი პირველი ლექსი შენ გეკუთვნის, იგი ჩვენი სიმღერების ერთმანეთთან შერწყმაა. ვჩქარობ გამოგიგზავნო იგი, შენი განსჯისთვის, თანაც გთხოვო მითხრა გულახდილად (რაც შეიძლება ჩქარა!) შენ კმაყოფილი იქნები, „უმწიფარიძის" ლექსს ასეთი სახით თუ დაბეჭდავ?

როგორც ხედავ, მეგობარო, თარგმანი ოდნავ თავისუფალი გამოვიდა: ალაგ-ალაგ მე სტრიქონები გადავაკეთე, ზოგან განვავითარე შენი აზრი, ხოლო ორ ადგილას დედანს გავცდი, რაც მე პირდაპირ აუცილებლად მომეჩვენა.

არამარტო სიტყვა, არამედ თვით მცნება «гишери» რუსულ პოეტურ ენაზე არ ითარგმნება: გიშერი ქვანახშირის სახეობაა, აქ კი იგი, სრულიად არაპოეტურად ჟღერს. მინდოდა მეთარგმნა «агатовый», მაგრამ აქატი არა სრულიად, არამედ ნახევრად შავია. შავია „ონიქსიც," მაგრამ «ониксовый» რუსულად არაკეთილხმოვნად ჟღერს. «черный, как смоль, как ночь, как вороново крыло» (შავი კუპრივით, ღამესავით, ყორნის ფრთასავით) ძალზე გაცვეთილი მეტაფორებია... მე შევჩერდი გამოსახვაზე «тьмой сверкающих волос» (ბნელით გაბრწყინებული თმები) – მასში არის ერთგვარი იმპრესიონიზმი, მაგრამ მე იგი საკმაოდ თავდაჯერებულად მომწონს... ვლ. სოლოვიოვი, რომელმაც ახლახანს ივახშმა ჩემთან, ასევე მოიწონა იგი. ბოლოს, მე გამახსენდა თმები, რომლებზეც სწორედ ასე შეიძლება ითქვას. ლექსის ბოლოში მე ამოვიღე „ჭიანი". ამის შესახებ მე შენზე ჯერ კიდევ საქართველოში უნდა მეთქვა, მაგრამ ვერ მოვასწარი. საქმე

[16] თარგმანი ჩვენია – რ. ს.

იმაშია, რომ ყოველ პოეტურ ენას აქვს თავისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ესთეთიკური ცრურწმენა. შექსპირის მკვეთრად რეალური სცენისთვის „ჭიები“ რუსულადაც კარგად გამოდის; ტიპურ აღმოსავლურ, ან ბიბლიურ ლექსებშიც ასეა... მაგრამ რუსული ესთეტიკის მოთხოვნების და მისი არა ყოველთვის აღსაქმელი დაუწერელი კანონების მიხედვით, ამ შენს ნაწარმოებში „ჭია“ რუსულად დისონანსს წარმოადგენს... მე არა მარტო ვფიქრობ, არამედ პირდაპირ ეჭვიც არ მეპარება, რომ ქართულად კარგად გამოდის – რუსულად კი შეუძლებელია. სილამაზეზე შეხედულება სხვადასხვაგვარია!... ჩემი ამოცანა კი არის ქართულიდან თარგმანი შესაძლებლობის მიხედვით რუსული ფორმით შევმოსო.

დღე, რუსეთის საზოგადოებრიობა მხატვრული სიმპათიების გზით მთლიანად და გულითადად დაუახლოვდეს ქართველ ხალხებს, რომელსაც ესოდენ დიდი კულტურის ფესვები და ყვავილები გააჩნია, ამ გამოთქმის საუკეთესო გააზრებით.

თუმცა მე ადრინდელ თემას გადავუხვიე.

უმორჩილესად გთხოვ, სრულიად გულღიად მითხრა შენი აზრი ჩემს თარგმანზე, თუ ის შენ არ მოგეწონება, მე მას შევეცდები და დავხევ, შენ კი გთხოვ უფრო მეტ ბწკარედს ჩემი სულიერი ზიანის ასანაზღაურებლად!... ამას მე ისედაც გთხოვ.

ამავე ფოსტით დაკვეთილი ამანათით გიგზავნი ჩემს წიგნებს, რადგანაც მე უნდა მქონდეს ყველა ჩემი თხზულება (ლირიული ლექსების გარდა, რომელთა უმრავლესობა ამოკრებილია სხვა ორი ტომიდან). როგორც კი კარგად გადაიღებენ, მაშინვე გამოგიგზავნი ღია ბარათს შენი ბარათის სამაგიეროდ.

ჩვენი ბათუმური ღრეობის ყველა მონაწილეს მინდა თითო წიგნი მაინც ვახვედრო, მაგრამ სამწუხაროდ დამავიწყდა შემდეგი პიროვნებების სახელი და მამის სახელი: ქალბატონი ანჯაფარიძე, ჟდანოვა, მესხი, ხოფერია, თავადი შერვაშიძე, უმიკაშვილი და ბერძენიშვილი. არ დაგეზაროს მაცნობო ეს მონაცემები რაც შეიძლება ჩქარა (ასევე დასახელებული პირების მისამართები). რათა მათ წინაშე დიდხანს არ ვიყო ვალში. ამასთანავე, ახლავე გიგზავნი წიგნებს.

თავზარი დამცა გაზეთებში წაკითხულმა ცნობამ იმ უბედურების შესახებ, რომელიც თავს დაატყდა ბათუმს!... ღვთის გულისთვის გთხოვ მომწერო, ხომ არ დაზარალდა იმათი ინტერესები, ვინც ჩემთვის ძვირფასია, ე.ი. ჩემი ახალი ნაცნობებისა, რომლებიც უფრო ახლობელია, ვიდრე ნათესავი.[17]

საცოდავი ლუკა ნიკოლოზის ძე. აი ვინ დაიქანცა იმ საშინელ დღეებში... არ დაგეზაროს ჩემს მაგივრად თავი დაუკრა

[17] ც. ნოზაძის აზრით, აქ საუბარია ქოლერაზე, რაც არასწორია. ქოლერის ეპიდემია 1892-1893 წლებში მძვინვარებდა. აქ კი ავტორი წერს 1895 წლის წყალდიდობაზე, რომელმაც დააზარალა მთელი დასავლეთი საქართველო, მათ შორის ქ. ბათუმი

მას და გადასცე, რომ მე არ დამვიწყებია მისი თხოვნა, არამედ კეთილსინდისიერად ვასრულებ შესაძლებლობის ფარგლებში, – მაგრამ ეს უბრალო საქმე არაა...

თუმცა, იმედი მაქვს, ყველაფერს შევასრულებ და მაშინვე მივწერ დაწვრილებით. ძალიან გთხოვ, ჩემი დის და ჩემი სახელით მიესალმო ყველას, განსაკუთრებით ქალბატონებს! დეე მამაკაცები ნუ განაწყენდებიან ამ „განსაკუთრებულის“ გამო. როცა ადამიანი გაიფიქრებს აყვავებულ ბაღზე, რა თქმა უნდა, პირველად იგი ფიქრობს ვარდებზე!... არა, უმჯობესია, არაფერი თქვა, იმიტომ, რომ იტყვი ან ძალზე ცოტას, ან ძალზე ბევრს. ღმერთმა დაგიფაროთ ყველა თქვენთაგანი, ჩემი ძვირფასი მეგობრები!...

მე ცოდვილმა, გასხივოსნებული კავკასიის შემდეგ, ბინდისფერ, „პეტერბოლოტში“ მოვიწყინე, მაგრამ მოწყენილობას არ ავყევი, რადგანაც ყელამდე ჩაფლული ვარ დასანანი საზრუნავით, სახაზინო სამუშაოთი, ლიტერატურული თითხნით, ხოლო დასვენების იშვიათ წუთებს ვუძღვნი მუზას...

მეყოლე ჯანმრთელად და ბედნიერად. ძალზე მაგრად, მაგრად აკოცე საკუთარ თავს.

შენი ვ. ველიჩკო.
15 ნოემბერი, 1895 წ.“[18]

ახლა ალბათ უნდა გავიხსენოთ გრ. ვოლსკის ლექსი, „როს საუკუნოდ დავდუმდე...“, ხოლო შემდეგ გავეცნოთ ველიჩკოსეულ თარგმანს, რათა თავალნათლივ დავინახოთ რას წარმოადგენს ეს „თავისუფალი თარგმანი“, როგორ „განავითარა“ ვოლსკის აზრი, სად „გადაცდა დედანს“ და ა.შ.

როს საუკუნოდ დავდუმდე...

როს საუკუნოდ დავდუმდე, გულმა შესწყვიტოს ძგერანი,
სიყვარულისა შესწყვიტონ სიმთა მკრთოლვარე ჟღერანი,
ველარ ვხედავდე მშობელ ცას, მომაკლდეს სატრფოს მზერანი,

---

[18] წერილში მოხსენიებული პიროვნებები:
1. ვლადმირ სოლოვიოვი (1853-1900) რუსი პოეტი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი ვ. ველიჩკოს მეგობარი. პირველ ხანში დიდად აფასებდა ველიჩკოს შემოქმედებას, შემდგომში მისმა რადიკალურმა შოვინიზმმა ისინი ერთმანეთს დააშორა.
2. ანჯაფარიძე. ბათუმის პოლიცმეისტერის ნოტარიუსის ნესტორ ანჯაფარიძის მეუღლე, შემდგომში ქ. ბათუმის ქალაქის თავის (1919-1921) გიზო ანჯაფარიძის დედა.
3. ჟდანოვა (უცნობია).
4. მესხი ივანე (1849-1931) ბათუმის ქალაქის საკრებულოს მდივანი.
5. ხოფერია (უცნობია)
6. შერვაშიძე პროკოფი (1840-1915), თავადი, პოლკოვნიკი, მერი შერვაშიძის მამა.
7. უმიკაშვილი პეტრე (1838-1904), ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე.
8. ბერძენიშვილი ექვთიმე ბათუმელი მრეწველი და მეცნიატი, ქალაქის ხმოსანი
9. ლუკა ასათიანი (1826-1902) ბათუმის ქალაქისთავი (1895-1908).

აღსრულდეს აღსასრულია, გარდუვალ ბედის წერანი, –
ნუ დამიტირებ, ნუ მიგლოვ, ცრემლსა ნუ დაღვრი მწარესა,
სახეს ნუ იხოკ ლამაზსა, ჩემის სიცოცხლის მთვარესა,
თმას ნუ გაიშლი, გიშრის თმას, მოთქმას ნუ მასმენ მწარესა,
რომ შენს სიკვდიმდე ტრფიალსა გულს მიწა წამაყარესა!...
გულსა, სად დუღდა სისხლ-ცრემლი, დე დაესიონ ჭიანი,
ოღონდ საფლავზე ყვაოდეს ვარდნი ფურჩქვინილი, იანი,
დაეხსენ მოვკვდე, დავმიწდე, მატლთა გულს მისცენ ზიანი,
ოღონდ შენ, სატრფოვ, ხარობდე და ცა სხივს გფენდეს მზიანი.

[ჟურნ. „მოამბე“, №2, 1894]

ვ. ველიჩკოს პირველი თვალშისაცემი თვითნებობაა, ის რომ მან გრ. ვოლსკის 16-მარცვლიანი ლექსი 8-მარცვლიანად გადააკეთა და ამით, თუნდაც ტექნიკურად დააშორა ორიგინალს. აშკარაა, რომ ლექსი მოცულობითაც თითქმის ორჯერ გაზრდილია. ამაში მკითხველი თვით დარწმუნდება, როცა თარგმანს გაეცნობა:

Когда навек замолчу я,
Когда последнее дыханье
Порвет все струны бытия.
Весь трепет сердца, все желанья,
Когда лишусь я созерцания.
Твоей волшебной красоты –
И к небу, светлому, как ты,
Мой взор угасший не воспримет
Из мира вечной темноты.
Всегда всему конец настанет –
И рок нещадный, как палач,
Свернет решенное заранее, -
О друг! По мне тогда не плачь!
Не надо скорбных одеяний!
Пускай отрава горьких слез
Не жжет очей твоих лучистых,
Не расплетай своих волнистых,
И тьмой сверкающих волос.
И черт лица, что озарили,
Как солнце мир моей печали,
Не искажай, краса моя,
В порыве тщетного страдания!
Молчи, чтоб тяжкого рыданья
Сквозь вечный сон не слышал я!
Не сожалей о том напрасно.
Что сердце, полное тобой,
Тебя любившее так страстно
Навек засыпано землей!
Неукротимою волной
В нем клокотали кровь и слезы,
Пускай истлеет!..Лишь бы розы –
Над этой жертвою земли
Благоухали и цвели,
Цвели счастливые фиалки!
Пускай исчезнет прах мой жалкий,
Пусть весь умру я … лишь бы ты
Царица пламенных стремлений,
Царица песен и мечты,
Пила из кубка наслаждений
Животворящую струю!...
Пускай небесный свод синеет
И солнца луч любовью греет
Тебя, желанную мою!...

[ნოზაძე, 1974]

მკითხველს ალბათ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დარჩება ამ ნარკვევის წაკითხვისას, რადგანაც გამოკვეთილად არ გამოვხატავ ჩემს დამოკიდებულებას ვასილ ველიჩკოსადმი. ბოლოსდაბოლოს ვინაა ის, მოყვარე თუ მტერი? მიმაჩნია, რომ მე მის მსაჯულად არ გამოვდგები, ამ პიროვნების მოქმედება შეაფასეს ჩვენმა დიდმა კორიფეებმა. ვ. ველიჩკოზე ჩემს ხელთ არსებული გამონათქვამებიდან ყველაზე ობიექტურად მიმაჩნია

ილია ჭავჭავაძის ციტატები და იაკობ გოგებაშვილის მოსაზრებები, რომელიც მან საგაზეთო სტატიაში „მოყვარე თუ მტერი?“ ჩამოაყალიბა.

ავტორს მიაჩნია, რომ იმდროინდელი გაზეთები ცალმხრივად აშუქებდნენ ვ. ველიჩკოს მოღვაწეობას, ან ხოტბას ასხამდნენ, ან კიდევ შავრაზმელ შოვინისტად და მოღალატედ სახავდნენ; იაკობ გოგებაშვილის აზრით, „თვითოეულს ჩვენს გაზეთს ცალმხრივ რომ არ შეეხედნა მისი ნამოქმედარისათვის და ობიექტურად, მიუდგომლად და ამასთან ვრცლად აღენიშნა როგორც პასივი, ისე აქტივი, როგორც მეგობრული მსჯელობა და მოქმედება, ისე მტრული, მაშინ მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ნამდვილი სიმართლე იპოვება შუაგულსა ადგილსა, მეგობრობასა და მტრობას შუა“ ***[გაზ. „ივერია“, 1904: 2-3].*** ვფიქრობ ამ შეფასებას განსჯა აღარ სჭირდება.

ილიას დამოკიდებულება ვ. ველიჩკოსადმი კარგად დაახასიათა ექვთიმე თაყაიშვილმა. ერთხელ, როცა ქართველი მოღვაწეები ვ. ველიჩკოსთან ოჯახში სტუმრად ყოფილან, ილიას ცალკე გაუხმია ექვთიმე და უთქვამს: „ჩვენი უბედურება ისაა, რომ არ ვიცით ხოლმე შეხვედრა და მოლაპარაკება, თუ როგორ მოვიქცეთ ამა თუ იმ საკითხის გამო, ერთი პირი არ გვაქვს. აი, თუნდაც ისიც არ გვაქვს გამორკვეული, როგორ უნდა მოვექცეთ ამ კაცს, ველიჩკოს, სომხებს რომ არ სწყალობს და აძაგებსო? ზოგიერთი ჩვენგანი ლანძღავს ამისთვის ველიჩკოს, მაგრამ როდესაც სომხებს ჩვენზე იერიში მოაქვთ და მიწასთან გასწორებას გვიპირებენ, მათს წინააღმდეგ ერთს სიტყვასაც არ დასძრავენო“ ***[თაყაიშვილი, 1968: 271].***

დიდი ერისკაცის სინანულით ნათქვამი სიტყვები დღესაც ძალაშია. ამ სიტყვებმა ჩვენს დროში, შესაძლოა, სხვა უფრო მნიშვნელოვანი აზრი შეიძინეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზ. „ივერია“, 1904: – გაზ. „ივერია“, № 133, 9 ივნისი, 1904.

გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900: – გაზ. „ცნობის ფურცელი“, №1150, 13 ივნისი, 1900.

თაყაიშვილი, 1968: – თაყაიშვილი ექვთ., რჩეული ნაშრომები, I, თბილისი.

ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები.., 1951: – ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები და ნუსხები, თბილისი.

ლაისტი, 1963: – ლაისტი არ., საქართველოს გული, თბილისი.

ლასხიშვილი, 1934: – ლასხიშვილი გ., მემუარები, ტფილისი.

ნოზაძე, 1974: – ნოზაძე ც., ვ. ლ. ველიჩკოს წერილი გრ. ვოლსკისადმი. კრ.: ჟურნალისტიკის თეორიის და ისტორიის საკითხები, III, თბილისი.

ნოზაძე, 1999: – ნოზაძე ც., გრიგოლ ვოლსკი, თბილისი.

სურმანიძე, 2014: – სურმანიძე რ., გრიგოლ ვოლსკი, ბათუმი.

ჟურნ. „კვალი“, №43, 1895.
ჟურნ. „მოამბე“, №2, 1894.
შარაძე, 1987: – შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე, I, თბილისი.
შარაძე, 1990: – შარაძე გ., ილია ჭავჭავაძე, II, თბილისი.
წერეთელი, 1963: – წერეთელი აკაკი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, XV, თბილისი.

Ramaz Surmanidze (Batumi, Georgia)

Vasil Velichko's Letter to Grigol Volski and the Translation of One Poem

Summary

The famous Russian poet and translator Vasily Velichko lived in Georgia since 1895. He has a close relationship to members of Georgian famous society at that time: Ilia, Akaki, G. Wolski, Niko Nikoladze and other Georgian figures. he translated the works which he respected. in 1897-1899, V. Velichko, was editor of the newspaper of being a ,, Caucaz. " During this time he was clearly a hostile attitude towards the local population, especially Armenians. His speeches were anti-Semitic tendencies in chauvinistic, leaving his change of attitude in society. The vast majority turned away from him, the Russian progressives even called him blackdetachment and extreme chauvinist. In 1900 Velichko left the Caucasus, died on 31 December, 1903.

დალი ფუტკარაძე
(ბათუმი, საქართველო)

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ინტეგრაცია და სოციალური ადაპტაცია ბათუმის საბავშვო ბაღებში

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობები აქტუალური პრობლემაა და საჭიროებს მეტ ყურადღებას საზოგადოების მხრიდან. სამწუხარო რეალობაა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არასაკმარისი საშუალებები არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) ბავშვების სწორი სოციალურ-პედაგოგიური აღზრდის, საზოგადოებაში ინტეგრირებისა და სოციალური ადაპტაციისათვის.

დღესდღეობით საქართველოში 140 000-ზე მეტი შშმ პირია, მათგან უმეტესობა ბავშვია. მათთვის არსებობს სხვადასხვა სახის მომსახურება, მათ შორის, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ბაგა-ბაღები, დღის ცენტრები, ინკლუზიური სკოლები. ასევე, შემუშავებულია შშმ პირთა უფლებების დაცვის სამართალწარმოება ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო ორგანოებში.

ამ მიმართებით ბათუმში არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებშიც მიმდინარეობს მუშაობა. საბავშვო ბაღებთან შექმნილია ინკლუზიური ჯგუფები, მათთვის გამოყოფილია ცალკე ოთახები, პანდუსებიანი შესასვლელები, თუმცა კარგი იქნებოდა, რომ ამ ბავშვებთან დანარჩენი ჯგუფების ბავშვებს ჰქონდეთ ინტენსიური და აქტიური ურთიერთობა, რადგან სხვა ბავშვებთან კონტაქტით შშმ ბავშვები უფრო ადვილად მიეჩვევიან საზოგადოებასთან ურთიერთობას. ამდენად, მიმაჩნია, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მზრუნველობისა შშმ ბავშვებისადმი, ეს არ არის საკმარისი და ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი.

ეს პრობლემები მხოლოდ შშმ პირთა ოჯახებს არ უნდა აწუხებდეთ, ამით მთელი ერი უნდა იყოს დაინტერესებული. როგორც ნელსონ მანდელა იტყოდა: "მთავარი საქმე უნდა იყოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანთა მიმართ წახალისება. მათ არ სჭირდებათ "უნარიანი" ხალხის მფარველობა. ჩვენ გვმართებს კაცობრიობის უნივერსალური ღირებულებების გაცნობიერება, გააზრება და აღიარება, რომ ჩვენ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთა არსებობა ჩვენი მრავალფეროვნების კიდევ ერთი სიმდიდრეა".

2009 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს – გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციას, რომელიც ნერგავს სრულიად ახალ მიდგომებს. კონვენციაში აღნიშნულია: "გონებრივად ან ფიზიკურად არასრულფასოვანი

ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომელიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას" ***[შეზღუდული შესაძლებლობების.., 2006: მუხლი 23, 1].***

სახელმწიფომ ამ დოკუმენტის თანახმად უნდა უზრუნველყოს ყველა რესურსის გამოყენება – ადმინისტრაციულის, ადამიანურის, ფინანსურისა თუ ტექნიკურის, რათა მოხდეს შშმ პირთა უფლებების რეალიზება და ამ მიმართებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ეს კი, პირველ ყოვლისა, უნდა დაიწყოს სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც სხვა ბავშვებთან ინტეგრირებით შშმ ბავშვები ადვილად გაივლიან ადაპტირებას საზოგადოებასთან.

"თუკი დღემდე შშმ ბავშვებს მხოლოდ პაციენტებად აღიქვამდნენ, გაეროს კონვენციით დამკვიდრდა ახალი მიდგომა – ის ამკვიდრებს შშმ პირების, როგორც სრულფასოვანი მოქალაქეების აღქმას. ასეთი მიდგომით კი სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი გარემო, რომელიც შშმ პირთა საჭიროებებს გაითვალისწინებს" ***["მომავლის ხედვა", 2014: 7].***

ბოლო ათწლეულის მანძილზე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების აღზრდისა და განათლების სფერომ განიცადა მრავალმხრივი ცვლილება. ესაა ბავშვების განვითარების, მათი პრობლემებისა და სწავლების მეთოდოლოგიის გაცნობიერების დონე, თანასწორუფლებიანობის აღიარება და დაფასება განათლებისა და აქტივობების თვალსაზრისით, სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება, მშობლებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობა და ინტეგრაცია ***[ჯონსონი, სკორტენი, 2001: 39].***

განათლება ყველა ასაკში და ცხოვრების ყველა დონეზე უზრუნველყოფს შშმ ადამიანისადმი პატივისცემას. ამ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სხვა ბავშვებთან ურთიერთობის, თამაშის, სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება და თანაბარი შესაძლებლობები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთი შშმ ბავშვი არ უნდა გამოირიცხოს საერთო სააღმზრდელო-საგანმანათლებლო სივრციდან, პირიქით, მათ უნდა მიიღონ მხარდაჭერა სკოლამდელი დაწესებულებებიდან მათთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო-აღმზრდელობითი მიდგომით, რაც საშუალებას მისცემს შშმ ბავშვებს განავითარონ თავიანთი გონებრივი, აკადემიური და სოციალური შესაძლებლობანი.

მიმაჩნია, რომ ამასთან დაკავშირებით საბავშვო ბაღების აღმზრდელ-მასწავლებლებისათვის რეგულარულად უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების ჩატარება. შშმ ბავშვებს სკოლამდელ დაწესებულებებში უნდა ასწავლიდნენ კვალიფიციური პედაგოგები. სწორედ საბავშვო ბაღის პედაგოგებს

უნდა ჰქონდეთ ის საჭირო კომპეტენციები, რაც შესაძლებლობას მისცემს მათ დაეხმარონ შშმ ბავშვებს ეფექტური აზროვნების უნარის განვითარებასა და სულიერი პროცესების ჩამოყალიბებაში.

კარგია, რომ საბავშვო ბაღებში შექმნილია ჯგუფები შშმ ბავშვებისათვის, მაგრამ პრობლემები ჯერ კიდევ მწვავეა. ეს შეეხება ტექნიკურ და მატერიალურ მხარესაც. აუცილებელია ყველა შშმ ბავშვს მიეცეს სკოლამდელი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა.

შშმ ბავშვებისათვის ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტების განსახორციელებლად სკოლამდელ დაწესებულებებში მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- საბავშვო ბაღში აღზრდისა და სწავლების მთელი პროცესი აიგოს აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. დღის წესრიგი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მოსახერხებელი იყოს შშმ ბავშვებისათვის. საბავშვო ბაღებში დამკვიდრებულ მეცადინეობათა ორგანიზებულ ფორმებში შშმ ბავშვები ისევე უნდა იყვნენ ჩართულნი, როგორც დანარჩენი ბავშვები. მათაც ისევე უნდა ძერწონ, ხატონ, იმღერონ, მონაწილეობა მიიღონ დიდაქტიკურ თამაშებში და ისევე თავისუფლად იგრძნონ თავი, როგორც სხვა ბავშვებმა.
- სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ შშმ ბავშვს ჩამოუყალიბდეს არა მარტო აღქმა და განუვითარდეს მეხსიერება, არამედ ყურადღება მიექცეს უმარტივესი ინტელექტუალური პროცესის ფორმირებას.
- შშმ ბავშვის განვითარების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის ინტერესებზე ორიენტირებულ სოციალურ გარემოს, მის ჩართულობას სააღმზრდელო დაწესებულებაში.
- თითოეული შშმ ბავშვისათვის უნდა შეიქმნას პორტფოლიო, სადაც აღმზრდელი ბავშვის შესახებ იღებს ნებისმიერ ინფორმაციას და ეს გაუადვილებს მასთან მიდგომის გზების ძიებას. პორტფოლიოში მოქცეული ინფორმაციები შშმ ბავშვის ფსიქოლოგიის, მიდრეკილებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ არის ერთგვარი საყრდენი და ინფორმაციის წყარო აღმზრდელისათვის, რადგან ამ მონაცემებზე დაყრდნობით წარმართავს პედაგოგი სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობას.

“ზოგჯერ შეუძლებელია ბავშვის დაავადების სრული განკურნება, მაგრამ შესაძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესება და მისი ინტეგრაცია საზოგადოებაში. ბავშვი უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის, მოვექცეთ ისევე, როგორც მის “ჩვეულებრივ” თანატოლს” ***[კახიანი, 2010: 115].*** სწორედ ასეთ მიდგომას ითვალისწინებს ინკლუზიური განათლება.

ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ის უპირატესობებია, რაც მას მოაქვს

შშმ ბავშვებისათვის. ნებისმიერი პედაგოგისა თუ აღმზრდელის მოვალეობაა შშმ ბავშვს განუვითაროს სოციალური უნარ-ჩვევები. ასეთ ბავშვებთან ინკლუზიური პროცესი ეყრდნობა აღზრდისა და განათლების სისტემის მოქნილობას, შემოქმედებით მიდგომას და გადაწყვეტილებების მიღებაში მშობლების, პედიატრის, ფსიქოლოგისა და აღმზრდელ-მასწავლებლის ერთობლივ ჩართულობას.

შეუძლებელია ინკლუზიის ერთიანი ეროვნული მოდელის შემუშავება, მაგრამ ეს პროცესი მოითხოვს თითოეული საბავშვო ბაღის, სკოლის, საზოგადოების, სახელმწიფოს ერთიან ძალისხმევას ინკლუზიის პროცესში ინდივიდუალური მიდგომის განსახორციელებლად. კარგი იქნება, სკოლამდელმა დაწესებულებებმა გაიზიარონ ინკლუზიური სწავლების სკოლების გამოცდილება, რომელიც ითვალისწინებს აუტიზმის, გონებრივი ჩამორჩენილობის, ცერემბრალური დამბლის, ყურადღების დეფიციტის და ფიპერაქტივობის ბავშვების მონაცემებზე დაყრდნობით შექმნილ გრძელვადიან და მოკლევადიან სამუშაო გეგმას, რომლის თანახმად მიმდინარეობს მუშაობა, ხორციელდება მონიტორინგი. ამ ბავშვების ჩართულობით ტარდება კულტურული ღონისძიებები, საქველმოქმედო კონცერტები, რამაც შექმნა კეთილგანწყობისა და ურთიერთნდობის ატმოსფერო.

შშმ ბავშვები ძალიან მგრძნობიარენი არიან, უყვართ ადამიანებთან ურთიერთობა, სწრაფად რეაგირებენ მეგობრულ გარემოზე და მშვიდ დამოკიდებულებაზე, ადვილად შეიძლება მათი წყენინება, ამიტომ შშმ ბავშვებს საბავშვო ბაღიდანვე უნდა შეექმნას ხელსაყრელი გარემო პირობები, რათა მომავალში გაუადვილდეთ სირთულეებთან გამკლავება და იგრძნონ სოციალური მხარდაჭერა.

ამდენად, პირველ რიგში სწორედ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უნდა დაეხმარონ შშმ ბავშვებს, აღმოაჩინონ და წარმოაჩინონ მათი შესაძლებლობები, დაამყარონ მათთან პოზიტიური –სიყვარულსა და პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები. "ასეთი ურთიერთობის და სწორი სტრატეგიის გამოყენება ადვილი არ არის, მაგრამ ის საუკეთესო პირობაა ბავშვის პიროვნების განვითარებისათვის" ***[www.http://mastsavlebeli.ge].***

ქვეყნის იმიჯი განისაზღვრება იმით, თუ როგორ უვლის და პატრონობს იგი სოციალურად დაუცველებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ამ მიმართებით ქვეყნის იმიჯზე ზრუნვა სკოლამდელი დაწესებულებებიდან უნდა დაიწყოს. ყველამ უნდა გაიაზროს, რომ შეუძლებელი არაფერია და საჭიროა შევთავაზოთ შშმ ბავშვებს იდეალური სააღმზრდელო-სასწავლო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება თითოეული შშმ ბავშვის შესაძლებლობების წარმოჩენაზე, სოციალიზაციასა და საზოგადოებაში ინტეგრირებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:
კახიანი, 2010: – კახიანი ჯ., ბავშვის სამყარო, თბილისი.
„მომავლის ხედვა", 2014: – გაზეთი „მომავლის ხედვა", 2014 წლის თებერვალი.
შეზღუდული შესაძლებლობების.., 2006: – გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ".
ჯონსონი, სკორტენი, 2001: – ჯონსონ ბერიტი ჰ., სკორტენ მირიამი დ., ინკლუზიური განათლება, თბილისი.
www.http://mastsavlebeli.ge
http://www.gnist.no

Dali Phutkaradze (Batumi, Georgia)

Disabled Children's Integration and Adaptation in Batumi Kindergartens

Summary

The paper "social adaptation and integration of disabled children in pre-school institutions" is very actual and in line of international modern needs with disabled people integration in to society. Today, when in the whole world is activated the UN International Convention on the Rights of Disabled Persons, the image of the country depends on to how it takes care of disabled people, are these people involved or not in socially active life, educational processes.

Therefore, the greatest importance has preschool institutions in the process of adaptation of disable children. First of all, these institutions should be responsible to break established stereotypes toward disable children, discover disable children capabilities and assistance for promoting.

The paper emphasizes that for disable children socialize is essential the good upbringing and education. They just have to live like regular kids, and do not distinguish from the rest community members. Family members of disable person should realize that to lock in house or isolate form society such kind of children is inadmissible. On the contrary, the integration of disabled children with other children will support to easily adapt to the public.

The paper deals with the fact that despite the recent positive steps of the realization of disable persons rights, in our country, including the Batumi pre-school institutions are still unsatisfactory for disabled child rearing methods commonly establishment, their social integration and capabilities self-respect, for which the government and the entire society should together apply possible resources in order to eliminate mentioned Deficiencies.

შუშანა ფუტკარაძე, მერაბ ახვლედიანი
(ბათუმი, საქართველო)

ევგენი მარკოვის ბათუმური ნარკვევები

ბათუმი-ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ჭიშკარი – უხსოვარი დროიდანვე იყო მოგზაურთა და მკვლევართა მიმზიდველი ადგილი. კავკასიაში მოხვედრილი ყველა ცნობისმოყვარე ადამიანი ცდილობდა სტუმრობოდა ბათუმს, გაცნობოდა მის მდებარეობას, გეოგრაფიულ გარემოს, ბუნებას, მოსახლეობას. ყველა მათგანი ბათუმიდან ბრუნდებოდა დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით. ბათუმს ასეთი სტუმარი ბევრი ჰყვია. ჩვენი საუბრის თემა გახლავთ ცნობილი რუსი მწერლისა და მოგზაურის ევგენი მარკოვის ბათუმში მოგზაურობის ამსახველ ნარკვევებში შემონახული, გაცოცხლებული ძველი ბათუმის სახე.

ქალაქი ბათუმი და მისი შემოგარენი კარგადაა წარმოჩენილი რუსი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და მოგზაურის, ლიტერატურის კრიტიკოსის, ეთნოგრაფიის, განათლების მუშაკის ევგენი მარკოვის მოგზაურობის დღიურებში. იგი დაიბადა 1835 წელს კურსკის ოლქის სოფელ კრუტოეში. მან საინტერესო ცხოვრების გზა გაიარა. იყო ტავრიდის გუბერნიის სასწავლებლების ხელმძღვანელი, სტავროპოლის გიმნაზიის დირექტორი; ბანკის მმართველი. წარმოშობით ლიტველი იყო. მისი წინაპრები XVII საუკუნეში გადმოსახლებულან რუსეთში. სოციალურად ლიტველ თავადთა შთამომავალია, დაბადებული აზნაურის ოჯახში. მისი მამა დაახლოებული იყო რუსეთის იმპერატორთან – ალექსანდრე I-თან. მეფემ რამდენიმე სოფელი გადასცა ევგენის მამას კურსკის გუბერნიაში. დედაც საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენელი იყო. გენერალ ალექსეი განის ქალიშვილი. განის დედა ფრანგი კაროლინგების დინასტიის შთამომავალი გახლდათ. ასეთ ოჯახურ გარემოში აღიზარდა ევგენი მარკოვი. დედამ წიგნის სიყვარული შთაუნერგა ბავშვობაშივე, მამამ არისტოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებანი გაათავისებინა. მან ხარკოვის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება. 1870 წელს სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება და დაიწყო მოგზაურობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებში. გარდაიცვალა 1903 წელს ქ. ვორონეჟში. მისი მოგზაურობის დღიურების ბეჭდვა პეტერბურგში დაიწყო და ორ ტომად და 6 ნაწილად დაიბეჭდა. კავკასიაში მოგზაურობის დღიურები კი ადრე, 1887 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში. ამ წიგნის პირველი ტომის პირველი ნაწილი ეძღვნება კავკასიის შავი ზღვისპირეთს – აფხაზეთს, კოლხიდას, ბათუმს... მოგზაურობის დღიურების სახელწოდებაა „რუსეთი შუა აზიაში“.

ბათუმზე საუბრისას იგი ჩვენს ქალაქს აყენებს ალექსანდრიისა და ბეირუთის, ბრინდიზისა და სირას გვერდით. ამ

ქალაქებს შორის იგი მსგავსებას ხედავს: ესენი იცქირებიან ერთნაირი კოსმოპოლიტიურობითო. ამ ქალაქებში გაბნეული ბერძნები ჰგვანან იტალიელებს, სომხები – თურქებს, სირიელები – ეგვიპტელებსო. მათ სახეში ჩანს მსგავსება – საერთო ზღვისპირელობა, საერთო ვაჭრული მორალი, საერთო სამხრეთელობაო. ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის, პეიზაჟს განსაზღვრავს ორი-სამი მუსლიმანური მეჩეთი, ორი-სამი ქრისტიანული ჯვარი. ყოველივე ეს მიგვანიშნებს რომ ბათუმი არის არც რუსული და არც თურქული ხასიათის ქალაქი. ე.ი. ქართული, დამოუკიდებელი ობიექტიაო. ეტყობა, რომ თურქები აქ ყოფილან მხოლოდ როგორც სტუმრები, ზოგჯერ შემთხვევით შემოჭრილები დასაპყრობად. დროებით დამორჩილებული ხალხის სულში მათ ვერ ჩაუნერგავთ უცხო ცხოვრების წესები. ვერ დაუმორჩილებიათ აქაურთა სულიო, – სამართლიანად წერდა იგი.

ე. მარკოვის ბათუმში ყოფნისას მჭიდროდ დასახლებული სავაჭრო უბნები ყოფილა მხოლოდ სანაპირო ქუჩებში, პორტთან ახლოს. თურქეთის დროიდან ამ უბანს ერქვა **აზიზიეო**. აქ მდგარა ქალაქის მთავარი მეჩეთი აბდულ აზიზის სახელობისა. იგი ასახელებს და აქებს მაშინდელ სასტუმროებს: „ჰოტელ დე ფრანსეს“, „ლონდრეს“, „იმპერიალ“-ს. მას განსაკუთრებით მოსწონს სასტუმრო „ჰოტელ დე ფრანსე“, სადაც დაიდო ბინა. იგი აღნიშნავს, რომ სასტუმრო ფრანგებითაა სავსე, სუფთაა და სხვა სასტუმროებთან შედარებით, მისასვლელად უფრო მოსახერხებელიაო.

მოსახლეობას შემდეგნაირად ახასიათებს: ბათუმის მოსახლეობაში შეთვისებული ჩანს სხვადასხვა ჯიშის გარეგნობა და რწმენა, მომდინარე ძველი ფინიკიელებიდან, ელინებიდან, ახალი ბერძნებიდან და იტალიელებიდან. ასეა შექმნილი საერთაშორისო ტიპი ძველი ზღვისპირელი დასახლებისაო.

იგი ადარებს 1867 წლის ბათუმის სურათს 1886 წლის მდგომარეობას და შენიშნავს, რომ რუსების შემოსვლის შემდეგ, 12-13 წლის განმავლობაში, ქალაქის მოსახლეობა გაზრდილა 2000-დან 20 000-მდე. პატარა დასახლებიდან ბათუმი გადაქცეულა დიდ ევროპულ ქალაქად. ბათუმი გახდა საპორტო ქალაქი მთელი კავკასიისაო. ეს არის მთავარი საწყობი ნავთობის პროდუქტებისა ევროპის, აფრიკისა და აზიის ქვეყნებისთვისო. ევგენი მარკოვს მისი ერთი ნაცნობი უამბობს ფრანგი როტშილდის სტუმრობას ბათუმში, ამ უდიდესი ფულის მეფისას და უყვება როტშილდის ნათქვამს: –თქვენ, რუსები, საკვირველი ხალხი ხართ. ასე მოკლე დროში როგორ შეძელით აღმოსავლეთის ადამიანთა ცივილიზაცია და მათთან შესისხლხორცება. ჩვენ, ფრანგებმა, ვერ შევძელით ამის მიღწევა ჩვენს ალჟირელებთან, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ვმართავთ მათო...

ე. მარკოვი თავის დღიურებში ამჟღავნებს ბუნების სურათების მხატვრულად აღწერის ხელოვნებას. იგი მოხიბლულია

მთების კალთაში გაშლილი ბათუმის სილამაზით. იგი ბათუმს რომ უახლოვდებოდა, ხედავდა მთების ამფითეატრს, რომელიც ქალაქის გულს ზურგად ერგებოდა. ამფითეატრის მხრებზე აღმართულ მთებს მაშინ ჯერ კიდევ შერჩენოდათ თოვლის ნარჩენები, რომელიც აგონებდა შეჭაღარავებულ დევებს. აქა-იქ ღრუბლის ფანტელები მოჩანდა ნათელ ცაზე. ლამაზი ბუნების ფონზე პატარა ქალაქი საყვარელ სათამაშოს აგონებდა, მთების სიმწვანესა და სიმაღლეში ჩაფლულს. მის ნაპირებს ნაზად ეალერსებოდა მზის სხივებით გამთბარი, გაბრწყინებული სუსტი ტალღები. იგი ამბობს, რომ ბათუმის სანაპირო – მცირე აზრის მოსახვევი, კავკასიის ნაპირებთან შედარებით, ვიწრო და ნათელია. აქ თითქოს რაღაცის გამო გამწყრალი მთები წარბშეკრული გასცქერიან უკიდეგანო ზღვას. მათი ხედვა ვერ აღწევს მოპირდაპირე მხარემდე და ალბათ, ამის გამო იყურებიან პირქუშადო, წერს მოგზაური. ამ ზღვის საშუალებით ევროპის სხეული უკავშირდება, ნაზად ეხება აზიის ბებერ ხმელეთსო... იგი გვაწვდის ცნობას ბათუმში დაგეგმილი დიდი ქრისტიანული, მართლმადიდებლური ტაძრის აშენების შესახებ, რომელიც ზღვისპირა ბულვარის შესასვლელთან უნდა აიგოსო. აღნიშნავს, რომ ტაძრის მშენებლობისთვის თანხის შეგროვება დაწყებულია, მაგრამ პროცესი რატომღაც ნელა მიმდინარეობსო. მუსლიმანობის ზღვაში მყოფ ბათუმში, საზღვაო ქალაქში, ასეთი ტაძრის აშენება მას დასაჩქარებლად მიაჩნია. სამართლიანად შენიშნავს, რომ მართლმადიდებელი რუსი მოსახლეობა ბათუმში საკმაოდ ბევრია, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი ეკლესია ემსახურება, მაშინ, როცა სომხები, რუსებთან შედარებით, ცოტანი არიან, მაგრამ ორი ეკლესია ემსახურებათო.

ევგენი მარკოვი მოჯადოებულია ბათუმის ბუნებით, ლამაზი ბულვარითა და ბაღებით; განსაკუთრებით მოხიბლულია მარის პროსპექტის ბოლოს მდებარე ტბით – **„ნურიე გელი“** რომ ჰქვია. ეს არის ქალაქის ულამაზესი ბაღი, ტროპიკული მცენარეებით დამშვენებული. აქ არის ჰიმალაის კედარიც, მაგნოლიაცა და ნეკერჩხალიც. ბევრი ხე დარგულია **თვით მეფისა და მისი ოჯახის წევრების ხელით**. ისინი სულ ახლახან მოგზაურობდნენ კავკასიაშიო. აქ ხარობს ინდური, იაპონური, ამერიკული, ავსტრალიური მცენარეები. მინისტრებს – **ბუგნესა** და **ოსტროვსკის** მიერ დარგულ ხეებსაც აქვს შესაბამისი წარწერაო. აქ ჩამოსული ყველა სახელოვანი ადამიანი ამ ბაღში ტოვებდა თავისი ხელით დარგულ იშვიათ მცენარესო. გასაოცარი ის არისო, წერდა მოგზაური, რომ ყველა ეს ინდური, იაპონური, ამერიკული, ავსტრალიური მცენარეები აქ – ბათუმში, ამ ლამაზ ბაღში, ხარობენ აქაურ მიწაში და ეგუებიან ბათუმურ მოკლე ზამთარსო.

აქებს ზამთრის თბილ კლიმატს, რომელიც 0-ზე ქვემოთ თითქმის არ იწევსო. წლიური ტემპერატურა საშუალოდ 15

გრადუსია. ბანაობა წლის ყველა დროში შეიძლება, რადგან წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია ზამთარშიცო. ბათუმის თბილი ჰავა გულით ავადმყოფებისათვის ძალიან კარგიაო. იდეალური საზამთრო კურორტიაო, მაგრამ ზაფხულში აუტანელია ცხელი ქარისა და სინესტის გამო და აქაურები მთას მიაშურებენ ხოლმეო. მას მოსწონს ყვავილნარად ქცეული ბათუმი და აქებს ფრანგ მებაღეს დ'ალფონსს, ამ მშვენიერების შემქმნელს.

ე. მარკოვი ეხება ტოპონიმ „ბათუმის" წარმომავლობის საკითხსაც. ძველი ბერძენი კლასიკოსი გეოგრაფები სიტყვა „ბათუმს"-ს უკავშირებენ რომაულ ციხეს, ჩვენი ერის პირველი საუკუნისას, რომელიც მდებარეობდა ძველი ლაზიკის სანაპიროზე. უფრო ძველიც კია ეს სახელი. ჯერ კიდევ V-IV საუკუნეებში ჩვენს ერამდე, ქრისტემდე, იყო ცნობილი ბათუმი, როგორც დასახლებაო. ცნობილი ორატორის **დემოსთენეს** სამშობლოდ ითვლება ბერძნული კოლონია **ბათუმი**-ო.

შემდეგ საუბრობს ბათუმის წინსვლის, მისი განვითარების საკითხებზე. იგი ცნობას გვაწვდის, რომ უკვე საფოსტო გზაა გახსნილი ბათუმიდან ართვინამდე; აზიის სიღრმეშიც მალე შევა ცივილიზაცია. არდაგანი და ყარსი დაუკავშირდებიან ბათუმსო. აქვე იმასაც შენიშნავს, რომ რუსეთმა უნდა შეძლოს ყარსის და არდაჰანის მიმართულებით კარგი გზის გაკეთებაო. გზა არის ცივილიზაციური ურთიერთობის ჩამოყალიბების მთავარი საშუალებაო. ამჟამად კი ყარსისა და არდაგანის მიმართულებით გადის მხოლოდ სამთო ბილიკები. ამ კუთხით რუსეთმა დღემდე ცოტა ხარჯი გასწია, რაც ძალიან დასანანია, რადგან, ცნობილია, რომ კარგი გზა არის არა მარტო ნახევარი ცივილიზაცია მხარისა, არამედ არის უსაფრთხო მოგზაურობის მთავარი საშუალებაო. ამჟამად კი ამ ყაჩაღებით სავსე მხარეში მოგზაურობა შეიარაღებული რაზმის გარეშე საშიშიაო. იგი იხსენებს როტშილდის მმართველზე თავდასხმას ბათუმთან ახლოს და აღნიშნავს, რომ დღეს, სამწუხაროდ, ეს მხარე ცნობილია აზიის სისხლიან მხარედო.

ევგენი წერს, რომ ბათუმთან აკავშირებს ერთი მეტად მძიმე პერიოდი მისი ცხოვრებისა. ესაა ვაჟიშვილის ავადმყოფობა და სიკვდილი. უდროოდ დაღუპულა ახალგაზრდა მხატვარ–არქიტექტორი. ის მშობლებთან ერთად პეტერბურგის მკაცრ ზამთარს განრიდებია ბათუმის თბილი, რბილი ჰავის იმედით. მაგრამ იმ წელს. 1889-ში, მძიმე შემოდგომა ყოფილა ბათუმში, აუტანელი, ქარიანი, ცივი. სუსტმა ორგანიზმმა ვერ აიტანა სტიქიის შემოტევა და ბათუმით მოჯადოებული სიცოცხლე ჩაიფერფლა საყვარელი ზღვის სანაპიროზეო... მოულოდნელად გარდაცვლილა ახალგაზრდა და უბედურ მშობლებს ის დაუსაფლავებიათ ზღვის სანაპიროსთან აღმართულ გორაკზე. თვითონ აღწერს პატარძალივით აყვავებულ იმ გორკს, შვილის საფლავს, სადაც ხარობს აზალია, როდოდენდრომი. არემარე

ლამაზია საქორწინო თაიგულივითო. მზის სხივებით გაბრწყინებული ნელი ტალღები სათუთად ეალერსებოდნენ გორაკს და საიმედოდ ინახავდნენ ჩემი შვილის საფლავსაო. ძნელია უცხო მიწაში, უცხო საფლავებს შორის, დაკრძალო ახალგაზრდა, საქორწილოდ გამზადებული ვაჟი, მაგრამ ღვთის ნებას წინ ვერავინ აღუდგება და ჩვენც დავნებდითო. კმაყოფილია მწერალი იმითაც, რომ მისი შვილის ობოლ საფლავზე აქაურმა დალოცვილმა ბუნებამ გადაფინა მინდვრის ყვავილებით მორთული უმშვენიერესი ნოხი. გაზაფხულმა გაამხიარულა და გაალამაზა, შეამკო ამ გორაკზე სიკვდილიო. ზღვის ნელი ტალღები ისე ეალერსებოდა ამ გორაკის კალთებს, თითქოს ცდილობდა რაიმე ტკივილი არ მიეყენებინა საფლავში მწოლიარე ჩემი შვილისთვისო; მოწმენდილი ლურჯი ცაც თითქოს უცინოდა ამ გორაკის უბეში მოთავსებულ ჩემი შვილის ცივ სამარეს და ახალისებდაო. მას თბილისიდან ჩამოუტანია იქაური მოქანდაკის მიერ შესრულებული მისი ვაჟიშვილის ბიუსტი და საფლავზე დაუდგამს.

ე. მარკოვის ბათუმური დღიურები მიგვანიშნებს, რომ მისი შვილის საფლავი უნდა ყოფილიყო დღევანდელი ბოტანიკური ბაღის იმ ნაწილში, რომელსაც **მწვანე კონცხს** ეძახიან. სამწუხაროდ, ამ სასაფლაოს ნიშანწყალიც კი აღარ დასტურდება მწვანე კონცხის შემოგარენში. 1889 წლისთვის კი მოზრდილი სასაფლაო ყოფილა. ყველა საფლავს თავისი ნომერი ჰქონია. ალბათ, აქ, 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ ბათუმში ჩამოსახლებული, რუსული მოსახლეობის სასაფლაო იყო.

ე. მარკოვის მოგზაურობის დღიურები სასიამოვნოდ იკითხება. ავტორი მეტაფორებითა და ეპითეტებით შემკული მხატვრული ენით ცოცხლად წარმოგვიდგენს 1889 წლის ბათუმის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მომხიბლავი ბუნების შთამბეჭდავ სურათებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

Аминева В.Р., Литературно-критическая деятельность Е.Л. Маркова: автореферат дис. канд. филолог. наук: Воронеж, 1944 (ინტერნეტ-რესურსის მისამართი – http://www.dslib.net/russkaja-literatura/literaturno-kriticheskaja-dejatelnost-e-l-markova.html).

Евгений Марков., Россия в Средней Азии: очерки, путешествия в 2-х томах и 6 частях. Том I. Ч. I. Побережья Кавказа. С.-Петербург, 1901.

Коростина Г.Г., Очерковая проза Е.Л. Маркова: идеология, проблематика, стиль: диссертация кандидата филол. наук: Орёл, 2005 (ინტერნეტ-რესურსის მისამართი – http://lib.ua-ru.net/diss/cont/221426.html).

Марков Евгений Львович//Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона в 86 тт. – М.: Терра, 2001.

Шушана Путкарадзе, Мераб Ахвледиани
(Батуми, Грузия)

Батумские очерки Евгения Маркова

Резюме

Батуми – врата, связывающие Европу и Азию. С незапамятных времён он притягивал к себе взоры зарубежных путешественников. Всякий любознательный человек, приехавший на Кавказ, стремился побывать в Батуми, познакомиться с его географическим положением, природой, населением, бытом и культурой. Этот город посетило много путешественников, и все они увозили отсюда незабываемые впечатления.

Данная статья посвящена батумским очеркам известного русского путешественника и исследователя Евгения Маркова, в которых он оживил облик старого Батуми. На него неизгладимое впечатление оказала природа, окружающая этот город. Не жалея эпитетов и метафор, Марков красочно описывает прекрасную природу города, который, утопая в цветах и зелёных аллеях, раскинулся на полуострове, окружённом амфитеатром гор, и «милой игрушечкою вырезался на зелёном фоне горных громад, словно вырастая из волн весело плещущего синего простора моря».

Евгений Марков связывает происхождение топонима Батуми с названием греческой крепости Батус. Он считает Батуми родиной известного древнегреческого оратора Демосфена.

Любовь Маркова к этому городу объясняется и тем, что здесь покоится его безвременно скончавшийся сын. Путешественник благодарен батумскому тёплому солнцу и мягкой, нежной природе за то, что они в любое время года покрывают цветочным ковром одинокую могилу сына и заменяют ему родительское тепло.

Очерки Евгения Маркова, посвящённые Батуми, читаются с большим интересом, в них чувствуется любовь к грузинской земле, они способствуют укреплению многовековых добрососедских и дружеских отношений и чувства взаимоуважения между русским и грузинским народами.

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე,
ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე,
თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით)

1897 წელს ბათუმი ახალდაბრუნებული იყო დედა-სამშობლოსთან და ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა ჰქონდა ქალაქის თვითთმართველობას მის ახალ ყაიდაზე მოსაწყობად, მაგრამ ქალაქისათვის მნიშვნელოვან სხვა საჭირბოროტო საკითხებთან (სახელმწიფო ბანკის ბათომის ფილიალისათვის მიწის გამოყოფა, სხვადასხვა პროდუქციაზე სახელმწიფოს მიერ ნიხრის დაწესება, ზრუნვა ახალი საავადმყოფოს დასაარსებლად, შავ ჭირთან საბრძოლველად ქალაქის სანავთსადგურო თანხიდან ფულის გამოყოფა და სხვ.) ერთად, ქალაქის საბჭო ძალ-ღონეს არ იშურებდა ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მოწესრიგებისათვის. ეს საკითხები ასახვას პოულობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ამ ღონისძიებათა შესახებ საინტერესო მონაცემებია შენახული გაზეთ „ცნობის ფურცლის" არაერთ ნომერში, რომლებიც ინახება სტამბოლის ქართველთა სავანის არქივსა და ბიბლიოთეკაში. ჩვენ, ამჯერად, მხოლოდ 1897 წლის გამოცემებზე შევაჩერებთ ყურადღებას, რადგან ეს წელი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის და გაზეთმაც მეტი ინფორმაცია შემოგვინახა მისი მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნულია კიდეც „ცნობის ფურცლის" 167-ე ნომერში, რომ „ქალაქის თვითმმართველობა ამ ბოლო დროს ფხიზლად ეკიდება ქალაქის წარმატების საქმეს და იმედიც უნდა ვიქონიოთ, ბევრ ხეირსა და სარგებლობას მოუტონს ქალაქს, თუ, რასაკვირველია, მომავალშიც არ მოაკლო სიბეჯითე" ***[„ცნობის ფურცელი", №167, 1897: 3].***

ბათუმი იმ დროსათვის უკვე იქცა რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქად. აქ მოქმედი ქარხნების მუშებისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხად იქცა უფასო ბიბლიოთეკის დაარსება. ბათუმელ მუშა-მოსამსახურეებს ბევრი უკიჟინებდა, რომ „ბათომში მეტისმეტად გავრცელდა ბანქოს და ნარდის მოტრფიალენიო", მაგრამ სტატიის – „სამკითხველოს გამო" – ავტორი კონტი აღნიშნავს: „აბა, დაუარსეთ სამკითხველო, მოუპოვეთ წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და მაშინ ნახეთ, თუ დღევანდელი ნარდის მოთამაშეები ერთი-ათად არ შემცირდეს... ხოლო, თუ ჩვენ მოვუპოვებთ გონების საზრდოს – წიგნებს და გაზეთებს, მაშინ ამ უკანასკნელს მიჰყოფს ხელს". მით უმეტეს,

რომ ავტორს ეგულება ქალაქში ისეთი შეძლებული ქართველები, რომლებიც ამ კეთილი საქმისათვის არ დაზოგავენ თავიანთ წვლილს და სამკითხველო ბიბლიოთეკას დიდ დახმარებას გაუწევენ". ამასთანავე, ავტორს მნიშვნელოვნად მიაჩნია სამკითხველოსათვის ადგილის სწორად შერჩევა. მისი აზრით, მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს იმ მხარეს, სადაც ქარხნების მუშებს და ნოქრებს ხელი მიუწვდებათ; ასეთ ადგილად კი ბარცხანას თვლის ***[„ცნობის ფურცელი", №133, 1897:. 2-3].***

ქალაქში ბიბლიოთეკის დაარსების აუცილებლობაზე წერდნენ თავად მუშებიც. ერთ-ერთ წერილში – „მუშა ხალხის საჭიროება" – გაზეთი გადმოგვცემს მუშების წუხილს ამის გამო: „ჩვენთვის არ არის არც სამკითხველო, არც წიგნსაცავი". ისინი გამოთქვამენ სურვილს, რომ „ერთი სამკითხველო დავიარსოთ, რომლის წყალობითაც შეიძლება ყველაფერს უბედურებას ავცდეთ და გავიგოთ რამე ქვეყნის ავ-კარგიანობისა". ამასთანავე, მუშები გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ თითოეულმა გაიღოს ერთი მანეთი და ამით კარგი სამკითხველო გაიმართოს მუშებისათვის, რაც გაანაპირობებს მათთვის სულიერი საზრდოს მიწოდებას ***[„ცნობის ფურცელი", №174, 1897: 2]***

ბევრი წერა გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" ბათუმში სახალხო სამკითხველოს გახსნის შესახებ, მაგრამ როგორც გაზეთი აღნიშნავს, „უფასო სამკითხველოს გახსნის საქმემ განისვენა წიაღსა შინა აბრაამისასა". თუმცა ქალაქის ინტელიგენცია თავისი ძალებით ცდილობდა ამ საქმის მოგვარებას. ერთ მანდილოსანს მუშებისაგან შეუკრებია 210 მანეთი და მრავალი წიგნიც, რომ გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოსულა ***[„ცნობის ფურცელი", №150, 1897:. 2].***

საბოლოოდ ამ საქმეს ქალაქის თვითმმართველობამ მოჰკიდა ხელი და „18 მარტს დაარსდა სახალხო ბიბლიოთეკა ბათომის სამოქალაქო სასწავლებელთან. „ეს ბიბლიოთეკა იქნება ღია საზოგადოებისათვის კვირაში ოთხჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 5-დან ვიდრე 9 საათამდე" ***[„ცნობის ფურცელი", №178, 1897: .2-3].***

ბათუმის ქალაქის საბჭოს ინიციატივით 1897 წელს ბათუმში არაერთი საგანმანათლებლო დაწესებულება გაიხსნა. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო ბათუმის გიმნაზიის დაარსება. ბათუმში ფუნქციონირებდა სკოლა, რომლისთვისაც ქალაქის თვითმმართველობის დახმარებით აუგიათ მოზრდილი შენობა, რომელშიც ყოფილა „ოთხი ზალა", რომელთაგან სკოლას მხოლოდ ორი გამოუყენებია. გაზეთი კრიტიკულად უდგება იმ საკითხს, რომ ორი დარბაზი გამოუყენებელია და სკოლამ ვერ გაამართლა ქალაქის საზოგადოების იმედი; ელოდნენ, რომ აქ გაიხსნებოდა საქალებო სკოლა, საკვირაო სკოლა, ბიბლიოთეკა, გაიმართებოდა საღამოები, კონცერტები, წარმოდგენები. გაზეთში იმედია გამოთქმული, რომ

სკოლა შეძლებს შეასრულოს თავისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია – ქართული წერა-კითხვა ასწავლოს ხანშიშესულ ქართველ მუსლიმებს და მათ შვილებს, რომლებსაც ამის დიდი სურვილი აქვთ. კორესპოდენტი მადლიერებით აღნიშნავს, რომ ქალაქის თვითმმართველობამ არ გაიზიარა იმათი აზრი, ვინც თვლიდა, რომ უფასო სწავლება სკოლაში მძიმე ტვირთად აწვა ქალაქის ბიუჯეტს და არ შეცვალა უფასო სწავლება ფასიანით *[„ცნობის ფურცელი", №171, 1897: 2-3].* მაგრამ ასეთი უფასო სკოლის არსებობაც ვერ ცვლიდა ქალაქში გიმნაზიის დაარსების საჭიროებას.

9 აპრილს ბათუმში ჩამოსულა კავკასიის სამოქალაქო ოლქის მზრუნველის მინდობილობით ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვი, რომელსაც დაუთვალიერებია დროებითი სახლი გიმნაზიისათვის და სამუდამო შენობისათვის მონიშნული რამოდენიმე ადგილი. გიმნაზიის დროებით განსათავსებლად შეირჩა ბათუმის ქართული სკოლის სახლი, მაგრამ სტოიანოვმა ჩათვალა, რომ ეს არ იქნებოდა საკმარისი და საჭიროდ მიიჩნია „ბერძენთა სკოლის" შენობის დამატებაც. ერთ-ერთი ადგილი, რაც ქალაქის თვითმმართველობამ შესთავაზა სტოიანოვს გიმნაზიის მუდმივი შენობის ასაგებად, იყო სატუსაღოს მახლობლად მდებარე ადგილი, სადაც ამჟამად დგას დღევანდელი უნივერსიტეტის შენობა. როგორც ცნობილია, ქალაქის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიის შენობისათვის ზღვის სანაპიროსთან გამოყო 2 623, 95 კვ. საჟენი მიწის ფართი. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა სედელნიკოვმა. მაგრამ სატუსაღოსთან სიახლოვის გამო, გადამდები სენის გავრცელების საშიშროებიდან გამომდინარე და პედაგოგიური თვალსაზრისით, სტოიანოვს დაუწუნებია ეს ადგილი. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ საკითხზე ქალაქის საბჭოს სპეციალური სხდომაც კი გაიმართა, რომელზეც მოიწვიეს ექიმები მ.ი.ფენსტერი და დ.ა.ნაზაროვი, რომლებიც ხაზს უსვამდნენ გადამდები სენის გავრცელების გამო შიშის უსაფუძვლობას. რადგან ქალაქს არ გააჩნდა ახალი ადგილის გამოყოფის შესაძლებლობა, ქალაქის საბჭომ სთხოვა სტოიანოვს, ამ ადგილს დასჯერებოდა იმ პირობით, რომ შენობას შემოარტყამდნენ გალავანს და შიგ ბაღსაც გააშენებდნენ. ამაზე სტოიანოვი დათანხმებულა. სტოიანოვს ამავე სხდომაზე გამოუთქვამს სურვილი, რომ გიმნაზიაში პანსიონიც გამართულიყო *[„ცნობის ფურცელი", №170, 1897: 1-2].*

ახალშემოერთებულ ბათუმში გიმნაზიის გახსნა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ჯერ კიდევ რუსეთის ბევრი ქალქიც კი ვერ დაიკვეხნიდა ასეთი სასწავლებლების არსებობას და „თუ ბათუმის სინორჩეს მივიღებთ მხედველობაში, მას ამ მხრივ უკანასკნელი ადგილიც არ უჭირავს" – აღნიშნავდა „ცნობის ფურცელი" *[„ცნობის ფურცელი", №316, 1897].* დიდი

მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძეც გამოეხმაურა ამ ამბავს დეპეშით: „თქვენთან ერთად მეც გულით მოხარული ვარ და ვულოცავ ყველა ბათომელთ გიმნაზიის დაარსებას. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი დიდი ხნის სურვილი ეგრე მალე განხორციელდა". საპასუხო დეპეშაში ქალაქის თავმა ლუკა ნ.ასათიანმა მადლობა გადაუხადა დიდ მთავარს „უზენაესის ყურადღებისათვის".

„ცნობის ფურცლის" ერთ-ერთ ნომერში ***[„ცნობის ფურცელი", №315, 1897]*** დაწვრილებითაა აღწერილი გიმნაზიის კურთხევის ცერემონიალი, რომელიც გაიმართა კვირას, 14 ენკენისთვეს (სექტემბერი). კლასიკური სავაჟო გიმნაზიის გახსნაში უამრავ ადამიანს მიუღია მონაწილეობა: ბათუმის საპატიო მოქალაქეებს, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებს, საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, მანდილოსნებს, სამღვდელოებას. საგანგებოდ ყოფილან მოწვეული სტუმრები ქუთაისიდან. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დეპეშებიც გამოუგზავნიათ. დეკანოზ მ.რალცევიჩს გადაუხდია პარაკლისი და უქადაგია. გრძნობით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს ქალაქის მოურავს ლუკა ასათიანს: „ბათომელთა დიდი ხნის ნატვრა მათდა სასიხარულოდ დაგვირგვინდა. ბათომში დაარსდა გიმნაზია და ეს არის აკურთხეს კიდეც. გიმნაზიის ბედ-იღბალი ჩაბარდა გამოცდილსა და მხნე პირს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გიმნაზიის საქმე სასურველ ნიადაგზე იქმნება დაყენებული. სულ 19 წელიწადია, რაც ბათომი რუსეთს შემოუერთდა და იმპერატორის მოწყალებით, ბათომი შესანიშნავად გადიდდა, გამშვენიერდა და აი, გიმნაზიაც მოგვენიჭა. ეს გარემოება განუსაზღვრელ მოწყალებად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ჯერ არც ერთს სხვა ქალაქს, რუსეთთან ასე მცირე ხნით შემოერთებულს, არ ღირსებია ასეთი უმაღლესი ყურადღება". ლ.ასათიანის შემდგომ სიტყვით გამოსულა გიმნაზიის დირექტორი ა.ი.სტოიანოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ არ დაიშურებდა არც გამოცდილებას, არც სწავლა-ცოდნასა და ძალ-ღონეს გიმნაზიის წარმატებისათვის. მან გამოთქვა იმედი, რომ საზოგადოებაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა გიმნაზიის ცხოვრებაში. სტოიანოვს ჰქონდა საინტერესო მიდგომა სასწავლო პროგრამების შედგენის მიმართ. ის თვლიდა, რომ საგნების სწავლების საკითხი, ამა თუ იმ საგნის შერჩევა უნდა გადაწყვეტილიყო მშობლებთან ერთად ***[„ცნობის ფურცელი", №316, 1897].***

კურთხევის შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზეც, სხვებთან ერთად, სიტყვა წარმოუთქვამს გიმნაზიის მასწავლებელს ბოგოსლოვსკის. მან დამსწრეთ მისცა წინადადება, რომ დაარსდეს საზოგადოება „შეგირდთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის", რომლის დანიშნულებაც იქნება: შეგირდთათვის ცხელი საუზმის მოზადება გიმნაზიაში; სეირნობის და მოგზაურობის გამართვა; შესაფერი ბიბლიოთეკის გახსნა; შეგირდთა ფიზიკური ვარჯიშობა. ამ წინადადებას იქვე გამოხმაურებია დამსწრე საზოგადოება და

შეუკრებიათ კიდეც ათას მანეთამდე ამ კეთილშობილური საქმისთვის.

ბათუმის გიმნაზიის კურთხევის სადილზე მეტად საგულისხმო სიტყვა უთქვამს ბათუმის გამგეობის წევრს გრიგოლ ვოლსკის. მას აღუნიშნავს ახალი გიმნაზიის დაარსებაში ქალაქის თვითმმართველობის დამსახურების შესახებ. გაზეთი გვაუწყებს, რომ ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე მესხს – ქალაქის გამგეობის მდივანს: „პირველი ქვა" საძირკველისა მისი ჩაგდებულიაო" ***[„ცნობის ფურცელი", №316, 1897].***

ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ზრუნვა ამ საკითხის მოგვარებით არ ამოუწურავს ქალაქის თვითმმართველობას. 10 ნოემბერს გამართულ ქალაქის საბჭოს სხდომაზე განუხილავთ ხმოსნის, ნ.ა. დუმბაძის შუამდგომლობა - მარიამის დედათა სასწავლებლის ექვსკლასიან პროგიმნაზიად გადაკეთების შესახებ. გაზეთი წერს: „დაწვრილებით ამ საკითხის გამოკვლევა და გეგმის შედგენა საბჭომ მიანდო გამგეობის წევრს გრიგოლ ვოლსკის" ***[„ცნობის ფურცელი", №373, 1897: 2].***

გაზეთ „ცნობის ფურცლის" ეს მონაცემები ცხადყოფს: 1897 წლისათვის, ქალაქ ბათუმის სათათბიროს პირველი არჩევნებიდან (1894წ.) და ქალაქის თავად ლუკა ასათიანის არჩევიდან (1895 წ.), თუმცა არც ისე დიდი დრო იყო გასული, მაგრამ იმთავითვე ქალაქის თვითმმართველობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის დაფუძნება და შემდგომი განვითარება. როგორც გაზეთი „ცნობის ფურცრლი" მოგვითხრობს, ამ მიმართულებით ქალაქ ბათუმის თვითმმართველობამ 1897 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა. სხვაგვარად არც წარიმართებოდა ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობა, რადგან ამ ორგანოს მუშაობას ხელმძღვანელობდა ორი დიდი მამულიშვილი – ლუკა ასათიანი და გრიგოლ ვოლსკი. მათი საქმიანობა სამაგალითოა ამჟამინდელი და მომავალი თაობებისათვის.

დასასრულს, მკვლევართა ჯგუფი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირებს, რომლებმაც შემოინახეს ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი წყაროები; საშუალება მოგვცეს გადაგვეფურცლა ჩვენი მშობლიური ქალაქის – ბათუმის 1897 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიის ფურცლები. უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სულები. ამინ!...

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

„ცნობის ფურცელი", №№, 1897: **–** გაზ. „ცნობის ფურცელი", 1897წლის №№133, 150, 167, 170, 171, 174, 178, 315, 316, 373.

Шушана Путкарадзе, Роин Малакмадзе,
Наила Челебадзе, Тамила Ломтатидзе,
Эльза Путкарадзе, Шорена Путкарадзе
(Батуми, Грузия)

Культурно-просветительская деятельность Батумского самоуправления в 1897 году (по материалам, хранящимся в Стамбульской грузинской обители)

Резюме

В библиотеке Стамбульского грузинского католического монастыря (открылась в 1908 году) хранятся ценные материалы культурного наследия на 17 языках. Особенно много источников сохранилось на грузинском языке, о Грузии.

Группа исследователей из института имени Нико Берзенишвили в мае 2015 года во время работы в библиотеке обнаружила интересные материалы, освещающие культурно-просветительскую жизнь г. Батуми в 1897 году, о которой повествуют сохранившиеся в этой библиотеке номера газеты «Цнобис пурцели» (Страница новостей) за тот же год.

Газета сообщает, что российские власти уделяют особое внимание обустройству недавно присоединённого к Российской империи города Батуми, в котором открываются библиотеки, школы, гимназии, культурно-просветительские учреждения.

Контроль за выполнением работ российские власти поручили Александру Стоянову. Под его руководством на берегу моря было подобрано место для строительства мужской гимназии. Именно в построенном здесь здании сегодня располагается главный корпус Батумского государственного университета. С открытием в городе гимназии батумцев телеграммой поздравил великий князь Михаил Николаевич.

Газета «Цнобис пурцели» знакомит нас также с деятельностью городского главы Луки Асатиани и членов городского самоуправления Григола Вольского и Иванэ Месхи, вклад которых в дело развития города Батуми неоценим. Их жизнь и деятельность должна стать примером для будущих поколений.

შუშანა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე,
ნარგიზ ახვლედიანი, შორენა ფუტკარაძე
(ბათუმი, საქართველო)

სტუმრად სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების წევრები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, ფილოლოგიის დოქტორი ნარგიზ ახვლედიანი, განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი ციალა ნარაკიძე და მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი შორენა ფუტკარაძე 2014 წლის 7 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით ვიმყოფებოდით სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდთან შექმნილ ბიბლიოთეკასა და არქივში, სადაც აღვრიცხეთ და ენობრივი მონაცემების მიხედვით დავალაგეთ 5 000-ზე მეტი წიგნი (სულ 5135 წიგნი).

ექსპედიციის წევრები ასევე ვაგროვებდით ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებთან. სამეცნიერო ექსპედიცია სტამბოლის ქართულ სავანეში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ბატონ სიმონ ზაზაძისა და მისი ოჯახის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სწორედ სავანის ბიბლიოთეკაში დაცულ „პერიოდიკაში“ მივაკვლიეთ 1897 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას: „წერილი ბათუმიდან“, რომელიც ეძღვნება სულმნათ პოეტს – აკაკი წერეთელს (სიმბოლურია, რომ წელს სწორედ მისი საიუბილეო წელია საქართველოში და სტამბოლის ქართული კულტურის სავანის ბიბლიოთეკაც აკაკი წერეთლის სახელობისაა). აქვე უცვლელად წარმოგიდგენთ მცირე ამონარიდს ამ წერილიდან და ვფიქრობთ რომ ამ სიტყვებს დღესაც არ გასვლია ყავლი.

„14-ს იანვარს, ნინოობას, დანიშნულმა საღამომ ჩვეულებრივ საუცხოოდ ჩაიარა... მხიარულება და დროსგატარება წმინდა ქართული იყო. აკაკიმ წაიკითხა თავისი ახალი, დღესასწაულის შესაფერისი ლექსი, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება... აკაკი დარჩა კიდევ ცოტახნის სტუმრად ბათუმში. ამისმა პატივისმცემლებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და გაუმართეს სასიქადულო სტუმარს ვახშამი, რომელზედაც წარმოსთქვეს მოკლე სიტყვა უგანათლებულესმა თავადმა გიორგი შარვაშიძემ და გრ. ვოლსკიმ. აკაკიმაც წარმოსთქვა სიტყვა. აი, ეს სიტყვა სრულიად და შეუცვლელად.

ბატონებო!

ნება მიბოძეთ, რომ გულითადი მადლობა შემოგწიროთ საერთოდ ამ უზომო პატივისცემისათვის. მოხარული ვარ, აქა გხედავთ ერთად, და ბედნიერი, მით უფრო, რომ მიზეზი მე გავხდი

თქვენი აქ შეკრებისა. ისე უგნური და თავხედი არ გახლავართ, რომ ის, რაც დღეს აქ წარმოითქვა ჩემ შესახებ, დავიჯერო და საკუთრად ჩემ თავზე მივიწერო. თუ მცირეოდენი წილიც-კი მიძევს, მაშინაც საკმაოდ ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, და გული სამხიარულოდ გაიშალოს მზად არის... გახსნილ გულს ყოველთვის თან ახლავს აშვებული ენაც, და ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ იმისთანა რამ წამომცდეს დღეს, რომელიც აქამდე ჩემგან არ გაგიგონიათ! მოგახსენებთ ერთ ძველ ამბავს. ჩვენ უკანასკნელ მეფეების დროს, სხვათა შორის, დათუნა გოცირიძეც შესამჩნევ ვაჟკაცად იხსენიებოდა ხოლმე. მთელი მისი სიცოცხლე მტრებთან ბრძოლაში გაატარა, და მის ერთგულებას სიბერემდე არა დაჰკლებია-რა. როდესაც დაუძლურდა, მაშინ მოაგონდა მეფე სოლომონს და უწყალობა შესანიშნავი ხმალი. მოხუცმა მოწიწებით მიიღო ბატონის წყალობა, მაგრამ გულში-კი სთქვა: „რაღა დროს? სანამდი სურვილს ძალღონეც შესტანდა, მაშინ უბრალო, ბლაგვ-ხმალს ვიქნევდი აქეთ-იქით მტრის მოსაგერებლად და დღეს-კი, როდესაც სურვილის მეტი აღარა შემრჩა-რა სიბერით, როგორ გამოვიყენოო? პირადად აღარას მარგებს და თუ ჩემ შვილებს გადავეცი, არც ის ივარგებსო: ისინი ჩემდა საუბედუროდ, ვერ არიან ერთმანეთში კარგად და ვაი თუ ერთმანეთს დაუშინონო!.. უმჯობესია, საყდარში შევიტანო, ხატის წინ დავდვა, – მე ვილოცო, და, როდესაც ჩემი შვილები გონს მოვლენ ღვთის წყალობით, გამოიტანონ და მოიხმარონ მტრის მოსაგერებლადო! აიღო ის ხმალი და ნიკოლოოზ-წმიდას (ანუ, როგორც მდაბიოდ ეძახიან, ნიკოწმინდას) შესწირა...

მეც, სწორედ, ამ დათუნას დღეში ვარ. სანამ ახალგაზრდა ვიყავ, ძალღონით ავსილი, მაგ თანაგრძნობას მოკლებული ვიყავ. ჩემი ერთგულება პირ-იქით, სიძულვილს იწვევდა. მართალია, მტრები გამირბოდნენ, მაგრამ მოყვრებსაც ვერ ვხედავდი ჩემ სიახლოვეს, და დღეს-კი, როდესაც „ის ველარ ვარ, რაც ვიყავ“, ქვეყნის თანაგრძნობა დათუნას ხმალივით უდროვოდ მომეწყალობა. პირადად ჩემთვის აღარაფერი გამოსადეგია და, არ ვიცი, რომელ „ნიკოწმინდას“ შევწირო, რომელ ტრაპეზზე დავდვა? სხვებს რომ გადავცე ისიც საეჭვოა, რადგანაც დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, ცოტა არ იყოს, წაჰგვანან დათუნას შვილებს. უცხოელებს ერთი ანდაზა აქვსთ: „ჭკუა კარგია და ორი კიდევ უკეთესიო!“ ეს ანდაზა ჩვენში საუკუღმართოა: „ჭკუა კარგია და ორი კი უბედურება“. დღეს ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, საკმაოდ მომზადებული. თვითეული მათგანი, თავის-თავად, სადაც, უნდა იყოს, რომელ სარბიელზედაც ძალაა, მაგრამ, თუ გვერდში სხვა მისივე ტოლი ძალა ამოუდგა... მშვიდობით!.. აღარა გაკეთდება-რა!.. ეს ძალები ეხლებიან ერთმანეთს და ბატის კვერცხებივით ერთმანეთს ალაყებენ.

ეს არის ჩვენი დღევანდელი ჭირი, თუმცა მემკვიდრეობითი-კი, და ამ მხრით ჩვენ ძალიან დაქვეითებული ვართ, მაშინ, როდესაც პირუტყვებმაც-კი იციან ერთმანეთის მიმხრობა გაჭირვების დროს!.. მეცხვარის ძაღლებს რომ ჩხუბი მოუდით ხოლმე და ერთმანეთსა ჰგლეჯენ, მაშინ იმათი გაზავება აღარაფრით ხერხდება, აღარც კეტით, აღარც ქვით და აღარც ცივი წყლის გადასხმით; მაგრამ იმ გაგიჟებისა და გაბრაზების დროსაც, ერთი თუ ვინმემ დაიძახა: „მგელი! მგელიო!“ ძაღლები ერთმანეთში ჩხუბს თავს ანებებენ და ერთად გარბიან მგლის მოსაგერებლად. ჩვენ კი... ჩვენ ჯერაც ვერ გაგვიცალცაკეებია საპირადო და საზოგადო!!.. გაწვრთნა გვაკლია და გაუწვრთნელი ხარიც არ გაიბმის უღელში; ვეცადოთ, რომ ამ სენს როგორმე თავი დავახწიოთ, თორემ უამისოთ ყოლიფერი უქმია და უნაყოფო: სადღეგრძელოცა, მრავალჟამიერებაც და ამგვარი თანა-გრძნობაც, რომელსაც მე დღეს მიცხადებთ, დათუნას „ხმალივით გამოუსადეგარს“ *[“ივერია”, №10, 1897: 2-3]*.

1897 წლის 14 იანვარს ბათუმის საზოგადოების წინაშე წარმოთქმული აკაკი წერეთლის სიტყვა ქართველი ხალხის სულიერების გაჯანსაღებას ემსახურება; ერთგვარი გაკვეთილია, სარკეა პოეტის სიტყვებით დანახული ჩვენი სამშობლოს სინამდვილისა. ეს ბრძნული დარიგებაა ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარეების გამოსასწორებლად. ამიტომაც გამოვიტანეთ სამსჯელოდ, დღევანდელი და მომავალი თაობების ქართული ხასიათის საწვრთნელად. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გავიდა თითქმის ასოცი წელი, მაგრამ ქართველი კაცის ხასიათში ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანი მხარეები. სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირებმაც, ალბათ, იმიტომ შეინახეს გაზეთ „ივერიის“ ეს ნომერი, რომ სავანის ბიბლიოთეკაში მოსულ ქართველებს წაეკითხათ დიდი მამულიშვილის, „საქართველოს ბულბულის“ – აკაკი წერეთლის ეს გულსატკენი სიტყვები და ყოველმხრივ კეთილშობილ, ურთიერთ მოსიყვარულე თანამემამულეებად ქცეულიყვნენ. „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო“, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. ამასვე ემსახურება დიდი აკაკის მიერ წარმოთქმული სამადლობელი სიტყვაც.

სამეცნიერო მივლინებაში მყოფი თითოეული ჩვენგანი მადლიერების გრძნობით კითხულობს დიდი პოეტის შთამაგონებელ სიტყვებს; მადლობას მოახსენებს სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე დიდებული სასულიერო პირების ნათელ სულს ამ სავანის ბიბლიოთეკაში შემონახული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შექმნისათვის. უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სათუთი სული. სავანის ამჟამინდელი პატრონი, საქართველოს საპატიო მოქალაქე, ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი სიმონ ზაზაძე კი ღმერთმა ჯანმრთელად და დღეგრძელად ამყოფოს ჩვენი სამშობლოს,

თურქი და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის წინსვლის სამსახურში.

გამოყენებული ლიტერატურა:
“ივერია”, №10, 1897: – წერილი ბათუმიდან, გაზეთი “ივერია”, 1897 წლის №10.

Шушана Путкарадзе, Циала Наракидзе,
Наргиз Ахвледиани, Шорена Путкарадзе
(Батуми, Грузия)

В гостях в Стамбульской обители грузинской культуры

Резюме

Члены отделения фольклористики, диалектологи и исследования эмигрантской литературы института имени Нико Бердзенишвили Батумского государственного университета Шота Руставели: доктор филологических наук, профессор Шушана Путкарадзе, доктор филологии Наргиз Ахвледиани, научный сотрудник отделения Циала Наракидзе и приглашённый специалист Шорена Путкарадзе – с 7 ноября до 3 декабря 2014 года находилась в библиотеке и архиве, созданном при фонде Стамбульской грузинской католической церкви, где описали и разложили по языковым данным более 5000 книг (всего 5135 книг).

ეთერ ქავთარაძე
(თბილისი, საქართველო)

ბათუმის თეატრალური ცხოვრების ისტორიიდან

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დავით ყიფშიძის პირად საარქივო ფონდში (N29, 30) დაცულია მისი რეცენზია ქალაქ ბათუმში შმაევსკის თეატრში ბათუმის ქართული დრამატული საზოგადოების მიერ წარმოდგენილ სპექტაკლზე. ქართულმა დასმა მაშინ დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა ვალერიან შალიკაშვილის ოთხმოქმედებიანი პიესა „გადაჭრილი მუხა“. ხელნაწერი შავია და ფრაგმენტული. მას არა აქვს რეცენზიის საბოლოო სახე, თუმცა რეცენზენტის მთავარი სათქმელი მაინც გამოკვეთილია. იმავე არქივში (N63) ინახება 1913 წლის 6 სექტემბერს, ოთხშაბათს შმაევსკის თეატრში წარმოდგენილი ამ სპექტაკლის პროგრამა. დავით ყიფშიძის ჩვენამდე მოღწეული საველე დღიურებიდან (ლ.მ. N18235-ხ) ვიცით, რომ სწორედ ამ დროს იგი ბათუმშია და აკვირდება ბათუმის კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ ყოფას, იკვლევს ქართული ელემენტის ძალასა და როლს საზღვრისპირა ქალაქის ცხოვრებაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ დავით ყიფშიძე 6 სექტემბერს გამართულ წარმოდგენასაც ესწრებოდა და ეს პროგრამაც იმიტომ შეინახა მისმა არქივმა.

რეცენზია 3 ოქტომბრითაა დათარიღებული. თეატრის როლი საზოგადოებრივი აზრის ღირებულებითი და იდეური მრწამსის წარმართვაში ყოველ ეპოქაში ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. მითუფრო განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია ის მეოცე საუკუნის ათიანი წლების ბათუმის ამღვრეული ყოფისათვის, სადაც პოლიტიკური, ეროვნული, სოციალური, რელიგიური ინტერესები მწვავედ კვეთდა ერთმანეთს და ერთიანი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებდა. დავით ყიფშიძის ბათუმური ჩანაწერების მიხედვით, ამ დროისათვის ბათუმში ქართველობა კარგა „ბლომათ“ იყო, მაგრამ, მისი თქმით, „რაც შეეხება ადგილობრივი ქართული საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებას, მაინცადამაინც სანუგეშოს ვერაფერს ვხედავთ.“ ამიტომ ყოველი კულტურული წამოწყება და დაწესებულება ამ თვითშეგნების სამსახურში უნდა ვივარაუდოთ. ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებას ქართული თეატრი წარმოადგენდა. ბათუმის თეატრალური ცხოვრების ისტორიის ათვლის წერტილი 1879 წლის 20 ივლისია, როცა ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა პირველი ქართული წარმოდგენა ზურაბ ანტონოვის „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“ გამართეს. ეს პერიოდი ქართული თეატრის აღორძინების ხანაა. 1879 წ. თბილისში პირველად დაარსდა მუდმივი დასი. 1884 წელს ბათუმში თეატრის პატარა შენობაც ააგეს 450 მაყურებელზე. XIX საუკუნის 90-იან

წლებში სცენისმოყვარეები საქველმოქმედო სპექტაკლებს მართავდნენ. 1912 წლის 12 აგვისტოს შემდგარ მსახიობთა კრებაზე კი შალვა დადიანის რეჟისორობით მსახიობთა ამხანაგობა დაფუძნდა. წარმოდგენებს, ეგრეთ წოდებული, „მოგზაურთა დასი“ მართავდა. 1913 წელს ბათუმში უკვე დაარსდა დრამატული საზოგადეობა, რომლის გამგეობამ შალვა დადიანის რეჟისორობით შეადგინა პროფესიონალთა დასი. ბათუმის დრამატული დასი შეიქმნა ყოფილ მოგზაურთა დასის საფუძველზე. სწორედ ამ 1913 წლის სეზონის დასაწყისის ბათუმის თეატრალური ცხოვრება აისახა დავით ყიფშიძის ახალგამოვლენილ მასალაში. „სანამ თვით ამ წარმოდგენაზედ ვიტყოდე რასმე, საჭიროთ მიგვაჩნია თვით პიესას შევეხოთ“, – წერს დავით ყიფშიძე და, მართლაც, რეცენზია ძირითადად იმ პრობლემებს დაეთმო, რომლებიც მწვავედ დასვა ვალერიან შალიკაშვილმა თავის პიესაში. „გადაჭრილი მუხა“ 1912 წელს დაიწერა. პიესა ქვეყნისთვის მრავალ მტკივნეულ პრობლემას ეხმიანება. ყველა ეს პრობლემა კი თავს იყრის ეროვნული თვითმყოფადობის გარშემო. დრამატურგი ეროვნული საკითხის გადაჭრის მთავარ საფუძველს სოფელთან მჭიდრო კავშირში ხედავდა.

ვალერიან შალიკაშვილმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე თეატრს დაუკავშირა, იყო მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი. სცენაზე 1902 წლიდან გამოჩნდა, ირიცხებოდა ლადო ალექსი-მესხიშვილის დასში. 1909-1910 წლებში სწავლობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სარეჟისორო კურსებზე. სარეჟისორო ხელოვნებაში მოსკოვის სამხატვრო თეატრის შემოქმედებითი პრინციპებით ხელმძღვანელობდა. ვალერიან შალიკაშვილმა 7 ორიგინალური და 18 ნათარგმნი პიესა შემატა ქართული თეატრების რეპერტუარს.

დავით ყიფშიძე თავის რეცენზიაში პიესის ავტორს ასე ახასიათებს: „იგი ერის ნამდვილი შვილია და ნიჭიერი შვილიც, რომ მშობელი ერის ტკივილები, კვნესა, წუხილი, ჭირი, თანამედროვე ტრაგედია შეუგრძვნია და განუცდია უნამდვილესი სინამდვილე, უბრალო მოკვდავთათვის უხილავი. მხოლოდ ზეგარდმო ნიჭს შეუძლია განცდა მთელი ერის ტრაგედიისა“. ერის ეს გასაჭირი მდგომარეობს მიწების გასხვისებაში, პიესის მოქმედი პირები, თავადები მამულებს სხვა ერის წარმომადგენლებზე ყიდიან. ნიკომ და მისმა მეგობარმა რუსს მიჰყიდეს მამულები და უსახლკაროდ დარჩნენ. დ.ყიფშიძის სიტყვით: „პიესა მოხდენილად სვამს საკითხს და წერტილს უსვამს. პასუხი თავისთავად იგულისხმება. ასეთია თვისება ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოებისა. ავტორი ასკვნის, რომ მამულისთვის დაკარგულია უცხოეთში სწავლამიღებული ახალგაზრდობა“.

დავით ყიფშიძის აზრით, ვალერიან შალიკაშვილის პიესა რეალისტურ-სიმბოლისტური, ანუ სოციალური დრამაა და ხსნის, რატომ უწოდებს მას სოციალურ დრამას. განმარტავს იმ

სოციალურ მოვლენას, რომელიც ავტორმა დაგვანახა: „ბრწყინვალე ახალგაზრდობა, რომელსაც უმაღლესი სწავლა-განათლება მიუღია რუსეთში და საზღვარგარეთ, ბრწყინვალე წოდებას ეკუთვნის, მამა-პაპათა ზნე-ჩვეულება კი სრულებით დავიწყნიათ. მათი ანდერძი სრულებით არ ესმით, ან თუ ესმით, ვერ ანხორციელებენ მას. მათი დახასიათება მთელი ბრწყინვალე წოდების ახლი თაობის დახასიათებაა. ავტორი, როგორც უტყუარი რეალისტი, მახვილი სოციალური გრძნობისა და ინტუიციის პატრონი, რასაკვირველია, ამჩნევს ჩვენი ეკონომიურის და ეროვნული ცხოვრების დიდ განსაცდელს, ტერიტორიის თანდათანობით ხელიდან გაცლას და მასთან დაკავშირებული ეროვნული მთლიანობის და თვითშეგნების რღვევას, ეროვნულ დეგენერაციას, გადაგვარებას. თავის თხზულებაში იგი ჩვენ თვალწინ გვიშლის ამ მოვლენის სამწუხარო, ცოცხალ სურათს.“

რეცენზენტი ასკვნის, რომ პიესა ამ მოვლენების ფსიქოლოგიურ სარჩულს ჭეშმარიტად მხატვრული საშუალებით გადმოგვიშლის. ამაშია მისი ფასდაუდებელი და სოციალური ღირებულება. დ. ყიფშიძის შეფასებით, პიესის ავტორი ხაზს უსვამს, რომ „საზოგადოებრივი აზროვნების ღერძად ეროვნული, ანუ უკეთ ტერიტორიის საკითხი გადაიქცა“. რეცენზენტის აზრით, ვალერიან შალიკაშვილი თავის პიესაში წარმოჭრილს პრობლემებს პუბლიცისტური მიზნით არ იყენებს. „ეს მხატვრის საქმე არაა. მისი მიზანია, ღრმად ჩაგვახედოს ამ საკითხში, დაგვანახოს მისი ფსიქოლოგიური მიზეზები მხატვრული საშუალებით. რას გვეუბნება ავტორი, ანუ უკეთ რა მოვლენას ადასტურებს იგი? გვეუბნება, რომ ტერიტორია გვეკარგება. სოფელი ხელთ გვეცლება, ჩვენს ეროვნებას საფრთხე მოელის, მიხედეთ სოფელს, უშველეთ სოფელსაო. ჩვენი ეროვნული არსებობის განგრძობასა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შორის კი მიზეზობრივი კავშირია: უკანასკნელი თავდებია პირველისა, შევინარჩუნებთ ტერიტორიას, არ ჩავუგდებთ მას ხელში უცხოელებს – მაშინ ჩვენი ეროვნების ბრწყინვალე მომავალი უზრუნველყოფილია. დავკარგავთ ტერიტორიას და ჩვენი როგორც განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული ერთეულის, როგორც განსაკუთრებული საკაცობრიო ღირებულების მატარებლის აღსასრული დამდგარია. მაშ თუ გვსურს წინსვლა და განვითარება, თუ გვინდა მომავალში საკაცობრიო კულტურას რამე თავისებური შევძინოთ და ჩვენც ღირსეული წევრი გავხდეთ განათლებულ საერთაშორისო ოჯახის, თუ ყოველივე ეს გვსურს (ხოლო ამ სურვილების არარსებობა, მათი სიკვდილი ჩვენი სრული სიკვდილის მომასწავებელი იქნებოდა), მაშინ ჩვენი სადღეისო საქმეა, რანაირად შეგვიძლია, როგორც და რითაც მოგვიხერხდება, დავიცვათ ჩვენი ტერიტორიის მთლიანობა. ესაა დღეს ჩვენი ვალი მომავლის წინაშე“.

ყოველივე ამის გამო რეცენზენტი თვლის, რომ პიესა ყოველ ქართულ სცენაზე არაერთხელ უნდა დაიდგას, რადგან მისი მხატვრული ღირსებანი თავდებია იმისა, რომ სეზონში იგი 2-3-ჯერ შეიძლება წარმოადგინონ.

რეცენზიის ბოლო ფრაგმენტში დავით ყიფშიძე წერს: „ბათუმის ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ და დასმა კარგი სამსახური გაუწიეს ბათუმის ქართველობას. ამ პიესის წარმოდგენა ვისურვებ, რომ კვლავ განმეორებულიყოს. პიესის შესრულებამ საზოგადოდ დაგვაკმაყოფილა. იყო ისეთი მომენტები, რომ უაღრეს მხატვრულობამდის აღწევდა თამაში. აღსანიშნავია ბატონ შალვა დადიანის, რონელის, ყალიბეგაშვილის თამაში“.

სამწუხაროდ, ეს პიესა მწვავე სადღეისო პრობლემებსაც ეხმაურება.

დავით ყიფშიძე თვლის, რომ რეჟისორმა თანადროული მძიმე პრობლემებით გაჯერებული პიესა უნდა მოიძიოს, გააცოცხლოს და მიიტანოს საზოგადოებამდე. მისი აზრით, შალვა დადიანმა ეს შეძლო.

გამოყენებული წყაროები:

გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, N18235-ხ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, დავით ყიფშიძის პირადი საარქივო ფონდი, N29, 30, 63.

Eter Kavratadze (Tbilisi, Georgia)

From the History of Batumi Theatrical Life

Summary

In early twentieth century emphasizing Georgian element in all spheres of Batumi cultural life was the fact of particular significance. Role of the theatre in formation of the national self-awareness could not be overestimated. At that time so called Shmaevsku Theatre dominated in theatrical life in Batumi,

In David Kipshidze's personal archive in the National Center of Manuscripts there is his review: „Cut Oak" on Batumi Stage". The author of review pays particular attention to its social value, of all most significant national problems arisen in the piece. David Kipshidze's archive contains also the program book stating that the coryphée of Georgian theatre, Shalva Dadiani plaid main character in the piece „Cut Oak" by Valerian Shalikashvili. According to Program book, Shalva Dadiani was the creative director of the theatre.

თინა შიოშვილი
(ბათუმი, საქართველო)

აჭარული ფირალის ეპოსის გმირები

ხალხურ ლექს-სიმღერებს ფირალებზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის ზეპირსიტყვიერება იცნობს. ისინი მოსაგონრებია, რომლებიც მათი დაღუპვის შემდეგ იქმნებოდა. სწორედ მათი საშუალებით შემორჩა ისტორიას მრავალი სახალხო გმირის სახელი, რომლებიც მმართველი ხელისუფლებისაგან ყაჩაღებად იყვნენ შერაცხილნი. ფირალის ეპოსის თაობაზე გამოითქვა მრავალი საყურადღებო მოსაზრება (ქს. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, ალ. ღლონტი, ანტ. ხინთიბიძე, ჯ. ნოღაიდელი, აზ. ახვლედიანი, ზ. კიკნაძე, ნ. ცქიტიშვილი, გ. მახარაშვილი და სხვა). ამ კვლევებით დგინდება, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ფირალის ეპოსის გმირები ყოველ ეტაპზე სოციალური თუ ეროვნული უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლნი იყვნენ; სოციალური და ეროვნული პრობლემებით დაღდასმული სამართლიანობა კი ყოველთვის უკავშირდება ქვეყნის, ხალხის ისტორიულ და ზნეობრივ პრინციპებს და ფირალის ეპოსის გმირებიც ამ პრინციპთა ბოლომდე დამცველებად წარმოგვიდგებიან ***[შიოშვილი, 2002: 74].***

ფირალის ეპოსის ზნეობრივ კრედოს თაობაზე ძალზე მდიდარ მასალას იძლევა აჭარის ზეპირსიტყვიერება. მრვალჭირნახული ქვეყნის განაპირა კუთხის ტვირთმძიმე ხვედრმა, გამუდმებულმა ბრძოლებმა მომხვდურებთან თუ შინაგანმა სოციალურმა წინააღმდეგობებმა საუკუნეთა მანძილზე აჭარის ზეპირსიტყვიერება გაამდიდრა მაღალზნეობრივი მოქალაქეობის, ყოველგვარ ბოროტებასთან შეურიგებლობის სულისკვეთებით გამსჭვალული ლექს-სიმღერებითა და თქმულება-გადმოცემებით, რომლებმაც მრავალი ისტორიული პიროვნების ღირსსახსოვარი სახე შემოინახეს.

აჭარის საისტორიო ზეპირსიტყვიერებაში არაერთგზის არის დაფიქსირებული აქაური მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობა ოსმალეთის მთავრობისადმი, რომელსაც სურდა, გაეწვია ისინი ჯარში – "ნიზამში" და ჩაეთრია ოტომანთა იმპერიის მიერ წარმოებულ დაპყრობით ომებში ***[ახვლედიანი, 1970: 66].*** ეს კი, ბუნებრივია, ხალხის წინააღმდეგობას იწვევდა; თავისუფლებისმოყვარე, ბუნებით ტოლერანტი აჭარლობა დამპყრობის ჯარში სამსახურს ყაჩაღად გავარდნას ამჯობინებდა. ამგვარ ვითარებას ასახავს აჭარაში ფართოდ გავრცელებული "ასლან ბაჟუნოღლის ლექსი" ***[აჭ. ხ. პ., 1969: 60].*** კახათელი ასლან ბაჟუნოღლი არ დამორჩილებია ადგილობრივ მმართველობას, უარი უთქვამს ნიზამში წასვლაზე და ყაჩაღად გავარდნილა. მას, როგორც კანონის დამრღვევს, დასაჭერად დასდევდნენ;

განსაკუთრებით მტრობდა, თურმე, ქობულეთის კაიმაკამი მურად-ბეგ თავდგირიძე. ასლანი უშიშარი ვაჟკაცი, საკუთარი სიმართლისა და ღირსების სრული შეგნების მქონე ყოფილა და არ ეპუებოდა თურქულ მმართველობას. მას თანამოაზრენიც ჰყოლია:

მე ვარ ასლან ბაჟუნოღლი, ყოლ ფირალში გარჩეული,
რომელიც არის ჩემთანა, აღარ არის ჩურუქსუში.

[აჭ. ხ. პ., 1969: 60]

ასლან ბაჟუნოღლის ქედუხრელობასა და ვაჟკაცობაზე მეტყველებს მისი შენათვალი მურად-ბეგისადმი:

იცოდე, ბიჭად დაგხვდები, თუკი მაქ თავი ერთიო,
შენ თუ ოცი ბიჭი გახლავს, ჩემკენა – დიდი ღმერთიო!

[აჭ. ხ. პ., 1969: 60]

ლექსში მინიშნებულია ძალმომრეობაზე, რომელსაც მშვიდობიანი გლეხების წინააღმდეგ იყენებდა ადგილობრივი მმართველობა, რითაც აიძულებდა მათ, ყაჩაღად გავარდნილიყვნენ:

ყონახზე შემომესია, შიგნით ქე დავრჩი ტყვესავით,
არა კაცს არ გაწყეინეთ, ჩემთვის ვიჯექი მტრედსავით.

[აჭ. ხ. პ., 1969: 60]

ლექსში მოთხრობილი ამბები უნდა მომხდარიყო XIX საუკუნის 30-40-იან წლებში – ოსმალთა ჯარში აჭარელთა გაწვევის პირველი მცდელობის დროს.

აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული იუსუფ ბეჟანოღლის ლექსიც თავისუფლებისმოყვარე, სიკეთის მსახური აჭარელი მშრომელის სულისკვეთებას გამოხატავს; ლექსის გმირი უკომპრომისოა ყოველგვარი ბოროტების მიმართ:

მე ვიყავ ძველი ქართველი, ახლა უსუფ ვარ თათარი,
ხომ ყველა გადამემტერეთ – რუსი ხემწიფე, ხვანთქარი!..
ერთი ვარ, ორსავ ვეყოფი, ჩემი სილაღი მზად არი,
მე ისე მიწას არ ჩავალ, თქვენ რომ არ გნახოთ წამხდარი!

[ახვლედიანი, 1944: 46]

ფირალის ეპოსის ერთ-ერთი სახელოვანი გმირია ჩახალოღლი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარია მემედ ბერიძე. ზოგიერთ წყაროში იგი მემედ ბაირახტარის სახელითაც იხსენიება *[ახვლედიანი, 1970: 160]*. ფოლკლორული ტრადიცია ჩახალოღლის სახელს უკავშირებს "ოლქაობის" (ხალხის მმართველობის თავისებური ფორმა ოსმალობის ხანაში) ცნობილ მოვლენებს და მას მიიჩნევს "ოლქაობის" შემომღებად:

ჰაი გიდი, ჩახალოღლი, ერთხანაც გიქრიდა ქარი,
შემოიღევი ოლქაობა, ხომ ვერ ქენი კაი ქღარი!..

[აჭ. ხ. პ., 1969: 59]

ჩახალოღლი ერთნაირად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის აღვირახსნილ მოხელეებსა და ავყია ადგილობრივ ფეოდალებს.

მისი ყაჩაღად გავარდნის მიზეზი ყოფილა ზენდიდელ ბეგ ბეჟანიძესთან უთანხმოება, რის გამოც იგი ჩაქვში გადაუსახლებიათ. “მას იქ შეუკრებია 100-ზე მეტი კაცი და ბევრ ბეგიებს დაუქციეს ქვითკირის სახლები და მათ შეაშინეს ისინი სასტიკად. მისი შიშით ბეგები აჭარაში ვეღარ დგებოდნენ... ამ ჩახალოღლის შესახებ სახალხო ლექსებიც არის გამოთქმული” *[ჭიჭინაძე, 1916: 4-5].*

ჩახალოღლი სელიმ ხიმშიაშვილის თანამედროვე ყოფილა, რაზედაც მიუთითებს ხალხური ლექსიც. ლექსის ვარიანტები გვაუწყებს, რომ ჩახალოღლი მარტო არ ყოფილა, ბრძოლაში მას ორი ძმა ხლებია:

... სამი ფეხის გადადგმაში ჩამუართვეს ორივ მხარი,
სამივ ერთად დაარწყვილეს: ორი ძმა და ბაირახდარი,
სამვეს ერთად დასჭრეს თავი, ვითარცა ყასაბმა ცხვარი...

[აჭ. ხ. პ., 1969: 59]

ლექსის ზოგიერთი ვარიანტიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად ჩახალოღლი და სელიმ ფაშა თანამოაზრენი ყოფილან, მაგრამ შემდეგ მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და ჩახალოღლიც აჯანყებულა, “ოლქაობა” მოუწყვია; ეს წინააღმდეგობა ახმედ ბეგის დრომდე გაგრძელებულა, რისი საბაბიც გამხდარა გადასახადების გადიდება.

ახმედ ფაშა, რომელიც ისტორიაში ცნობილია თავისი პროთურქული ორიენტაციითა და ბოროტი ხასიათით, ხალხური ლექსის თანახმად, უპირისპირდება სამართლიან, სიკეთისათვის მებრძოლ მაღალზნეობრივ სახალხო გმირს – ჩახალოღლის; მთქმელის სიმპათიაც, ბუნებრივია, ხალხის ინტერესების დამცველი ვაჟკაცისაკენ არის:

ქალაქში რომ შემოხვედი, ვით ფადიშა-სერასკირი,
ფაშამ საჩუქარი გიყო, მას გავარდა ორივ თვალი!

[აჭ. ხ. პ., 1969: 59]

ეს “საჩუქარი” გმირის მუხანათური მკვლელობა იყო, რის გამოც ლექსში დაწყევლილია ფაშა, ხოლო სოციალური და ეროვნული თვითმყოფადობისათვის მებრძოლ ყაჩაღ ჩახალოღლის სახელი – განდიდებული.

ოსმალური მარწუხებისაგან თავდაღწეულ აჭარას დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ახლა რუსული მმართველობის სიმძიმე დაატყდა თავს; მეფის მთავრობა სასტიკი რეპრესიებით პასუხობდა თავისუფლებისადმი მათ სწრაფვას, უპირისპირებდა ადგილობრივ მკვიდრთათვის უცხოენოვან ბიუროკრატიულ სახელმწიფო აპარატს, ციმბირში გადასახლებასა და სახრჩობელას, უხეშად ერეოდა საუკუნეობრივი ტრადიციებით განმტკიცებულ ადათობრივი სამართლის ნორმებში, რაც ხალხის უკმაყოფილებას, ნორმალური ცხოვრების კალაპოტიდან მათ ამოვარდნასა და გაყაჩაღებას იწვევდა.

რუსული მმართველობისადმი პროტესტანტი აჭარელი ვაჟკაცების სახელები სათუთად შემოინახა ზეპირსიტყვიერებამ. ესენი არიან: შირინ შარაშიძე (ვოდელიოღლი), მევლუდ დიასამიძე, ილიას ხილაძე (ფურტიოელი ილიასა), მემედ დიასამიძე (ყირიმლიოღლი) და სხვები.

ფირალის ეპოსის ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაჟია ვოდელიოღლი. მასზე ლექს-ს-მღერები გავრცელებული იყო როგორც აჭარაში, ისე იმერხევში, სადაც გაყაჩაღების შემდეგ გაქცეულა. ვოდელიოღლის ლექსის ადრეული ვარიანტები ჩაიწერა ნ. მარმა იმერხევში, დაურთო ლექსიკონი და შენიშვნები ***[მარი, 2012: 174-179].***

ვოდელიოღლის ნამდვილი გვარი და სახელია შირინ შარაშიძე. იგი სოფელ ჭვანადან ყოფილა, რაზედაც მიუთითებს როგორც მარისეული, ისე მომდევნო ხანის ჩანაწერები. მკვლევარმა ა. ახვლედიანმა დაადგინა, რომ შირინ შარაშიძის გაყაჩაღება უნდა მომხდარიყო XIX-XX სუკუნეთა მიჯნაზე და ლექსიც მის შესახებ იმავდროულად უნდა შეთხზულიყო. ლექსის ავტორი თვითონ შირინი უნდა იყოს, რის შესახებაც ჯერ კიდევ ნ. მარმა მიუთითა; აჭარელი მთქმელებიც ერთხმად აღნიშნავენ, რომ "ჭვანელი კაჩაღი შირინა ვოდელიოღლი მის ქალს უთქვამდა ლექსებს... მაგას ყავდა შეყვარებული ქალი. ლექსით შააყვარა თავი" ***[ახვლედიანი, 1970: 187-190].***

"ვოდელიოღლის ლექსის" მრავალრიცხოვანი ვარიანტებისა და პროზაული გადმოცემების თანახმად, შირინს მამის სისხლი აუღია და ამის გამო გავარდნილა ყაჩაღად, რათა აეცდინა გაციმბირება; ერთი ვარიანტის მიხედვით, მას მოუკლავს ვინმე უსტა იუნუსა ***[ნბიფა, ს. №29, ფურც. 132];*** ზოგიერთი ნარატივის მიხედვით კი, შეყვარებულის ძმებთან უთანხმოების გამო, გაქცეულა ტყეში, შემდეგ მთავრობას შეუპყრია, გაუპარსავთ, 12 წელი მიუსჯიათ და გემით გაუმგზავრებიათ. ღამით იგი ზღვაში გადამხტარა და მდინარე ჭოროხის ავლით ოსმალეთში გადასულა ***[ახვლედიანი, 1970: 191].***

ხალხური ლექსები და თქმულება-გადმოცემები შირინს სამართლიან, ბოროტებასთან შეურიგებელ ვაჟკაცად წარმოგვიდგენენ. მას მშვიდობიანი, მხიარული ცხოვრება ჰყვარებია ("სამა-სიმღერა მიყვარდა, ქოშიებში შამოფრენა"), მაგრამ რუსის მოხელეთა სისასტიკემ ხელში თოფი ააღებინა და ტყეში გააგდო:

... ნაჩალნიკები მტერი მყავს, იგინია იმფო ფენა,
თოფის სროლას რომ დავიწყეფ, ჩაუვარდებიან ენა.

[აჭ. ხ. პ., 1969: 66-67]

ძალმომრეობაზე გადასულ "ნაჩალნიკებს" შირინი ადამიანური მოპყრობისაკენ მოუწოდებს და შეახსენებს მარტივ ჭეშმარიტებას, რომ მისი მოკვლით მათი საფლავები არ ამოივსება:

ბასხუნზე რომ დამეცემით, ნუ დამატანთ მე ძალასა,

ჩემი მოკვლით რა იქნება, არ ამუავსეფ თქვენ მეზერსა!

[აჭ. ხ. პ., 1969: 67]

სახალხო მთქმელი არ მალავს კეთილგანწყობას სამართლის საძებრად ყაჩაღად გავარდნილი ვაჟკაცის მიმართ და არცხვენს აბდულ-ბეგს, რომელიც დასაჭერად დაეძებდა შირინს; გამოთქვამს რწმენას, რომ ღმერთი საკადრისად დასჯის მას:

... აბდულ ბეგი ძალიან მეძებს, აღარ მაძლევს მე შველასა.
მისი გვარი გაფუჭდება, ღმერთი მისცემს დიდ ბელასა.
ასტე ძალიან მე რუმ მეძებს, იქ რას ეტყვის მაღალ ღმერთსა!

[აჭ. ხ. პ., 1969: 67]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვოდელიოღლის, ანუ შირინ შარაშიძის ლექსის აჭარულ ვარიანტთა დიდი ნაწილი და, ასევე, ნიკო მარის მიერ იმერხევის სოფელ თეთრაქედში მოლა იბრაჰიმ შერიფ ჩაუშოღლისაგან ჩაწერილი ლექსი სათაურით "შირინ ოდელ-ოღლის ფირალის სიმღერა" არქაული ქართული ბალადის – "ავთანდილ გადინადირას" – კერძოდ კი ამ ბალადის ანდერძული დასასრულის სიტყვიერი ქარგითა და იდეით არის ნასაზრდოები, რაც კიდევ ერთი დასტურია ყაჩაღად მონათლული ვაჟკაცის მაღალადამიანური, ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმისა. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ერთ-ერთი ვარიანტი ("ვოდელიოღლის დესტანი"), რომელიც 1971 წელს არის დაფიქსირებული შუახევის რაიონის სოფელ ტბეთში, ამგვარია:

დავჯექ, წერილი დავწერე, ჩიტ გავატანე ხებრადა,
საყვარელ ასე უთხარით: ვერ ვესტუმრები ჩქარათა.
აბდულბეგი ძალიან მეძებს, ამდგარი არის ჯარათა.
მასთან ვეღარ გესტუმრები, კურცხალი მომდის ღვარათა.
ერთ გოგოზე ხათრი დამჩა, არ დაინახოთ ბევრათა.
მე რომ მოვკტე, სხვას მიეცით, მე მჯობდეს თვალათ, ტანათა,
ჩემი ყამა და ქემერი თან გაატანეთ მზითვათა.

[ნბიფა, ს. №159, ფურც. 121]

იმერხეული ვარიანტი ძალიან ახლოს დგას აჭარულთან:

დავჯდე და წიგნი დავწერო, ჩიტ გავატანო ხებრათა;
აგი საყვარელ მუუტანე, ვეღარ ვესტუმრე ჩქარათა.
აბდულბეგი ზალიან მეზებს, ამდგარი არის ჯარათა.
იმას-და ვეღარ ვესტუმრე, კურცხალი მომდის ღვარათა.
ერთ გოგოზე აი დამჩა, ნუ დეინახავთ-და ბევრათა!
მე რომ მოვკდე, სხვას მიეცით, მე რომ მჯობდეს თვალტანათა.
ჩემი ყამა და ქემერი თან გავატანოთ ზითვათა...

[მარი, 2012: 178]

იმერხეული ვარიანტი საკმაოდ ვრცელია, ანდერძულ ნაწილს მოსდევს ადამიანური სევდა-წუხილი სატრფოსთან სიშორის გამო, დასასრული კი ერთგულების ფიცია: "... შენ მარტო, მე სხვა არ მინდა, ას ოთხ ქითაბ გეფიცები!" ***[მარი, 2012: 179].***

რუსული მმართველობის მიმართ შეურიგებელ ქართველ სახალხო გმირთა პლეადას ამშვენებს ყაჩაღი მევლუდ დიასამიძე, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აჭარელი გლეხის სიმბოლური სახეა. დავით კლდიაშვილის მოგონების თანახმად, მ. დიასამიძე მილიციელი ყოფილა, ვიღაც მოგზაურის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება დაუბრალებიათ და დაუჭერიათ. იგი გაქცეულა, ყაჩაღად გავარდნილა, თანამოაზრენიც გაუჩენია და დიდად ავიწროებდა ადმინისტრაციას. ფირალის ამბავი მთავარმმართებელ გოლიცინამდე მისულა, რომელიც, თურმე, იმუქრებოდა: "– მომეცით მევლუდა, მომეცით, თორემ მთელ მხარეს ავიკლებო!" ***[კლდიაშვილი, 1984: 31].*** მოსყიდული მსტოვრების დახმარებით მევლუდ დიასამიძე დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მასზე ხალხური ლექსი არ დაფიქსირებულა.

აჭარის ფოლკლორი კარგად იცნობს მ. დიასამიძის რაზმელის, ცნობილი ფირალის – ილიას ხილაძის სახელს. იგი სოფელ ფურტიოდან ყოფილა, რაზედაც მასზე შექმნილი ლექსის ზოგი ვარიანტის დასათაურებაც ("ფურტიოელი ილიასას ლექსი") მიგვანიშნებს. ლექსის ავტორად მიჩნეულია ცნობილი სახალხო მთქმელი რეჯებ მჟავანაძე.

ილიას ხილაძეს ძმის სისხლი აუღია და ტყეში გავარდნილა; ბოლოს მთავრობას შეუპყრია, სამხედრო-საველე სასამართლოს გაუსამართლებია და საჯაროდ ჩამოუხრჩვიათ ქედაში. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1898 წლის 28 დეკემბერს:

... მერე ხალხი დაიბარეს, მთელი უჩასტკის ჯარიო,
დეკემბრისა ვოზდარვასა ეს საქმე ნამდვილ არიო.

[ნოღაიდელი, 1977: 99]

ლექსში აშკარად იგრძნობა ხალხის თანაგრძნობა ყაჩაღად მონათლული დაუთრგუნავი სულის ვაჟკაცის მიმართ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აჭარელთა გაგებით, სისხლის აღება "სულისა და ხალხის რწმენის საქმე" იყო ***[ახვლედიანი, 1970: 201],*** გასაგები ხდება მისადმი მთქმელთა სიმპათია. ილიასასადმი მიძღვნილ ლექსთა ვარიანტებში გამოთქმულია გულისტკივილი იმის გამო, რომ ქვეყნად ბოროტება მეფობს, რომ "კაცის დარჩობის კანონი გამოვიდა მთავრობაში" და რომ ხელისუფლებამ ვანდალური აქტი მოაწყო: მოსახლეობა აიძულა, ეყურებინა ილიასას ჩამოხრჩობისათვის. ლექსის მიხედვით, ბათუმის მაშინდელი უფროსი სუმბათოვი ("ოქროკა") ბოროტ, დაუდობელ პიროვნებად მოჩანს:

ოქროკაჲ სუმბათოვი, ზალუმების თავიბაში,

აჭარლებსაც გვემტერება, არის სულ ჩვენ ჯავრობაში.
გადაყვანილი რუსია, ჰილლე არ აქ გდავრობაში...

[აჭ. ხ. პ., 1969: 68]

ხალხის უცდომელი სამსჯავრო "ოქროკას" აყვედრის ბოროტებისადმი მსახურებას, უგულობას, უზნეობას, ილიასას დანაშაულის ხელოვნურად დამძიმებას, რასაც სახალხო გმირის სიკვდილით დასჯა მოჰყვა.

მეფის რუსეთის მმართველობის სისხლიან ექოდ შემორჩა აჭარის ზეპირსიტყვიერებას "ყირიმლიოღლის ლექსიც" ***[აჭ. ხ. პ., 1969: 72-75],*** რომლის ავტორიც რეჯებ მჟავანაძეა. "ფურტიოელი ილიასას ლექსის" დასასრული გვაუწყებს, რომ ილიასა ხილაძის ჩამოხრჩობას ყირიმლიოღლიც დასწრებია:

ილიასას დარჩობაზე კიდევ გვაყურებია ჩვენა,
იმის გარდა ის ტარაღაჯი ყირიმლიოღლისაც უჩვენა.

ყირიმლიოღლი, იგივე მემდ დიასამიძე, სოფლიდან ჩასულა ბათუმში და ქარხანაში დაუწყია მუშაობა. ამ ხანებში ფულს დახარბებულ წონიარისელ მეზერჯოღლის, არსენას ნათლიმამის – ფარსადან ბოდბისხეველის – მსგავსად, მთავრობასთან დაუბეზღებია მასთან თავშეფარებული ყაჩაღები: მევლუდ დიასამიძე, ახმედ ყირიმლიოღლი (მემედის ძმა) და წაბლანელი ხუსია. გამთენიისას სამასკაციანი რაზმი დასხმია თავს მეზერჯოღლის სახლს, ხუსია და ახმედი მძინარენი ამოუხოცავთ. ამ ამბის გამო მემედი ფირალად გავარდნილა, მოუკლავს სამი მეზერჯოღლი და ბოლომდე შეურიგებელი დარჩენილა ხელისუფლების მიმართ. ბათუმის ოლქის მმართველი "ოქროკა", რომელმაც მანამდე ილიასა სახალხოდ ჩამოახრჩო, დამუქრებია მემედ ყირიმლიოღლის:

ბათუმის საზოგადოში შენ უნდა იყო ან მენა!
. . . . . .
პირველი დასახრჩობი ხარ, რაზბოდნიკი ხარ, ფირალი,
აწე ვერ გიდიმირჩები, ჩიტი რუმ გახდე ფრინველი!..

მემედს კარგად სცოდნია სუმბათოვის "ვაჟკაცობა", მისი ზნედაცემულობის ამბავი; ამიტომაც შეუთვლია ასე თავდაჯერებულად:

... თვალი კი დაგიდგა შენა!
საცხან გზაზე თუ შემხდები,
მაშინ კი დეგემბის ენა...

მეზერჯოღლების მკვლელობისათვის მემედ დიასამიძეს ჩამოხრჩობა ელოდა. ეს მან კარგად იცოდა, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე სულისა და მაღალზნეობრივ ტრადიციებზე აღზრდილი ვაჟკაცისათვის მიუღებელი იყო დამპყრობლის კანონიც და ამ კანონით ფესვებგადგმული უზნეობაც, რასაც რუსის მმართველობა თესავდა ადგილობრივ მოსახლეობაში. იგი ვერ ურიგდებოდა უზნეობისა და ბოროტების სამსახურში მყოფ თავგზააბნეულ თანამოძმეთა საქციელსაც.

ყირიმლიოღლის პირით ლექსში გამოთქმულია უდიდესი სინანული იმის გამო, რომ ხალხი ზნეობრივად გადაგვარდა, მათში დასმენამ და მოღალატეობამ იჩინა თავი, დაირღვა ოდინდელი ტრადიციები, მასპინძელს სტუმრის გაცემა-დაბეზღება წესად გადაექცა. იგი ურჩევს ოლქის უფროსს, ყურს ნუ დაუგდებს დამსმენებს, სტუმარმასპინძლობის ტრადიციული წესების დამრღვევთ.

ლექსში ხაზგასმულია ყირიმლიოღლის ზნეობრიობა, მისი საქციელის სამართლიანობა და ანტირუსული განწყობილება; მემედი უმტკიცებს "ოქროკას", რომ მისი საქმე სამართლიანია და იქით ემუქრება, რადგანაც სწამს, რომ მას, ვითარცა ბოროტებასთან მებრძოლს, ღმერთიც ეხმარება:

... ასთე რუმა, რაღას მომდევ მაგ მუნიან სალდათებით,
მაგას სუნთელს დიგიფანტავ ერ ხმამაღლა შეძახებით!
. . . . . .
ღმერთია ჩემი მომხმარე, შენ მე რაფერნა დამკიდო,
შეიძლება თავი მოგჭრა, კოშკივით წელზე დევკიდო!

"ყირიმლიოღლის ლექსში" უდიდესი ზიზღია გაცხადებული ბათუმის მმართველ სუმბათოვის მიმართ, რომელმაც აჭარაში ბოროტების სიმბოლო – სახრჩობელა აღმართა და ადამიანთა ცოდო დაიდო:

... ოქროკად თუ მიხთება, ამ საქმიებით გეილანძღა,
კაცის დარჩობის კანონი მის გაწერაზე გამოვდა,
ყირიმლიოღლის ამბავი ღალატობაზე წამოვდა.

ყველაზე დიდი ბოროტება კი, რაც ბათუმის ოლქის მმართველ "ოქროკას" უზნეო საქციელს მოჰყვა, ხალხური პოეზიის თანახმად, ის იყო, რომ მთავრობამ აჭარის სოფლებში ეგზეკუცია ჩააყენა და მოსახლეობაში შიში და უნდობლობა დათესა ("რუსი სოფელში შემოვდა"), რის შედეგადაც ფართო გზა მიეცა ყოველგვარ ბოროტებას:

ერთი-ერთმანეთს ვერ ვიტანთ ვერცერთი მეზობლობაში,
ღმერთმა გვკითხა, ჩიგვიჟდინა სალდათები სოფლობაში.
აწე მეისპო, ჩვენო ძმაო, ჩვენი ქეიფი მხიარული,
სალდათებმა რუმ დეიწყო ჩვენს ეზოში სიარული.
ერ ამბავსა მოგახსენებ კაკალ გულში გულიდანა:
ჩვენი რჯული და ნამუსი უნდა წევდეს ხელიდანა...

რეჯებ მჟავანაძისათვის, ვითარცა თავისი ხალხის მაღალ-ზნეობრივი ტრადიციების ერთგულისა და სიკეთის მსახური-სათვის, მიუღებელია ადამიანის ექსპლუატაცია, პიროვნული დამცირება; ამიტომაც იყო ბასრი და მამხილებელი მისი დესთანები. ლექსში "დაწყევლილი ჩემი თავი" ნათქვამია:

რამდენს უნდა ვემსახურო მუხტარსა და აღა-ბეგსა!
გლეხისათვის სამართალი უწერია განა ღმერთსა?
. . . . . .
ვერ შევარჩენთ ამდენ ტანჯვას აღა-ბეგს და
ხოჯა-მუხტარს...

[ახვლედიანი, 1970: 55]

აჭარის ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ხსოვნა ქობულეთელ ყაჩაღ შამილოღლის შესახებ. "შამილოღლის ლექსი" გვაცნობს სამართლის ამაოდ მაძიებელ მეამბოხე ვაჟკაცს, რომელსაც შეყვარებულის ძმა – ურიადნიკი მუხამედი გადაჰკიდებია და სასიკვდილოდ გაუმეტებია. შამილოღლის დაუჯაბნია იგი, მისი ტყვია აუცდენია და თავად წარმატებულად უსვრია:

ერთი ტყვია გევისროლე, გევისროლე გულიანად,
ის ურჯულო, უკუღმართი საიქიოს გევისტუმრე.

[ნბიფა, ს. №98, ფურც. 6]

ამის შემდეგ გზა ტყისკენ მიდიოდა. ყაჩაღად გავარდნილი შამილოღლი ქედაში ერთ ოჯახში მიუწვევიათ და მუხანათურად გაუციათ. სახალხო მთქმელი გმობს მოღალატის საქციელს და გვაუწყებს, რომ შამილოღლის ღირსეულად დაუცავს თავი და მოღალატე მასპინძელი სიცოცხლისათვის გამოუსალმებია.

აჭარული ფირალის ეპოსის შესწავლა ცხადყოფს, რომ უცხოელ დამპყრობთა თუ ადგილობრივ რენეგატ მმართველთა მიერ ყაჩაღებად შერაცხილი ვაჟკაცები ჭეშმარიტი სახალხო გმირები იყვნენ, რომლებიც იარაღით ხელში უპირისპირდებოდნენ ყოველგავრ ბოროტებას, იცავდნენ პიროვნულ ღირსებებს, თავისი ხალხის საუკუნოვან ადათობრივ ტრადიციებს; მათ, საკუთარი ადამიანური უფლების შეგნებით გამსჭვალულებმა, ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს; მათი შენახვა მოსახლეობაში სინდისის საქმედ ითვლებოდა; სიკეთისათვის თავდაუზოგავად მებრძოლი ქართული საზღაპრო ეპოსის გმირების მსგავსად, ეგრეთწოდებულმა "გაქცეულებმა" წარუშლელი კვალი დატოვეს ხალხის მეხსიერებაში, რისთვისაც ზეპირსიტყვიერებამ განადიდა და შთამომავლობას შემოუნახა მათი უკვადავი სახელები.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

აჭ. ხ. პ., 1969: – აჭარის ხალხური პოეზია, I, თბილისი.

ახვლედიანი, 1970: – ახვლედიანი ა., აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, ბათუმი.

ახვლედიანი, 1944: – ახვლედიანი ხარ., ნარკვევები აჭარის ისტორიიდან, ბათუმი.

კლდიაშვილი, 1984: – კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი.

მარი, 2012: – მარი ნ., შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი.

ნბიფა, ს. №... – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, საქმე №№ 29, 98, 159.

ნოღაიდელი, 1977: – ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, III, ბათუმი.

შიოშვილი, 2002: – შიოშვილი თ., ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, I, ბათუმი.
ჭიჭინაძე, 1916: – ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბილისი.

Тина Шиошвили (Батуми, Грузия)

Герои аджарского «фиральского» эпоса

Резюме

Устное народное творчество Аджарии сохранило героические образцы «фиральского» эпоса. В них отражены непокорный и свободолюбивый дух и стремление к независимости жителей этого древнейшего региона Грузии.

Фиралы (абреки), которые ценой своей жизни боролись против османского ига и гнёта царизма, снискали всеобщую любовь и уважение населения и превратились в истинных героев.

ნატო ცქვიტინიძე
(ბათუმი, საქართველო)

დაბადების ადგილი – ბათუმი

იმ ცნობილ და წარმატებულ ხელოვანთა შორის, რომელსაც კარგად იცნობს საზოგადოება, არაერთი პოპულარული ადამიანია, რომელიც ბათუმშია დაბადებული. მსახიობები: სესილია თაყაიშვილი, ავთანდილ მახარაძე, ბაადურ წულაძე, იოსებ(სოსო) გოგიჩაიშვილი, რეჟისორი ზაალ კაკაბაძე, ანიმაციური ფილმების მხატვარი და რეჟისორი შადიმან ჭავჭავაძე და სხვ. მაგრამ ეს ფაქტი ბევრისთვის უცნობია. ზოგიერთი მათგანის სამოღვაწეო ასპარეზი იყო არა მარტო საქართველო, არამედ ფართოდ გასცდა მის ფარგლებს, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და აღიარება მოიპოვა.


სესილია თაყაიშვილი

სესილია თაყაიშვილი – დაიბადა 1906 წლის 17(30) სექტემბერს. მისი ოჯახი 1914 წლამდე ბათუმში ცხოვრობდა. „ოჯახის უფროსი, სესილიას მამა დიმიტრი თაყაიშვილი, იმ დროს ყველა ინტელიგენტის მსგავსად, თეატრის მოყვარული იყო, მაგრამ უპირატესად, მაინც პოეზიას ეტრფოდა. თვითონაც წერდა იუმორისტულ ლექსებს. მოსწრებული სიტყვა, ხუმრობა და მხიარულება საერთოდ ჩვეული იყო ამ ოჯახისთვის. იქნებ ამიტომაც მიუწევდათ გული ადამიანებს დიმიტრი და მარიამ თაყაიშვილებისაკენ. იმხანად ისინი ბათუმში ცხოვრობდნენ. მათი მუდმივი სტუმრები იყვნენ უახლოესი ნათესავები: ექვთიმე და ალექსანდრე თაყაიშვილები, ცეცილია, ეველინა და ალექსანდრე წუწუნავები; უახლოესი მეგობრები: შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე ყალაბეგაშვილი, დათა მგალობლიშვილი, მიხეილ გელოვანი და სხვანი.

1914 წელს თაყაიშვილების ოჯახი ბათუმიდან თბილისს გადმოსახლდა" – წერს ცნობილი ქართველი თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე თავის წიგნში "სესილია თაყაიშვილი" ***[ურუშაძე, 1988: 10].***

თეატრთან ურთიერთობა ჯერ კიდევ 7 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც ითამაშა წარმოდგენაში "ყვავილთა შორის". 1923-1926 წწ. სწავლობდა ა. ფაღავას დრამატულ სტუდიაში, რომლის დამთავრებისთანავე რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა, შემდეგ მოღვაწეობდა მარჯანიშვილის თეატრში.

უამრავი დასამახსოვრებელი სახე შექმნა: ქრისტინე (“ნინოშვილის გურია”), გვირისტინე (“კოლმეურნის ქორწინება”), ოლღა (“მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”), სიუზონი (“ფიგაროს ქორწინება”), კატარინა (“ჭირვეული ცოლის მირჯულება”) დედოფალი ელისაბედი (“მარია სტიუარტი”) და სხვ.

გამორჩეულია მისი კინოროლებიც: ვასასი (“ჩვენი ეზო”), ელისაბედი (“სხვისი შვილები”), ნუცა (“თოჯინები იცინიან”), აკვირინე (“მე ვხედავ მზეს”), ოლღა (“მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”), ბებია ვარო (“როცა აყვავდა ნუში”), ციცინო (“ნერგები”), მარადია (“ნატვრი ხე”), ასინეთა (“დათა თუთაშხია”). მისი უკანასკნელი კინოროლო იყო ბუღალტერი ფილმში “ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი”. გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, დახვეწილი სამსახიობო ტექნიკით, გარდასახვის ნიჭით. მაგრამ უკმაყოფილო იყო მის მიერ განსახირებული კინოროლებით და არ უყვარდა მათი ყურება, რადგანაც თვლიდა, რომ მეტის გაკეთება შეეძლო: “არ მიყვარს ჩემი თავი ეკრანზე, რადგან ვიცი, რაც გაკეთებულა, ვერ დააბრუნებ, ვერ გაასწორებ და არ მინდა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე, რომ შეიძლებოდა გაცილებით უკეთ მეთამაშა.”

მარადია (“ნატვრის ხე”)

ოლღა ბებია
(“მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”)

“ქართველებიდან ჩემთვის ყველაზე დიდი მსახიობი სესილია თაყაიშვილია. გაგიკვირდებათ და მან საღი კბილებიც კი დაიძრო, რომ ნამდვილ, ჩიფჩიფა ბებიას დამსგავსებოდა. წინსაფარს აიფარებდა და ჯიბეში სუნელს იყრიდა, ასე შედიოდა როლში და ამიტომაც იყო მისი ბებია ბრწყინვალე და განუმეორებელი” – აღნიშნავდა გიგა ლორთქიფანიძე ერთ-ერთ ინტერვიუში” ***[ბაბუნა შვილი, 2011: 1].***

საქართველოს სახალხო არტისტი(1950), საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი(1967), თბილისის საპატიო მოქალაქე, შ. რუსთაველის სახელობის(1983) და საქართველოს სახელმწიფო(1985) პრემიების ლაურეატი სესილია თაყაიშვილი

გარდაიცვალა 1984 წელს, დაკრძალულია საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბაადურ წულაძე – რეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი(1979) დაიბადა 1935 წ. 5 მარტს. ორი წლისა იყო, როცა მამა ციმბირში გადაასახლეს. ბაბუა მღვდელი იყო, ფოთის გიმნაზიაში ქართულს, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. დედა ბუღალტერი – ოცდაოთხი საათი მუშაობდა, რომ პატარა და-ძმა გამოეკვება. ამიტომ ბავშვები მამიდასთან იზრდებოდნენ. სკოლაში კარგად სწავლობდა, თუმცა ძალიან ცელქი იყო. მისი უმცროსი დისგან განსხვავებით, დრამატულ წრეებზე არ დადიოდა, არასოდეს უოცნებია რეჟისორობაზე ან მსახიობობაზე. სტადიონზე ბურთს თამაშობდა, კვირაობით კინოში დადიოდა. "ერთი მეზობელი გვყავდა, ჟორაია – კინომექანიკოსი. საღამოობით მასთან მივდიოდი შეგირდად. აი, მაშინ ვნახე, რაც ვნახე, მაგრამ არც მაშინ გამჩენია რეჟისორობისა და მსახიობობის სურვილი" ***[პატარაია, 2011: 2].*** მას ფილმების ყურება უფრო იზიდავდა. სწორედ ფილმებიდან ისწავლა ცეკვა. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში ფილმი "დიდი ვალსი".

სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში გაემგზავრა, ბაუმანის სახელობის უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად. საბუთების შეტანისას გაიდაიფიქრა და მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტს მიაშურა. მასთან ერთად სწავლობდნენ ოთარ იოსელიანი, გიორგი შენგელაია. მისი ეტიუდებიდან და სკეტჩებიდან თავიდანვე წარმოჩნდა მისი ნიჭიერება.

1961 წელს დაამთავრა ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ა. დოვჟენკოსა და მ. ჭიაურელის სახელოსნო).

ერთ-ერთი პირველი როლი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ითამაშა მეგობრის ფილმში. ეს იყო მიხეილ კობახიძის "ქორწილი" (1964), შემდეგ იყო "ქოლგა" (1967), "გიორგობისთვე" (1966), "ცისკრის ზარები" (1967), "სერენადა" (1968), "ფერიცვალება" (1968), "ვერის უბნის მელოდიები" (1973), "პირველი მერცხალი" (1975), "მოცურავე" (1981), "ფესვები" (1987), "თბილისი-თბილისი" (2005). 50-ზე მეტი როლი ითამაშა კინოში, დამდგმელი რეჟისორია ათამდე ფილმისა. მათ შორისაა "ფეოლა" (1970), რომელიც ბათუმშია გადაღებული.

მიღებული აქვს პრიზები რიგის სპორტული ფილმების მესამე საკავშირო ფესტივალზე (1970), დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების XIV საერთაშორისო კინოფესივალზე "კინოშოკი", ანაპის (2005) ფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზი მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში "თბილისი-თბილისი". 2015 წელს ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალზე გადაეცა

პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

ამჟამად მოღვაწეობს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში. ახალგაზრდა თაობას უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას. იშვიათად სტუმრობს ბათუმს საავტორი კინოს საერთაშორისო ფესტივალის დღეებში, სადაც ხვდება თავის ძველ ნაცნობებსა და მეზობლებს.

ზაალ კაკაბაძე

ზაალ კაკაბაძე – დაიბადა 1935 წ. 18 იანვარს. ქართულ კინოხელოვნებაში მის სახელს უკავშირდება ახალი ჟანრი კინო-ბალეტი. საქართველოს ხელოვნების დამსხურებული მოღვაწე (1988), ღირსების ორდენის კავალერი (2003), რეჟისორი, კინოდოკუმენტალისტი, 70-ზე მეტი მხატვრული, დოკუმენტური და მუსიკალური ფილმის შემქმნელი, მის ფილმებს მიღებული აქვს არაერთი პრიზი: ფილმს "მწირი" (1976) – ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალების უმაღლესი პრიზები "გრან-პრი". აღსანიშნავია, რომ ფილმი ინახება ლოს-ანჟელესისა და ლინკოლნის კულტურული ცენტრის ფილმსაცავების ოქროს ფონდში. ფილმს "პრომეთეოსი"(1984) – კიევის კინოფესტივალის პირველი პრიზი.

შექსპირის კომედიისა და კომპოზიტორ გაეტანო დონიცეტის მუსიკის მოტივებზე შექმნა ფილმი-ბალეტი "მეთორმეტე ღამე ანუ რაც გენებოთ" (1986), რომელსაც მიღებული აქვს "ARABESQUE" და "GOLDEN FLEECE-88"-ის საერთაშორისო კინოფესტივალების უმაღლესი პრიზები – "გრან-პრი", ბალეტის მესვეურების მიერ აღიარებულია "ყველა დროისა და ხალხების საუკეთესო კინო-ბალეტად"; ფილმს "ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი" (1990) – "GOLDEN FLEECE-90"-ისა და "POST-MONTREUX-92"-ის საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზები.

წერდა მემუარებს, მზად ჰქონდა გამოსაცემად მისი ცხოვრებისეული მემუარები "გასეირნება წარსულში", მაგრამ ვეღარ მოასწრო. გარდაიცვალა 2012 წლის 10 ივნისს, დაკრძალულია ბათუმში.

ავთანდილ მახარაძე – საქართველოს დამსახურებული არტისტი, ბათუმის საპატიო მოქალაქე(2013) დაიბადა 1943 წლის 16 ივლისს. 1965 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1966 წლიდან მუშაობდა რუსთაველის თეატრში. მისი ნიჭი ერთნაირად

გამოვლინდა როგორც თეატრში, ასევე კინოში. მის მიერ განსახიერებული როლებიდან მაყურებელს დაამახსოვრდა სკანდალური როლით, თემურ ჩხეიძის სპექტაკლიდან "ჯაყოს ხიზნები", თენგიზ აბულაძის ფილმში "მონანიება" შესრულებული ერთროულად ორი როლით, რომელმაც განსაკუთრებული აღიარება და წარმატება მოუტანა. 2012 წელს მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა რუსთაველის თეატრის წინ. "თუკი არსებობს ადამიანი, მსახიობი ამ სახელითა და გვარით, დღეს ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის. არიან ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ეს მსახიობი. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა თემურ ჩხეიძეს, რობერტ სტურუას და თენგიზ აბულაძეს." – აღნიშნა მსახიობმა ვარსკვლავის გახსნისას თავის გამოსვლაში. ***[www.youtube.com/watch?v=eg6i3EP6PN4]***

იოსებ (სოსო) გოგიჩაიშვილი

იოსებ (სოსო) გოგიჩაიშვილი – საქართველოს დამსახურებული არტისტი (1979), დაიბადა 1938 წლის 11 თებერვალს, 1956 წელს დაამთავრა ბათუმის მე-4 საშუალო სკოლა, 1960 წ. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1976 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია. მის მიერ განსახიერებული როლებია: ბესია, ჩეკისტი – "გრაალის მცველნი", "ისევ ვოდევილები" – მოსამართლე, "რევიზორი" – ოსიპი, "ურიელ აკოსტა" – რაბინი, "ქაქუცა ჩოლოყაშვილი" – ილია მეღვინეთუხუცესი (ნინოს მამა); არაერთი საინტერესო ეპიზოდური როლი ითამაშა ფილმებშიც: "მე, ბებია ილიკო და ილარიონი" – აგიტატორი, "გიორგობისთვე" – ბონდო, "შეხვედრა წარსულთან" – აკია, "თეთრი ბაირაღები" – ციხის ზედამხედველი და სხვ.

მსახიობი იხსენებს, რომ ნოდარ დუმბაძესთან ერთ-ერთი შეხვედრისას, ნოდარს უთქვამს: "ბევრ თეატრში დაიდგა სპექტაკლი "თეთრი ბაირაღები", ბევრი ზედამხედველის როლის შემსრულებელი მინახავს, მაგრამ ვერც ერთი ისე კარგად, რეალისტურად ვერ გამოხატავს უდანაშაულო პატიმრის განთავისუფლებით გამოწვეულ სიხარულს და იმ ადამიანურ დამოკიდებულებას მხოლოდ ერთ ფრაზაში "ნაკაშიძე ს ვეშჩამი", როგორც შენ".

შალიმან ჭავჭავაძე – ანიმაციური ფილმების მხატვარი, რეჟისორი, სცენარისტი, დაიბადა 1943 წლის 25 თებერვალს.

დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია გრაფიკის სპეციალობით. მუშაობდა წიგნების გაფორმებაზე. როგორც თავად ამბობს, შემთხვევით აღმოჩნდა ამ სფეროში. ის ქართული ანიმაციის სათავეებთან იდგა და როცა მსოფლიოს ბავშვები დისნეის მულტფილმებზე იზრდებოდნენ, ქართველი ბავშვებისთვის ქმნიდა ზღაპრულ სამყაროს.

შადიმან ჯავჯავაძე

მის მიერ შექმნილმა ფილმებმა არაერთი პრიზი მოიპოვეს: “მებაღე” (1973) – ტალინის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალის პრიზი და დიპლომი საუკეთესო დებიუტისათვის; “ილუზიონისტი და ბიჭი” (1977) – ვარნის საერთაშორისო ფესტივალის (ბულგარეთი) პრიზი და დიპლომი საუკეთესო გამოსახულებითი რიგისათვის. შექმნილი აქვს მულტფილმები უფროსებისთვისაც. მაგ. გოეთეს ნაწარმოების მიხედვით “გააცოცხლა” “წმინდა მელა”, რომელმაც განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა კანადაში.

“ანიმაციის ხიბლი იმაშია, რომ 3-4 წუთში მთელი ამბავი შეგიძლია ჩაატიო და თქვა შენი სათქმელი” – ამბობდა ის.

გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, 2014 წლის 20 მარტს.

ნოდარ შაშიკოღლი – დაიბადა 1927 წლის 13 მარტს. დედა დიასახლისი იყო, მამა – მეფის არმიის ოფიცერი, ბიძა (მამის ძმა) – 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი, ერთ-ერთი დამაარსებელი აზერბაიჯანის დრამატული თეატრისა, დეიდა ნინო ცაგურია – თბილისის ოპერის თეატრის მომღერალი.

18 წლისა მოსკოვში გაემგზავრა თეატრალურ სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად. პირველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა, მაგრამ მომდევნო წელს ჩაირიცხა შუკინის სახელობის უმაღლეს თეატრალურ სასწავლებელში, რომლის დაამთავრებისთანავე მიიწვიეს ვახტანგოვის სახელობის აკადემიურ თეატრში. ნიჭიერი მსახიობი მალე შენიშნეს და



ნოდარ შაბიკოლლი

სერგეი იუტკევიჩმა მიიწვია ეპიზოდურ როლზე თავის ფილმში "ალბანეთის სახალხო გმირი სკანდერბერგი". 1958 წელს ითამაშა ფილმში "შორეულ ნაპირებზე" ლეგენდარული პარტიზანის, მზვერავის, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი აზერბაიჯანელი გმირის, მეხტი ჰუსეინზადეს, იგივე მიხაილოს როლი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იტალიაში ერთ-ერთ პარტიზანულ რაზმში იბრძოდა.

ფილმის პრემიერა ბაქოში შედგა 1958 წ. შემდეგ ფილმი წარადგინეს ტაშკენტის ფესტივალზე, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა.

"ფილმის დასრულების შემდეგ მაყურებელმა ხელში აყვანილი მიმაცილა ავტომანქანამდე. შემდეგ ჩემთან მოდიოდნენ ადამიანები და მეუბნებოდნენ – ქედს ვიხრით თქვენს წინაშე ისეთი გმირის გაცოცხლებისთვის, როგორიც მეხტი ჰუსეინზადეა.

გმირი მზვერავის, მეხტი ჰუსეინზადეს, ზედმეტსახელად მიხაილოს როლი, იქცა ჩემს სავიზიტო ბარათად, თუმცა სხვა მნიშვნელოვანი როლებიც ვითამაშე თეატრსა თუ კინოში" – ამბობდა ერთ-ერთ ინტერვიუში მსახიობი.

არაერთი როლი აქვს ნათამაშევი თეატრში: სოფოკლე – "ანტიგონეში", გილბერტი – "მარია ტიუდორში", სორინი – ჩეხოვის "თოლიაში". იყო ლენინგრადის პუშკინის სახელობის თეატრის წამყვანი მსახიობი, 30 წელზე მეტი მოღვაწეობდა რუსეთის სხვადასხვა თეატრებში.

"სამწუხაროდ, ჩემი შესაძლებლობების მხოლოდ სანახევროდ წარმოჩენა შევძელი. გულახდილად უნდა ვაღიარო, შემოქმედებითი მოღვაწეობით მთლიანად რომ ვყოფილიყავი დაკავებული, უფრო მაღალი მწვერვალებისთვის შეიძლებოდა მიმეღწია" – ამბობდა მსახიობი ***[www.youtube.com/watch?v=JM-s-53RV9U].***

2003 წლიდან ის აზერბაიჯანის სამედ ვურგუნის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობია. მიღებული აქვს ჯილდო "აზერბაიჯანის კულტურაში შეტანილი წვლილისათვის". ის მეფე ლირის როლზე ოცნებობდა. 2005 წელს რეჟისორმა ალექსანდრე შაროვსკიმ დადგა ეს სპექტაკლი და 78 წლის ასაკში მსახიობის ოცნება ასრულდა. "ეს მწვერვალია, ახლა უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ვითამაშე ყველა როლი, რომელზეც ვოცნებობდი" – ამბობდა მსახიობი ***[www.youtube.com/watch?v=qeLXTZV8dS].*** 85 წლის ასაკამდე იდგა სცენაზე და თამაშობდა მეფე ლირს. მას "მამაკაცის როლის

საუკეთესო შესრულებისათვის" ჯილდო გადაეცა. 86 წლის ასაკში, 2013 წლის აპრილში გარდაიცვალა. იყო აზერბაიჯანის სახალხო არტისტი.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ხელოვანის მიერ განვლილი საინტერესო ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის გზა ცალ-ცალკე განხილვის საგანია. მაგრამ ყველა ერთად, ჩვენი ქალაქის, ჩვენი კუთხის ისტორიის კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია. მათ ყველაზე მთავარი, დაბადების ადგილი – ბათუმი აერთიანებთ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ბაბუნაშვილი, 2011: – ბაბუნაშვილი მ., სახეები, გაზეთი "კვირის პალიტრა", 29 ივლისი, 2011.

ლილუაშვილი, 2005: – ლილუაშვილი თ., ბაადურ წულაძე, ინტერვიუ, გაზეთი "კვირა", 29 იანვარი-5 თებერვალი, 2005.

პატარაია, 2011: – პატარაია ე., ინტერვიუ ბაადურ წულაძესთან, ჟურნალი "თბილისელები", 05 მარტი, 2011, http://tbiliselebi.ge/?mas_id=9492&rubr_id=4&jurn_id=16

ურუშაძე, 1988: – ურუშაძე ნ., "სესილია თაყაიშვილი", თბილისი.

www.youtube.com/watch?v=eg6i3EP6PN4

www.youtube.com/watch?v=JM-s-53RV9U

www.youtube.com/watch?v=qeLXTZV8dS

Nato Tskvitinidze (Batumi, Georgia)

Place of Birth – Batumi

Summary

Among famous and successful artists who are well-known for the society, there are also many popular people who come from Batumi. They are: Sesilia Takaishvili, Avtandil Makharadze, Baadur Tsuladze, Zaal Kakabadze, Ioseb (Soso) Gogichaishvili, Shadiman Chavchavadze, etc. Each life of these artists can be discussed separately, but taking them all at once makes an interesting part of the history of our city and region.

მაია ჭიჭილეიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

ძველი ბათუმის ქუჩები
(დავით კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანება)

დ. კლდიაშვილის ქუჩა ქალაქის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს. იგი ლ.ასათიანის ქუჩიდან იწყება და მთავრდება პ.მელიქიშვილის ქუჩის გადაკვეთაში, 6 მაისის პარკთან.[19] მისი განაშენიანება სამ კვარტალს მოიცავს. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობილი ეს პატარა და ვიწრო ქუჩა "ბაღის ქუჩის" სახელწოდებით იყო ცნობილი. იმ დროისათვის ახლადგაშენებული უბანი "ნურიე", სადაც ბაღის ქუჩა მდებარეობდა, გამოირჩეოდა შედარებით კარგად დაგეგმარებული რეგულირებული ქსელით, ქალაქმშენებლობის წესებს დაქვემდებარებული განაშენიანებით. ჩვენი საუკუნის 10-იანი წლებამდე დ. კლდიაშვილის ქუჩის ურბანულ სახეს განსაზღვრავდა XIX-XX სს-ის მიჯნაზე აგებული შენობები, ძირითადად "ბელეტაჟები", ძველი ბათუმისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლების მწკრივით. შენობების მოკრძალებული მასშტაბი, ზომიერი მოცულობები, ფასადებს მიღმა ან მის წინ, ეზოებში ჯერ კიდევ შემორჩენლი მწვანე საფარი ნათელს ხდის ქუჩის ადრინდელი სახელწოდების მართებულობას. XX საუკუნის შუა ხანებიდან ქუჩას დ.კლდიაშვილის სახელი ეწოდა.

დ. კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანება, საბჭოთა პერიოდში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა ძველ სახეს, თუმცა ამ ბოლო წლებში (2010-2015) ქუჩის ისტორიული ქსოვილი დაირღვა და მისთვის დამახასიათებელ ერთ ან ორსართულიაან სახლებს მრავალსართულიანი შენობები ჩაენაცვლა. აქედან გამომდინარე, დაიკარგა ძველი ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომლის ღირებულებას ქმნიდა არა გარკვეული პრეტენზიულობის მქონე საავტორო ნიმუშები, ან ეროვნული მნიშვნელობის მქონე ნაგებობები, არამედ, უმთავრესად, XX საუკუნის დასაწყისში აგებული საცხოვრებელი სახლების ანსამბლურობა, მხატვრული სისადავე, თანადროული განაშენიანების სიმყუდროვე, ჰარმონია და წარსულის ისტორიული სინამდვილე. კულტურული მემკვიდრეობის კლასიფიკაციით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, ბათუმისათვის დადგენილი ქალაქმშენებლობითი წესების მიხედვით, არ იყო დაშვებული ვიწრო ქუჩაზე მაღალსართულიანი შენობების განთავსება.

[19] ცნობილია, რომ დ. კლდიაშვილის ცხოვრების გარკვეული პერიოდი დაკავშირებული იყო ბათუმთან. იგი სამხედრო ნაწილში პოდპირუჩიკად მსახურობდა. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქვე იწყება მისი სამწერლო მოღვაწეობის გზა.

სამშენებლო საქმიანობის რეგულირების პრინციპის შესაბამისად, ქუჩის განაშენიანებას, ძირითადად, ერთსართულიანი ბელეტაჟების რიგი ქმნიდა, შედარებით მაღალი, ორსართულიანი სახლები კი განთავსებული იყო გადამკვეთი ქუჩის კუთხეებში (ვაჟა ფშაველას ქუჩა), რადგან განიერი ქუჩა მაღალი შენობების აგების საშუალებას იძლეოდა. ამდენად, რუსეთის იმპერიის პერიოდში, ქუჩების განაშენიანების მასშტაბი, შენობების სიმაღლე განსაზღვრული იყო ბათუმისათვის დადგენილი რეგულირების წესებით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა სივრცისა და შენობების მოცულობების ჰარმონიულ თანაფარდობას.

ამჟამად დ. კლდიაშვილის ქუჩის მემკვიდრეობით ღირებულებას ქმნის ნაწილობრივ შემორჩენილი XX საუკუნის დასაწყისის ფონური განაშენიანება, რომელშიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი გააჩნია მხოლოდ დ.კლდიაშვილის №6 მდებარე საცხოვრებელ სახლს. მაღალი სარდაფის სართულზე მდგარი ბელეტაჟი, წაგრძელებული ფასადით, მიმართულია ქუჩისაკენ. სადარბაზოში შესასვლელი მოწყობილია შენობის მარცხენა ნაწილში, რომლის ორივე მხარეს ასიმეტრიულად გაჭრილია ფანჯრები. ფასადის დეკორს ქმნის კარ-სარკმლების რიტმი, კედლის რუსტიკის იმიტაცია, გლუვი და ხორკლიანი სიბრტყეების მონაცვლეობა, კბილანებიანი კარნიზი, ლითონის წინფრა, კარსა და კედლებზე დატანილი შვეულ ისრებიანი წრეების მოტივი, რომელიც შედარებით ხშირად XX საუკუნის დასაწყისის გვიანი მოდერნის შენობებზე გვხვდება. ფასადის გადაწყვეტა კლასიციზმისა და გვიანი მოდერნის სტილის ელემენტებს ემყარება. ნაგებობა გამოირჩევა დახვეწილი ფორმებით, ეკლექტური ელემენტების ლოგიკური, ესთეტიკური შერწმითა და გამომსახველობით (სურ.1).

დ. კლდიაშვილის ქუჩის თანადროული პერიოდის სხვა ნაგებობებს, რომლებიც ქმნიან გასული საუკუნის დასაწყისის ისტორიულ ურბანულ ქსოვილს (№№ 4, 8, 10, 1, 5), ნაწილობრივ აქვთ შენარჩუნებული პირვანდელი მოცულობები და ავთენტური ფასადები.

დ.კლდიაშვილის №8-ში მდებარე ნაგებობის ფასადი რიტმულად იყოფა მარცხენა კუთხეში გაჭრილი მაღალი კარით და ხუთი ფანჯრით. რუსტიკის იმიტაციის კედლებზე გამოიყოფა სწორკუთხა გლუვზედაპირიანი სიბრტყეები, ფანჯრის საპირეები, ნაძერწ კრონშტეინებზე დამყარებული სანდრიკები, ვიწრო პროფილირებული სარტყელი, კბილანებიანი და ფართო გლუვზედაპირიანი კარნიზი, ტრიგლიფების, ჰორიზონტალური მონაკვეთების მოტივებით შემკული პარაპეტი. შენობას თავდაპირველად ქუჩისა და ეზოს მხარეს გააჩნდა ხის „მეზონინი“,

რომელიც დღეს უსახურადაა შემოსილი,[20] თუმცა ეს ცვლილებები არ აკნინებს ნაგებობის მხატვრულ ღირებულებას, რადგან სტანდარტული ელემენტების ზომიერი გამოყენება გარკვეულ ინდივიდუალიზმს ანიჭებს ნაგებობას. იგი ძველი ბათუმის ურბანული განაშენიანების უდაოდ საინტერესო ნიმუშია (სურ. 2).

დ.კლდიაშვილის ქ. №4-ში მდებარე შენობა წარმოადგენს ბათუმისათვის სახასიათო საცხოვრებელი სახლის ტიპს – „ბელეტაჟს“. მისი შელესილი ფასადი გადაწყვეტილია კლასიცისტურ სტილში. ცოკოლის დონეზე მცირე ზომის სარდაფის სარკმლებია, ფასადის სიბრტყე სწორკუთხა მოყვანილობის ფანჯრებითაა დანაწევრებული. შუა ნაწილში განთავსებულია სადარბაზოში შესასვლელი კარი ლითონის აჟურული წინფრით. ფანჯრებს პროფილირებული საპირე, ნაძერწი სწორკუთხედები, ტრიგლიფებისა და „მარაოს“ მოტივებით შემკული სადრიკები ამკობს. ფასადს ასრულებს პროფილირებული კარნიზი. შენობა XIX ს-ის დასასრულისათვის დამახასიათებელი კლასიცისტური სტილის ნიშნების მატარებელია, თავისი მოკრძალებული გაბარიტებით, მხატვრული გადაწყვეტით შესანიშნავად ეწერება ქუჩის განაშენიანებაში. იგი წარმოადგენს კვარტლის ამ მონაკვეთში განთავსებული თანადროული ნაგებობების ერთ-ერთ განუყოფელ რგოლს და განსაზღვრავს ურბანული ქსოვილის ერთიან ისტორიულ კონტექსტს.

დ.კლდიაშვილის ქ. №1-ში მდებარე ნაგებობა წარმოადგენს კუთხის ბელეტაჟს, რომლის ფასადები მიმართულია ვაჟა-ფშაველასა და დ. კლდიაშვილის ქუჩების მხარეს (სურ.3). აგურის კედლები დანაწევრებულია ფართო სწორკუთხა ფანჯრებითა და სადარბაზო შესასვლელებით, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მხარეს არსებული შენობის ფასადი ავთენტური სახითაა მოღწეული, ნაგებობის კუთხე და კლდიაშვილის მხარე განახლებულია. თუმცა, შელესილი სარტყელი და საპირეები, აგურის განახლება, კარის ჭრილები, არ არღვევს პირვანდელ რიტმს, არ აუგებს კუთხეში დადგმული შემინული ნახევარსართულიც. აგურის ჰორიზონტალური და ირიბი წყობა, ფერი, შვერილი სანდრიკები, პროფილირებული კარნიზი, ჰოტიზონტალური მონაკვეთების გამმიჯნავი სარტყელი კლასიცისტური სტილის ელემენტებს ემყარება.[21] მიუხედავად განახლებისა, შენობის დღევანდელი სახე მეტ-ნაკლებად ინარჩუნებს ნაგებობის მხატვრულ გადაწყვეტას,

[20] „მეზონინი“ ეზოს მხარეს ორნაწილიანი უნდა იყოს, მისი პირვანდელი სტრუქტრა ძნელი დასადგენია.

[21] ფასადის ზედაპირი განახლებულია, რის შედეგად აგურის კედლებს დაკარგული აქვს სიძველის ფაქტურა – მოყავისფრო იერი და მოწითალო-ტერაკოტისფერი ტონისაა. განახლების შედეგია გლუვი, შელესილი სარტყელები, ღია ფერით შეღებილი ფანჯრის საპირეები. შენობაში ამჟამად გახსნილია კაფე, იგი არის ძველი საცხოვრებელი სახლის ადაპტაციის ნიმუში ბათუმში.

მოცულობას, პროპორციებს, მასალის გამომსახველობას, მშენებლობის ხარისხს. ბელატაჟი ორგანულად ერწყმის ქუჩის ამ მონაკვეთში წარმოდგენილ თანადროულ შენობებს და ქმნის ბათუმის ისტორიული უბნის ადგილის სულს. ასეთივე მხატვრული გადაწყვეტის მქონე ბელეტაჟი მდებარეობს ნაგებობის მოპირდაპირე მხარეს კლდიაშვილის ქ. №2-ში, რომლსაც უხეში, თვითნებური რეკონსტრუქციის შედეგად დაკარგული აქვს ავთენტურობა.

დ.კლდიაშვილის ქ. №5-ში გაერთიანებულია ორი ბელეტაჟი, რომელთა ფასადებს განსხვავებული მხატვრული გადაწყვეტა ახასიათებს (სურ.4). მარცხენა შენობის ფასადს ახასიათებს სადა გადაწყვეტა – გლუვი და ხორკლიანი სიბრტყეების ფაქტურა, რუსტიკის იმიტაცია, შვეული ისრებისა და რომბების მოტივები, კბილანებიანი კარნიზი – დეტალები, რომლებიც უმეტესად გვხვდება XX ს-ის დასაწყისის სახლების ფასადებზე. დეკორის ასეთივე ელემენტები დასტურდება მოპირდაპირე მხარეს მდებარე ძეგლის სტატუსის მქონე შენობაზე (№6), რაც ერთი არქიტექტორის ხელწერას მოწმობს. გვერდითა ნაგებობა, რომლის მხოლოდ მარცხენა ნაწილია გადარჩენილი, კლასიცისტურ-ბაროკული სტილის დეტალებითაა შემკული. მის დეკორს ქმნის სწორკუთხა და მშვილდა სარკმლები, მცენარეული ფრიზი, წვრილდეკორიანი საპირეები საჭექი ქვის იმიტაციით. ამდენად, განსხვავებული მხატვრული სტილის ელემენტებით შემკული ფასადები ადასტურებს სტილთა ეკლექტურობას და მრავალფეროვნებას XIX-XX საუკუნის მიჯნის ბათუმის არქიტექტურაში.

დ.კლდიაშვილისა და ვ.ფშაველას ქუჩების გადაკვეთაში (№10) დგას კუთხის ორსართულიანი სახლი. შესასვლელები მოწყობილია შენობის კუთხეებში. ვაჟა ფშაველას ქუჩიდან გაჭრილ კარს აქვს ლითონის წინფრა. შენობის ერთი ფრთა ეზოს საღრმეშია განვითარებული, მისი მდგომარეობა მძიმეა.[22] აგურის ფასადების დეკორში ძირითადად რენესანსული სტილის ელემენტებია გამოყენებული: რიტმულად განთავსებული სწორკუთხა ფანჯრები, რუსტიკის გამომხატველი ღრმა ზოლები,

[22] პირველი სართული სახეცვლილია გვიანი გადაკეთებებით, მეორე სართულის შუშაბანდები მიმართულია ეზოს მხარეს, რომელიც ქუჩისაგან ქვის ცოკოლზე აღმართული ლითონის ცხაურებიანი ღობით გამოიყოფა. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მხრიდან – ეზოს სიღრმეში დგას სამსართულიანი ძველი სახლი, რომელიც აგურის შენობის თანადროული უნდა იყოს, ისიც XIX-XX სს-ის მიჯნით შეიძლება დათარიღდეს. სამსართულიანი შენობის ფასადი მკაცრი კლასიცისტური დეკორით ხასიათდება, თუმცა მისი სამშენებლო ხარისხი ჩამოუვარდება დ.კლდიაშვილისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთაში მდებარე აგურის სახლს. კლდიაშვილის ქუჩის მხარეს არსებული აივნები გვიან უნდა იყოს მიშენებული.

შესასვლელებსა და ფანჯრებს ქვემოთ განთავსებული ჩაღრმავებული სწორკუთხა სიბრტყეები, ფანჯრის რელიეფური საპირეები და საჭექი ქვებით შემკული სანდრიკები. მეორე სართულის ფანჯრებს ამკობს შვერილი, მარტივი პროფილის საპირეები, მშვილდა და ფრონტონისებური სანდრიკები, ვიწრო ლილვი. ფასადს ასრულებს სამსაფეხურიანი „კბილანებიანი“ კრონშტეინები და შვერილი კარნიზი. ფასადის ცენტრი აქცენტირებულია სამნაწილიანი თაღოვანი პარაპეტით. ვაჟა-ფშაველსა და დ.კლდიაშვილის ქუჩების მხარეს შენობას გააჩნია ლითონის მოჯირებიანი აივნები. შენობის ფასადები ხასიათდება მასალის შეგრძნებით, ფორმისა და ფერის გამომსახველობით. ღია მოთეთრო-მოყავისფრო და მოწითალო-მოვარდისფრო აგურის წერსიერი წყობა, ჩაღრმავებული და რელიფური დეტალები გამომსახველობას ანიჭებს ფასადებს. იგი წარმოადგენს ბათუმში დღემდე შემორჩენილი აგურით ნაგები შენობების ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს. მასშტაბით, სტილით, პროპორციებითა და საშემსრულებლო ოსტატობით ნაგებობა წარმოადგენს ვაჟა-ფშაველსა და დ.კლდიაშვილის ქუჩების კუთხეში (№10/9) მდებარე ისტორიული შენობების გაუწყვეტელ რგოლს, ბათუმის ურბანული განაშენიანების ერთ-ერთ მიმზიდველ ნიმუშს, რომლის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ურბანისტული მემკიდრეობის დაცვის თვალსაზრისით (სურ. 5).

ამდენად, ზემოთ აღნიშნული შენობების მხატვრული თავისებურებები მოწმობს, რომ დ.კლდიაშვილის ქუჩის პირველი კვარტალი წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ავთენტურ ურბანულ ქსოვილს, რომელსაც ახასიათებს ძველი ბათუმისათვის ტიპური ზომიერი მასშტაბი, განაშენიანების კამერულობა, სამშენებლო მასალის მრავალფეროვნება, მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტის ეკლექტურობა. სამწუხაროდ, ქუჩის დანარჩენ მონაკვეთებში ეს თავისებურება დაკარგულია.

არქიტექტურული თვალსაზრისით, გამორჩეულია დ.კლდიაშვილისა და პ.მელიქიშვილის ქუჩების გადაკვეთაში (დ.კლდიაშვილის №27) მდებარე რთული კონფიგურაციის შენობა კუთხის მომრგვალებული რიზალიტით და პორტიკით პ.მელიქიშვილის ქუჩის მხრიდან. ნაგებობა ორგანულად იწერება ქუჩების გადაკვეთაში და თავისი მომრგვალებული ნაწილის შვერილი ქვის აივნით, რომელიც ორნამენტულ ბურთულებს და მძლავრ კრონშტეინებს ეყრდნობა, პლასტიკურ აქცენტს ქმნის სივრცეში. ფასადის უხვად შემკული მეორე სართულის თაღოვნი ღიობები, მათი სადა პროფილის მქონე საპირეები, საჭექი ქვები, ფასადის ზედა ნაწილის თევზის ფხის იმიტაცია, აივნის ბალიასინები, გვერდითა მონაკვეთების მცირე აივნები, კბილანებიანი კარნიზი და რიზალიტის შპილიანი გუმბათი, რომლის ზედაპირი, ასევე, თევზის ქერცლის მსგავსად არის დამუშავებული, გარკვეულ ინდივიდუალურობასა და

პომპეზურობას სძენს ნაგებობას. ექსტერიერის მხატვრული მთლიანობის წყალობით, შეუმჩნეველი ხდება ის, რომ შენობის მეორე სართული დაშენებულია. ნაგებობის დღევანდელი სახე გასული საუკუნის პირველ ნახევარში განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგია. XIX–XX სს-ის მიჯნაზე აგებული შენობის აბრისი განსაზღვრავს მეორე სართულის ფასადის სტრუქტურას, აივნით შემოფარგლული ერკერის დომინანტურ მნიშვნელობას, რომელიც, თავის მხრივ, თევზის ფხის ფაქტურის შპილიანი გუმბთითაა აქცენტირებული. მეორე სართულის მოხდენილი პროპორციები, ზომიერად გამოყენებული დეკორი ჰარმონიულად ერწყმის პირვანდელ ნაგებობას და სტალინური პერიოდის ნიმუშებისათვის დამახასიათებელ კაზმულობას ანიჭებს მას. შენობა თავისი განსაკუთრებული გადაწყვეტითა და მასშტაბურობით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქუჩების გეგმარებასა და მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში (სურ. 6).[23]

გარდა გადამკვეთი ქუჩების კუთხეებში განთავსებული ორსართულიანი შენობებისა, დ.კლდიაშვილის ქუჩის ძირითად განაშენიანებას შეადგენდა ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები, როგორც ქუჩისაკენ მიმართული ფასადებით, ასევე, ეზოს ბაღით. ამათგან თავდაპირველი, კლასიცისტური დეკორით ხასიათდება №№25, 34 „ბელეტაჟები“.

დ.კლდიაშვილის ქუჩის ისტორიული განაშენიანების ნაწილს დაკარგული აქვს ავთენტურობა, მაგალითად, ასეთია კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი კურდონერით №3 და საცხოვრებელი სახლი №32.

ამდენად, დ.კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანების ღირებულებას შეადგენს: XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განვითარებული ურბანული ქსოვილი, ზომიერი მასშტაბი, არქიტექტურისა და სივრცის ჰარმონიული მიმართება, ე.წ. „ბელეტაჟის“ ტიპის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლების მჭიდრო, მიჯრითი წყობა, განაშენიანების მეტ-ნაკლებად თანაბარი რიტმი, სამშენებლო მასალისა და ფასადების მხატვრულ-სტილისტური მრავალფეროვნება, ურბანული ქსოვილის ფონური მნიშვნელობა და ჯერ კიდევ შემორჩენილი ავთენტურობა.

ამ ბოლო წლებში, ცუდი ფიზიკური მდგომარეობის საბაბით, ლიკვიდირებულ იქნა XIX-XX სს-ის მიჯნის შენობები, რომლებიც ქმნიდნენ ისტორიული ურბანული ქსოვილის ფონს და წარმოადგენდნენ მის ერთ-ერთ განუწყვეტელ რგოლს (№№14, 16). შევნიშნავთ, რომ დ. კლდიაშვილის ქ. №14-ში მდებარე შენობა, ფასადის სტურქტურისა და დეკორის ხასიათით, №6-ში მდებარე,

[23] შენობის რეკონსტრუქციის შესახებ ინფორმაციისათვის მადლობას ვუხდი ხელოვნებათმცოდნე მ. იზორიას. დ. კლდიაშვილის ქუჩის მხრიდან მიდგმული უსახური ნაწილი გასული საუკუნის 70-იან წლებში უნდა იყოს აგებული.

ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლის ანალოგიური იყო, რაც ერთ სამშენებლო პერიოდსა და ხელწერაზე მიუთითებს. თუმცა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არქონის გამო, იგი ახალმშენებლობებს შეეწირა. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ვაჟა-ფშაველსა და 26 მაისის ქუჩებს შორისი მონაკვეთი, სადაც ძველ ნაგებობებს ჩაენაცვლა ამ სივრცისათვის მიუღებელი მრავალსართულიანი, მასშტაბური, დიდი მოცულობის შენობები. ქალაქმშენებლობის ძველი წესების იგნორირება, 7-8 სართულიანი სახლების მჭიდრო წყობა, ძველი და ახალი განაშენიანების მკვეთრი კონტრასტი, უსახური ფორმების დინამიკა განაპირობებს არქიტექტურული ქაოსის განცდას.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 70-80-იანი წლების უსახურმა შენობებმა და ამ ბოლო წლებში მიმდინარე უსისტემო მშენებლობებმა, მნიშვნელოვნად გაანადგურა ქუჩის პირველქმნილი ურბანული ქსოვილი, მოსპო ქალაქის ერთი მიმზიდველი ნაწილი, დაუკარგა უბანს კამერულობისა და ჰარმონიის განცდა. ქალაქმა კიდევ ერთხელ დაკარგა შესაძლებლობა თაობებისათვის გადაეცა თავისი ისტორია, დაეცვა ავთენტური განაშენიანების სიმყუდროვე, შეენარჩუნებინა "ადგილის სული". მძიმე სოციალური ფონი, მენაშენეთა ინტერესები, რესტავრაცია-ადაპტაციის პრინციპების იგნორირება, ქუჩის ჯერ კიდევ შემორჩენილი, ისტორიული განაშენიანების განადგურების რეალურ საფრთხეს ქმნის.

Maia Chichileishvili (Batumi, Georgia)

Old Batumi Streets
(Davit Kldiashvili Street Development)

Summary

The following can be considered as the cultural heritage values of Davit Kldiashvili Street development: urban tissue developed at the turn of XIX-XX centuries, moderate scale, harmonious correlation of architecture and space, dense and consecutive structure of one-storied houses of the so called *"bel étage*" of *piano nobile* type, more or less equal rhythm of development, artistic and stylistic diversity of building materials and façade, background importance of urban tissue and still preserved authenticity.

Regretfully, the unattractive buildings of the 1970-80s as well as recently conducted irregular constructions have considerably destroyed the original urban tissue, demolished one of the most attractive parts of the city, deprived the district of its intimacy and harmony. The heavy social background, interests of builders and ignoring the restoration-adaptation principles comprise the real danger of destruction for the so far preserved historical parts.

ილუსტრაციები

სურ. 1. *დ. კლდიაშვილის ქ. № 6*

სურ. 2. *დ. კლდიაშვილის ქ. № 8*

სურ. 3. ***დ. კლდიაშვილის ქ. № 1***

სურ. 4. ***კლდიაშვილის ქ. № 5***

სურ. 5. *დ. კლდიაშვილის ქ. № 10*

სურ. 6. *დ. კლდიაშვილის ქ. № 27*

მაია აზმაიფარაშვილი
(გორი, საქართველო)

მსოფლიო ტურიზმის განვითარების ტენდენციები და საქართველო

საერთაშორისო ტურიზმი XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგად მიიჩნევა. მან მოიცვა ჩვენი ყოფაცხოვრების თითქმის ყველა სფერო და რეალურად შეცვალა გარემომცველი სამყარო. საერთაშორისო ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის საკმაოდ რენტაბელური დარგი, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. მსოფლიო ტურიზმი მეტად მნიშვნელოვანი სოციალურ ეკონომიკური მოვლენაა, რომლის გავლენაც განუწყვეტლივ იზრდება როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე საზოგადოებაში მთლიანად. მსოფლიო ექსპორტში ტურიზმს უჭირავს მესამე ადგილი ნავთობისა და ავტომობილების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების შემდეგ. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWT) მონაცემებით, 2020 წლისათვის ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოში მილიარდ 600 მილიონს მიაღწევს, ხოლო დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა კი ამ დროისათვის 8 მილიარდი იქნება ***[http://www.unwto.org]***.

ავსტრიელი ექსპერტები თვლიან, რომ „ტურისტული სიმძლავრეების გაფართოება დასაშვებია მხოლოდ იქ, სადაც სავალდებულო ძალა აქვს რეგიონულ დაგეგმვას და სადაც ნებისმიერი პროექტი ერთვება ეკონომიკური განვითარების საერთო გეგმაში“. ამგვარი მიდგომა ნიშნავს საპროექტო აზროვნების შეცვლას კონცეპტუალური აზროვნებით. ამასთან ერთად, იმისათვის, რომ ტურიზმმა ეკონომიკური მოგება მოუტანოს რაიონს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და ამავე დროს თავისი ბუნებით უნდა იყოს მზოგავი. ტურიზმის ერთ-ერთი არსებითი სარგებელი, მისი კონცეფტუალური განვითარების შემთხვევაში, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვის სუბსიდირება ***[კვარაცხელია, 2010: 185]***.

საქართველოში პრიორიტეტულად გამოცხადებული ტურიზმის სექტორის განვითარება მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ინტეგრირების გარეშე წარმოუდგენელია, რაც საერთაშორისო ტურიზმის თავისებურებების თეორიულ შესწავლას მეტად აქტუალურს ხდის. ტურიზმის თემისადმი მიძღვნილი კონფერენციები უდავოდ დიდ როლს შეასრულებს როგორც ტურიზმის თეორიული ასპექტების, ისე მსოფლიო

პრაქტიკული გამოცდილების შესწავლის საქმეში. მოცემულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საერთაშორისო ტურიზმის ზოგიერთ თავისებურებასა და განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე, რადგან მსოფლიო ტურისტული ბაზრის განვითარების შესწავლა ის წანამძღვარია, რომლის გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია.

ლიტერატურული წყაროებით ცნობილია ტურიზმის შემდეგი ტიპოლოგია: შიდა, შემომყვანი, გამყვანი, ეროვნული, საერთაშორისო ტურიზმი. ამ ტიპებიდან საქართველოში თითქმის ყველა ფუნქციონირებს. მათი მნიშვნელობის გამო წინამდებარე გამოკვლევაში აქცენტს გადავიტანთ: საერთაშორისო და შიდა ტურიზმზე. საერთაშორისო ტურიზმი, თავის მხრივ, მოიცავს შემომყვან და გამყვან ტურიზმს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით განსაკუთრებული აქცენტი სწორედ საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთ მიმართულებაზე, შემომყვან ტურიზმზე კეთდება. ეს მოტივირებულია იმ გარემოებით, რომ უცხოელი რეზიდენტებისაგან შემოსავლების მიღება, გადასახადების აკრეფა და სხვა საკითხები ამ სექტორში შედარებით ადვილად რეგულირდება, მაშინ როდესაც გამყვანი ტურიზმის სექტორში, ამ თვალსაზრისით სრულიად უკონტროლო სიტუაციაა.

საქართველოში შესანიშნავი პირობებია შექმნილი საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისათვის. მისი კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს მთიან და შავი ზღვისპირა რაიონებში. ზოგიერთი მათგანი გამოირჩევა ჯანსაღი კლიმატით, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით. ბევრგან კარგად არის შემონახული ქართველი ხალხის უძველესი კულტურა, ტრადიციები, საინტერესო არქეოლოგიური და დიდებული არქიტექტურული ძეგლები. ჩვენს ქვეყანაში არის სამკურნალო მინერალური წყლებით მდიდარი ადგილებიც. ზოგან კი ყველა ეს ღირსშესანიშნაობა ერთად არის თავმოყრილი, ეს ყოველივე საქართველოს უქმნის ტურისტულ სამყაროში დამკვიდრების საშუალებას. დღეს საქართველო ახალ ტურისტულ მიმართულებას წარმოადგენს მსოფლიოში, რომელიც მდიდარი ტურისტული პოტენციალით სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. დიდი ბრიტანეთის ცნობილი ტურისტული მეგზური "Rough Guide" საქართველოს 2014 წლის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სამოგზაურო ქვეყნად ასახელებს *[ქათამაძე, 2013: 45]*.

ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის სტრატეგიულ მიზანს უნდა წარმოადგენდეს უცხოელი ტურისტების მომწოდებელი (დონორი) ბაზრების დივერსიფიკაცია (ალტერნატიული ბაზრების მოძიება). ამისათვის საჭიროა საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა სააგენტომ და კერძო ტურისტულმა კომპანიებმა გამართონ ფართო მასშტაბიანი

კამპანია ევროპის ქვეყნებში. მათ უნდა გაზარდონ ქვეყნის ცნობადობა, რადგანაც ამ ბაზრებზე არსებობს ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესი და შესაბამისად – მოთხოვნა საქართველოს სხვადასხვა ტურ-პროდუქტზე. პროგნოზი „5 მილიონი ტურისტი 2015 წელს" მხოლოდ მაშინ იქნება რეალური, თუ ტურისტული ინფრასტრუქტურა და სასტუმროების ბიზნესი კიდევ უფრო განვითარდება. საჭიროა დაიხვეწოს სერვისის ხარისხიც. ქვეყანაში არის მოთხოვნა დაბალბიუჯეტიან სასტუმროებზე. აუცილებელია აშენდეს ორ და სამ ვარსკვლავიანი სასტუმროები, რადგანაც ტურიზმის სფეროში მოღვაწე ექსპერტების მიერ ტურისტული მოთხოვნების კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების თანახმად ტურისტების მხრიდან სწორედ ამ ტიპის განთავსების საშუალებებზე არის მოთხოვნა. საქართველოს ყველა რეგიონი პრიორიტეტული და პოპულარულია. თუმცა, თუ ვიმსჯელებთ დღესდღეობით ტურისტების რაოდენობის მიხედვით, უდაოდ გამოიკვეთება თბილისის და ბათუმის მონახულების მაჩვენებელიც. ვიზიტების თვალსაზრისით, ასევე პოპულარულია – ქობულეთი, ურეკი, ქუთაისი, მცხეთა, გორი, ბორჯომი, ლაგოდეხი, მესტია, უშგული და სიღნაღი *[შენგელია, 2011: 45].*

საქართველოში ეროვნული სააგენტო ახდენს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული და გასული ტურისტების რაოდენობის, ვიზიტის ხანგრძლივობის, გაწეული დანახარჯების შესახებ მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციის მიერ 2015 წლების განმავლობაში შემოსული და გასული ტურისტების რაოდენობის, ვიზიტის ხანგრძლივობისა შესახებ არსებული დინამიკის ანალიზი.

საქართველომ 2015 წლის მეორე კვარტალში 1 345 937 საერთაშორისო მოგზაური მიიღო, რაც 8%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ექვსი თვის ჯამური მონაცემებით საქართველოს 2 332 303 უცხოელი ეწვია, ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 3%-ია საერთაშორისო მოგზაურების უდიდესი წილი მეზობელ ქვეყნებზე მოდის. მნიშვნელოვანი ტენდენციებია: თურქეთი განაგრძობს ლიდერობას საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობით. მეორე კვარტალში თურქი ვიზიტორების რიცხვმა 343 397 (-8%) შეადგინა. ხოლო ექვსი თვის ჯამურმა მაჩვენებელმა კი 605 153 (-9%). მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით რაოდენობრივი ზრდა სომხეთიდან +53030 (+20%), რუსეთიდან +49457 (+29%), და აზერბაიჯანიდან +29110 (+11%)-ს შეადგენდა. პირდაპირი ავიარეისის გახსნამ არაბთა გაერთიანებული საემიროების მიმართულებით და ამ ქვეყანაში განხორციელებულმა მარკეტინგულმა აქტივობებმა გამოიწვია უპრეცენდენტოდ დიდი რაოდენობის მოგზაურების შემოდინება. მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება ბელარუსიდანაც (+2010, +51%), ექვსი თვის მონაცემით ბელარუსიდან მოგზაურთა რაოდენობა +2 759 ვიზიტორით გაიზარდა (+47%). რაც შეეხება ევროკავშირის

ქვეყნებს, შემოსული მოგზაურების რაოდენობამ მეორე კვარტალში 63 443 შეადგინა, ხოლო ექვსი თვის მონაცემებით კი 94 797, ევროპელი მოგზაურების წილი მეორე კვარტლის მთლიან რაოდენობაში 5%-ია ***[www.gnta.ge].***

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის იანვარ-აგვისტოს მონაცემებით, ვიზიტორთა ნაკადის მიხედვით, 20 ყველაზე დიდი დენადობის მქონე ქვეყნიდან (პირველი ხუთეულის შემდეგ) ჩამოსულ ვიზიტორთა რაოდენობაში ცვლილებაა. ახალი სავიზო პოლიტიკის გამო ირანმა დაკარგა პოზიციები და მეექვსე ადგილიდან მე-10 ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო ერაყი და ჩინეთი საერთოდ აღარ ხვდებიან ტოპ 15 ქვეყანაშიც. მათი ადგილი ლიტვამ და ბელარუსმა დაიკავა. მონაცემები შემდეგია: ისრაელიდან ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 38009 (29%), პოლონეთიდან – 30184 (-10%), ყაზახეთიდან – 27012 (36%), გერმანიიდან – 25737 (12%), აშშ – 21227 (10%), ბელორუსიიდან – 20641 (54%), ირანიდან – 15294 (-65%), საბერძნეთიდან – 13356 (-12%), არაბ.გაერ.საე. – 12418 (766%), დიდი ბრიტანეთიდან – 12081 (10%), საფრანგეთიდან – 10276 (1%), ლიტვადან – 8665 (21%), იტალიიდან – 8173 (10%).

5 ყველაზე დიდი დენადობის და ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა საერთო რაოდენობა და შედარებითი % მაჩვენებელი (აგვისტო 2008 – 2015 წწ)

	2008 წ	2009 წ	2010 წ	2011 წ	2012 წ	2013 წ	2014 წ	2015 წ
სომხეთი	-16,3%	83,2%	54,9%	15,8%	38,1%	27,4%	-12,1%	24,7%
აზერბაიჯანი	7,9%	66,4%	11,4%	52,2%	38,7%	22,2%	29%	8,3%
თურქეთი	12,5%	34%	26,2%	28,2%	151%	26%	-4,9%	-10%
რუსეთი	-15,2%	50,2%	45,6%	101%	115%	44,5%	-6,9%	23%
სხვა	-24,5%	49,3%	51,8%	79,7%	50,9%	26,6%	-8,9%	17%
ევრო-კავშირის ქვეყნები	-23%	32,5%	31,7%	25,7%	25,7%	24,4%	12,4%	2%
უკრაინა	-16%	58,1%	33,6%	29,4%	39,2%	59,4%	22,9%	5,6%

[http://police.ge]

საქართველოსა და მთელი შავიზღვისპირეთში ექსპერტები ბათუმს ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მომავლის მქონე ქალაქად მიიჩნევენ. ადგილმდებარეობა, ბუნებრივი კლიმატი და ეკონომიკური პოტენციალი, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან იზიდავდა მსოფლიოს გავლენიან და საქმიან ადამიანებს, თუმცა ბოლო წლებში ბათუმის მომგებიანი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და ტურისტული პერსპექტივა განსაკუთრებით

გამოიკვეთა, რაც უპირველესად ეფექტური მართვისა და მენეჯმენტის დამსახურების წყალობით მოხერხდა. ბათუმი უკვე იქცა საქართველოს მეორე ცენტრალურ ქალაქად. განხორციელებული რეაბილიტაციის პროგრამის შედეგად სწრაფად განვითარდა ინფრასტრუქტურა. ბათუმი უკვე შემოდგომა-ზამთრის სეზონზეც პოპულარული გახდა. აქ ვითარდება თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, რაც მისი პოპულარობის ზრდას უწყობს ხელს.

ბათუმი მშვენიერია. ქალაქი უკვე მოექცა საერთაშორისო ტურისტების ინტერესების ქვეშ. ბათუმი შეიძლება განვითარდეს საერთაშორისო ტურიზმის ცენტრად საქართველოში. იგი მზადაა მიიღოს ასეულობით ათასი უცხოელი ტურისტი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ განუვითარებელია ქალაქის 3/4 ნაწილის – მთისძირის მიმდებარე ტერიტორიის ტურისტული ინფრასტრუქტურა, რის გამოც ვერ ხორციელდება აქტიური ტურისტულ-მარკეტინგული კამპანია დასავლეთის ტურისტულ ბაზარზე. ამიტომ ჯერ-ჯერობით მას შეუძლია მასობრივად მიიღოს მხოლოდ უკრაინის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ტურისტები. ბათუმი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის დასავლურ სტანდარტებს, რის გამოც იგი ვერ იზიდავს ამერიკის, ევროკავშირისა და იაპონიის მკაცრი პრეტენზიების მქონე ტურისტებს. ბათუმის საზღვაო კურორტი კონკურენციას ვერ უწევს თურქეთის საკურორტო ზონებს, რომელთა ტურისტული პაკეტის ღირებულება გაცილებით უფრო დაბალია, ხარისხი კი – მაღალი. ამდენად, ჩვენი ქვეყნის რეგიონთა ტურისტული პოტენციალი ახლო პერიოდშიც მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტების მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული.

აჭარის ტურიზმის დეპატრამენტის სტატისტიკური მონაცემებით, ივლისის თვე ტურისტთა რაოდენობის ზრდით მიმდინარე წელს ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებელს აღწევს. აჭარის მასშტაბით რეგისტრირებული განთავსების ობიექტების მონაცემების მიხედვით ივლისის თვეში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.8 %-იანი ზრდა დაფიქსირდა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ წარმოებული სტატისტიკის მიხედვით, განთავსების ობიექტებში 2015 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში გასულ წელთან შედარებით ტურისტების 3,40%-იანი ზრდა შეინიშნება. ივლისის თვეში 6,10%-იანი ზრდა დაფიქსირდა ასევე აჭარაში არსებულ სასაზღვრო პუნქტებში, კერძოდ სარფის საბაჟოს, აეროპორტსა და ბათუმის პორტში. სასაზღვრო მონაცემების მიხედვით 9,16%-ითაა გაზრდილი უცხოელი ტურისტების, ხოლო 3%-ით საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა. რაც შეეხება ქვეყნის მასშტაბით არსებულ მონაცემებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით,

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 737 ათასზე მეტმა უცხოელმა გადმოკვეთა, რაც წინა წლის მონაცემებს 9,5 პროცენტით აღემატება. საქართველოში დასასვენებლად კი 336 ათასზე მეტი ტურისტი ჩამოვიდა, რაც 2014 წელთან შედარებით 2,2% პროცენტით მეტია ***[http://www.adjara.gov.ge]***.

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სამოგზაურო გზამკვლევი "LONELY PLANET" ერთ-ერთ ბოლო გამოცემას შავი ზღვის აუზის ტურისტულ დანიშნულებებს უთმობს. გზამკვლევში თურქეთის ღირშესანიშნაობებთან ერთად საქართველოს ზღვისპირა მხარე – ბათუმი და მისი ტურისტული ღირშესანიშნაობებია შეყვანილი.

ბრიუსელში, ბელგიელი და უცხოელი ჟურნალისტების ასოციაციის იანვრის პერიოდულ გამოცემაში აჭარის შესახებ სტატია დაიბეჭდა. სტატიის ავტორია ჟან-პიერ ლამბო, ვალონიის (ბელგია) ტურიზმის მთავარი კომისარი, რომელიც ბათუმში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მოწვევით იმყოფებოდა. ტურიზმის ბელგიელი ექსპერტი მოიხიბლა აჭარის ტურისტული პოტენციალით, მშენებლობების მასშტაბით, ღირშესანიშნაოებების მრავალფეროვნებით. ლამბო გაეცნო ასევე სოფლად ტურიზმის არსებულ პოტენციალს. ვალონიის ტურიზმის კომისარიატსა და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტს შორის ოფიციალური თანამშრომლობა ქვეყნის ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გახდა შესაძლებელი. სამომავლოდ, ბელგიური გამოცდილების გაზიარების მიზნით, იგეგმება სხვადასხვა საინტერესო პროექტის განხორციელება. როგორც ჟან-პიერ ლამბო აღნიშნავს, გაოცებული ვარ ქალაქის ძველ და ახალ ნაწილს შორის არსებული კონტრასტით: ერთის მხრივ დიდი, საკმაოდ ორიგინალური შენობები, მეორე მხრივ შესაშური ურბანული დაგეგმარებით აშენებული დაბალი სახლები, სადაც პარალელური ქუჩები პერპენდიკულარულად კვეთს სხვა პარალელურ ქუჩებს. ძველი ქალაქის განათებას ვერაფერს დაუწუნებ, საკმაოდ მომხიბვლელად გამოიყურება. შესანიშნავია ასევე პლაჟის გასწვრივ მდებარე ძალიან ფართო პრომენადი, სადაც პრესტიჟული შენობები და სასტუმროები ერთმანეთის მიყოლებითაა განლაგებული. ბათუმის ზღვისპირა ბულვარის მშვენიერებაზე ჯერ კიდევ ჩემთვის ძვირფასი ჟორჟ ბუიონი წერდა, რომელიც დიდ მოგზაურად ითვლება და რომელსაც ეკუთვნის წიგნი სათაურით „ოქროს საწმისის ქვეყანაში“. საქართველოთი მოხიბლული ბუიონი ბათუმის ბულვარის ნახვის შთაბეჭდილებას შემდეგნაირად აღწერს: „ფართო პლაჟების გასწვრივ იშლება შესანიშნავი ბულვარი... სკვერების და ყვავილების სიმრავლე თვალს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს“ ***[http://gobatumi.com]***.

საქართველოს ტურისტული პოტენციალი ეჭვს არ იწვევს, თუმცა მისი მხოლოდ მცირე ნაწილია ათვისებული. მისი მაქსიმალური ამუშავებისათვის პირველ რიგში აუცილებელია იმ

შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ტურიზმის ინტენსიურ და ექსტენსიურ განვითარებას აფერხებენ. ამ ფაქტორთა ნაწილი ობიექტურად ქვეყნის ზეგავლენის გარეთაა, მაგრამ შესაძლებელია მათი მინიმიზაციაც. დანარჩენი პრობლემების გამოსწორება კი მთლიანად ქვეყნის ძალისხმევაზეა დამოკიდებული. შემაფერხებელი ფაქტორებიდან საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული შეუსაბამობა ტურისტულ პოტენციალთან. ნებისმიერი ტურისტისათვის უმთავრესია დასვენების დროს საკუთარი მოლოდინების დაკმაყოფილება. ინტერნეტის გლობალური ქსელების არსებობის პირობებში ინფორმაციის გაცვლა შეუზღუდავია და ადამიანები ძირითადად არა სასტუმროს ოფიციალურ სარეკლამო ინფორმაციას ეცნობიან, არამედ ამ სასტუმროში ნამყოფი სტუმრების შთაბეჭდილებებს. ზემოაღნიშნული პრობლემა თავის მხრივ, უფრო დიდ სისტემურ პრობლემას განაპირობებს -სერვისების სტანდარტიზაციის საკითხს (სასტუმროების, რესტორნების და ა.შ. საერთაშორისო ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობა, სერტიფიცირება). ბაზარი თავისთავად არეგულირებს კონკურენტულ გარემოში მოთამაშეთა საკითხს, მაგრამ თავიდანვე დადებითი იმიჯის მოსაპოვებლად აუცილებელია თამაშის წესების დადგენა და ამ წესების დაცვა. მსოფლიო ტურიზმის ევროპულ სექტორში ფასების კლების ტენდენცია შეინიშნება, საქართველოში კი კვლავ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება მაღალი ფასები ტურისტული პაკეტის ორ მნიშვნელოვან კომპონენტზე – სასტუმროსა და ავიაბილეთებზე. ძვირია სასტუმროს მომსახურებაც. მსოფლიო სპეციალისტები ქართული სასტუმროს მეპატრონეებს ურჩევენ, ფასები საერთაშორისო ბაზრის მიხედვით დასწიონ და მინიმალურ მოგებაზე იმუშაონ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოში ყველა მოგების სწრაფად ნახვას ცდილობს. ეს კი არასწორია.

დღეს ძირითადი აქცენტი გადატანილია უცხოეთიდან ტურისტების მოზიდვაზე, თუმცა შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოდან საზღვარგარეთ დასასვენებლად წასული ჩვენი მოქალაქეების რიცხვი არანაკლებია. თავისთავად სხვადასხვა ქვეყნების და საინტერესო ადგილების მონახულება ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ამასაც სათანადო ხელშეწყობა სჭირდება და სწორი ორგანიზების შემთხვევაში ჩვენი მოქალაქეებიც გარანტირებული იქნებიან ხარისხიანი მომსახურებით, უსაფრთხოებით და სახელმწიფოც გარკვეულ სარგებელს ნახავს. პრობლემა დღეისათვის ისაა, რომ საკმაო რაოდენობით დამსვენებელი უცხოეთში (ძირითადად ახლო უცხოეთში - თურქეთი, ბულგარეთი და ა.შ.) მხოლოდ იმიტომ მიემგზავრება დასასვენებლად, რომ უფრო იაფად მიიღოს უკეთესი ხარისხის მომსახურება, ვიდრე ეს საქართველოშია შესაძლებელი ანუ რეალურად საქართველოდან ფინანსური რესურსები მხოლოდ

იმიტომ გაედინება, რომ არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ საკუთარი მოქალაქეები კონკურენტული, მაღალხარისხიანი ტურისტული მომსახურებით. ცხადია ზოგადად მდგომარეობის გაუმჯობესება ტურისტულ ბიზნესში ხელს შეუწყობს ამ თანხების ისევ საქართველოში დარჩენას. საქართველოში ტურიზმის განვითარების კონკრეტული სახეობებისა და მთლიანად დარგის პერსპექტიული განვითარებისათვის აუცილებელია გარკვეული ზოგადი ცვლილებებისა და ღონისძიებების გატარება, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტებია: საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო პოლიტიკა, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ფინანსური უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის გაზრდა, მომსახურების ხარისხი და მართვის საინფორმაციო სისტემები.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ქათამაძე დ., 2013: – ქათამაძე დ., საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი.

კვარაცხელია ნ., 2010: – კვარაცხელია ნ., კულტურული ტურიზმი, თბილისი.

შენგელია თ., 2011: – შენგელია თ., საქართველოს ტურიზმის როლი საერთაშორისო ბიზნესში, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, შრომების კრებული, ბათუმი.

http://www.unwto.org
http://www.adjara.gov.ge/branches/defa
http://gobatumi.com
http://georgia.travel.ge

Maia Azmaiparashvili (Gori, Georgia)

Georgia and the Tendencies of the World Tourism Development

Summary

The development of tourism sector which is declared as priority in Georgia, without integration on the world tourism market is unfeasible, which creates the actual international tourism market is unfeasible, which creates the actual international tourism originality of the theoretical study. The conference of tourism carries out a big role as a aspects of theoretical tourism as study of practical world experience. In labor, the focus is on some of feature and development of modern trends in international tourism. That's way study of the world tourism development is a premise, without which, the progress of the international tourism strategy and realization is impossible.

გიული გიგუაშვილი
(გორი, საქართველო)

ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების თავისებურებანი

მსოფლიო ეკონომიკაში ტურისტული ბიზნესის წილი განუხრელად იზრდება. ტურიზმი წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის რენტაბელურ სფეროს, სადაც დასაქმებულია დედამიწაზე არსებული სამუშაო ძალის 60%. ტურისტული ბიზნესის აღორძინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ მოითხოვს ტურიზმის ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას, სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას და გონივრული კანონმდებლობის დანერგვას.

სახელმწიფო ტურისტული პოლიტიკა არის მეთოდების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დარგის სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ, კულტურულ, საგარეო-პოლიტიკურ და სხვა ხასიათის ღონისძიებების რეგულირებას სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების მხრიდან. ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმის შემუშავებაა, რომელიც მხარს დაუჭერს დარგის აღორძინება-განვითარებას *[ერქომაიშვილი, 2013: 56]*.

საერთაშორისო დონეზე ტურიზმთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება ხდება კონვენციების, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების საფუძველზე. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ტურიზმის განვითარების შესახებ საერთაშორისო საზოგადოებამ მიიღო ჰელსინკის შეთანხმებით, რომელიც 1975 წლის 1 აგვისტოს იქნა ხელმოწერილი. გაეროსთან დაფუძნებულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (World Tourist Organization-WTO), რომელიც დაარსდა 1975 წლის 2 იანვარს და დღეისათვის ყველაზე ცნობილი და აღიარებულია ტურისტულ სამყაროში. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე 1985 წელს მიღებულ იქნა ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი, რომელიც აღიარეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა. მოგვიანებით, საქართველოს პარლამენტმა 1994 წლის 27 იანვარს მიიღო დადგენილება მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიისა და ტურისტის კოდექსის აღიარების შესახებ *[ქარუმიძე, 2001: 20]*.

1999 წლის 1 ოქტომბერს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ იქნა "ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი". ეს დოკუმენტი ემყარება ამჟამად

მოქმედი კოდექსების იდეებს და აყალიბებს მსოფლიო ტურიზმის მდგრადი განვითარების ორიენტირებს *[მეტრეველი, 2008: 211].*

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს ტურიზმის მარეგულირებელი ნაციონალური კანონები, რომლებშიც განსაზღვრულია განვითარების ძირითადი კონცეფციები და პრინციპები. ტურიზმის განვითარების პოლიტიკის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს დარგის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაცია. ტურიზმის პოლიტიკა თანხვედრაში უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კონცეფციასთან და უნდა იყოს თანმიმდევრული და პრიორიტეტებზე ორიენტირებული, რაც უნდა განისაზღვროს მოკლევადიან და გრძელვადიანი სტრატეგიით. კანონი, რომელიც დღეს საქართველოში მოქმედებს, მიღებულია 1997 წელს და იგი ცალკეული სპეციალისტების განმარტებით, არ ადგენს არანაირ სტანდარტებს და რეგულაციებს ტურიზმის სექტორში.

რაც შეეხება საქართველოში ტურიზმის დარგის ინსტიტუციურ მოწყობას და საკანონმდებლო ბაზას, ტურიზმის დარგის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებია: 1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც ევალება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება; 2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, რომლის მიზნები და ამოცანებია: საქართველოში ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე, ქვეყანაში მაღალი საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა; საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვა და შიდა ტურიზმის განვითარება, ტურისტული ადგილების, ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის სფეროში ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება ტურიზმის დარგის განვითარებისათვის ლიბერალურ პოლიტიკას წარმართავს, ტურიზმის ინდუსტრია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ქვეყანაში ამ დარგის განვითარებას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს: კერძოდ, კონფლიქტური ზონების არსებობა; მაღალი საბანკო განაკვეთები კრედიტებზე, საგადასახადო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ხარვეზები; მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა მაინც არ არის ქვეყანაში სათანადო ინფრასტრუქტურა; დაბალია სერვისის ხარისხი; შეუსაბამოდ მაღალია ფასები, რაც ხელს უშლის ტურიზმის განვითარებას; არ არსებობს მოწესრიგებული სტატისტიკური აღრიცხვა; როგორც სტატიის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო მარეგულირებელი კანონმდებლობა და ტურიზმის განვითარების სტრატეგია. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მსოფლიო ბანკის ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერით 2014 წლის დეკემბერში ეროვნული ტურიზმის სტრატეგიაზე მუშაობა ოფიციალურად დაიწყო ***[საქართველოს ეკონომიკისა და .., 2014].***

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებაზე გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სავიზო პოლიტიკა. 2005-2014 წლებში სავიზო ლიბერალიზაციის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვნად იმატა ტურისტულმა ნაკადებმა, რამაც ხელი შეუწყო სექტორის სწრაფ ზრდას. კერძოდ: საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების ზრდის დინამიკა, UNWTO World Tourism Barometer-ის მიხედვით, აღიარებულ იქნა ევროპაში ყველაზე მაღალ მაჩვენებლად: 2009 წელი – 1,500,049 ვიზიტორი; 2010 წელი – 2,031,717 ვიზიტორი, 2011 წელი – 2,822,363 ვიზიტორი, 2012 წელი – 4,428,221 ვიზიტორი, 2013 წელი – 5,392,303 ვიზიტორი. 2013 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში ტურიზმის მაჩვენებელმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და დასახელდა ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტულ მიმართულებად საქართველოს ეკონომიკაში ***[ახალი სავიზო.., 2014].***

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში "უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" ახალი კანონი შევიდა ძალაში – საქართველოში შეცვლილი საიმიგრაციო წესები ამოქმედდა. ცვლილებებმა ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად გაამკაცრდა. ცვლილებების აუცილებლობა, ძირითადად, ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის დიალოგის ფარგლებში არსებული ვალდებულებებით აიხსნა. 2014 წელს საქართველოს მთავრობის ახალი სავიზო პოლიტიკის შედეგად შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლის მოქალაქეებსაც შეეძლოთ უვიზოდ შემოსულიყვნენ საქართველოში, მათ შორის ირანიდან და ერაყიდან, გაუქმდა ვიზის საზღვარზე აღების შესაძლებლობა 70 ქვეყნის მოქალაქეებისათვის, მათ შორის ჩინეთის, ინდოეთის, ავღანეთისა და სხვა ქვეყნებისთვის. გართულდა გრძელვადიანი ვიზის მიღების პროცედურა, საქართველოს ვიზის მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს საკონსულოში, საკონსულო კი ყველა ქვეყანაში არ არის. სავიზო შეზღუდვების დაწესებამ მნიშვნელოვანად შეაფერხა სექტორის განვითარება. მოსალოდნელი შედეგი ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობამ 5 493 492-ს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით მხოლოდ 1.88%-იანი ზრდაა ***[ახალი ამბები.., 2015].***

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, 2015 წლის

პირველ სამ თვეში საქართველოში შემოსული უცხოელების რაოდენობა 2.4 პროცენტით შემცირდა, ანუ 24 ათასი ვიზიტორით ნაკლები შემოვიდა, ვიდრე 2014 წელს. ვიზიტორთა რაოდენობა შემცირდა თურქეთიდან – 10 პროცენტით, რუსეთიდან – 4 პროცენტით, უკრაინიდან – 12 პროცენტით და სხვა ქვეყნებიდან – 8 პროცენტით. ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ აზერბაიჯანიდან (6 პროცენტით) და სომხეთიდან (ერთ პროცენტზე ოდნავ მეტით) *[საქართველოში.., 2015].*

2013 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა საქართველოს მშპ-ის 6.5% შეადგინა (3 მილიარდი ლარი); 2014 წლის მონაცემებით კი შემოსავლებმა საერთაშორისო ტურიზმიდან მხოლოდ 2,4 მილიარდი ლარი შეადგინა და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (3 მილიარდი ლარი) 0,6 მილიარდი ლარით ჩამორჩა.

ამერიკაში, ტეხასის შტატში, დალასის და ბექსლის უნივერსიტეტებში (Cox School of Business, Southern Methodist University; Capital University) ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო დაედგინათ, რა ზეგავლენას ახდენს ვიზის მოთხოვნების გამკაცრება ტურისტულ აქტივობაზე. მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით მათ შეიმუშავეს უცხოელი ვიზიტორებისთვის მოგზაურობის სიმარტივის ინდექსი (EOTF – Ease of travel for inbound foreign visitors) და მისი ურთიერთქმედება სავიზო ბარიერებთან მიმართებით. EOTF ინდექსი ქვეყნებს აფასებს 0-100-ქულიანი სისტემით; რაც უფრო ნაკლები სავიზო ბარიერები აქვს ქვეყანას, მით უფრო მაღალი ქულები ეწერება მას შეფასებისას. მაგალითად, აშშ-ს EOTF ინდექსში 20-ქულიანი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ მას მსოფლიოს 20%-მდე ქვეყანასთან აქვს მარტივი ან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი, ხოლო დანარჩენ 80%-თან აქვს სავიზო რეჟიმი. კვლევის საფუძველზე, ავტორების გამოთვლით, ქვეყნის მიერ EOTF ცვლადის 2%-ით გაზრდა, რაც საშუალოდ 3 ქვეყანასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას გულისხმობს, იწვევს ტურისტული ნაკადის საშუალოდ 5%-ით ზრდას ერთი ქვეყნისთვის; ეს კი უდრის 90 000-მდე ვიზიტორს. სავიზო ლიბერალიზაცია ტურიზმის ზრდას იწვევს იმ შემთხვევაშიც, თუ ქვეყანა უვიზო რეჟიმის დაწესებასთან ერთად მნიშვნელოვნად ამკაცრებს სასაზღვრო კონტროლს. სწორედ ამიტომ ქვეყნები ტურისტული აქტივობის გაზრდისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების ინსტრუმენტებს მიმართავენ. EOTF მაჩვენებლის კლება კი იწვევს უკუპროპორციულ ეფექტს. კერძოდ, ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის მოსახლეობისთვის სავიზო რეჟიმის შემოღება განაპირობებს მეორე ქვეყნიდან პირველში ტურისტების ნაკადის 33%-ით შემცირებას ყოველწლიურად. ზემოაღნიშნული კვლევის მეთოდიკას თუ საქართველოს რეალობის შესაფასებლად გამოვიყენებთ, 2014 წლის სექტემბრამდე საქართველოს EOTF

ინდექსით შეფასება შეიძლება 100 ქულით განვსაზღვროთ, ვინაიდან 121 ქვეყანა სარგებლობდა უვიზო რეჟიმით, ხოლო დანარჩენი 70 ქვეყანა გამარტივებული პროცედურებით საქართველოს საზღვარზე იღებდა ვიზას. ახალი სავიზო პოლიტიკით კი საქართველოს EOTF მაჩვენებელი არის 49 ქულა. საქართველოში უცხოელი ვიზიტორებისთვის მოგზაურობის სიმარტივის მაჩვენებლის 51%-ით შემცირება აუცილებლად გამოიწვევს უარყოფით ეფექტს. კერძოდ, 2013 წლის მონაცემებით იმ ქვეყნების ვიზიტორების რაოდენობა, რომელთანაც აღდგა სავიზო რეჟიმი და გაუქმდა ვიზის საზღვარზე მიღების შესაძლებლობა, შეადგენს 300 000-მდე ადამიანს. შესაბამისად, ამ სეგმენტიდან საქართველოში ტურისტული ნაკადი შემცირდება 100 000-მდე ვიზიტორით ყოველწლიურად ***[ახალი სავიზო.., 2014].***

საქართველოსთვის, ტურისტულ სექტორში შექმნილი პრობლემები ყველაზე მწვავედ ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსზე აისახა. აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურება ლარმა 2014 ნოემბრიდან დაიწყო, რასაც ექსპერტები და პოლიტიკოსები ექსპორტ-იმპორტის დისბალანსს, ფულადი გზავნილების შემცირებას და ტურიზმის სტატისტიკაში მომხდარ ცვლილებებს უკავშირებენ. გამომდინარე იქიდან, რომ ტურიზმი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების მნიშვნელოვანი წყაროა, ტურისტების რაოდენობის არასაკმარისი ზრდა, როგორც წესი ამცირებს უცხოურ სავალუტო ნაკადს და უარყოფითად აისახება სავალუტო კურსზე. შეაჩერებს თუ არა ლარის მცურავ კურსს ტურისტული სეზონი, შეუძლია თუ არა ტურიზმს ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა, შემოვა თუ არა ქვეყანაში იმდენი ტურისტი, რომ მათ მიერ გაწეულმა ხარჯებმა ეკონომიკური პროცესები შეცვალოს, ან საერთოდ, რამდენი ტურისტი უნდა შემოვიდეს, რომ რეალურად შესამჩნევი შედეგი მივიღოთ? – ეს კითხვები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენს ქვეყანაში.

სასტუმროები და ტურიზმის სფეროში დასაქმებული კომპანიები, მათ შორის ბათუმელები იმედით ელოდნენ ზაფხულს. წინასწარი პროგნოზი ასეთი იყო – ზაფხულში ტურისტების რაოდენობა მოიმატებს, თუმცა რამდენით? – ამ კითხვას პასუხი მოგვიანებით გაეცემა. არსებული სავიზო რეჟიმის პირობებში, შესაძლოა უცხოელი ტურისტების ნაკადი გასულ წელთან შედარებით არ გაიზარდოს, ხოლო ლარის მერყევი კურსის პირობებში არ არის გამორიცხული შიდა ტურისტების რაოდენობაც შემცირდეს. როგორც გაზეთი "ბათუმელები" წერს: 2015 წლის ზამთარი-გაზაფხული საშუალო და მცირე ზომის სასტუმროებისათვის განსაკუთრებით კრიზისული აღმოჩნდა. სასტუმროებში, რომელთაც მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვთ, ამბობენ, რომ ბოლო წლების მანძილზე ეს ყველაზე რთული წელია – ზოგიერთ სასტუმროში თანამშრომლებიც კი შეამცირეს ან უფასო შვებულებაში გაუშვეს.

"ბათუმელები" 40-მდე სასტუმროს დაუკავშირდა ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, სიღნაღსა და თელავში. ყველგან ტენდენცია იყო საერთო: გასულ წლებში ამავე პერიოდთან (ზამთარი-გაზაფხული) შედარებით უცხოელი ტურისტების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. ვიზიტორების კლებაზე საუბრობენ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ტურისტების რაოდენობის კლებას სპეციალისტები ძირითადად ტურიზმისადმი არასწორ მიდგომას, გამკაცრებულ სავიზო რეგულაციებს და მეზობელ ქვეყნებში დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას უკავშირებენ *[ქვაჭაძე, 2015]*.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი რეგიონის ტურიზმის სტატისტიკას აქვეყნებს, რომელიც აჭარის მასშტაბით რეგისტრირებული განთავსების ობიექტების მონაცემებს ეყრდნობა. სტატისტიკის მიხედვით, განთავსების ობიექტებში 2015 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში გასულ წელთან შედარებით 2,02%-იანი ზრდა დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სამიზნე ქვეყნებში არსებული არასახარბიელო სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, ივნისის თვის მაჩვენებლები არა თუ შენარჩუნდა, არამედ მცირედი ზრდაც (0,44 %) დაფიქსირდა. 2015 წლის ივნისის თვის მონაცემებით საქართველოს 496 758 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,3 %-ია. საერთაშორისო ვიზიტორების ზრდა დაფიქსირდა 6 თვის მონაცემებითაც. საერთაშორისო ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 2 332 303 შეადგინა, ზრდამ კი 3.5%. ზრდის კუთხით გამოირჩევა ბელორუსი (+47%), ყაზახეთი (+32%), ლიტვა (+27%), გაერთიანებული სამეფო (+22%) და გერმანია (+18%). აქვე აღსანიშნავია ზრდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან (+12%).

ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, ბათუმს გასულ წელს 380-ათასამდე ტურისტი სტუმრობდა. ამ მონაცემებში მხოლოდ იმ ტურისტების მაჩვენებელია, რომლებიც სასტუმროებში გაჩერდნენ. დეპარტამენტს კერძო სექტორიდან მონაცემები არ აქვს.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი ჩოგოვაძის შეფასებით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას მკვეთრად ჩამოყალიბებული სტრატეგია გააჩნია. „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია განაგრძობს ტურიზმის მცირე ინფრასტრუქტურის განვითარებას, საქართველოს ცნობადობის ამაღლებას მსოფლიოში, მარკეტინგული აქტივობების იმპლემენტაციას, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ბაზრებზე, ტურისტული პროდუქტების განვითარებას და სერვისის ხარისხის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა ტრენინგების ორგანიზებას.“ მისი განცხადებით, ტურიზმის ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობა უკვე სრულდება. სტრატეგია მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს,

როგორიცაა მარკეტინგი, ტურისტული პროდუქტები, ტურიზმის პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა და სხვა. სტრატეგია განსაზღვრავს სექტორის ხედვის 2025 წლამდე და 5 წლიან სამოქმედო გეგმას *[საქართველოში.., 2015]*.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ორჯერ უნდა გაიზარდოს ვიზიტორებისა და ტურისტების რაოდენობა დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შედარებით მდიდარი ბაზრებიდან, ხოლო თითოეული ვიზიტორის მიერ დახარჯული თანხა 320 აშშ დოლარიდან 365 აშშ დოლარამდე უნდა გაიზარდოს.

ახალი სტრატეგიით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2025 წლამდე საქართველოში ტურისტების რაოდენობის ზრდას 3,3 მილიონიდან 8,4 მილიონამდე პროგნოზირებს. თუ ქვეყანაში ამ რაოდენობის ტურისტი შემოვა, ადმინისტრაციის გათვლებით ტურიზმის სექტორში დასაქმების რაოდებობა 180 ათასიდან 270 ათასმდე, ხოლო ინვესტიციების მოცულობა 183 მილონი ლარიდან 874 მილიონამდე გაიზრდება.

დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ საქართველოში 2002 წლიდან ყველა ტურისტულ ბიზნესზე ლიცენზირება არის მოხსნილი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და ზოგადად საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია ტურისტულ ინფრასტრუქტურაში საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებით. ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს სამი ტურისტული ზონა: ქობულეთში, ანაკლიასა და განმუხურში. აღნიშნული ზონები სასტუმროს ბიზნესში ინვესტირებით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მთელ რიგ შეღავათებს, თავისუფალ ტურისტულ ზონებში ინვესტორი თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადისაგან 15 წლის ვადით კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ინვესტორი ასევე თავისუფლდება მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან. ინვესტორს შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად. გარდა ამისა საქართველოს საპარტნიორო ფონდთან თანამშრომლობით შესაძლებელია ინვესტიციების განხორციელება ტურისტულ სექტორში. ფონდი კერძო ინვესტორებს სთავაზობს თანადაფინასებას და თანამონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბიუჯეტში ტურიზმში ინვესტიციები 18 მილიონ ლარს შეადგენს და აქედან რვა მილიონი ლარი დაიხარჯება საზაფხულო მარკეტინგულ კამპანიებზე, ხოლო დანარჩენი ახალი ბაზრების მოძიებასა და „საკონფერენციო ტურიზმის“ განვითარებაზე.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ქვეყანაში ინკლუზიური ტურიზმის განვითარება დაიწყო. ინკლუზიური ტურიზმის საპილოტე პროექტი, აღმოსავლეთ საქართველოში კერძოდ კი კახეთის სამ რეგიონში სიღნაღში, თელავსა და ყვარელში განხორციელდა. განსაკუთრებული მზადყოფნით ინკლუზიური ტურიზმის კუთხით გამოირჩევა თბილისი და ბათუმი *[ჩოგოვაძე.., 2015]*.

გამკაცრებული სავიზო რეგულაციების გამარტივების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა ჯერ 2014 წლის 14 ნოემბერს, მოგვიანებით კი 2015 წლის 8 მაისს მიიღო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. ახალი რეგულაციით შესაძლებელი ხდება ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოში უვიზოდ დარჩენის ვადის გაზრდა არსებული 90 დღიდან 360 დღემდე. სავიზო პოლიტიკის სრულყოფისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა შედეგი გამოიღო: 2015 წლის მაისის თვეში საქართველოს 454 545 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია, ზრდა 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 14,7 %-ია. რაც შეეხება 2015 წლის ხუთი თვის მონაცემებს, საქართველოს 1 835 545 საერთაშორისო ვიზიტორი ეწვია. ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 2%-ია *[საქართველოს ტურიზმის.., 2015]*.

მთავრობა კმაყოფილია მიღებული შედეგებით – საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის სხდომაზე განაცხადა, რომ "საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ, 2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის აპრილის ჩათვლით, 13 500 000 კაცი შეადგინა, ანუ 2,5 წელიწადში ჩვენ მივიღეთ იმაზე უკეთესი შედეგი, ვიდრე იყო განვლილი 7 წლის განმავლობაში. მთავრობა 2015 წელს აქტიურ ტურისტულ სეზონს ელოდება.

ვფიქრობთ, საქართველოში ტურიზმის განვითარების უმთავრეს პირობას წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფა, ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა საზოგადოების, მთავრობის, უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების კოორდინირებული მოქმედება; საჭიროა დაიწყოს მუშაობა ტურიზმის ახალ კანონზე, დროულად დასრულდეს "ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია-2025". საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით, სახემწიფო პოლიტიკა სწორედ ტურისტების რაოდენობის და მათი დანახარჯების ზრდაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

ერქომაიშვილი, 2013: – ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, თბილისი.

ქარუმიძე, 2001: – ქარუმიძე ვ., საქართველოს ტურიზმისა და სპორტის სამართალი, თბილისი.

მეტრეველი, 2008: – მეტრეველი მ., ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები, თბილისი.

საქართველოს ეკონომიკისა და.., 2014: – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო- http://www.economy.ge/ge/media/news/saqartvelos-mtavroba-da-msoflio-banki-quoterovnuli-turizmis-ganvitarebis-strategia-2025quot-s-seimusavebs

ახალი სავიზო.., 2014: – ახალი სავიზო პოლიტიკა და ტურიზმზე ასახული შედეგები, http://commersant.ge/old1/?lang=1&menuid=94&id=17466

ახალი ამბები.., 2015: – ახალი ამბები საქართველოდან, http://www.civil.ge/geo/article.php?id=29009

საქართველოში.., 2015: – საქართველოში შემოსული უცხოელების რაოდენობა 2.4%-ით შემცირდა, http://www.commersant.ge/?m=5&news_id=21104&cat_id=5

კვაჭაძე, 2015: – კვაჭაძე ნანა, „სახელმწიფო პოლიტიკა ტურიზმის წინააღმდეგ“, გაზეთი "ბათუმელები", 10.03.2015, http://www.netgazeti.ge/GE/105/business/42256/

ჩოგოვაძე.., 2015: – ჩოგოვაძე გიორგი, “ეს დოკუმენტი წარმოადგენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების სტრატეგიას”, http://www.ttimes.ge/archives/43286

საქართველოს ტურიზმის.., 2015: – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, http://gnta.ge/

Giuli Giguashvili (Gori, Georgia)

Features of Formation of State Policy on Tourism Development

Summery

Tourism development is necessary to create effective public policies, which is compatible with the concept of the country's economic development, be consistent and focused priorities.

Tourism development in the country is necessary, society, government and foreign and local investors coordinated action; needed to complete the "National Tourism Development Strategy -2025".

Of the level of economic development State policy is mainly an increase in number of tourists and their spending should be focused on, to promote the country's rapid economic development and improving the welfare of the population.

პაატა გიორგაძე (თბილისი, საქართველო)
ზაურ ციხელაშვილი (თბილისი, საქართველო)
ნოდარ ჩხეიძე (ბათუმი, საქართველო)
გივი ჭიჭინაძე (თბილისი, საქართველო)

საქართველოს მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის მარაგების ეფექტური გამოყენების შესახებ – რეალობად ქცეული ქართული ეკონომიკური სასწაული

პლანეტა დედამიწაზე განუხრელად იზრდება ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის – წყლის როლი, როგორც სოფლის მეურნეობის, წარმოების, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის დარგებში, აგრეთვე რეკრეაციულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ სფეროში. წყალი მონაწილეობს ყველა ბიოლოგიურ პროცესში და დღემდე შეუცვლელ, მარადიულ წიაღისეულად რჩება ადამიანის ცხოვრებასა და ზოგადად, კაცობრიობის არსებობა-განვითარებაში.

წყლის რესურსები წარმოადგენს გამოსაყენებლად ვარგის წყალს, რომელშიც იგულისხმება პრაქტიკულად ჰიდროსფეროს ყველა წყალი – მდინარეები, ტბები, არხები, წყალსაცავები, ზღვები და ოკანეები, მიწისქვეშა წყლები და მყინვარები, ნიადაგის ტენი და ატმოსფეროს წყლის ორთქლი.

დედამიწაზე წყლის საერთო მარაგი აღწევს 1500 მლნ. კუბ.კმ-ს. წყალი იმყოფება მუდმივ წრებრუნვაში და თვისობრივად განაწილებულია ჰიდროსფეროს სხვადასხვა ნაწილებში. ამით ხასიათდება ჰიდროსფეროს განმასხვავებელი თვისება სხვა სასარგებლო წიაღისეულებთან შედარებით. ამასთან ყოველწლიურად მიმოქცევაში მონაწილეობს მხოლოდ 500 ათ. კუბ. კმ. წყალი *[4-12].*

ამ მახასიათებლების მიუხედავად, ისმის ზოგადსაკაცობრიო, მეტად მტკივნეული კითხვა წყალზე მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე. პასუხი ცალსახა და მარტივია: დედამიწის არეალში არსებული მიწისქვეშა წყლის რესურსები რეგიონალურად არათანაბრადაა გადანაწილებული. ეს წყლები მიწის წიაღში განთავსებულია გარკვეული მარაგების სახით, იგი ან ზედმეტად ჭარბადაა ან ძალიან მცირეა, ამასთან ან ძალიან დაბინძურებულია, ან ძვირია.

წყლის მარაგის სამომავლო პრობლემა იმაშიც მდგომარეობს, რომ სიტუაცია მიმდინარე გლობალურ ცვლილებებთან ერთად უარესდება, რაც არა მხოლოდ კლიმატური კატაკლიზმებით, არამედ ადამიანის ზემოქმედებითაც არის განპირობებული. წყლის რესურსების უკმარისობის საშიშროებას კიდევ უფრო ამძაფრებს მდინარეების, ტბების და ზღვების წყლების მზარდი დაბინძურება.

წინასწარი გათვლებით დადგენილია, რომ მტკნარ წყალზე მოთხოვნილება კატასტროფულად იზრდება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს უკვე ისედაც შეზღუდული წყლის რესურსების უძვირფასეს ნედლეულად გადაქცევას და მისი დეფიციტი ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად შეიძლება იქცეს.

გამომდინარე აქედან, ადამიანის წინაშე დგება ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების გონივრული გადაჭრის აუცილებლობა, როგორიცაა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა არ უნდა იყოს შემოფარგლული მხოლოდ ხარისხიანი წყლის მოცულობის გადანაწილებით, არამედ ის უნდა ემსახურებოდეს საბოლოო მიზნის მიღწევას – ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას, რაც მრავალი დარგის სპეციალისტების ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების შედეგადაა შესაძლებელი.

დედამიწის 2/3 დაფარულია წყლით, მტკნარი წყლის უკმარისობის პრობლემა მოსახლეობას არ უნდა აღელვებდეს, მაგრამ მთლიანი მოსახლეობის 80 პროცენტი უახლოეს მომავალში ხარისხიანი წყლის გარეშე დარჩება! სწორედ ასეთი შემზარავი დასკვნა გამოიტანეს სამიოდე წლის წინ ნიუ-იორკის და მიჩიგანის შტატის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების სპეციალისტებმა, რომლებიც ჩატარებული მასშტაბური კვლევითი სამუშაოების შემდეგ ფიქრობენ, რომ სამყაროს მოსახლეობის 80 პროცენტი, ანუ თითქმის 5 მილიარდი ადამიანი, უახლოეს მომავალში სასმელი წყლის გარეშე დარჩება.

სასმელად ვარგისი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა ამერიკელმა მეცნიერებმა 23 სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით შეისწავლეს, მათ შორის, დამბებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შედეგების, სოფლის მეურნეობისგან გამოწვეული დატვირთვისა და გარემოს დაბინძურების კუთხით.

– წყლის მარაგის ნაკლებობა, ნავარაუდევ 2025 წლის ნაცვლად, უკვე 2015 წლისათვის გახდება ძალზედ საგრძნობი, შემდგომში კი ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს. ვინაიდან, მტკნარი წყლის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს შიმშილი, დაავადებები, პოლიტიკური არასტაბილურობა და შეიარაღებული კონფლიქტებიც კი, წყლის გამოყენების არასწორმა პოლიტიკამ შეიძლება მიგვიყვანოს სერიოზულ არასასურველ შედეგებამდე და ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია დედამიწაზე არსებული მტკნარი წყლის რესურსების სწორი აღრიცხვა და მისი რაციონალური გამოყენების ცოდნა, ამ რესურსების მფლობელი ქვეყნებისა და მისი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

მსოფლიოს წყლის მარაგის 95% ოკეანეებისა და ზღვების მარილიანი წყლებია, რომელიც ადამიანის მიერ არ გამოიყენება.

უმთავრეს წყლის რესურსებს, რომლებიც გამოსადეგია მეურნეობის ამა თუ იმ დარგში, მიეკუთვნება მდინარეები, ტბები, მიწისქვეშა წყლები, მყინვარები და ატმოსფერული ტენი. გამომდინარე აქედან, ჰიდროსფეროს შემადგენელი ყველა კომპონენტი, იმ წყლების გამოკლებით, რომელიც არის მინერალების და ბიომასის შემადგენლობაში, შეიძლება განვიხილოთ როგორც წყლის რესურსების წყარო. მაგრამ წარმოებაში, სოფლის მეურნეობასა და კომუნალურ მეურნეობაში ფართოდ გამოიყენება მტკნარი წყალი – მდინარის, მიწისქვეშა და ტბების. ეს წყლები ყველაზე ხელმისაწვდომია, მათი რეგულირება შედარებით ადვილია და უწყვეტად ახლდება წყლის წრებრუნვის გამო. მტკნარი წყალი შეადგენს ჰიდროსფეროს 2,53%-ს. მყინვარების გამოყენების გარეშე, რომელსაც ადამიანი თითქმის არ იყენებს, გამოსაყენებელი წყლის ნაწილი შეადგენს ჰიდროსფეროს საერთო მოცულობის დაახლოებით 1%-ს. სწორედ რომ ამაში მდგომარეობს არა მხოლოდ რეგიონული, არამედ წყლის გლობალური დეფიციტის წარმოშობის მიზეზი.

მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიის უხვი ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში, განაპირობებენ მის ტერიტორიაზე ერთი წლის განმავლობაში მტკნარი წყლის ფენის ისეთი საშუალო სიმაღლით ფორმირებას, რომ ამ მხრივ საქართველო დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მხოლოდ ნორვეგიას – 1 188 მმ, შვეიცარიას – 1 046 მმ და ავსტრიას – 805 მმ, ჩამორჩება.

ჰიდროგეოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ საქართველო წყლის რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მთელ სამყაროში, რომელსაც მდინარეები, მყინვარები, ტბები, ჭაობები და მიწისქვეშა წყლები შეადგენენ.

წყლის რესურსების მარაგით ფართობის ერთეულზე საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია დღევანდელ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. მდინარეების საერთო რაოდენობა შეადგენს 26 060-ს, ხოლო საერთო სიგრძე – 58 957 კმ-ს.

მდინარეების გრადაცია სიგრძის მიხედვით	მდინარეების საერთო რაოდენობა და მათი სიგრძე კმ-ში	მდინარეების საერთო რაოდენობა და საერთო სიგრძის %-ბა
ძალიან მცირე სიგრძის < 25 კმ	25.905/50.480	99,4/85,6
მცირე, 26-100 კმ	141/5743	0,54/9,72

საშუალო, 101-500 კმ	13/2344	0,05/3,99
დიდი > 500 კმ	1/390*	0,0/0,69
საერთო	26.060/58	100/100
* მდინარე მტკვრის სიგრძე მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე		

საქართველოს ტერიტორიაზე წელიწადში 56,5 კმ^3 წყლის ფორმირება ხდება, ტრანზიტული ჩამონადენი შეადგენს 9,3 კმ^3, მდინარეთა ჯამური ჩამონადენი – 65,8კმ^3, საშუალოდ 1 კმ^2-ზე წელიწადში ფორმირდება 820 ათასი მ^3 წყალი, ერთ სულ მოსახლეზე დასავლეთ საქართველოში მოდის 19 ათასი მ^3, აღმოსავლეთ საქართველოში – 5 ათასი მ^3.

– საქართველოს წყლის რესურსების 33% უმაღლესი ხარისხის მიწისქვეშა სასმელ წყლებს წარმოადგენენ.

– მიწისქვეშა სასმელი მტკნარი წყლების (დაბალი მინერალიზაციის მინერალური წყლები 0,03-1 გ/ლ-მდე) ბუნებრივი რესურსები შეადგენს 573 მ^3/წმ-ში, შესაბამისად 18 კმ^3-ს.

მიწისქვეშა წყლის საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგები ის მარაგებია რომელიც შეიძლება წყალმიმღები ნაგებობებით მუდმივ საექსპლუატაციო რეჟიმში იქნას მიღებული, ტექნიკურ-ეკონომიკური რაციონალური გამოყენების მიზნით, იმ ხარისხში, რომელიც გარკვეული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომხმარებელთა (მოსახლეობა, საწარმოები და ა.შ.) საიმედო წყალმომარაგებას უზრუნველყოფს.

საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლების ბუნებრივი რესურსების საექსპლუატაციო დასაშვები რაოდენობა შეადგენს 301 მ^3/წმ-ში, რაც დღე-ღამეში 26 მლრდ ლიტრის ეკვივალენტია. აღნიშნული რესურსული პოტენციალი საშუალებას იძლევა, მაღალხარისხიანი დაფასოებული სასმელი წყლის მზა პროდუქციით უზრუნველყოს 7 მლრდ-ზე მეტი მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილება და ჭარბად დაგვრჩეს 8,5 მლრდ ლიტრი წყალი, ყოველდღიური ფიზიოლოგიური ნორმის (2-2,5 ლიტრი) გათვალისწინებით.

მინერალური რესურსების ეკონომიკური შეფასების თანამედროვე მაკრო-ეკონომიკური კვლევებით დასტურდება ძირითადი ტიპის სასარგებლო წიაღისეულის ეკონომიკური მნიშვნელობა, როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების მარაგების სახით.

საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სარესურსო ფონდის ფასების ინდექსი შეადგენს 12 850 405,0 მლ. აშშ დოლარს. მდინარეთა საერთო რაოდენობის 1/3 წყალამოდინების ადგილებში (1კმ. რადიუსით) სასმელი წყლის სახით ადამიანისათვის აუცილებელ სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტს ქმნიან ფასების ინდექსით 13 560 000,0 მლ აშშ

დოლარის, ხოლო მიწისქვეშა სასმელი წყლები, საექსპლუატაციო დასაშვები მარაგებით (301 მ^3/წმ-ში) 2 277 000,4 მლ აშშ. დოლარის მატერიალურ ღირებულებას, სასმელ-სამკურნალო წყალი 2 710,12 მლ აშშ დოლარს.

საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სარესურსო ფონდის მაკრო-ეკონომიკური მნიშვნელობის რესურსად, „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნით", მიჩნეულია მიწისქვეშა სასმელი წყლის საექსპლუატაციო მარაგების მატერიალური ღირებულება, ხოლო ზედაპირული მტკნარი წყლების მარაგებს ამ ეტაპზე არ განვიხილავთ, რადგანაც მათ სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა გააჩნიათ.

ამრიგად, მაკროეკონომიკური მნიშვნელობით, ქვეყანაზე საყურადღებო ტიპის რესურსად წარმოდგენილია მიწისქვეშა დაბალი მინერალიზაციის წყლები, რომელსაც ეკონომიკური მნიშვნელობის პროცენტული განაწილებით მოსდევს სათბობენერგეტიკული რესურსები,ლითონები და იშვიათი ელემენტები, აგრეთვე ქიმიური და აგროქიმიური რესურსები. საერთაშორისო მნიშვნელობის ამ რესურსებს ემატება ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსები: ნახევრად ძვირფასი ქვები და კერამიკული ნედლეული, მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვები, აგრეთვე ინერტული, მეტალურგიული და სამშენებლო მასალა.

საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი პირობაა მის არეალში არსებული ბუნებრივი რესურსები, ხოლო ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ფაქტორთა განსაზღვრისას განსაკუთრებული ადგილი უკავია „ეროვნული რომბის" იდეას, სადაც ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტად აღებულია ჭარბი ბუნებრვი რესურსი, რომლის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: რესურსების ბუნებრიობა, სიუხვე, სტაბილურობა, განახლებადობა-კვლავწარმოება, სიიაფე, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და კონკურენტ-უნარიანობა, მსოფლიო მოსახლეობის ყოველდღიური, კატასტროფულად მზარდი მოთხოვნილება სასმელ წყალზე. ასევე დაბანდებული კაპიტალის უკუგების ძალზე ხანმოკლე პერიოდი.

დასაბუთებულია, რომ მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსული პოტენციალი მრავალჯერ აღემატება საქართველოს მოსახლეობის შორეულ განჭვრეტად მოთხოვნილებას. უფრო მეტიც, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, გამოუყენებული რჩება ჭარბი ბუნებრივი რესურსი 8,5 მლრდ ლიტრი სასმელი წყლის რაოდენობით, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ყოველდღიურ მზარდ მოთხოვნილებას სრულად დააკმაყოფილებდა, მისი ფიზიკური გატანა-ტრანსპორტირება შესაძლებელი რომ იყოს.

აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას შეუძლია თავისი რეალური წვლილი შეიტანოს მსოფლიო მოსახლეობის

სასიცოცხლო დანიშნულების აუცილებელი პროდუქტით უზრუნველყოფის უკვე გამწვავებული პრობლემის გადაწყვეტაში.

მსოფლიო ფინანსური ბაზრის, იგივე „კაპიტალის მსოფლიო ბაზრების", ფუნქციური დაყოფის სქემატური ჭრილი, „საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების" პროგრამით დასახული მიზნების უმოკლეს დროში განხორციელების რეალურ და გარანტირებულ შესაძლებლობებს იძლევა ქვემოთ მოყვანილ ღონისძიებათა ეტაპობრივი შესრულებით.

ანალიტიკური კვლევის საფუძველზე, მსოფლიო ფინანსური რესურსების ფუნქციონალური ქვედანაყოფიდან აქციების ბაზრის გამოყენების მექანიზმი და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე, ფასიანი ქაღალდების კაპიტალიზაციისა და მატერიალიზების ტექნოლოგიების გამოყენება, სასმელი წყლის მსოფლიო ბაზარზე გარკვეული სეგმენტით ადგილის მოპოვება – დამკვიდრების სრული გარანტიაა.

აქციების ბაზარი „მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე" შეფასებულია მის მიმოქცევაში არსებული ფასიანი ქაღალდების ათეულობით ტრლნ. აშშ დოლარის ბუნებრივი რესურსების ექვივალენტ ღირებულების ერთეულად და მატერიალი-ზებულია საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე (ბრუნვაში) მონაწილეობის მისაღებად სადაზღვევო სისტემის მკაცრი კონტროლით.

მაკროეკონომიკური კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოს გააჩნია მსოფლიო მნიშვნელობის რესურსი მტკნარი წყლის მარაგების სახით.

განახლებადი მიწისქვეშა სასმელი წყლის რესურსების საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების (301 მ^3/წმ-ში), „როგორც ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის" კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, საერთაშორისო საფონდო ბაზრებზე მისი მატერიალიზება (ემისია), ფასიანი მომგებიანი ქაღალდების, ობლიგაციების, ვექსილების, აქციების და სხვა ფასეულობების სახით,ქმნის ქვეყნის მატერიალურ ღირებულებას 2 ტრლნ 277 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.

მინერალური რესურსების კაპიტალიზაცია, ადამიანისათვის სასიცოცხლო დანიშნულების სარესურსო ფონდის მატერიალური ღირებულება უზრუნველყოფს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შესაძლო ეკონომეტრულ მოდელს, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისა და მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის გასატარებელ ღონისძიებებში.

საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების რესურსული პოტენციალიდან სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნის შემთხვევაში, ჩვენი ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის

გათვალისწინებით, ვიყენებთ მხოლოდ 2,5 მ^3/წმ-ში, ე.ი. საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების 0,75%-ს.

კონცეფცია-პროგრამით გათვალისწინებული საპროექტო ღირებულების დაფინანსება განხორციელდება ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის კაპიტალიზაციის ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მომგებიანი ფასიანი ქაღალდების, (აქციების, ობლიგაციების) ეტაპობრივი მატერიალიზებით.

საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, წყლის ინდუსტრიული მშენებლობის საპროექტო ღირებულების დაფინანსების პარალელურად, ძვირადღირებული სარეკლამო პიარკამპანიებისა და აქციების წარმართვას, რომელიც მსოფლიო წყლის ბაზრებზე, გარკვეული სეგმენტით, ადგილის მოპოვებისა და იქ ადგილის დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობაა.

მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნის შემთხვევაში, იძლევა დარგობრივი ეკონომიკის განვითარებისა და შიდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის ეკონომეტრიულ მოდელს, რომელიც გარდაუვალი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.

- საქართველო უნდა გახდეს ბუნებრივი სასმელი წყლის მწარმოებელი და მსოფლიო ბაზარზე მზა პროდუქციის გამტანი ერთ-ერთი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყანა მთელ სამყაროში.
- ადამიანისთვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის დაფასოებული სასმელი წყლისმრეწველობის (საბაზისო) ეკონომიკიდან ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მლრდ. აშშ დოლარით (მსოფლიო საბითუმო ფასის 24 ცენტ/ლიტრის გაანგარიშებით).
- დაიწყება ეროვნული ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა-განვითარება,რასაც მოჰყვება სახელმწიფო ბიუჯეტის დაჩქარებული ზრდა-3 მლრდ აშშ დოლარით.
- სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნით; საწარმოო, სატრანსპორტო, დამხმარე სამეურნეო და სხვა სამრეწველო ციკლში დასაქმდება ათეულ ათასობით ადამიანი, საშუალო ხელფასით 1500 აშშ დოლარი
- მოიხსნება სიღარიბის არსებული მწვავე პრობლემები.
- შეჩერდება მიგრაციული პროცესები.
- შეიქმნება ნავთობისა და გაზის საბადოების მფლობელი წარმატებული არაბული ქვეყნების მსგავსი მოდელი,

იმ უპირატესობით, რომ სასმელი წყლის რესურსები არამილევადი, მუდმივგანახლებადი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტია.

• დაიწყება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

• ადამიანისათვის აუცილებელი სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის დასაშვები საექსპლუატაციო რაოდენობიდან მარაგის მხოლოდ 0,75%-ზე (2,5მ^3/წმ-ში) კაპიტალიზაციის მოდელის გამოყენებით, მიიღწევა "ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიისა" და ანაკლიაში დაგეგმილი პორტტერმინალის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 3 მლრდ. აშშ. დოლარით დაფინანსება. რასაც მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანა და სოციალური მდგომარეობის სწრაფი გაუმჯობესება.

• ინდუსტრიული მშენებლობის დასრულების შემდეგ, მშპ-ს ზრდისა და პროდუქციის სტაბილური წარმოების პირობებში საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მატერიალიზების ტექნოლოგიებით პესიმისტური მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს 570 მლრდ. აშშ დოლარის ექვივალენტ ფულადი რესურსების მოზიდვას ჩვენი ქვეყნისათვის ყოველგვარი რისკ-ფაქტორების გამორიცხვით.

• კაპიტალიზაციის რეალისტური (50%-იანი) მოდელი, იძლევა 1 ტრლნ. 140 მლრდ. აშშ. დოლარს, ხოლო (75%-იანი) ოპტიმისტური მოდელი, 1 ტრლნ. 710 მლრდ. აშშ. დოლარის მატერიალურ ღირებულებას, რომელიც შესაბამისი ფულადი რესურსების მოზიდვის რეალური შესაძლებლობაა (შორეულ პერსპექტივაში).

• განხორციელდება სოფლისა და სატყეო მეურნეობის, ენერგეტიკის, მსუბუქი მრეწველობის და სხვა სტრატეგიული საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების დაფინანსება, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და დამოუკიდებლობის გარდაუვალი წინაპირობაა.

• ეტაპობრივად დაიწყება „საქართველოს კონსტიტუციის" თავი V-ს 47-48-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელება, რაც საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მზრუნველობით დამოკიდებულებისა და სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს მშენებლობის უპრეცედენტო მაგალითი იქნება ხელისუფლების მხრიდან.

• გადაიდგმება რეალური ნაბიჯი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის, რაც იძლევა ჩვენი ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის გაძლიერების სრულ გარანტიას.

• გაიზრდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა, შეიქმნება საშუალო ფენა, საფუძველი ჩაეყრება ერთიანი, ძლიერი, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურ მშენებლობას, რითაც საქართველო ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო

თანამეგობრობის პოლიტიკურ რუკაზე, მშვიდობიანი რეგიონალური ეკონომიკური სივრცით.

დასკვნა

მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ გადაულახავს ეკონომიკური კრიზისი და არ მიუღწევია თავისი განვითარების მწვერვალს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების გარეშე.

საქართველოში, მიუხედავად მდიდარი ბუნებრივი რესურსების მარაგებისა, არ არის საბადოები მარაგის მსოფლიო დონით, გარდა მტკნარი წყლისა.

საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრესი პირობაა მის არეალში არსებული მტკნარი სასმელი წყლის რესურსები, როგორც ადამიანისათვის სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტი, რომლის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: ბუნებრივობა, სტაბილურობა, განახლებადობა, სიიაფე, არასეზონურობა, მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, ასევე ყოველდღიური მზარდი მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე და დაბანდებული კაპიტალის უკუგების ხანმოკლე პერიოდი.

სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიები; მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმების გამოყენება,მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების სახელმწიფო მარაგებიდან (301 მ^3/წმ-ში), როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლო დანიშნულების პროდუქტის მხოლოდ 0.75%-ის მატერიალიზება საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე, იძლევა, „სასმელი წყლის ინდუსტრიისა“ და ანაკლიაში დაგეგმილი პორტტერმინალის მშენებლობისათვის გათვალისწინებული 3 მლრდ. აშშ დოლარით დაფინანსების რეალურ საშუალებას, რის მეშვეობითაც მივიღებთ საქართველოს შიდა სამრეწველო პროდუქციის ზრდის ეკონომეტრიულ მოდელს და იგი ჩვენი ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს ასეული მილიარდობით აშშ დოლარის ფინანსური რესურსების მოზიდვის რეალურ გარანტიებს, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული საინვესტიციო ეკონომიკური პროექტების განსახორციელებლად.

ამრიგად, მსოფლიოში სასმელი წყლის მწვავე დეფიციტის თანამედროვე ტოტალური პრობლემის ფონზე „საქართველოს სასმელი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სწრაფი განვითარების კონცეფცია-პროგრამის” და ამის საფუძველზე შედგენილი პროექტის „წყალი-ეროვნული სიმდიდრეს” (პროექტი სერტიფიცირებულია

„საქპატენტის" მიერ) შემქმნელმა მეცნიერ-ავტორთა და დამფუძნებელთა ჯგუფმა მიზნად დაისახა აღნიშნული ლოგისტიკურ-ინოვაციური პროექტის შესაბამისად საქართველოს მაღალხარისხოვანი მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ნაწილის (2,5 მ^3/წამში მოცულობით) ადამიანისათვის აუცილებელი, სასიცოცხლო დანიშნულების, დაფასოებული სასმელი წყლის პროდუქციის კომერციული რეალიზაციის მიზნით გამოყენება. პროექტი ითვალისწინებს ქვეყნის მუნიციპალიტეტებში სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხნების ინდუსტრიის, შავ ზღვაზე საკუთარი პორტტერმინალის მშენებლობას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს შეუძლია, შესაბამისი საინვესტიციო პოლიტიკის გატარებით, აწარმოოს მაღალხარისხოვანი ბუნებრივი მიწისქვეშა სასმელი წყალი თავისი სასაქონლო ნიშნით და მზა პროდუქცია, კომერციული რეალიზაციის მიზნით, გაიტანოს მსოფლიო ბაზრებზე, ამასთან აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში ქვეყნის ყოველწლიური ფულადი შემოსავლები გაიზრდება 12 მლრდ. აშშ დოლარით, საიდანაც 3 მლრდ. აშშ დოლარი ბიუჯეტში იქნება მობილიზებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **მიქაშავიძე ვ., ზედგენიძე ს.,** მუხრანის ველის მიწისქვეშა წყლების რეგიონალური (პროგნოზული) საექსპლოატაციო მარაგების გამოთვლა. გეოლოგიური ფონდები, თბილისი, 1975
2. **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის** ჰიდროლოგიური ლაბორატორიის (ავტორები: მ. მამარდაშვილი, ა. აბშილავა, ა. ქემოკლიძე) მიერ შპს „Georgian Water and Power" (GWP)-თვის შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ჰიდროლოგიური ანგარიში: „მუხრანის არტეზიული აუზის ფარგლებში არსებული საექსპლუატაციო ჭაბურღილების ჰიდროდინამიკური რეჟიმის შესწავლა საექსპლუატაციო მარაგების შეფასების მიზნით 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით".
3. **ხარატიშვილი ლ.,** ჰიდროლოგიური ანგარიში მუხრანის ველისა და საინფილტრაციო მოედნების მიწისქვეშა წყლების რესურსების ფორმირების, კომპლექსური შესწავლის, რაციონალური ათვისების, ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისა და დაცვის შესახებ (ორ წიგნად), თბილისი, 2004
4. **Baumann P.** Theoretical and practical aspects of well recharge. ASCE Transactions, 1963, 128, part 1.
5. **Bittenger M. W., Tredease F. I.,** The development and dissipation of a groundwater mound beneath a spreading basin. Winter Meeting of American Society of Agricultural engineers, Memphis, Tenn. 1960. December 4-7.
6. **Czerwenka W. and Seidel K.,** Neue Wege einer Grundwasser-ranreicherung in Krefeld, - GWE, Bd 106, 1965, 828.

7. **Francoise Erb.** Generalites sur la realimentation artificielle des nappes souterraines, “J. Produits et problemes pharmacentiques”, 1971, vpl. 26, №8
8. **Imhoff F.,** Die Entwicklung der Trinkwasserversorgung im recht srheinischen Industrielgebiest nach 1945. “Gas und Wasserfach” , 1952, v. 93. №20
9. **Jansa O. V. E.** Artificial ground-water supplies in Sweden (a second report) - Int. Union of geod. And Geophys., Internat. Assoc.Of Sci. Hidrology, Gen. Assembly of Rome, Publ. 37. 1954.
10. **Shiff L.,** The Darsy layer in the selection of water-spreading systems for ground water recharge, IASH Publication, 1956, 41.
11. **Weiss H.,** Die IV Erweinterung des werkes Haltern (Lippegebiet) Wasser werks fur des nordiche westfaliche konlenrevier. Gas und Wasserfach, vol. 93.№ 10. 1952.
12. **Альтшуль А.Х., Усенко В. С., Чабан М. О.,** Регулирование запасов подземных вод. Изд. «Колос», 1977. Стр. 240.
13. **Гидрогеология СССР**. Том 10. Грузинская ССР. Редактор тома Буачидзе Н. М. Изд. «Недра», Москва. 1970.
14. **საღდგომო ეპისტოლე,** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2006.
15. **მაზიაშვილი მ.,** ქართული წყალი – თეთრი ნავთობი თუ, უბრალოდ, წყლის ნაყვა?!. კაპიტალი (www.gbc.ge), ყოველთვიური ჟურნალი საქმიანი ადამიანებისთვის №9/2007 (ISSN 1512-4150), გვ.64-75.
16. **შაიშმელაშვილი თ.,** 2025 წელს სასმელ წყალს ნავთობის ფასი ექნება, ჟურნ. MEGOBROBA, №06 (34), 2006, გვ. 9-12.
17. **ციხელაშვილი ზ., ჩხეიძე ნ., გიორგაძე პ.,** „წყალი – ეროვნული სიმდიდრე“. „მითი ქცეული რეალობად“, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“, სერტიფიკატი №1377, 2005/06/14

Paata Giorgadze (Tbilisi, Georgia)
Zaur Tsikhelashvili (Tbilisi, Georgia)
Nodar Chkeidze (Batumi, Georgia)
Givi Chichinadze (Tbilisi, Georgia)

About Effective Use of Natural Underground Water Supply of Georgia – Georgian Economic Miracle Turned into Reality

Summary

The severe shortage of drinking water in the world by major problem in the background, will be arriving in Georgia (by municipalities) of natural water bottling inustriis enterprises and therefore, high-qualityConstantly new natural drinking water and groundwater of international markets for commercial sale.

The purpose of the Engineering Academy of Hydro Research Division of the group of academics and public figures headed by academicianp.giorgadzis, developed drinking of water resources management in the country's socio-economic development program for quick concept: "water-national wealth"

(The project is certified by SAKPATENTI) and the respective built-innovative logistics project, which is based on the January 9, 2009, the US Georgia Charter on Strategic Partnership, which confirmed a partnership to enhance the benefit of both nations. The water project is of strategic leitmotivia economy rapid development and improvement of living conditions of the population and social. Water project in the country's annual revenues will increase by US $ 12 billion, of which 3 billion. USD budget will be mobilized.

მერაბ მეგრელიშვილი
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის კლიმატი და გარემოს დაცვის აქტუალური საკითხები

ამ პრობლემით დაინტერესება განაპირობა გლობალურ დათბობასთან დაკავშირებულმა სამყაროში მიმდინარე ბუნებრივმა მოვლენებმა. დღეს ეს საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მოსახლეობას გვაწუხებს კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე სტიქიური მოვლენები. სტატიის მიზანს წარმოადგენს შესწავლილი იქნას XX დასაწყისში გარემოს დაცვის თვალსაზრისით მეცნიერთა მიერ ბათუმში ჩატარებული კვლევა-ძიება. როგორც წარსულში, ასევე დღეს ხშირი წვიმების დროს იტბორება ჭაობის და ურეხის მცხოვრებთა სახლები. XX საუკუნის დასაწყისში ქალაქის თვითმმართველობამ დატბორვის აღმოფხვრის მიზნით აუცილებლად ჩათვალა ხიდის მშენებლობა ჟილინსკის არხზე, რომელიც მიემართებოდა ჭაობიდან ურეხში ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №900, ფურც. 11].***

1911 წელს ქალაქის აქიტექტორს ი.დ.კროპივიანსკის ინჟინერმა გოლიცინმა წარუდგინა პროექტი ხიდის მშენებლობის შესახებ პავლოვის არხზე, რომელიც კვეთდა შპელევის ქუჩას ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №637, ფურც. 6],*** ასევე არქივში ინახება პროექტი ანდრეევსკის არხზე ხიდის მშენებლობის შესახებ, რომელიც კვეთდა ვოზნესევსკის ქუჩას ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №849, ფურც. 3].*** ამ პერიოდში სამხედრო ინჟინერმა დ.სვისშჩევსკიმ დეტალურად შეისწავლა და თვითმმართველობას წარუდგინა ქალაქის არხების არსებული მდგომარეობა და მათი შემდგომი განვითარების გზები. სამუშოების წარმოებისთვის მას გადაუხადეს 6000 მანეთი. სამწუხაროდ, დღეს ყველა ეს ხიდი მიწის საფარის ქვეშ არის მოქცეული და ხელს უშლის წყლის საწრეტების ნორმალურ მუშაობას. ასევე აკად. მამია კომახიძის ქუჩის ერთ ნაწილში არ ფუნქციონირებს საკანალიზაციო სისტემა და ფეკალური მასა პირდაპირ წყლის საწრეტებში მიედინება. ამის გამო უკვე ორი ათეული წელია ბათუმის ჭაობის დასახლება (ყოფილი მოსკოვის ქუჩა) კეთილმოუწყობელია. ძლიერი წვიმების და ზღვის შტორმის დროს ზღვასთან არსებული ჟილინსკის არხი იხურება და ქალაქის დატბორვა, ძირითადად, ჭაობის დასახლებიდან იწყება. ქალაქის დატბორვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ჭაობისა და არდაგანის მიდამოებში არსებული წყალსაცავების მოშლა, რის გამო ქალაქის მთელი სივრცე წყლით იფარება ასევე დავიწროვდა ქალაქის ფართო ქუჩები და ქუჩების გადამკვეთ ზოლში წამოიმართა მრავალსართულიანი სახლები. მშენებარე სახლებით ჩაიკეტა ზღვის სანაპიროს მიმდებარე სივრცე, რაც ხელს უშლის ზღვის კლიმატის გავრცელებას ქალაქის ფარგლებში. ქალაქის

შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია წარსულის გამოცდილების გაზიარება.

1912 წელს, თვითმმართველობის კომუნალური მეურნეობის საბჭოს წერილში აღნიშნულია, რომ აღნიშნულ საბჭოს განზრახული აქვს სისრულეში მოიყვანოს პროექტი ჭაობის ამოშრობის შესახებ და რომ ეს რაიონი მეტად ჭაობიანია მხოლოდ იმიტომ, რადგან თავის დროზე არ იყო მიღებული ზომები კანალიზაციის გაყვანის შესახებ. ამ მიზნით სამხედრო ინჟინერ დ. სვისშევსკის მერ შემუშავებული იქნა გეგმა-პროექტი ქალაქის კანალიზაციის მშენებლობასთან დაკავშირებით ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №1027, ფურც. 7].***

1914 წლის 5 თებერვალს ბათუმის თვითმმართველობის უფროსს ანდრონიკაშვილს საქციო საზოგადოებამ „პაველ-ბეკელ" წარუდგინა პროექტი ბათუმში ნაგავსაწვავი სადგურის მშენებლობის შესახებ. ამოქმედდა „ხინან და ფრუდი" სისტემის ნაგავსაწვავი ღუმელი. ამ პერიოდში ქალაქში ცხოვრობდა 33 000 ადამიანი. ნაგავის რაოდენობა შეადგენდა 2.000 ფუთს. 12 სთ.-ის განმავლობაში მიმდინარეობდა ქალაქში ნაგავის აღება და სადგურში მიტანა. ნაგავის აღება ხდებოდა ნიჩბითა და ურიკით ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №778, ფურც. 1].***

სამწუხაროდ, დღეს ქალაქის ცალკეული რეგიონების დასუფთავება არ ხდება. საყურადღებოა ამავე პერიოდში ქალაქის თვითმმართველობის მიერ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ბაქტერიოლოგიური ცენტრისადმი გაგზავნილი მოთხოვნა, რომელშიც საუბარია ქალაქის წყალსადენის შემოწმებაზე, წყლის ანალიზზე, ფილტრების გაწმენდასა და ა.შ. ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №851, ფურც. 12].*** ქალაქის დატბორვის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ადიდებული მდინარეები. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სამხედრო ინჟინერ სვისშჩევსკის მიერ ქალაქის თვითმმართველობისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მდინარე მეჯინი-სუს ადიდების მიზეზი არის არა მარტო ძლიერი შტორმი, არამედ ზღვის მიმოქცევა, რის შედეგად სანაპიროს ქვიშის მასა ჩნდება მდინარის კალაპოტში ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №1027, ფურც. 7].***

1912 წლის 10 ნოემბერს მიხეილის ციხე-სიმაგრის კომენდანტი თვითმმართველობას აცნობებს, რომ თამარის დასახლებიდან ჭოროხის სანაპირომდე არსებული ზღვის ზოლი ექვემდებარება კომენდანტის მკაცრ კონტროლს და მისი ნებართვის გარეშე ის არ უნდა გაიცეს კერძო პირებზე. სამწუხაროდ დღეს ზღვის სანაპირო ზოლი არ არის დაცული და ის წარმოადგენს კერძო პირების ბიზნესის წყაროს ***[აცსა, ფ. ი-6, ს. №709, ფურც. 7].***

1912 წელს ქალაქის თვითმმართველობასთან შეთანხმების საფუძველზე სამხედრო ინჟინერი დ. სვისშევსკი იღებს ვალდებულებას აწარმოოს მეცნიერული გამოკვლევა და

შეისწავლოს ქალაქის ზღვის სანაპიროს მოშლის გამომწვევი მიზეზები. ამ მიზნით ჟილინკის არხსა და მდინარე სკურკუბაიას მონაკვეთში მან აწარმოა ზღვის სიღრმის გაზომვა, დინების მიმართულების და სიჩქარის განსაზღვრა, ზღვის სანაპიროს გადაღება. ასევე, ზღვის სანაპიროს შესწავლის მიზნით, სვისშჩევსკიმ გამოიკვლია XVIII საუკუნიდან არსებული ქალაქის რუქები, დაადგინა და წარმოაჩინა უძველესი დროიდან არსებული ზღვის სანაპიროს კონტურები. სამხედრო ინჟინერმა ენერგიული ღონისძიებები განახორციელა ზღვისაგან ბარცხანის დაცვისთვის. იგი დაკვირვებებს აწარმოებდა კოკისპირული წვიმების, ქარიშხლების დროს და მშვიდ ამინდებშიც. სამხედრო ინჟინერმა ზღვის სანაპიროს მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ქალაქის თვითმმართველობას წარუდგინა მოტივირებული დასკვნა. იგი არახელსაყრელად თვლის ზღვის სანაპიროზე დამცავი კედლის აღმართვას და დასკვნაში აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ქვიშის მონაყარი მის უსაფუძვლობას დაამტკიცებს. აქედან გამომდინარე, სვისშჩევსკი პირველ ამოცანად თვლის სანაპიროსთან არსებული ტბების ამოვსებას და მდინარე მეჯინისწყლის მოძრაობის დარეგულირებას.

1907 წელს პ. ტ. იონკინის მიერ გადაღებული ბათუმის ზღვის სანაპიროს სურათის შედარების საფუძველზე იგი წარმოგვიდგენს ზღვის დონის შეცვლილ რელიეფს. დ. სვისშჩევსკი, განსხვავებული ამინდების დროს, აუცილებლად თვლის ვაწარმოოთ ზღვის დინების სიჩქარის გაზომვა, მოითხოვს მუდმივი მეთვალყურეობის დაწესებას მდინარე ჭოროხზე. ასევე, მიზანშეწონილად მიაჩნია მდინარის სიღრმის გაზომვა, რაც მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ თუ როგორი სიჩქარით მიდის მისი დაბინძურება, რათა ამით ქალაქი დავიცვათ მდინარის მიერ მოტანილი შლამისგან.

ამრიგად, ზემოდ მოტანილი საარქივო მასალა გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ წარსულში ბევრი რამ კეთდებოდა ბუნებრივი სტიქიური მოვლენებისგან ქალაქის დასაცავად. წარსულის გამოცდილების გაზიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის მოსახლეობის ყოფითი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

აცსა, ფ. ი-6, ს. №№ – აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-6, საქმე №№637, 709, 778, 849, 851, 900, 1027.

დერჟავინი ნ., ნარკვევები ბათუმის იტორიიდან, პეტერბურგი, 1902.

კრასნოვი ა., სამხრეთ კოლხეთი, პეტერბურგი, 1915.

Merab Megrelishvili (Batumi, Georgia)

Batumi Climate and Issues of Environmental Protection

Summary

Article presents cultural-geographical environment, demographic condition, climate, soil, Farm, which were studied and presented my Dmitry Svischevsky.

ვახტანგ მიქაშავიძე, ჟანი მიქაშავიძე
(ბათუმი, საქართველო)

ბათუმის ტურისტული ინდუსტრიის მდგრადი განვითარებისა და ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები

საქართველოს, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მრავალი მწვავე პრობლემა აქვს გადასაჭრელი, ეს ეხება როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებს. ამ პრობლემების გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია თავიდან იქნას აცილებული საფრთხის შემცველი ტენდენციები და დესტაბილაციის მოსალოდნელი შესაძლებლობები. ასეთი სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია საქართველოს დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფა. ამჟამად ასეთ მიმართულებებად რომელთაც შეუძლიათ ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკის უმოკლეს ვადაში აღმავლობა და აღორძინება, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება მივიჩნიოთ მატერიალური წარმოების ზოგიერთ დარგთან ერთად მომსახურების დარგები კერძოდ, ტურიზმი, რომელიც დღეს ქვეყნისა და რეგიონების განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ სფეროდ გვევლინება. იგი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ქვეყნის დამოუკიდებლობის დამკვიდრებისა და ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში. ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებასა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას. ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა აღმსარებლობისა და კულტურის ადამიანთა ურთიერთობების გაღრმავებაში, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მრავალი ქვეყნის შიდა პოლიტიკის ფორმირებაზე, სავაჭრო ბალანსის აქტივიზაციაზე, სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთობებზე და სხვა.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ტურიზმის, ისე როგორც ნებისმიერი სხვა დარგის, მდგრადი განვითარება და ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია სახელმწიფო რეგულირების, ეკონომიკაში ტურისტული პოლიტიკის როლის გაძლიერებისა და ტურიზმის სექტორის განვითარების კომპლექსური პროგრამის გარეშე. ტურისტული პოლიტიკა კი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ტურიზმის სფეროს ფუნქციონირებაზე პოზიტიური ზემოქმედების, ფორმების, მეთოდებისა და მექანიზმების ერთობლიობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მისაღწევად. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციების რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ მთავრობამ როგორც ცენტრალურ, ასევე

რეგიონულ დონეზე უნდა შეასრულოს წამყვანი როლი ტურიზმის დარგის პოლიტიკის განსაზღვრაში, ვინაიდან ტურიზმი ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის სხვა დარგებზე და აქედან გამომდინარე, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე. ამიტომ მისი განვითარებისა და ხელშემწყობ პოლიტიკაში თანაბრად უნდა იქნას გათვალისწინებული ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა ასპექტების ფართო სპექტრი ***[შუბლაძე, 2004: 70-71].***

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტურიზმმა რომ ეკონომიკური მოგება მოუტანოს ამა თუ იმ რეგიონს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს, ე.ი. განვითარების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს რესურსების ზიანის მიუყენებლად და მათი განადგურების გარეშე. ეს კი მიიღწევა რესურსების ისეთი მართვით, რომლის დროსაც შესაძლებელია მათი განახლება ისეთივე ტემპით, როგორითაც ისინი მოიხმარებიან. ძალზე ზოგადად კი, მდგრადი განვითარება ნიშნავს თანამედროვე მოთხოვნების ისეთ დაკმაყოფილებას, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალი თაობების ანალოგიურ სურვილს საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. მდგრადი განვითარება დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ეკონომიკაზე, რომელშიც შერწყმულია ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. ამ კონცეფციაზე დამყარებული ტურიზმის განვითარება გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკურ აუცილებლობასა და ტექნიკურ პროგრესს, არამედ თანაბარწილად ითვალისწინებს გარემოსა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს ***[ტურიზმის საფუძვლები, 2010: 9].***

ამასთან ერთად, საქართველოს, მისი ტერიტორიული ერთეულების კერძოდ, ბათუმის ტურისტული ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა დამოკიდებულია არსებული რესურსების მაქსიმალურ, რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებაზე, რომელთაც გააჩნიათ უნიკალური ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი და მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, რაც ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების განვითარებისათვის საუკეთესო შესაძლებლობას ქმნის. ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა გულისხმობს ამ რესურსების ერთობლივ შესწავლას, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ამჟამად ან პერსპექტივაში. საკითხი მრავალმხრივია და მოითხოვს ბუნებრივ-რეკრეაციული, სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ასპექტების ანალიზს. საქართველოში, მის რეგიონებსა და ტურისტულ ცენტრებში, მათ შორის ბათუმშიც საკურორტო სფეროს წარმატებული განვითარების წინაპირობებია: ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები, მდიდარი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, გეოპოლიტიკური მდებარეობა, აქ

მცხოვრებ ხალხთა თვითმყოფადი კულტურა, ტრადიციები, სტუმართმოყვარეობა და სხვ. ბათუმის პოტენციალი იძლევა საკურორტო-ტურისტული სფეროს მრავალმხრივი განვითარების შესაძლებლობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე განვლილმა წლებმა დაადასტურა, რომ ჩვენი ქვეყნისა და მისი რეგიონების განვითარებისათვის ტურიზმს ალტერნატივა არ გააჩნია. მიუხედავად მრავალი პრობლემისა, რომელიც ჯერ კიდევ მრავლადაა მთლიანად აჭარისა და კერძოდ, ბათუმის ტურისტულ ინდუსტრიაში, ამჟამად მიმდინარეობს სასტუმროთა ისეთი ბრენდების შემოსვლა ტურისტულ ბაზარზე როგორიცაა: „შერატონი“, „ჰილტონი“, „რედისონი“, „მარინა კოლიზეუმი“, „კასტელო მარი“, „დრიმლენდ ოაზისი“ და სხვ. მიმდინარე წელს უკვე გაიხსნა და ფუნქციონირებს მცირე და საშუალო ზომის განთავსების ობიექტები, სასტუმროები: „პორტო ფრანკო“, „როიალ ვენეცია“, „ძველი ქალაქი“, „Leogrand Hotel & Casino“, აგრეთვე ჰოსტელები: „Batumi Sun Hostel“, „ჰოლანდ ჰოკეი“. ზაფხულის სეზონზე კიდევ არაერთი მსგავსი ტიპის დაბალბიუჯეტიანი ობიექტების გახსნაა დაგეგმილი ქალაქ ბათუმში და მთლიანად აჭარის რეგიონში. ამ ღონისძიებათა შედეგად უკვე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2015 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სასტუმროების რაოდენობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეადგენდა 289 ერთეულს, სასტუმროებში ნომერთა რაოდენობა 6426, ხოლო მათში საწოლი ადგილების რაოდენობა 14269 ერთეულს. სასტუმროების ზრდის ანალოგიური ტემპები შეინიშნება ბათუმის ტურისტულ ინდუსტრიაში. კერძოდ, იგივე 2015 წლის მონაცემებით ბათუმში უკვე არსებობდა 179 სხვადასხვა ტიპის სასტუმრო 4763 ნომრითა და 9089 საწოლი ადგილით, რაც გაცილებით მეტია წინა წლებთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურის ზრდას მოჰყვა ტურისტთა მნიშვნელოვანი მატება. ასე მაგალითად, უკანასკნელი 5 წლის პერიოდში (2010-2014 წწ.) აჭარის რეგიონში ტურისტთა საერთო რაოდენობა 188476-დან 431678 კაცამდე ანუ 2,3-ჯერ გაიზარდა აქედან, უცხოელი ტურისტებისა 71362-დან 261075 კაცამდე ანუ 3,8-ჯერ, ხოლო შიდა ვიზიტიორებისა 117 114-დან 170603 კაცამდე ანუ 46%-ით. ამ პერიოდში ვიზიტიორთა ანალოგიურ ზრდას ჰქონდა ადგილი ბათუმის ტურისტულ ცენტრში. კერძოდ, 2010-2014 წწ. ვიზიტიორთა რაოდენობა 113 099-დან 282940 კაცამდე გაიზარდა ანუ 2,5-ჯერ, უცხოელი ვიზიტიორებისა 43309-დან 185118 კაცამდე ანუ 4,3-ჯერ, ხოლო შიდა ვიზიტიორებისა 69790-დან 97882 კაცამდე ანუ 40%-ით ***[აჭარის არ, 2015, №182/01-15].***

როგორც აქ მოტანილი ეკონომიკურ-სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, მთლიანად აჭარის რეგიორში და მათ

შორის ბათუმის ტურისტულ ცენტრში შეინიშნება საკურორტო და ტურისტული სფეროს განვითარების დადებითი ტენდენცია, მაგრამ ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებები და პრობლემებია. ეს კი მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ტურისტული რესურსების ათვისებაში ბევრი შესაძლებლობები ჯერ კიდევ გამოუყენებელია. ამიტომ, ტურიზმის არსებული პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფაქტორთა მთელი სპექტრი, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ხარისხიანი განთავსების ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის ზრდას, დამსვენებელთა მოხერხებული ტრანსპორტირებისა და გაუმჯობესებული კულტურულ-სპორტული და გასტრონომიული მომსახურების შეთავაზებას, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების სრულყოფას, ტურისტთა უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვას, ტურიზმის დივერსიფიკაციას, კომბინირებული ტურპროდუქტების განვითარებას და ა.შ. [ბოლქვაძე, 2007:123-124]. ამასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასტუმრო სამომხმარებლო ბაზრის სეგმენტაციას მომხმარებელთა ასაკის, შემოსავლების დონის, ოჯახის შემადგენლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, აგრეთვე რეგიონში ტურისტთა მოსაცდელი ადგილების ავტოსერვიზის, საზოგადოებრივი კვების, ელექტრონული ვაჭრობის და სხვა აუცილებელი ობიექტების განვითარებას, ახალი ინოვაციური ტურმომსახურების ფართოდ დანერგვას და ა.შ.

ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის პირველ რიგში, აუცილებელია ქვეყანაში დარგის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდებოდეს ტურიზმისა და კურორტების ძირითადი კანონმდებლობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ ლიბერალურობასა და დემოკრატიულობას, აგრეთვე კერძო მეწარმეებისათვის თავისუფალი საქმიანობის პირობების შექმნას. ჩვენს ქვეყანაში ამ მიზნით მიღებული კანონები, სხვადასხვა ადმინისტრაციული დებულებანი და ნორმატიული აქტები, რომლის შესრულება სავალდებულოა ტურისტულ და საკურორტო საქმიანობასთან დაკავშირებული უწყებების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, სამწუხაროდ, მოძველებულია. მოძველებული საკანონმდებლო ბაზა კი ხელს უშლის დარგის განვითარებას. ამასთან ერთად, ტურიზმის განვითარებას ხელს უშლის ისიც, რომ დღემდე არ არსებობს ამ დარგის განვითარების განახლებული, მეცნიერულად გააზრებული და არგუმენტირებული კომპლექსური სახელმწიფო პროგრამა, რომელშიაც მკაციოდ იქნება ჩამოყალიბებული არსებული პრობლემები, პრიორიტეტები, ამოცანები და ძირითადი ორიენტირები თუ როგორი ტრაექტორიითა და სიჩქარით უნდა განვითარდეს ტურისტული ბიზნესი უახლოეს თუ შორეულ პერსპექტივაში ***[მესხია, 2010: 85].***

ამიტომ პირველი რიგის ამოცანად გვესახება ქვეყანაში ტურიზმის საკანონმდებლო ბაზის არსებითი განახლება და მისი მიღება ქვეყნის პარლამენტის მიერ, აგრეთვე ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პროგრამისა და კონცეფციის შემუშავება საერთაშორისო კონვენციების, შეთანხმებებისა და ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეროვნულ კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაციის მიზნით.

აქედან გამომდინარე, ჩვენმა ქვეყანამ უნდა აწარმოოს მიზანმიმართული პოლიტიკა ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნით რომელთაგან აღსანიშნავია: ტურისტული პროდუქტის რეკლამირების არასაკმარისი დონე საზღვარგარეთ და მისი შეზღუდული სპექტრი; უცხოელი ტურისტების უსაფრთხოების პრობლემები; ტურისტული პროდუქტის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები; დარგში სტატისტიკური აღრიცხვის მოუწესრიგებლობა და მრავალი სხვ.

ჩვენი ქვეყნის ტურისტული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ შემუშავებული აზრი იმის შესახებ თუ მთლიანად ქვეყანა და მისი ცალკეული რეგიონები რა ტიპის ტურისტული მომსახურების ჩამოყალიბებას აპირებენ, ანუ როგორი იქნება თვალსაწიერ მომავალში ტურიზმის განვითარების სპეციალიზაცია. ჩვენი აზრით, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნისათვის, ყველაზე სწორი იქნებოდა მომგებიანი ტურიზმის სახეობების განვითარება, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს ტურისტულ ბაზარზეც. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პასიურიდან აქტიურ დასვენებაზე ორიენტაციის გადატანას, მოთხოვნის ინდივიდუალიზაციას, მომხმარებელთა აზროვნების ეკოლოლოგიზაციას, ინდივიდუალიზმის წინ წამოწევას, აქტიურ მუშაობას ბაზრის სეგმენტაციასა და დივერსიფიკაციაზე ***[ბოლქვაძე, 2007: 117].***

ჩვენს ქვეყანაში ტურისტული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლია ისიც, რომ კვლავ რჩება მაღალი ფასები ტურისტული პაკეტის ორ კომპონენტზე – სასტუმროსა და ავიაბილეთებზე, მაშინ როცა მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ტურისტული პაკეტის ამ ორ უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე ფასები მნიშვნელოვანი კლების ტენდენციით ხასიათდება. საკმაოდ ძვირია სასტუმროს მომსახურებაც. ტურიზმის მსოფლიო სპეციალისტები ქართულ სასტუმროს მეპატრონეებს ურჩევენ ფასები საერთაშორისო ბაზრის მიხედვით დააწესონ და იმუშაონ მინიმალურ მოგებაზე. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოში ყველა მოგების სწრაფად ნახვას ცდილობს, ეს კი არასწორი მიდგომაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოში ტურისტული პაკეტი უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ანალოგიური ხარისხის პაკეტი სომხეთსა და აზერბაიჯანში ***[ღანიაშვილი, 2009: 15-17].***

აჭარის რეგიონისა და კერძოდ, ბათუმის ტურისტული ცენტრის მდგრადი განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია არასაკურორტო სეზონის პერიოდში ისეთი ღონისძიებების ჩატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ვიზიტიორთა ფართო პლანით მოზიდვას. ქ. ბათუმის მერიის მონაცემებით არასაკურორტო სეზონის დროს ტურისტებით სასტუმროების დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 57% *[ქ. ბათუმის.., 2009: 72].* ასეთი დატვირთვის პირობებში ძნელია ილაპარაკო ქალაქის ტურისტული ცენტრის მაღალ რენტაბელობაზე და მის კონკურენტუნარიანობაზე მეზობელი ქვეყნების ტურისტული ცენტრების მიმართ, სადაც ტურისტული სეზონურობა უფრო ხანგრძლივია და არასეზონურობის პირობებში მნიშვნელოვნად ნაკლებია ნალექების რაოდენობაც. მართალია, არასეზონურობის პერიოდში ბათუმს ახასიათებს უხვი ნალექიანობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას აქვს მრავალი უპირატესობა. აქ ჩვეულებრივ თბილი ზამთარია და ზომიერად ცხელი ზაფხული იცის. ამასთან, შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში ძალიან ხშირია მზიანი თბილი დღეები. კლიმატის ეს თავისებურება კი მიმზიდველს ხდის მას მთელი წლის განმავლობაში. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება ტურისტული ბაზრის ისეთი მიმართულებით განვითარება, რომელიც დამოკიდებული არ იქნება ტურიზმის სეზონურობაზე. ტურიზმის ამ სახეობებს მიეკუთვნება **საქმიანი ტურიზმი ანუ ბიზნეს ტურიზმი, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, სათამაშო ტურიზმი** და ტურიზმის სხვა სახეობები. ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა მოითხოვს აჭარის რეგიონისა და კერძოდ, ბათუმის ტურისტული ცენტრის ისე გარდაქმნას, რომ უზრუნველყოფილი იყოს მთელი წლის განმავლობაში მათი ფუნქციონირება, მოსახლეობის დასაქმება და სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების გენერირება. ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით განვიხილავთ ამ სამი ტურისტული სახეობის განვითარების აუცილებლობას მოწინავე ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.

ბათუმის ტურისტული ცენტრის მდგრად განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია საქმიან ტურიზმს ან როგორც მას ხშირად უწოდებენ **ბიზნეს ტურიზმს.** იგი უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის პრიორიტეტულ სექტორად გამოცხადების შემდეგ განთავსების ინფრასტრუქტურასთან ერთად ვითარდება. საქმიანი ტურიზმი არის ღონისძიებათა კომპლექსი კომპანიების თანამშრომლობათა ლოიალობისა და ხარჯების ოპტიმიზაციის ასამაღლებლად. მასში გულისხმობენ შეხვედრებზე, წამახალისებელ ან მასტიმურირებელ ღონისძიებებზე, კონფერენციებსა და გამოფენებზე ტურისტთა მოზიდვას. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, საქმიანი ტურისტები ერთ-ერთ კარგ მხარჯველ კატეგორიად

მოიაზრება. სწორედ ეს განაპირობებს საქმიანი ტურიზმის სეგმენტის მიმზიდველობას სექტორის ზოგად სტრუქტურაში *[დარახველიძე, 2012: 256].* სტატისტიკურად დადგენილია, რომ საქმიან ტურიზმზე დახარჯული ყოველი ერთი აშშ დოლარი 7-10 აშშ დოლარის ეკონომიკურ სარგებელს იძლევა, რაც ტურიზმის ამ სეგმენტის მაღალშემოსავლიანობასა და მზარდ განვითარებულობაზე მეტყველებს *[ნადარეიშვილი, 2012: 259-260].*

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ნაკლებადაა განვითარებული საქმიანი ანუ ბიზნეს ტურიზმი. მაშინ, როცა დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაზე ტურიზმის ეს სეგმენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, რადგანაც დაახლოებით 18 მილიარდი ქვეყნის ბიუჯეტში სწორედ ტურიზმის ამ სახეობიდან შედის. ეს იმაზე მიუთითებს რომ ბათუმში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს საქმიანი ტურიზმის განვითარებას. საგულისხმოა, რომ ტურიზმის ამ სეგმენტის შესაბამის დონეზე აყვანის შემთხვევაში, ქვეყანა მხოლოდ უბრალო ვიზიტიორებზე არ იქნება დამოკიდებული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმის ეს მიმართულება ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, მოქმედებს მთელი წლის მანძილზე, ხოლო პიკს ზაფხულსა და შემოდგომაზე აღწევს; ამ სახის ტურიზმში შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვაც. ამასთან დიდი რაოდენობით საქმიანი ადამიანების ქალაქში ჩამოსვლას თან უნდა ახლდეს გარკვეული ღონისძიებების ორგანიზება და მათთვის სათანადოდ სერვისის შეთავაზება. ამისთვის კი საჭიროა ფესტივალების, ბაზრობების, გამოფენების, კონფერენციების და ა.შ. მოწყობა *[გამსახურდია, ფესტვენიძე, 2012: 94].*

ბათუმის ტურისტული ცენტრის ბიუჯეტის ფინანსური რესურსების მოძიებისა და მისი ეკონომიკის აღმავლობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა **სათამაშო ტურიზმის** ჩამოყალიბება და განვითარება. ბათუმში ამის რეალური პოტენციალი და განვითარების პერსპექტივები უკვე არსებობს. ჩვენი ქვეყნის ირგვლივ განლაგებულია მუსულმანური სახელმწიფოები, სადაც ოფიციალურად აკრძალულია სამორინეების ფუნქციონირება, ხოლო მოთხოვნილება არსებობს. ჩვენს ქვეყანას შეუძლია ამ სერიოზული შემოსავლის მომტანი ნიშის დაკავება, თუმცა ამისათვის საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება და ეფექტიანი სარეკლამო კომპანიის წარმოება. დღეისათვის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ასეთი კომპლექსის განთავსება აჭარაში და კერძოდ ბათუმში, სადაც ჯერ ერთი, თანმხლები ინფრასტრუქტურის განვითარება შედარებით უფრო იოლია (რადგან ნაწილობრივ იგი უკვე არსებობს) გასართობი და დასასვენებელი საშუალებების ფართო არჩევანია, ახლოსაა თურქეთთან და საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობაც გაცილებით მოსახერხებელია. სამორინეების დატვირთვა მოხდება არა მხოლოდ სპეციალურად

ჩამოსული მოთამაშეების, არამედ ჩვეულებრივი დამსვენებლების მონაწილეობით (რაც მნიშვნელოვნად გაზრდის შემოსავლების ბრუნვას). თავის მხრივ, ამ ტიპის კომპლექსის განვითარება ქალაქში ხელს შეუწყობს მთელი წლის მანძილზე ტურიზმის აქტიურ ზონად ჩამოყალიბებას და არა მხოლოდ ზაფხულის სეზონში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის განთავსების საშუალებების დატვირთვის კოეფიციენტსა და აქედან გამომდინრე, ტურისტული ობიექტების შემოსავლებს, რომ არაფერი ვთქვათ საკუთრივ სათამაშო ბიზნესიდან შემოსავლებზე ***[კობალაძე, 2010: 120-123].***

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბათუმის ტერიტორიაზე ამჟამად არსებობს 3 სამორინე და 10 სათამაშო აპარატის სალონი და გარკვეული შეღავათი კერძოდ, ახლად აშენებული, არანაკლებ 100 ნომრიანი სასტუმროს ტერიტორიაზე სამორინეს მოწყობის შემთხვევაში მეპატრონე თავისუფლდება სანებართვო მოსაკრებლის გადასახედებიდან ნებართვის გაცემიდან 10 წლის განმავლობაში ***[ბათუმის მერიის.., 2012].***

ბათუმის ტურისტული ცენტრის მდგრად განვითარებას და არასაკურორტო სეზონის პერიოდში ტურისტთა ნაკადების მოზიდვას შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ქალაქში ტურიზმის **სამკურნალო-გამაჯანსაღებელი** მიმართულებით განვითარებამ. ასეთი ღონისძიების განხორციელების შედეგად გაიზრდება ტურისტთა ნაკადების რიცხოვნება და აქედან გამომდინარე, შემოსავლები უცხოურ ვალუტაში, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები, გაუმჯობესდება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ საკურორტო, კლიმატური, ფიზიოთერაპიული და ბალნეოთერაპიული ფაქტორები ავადმყოფთა გამოჯანსაღების ეფექტური საშუალებაა, რომელთა კომპლექსური, ეტაპობრივი გამოყენება ამოკლებს მკურნალობის ხანგრძლივობას და მნიშვნელოვნად ზრდის გამოჯანმრთელების ეფექტს. ასე მაგალითად, ბათუმის საკურორტო-ტურისტულ ცენტრს მომხმარებლებისათვის სხვადასხვა მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების შეთავაზება შეუძლია. სწორი და სათანადო სარეკლამო კომპანიის პირობებში ამ ტიპის ტურიზმს საკმაოდ დიდი რაოდენობის ტურისტების მოზიდვა შეუძლია მთელი წლის განმავლობაში ***[კობალაძე, 2010: 13].*** კერძოდ, ბათუმი როგორც კურორტი საკმაოდ დადებით შედეგებს იძლევა ქრონიკული ბრონქიტის, მშრალი პრევლიტის, ნერვიული სისტემის, სისხლის მიმოქცევის უკმარისობის, სისხლნაკლულობის და სხვა დაავადებათა მკურნალობისას. კურორტი მახინჯაური კი კარგ შედეგებს იძლევა სასუნთქი ორგანოებისა და სასუნთქი გზების (არატუბერკულოზური ხასიათის), ნერვიული სისტემის, გულსისძარღვთა, მოძრაობის ორგანოთა და სხვა დაავადებათა მკურნალობისას. რაც შეეხება სამთო-კლიმატურ კურორტ

ცისკარს, იგი მეტად ეფექტიან შედეგებს იძლევა ლიმფური ჯირყვლების, სუნთქვის ორგანოების, რატიქისა და რიგ სხვა დაავადებათა მკურნალობისას *[გაბუნია, 1996: 70-72].*

სამკურნალო გამაჯანსაღებელ ტურიზმს მრავალი თავისებურება ახასიათებს. აქედან ერთ-ერთ ასეთ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სამკურნალო დასვენება შედარებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს და აქედან გამომდინარე, უფრო ძვირია, რადგან ის ჩვეულებრივი ტურიზმისაგან განსხვავებით საჭიროებს მაღალი კვალიფიკაციის სამკურნალო, სამედიცინო მომსახურებას, შესაფერის სადიაგნოსტიკო, ლაბორატორიულ აღჭურვილობას, და სხვ. ამასთან, იგი ორიენტირებულია მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებისათვის და ამავე დროს თავისთავად მოიცავს სეზონურ ტურიზმზე ორიენტირებულ ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობებს, მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ საჭირო ტურიტსტული მომსახურეობის უპირატესობებით. რა თქმა უნდა, ამისათვის საჭიროა არასაკურორტო სეზონის დროს ბუნებრივი პირობების ხელოვნურად უზრუნველყოფა, კერძოდ, საზღვაო კურორტებზე მოწყობილი უნდა იყოს თბილი ზღვის წყლით უზრუნველყოფილი დახურული აუზები, ზღვის სილების ხელოვნური პლაჟები და ა.შ. ეს კი ხელს შეუწყობს ტურისტული მომსახურების პერიოდის გახანგრძლივებასა და ამინდის უარყოფითი შედეგის კომპესირებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოსათვის, სადაც ხშირი წვიმების გამო ტურისტული სეზონი ნაკლებ ეფექტიანი და არამიმზიდველი შეიძლება აღმოჩნდეს *[ჩაგანავა, 2010: 37].*

ამგვარად, ბათუმში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და მისი შემდგომი აღმავლობისათვის აუცილებელია იმ ღონისძიებების გატარება, რომელიც მიმართული იქნება ამ სფეროში არსებული გადაუჭრელი პრობლემების დაძლევისადმი. ამ მიზნით, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია: ტურისტული პროდუქტის შეზღუდული სპექტრის გაფართოება. კერძოდ, შიდა და საგარეო ბაზარზე უკვე არსებულ პროდუქტებს უნდა დაემატოს ისეთი ტურისტული სახეობების ფართო განვითარება, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სეზონურობასთან და შესაძლებელია მიეწოდოს ტურისტულ ბაზრებს მთელი წლის განმავლობაში. ასეთ ტურისტულ სახეობებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მიეკუთვნება: საქმიანი ტურიზმი ანუ ბიზნეს ტურიზმი, სათამაშო ტურიზმი და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი. ტურიზმის ამ სახეობების განვითარებით შესაძლებელია ბათუმის ტურისტული ცენტრის ისე გარდაქმნა, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასტუმროების დატვირთვის გაზრდა და მთელი წლის განმავლობაში მისი ფუნქციონირება, მოსახლეობის დასაქმება, აგრეთვე ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტებში

შემოსავლების გენერირება. ამასთან ერთად, ბათუმში ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია: ტურიზმში არსებული მოძველებული საკანონმდებლო ბაზისა და ნორმატიული აქტების არსებითი განახლება და მისი დამტკიცება ქვეყნის პარლამენტის მიერ; ტურიზმის განვითარების განახლებული ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო პროგრამის შემუშავება საერთაშორისო კონვენციების, შეთანხმებების და ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქვეყნის კანონმდებლობასთან მისი ჰარმონიზაციის მიზნით; მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა, აგრეთვე სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის სხვადასხვა სახის პრეფერენციების ფართოდ გამოყენება ტურიზმის საქმიანობაში; ტურისტული მომსახურების სფეროში ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა:

აჭარის არ, 2015, №182/01-15 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, დოკუმენტი №182/01-15, 2015 წლის 27 მაისი.

ბოლქვაძე, 2007: – ბოლქვაძე ბ., ტურიზმის სახელმწიფო და რეგიონული რეგულირების ასპექტები, – კრ.: ტურიზმის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (აჭარის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, IX), ბათუმი.

ბათუმის მერიის.., 2012: – ბათუმის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის 2012 წლის ეკონომიკურ-სტატისტიკური მასალები, ბათუმი.

გაბუნია, 1996: – გაბუნია ი., საქართველოს რეკრეაციული მეურნეობა, თბილისი.

გამსახურდია, ფესტვენიძე, 2012: – გამსახურდია თ., ფესტვენიძე თ., საქართველოში ტურიზმის განვითარების გონივრული მიდგომა სჭირდება, – კრ.: „მდგრადი ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი.

დარახველიძე, 2012: – დარახველიძე ლ., საქართველოში საქმიანი ტურიზმი – შეხვედრები, წამახალისებელი ღონისძიებები, კონფერენციები და გამოფენები, – კრ.: „მდგრადი ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი.

კობალაძე, 2010: – კობალაძე ლ., საქართველოში ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება, თბილისი.

მესხია, 2010: – მესხია ი., საქართველოში ტურიზმის განვითარების ინსტიტუციონალური და მიკროეკონომიკური გარემო, – კრ.: ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი (I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (5-6 ივნისი, 2010, ბათუმი-ტრაპიზონი) მასალები), თბილისი.

ნადარეიშვილი, 2012: – ნადარეიშვილი ნ., MICE ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში, – კრ.: ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი (I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (5-6 ივნისი, 2010, ბათუმი-ტრაპიზონი) მასალები), თბილისი.

ტურიზმის საფუძვლები, 2004: – ტურიზმის საფუძვლები (დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო), თბილისი.

ქ. ბათუმის, 2009: – ქ. ბათუმის 2010-2014 წლების ეკონომიკური განვითარების გეგმა, 2009.

ღანიაშვილი, 2009: – ღანიაშვილი მ., გაუგებრობები ტურიზმში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, № 7-8.

შუბლაძე, 2004: – შუბლაძე ვ., საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი (სიღარიბის დაძლევის კონტექსტში), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

ჩაგანავა, 2010: – ჩაგანავა პ., სამურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის სეზონურობის დაძლევის საშუალება, – კრ.: აჭარის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები, XII, ბათუმი.

Vakhtang Mikashavidze, Zhani Mikashavidze
(Batumi, Georgia)

Problems of State Regulation and Sustainable Development of Tourism Industry in Batumi

Summary

At this stage, its necessary to take some measures for sustainable development of Batumi tourism industry and its further improvement, these measures will address settling unresolved problems in the above mentioned field. At this point of view, the major objective of the tourism policy is a complete utilization of existing recourses, increasing limited range of the products already existing on the inside and outside markets. This range may be increased by such types of tourism that are not connected to the seasonalityand can be provided for the touristic bases all over the year. Such types of tourism are: business tourism, gametourism and recreational tourism. By developing these types of tourism an opportunity to change the industry of Batumi so that hotel occupation and functioning may be provided during the whole year. It will give opportunity to create new working places, population employment, generation of the foreign currency on the local and state market, etc.

Furthermore, very important issues for sustainable development of Batumi tourism industry are: renewal of Legislational base and normative acts existing in tourism by the State and their approval by the Parliament; Implementing renewed national concept for tourism development and working out action plan considering advices of International Conventions, agreements

and recommendations of European Union, harmonizing Legislation of the country.

Providing attracting investment environment, also economic activity and financial support in the field of using levers by establishing different types of preferences; Establishment f the new innovative technologies in the field of tourism services, etc.

ნოდარ ჩხეიძე (ბათუმი, საქართველო)
ზაურ ციხელაშვილი (თბილისი, საქართველო)
პაატა გიორგაძე (თბილისი, საქართველო)

ბათუმის ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზების საკითხისათვის

ეკოლოგიური პრობლემა ერთ-ერთი გლობალური პრობლემათაგანია, იგი არ ცნობს მიწიერ საზღვრებსა და მანძილს. მისი გლობალურობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია თანამედროვე დედამიწაზე. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული ეკოლოგიური კრიზისი, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან, მუდმივი გახდა და არ ჩანს მისი დასასრული, მიუხედავად ხალხებისა და სახელმწიფოების ძალისხმევისა.

თანამედროვე ეკოლოგიური მეცნიერების სტრუქტურა წარმოგვიდგება ასე:

1. ბიოეკოლოგია (მცენარეთა, ცხოველთა, მიკროორგანიზმების, წყლის ორგანიზმების ეკოლოგია და სხვა);
2. გეოეკოლოგია (ხმელეთის, მტკნარი წყლის, ჰაერის, ზღვის, ბარის, მთის ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის და სხვა);
3. ასტრალური ეკოლოგია (კოსმოსური ეკოლოგია, კოსმოსური ენერგოეკოლოგია და სხვა);
4. გამოყენებითი – ადამიანის საქმიანობის სფეროს მიხედვით (სამრეწველო, ტექნოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, საწარმოო, რეკრეაციული, სასურსათო, გეოქიმიური, ბუნების გამოყენება, გარემოს დაცვა და ა.შ.)
5. ადამიანის ეკოლოგია (ქალაქის ეკოლოგია, მოსახლეობის, არქიტექტურის ეკოლოგია და სხვა)
6. სოციალური ეკოლოგია (პიროვნების ეკოლოგია, კაცობრიობის, ეთნოეკოლოგია, კულტურის, ენის ეკოლოგია, აზროვნების ეკოლოგია და ა.შ.).

წარმოდგენილი ნაშრომი ბათუმის ეკოლოგიური რისკების და პრობლემების, მათი გადაწყვეტის გზების ძიების სრული სურათის აღწერის პირველ ცდას წარმოადგენს.

ბათუმი არა მარტო საზღვაო ქალაქია, არამედ იგი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უპირველეს ტურისტულ ცენტრს, კულტურულ-სოციალურ თუ საინჟინრო ინფრასტრუქტურით. ამასთან იგი არის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი, განვითარებული სამეცნიერო, საგანმანათლებლო, სამრეწველო, საამშენებლო და სავაჭრო სისტემებით. ამიტომაც ავტორების მცდელობა ამ უაღრესად რთული მექანიზმის ეკოლოგიური პრობლემების კუთხით ჩვენება და მისი გადაწყვეტის გზების ძიება მეტად აქტუალური ამოცანაა, მით უმეტეს, რომ ნაშრომი ბათუმის

ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლის კომპლექსური სამეცნიერო კვლევის პირველი მცდელობაა.

ბათუმის ეკოლოგიური პრობლემები გადახლართულია შავი ზღვის ეკოლოგიურ სტაბილურობასთან.რამდენადაც ბათუმი საპორტო ქალაქია და წარმოადგენს ამიერკავკასიაში მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს, მისი გავლენა ზოგადად ქალაქის ეკოლოგიაზე მძაფრად აღიქმება, მით უმეტეს, რომ დიდი წყალწყვის გემები დიდ ზემოქმედებას ახდენენ ქალაქის რეკრეაციული ზონის ეკოვარგისიანობაზე, რაც გამოიხატება სატვირთო გემების მიერ ზღვაში სხვადასხვა მავნე ნივთიერებების ჩაქცევაში; მართალია, დიდი ჯარიმების საზღაურად ხდება ეს ჩაქცევები, მაგრამ ზღვის გაწმენდა ვეღარ ხერხდება.

ქალაქის რეკრეაციული ზონის (პლაჟები) ეკოლოგიური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა: ერთი მხრივ, დანაგვიანებული პლაჟები, მეორე მხრივ, პლაჟების წარეცხვის მუდმივი პროცესები. თუ პირველი აიხსნება პლაჟების მომხმარებლების ეკოლოგიური გაუნათლებლობა და კულტურის დეფიციტით, (ამასთან პლაჟების მეპატრონეებიც სცოდავენ), საპლაჟე ინვენტარის დეფიციტით, გასახდელებისა და საშხაპეების ნაკლებობით, პლაჟების არასაკმარისი და არარეგულარული დასუფთავებით, (რაც ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს დასასვენებლად ჩამოსულ ტურისტზე), ჩვენ აღარაფერს ვამბობთ პლაჟების კვების ხარისხიანი პროდუქტებით მომარაგების იგნორირებაზე.

უფრო ცუდადაა საქმე პლაჟების წარეცხვის, ზღვის ნაპირების ნგრევისა და ზღვის მიერ პლაჟების ტერიტორიების მიტაცების, მათი რეკრეაციული დანიშნულების შემცირებაში.

შავი ზღვის სანაპიროს საქართველოს მონაკვეთის, განსაკუთრებით სარფი-ბათუმი-ქობულეთის ნაპირი განიცდის წარეცხვის ინტენსიურ პროცესებს. მათი ეკოლოგიური მდგომარეობა სარფი-კვარიათის, ადლია-ახალი ბულვარის, ჩაქვი-ციხისძირის და ქობულეთის მთელი სანაპირო, კატეგორიულად უნდა ითქვას, კატასტროფულია. ნაპირების წარეცხვის მიზეზები მდგომარეობს არა მარტო მდ. ჭოროხზე მშენებარე კაშხლებში, არამედ საპლაჟე მასალების, ჭოროხის ნატანის აკუმულირებული მასის, მახოს ხიდიდან ქვემოთ, ჭოროხის დელტამდე, ინტენსიურ ამოღებაში და პლაჟების დეფიციტის შევსების მაგივრად სხვა მიზნებისათვის მის გამოყენებაში, რაც წარმოადგენს საქართველოს კანონის დარღვევას.

საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული ნაპირგამაგრებისათვის მშენებარე გაბიონები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ, ვერც პროექტის ნაწილში და ვერც მშენებლობაში; იმის მაგივრად, რომ ნაპირგამაგრების პროექტები კეთდებოდეს ოთხმეტრიანი ტალღის სიმაღლეზე გათვლით. სარფი-კვარიათის მონაკვეთის მშენებარე გაბიონი ათმეტრიან ტალღაზეა გათვლილი და ამასთან 30-32 მეტრის სიფართეა, უნდა ითქვას ისიც, რომ ე.წ.

“ტეტრაპოდები” ბეტონის ჩამოსხმული კონსტრუქციული ელემენტები ეწყობა არასწორად. ასეთი ობიექტის მშენებლობა გახლავთ პირდაპირი მნიშვნელობით, წყალში გადაყრილი ფული.

მშენებარე გაბიონის ნაწილი ახალ ბულვარში დიდი დარღვევებითაა აშენებული, გაბიონის ზედა ფენა უნდა იყოს ხუთტონიანი გრანიტის მასივებით მოშანდაკებული. მის მაგივრად აწყვია 200-500 კილოგრამიანი “კენჭები”, რომლებსაც პირველივე 2-3 მეტრიანი სიმაღლის ტალღები გადარეცხავს.

გაბიონებით ზღვის ნაპირების გამაგრება შესაძლებელია ეფექტურიც იყოს, მაგრამ რა ვქნათ, თუ ტურისტულ ქალაქში ვკარგავთ რეკრეაციულ ზონებს (პლაჟებს). რომ გადავარჩინოთ ნაპირები წარეცხვისაგან და არ დავკარგოთ რეკრეაციული ზონები, ვფიქრობთ, საჭიროა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება – მცურავი შტორმშემარბილებელი ნაგებობების ზღვაში განთავსება ბათუმისა და ჩაქვი-ქობულეთის მონაკვეთზე. ასეთი ნაგებობების განთავსება ნაპირიდან 30-100 მ-ში გადაარჩენს ჩვენს პლაჟებს. ან კიდევ, საჭიროა საპლაჟე მასალის (ქვა-ღორღის) ხელოვნურად ზღვაში ჩაყრა (შეტანა), რაც კეთდებოდა კიდეც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, ამ მეთოდით არა მარტო შეჩერდა ზღვის ნაპირების წარეცხვა, არამედ ბათუმ-ფოთის მონაკვეთზე აღდგენილი პლაჟების საერთო ფართმა 40-45 ჰექტარს გადააჭარბა. ახლაც შესაძლებელია ასეთი მეთოდის გამოყენება (გამოიყენება კიდეც ლოკალურად), მაგრამ ქვა-ღორღის დეფიციტი აძვირებს სამუშაოებს – საჭირო იქნება რომელიმე კლდოვანი მთის ნგრევა,ლოდების დამსხვრევა და ტრანსპორტირება. ასეთმა მიდგომამ შესაძლებელია სხვა ეკოლოგიური პრობლემები შექმნას, არავინ იცის რა მოყვება მთების ნგრევას. თანაც მხედველობაშია მისაღები, რომ არსებული პლაჟების სარფი-ქობულეთის მონაკვეთზე შენარჩუნებას სჭირდება დაახლოებით 1,5 მილიონი $მ^3$ ქვა-ღორღის ერთდროულად ზღვაში ჩაყრა და შემდეგ ყოველწლიურად 250-300 ათასი $მ^3$.

კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ ზღვა უტევს ხმელეთს. წყალს აქვს დიდი მახსოვრობა – ე.წ. “ჰიდროდინამიკური მახსოვრობა”. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შავი ზღვის ნაპირები ათიათასი წლის წინ ბათუმის შემოგარენში, სოფ. ურეხის გორაკებთან იყო.ხოლო დღევანდელი ბათუმის ტერიტორია მდინარე ჭოროხის ნატანითაა მოზვინული; ზღვა სულ იწევს “პოზიციების” დასაბრუნებლად, ანგრევს ნაპირებს, რადგან არ აქვს “საკვები”; ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ზღვა კახაბერ-ადლიის ტერიტორიაზე შევიდა 500-600 მეტრით ხმელეთის სიღრმეში, ბათუმმაც დაკარგა მნიშვნელოვანი ტერიტორიები – ე.წ. “ბურუნ თაბიეს” კონცხი ფაქტიურად აღარ არსებობს. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ზღვის ნაპირდაცვით პრობლემებს თუ დროზე და სერიოზულად არ მივხედეთ, გლობალური დათბობის თანმდევი ტენდენციების გათვალისწინებით, ეს პროცესები შეუქცევადი

გახდება და 60-80 წლის შემდეგ შავი ზღვის ტალღები, შესაძლებელია, დღევანდელ ჭავჭავაძის ქუჩაზე ვიხილოთ.

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები არა მარტო ნაპირების წარეცხვასთანაა დაკავშირებული, რამდენადაც შავი ზღვა ითვლება "დახურულ" ზღვად, თანაც ზედაპირიდან 150-200 მეტრის სიღრმეში იგი ფაქტიურად მკვდარია გოგირდწყალბადის დიდი რაოდენობით შემცველობის გამო (0,7-1 მგ/ლ) ისიც, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად 6 (ექვსი) სახელმწიფო ბარბაროსულ ექსპლუატაციას უწევს მას. იგი ამავდროულად გახდა მრავალი ევროპული სახელმწიფოს, მდინარე დუნაის მეშვეობით, ბიოლოგიურად და ქიმიურად დაბინძურებული ჩამდინარე წყლების "საწყობად". განადგურების პირასაა ზღვის ფლორა და ფაუნა – შავ ზღვას სასწრაფო შველა სჭირდება.

ბათუმ-ქობულეთის შემოგარენში ზღვა ბიოლოგიურად დაბინძურებულია; ბათუმის გამწმენდი ნაგებობა ლოკალურ პრობლემას ხსნის სანახევროდ, მაგრამ ზღვის დინება თურქეთიდან – საქართველოსკენ არის გაბატონებული, თურქეთს კი შავი ზღვის ქალაქებში გამწმენდი ნაგებობები არ აქვს და მთელი ჩამდინარე წყლები (ფეკალური მასები) ბათუმისკენ მოედინება.

ასეთი ეკოლოგიური პრობლემების არსებობის გამო ბათუმ-ქობულეთის რეკრეაციული ზოლის (პლაჟების) გამოყენება ტურიზმის განვითარებისათვის კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ვინაიდან ზღვის წყალი ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს, არ არსებობს დღე, რომ შავი ზღვის წყლის დაბინძურება მუცლის ჩხირებით ნორმაში ჯდებოდეს მისი მაჩვენებელია კოლიტიტრი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 ერთეულს, ფაქტიურად საშუალოდ 3-7-ჯერ მეტია, ხოლო საერთო ბიოლოგიური დაბინძურების მაჩვენებელი კოლიინდექსი ათი ათასი ერთეულის ნაცვლად საშუალოდ 200-500 ათასი და მეტია, ცალკეულ დღეებში 3 მილიონ ერთეულამდეც ადის.

ზღვის წყლის დაბინძურება სარფი-ბათუმი-ქობულეთის მონაკვეთზე ნავთობპროდუქტებითა და სხვა ქიმიური ნაერთებით კვირაში ერთხელ მაინც ხდება, რომლის გაწმენდა ძვირადღირებული სიამოვნებაა, თანაც ნავთობის ლაქის ნახვა ზღვის ზედაპირზე დამსვენებლებისათვის შოკის მომგვრელია.

საჭიროდ მიგვაჩნია მინი და საშუალო გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა საქართველოს კურორტებზე, რომლებიც ნაწილობრივ მოხნის პრობლემას, ხოლო თურქეთის მთავრობას მოეთხოვოს საერთაშორისო კონვენციების უცილობელი შესრულება, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას ყველა საერთაშორისო რესურსი.

ბათუმისათვის დიდ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოდაგენს მისი ჰაერის მდგომარეობა.ბათუმი ერთ-ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელშიც ძალიან ცუდი ბუნებრივი ვენტილაციაა, გამოწვეული

იმით, რომ მას სამი მხრიდან მთები აკრავს. რადგანაც ბუნებრივი ვენტილაცია არ არის, საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის მცირე შესაძლებლობა, რომელსაც ქალაქის ძალიან კარგი ისტრიული დაგეგმარება გვაძლევს. საქმეში იმაშია, რომ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის განვითარების (განაშენიანების) გეგმაში გათვალისწინებულ იქნა ქალაქის ბუნებრივი მდგომარეობა და ქალაქი დაიგეგმა ისე, რომ თითქმის ყველა ქუჩას ზღვასთან აქვს თავისუფალი სივრცული "ურთიერთობა".

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბათუმი მაქსიმალურად დაბალ სართულიანი ქალაქი არის (იყო) და ამით მიიღწეოდა მაქსიმალური ბუნებრივი აერაცია.

რა გვაქვს ახლა? თუ ბათუმის მშენებლობის ბუმი, ასე გაუაზრებელი და არაპროფესიული მიდგომებით გაგრძელდა, გლობალური დათბობის ფონზე ქალაქს ელის ეკოლოგიური კოლაფსი, რაც გამოხატული იქნება ქალაქის საშუალო ტემპერატურის ზრდით.

ქალაქს ჰაერის ვენტილაცია სჭირდება არა მარტო გაგრილებისათვის, არამედ ჰაერის შემადგენლობის მუდმივი განახლებისათვის. დიდი ალბათობით ვიტყვით, რომ ქალაქის ჰაერის შემადგენელი მავნე აირები, მათ შორის CO, CO_2 დასაშვებზე მეტი იქნება რამდენჯერმე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქალაქს არ აქვს ჰაერის შემადგენლობის ანალიზის ავტომატური სადგური ე.წ. "დარაჯი", რომელიც უწყვეტ რეჟიმში აფიქსირებს ჰაერის ტემპერატურას, წნევას, ფარდობით სინესტეს, მის ქიმიურ შემადგენლობას – განსაზღვრავს ჰაერის დაახლოებით 30-40 პარამეტრს გარდა ჰაერის პარამეტრებისა, იგი ზომავს ხმაურის ფონის სიდიდეს, განთავსების ადგილზე. სხვათა შორის, ამ 20-25 წლის წინ ბათუმში ასეთი "დარაჯი" სადგური 3-4 ადგილას იყო განთავსებული. თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია, ვიყოთ ტურისტული ქალაქი, მაშინ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სადგურები ძვირი სიამოვნებაა, რამდენიმე კომპლექტი მაინც არის შესაძენი, ქალაქის სხვადასხვა ადგილას განთავსებისათვის.

თუ კი ასეთი მავნე და გაუაზრებელი ტენდენციები გაგრძელდება, ბათუმისადმი ინვესტიციური ინტერესები შემცირდება. ამავე დროს, როგორც ზაფხულის ძალიან გადახურებული ქალაქის იმიჯის მქონეს, შეუმცირდება ტურისტული ფუნქცია, ხოლო მაცხოვრებლები იძულებულ იქნებიან დატოვონ ქალაქი.

ეს რომ არ მოხდეს, სასწრაფოდ საჭიროა შეწყდეს ზღვისპირის მაღალი სახლებით გადატვირთვა – აღარ უნდა გაიცეს (გამონაკლისების გარდა) მაღალი სახლების მშენებლობის ნებართვა ქალაქის ზღვისპირა ზოლში, მინიმუმ დღევანდელ ფარნავაზ მეფის ქუჩამდე.

აქვე გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მშენებლობისა და არქიტექტურის შესახებაც. ბათუმში ახალაშენებული (2004 წლის შემდეგ) სახლების 95%-ი ეკოლოგიური თვალსაზრისით საცხოვრებლად უვარგისია: მასში არ არის გათვალისწინებული სეისმური მდგრადობა (ბათუმი 7-8 მაგნიტუდის სეისმურ ზონას განეკუთვნება), ხმისა და თბოიზოლაცია, შიდა დაგეგმარება არ შეესაბამება თანამედროვე ეკოლოგიურ მოთხოვნებს, ხოლო არქიტექტურულად უსახოა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქისათვის არქიტექტურის ეკოლოგიზაცია, რადგან ეს არის ერთ-ერთი საშუალება ადამინისათვის უცხო გარემოს, სიტყვის ფართო გაგებით – მისი სახლის საგნობრივ-სივრცული ორგანიზაციისა. არქიტექტურა ძირითადი ფორმაა გაადამიანებული ბუნების შექმნისა. არქიტექტურა, სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით – პირველ ქმნა, მოწოდებულია, განახორციელოს სახეობათა სინთეზი, ერთმანეთს დაუკავშიროს ხელოვნება, მეცნიერება, ტექნიკა, უტილიტარული ფუნქცია და კომფორტი. კულტურის ერთიანობის განმტკიცებით ხელი შეუწყოს პიროვნების ფორმირებას მის დამოკიდებულებაში გარე სამყაროსთან. არქიტექტურა მოწოდებულია შექმნას ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის ეკოლოგიზაციის პირობები.

ჩვენი ქალაქის არქიტექტორების ნაკლი სწორედ ამაშია, რომ არ ითვალისწინებენ თავისი ძირითადი სპეციალობის ანბანს და ქმნიან ყოვლად უსახურ, ეკოლოგიურად გამოუსედეგარ არქიტექტურულ გარემოს, როგორც ესთეთიკური თვალსაზრისით, ისე საცხოვრისით. ესთეთიკური საწყისი უპირველესად შეადგენს ეკოლოგიური ურთიერთობების არსებით კომპონენტს.

“კიოტოს პროტოკოლის” თანახმად ბათუმს აღებული აქვს ვალდებულება 20% შეამციროს (გაურკვეველია შედარებით რასთან) სითბოს გამოყოფის რაოდენობა, მაგრამ როგორ? როცა მშენებლები არ იცავენ თბოიზოლაციის ელემენტარულ მოთხოვნებს და ვღებულობთ არა სითბოს მოხმარების შემცირებას, არამედ მატებას; ზამთარში მეტი სითბოა საჭირო, ხოლო ზაფხულში მეტი გაგრილება.

ხმაურის თვალსაზრისით ბათუმი მოგვაგონებს უფრო აეროდრომს (ხმაური შინ და გარეთ ერთნაირია). ვიდრე ქალაქს, განსაკუთრებით ქალაქის იმ ნაწილის ქუჩები, რომლებსაც ჩაუტარდათ რეკონსტრუქცია. ქალაქის ქუჩის ხმაურის ფონი ღღისით არ უნდა აღემატებოდეს 40 დეციბელს, ინტენსიური ავტომობილების მოძრაობისას, გვაქვს ფაქტიურად 60-80 დეციბელი. იმისდა მიხედვით, თუ რა სიჩქარით მოძრაობს ესა თუ ის ავტომობილი.ღამით ქალაქის ხმაურის ფონი უნდა იყოს 20-25 დეციბელი. აღარაფებს ვამბობთ იმ რაიონზე, სადაც ბულვარია განთავსებული – ღამის ქალაქის ხმაურის ფონის მუდმივი

იგნორირებაა გაბატონებული. ღამით ხმაური აღწევს 50-60 დეციბელამდე.

საჭიროდ, მიგვაჩნია ავტოტრანსპორტის მოძრაობის რაოდენობრივი და ორგანიზაციული დარეგულირება. ქალაქის ფარგლებში სიჩქარეების მკვეთრი შეზღუდვა 40-მდე კმ, რაც; ერთის მხრივ; გააუმჯობესებს ქალაქის ჰაერის ხარისხს და, მეორე მხრივ, ხმაურის ფონი ჩაჯდება ნორმის ფარგლებში.

აუცილებლად უნდა მოწესრიგდეს ქალაქში ავტოსამრეცხაოებისა და ავტოსარემონტო სახელოსნოების ლოკალური, ჩამდინარე წყლების გამწმენდი მოწყობილობებით უზრუნველყოფა.

დიდი ეკოლოგიური რისკების ქვეშ აყენებს ქალაქის მაცხოვრებლებს ბუნებრივი აირის სახლებთან მიყვანა და ბინებში განაწილება, რომელიც ხდება საამშენებლო ნორმებისა და წესების აბსოლუტური იგნორირებით. ბუნებრივი საწვავი აირის ბინებამდე (მომხმარებლამდე) მიწოდება ხდება კიბის უჯრედების საშუალებით, რაც დაუშვებელია მსოფლიოში არსებული ყველა ნორმით და წესით.

აირის სისტემების კიბის უჯრედში განთავსებით მშენებელი მოსახლეობას შეყოვნებული მოქმედების ნაღმს სთავაზობს. კიბის უჯრედი არის მაცხოვრებლების ევაკუაციის ერთადერთი საშუალება სხვადასხვა სახის კატასტროფების დროს (ხანძარი, მიწისძვრა, ტერორისტული აქტი და სხვა). ბუნებრივი აირისა და წყალგაყვანილობის მილებითა და მრიცხველებით გადაჭედილი კიბის უჯრედი ევაკუაციისათვის ვერ გამოდგება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში დიდია ალბათობა, რომ ხანძარმა მოიცვას ბუნებრივი აირის მილებით დაქსელილი კიბის უჯრედი. თავი რომ დავანებოთ ყოველგვარ ავარიებს, ეს არ არის ესთეთიკური და საპროექტო ორგანიზაციებისა და არქიტექტორების დაბალ კვალიფიკაციაზე მიგვანიშნებს, რომ არაფერი ვთქვათ ქალაქის ზედამხედველობის სამსახურების უსუსურობაზე და უპასუხისმგებლობაზე.

ბათუმის ეკოლოგიურად მოწესრიგების პრიორიტეტები უნდა გახდეს ჭაობის უბნის, ბარცხანის, თამარის დასახლების, გოროდოკისა და სხვა მოუწყობელ უბნებში ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შექმნა, რისთვის უკვე დაწყებულია ინფრასტრუქტურული პროექტების (წყალი, წყალარინება), ტროტუარების მოწყობა, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ უბნებში არ არსებობს დიდი ბაღები და სკვერები, ნაკლებადაა გამწვანება, ის რაც არის, პრაქტიკულად მოუწყობელი და მოუვლელია.

ამ უბნებში არ მიმდინარეობს მშენებლობები, რაც მეტად სავალალოა. ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის, ქალაქის ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოგვარება უნდა შეძლოს ინვესტორისათვის სხვადასხვა შეღავათების დაწესებით, მათ შორის ქალაქისათვის დაბალი კატეგორიის სასტუმროების მშენებ-

ლობის (აღარას ვამბობთ საცხოვრებელ სახლებზე) წახალისებით, ეს იქნება მასიური (არა ელიტური) ტურიზმის განვითარების მეტად მნიშვნელოვანი საფეხური, ასეთი მიდგომები ამ უბნებს გახდის ეკოლოგიურად მიმზიდველსა და განვითარებისათვის პერსპექტიულს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკოლოგიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას – ენის ეკოლოგიას. ენის სისუფთავე განსაზღვრავს ერის იდენტობას, სახელმწიფოს სტაბილურად და მიზანმიმართულად განვითარებას ეროვნულ ფუძეზე. ეს არის დაუწერელი და დაწერილი კანონი ეროვნული სახელმწიფოს (კარგი გაგებით) იდენტობის, მისი კონსტიტუციური უსაფრთხოების მთავარი გარანტი. ამიტომაც ენის სისუფთავეს, მის განვითარებასა და საყოველთაო დაცვას ენიჭება უაღრესად დიდი მნიშვნელობა. საქართველოს პარლამენტს მიიღებული აქვს შესაბამისი კანონი ქართული ენის დაცვისა და განვითარების შესახებ.

როგორი ეკოლოგიური მდგომარეობაა ბათუმში ქართული ენის დაცვის თვალსაზრისით? შეიძლება ითქვას ძალიან ცუდი. დავიწყებთ იმით, რომ ენა გაივსო სხვადასხვა ენებიდან მოტანილი და ძალად ჩანერგილი სიტყვებით, თითქოს ანალოგიური მნიშვნელობის სიტყვები ქართულში არ იყოს. ბარბარიზმი ეს ისეთი ავადმყოფობაა ენისა, რომელიც განსაკუთრებით აზიანებს ბავშვებსა და ახალგაზრდებს. ამ თაობებში შემოსული, ჯერ როგორც მოდური სიტყვა, ხოლო შემდეგ როგორც ყოველდღიური მოხმარების მნიშვნელობით, აზიანებს სახელმწიფო ენის ლექსიკასა და სტრუქტურას, საუბედუროდ ენის სიწმინდის დაცვა ვისაც ევალება ისინიც ძალიან სცოდავენ, მხედველობაში გვაქვს პრესა, რადიო, ტელევიზია, არა ნაკლებ სცოდავენ ახალგაზრდა მწერლები, პოეტები და პუბლიცისტები.

ქართულ ენას ქალაქში პატრონი არ ჰყავს; ეს იქედან სჩანს, რომ ჩვენს სინამდვილეშიც კი იგი ძლიერაა დანაგვიანებული, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, არცერთ უცხოურ ქალაქში ასე ფართოდ არ იყენებენ, თუნდაც დღეს საერთაშორისოდ აღიარებულ ენებს მშობლიური ენის საზიანოდ, როგორც ჩვენთან. ჩვენს ქალაქში ისიც იკადრეს, რომ მაღაზიებს, სხვა სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო ობიექტების, ფირმების უმრავლეს ნაწილს მხოლოდ უცხო ენაზე აქვს წარწერები. სხვა შემთხვევაში ქართული წარწერა სადღაც კუთხეშია მიგდებული. რას ნიშნავს მაგალითად "ელიტ-ელექტრონიქსი"? ფირმაა თუ მაღაზიის დასახელება? ქართულად როგორ ითქმის, ან როგორ გაატარეს რეგისტრაციაში?

"სამსუნგი", "მერსედესი" და სხვა მსოფლიოში ცნობილი ფირმებია და გასაგებია, როგორ უნდა დაიწეროს, მაგრამ რა არის ან რას ნიშნავს "სან-საჩინო" ან კიდევ "სან-მარინო" და მრავალი

სხვა. ასეთ შემთხვევებში ქართველებთან ერთად სცოდავენ უცხოელი ბიზნესმენები.

რატომაა (განსაკუთრებით თურქულ ფირმებს), რომ ჩვეულებრივ კერძო სასტუმროს ან კიდევ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას უფლებას აძლევენ (ვინ???) გამოფინონ თურქეთის სახელმწიფო დროშა, თითქოს ოფიციალური სახელმწიფო წარმომადგენლობა იყოს. დროა ბათუმის საკრებულომ და მერიამ ყურადღება მიაქციოს ქართული სიმბოლოების – ენის, დროშისა და გერბის სწორად, კანონის შესაბამისად გამოყენებას.

თუ ბათუმის მაცხოვრებელთათვის, ქალაქის ხელმძღვანელობისათვის ქალაქზე ზრუნვა ცხოვრების წესად არ იქცა, არაფერი არ გამოგვივა. ამას სათანადო განათლება სჭირდება, მოსახლეობის ეკოლოგიური თვითშეგნების, ცოდნის ამაღლების გარეშე ეს შეუძლებელია. არადა, არ გვყავს სპეციალისტები, არ გვაქვს სწავლება, სათანადო ლიტერატურა. შესაბამისად, ქალაქში არ არსებობს ეკოლოგიური სამსახური, პროფესიონალებით დაკომპლექტებული ზედამხედველობის სამსახური, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებისათვის.

კარგი იქნება, თუ აჭარის ხელისუფლება, ქალაქის მერიასთან ერთად (და არა მარტო ის), გაითვალისწინებს ეკოლოგიური პროცესების სიმწვავეს და სათანადო საკანონმდებლო ბაზით და ფინანსური უზრუნველყოფით შემოიღებს ზოგადი ეკოლოგიური განათლების სავალდებულო სწავლებას სკოლებში და რა თქმა უნდა, უმაღლესი განათლების სისტემაში, პრაქტიკულად ყველა სპეციალობებზე, თუ ეს გაკეთდება მაშინ, შესაძლებელი გახდება მრავალი ეკოლოგიური პრობლემის მოგვარება მინიმალური დანახარჯებით.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი ბათუმის ზოგადი ეკოლოგიური პრობლემების გააზრება საშუალებას გვაძლევს განისაზღვროს ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სასწრაფოდ აღმოფხვრილ უნდა იქნას. კერძოდ:აუცილებელია ბათუმის მერიაში შეიქმნას პროფესიონალებით დაკომპლექტებული ეკოლოგიური სამსახური; გამოინახოს სახსრები და ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ეკოლოგიური მიმართულებების მიხედვით; ჩატარებულ კვლევით სამუშაოებზე დაყრდნობით შემუშავდეს შესაბამისი პროექტები ეკოლოგიურ პრობლემების მოსაგვარებლად; გამოინახოს შესაბამისი თანხები პროექტების რეალიზაციისათვის.

ქალაქის მოსახლეობის ეკოლოგიურ პროცესებში ჩართულობით მოხდება არა მარტო ეკოლოგიური მონიტორინგი, არამედ შენარჩუნდება ეკოლოგიური უსაფრთხოების მაღალი თამასა.

გამოყენებული ლიტერატურა:
გორელოვი ა., ეკოლოგია, ბათუმი, 2011.
ციხელაშვილი ზ., ფრანგიშვილი ა., ჩხეიძე ნ. და სხვ., საქართველოს პატენტი გამოგონებაზე, 5600 პრიორიტეტი 2010-03-31.
ციხელაშვილი ზ., გარუჩავა დ., ჩხეიძე ნ. და სხვ., საქართველოს პატენტი გამოგონებაზე, 4739 პრიორიტეტი 2008-05-16.
Гелбреит Дм., Новое индустриальное общество, Москва, 1990.
Черное море, – Сборник, сост. Вылканов А., Данов Х., Москва, 1983.

Nodar Chkheidze (Batumi, Georgia)
Zaur Tsikhelashvili (Tbilisi, Georgia)
Paata Giorgadze (Tbilisi, Georgia)

Batumi's Ecological Problems and the Ways to Resolve Them

Summary

Batumi's ecologies security mostly defines it's so great tourism potential navy town's status. The Black Sea ecologic problems underniably intertwined different environmental protectional items. All of this determines prospects of tourism development. Sea pollution, sea coast washing off, air clean, city ventilation, noise, ecology language, other problems and their regulations are performanced in thesis.

ზაურ ციხელაშვილი (თბილისი, საქართველო)
ნოდარ ჩხეიძე (ბათუმი, საქართველო)
პაატა გიორგაძე (თბილისი, საქართველო)

ბათუმის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში ახალი ტიპის მცურავი შტორმშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების განთავსების საკითხისათვის

პროექტის მიზანია, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციურ-კომერციული ღირებულების პროდუქტის შექმნა, ზღვების და ოკეანეების რეკრეაციული სანაპირო ზოლებისათვის მოტივტივე ნაპირდამცავი, ახალი ტიპის ტალღაჩამხშობი ჰიდროტექნიკური ნაგებობების კომპლექსის სახით.

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლი იწყება სამხრეთით თურქეთის საზღვართან – სარფში და მთავრდება ჩრდილოეთით ლესელიძეში, მდინარე ფსოუსთან (სიგრძე 330 კილომეტრი). შავი ზღვა პრაქტიკულად უტევს ხმელეთს საქართველოს სანაპიროს მთელ სიგრძეზე. ამიტომაც აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მოვიყვანოთ მცირე ინფორმაცია (დახასიათება) შავი ზღვის ღელვის შესახებ: ზღვის ღელვის ინტენსივობა, ტალღების სიმაღლე და მათი სიჩქარე დამოკიდებულია ქარის სიჩქარეზე, მის ხანგრძლივობაზე და ტალღის აჩქარებაზე.

კავკასიის ნაპირებთან, სადაც ზღვის სიღრმეები შედარებით დიდია, შესაბამისად, ტალღებიც მაღალია. მაგალითად, ფოთთან ხშირად ფიქსირდება ტალღის სიმაღლე 3-4 მეტრამდე (ნახ. 1). ღია ზღვაში 7-8 ბალი ქარის დროს ტალღის საშუალო პარამეტრებია: სიჩქარე – 2,4:5 მეტრი წამში, პერიოდი 6-7 წამი, ტალღის სიგრძე – 10-70 მეტრი, სიმაღლე 1.5-2.5 მეტრი. დიდი შტორმის დროს ტალღის სიმაღლე აღწევს 5-6 მეტრს, ხოლო სიგრძე 70-80 მეტრია. ამავე დროს 4-5 ბალის ქარის შემთხვევაში, თუ ტალღის პერიოდია 11 წამი, დარტყმის ძალა შეადგენს 5,7 ტონას 1 კვადრატულ მეტრზე ***[Черное море, 1983].***

წარმოდგენილი პროექტი განხორციელდება ჰიდროდინამიკური და ფიზიკური მოდელირების საფუძველზე დასაბუთებული ახალი ტიპის ტალღაჩამხშობი ჰიდროტექნიკური ნაგებობების (და მათი ბმულების) მოდელების სერიული კვლევებით სპეციალურ ლაბორატორიულ ტალღაგენერატორზე შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის (ბათუმი-ფოთი და ა.შ.) მახასიათებელი პარამეტრების შესაბამისად. მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება ბათუმის, ქობულეთის, ურეკის და სხვა ობიექტების საპილოტე პროექტების შემუშავებისას.

ღია ტიპის საზღვაო პორტების გამართულ მუშაობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნებისმიერი საზღვაო ქვეყნის

ეკონომიკური კეთილდღეობა, საგარეო-სატრანსპორტო გადაზიდვების ორგანიზაცია, კულტურულ-ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარებ ,და სხვ. ღია პორტები და მათი აკვატორიები, წლის გარკვეულ პერიოდებში, როგორც წესი, განიცდიან ზღვის შტორმული ტალღების არასასურველ ზემოქმედებას, რაც აფერხებს საზღვაო ტრანსპორტის ნორმალურ ფუნქციონირებას. შტორმული ტალღები იწვევენ პორტების მიმდებარე სანაპირო ზოლების შეუქცევად წარეცხვას, შტორმის დროს საპორტო ქალაქების სანიაღვრე წყალარინების (კანალიზაციის) სისტემების ნორმალური ფუნქციონირება ვერ ხერხდება (ზღვა ვერ ღებულობს ქალაქების ზედაპირულ წყლებს), შედეგად სანაპირო ქალაქების ტერიტორიები იტბორება.

დღევანდელი მდგომარეობით შავი ზღვის შტორმული ტალღების არასასურველ ზემოქმედებას ექვემდებარება ბათუმის მიმდებარე ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლი (ბულვარი, ახალი ბულვარი, ადლია-აეროპორტის ტერიტორია და ა.შ.), კატასტროფული მდგომარეობაა ჩაქვი-ქობულეთი-ურეკის მონაკვეთზე ტალღების ზემოქმედებით. ფუძის გრუნტის გამორეცხვებისა და დეფორმაციების შედეგად ინგრევა ფოთის პორტის დამცავი კედელი, ზღუდარი (მოლი); თურქეთის ტერიტორიაზე „დერინერის" მაღლივი კაშხლის აგებისა და მდ. ჭოროხის მყარი ნატანის გადაკეტვის შედეგად კატასტროფული წარეცხვები ემუქრება აჭარის შავი ზღვის სანაპიროს. წარეცხვებს ექვემდებარება აგრეთვე "ბაქო-სუფსის" ნავთობსადენის ტერმინალის მიმდებარე სანაპიროც. აღნიშნული გარემოებანი დაკავშირებულია მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზარალთან.

ანალოგიურ მოვლენებთან გვაქვს საქმე არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ზღვებისა და ოკეანეების სანაპირო ზოლებში. აღნიშნულ კონტექსტში დასმული პრობლემის სამეცნიერო კვლევას – ახალი ტიპის მცურავი შტორმშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების შემუშავების, შესაბამისად, საპილოტე პროექტისთვის პარამეტრ-მახასიათებლების განსაზღვრის და მცურავი შტორმშემარბილებელი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ბმულის რეალურ გამოცდას ბათუმის (და არა მარტო ბათუმის) სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში განთავსების მიზნით უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

ამრიგად, ზღვის სანაპირო რეკრეაციული ზოლისა და ღია პორტების შტორმული ტალღებისაგან დასაცავად კვლევის პრობლემა განისაზღვრა ახალი ტიპის მოტივტივე ტალღაშემარბილებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ბმული კომპლექსის შემუშავებაში (ნახ. 2, 3), შესაბამისად, კვლევის ამოცანებს შეადგენს ***[Цихелашвили, Прангишвили, Чхенкели, 1997; გველესიანი, 2010; Gvelesiani, 2010]:***

- მოტივტივე ტალღაჩამხშობი ნაგებობების სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევის ზოგადი მეთოდოლოგიის შემუშავება და ორგანიზაციული საკითხები;
- ჰიდროდინამიკური და ფიზიკური მოდელირების საფუძველზე ახალი ტიპის მოტივტივე ტალღაჩამხშობი ჰიდროტექნიკური ნაგებობების სავარაუდო-საცდელი ფორმების შერჩევა, საექსპერიმენტო მოდელების კონსტრუირება და აგება;
- დამუშავებული მოტივტივე ჰიდროტექნიკური სახვადასხვა კონსტრუქციული ნაგებობების ბმული კომპლექსის ექსპერიმენტალური გამოცდა ლაბორატორიულ ტალღაგენერატორზე შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებისათვის მახასიათებელი ტალღების რეჟიმული გენერაციის პირობებში;
- სამეცნიერო-ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ჰიდროდინამიკური ანალიზი, ტექნოლოგიური სიახლე და ინოვაციურ-კომერციული წინადადების შემუშავება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სარეალიზაციოდ.

აღსანიშნავია, რომ შტორმული ტალღების მავნე ზემოქმედების შესამცირებლად, თანამედროვე მდგომარეობით, აწარმოებენ შერჩეული სანაპირო-რეკრეაციული ზოლების ეკოლოგიურ-დაცვით სამუშაოებს (შერჩევით სანაპირო ზოლებში ინერტული მასალის დაყრა, პორტის აკვატორიის პერიმეტრის შემოზღუდვა სხვადასხვა ტიპის ტრადიციული ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობით და სხვ.), რაც ხშირ შემთხვევებში არაეფექტური და ძვირადღირებულია, ამასთან, მოითხოვს რეგულარული სამუშაოების ჩატარებას წარეცხილი მოცულობის აღსადგენად.

დღევანდელი მდგომარეობით სანაპირო-რეკრეაციულ ზოლებზე და მსოფლიოს რიგ ღია ნავსადგურებში არსებული შტორმსაწინააღმდეგო შემომზღუდავი ნაგებობების გამოყენების პრაქტიკა, შეიძლება ითქვას, როგორც მორალურად, ასევე ტექნოლოგიურად მოძველებულია, რიგი ობიექტები კი – ამორტიზებული და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად მოითხოვს მათ განახლება-რეაბილიტაციას.

აღნიშნულ კონტექსტში, როგორც ერთ-ერთი ვარიანტი, შეიძლება მოაზრებოდეს ჩვენს მიერ შემოთავაზებული პროექტით შემუშავებული ინოვაციური წინადადება-ტექნოლოგია, რომლის დანერგვასაც (საპილოტე პროექტის სახით) უპირველესად ვგეგმავთ ბათუმისა და ურეკის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის მიმდებარე ზღვის შელფში.

შემოთავაზებულ ინოვაციურ პროექტში წარმოდგენილი იქნება როგორც სამოდელო ნაგებობების ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული კვლევების შედეგები, ისე მიღებული შედეგების შესაბამისად ახალი ტიპის მოტივტივე ნაპირდამცავი შემომზღუდავი ჰიდროტექნიკური ნაგებობებით შედგენილი

კომპლექსის (ბმულის) გაანგარიშების ზოგადი მეთოდიკა ჰიდროდინამიკური მათემატიკური მოდელირების საფუძველზე (ნახ. 2-4).

შემოთავაზებული ნაპირდამცავი ტალღაშემარბილებელი მოტივტივე-მცურავი ჰიდროტექნიკური ნაგებობა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ჰიდროინჟინერიის დარგის მეცნიერ-სპეციალისტებმა, წინამდებარე ნაშრომის ავტორებთან ერთად, რამდენიმე წლის წინ შექმნეს. იგი განკუთვნილია ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლისა და ღია პორტების შტორმული ტალღებისგან დაცვის (წარეცხვა, დატბორვა და ა.შ.) პრობლემის გადასაჭრელად. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორების მიერ შემოთავაზებულ კონსტრუქციებსა და ტექნოლოგიას მსოფლიოში ანალოგი არ აქვს, მიღებულია შესაბამისი გამოგონების პატენტი ***[ციხელაშვილი, ფრანგიშვილი, ჩხეიძე და სხვ.].*** იგი წაკვეთილი პირამიდის ფორმის მოდელების ბმულ ჯაჭვს წარმოადგენს (ნახ.2) და მისი პირველი სამეცნიერო-ექსპერიმენტული გამოცდა 2010 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოკეანოლოგიისა და მექანიკის ლაბორატორიაში ტალღაგენერატორზე მოეწყო. შავი ზღვისთვის დამახასიათებელი მოკლე ტალღის რეჟიმის იმიტაციის პირობებში კონსტრუქციის ეფექტურობა გამოვლინდა, კერძოდ, დაფიქსირდა ტალღის ენერგიის ჩაქრობის 30-40 %-იანი დიაპაზონი. დაგეგმილია მიმდინარე წლის სექტემბერში ექსპერიმენტული კვლევის სერიების განმეორება.

აღსანიშნავია, რომ წარმატებული ექსპერიმენტის შემდეგ, მეცნიერთა ჯგუფმა გარემოსდაცვითი მნიშვნელობის საკუთარი ინოვაციური პროექტი 2011 წელს წარუდგინა ბათუმის მერიას და მოწონებაც დაიმსახურა, თუმცა ბათუმის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში შტორმდამცავ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის საპილოტე პროექტის მშენებლობის დაფინანსებამდე საქმე ვერ მივიდა.

კონსტრუქციულად ზღვის შტორმული ტალღის ენერგიის ნაწილობრივ ჩამქრობი შტორმშემარბილებელი ნაგებობის ბმული კომპლექსი პოლიმერული, მზის სხივებისა და მარილიან წყლისადმი მედეგი მასალით იქნება დამზადებული. მისი თითოეული შემადგენელი ნაგებობა-ელემენტის ზომა 7ხ4 მეტრია. ისინი ერთმანეთთან 1,5-2 მეტრის ინტერვალით იქნება გადაბმული და მთლიან მოტივტივე-მცურავ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ჯაჭვს წარმოქმნის. ნაგებობათა ბმული ჯაჭვი კი ზღვის ნაპირიდან 30-150 მ დაცილებით არანაკლებ 10 მეტრის სიღრმის შელფში განთავსდება, რაც დამოკიდებულია ზღვის შელფის ფსკერის პროფილზე და სპეციალური ღუზებით მაგრდება. ტალღის ენერგიის ჩაქრობა ხდება ნაგებობა-მოწყობილობის წყალქვეშა და წყალზედა ნაწილში სპეციალური კონსტრუქციული (მოძრავი ან მყარი) ელემენტების საშუალებით ***[გველესიანი, 2010].***

აღნიშნული შტორმშემარბილებელი (შტორმდამცავი) სისტემის საინჟინრო-ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის მოწყობა იმ ტერიტორიებზეა რეკომენდებული, სადაც ინტენსიურად აღინიშნება სანაპირო-რეკრეაციული პლაჟის შეუქცევადი ნაპირწარეცხვები, დატბორვები და რეკრეაციული კომფორტის მოშლა. მისი დანერგვა ასევე შესაძლებელია ღია პორტებში იმისათვის, რომ შტორმისას გემებს პორტიდან გასვლა აღარ დასჭირდეთ.

პროექტის ავტორები საკუთარი ტექნოლოგიის ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის წარეცხვისაგან დაცვის სხვა მეთოდებთან შედარებისას, მიუთითებენ მის ეკოლოგიურ-ეკონომიკურ უპირატესობებს. მაგალითად, თუ შემოთავაზებულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის მუშაობის საექსპლუატაციო ვადა სულ მცირე 60 წლით განისაზღვრება, პროექტის განხორციელებით გარდა იმისა, რომ დაიზოგება თანხა ნაპირწარეცხვის საწინააღმდეგო სამუშაოებისთვის საჭირო ინერტული მასალების შემოზიდვა-დაყრაზე, აღარ დაზიანდება მდინარეების კალაპოტები, საიდანაც ხდება ინერტული მასალების ამოღება. რეკრეაციულ-საპლაჟე ზოლი ასევე განთავისუფლდება სხვადასხვა კონსტრუქციის ბეტონის ნაგებობებისგან, რომლებიც არაეფექტურია, ძვირია და 15-20 წლის შემდეგ ითხოვს განახლებას.

შემოთავაზებული ინოვაციური პროექტის ავტორები, სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, ვგეგმავთ ბათუმის სანაპირო-რეკრეაციული ზოლის შელფში, შერჩევით მონაკვეთებზე, საკუთარი საპილოტე პროექტის საწარმოო გამოცდას და, შესაბამისად, ამ პროექტისათვის სათანადო ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლების წარდგინებას.

საპილოტე პროექტის ნაგებობათა კომპლექსი გათვალისწინებულია საბანაო-სარეკრეაციო საზღრების გარეთ, ზღვაში განთავსდეს L=500 მ მანძილზე ღუზებზე ბაგირებით ჩაბმული, მოცურავე-მოტივტივე, წაკვეთილი პირამიდის ფორმის შემომზღუდავი, შტორმდამცავი (ტალღაშემარბილებელი) სისტემის ბმული კომპლექსის სახით (ნახ. 5, 6). კერძოდ, შემოთავაზებული საპილოტე-საცდელი პროექტის L=500 მ მანძილზე განხორციელება, პირველადი გათვლებით – 3,5 მლნ. ლარი დაჯდება, შედეგად, მიიღწევა შტორმული ტალღების ზემოქმედებით გამოწვეული ინტენსიური და შეუქცევადი სახის ნაპირწარეცხვების შემცირება; შტორმიან ამინდში მოწესრიგდება და შენარჩუნდება ქ. ბათუმის სანიაღვრე წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის ნორმალური ფუნქციონირება.

ამრიგად, შემოთავაზებული ინოვაციური პროექტის რეალიზაციით შესაძლებელი იქნება ზღვის სანაპირო-რეკრეაციული ზოლების წარეცხვებისა და დატბორვებისაგან დაცვა; სარეაბილიტაციო (ან ახალმშენებარე) პორტის

მშენებლობაში, სურვილისამებრ, ღია ნავსადგურის აკვატორიის ტერიტორიული სივრცის გაფართოება-შემოზღუდვა შტორმისაგან (მოთხოვნილი ხარისხით) მისი ეფექტური დაცვა ისე, რომ შტორმიან ამინდში დაცული ტერიტორიის შიგთავსში შესაძლებელი იყოს ნებისმიერი ზომის საზღვაო ტრანსპორტის განთავსება და მისი მანევრირება.

ღია პორტებისა და სანაპირო-რეკრეაციული ზოლების შტორმული ტალღებისაგან დაცვის არსებული ხერხებისგან (კაპიტალური დამცავი კედლების ამოყვანა, ლითონის კონსტრუქციული ნაგებობების სისტემის და სხვ. შემომზღუდავი საშუალებების მოწყობა) განსხვავებით, შემოთავაზებული პროექტის განხორციელება განსაკუთრებით ეფექტური და რენტაბელური იქნება შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გამო: ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობა, შტორმმედეგობის მოთხოვნილი ეფექტი, თანამედროვე მსუბუქი არაკოროზიული მასალის გამოყენება და ნაგებობათა კომპლექსის მოწყობის შედარებითი ეკონომიურობა, ექსპლუატაციის საიმედოობა და შეკეთებაუნარიანობა, რეკრეაციული ზონების ხელშეუხებლობა, ნაგებობათა მონტაჟის მცირე დრო, ზღვაში სამუშაოების წარმოების მოხერხებულობა, ნაგებობათა ფასადის ესთეტიკურად მისაღები ფორმის შერჩევა-გაფორმება და სხვ.

შემოთავაზებული ინოვაციური პროექტის აღნიშნული პოზიტიური მახასიათებლების მიხედვით განხორციელება (შედარებით მცირე დანახარჯებით), შესაძლებელი იქნება, როგორც სარეაბილიტაციო ან ახალმშენებარე პორტის, ასევე სანაპირო-რეკრეაციული ზოლის პირობებში, რაც სათანადო ქმედუნარიანობასა და სიცოცხლისუნარიანობას შესძენს ამ ობიექტებზე ჩასატარებელ ეკოლოგიურ-პრევენციული ღონისძიებების გატარებას. აამაღლებს საერთაშორისო დანიშნულების ღია პორტებისა და სანაპირო-რეკრეაციული ზოლების მშენებლობის საიმედოობას; ეფექტურს გახდის რეკრეაციული ზოლების ეკოლოგიური დაცვის რეკომენდაციების გატარებას (ნაპირწარეცხვებისგან დაცვა, შტორმის დროს სანიაღვრე კანალიზაციის შეუფერხებელი მუშაობა, დამსვენებელთა რეკრეაციულ-კომფორტული დონის ამაღლება და სხვ.), რაც თანამედროვე მდგომარეობით ზღვის ან ოკეანისპირა მდებარე ნებისმიერი დასახლებული ადგილისა და ქალაქებისათვის აქტუალური და დროულია.

პროექტის განსახორციელებლად პირველ რიგში საჭირო იქნება საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების ეგიდით ამ პრობლემით დაინტერესებული ინვესტორების, კოლაბორატორების და სხვა საქმიანი პირების მოძიება და მათი ინფორმირება შემოთავაზებული საკითხის აქტუალობის,

ინოვაციური პროექტის მაღალტექნოლოგიურობისა და კონკურენტუნარიანობის შესახებ. აღნიშნული გარემოება გარკვეულ საფუძველს შექმნის საქართველოს შავი ზღვის სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში (და არა მარტო საქართველოს) არსებული ეკოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად. ამასთან, პირველ რიგში, მიზანშეწონილი იქნება ქ. ბათუმის, ჩაქვის, ქობულეთის და ურეკის მიმდებარე სანაპირო-რეკრეაციულ ზოლში შერჩევით მონაკვეთზე ჩვენს მიერ შემოთავაზებული საპილოტე-საცდელი პროექტის განხორციელება.

ინოვაციური პროექტის შემოქმედებით ავტორთა ჯგუფს რეკომენდებულად მიგვაჩნია, რომ ინოვაციური წინადადების დანერგვას საერთაშორისო მასშტაბით კარგი პერსპექტივა აქვს – თავად წარმოდგენილი ინოვაციის სახის, პრობლემის გადაწყვეტის პრაქტიკული მნიშვნელობისა და მისი განხორციელების მისაღები ღირებულებიდან გამომდინარე. ვიდრე ამ ახალი ტიპის ტალღაშემარბილებელ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას მსოფლიო გამოიყენებს, უპრიანი იქნება მისი სიკეთით ჯერ საკუთარ ქვეყანაში ვისარგებლოთ. იმედს ვიტოვებთ, რომ შესაბამისი სტუქტურები პირველ რიგში ბათუმის და ურეკის საკურორტო ზონების პირობებში აღნიშნული ინოვაციური ტექნოლოოგიის დანერგვით დაინტერესდებიან.

პროექტის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჯგუფის ინტელექტუალური პოტენციალი და გამოცდილება მისი უცილობელი განხორციელების გარანტიას იძლევა ***[ფრანგიშვილი, ციხელაშვილი და სხვ., 2010: 26-29].***

გამოყენებული ლიტერატურა:

ციხელაშვილი, ფრანგიშვილი, ჩხეიძე და სხვ. – ციხელაშვილი ზ., ფრანგიშვილი ა., ჩხეიძე ნ. და სხვ., საქართველოს პატენტი გამოგონებაზე № P 5600.

ფრანგიშვილი, ციხელაშვილი და სხვ., 2010: – ფრანგიშვილი ა., ციხელაშვილი ზ., ბაციკაძე თ., გველესიანი თ., ჩხეიძე ნ., დოლიძე გ., მოსახლეობისა და ტურისტების კულტურული დასვენებისა და გართობისათვის განკუთვნილი კომპლექსი „დელფინი“-ს პერსპექტიული მოდელი, – სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“, თბილისი, 2010 წლის №1(16).

გველესიანი, 2010: – გველესიანი თ., წყლის ტალღების გენერაციასთან დაკავშირებული ცდების მართვა, ჰიდროინჟინერია, თბილისი, 2010 წლის №1-2 (9-10).

Gvelesiani, 2010: – Gvelesiani T., Dynamic action of impulse waves on a wave dampaner. Energyonline, № (3), 2010 /www.Energyonline.ge/.(ქართულად-იმპულსური ტალღების დინამიკური ზემოქმედება ტალღის დემფერზე).

Черное море, 1983: – Черное море, – Сборник, сост. Вылканов А., Данов Х., Москва.

Цихелашвили, Прангишвили, Чхенкели, 1997: – Цихелашвили З.И., Прангишвили А.И. Чхенкели Б. Дж., Основы построения интеллектуальных систем управления пространственно-временными сетевыми потоками. Монография под редакцией В.В. Чавчанидзе. Тбилиси, "Мецниереба".

Zaur Tsikhelashvili (Tbilisi, Georgia)
Nodar Chkeidze (Batumi, Georgia)
Paata Giorgadze (Tbilisi, Georgia)

For the Issue of Allocation of a New Type Storm Mitigation Waterworks in the Coastal Recreation Area of Batumi

Summary

Proposes a new type of floating craft hydro technical facilities of the storm mitigation built an innovative pilot project that will link the complex to give a cartain vitality to coastal towns capacity international destination ports and coastal open space and recreational areas for the construction zones, as well as the ecological conditions of the facilities



ნახ. 1. შავი ზღვის ღელვების გრაფიკული გამოსახულება ე.წ. იზობატები, რომელშიც მოცემულია ტალღის მაქსიმალური სიმაღლე – შესაძლებელია დაფიქსირდეს 100 წელში ერთხელ (მეტრებში).



ნახ.2. პროექტში შემოთავაზებული რეკომენდებული ერთ-ერთი მოტივტივე ტალღაჩამხშობი კონსტრუქციის სქემა



ნახ.3. მოტივტივე ტალღაჩამხშობი კონსტრუქციების ბმული კომპლექსის სისტემა
(ერთ-ერთი პროექტში შემოთავაზებული მოდელის ვარიანტი)

ნახ.4. პროექტში შემოთავაზებული ერთ-ერთი ტალღაჩამხშობი კონსტრუქციების ბმული კომპლექსის სისტემის წინასწარი ექსპერიმენტალური კვლევა ტალღაგენერატორზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოკეანოლოგიისა და მექანიკის ლაბორატორიაში



ნახ. 5.



ნახ.6.

კრებულის ავტორები
Authors of the Articles

აბაშიძე რომანი (ბათუმი, საქართველო)
განათლების დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Abashidze Romani (Batumi, Georgia)
PhD in Pedagogy, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

აზმაიფარაშვილი მაია (გორი, საქართველო)
ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (ეკოლოგიის დეპარტამენტი)
Azmaiparashvili Maia (Gori, Georgia)
PhD in Ecology, Associate Professor of Gori State Teaching University, Correspondent Member of Georgian Engineering Academy (Ecology Department)

ალექსაია სულხანი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Aleqsaia Sulkhani (Batumi, Georgia)
PhD in History, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ახვლედიანი მერაბი (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Akhvlediani Merabi (Batumi, Georgia)
PhD in Philology, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

ახვლედიანი ნარგიზი (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Akhvlediani Nargizi (Batumi, Georgia)
PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

გელაშვილი გია (თბილისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Gelashvili Gia (Tbilisi, Georgia)
PhD in History, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane
Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გიგუაშვილი გიული (გორი, საქართველო)
ეკონომიკის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Giguashvili Giuli (Gori, Georgia)
PhD in Economics, Professor of Gori State Teaching University

გიორგაძე პაატა (თბილისი, საქართველო)
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
Giorgadze Paata (Tbilisi, Georgia)
Doctor of Technical Sciences, Academician of Georgian Engineering Academy, Professor of Georgian Technical University

გოგიტიძე სიმონი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Gogitidze Simoni (Batumi, Georgia)
Candidate of Historical Sciences, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

გოგოლაძე თამარი (გორი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Gogoladze Tamari (Gori, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Professor of Gori State Teaching University

გოგოლიშვილი ოთარი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
Gogolishvili Otari (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

დიასამიძე ბიჭიკო (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი
Diasamidze Bichiko (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor Emeritus, Head of Department of History and Archaeology, Niko
Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

დიასამიძე ხათუნა (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
Khatuna Diasamidze (Batumi,Georgia)
PhD in History, Assistant Professor of Department of History, Archeology and Ethnology, Deputy-dean at Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

ვარშალომიძე ირინე (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
Varshalomidze Irine (Batumi, Georgia)
PhD in History, Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ვაშაძე შორენა (ბათუმი, საქართველო)
მედიცინის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Shorena Vashadze (Batumi, Georgia)
Doctor of Medicine, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

ვაჭრიძე გოდერძი (ქუთაისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Vachridze Goderdzi (Kutaisi, Georgia)
PhD in History, Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University

ზოიძე შოთა (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Zoidze Shota (Batumi, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Professor Emeritus, Principal Researcher, Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

თავაძე სოფიო (ბათუმი, საქართველო)
კინომცოდნე, ხელოვნების თეორიისა და ისტორიის აკადემიური დოქტორი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

Tavadze Sopio (Batumi, Georgia)
Film Critic, PhD in Art History and Theory, Associate Professor of Batumi Teaching University of Art

თავბერიძე თეა (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Tavberidze Tea (Batumi, Georgia)
PhD in Philology, Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

თურმანიძე ოთარი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Turmanidze Otari (Batumi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

კვაშილავა კახა (თბილისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

Kvashilava Kakha (Tbilisi, Georgia)
PhD in History, Assistant Professor of Sokhumi State University

კობერიძე მარიამი (გორი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტის პროფესორი

Koberidze Mariami (Gori, Georgia)
PhD in Philology, Professor of Gori State Teaching University

კუკულაძე გუგული (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
Kukuladze Guguli (Batumi, Georgia)
Doctoral Student at Faculty of Humanities of Batumi Shota Rustaveli State University

კუპრაშვილი სულხანი (ქუთაისი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
kuprashvili Sulkhani (Kutaisi, Georgia)
PhD in History, Professor, Head of the Departament of History and Archaelogy at Kutaisi Akaki Tsereteli State University

ლომთათიძე თამილა (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი**,** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
Lomtatidze Tamila (Batumi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

მალაყმაძე როინი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Malakmadze Roini (Batumi, Georgia)
PhD in History, Director of Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

მეგრელიშვილი მერაბი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Megrelishvili Merab (Batumi, Georgia)
PhD in History, Batumi Shota Rustaveli State University

მიქაშავიძე ვახტანგი (ბათუმი, საქართველო)

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
MikashavidzeVakhtang (Batumi, Georgia)
PhD in Economics, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University

მიქაშავიძე ჟანი (ბათუმი, საქართველო)
ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი
Mikashavidze Zhani (Batumi, Georgia)
PhD in Economics, Assistant Professor of Batumi Shota Rustaveli State University

მიქელაძე ნაილე (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
Mikeladze Naile (Batumi, Georgia)
PhD in Philology, Senior Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ნარაკიძე ციალა (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი
Narakidze Tsiala (Batumi, Georgia)
Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ნიკოლეიშვილი ავთანდილი (ქუთაისი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
Nikoleishvili Avtandili (Kutaisi, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Professor, Head of Department of Georgian Philology, Kutaisi Akaki Tsereteli State University

ოქროპირიძე უჩა (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

Okropiridze Ucha (Batumi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

პავლიაშვილი ქეთევანი (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი

Pavliashvili Ketevani (Tbilisi,Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Professor of Georgian Technical University

საითიძე გელა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

Saitidze Gela (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სარალიძე ლელა (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

Saralidze Lela (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ფაღავა-ბულეზი ქრისტინე (პარიზი, საფრანგეთი)

ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი

Pagava-Boulez Christine (Paris, France)

Vice-President of the Noe Jordania Institute

ფუტკარაძე დალი (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დოქტორანტი
Phutkaradze Dali (Batumi, Georgia)
Doctoral Student at Faculty of Education, Batumi Shota Rustaveli State University

ფუტკარაძე ელზა (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Phutkaradze Elza (Batumi, Georgia)
Doctor of Philology, Principal Researcher, Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ფუტკარაძე ნანი (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
Phutkaradze Nani (Batumi, Georgia)
Doctoral Student at Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University

ფუტკარაძე შორენა (ბათუმი, საქართველო)
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების სპეციალისტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი
Phutkaradze Shorena (Batumi, Georgia)
Doctoral student at Faculty of Humanities, Batumi Shota Rustaveli State University; Specialist of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State

ფუტკარაძე შუშანა (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსი
Phutkaradze Shushana (Batumi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Emeritus Professor, Head of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

ქავთარაძე ეთერი (თბილისი, საქართველო)
ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Kavtaradze Eteri (Tbilisi, Georgia)
Doctor of Philology, Principal Researcher of Georgian National Centre of Manuscripts

ქასაბი მურადი (სტამბოლი, თურქეთი)
ისტორიკოსი, მწერალი
Kasap Murat (Istanbul, Turkey)
Historian, Writer

შიოშვილი თინა (ბათუმი, საქართველო)
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
Shioshvili Tina (Batumi, Georgia)
Doctor of Philological Sciences, Professor of Batumi Shota Rustaveli State University

ჩელებაძე ნაილა (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Chelebadze Naila (Batumi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ჩხეიძე ნოდარი (ბათუმი, საქართველო)
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
Chkeidze Nodari (Batumi, Georgia)
Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Batumi Rustaveli State University

ციხელაშვილი ზაური (თბილისი, საქართველო)

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საიჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
Tsikhelashvili Zaur (Tbilisi, Georgia)
Doctor of Technical Sciences, Academician of the Academy of Engineering, Professor of the Georgian Technical University

ცქვიტინიძე ნატო (ბათუმი, საქართველო)
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის კინო-ტელეხელოვნების დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი
Tskvitinidze Nato (Batumi, Georgia)
PhD in Art History and Theory, Senior Teacher of Film-TV Art Department, Batumi Art Teaching University

ჭიღვარია ტარიელი (ქუთაისი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Tariel Tchighvaria (Kutaisi, Georgia)
Candidate of Historical Sciences, Associate Professor of Kutaisi Akaki Tsereteli State University

ჭიჭილეიშვილი მაია (ბათუმი, საქართველო)
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
Chichileishvili Maia (Batumi, Georgia)
PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of Batumi Art Teaching University

ჭიჭინაძე გივი (თბილისი, საქართველო)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
Givi Chichinadze (Tbilisi, Georgia)
Doctoral Student at Georgian Technical University

ჭუმბურიძე დოდო (თბილისი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Chumburidze Dodo (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჯავახიშვილი ნიკო (თბილისი, საქართველო)
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
Javakhishvili Nikolai (Tbilisi, Georgia)
Doctor of Historical Sciences, Professor, Principal Researcher of Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჯიბაშვილი ოლეგი (ბათუმი, საქართველო)
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი
Jibashvili Olegi (Batumi, Georgia)
PhD in History, Senior Researcher of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate